

ოჯახი და საოჯახო ყოფა თურქეთელ ქართველებში

(ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეს მოსახლეობის მაგალითზე)

დოქტორანტი-ნინო ოქროსცვარიძე

*სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ისტორიის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ხელოვნების ინტერდისციპლინური
პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ბუხრაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს

ბატონ გიორგი გვალას

ამავე ფაკულტეტის დოქტორანტის ნინო ოქროსცვარიძის

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოდგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და ეფუძნება მრავალჯერად სამეცნიერო მივლინებებს თურქეთის რესპუბლიკის, ინეგოლის რაიონსა და მის გარშემო არსებულ ეთნიკური ქართველებით დასახლებულ სოფლებში მოპოვებულ მონაცემებსა და მასალებს. ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ოქროსცვარიძე, 2014.

აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოადგენს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის კვლევის მცდელობას თურქეთში, ინეგოლის სოფელ ჰაირიეს ეთნიკური ქართველების "ნათესავით ქართველთა" ყოფის მაგალითზე.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ოჯახი საზოგადოებრივი ყოფის მეტად რთული და მრავალმხრივი ფენომენია. მას აქვს წარსული და აწმყო. მომავალი კი ამ ორი უკანასკნელის შედეგზეა დამოკიდებული. მის სტრუქტურას შეიძლება გარკვეული საფრთხე დაემუქროს, გარკვეული ცვლილებები განიცადოს, როდესაც იგი სხვა ეთნიკური ერთეულების გარემოცვაში სახლდება. რამაც შესაძლოა ჩამოაყალიბოს უკვე ახალი საოჯახო ტიპი, ძველი ტრადიციები ჩაანაცვლოს ახლით, ან მოახდინოს სინთეზი. თუმცა შეიძლება ოჯახი აღმოჩნდეს მდგრადი ცვლილებებთან მიმართებაში, გარკვეული დროის განმავლობაში განიცადოს რაღაცა დოზით რყევა, მაგრამ შემოინახოს ეთნიკური იდენტობის ცალკეული ნიშნები.

რუსეთ-თურქეთის ომის 1877-78 დასრულების შემდეგ, ქართველთა ერთი ნაწილი რუსეთის მმართველობის ფარგლებში დარჩა, მეორე კი სხვადასხვა მიზეზის გამო ხდება მუჰაჯირი-თურქეთში. ქართველები კულტურულად და ტრადიციულად განსხვავებული სახელმწიფოების შემადგენლობაში განაგრძობდნენ არსებობას. ბუნებრივია, მათ ფსიქიკაზე, მენტალობასა და საოჯახო-სამეურნეო კულტურაზე ეს ცვლილება გავლენას მოახდენდა.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს თურქეთში, ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეს ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ძველი და თანამედროვე საოჯახო ყოფის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ჭრილში განხილვას. მასში მოცემულია ერთი კონკრეტული სოფლის ეთნიკური ქართველებით დასახლებული ჰაირიეს: ისტორია, სახლის სტრუქტურა, ეკონომიკური საფუძვლები, "ნათესავით ქართველთა" საოჯახო ყოფის ლოკალური თავისებურებები: ოჯახის სტრუქტურა, ადათ-წესები, სტუმარ-მასპინძლობაზე აგებული ურთიერთობა, ნათესაური კავშირები, ოჯახებში წარსულში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენები (შელოცვები), "დასახლების" ტრადიციებიდან

დაწყებული გარდაცვალებამდე დამთავრებული, ქალის როლი, მათში არსებული ეთნიკური თვითაღქმის კონკრეტული, სპეციფიკური ნიშნები და სხვ. შევეცადეთ მოპოვებული მასალები შეგვედარებინა იმ ნიშნებისთვისაც, რაც ზოგადად, ქართული ოჯახისათვის იყო ნიშანდობლივი.

წინამდებარე კვლევას მნიშვნელობა ენიჭება, როგორც პრაქტიკული ისე მეცნიერული თვალსაზრისით. სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოდის მე-19 საუკუნის 80-იან წლებში თურქეთში, კერძოდ ჰაირიეში გადასახლებულ ეთნიკურ ქართველთა საოჯახო ყოფა-ცხოვრების შესახებ ეთნოგრაფიული მონაცემები, ფოტო მასალა, აუდიო-ვიდეო საშუალებებით მიღებული ინფორმაცია, რითაც გარკვეული წარმოდგენა შეიქმნება თურქეთელ ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფაზე. აღნიშნული კვლევა შეძლებისდაგვარად წარმოაჩენს თუ რამ განიცადა ასიმილაცია, რა შემოგვრჩა ძველი ქართული ყოფიდან, რამ განსაზღვრა ჰაირიესა და ინეგოლის ქართველებში ეთნიკური თვითაღქმა.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ეთნოგრაფიულ-ისტორიულ კვლევას. პირველ ეტაპზე დამუშავებულ იქნა ქართველ მუჰაჯირებთან დაკავშირებული, ჩვენ ხელთ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, შევისწავლეთ ქართული, კერძოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და თურქული საოჯახო ყოფა. ხოლო შემდეგ ეტაპზე, სავლელ მასალების მოპოვების მიზნით, მოეწყო მრავალჯერადი ეთნოგრაფიული მივლინებები თურქეთში.

საჭიროდ მიგვაჩნდა ქართველი ეთნოგრაფების მიერ უკვე წლების განმავლობაში აპრობირებული ისტორიულ-შედარებითი, კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდების გამოყენება. აუცილებელი იყო მცირე რაიონის საფუძვლიანი, გეგმაზომიერი და სისტემური შესწავლა, მართებულად მიგვაჩნდა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მათ გვერდით ცხოვრება, კულტურულ-სამეურნეო თვალსაზრისით ოჯახში შემონახულ ტრადიციებსა და ყოფაზე დაკვირვება. სავლელ-ეთნოგრაფიული მასალები შევისწავლეთ უშუალო დაკვირვებების, ინფორმატორისაგან ცნობების მიღების საფუძველზე, მოსახლეობასთან საუბრის გზით.

ჰაირიელ და ზოგადად ინეგოლის ქართველებით დასახლებულ სოფლებში, ჩვენი კვლევის შედეგად, ქართველობის შემეცნებისა და გამოხატვის სამი უმთავრესი ნიშანი იკვეთება: **1.** ტერმინოლოგიური. **2.** მათთვის გენეტიკურად დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. **3.** სიმბოლოებით გამოხატული ეთნიკური თვითაღქმა. ასევე გამოიკვეთა ეთნიკური თვითობის შენარჩუნების სამი უმთავრესი მიზეზი: **1.** ჰაირიელ და ზოგადად ინეგოლის ქართველებით დასახლებულ სოფლებში, ეთნიკურ ქართველებს ჩვევად ჰქონდათ, საკუთარი სივრცის შემოსაზღვრა. არ ყიდდნენ საკუთარ მიწას უცხო ეთნოსზე. **2.** უარყოფითად ეკიდებოდნენ შერეული ოჯახების შექმნას, რადგანაც გადაჯიშებად აღიქვამდნენ. **3.** ტრადიციებისა და ადათობრივი სივრცის, როგორც ისტორიული მემკვიდრეების შემონახვა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მუჰაჯირი ქართველები, თურქეთელი ქართველები, სოფელი ჰაირიე, ეთნიკური იდენტობა.

Family and Family life of Turkish Georgians: The Case of Hayriye Village population, Inegol Region, Turkey

Abstract

Our work represents historical-ethnographical research on ethnic Georgians` family mode of life in Hayriye village (Inegol region, province of Bursa)

It is well-known that family is very complex and multilateral phenomenon of social life. It has past and present and future depends on the result of these ones. But its structure can be under danger, can pass through changes when family of one ethnical group settles and lives in foreign land with another ethnic group. This new environment could form new family type, replace old traditions with new ones, or synthesize. But family could be stable towards changes and maintain ethnical identity.

After Russo-Turkish War (1877-78) one part of Georgian population came under Russian rule, the other part emigrated as “Muhajirs” to Ottoman Turkey. One nation was separated into two

parts. As a result of living in culturally and traditionally different countries the life ways of the Georgians began to diverge which made influence on their psychics, mentality and family economic-cultural mode of life.

Present work aims to analyze Hayriye village`s (Inegol ,Turkey) ethnic Georgians` past and present family mode of life from historical and ethnographical perspective. The following questions are analyzed in the research: history of ethnic Georgians` village Hayriye, structure of dwelling, economic bases, structure of the family, customs, interrelation between guest and host, kinship unit and ritual kinship, engagement-marriage, birth, circumcision, death, folk therapy (medicine), woman`s role, specific signs of ethnic self-identification and etc. We tried to compare above-mentioned materials to common-Georgian family traditions.

Present research has practical as well as scientific importance. For the first time, in Georgian ethnography, will be analyzed ethnographical materials of Hayriye village`s ethnic Georgians` family mode of life. This will make possible to see Turkish Georgians` ethnographical reality in above-mentioned village.

Present work is historical-ethnographical research, that`s why on the first stage it was important to study literature about Georgian muhajirs, Southern-Western Georgian and Turkish family traditions. On the second stage in 2009-2011we had ethnographical fieldworks in Turkey.

It was necessary to use historical-comparative and combined-intensive method, approbated by Georgian ethnographers. It was compulsory to plan and choose right method of working, to research small and big social units, like-family, tribe, and village. We studied carefully the places where ethnic Georgians settled down, lived with them and observed their family, traditions forming, changing, and passing down from generation to generation. Materials were collected and studied in the following way: observation, conversation with villagers, receiving information from informant. It is also very important to use modern technical equipments: audio, photo, video.

On the result of our study we found out **three** signs of self-identity: **1.** Terminological-(we mean definition-“Gürcü” and “Chveneburi” (it means “one of ours”) **2.** Ethnical characters, which distinguish them from others. **3.** Ethnical self-identity, expressed with symbols and intellectual culture.

We also found out **three** main reasons, which made muhajirs keep their ethnical identity.

1. Muslim Georgians of Inegol used to border their territory, and did not allow any foreigner to enter, namely they never sold the land to outsiders. 2. They considered interethnic marriage to be the main reason of ethnical degradation. 3. They thoroughly preserved ethnical traditions and customs, as their historical memory.

Key Words: Georgian Muhajirs, Turkish Georgians, Hayriye village, ethnical identity.

Türkiye`li Gürcülerin ailesi ve aile sistemi (Türkiye`nin İnegöl İlçesinin Hayriye Köyü)

Önsöz

Bu araştırma yazısı, Türkiye`nin İnegöl İlçesinin Hayriye Köyünde yaşamakta olan, Gürcüleri konu alan Tarih ve Etnografik araştırma yazısıdır.

Bu araştırmayla, Gürcü halkının ikamet ettiği Hayriye köyünün: Tarihi, yerleşim düzeni, ekonomik yapısı, yerleşik ailelerin özellikleri: aile yapıları, örf ve adetleri, ev sahipliği-misafirlik bakımından ve akrabalık ikili ilişkileri, ailelerin geçmişinde yaygınlaşan, inanış ve ibadetleri, yerleşim yapısıyla ilgili alışkanlıklarından, ölüm merasimlerine kadar her alışkanlıkta ve adetlerde, kadının rolü, kendilerinde mevcut olan öz sezilerinin, somut, belirli alametleri ve araştırdığımız diğer özelliklerini, evrensel Gürcü kültürüyle kıyaslamaya çalıştık. Ayrıca, Hayriye köyünün yaşam tarzına ilişkin birçok özellik, bize bu konuda genelleştirme imkanı vermiş olup; bu özellikler İnegöl`ün etrafında mevcut olan, Gürcü ailelerin yaşamakta olduğu diğer köylerde de mevcuttur.

Bu araştırma yazısı, temel olarak, 2009-2011 yıllarında Türkiye`nin İnegöl ilçesi ve ilçe etrafında, Gürcü aileler tarafından kurulmuş olan, köylere birçok kez yapılan araştırma gezilerine dayanmakta olup; bu araştırma gezilerinde, tarafımızdan ses ve görüntü kayıtları, fotoğraf ve belgeler, tabloların tanımı ve konuşma örnekleri, coğrafik ve sözcük tanımlama yorumlarıyla toplanmıştır.

Anahtar Kelimeler: Müslüman Gürcüler, Türkiyeli Gürcüler, muhacirler, Hayriye köyü, etnik kimliği.

მადლობა

ნაშრომის პროცესში გაწეული თანადგომისა და დახმარებისათვის მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო თემის ხელმძღვანელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ პაატა ბუხრაშვილს, კონსულტაციებისა და რეცენზირებისათვის პროფესორებს პოლ მანნინგსა (ტრენტის უნივერსიტეტი, კანადა) და ქევინ თუითს (ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი, გერმანია), ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ელისაბედ ბჟალავას. მათთან ურთიერთობისა და რჩევების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ამ ნაშრომის დასრულება. ასევე მადლობას ვუხდით ერგუნ ათაბაის (გურამ ქოქოლაძე), მის ოჯახსა და ნათესაობას, ფაჰრედინ ჩილოღლუს (ფარნა-ბექა ჩილაშვილი), ჰუსეინ აიბარს (გიორგი ხაზინადარი), მეჰმეთ-ნური თაირს (მამია დუმბაძე), თურან ადიამანს (თემურ დავითაძე), ოზბექების ოჯახს, ინეგოლის ყოფილ მერს ჯემალ არიქას (ჯემალ ცეცხლაძე), ახლანდელ მერს ალინურ აქთაშს (ალეკო ქოქოლაძე), ნევინ აჰისკალიოღლუს- (გოჩიტაძე), აჰმედ ჯანს, იბრაიმ შენერის ოჯახსა და ყველა იმ თურქეთელ ქართველს, რომლებმაც დიდი დახმარება გამიწიეს თურქეთში მრავალჯერადი მივლინებების დროს. მათი თანადგომისა და მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ჩემი პროფესიული საქმიანობა.

სარჩევი

თვალსაჩინოების ჩამონათვალი.....	XI
შესავალი.....	1
კვლევის მიზანი.....	3
კვლევის მოსალოდნელი შედეგები.....	4
საკვლევი საკითხის ისტორია.....	5
საკითხის აქტუალობის განმაპირობებელი მიზეზები.....	6
პირველწყაროების მიმოხილვა.....	7
კვლევის მეთოდოლოგია.....	8
თავი 1-სოფელი ჰაირიე ძველად და ახლა	
<i>1.1) 1877-78 წლები-რუსეთის ტერიტორიულ სივრცეში ”ოსმალის საქართველოს” შემოერთება და მუჰაჯირობა.....</i>	<i>11</i>
<i>1.2) სოფელ ჰაირიეს დაარსების ისტორია.....</i>	<i>53</i>
<i>1.3) სოფლის სახელწოდების შესახებ</i>	<i>61</i>
<i>1.4) სოფელ ჰაირიეს შიდა საუბნო-სათემო დაყოფა</i>	<i>67</i>
<i>1.5) საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები - მეჩეთი, ჩაიხანა, სკოლა</i>	<i>68</i>
თავი 2- ოჯახი და ოჯახის შემადგენლობა.....	79
<i>2.1) ოჯახის წევრთა რაოდენობა და თაობათა შემადგენლობა გუშინ და დღეს.....</i>	<i>81</i>
<i>2.2) ოჯახის ეკონომიკური საფუძვლები.....</i>	<i>86</i>

2.3) ოჯახის ხელმძღვანელობა და შრომითი ორგანიზაცია.....	106
❖ ოჯახის უფროსის უფლება-მოვალეობები და ოჯახის წევრთა საქმიანობა.....	106
❖ ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულებანი.....	110
❖ ქალი, როგორც ოჯახის შიდა სივრცის დამცველი გუმინ და დღეს.....	116
❖ ნათესაური ურთიერთობები.....	126
❖ სტუმარ-მასპინძლობა.....	135
❖ ოჯახში წარსულში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენები (შელოცვები).....	141
თავი 3 - „დასახლება“ - ოჯახის შექმნა და მისთვის მზადების ეტაპები	
3.1) სარძლოსა და სასიძოს ძიება.....	143
3.2) გოგოს ოჯახთან შეთანხმება და მისი მშობლების მხრიდან „სიტყვის მეცემა-შეპირება“.....	152
3.3) “ბეჭდის წამოცმა“ ანუ ნიშნობა.....	155
3.4) მზითვეი და „Kına gecesi“, ანუ „ინის დადება“.....	165
3.5) ქორწილი	175
3.6) ოჯახში ახალი წევრის დაბადება.....	188
3.7) წინადაცვეთა	192
3.8) გარდაცვალება.....	193

თავი 4 - ეთნიკური თვითაღქმის საკითხის გააზრებისთვის

ჰაირიესა და ინეგოლის ქართველებში.....	196
დასკვნები.....	226
რეკომენდაციები.....	229
ლიტერატურა.....	232
<u>დანართი 1</u> -2009-2011წლებში ჩაწერილი ვიდეო და აუდიო მასალების ტექსტური ვერსია- ჰაირიესა და ინეგოლის ქართველებით დასახლებულ სოფლებში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა მეტყველება.....	242
<u>დანართი 2</u> -ლექსიკონი და გეოგრაფიული სახელები.....	306
<u>დანართი 3</u> -2009-2011 წლებში ჰაირიესა და ინეგოლის ეთნიკური ქართველებით დასახლებულ სოფლებსა და მივლინებების შედეგად შეგროვილი ფოტო მასალა.....	316

თვალსაჩინოების ჩამონათვალი

სურათი 1-4: თურქეთელ ქართველებში შემონახული საოჯახო ფოტოები.....	316
სურათი 5-7: თურქეთელ ქართველებში შემონახული საოჯახო ფოტოები.....	317
სურათი 8: ინეგოლის რუკა.....	318
სურათი 9: სოფელ ჰაირიეს ხედი.....	318
სურათი 10: ”გისურვებთ კეთილ მგზავრობას”-წარწერა ჰაირიეს შესასვლელთან.....	318
სურათი 11: წარწერა საფლავის ქვაზე.....	319
სურათი 12: ჰაირიეში შემორჩენილი ქართულენოვანი წერილი.....	319
სურათი 13: ჰაირიეს დამაარსებელი-ჰაჯი მეჰმედ ეფენდი.....	319
სურათი 14: სოფ. მადენი, ქართველ მუჰაჯირთა საფლავები.....	320
სურათი 15-16: ჰაირიელი ბიჭის მიერ შესრულებული აჭარული ცეკვა.....	320
სურათი 17: ჰაირიეს მაცხოვრებლის მიერ გაკეთებული წარწერა-”ნინოს ბაღი”.....	321
სურათი 18: აჰმედ ოზკან -მელაშვილი და ფაიქ ერთანი.....	321
სურათი 19 :ინეგოლის მერი (მამით ქართველი) ალინურ აქთაში-ალეკო ქოქოლაძე.....	321
სურათი 20: ერგუნ ათაბაი-გურამ ქოქოლაძე.....	322
სურათი 21 . შუაში ჰაირი ჰაირიოღლუ-ვახტანგ მაღაყმაძე.....	322
სურათი 22: ხუთ უბნად დაყოფილი სოფელ ჰაირიეს რუკა.....	322
სურათი 23: სოფლის მაღაზია.....	323
სურათი 24: სოფლის გამგეობა.....	323
სურათი 25: ხინკილაძეების უბნის წყარო.....	323

სურათი 26: გარემონტებული დაწყებითი სკოლა.....	324
სურათი 27: ახალი მეჩეთი.....	324
სურათი 28: ახალი მეჩეთის აშენების თარიღი.	324
სურათი 29: იზნიკი, სოფელ ელმალის 1884 წლის ხისგან აშენებული მეჩეთი.	325
სურათი 30: მუსლიმი ქალის ლოცვა.	325
სურათი 31: რამაზანის დღესასწაულისათვის მომზადებული კერძები.....	325
სურათი32-33: რამაზანის მარხვისას, ჰაირიელების მიერ ყურანის კითხვის პროცესი.....	326
სურათი 34: სოფელი ჰაირიე, აჰმედ მელაშვილის საფლავი. თურქეთში საქართველოს ყოფილი სრულუფლებიანი ელჩი ტარიელ ლეზანიძე.....	326
სურათი 35: მამა ადამი- აჰმედ მელაშვილის საფლავზე.....	327
სურათი 36: აჰმედ მელაშვილის ხსოვნის დღისადმი მომზადებული სამკერდე სურათი, რომელზედაც აღნიშნულია მხოლოდ მისი დაბადების თარიღი.	327
სურათი 37: აჰმედ მელაშვილის დალუპვისადმი მიძღვნილი საღამო.....	327
სურათი 38: სოფ. ჰაირიე ათაბაების 4 თაობა.....	328
სურათი 39: ძმები ერგუნების სახლი, გაყოფილი ორ დამოუკიდებელ ოჯახად.....	328
სურათი 40: უფროსი ათაბაის ოჯახი.....	328
სურათი 41: ათაბაის ბიძაშვილის ოჯახი.....	329
სურათი 42: ჰაირიელი მანდილოსანი.	329
სურათი 43: ”სოფრა”.....	329

სურათი 44: "სოფრა".....	330
სურათი 45: ძველი "სოფრა".....	330
სურათი 46: "სოფრა" ჩალრმავებული კიდეებით, ჩანგლების დასადებად.....	330
სურათი 47: ჯვრის ფორმის "სოფრა", "პაწაი გობი", "ჩხირი" ანუ თურქულად "სოპა", და "ხახვის დასაჭრელი".	331
სურათი 48: ნათესავების თავმოყრა ზაფხულობით, სოფ. ჰაირიე, ეთინების ოჯახი.....	331
სურათი 49: ქვის ფუნდამენტიანი "ქერფიჩის" სახლი.....	331
სურათი 50: აგურით აშენებული სახლი.....	332
სურათი 51: კრამიტით გადახურული სახლი.....	332
სურათი 52: შეთეთრებული სახლი.	332
სურათი 53: აგურზე ამოკვეთილი წინაპართა გვარისა და სახელის აღმნიშვნელი ნიშა.....	333
სურათი 54: ძველი სახლი ოდნავ სახეცვლილი სახით.....	333
სურათი 55: სახლის შიდა მხარე-მისაღები ოთახი.....	333
სურათი 56: ძველი ნალია და ბეღელი, ამჟამად სათავსო.....	334
სურათი 57: სახლის ქვეშ გაკეთებული "ახორი"	334
სურათი 58: სოფ. ჰაირიე-თანამედროვე სახლები.....	334
სურათი 59: სოფ. ჰაირიე-თანამედროვე სახლები.....	335
სურათი 60: სოფ. ჰაირიე-თანამედროვე სახლები.	335
სურათი 61: ძველი ღობე.	335

სურათი 62: ნალია.....	336
სურათი 63: ე.წ. ”ქერფიჩისაგან” აშენებული სათივე-საბძელი ანუ “samanlık”.	336
სურათი 64: ხისგან აშენებული “საბძელი”	336
სურათი 65: ბელელი (დღესდღეობით სათავსო).....	338
სურათი 66: “ახორი”	338
სურათი 67: ძველ ნალიასთან გადაღებული სურათი.....	338
სურათი 68: ”ჰასირი” (“hasır”).....	338
სურათი 69: “ტაკუნები”	338
სურათი 70: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.....	338
სურათი 71: 1960-იან წლების სოფელ ჰაირიეს ახალგაზრდობა. (გადაღებულია სანამ დაიწყებოდა მიგრაციის დიდი ტალღა).....	339
სურათი 72: ქალები “ასუფთავებენ” თხილს და გასაყიდად ამზადებენ.....	339
სურათი 73: ოილათი (ქაფლიჯა) ქართული წარმოშობის მანდილოსნები.....	339
სურათი 74-75: “დეპო”.	340
სურათი 76: “დეპოში” მომუშავე ჰაირიელები.....	340
სურათი 77-78: ეთნიუკური ქართველების ავეჯის საფირმო მაღაზიები-ინეგოლი.....	341
სურათი 79: ”ოჯაქი” (ocak)	341
სურათი 80: ” ფურუნი” (firin).....	342
სურათი 81: “ულელი”	342
სურათი 82: “ფიწალი”	342

სურათი 83: “ფოცხი”	343
სურათი 84: “მერული”	343
სურათი 85: “გორვალაი”	343
სურათი 86: “გუგუმი”-(Gügüm) წყლის თუნგი.	344
სურათი 87: “პაწაი გობი” ნიგოზისთვის.	344
სურათი 88: “დიდი გობი” ცომის მოსაზელად.	344
სურათი 89: “გოდორი”	345
სურათი 90: ინეგოლის მუზეუმში დაცული მუჰაჯირობის დროს წამოღებული ბორჯღალოიანი “სკივრი”.	345
სურათი 91: 100 წლის “სკივრი”.	345
სურათი 92: სპილენძის ძველი საოჯახო ნივთები-“ტაფა”, “კარდალა”.....	346
სურათი 93: “საფექრო”-ხალიჩების მოსაქსოვი	346
სურათი 94: “ქალამნები”	346
სურათი 95: საქართველოდან მუჰაჯირობის დროს წამოღებული ნივთები: “ხანჯლები” და “ტყვია-წამლის” შესანახი.	347
სურათი 96: ურმის გასაწმენდი ზეთის შესანახი ”ყანწი”. აღნიშნულ ნივთს, კამეჩის რქისაგან აკეთებდნენ.	347
სურათი 97: ”კეცი”.	347
სურათი 98: “წისქვილი”	348
სურათი 99: წისქვილის ბორბალი.	348
სურათი 100: კარაქის სადღვეები-”ვარია”.	348

სურათი 101: “ქვიჯა” სანაყი.....	349
სურათი 102: ძველი ბუხარი.....	349
სურათი 103: “დოლაზი” (კარადა).....	349
სურათი 104: “ბურღულის გასარჩევი”.	350
სურათი 105: თიხისგან გაკეთებული “ყავის მოსახალი”.....	350
სურათი 106: “ურემი”.	350
სურათი 107: ”ადესა”.....	351
სურათი 108: ” ქადი”.	351
სურათი 109: “სალჩა”.	351
სურათი 110: “სინორი”.	352
სურათი 111: სინორისათვის ცომის მოზელვის პროცესი.....	352
სურათი 112: ცომის გაპრტყელების პროცესი.	352
სურათი 113: ცომის “ფურუნში” გამოცხობა.	353
სურათი 114: გამომცხვარი ცომი.	353
სურათი 115: სინორის ნაჭრებად დაჭრა.....	353
სურათი 116: “გასაყირმიზებლად” ანუ გამოსაცხობად სინორის ჯამში მოთავსება.....	354
სურათი 117: სოფ. ჰაირიე, სტუმრად ეთთინების ოჯახში.	354
სურათი 118: ინეგოლი-თურან ადიამანის (დავითაძის) ოჯახი.	354
სურათი 119: ჰაირიე, ერგუნების ოჯახი.	355

სურათი 120: "გურჯი ნენე ხათუნი" ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად, ინეგოლი.....	355
სურათი 121: შელოცვის პროცესი ბავშვის ჭირვეულობის დროს.....	355
სურათი 122: შელოცვის პროცესი ბავშვის ჭირვეულობის დროს.....	356
სურათი 123: მორწმუნე ახალგაზრდა მანდილოსნები, ინეგოლი.....	356
სურათი 124: ნიშნობისთვის მზადება.	356
სურათი 125: ადგილი, სადაც განთავსებულია სასიძოს ოჯახის მიერ მოტანილი საჩუქრები.	357
სურათი 126: ნიშნობის საჩუქრები.	357
სურათი-127: ნიშნობის საჩუქრები.....	357
სურათი 128 : ნიშნობის საჩუქრები.	358
სურათი 129: ნიშნობის საჩუქრები.....	358
სურათი 130: ოთახი სადაც მხოლოდ ქალები სხედან.....	358
სურათი 131: "ბოხჩა".	359
სურათი 132: "ურბა" (სამოსი)	359
სურათი 133: საჩუქრები ბოხჩიდან.	359
სურათი 134: მაქმანებიანი ზეწარი.	360
სურათი 135: ბოხჩაში გახვეული საჩუქრები.	360
სურათი 136: პირსახოცი და მანდილი.	360
სურათი 137-138: სკივრი, რომელსაც გოგოს მხარე უგზავნიდა ბიჭის ოჯახს და რომელშიც მზითევი ინახებოდა.	361

სურათი 139: "Çeyiz odası" ანუ "მზითვის ოთახი" ინეგოლის მუზეუმი.	361
სურათი 140: ქვიჯა/სანაყი.....	362
სურათი 141: წინდები.....	362
სურათი142: გოგოს მიერ შეგროვებული/ხელით გაკეთებული საკუთარი მზითევი.	362
სურათი143: ხელით ნაქარგი	363
სურათი144: ნაქარგი მზითევისათვის	363
სურათი145: ნაქარგი მზითევისათვის	363
სურათი146: ნაქარგი მზითევისათვის	364
სურათი 147: ხელით ნაქარგი.....	364
სურათი 148: მოქარგული გადასაფარებელი.....	364
სურათი 149: მოქარგული გადასაფარებელი.....	365
სურათი 150: ხელით ნაქარგი ბალიშის პირი.....	365
სურათი 151: ნაქარგი წინსაფარი.....	365
სურათი 152: ამოქარგული გადასაფარებელი.....	366
სურათი 153: ნაქარგები.....	366
სურათი 154: ამოქარგული გადასაფარებელი.....	366
სურათი 155: ამოქარგული გადასაფარებელი.....	367
სურათი 156: კრიალოსანი.....	367
სურათი 157: მოქსოვილი წინდები.....	367

სურათი 158: ამოქარგული პირსახოცი.....	368
სურათი 159: ამოქარგული პირსახოცი.....	368
სურათი 160: მანდილები.....	368
სურათი 161: ხელით გაკეთებული ხელჩანთა.....	369
სურათი 162: სიძის მომლოდინე პატარძალი და მისი ოჯახი.....	369
სურათი 163: : სუფრის გამლა/მზადება.....	369
სურათი 164: სუფრის გამლა/მზადება.	370
სურათი 165: “სარმა”.	370
სურათი 166: “ხორციანი ლობიო”.	370
სურათი 167: “აკორდეონი”.	371
სურათი 168: “დოლი”.	371
სურათი 169: “ზურნა” და “დავული”	371
სურათი 170: სუფრის გაწყობა.	372
სურათი 171: სუფრაზე (მხოლოდ) ქალები.	372
სურათი 172: სუფრაზე (მხოლოდ) მამაკაცები.	372
სურათი 173: სიძის მოსვლა მუსიკოსებთან ერთად.....	373
სურათი 174: საქორწილო მხიარულება.....	373
სურათი 175: სანთელ ანთებულ, წითელ ნაჭერგადაფარებულ სპილენძის ჭურჭელზე მოთავსებული ინა.....	373
სურათი 176: ინის წასმის რიტუალი.....	374

სურათი 177: წყლით მოზედილი ინა პატარძლის ხელისგულებზე.....	374
სურათი 178: ტრადიციულ წითელ ფერებში გამოწყობილი პატარძალი.	374
სურათი 179: წითელ ფერებში გამოწყობილი პატარძალი.....	375
სურათი 180: კალათაში მოთავსებული ინის ჩამორიგება სტუმრებისათვის.	375
სურათი 181: ქისებში მოთავსებული ინა.....	375
სურათი 182: თეთრ კალათაში ჩადებული თხილის ჩამორიგება.....	376
სურათი 183: ქისაში მოთავსებული თხილი.	376
სურათი 184: ინეგოლის ქართული საზოგადოების წინ ექსპრონტად გამართული ქართული ცეკვების საღამო.	376
სურათი 185: ქართული ცეკვის საღამო.....	377
სურათი 186: ქართული ცეკვა ახალგაზრდების შესრულებით.....	377
სურათი 187: ქართული ცეკვა ასაკოვანი მამაკაცების შესრულებით.....	377
სურათი 188: ცეკვა ხორუმი.....	378
სურათი 189: 1893 წლის აკვანი.	378
სურათი 190: ბავშვის ჰამაკი (აკვნის ფუნქციით).....	378
სურათი 191: მამაკაცების ლოცვა საფლავთან.	379
სურათი 192: მუჰაჯირ ქართველთა საგვარეულო საფლავი.	379
სურათი 193: ცნობილი მუჰაჯირი ქართველი შაჰიდის მევლუდ თაიარ-დუმბადის საფლავი.....	379
სურათი 194: ეთნიკური ქართველის საფლავის ქვა.....	380
სურათი 195: საფლავი, როგორც იდენტობა.....	380

სურათი 196: ოსმან აჰისქალიოღლუ (გოჩიტის) საფლავი.....	380
სურათი 197: ახლად დასაფლავებულის საფლავზე ჩარჭობილი წარწერიანი ხის პატარა ბოძი. (აღნიშნული საფლავი ეკუთვნის ინეგოლისა და შემდეგ ბურსის ქართული წარმოშობის მერს ჰიქმეთ შაჰინს).....	381
სურათი 198: ინეგოლის კავკასიის ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოება.....	381
სურათი 199: იზნიკის ბავშვთა ქართული ცეკვის ანსამბლი.....	381
სურათი 200: თვითიდენტობის სიმბოლური გამოხატულება-ავეჯის ფირმის ქართული სახელწოდება "სალონი".....	382
სურათი 201: თვითიდენტობის სიმბოლური გამოხატულება-ავეჯის ფირმის ქართული სახელწოდება "სინათლე".....	382
სურათი 202: თვითიდენტობის სიმბოლური გამოხატულება-ავეჯის ფირმის ქართული სახელწოდება, "ავეჯი".....	382
სურათი 203: თვითიდენტობის სიმბოლური გამოხატულება-ავეჯის ფირმის ქართული სახელწოდება, "მოდი".....	383
სურათი 204: ინეგოლის ქართული წარმოშობის პირველი მერი-ჯემალ არიქა-ჯემალ ცეცხლაძე.	383
სურათი 205: ინეგოლის მერი ალინურ აქთაში-ალეკო ქოქოლაძე.	383
სურათი 206: ინეგოლის ეროვნული განათლების სამმართველოს უფროსი მეჰმედ ბაშთურქი.....	384
სურათი 207: თუფექჩიქონაქი.	384
სურათი 208: ეთნიკური ქართველი მოცეკვავე გოგოს ხელზე ქართულად დაწერილი საკუთარი სახელი "რუმეისა".....	384
სურათი 209: აფხაზთა საზოგადოება ინეგოლში.....	385

სურათი 210: სტამბოლში მოღვაწე ქართველები-ფაჰრეთინ ჩილოღლუ-ჩილაშვილი და ერდალ ქუჩუქი-ელიზბარ ციმნარიძე.385

სურათი 211: ჯემალ ქარამეჰმედოღლუ-ცვარიძე (აჰმედ ოზკან მელაშვილის პირადი მეგობარი) და ოსმან ნური მერჯანი-იმედაშვილი.....385

სურათი 212: შალვა თევზაძე-შანვერ აქინი (შვედეთში მცხოვრები თურქეთელი ქართველი, ჟურნალის "ჩვენებურები" გამოცემის ხელშემწყობი) სრულიად საქართველოს პატრიარქი ილია II, აჰმედ-ოზკან მელაშვილი (ჟურნალ "ჩვენებურების" ერთ-ერთი დამაარსებელი)386

სურათი 213: ზვიად გამსახურდია, შალვა თევზაძე, მერაბ კოსტავა.....386

სურათი 214: პროფესორი პაატა ბუხრაშვილი, შალვა თევზაძე, პროფესორი ქევინ თუიტი.386

საურათი 215: ნევინ აჰისკალიოღლუს წერილის თავფურცელი.....387

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის კვლევის მცდელობას თურქეთში ინეგოლის სოფელ ჰაირიეს ეთნიკური ქართველების "ნათესავით ქართველთა" ყოფის მაგალითზე.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ოჯახი საზოგადოებრივი ყოფის მეტად რთული და მრავალმხრივი ფენომენია. ოჯახის განვითარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამათუიმ ხალხის ევოლუციის პროცესში. ოჯახის პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს მეცნიერების სხვადასხვა დარგი იკვლევს (ეთნოგრაფია, სოციოლოგია, ეკონომიკა, სამართლის ისტორია, ფსიქოლოგია და სხვ.) მაგრამ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი უკავია ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კვლევას, რომელიც ოჯახს განიხილავს, როგორც ყოფის ერთ-ერთ მხარეს. სხვადასხვა დროს მის სტრუქტურას იკვლევდნენ ლ. მორგანი, ლ. შტერნბერგი, მ. კოსმანი, ა. პერშიცი, ი. ბრომლეი და სხვ.

ამ სოციალურ ორგანიზმს შეუძლია შემოინახოს და ამავდროულად აირეკლოს საზოგადოებაში მიმდინარე მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული პროცესები. ამის გამო იგი ცვალებადია და სხვადასხვა დროს განსხვავებული სახით გვხვდება. ქართველი ერის საოჯახო ყოფა-ცხოვრების შესწავლას დიდი ადგილი უკავია ქართველ ეთნოგრაფთა თუ ისტორიკოსთა გამოკვლევებში (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. ჩიტაია, რ. ხარაძე, ვალ. ითონიშვილი და ა.შ.)

ოჯახი, ერის ყოფა-ცხოვრების ანარეკლია. მას აქვს წარსული და აწმყო. მომავალი კი ამ ორი უკანასკნელის შედეგზეა დამოკიდებული. მაგრამ მის სტრუქტურას შეიძლება გარკვეული საფრთხე დაემუქროს, გარკვეული ცვლილებები განიცადოს, როდესაც იგი სხვა ტერიტორიაზე, სხვა ეთნიკური ერთეულების გარემოცვაში სახლდება, სადაც უმცირესობაშია. ამის შედეგად მისი მომავალი უკვე ბუნდოვანია და დამოკიდებულია იმაზე თუ რომელი აღმოჩნდება ძლიერი-წარსული, რომელიც თავის თავში მოიცავს ტრადიციებს, ისტორიულ მეხსიერებას, თუ აწმყო, რომელიც უცხო გარემოში ყალიბდება, სხვა ეთნოსისათვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებებით. ასეთმა უცხო

გარემომ შეიძლება ჩამოაყალიბოს უკვე ახალი საოჯახო ტიპი, ძველი ტრადიციები ჩაანაცვლოს ახლით, ან მოახდინოს სინთეზი. თუმცა შეიძლება ოჯახი აღმოჩნდეს მდგრადი ცვლილებებთან მიმართებაში, გარკვეული დროის განმავლობაში განიცადოს რაღაცა დოზით რყევა, ასიმილაცია, მაგრამ შემოინახოს უმთავრესი ღირებულებები, ისტორიული მეხსიერება, ეროვნული იდენტობის ცალკეული ნიშნები - მშობლიური ენა, ტრადიციები, სამეურნეო-კულტურული ტიპი, რომელთა გადაფასებაც არ მოხდა აწმყოსთან დაპირისპირების შედეგად.

მუჰაჯირობა მეტად რთული მოვლენა იყო. რუსეთ-თურქეთის ომის დროს 1877-78 წლებში, ბერლინის ტრაქტატის შედეგად, რუსეთის საქართველოს მფლობელობაში გადმოვიდა აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი და ა. შ. ქართველთა ერთი ნაწილი რუსეთის მმართველობის ფარგლებში დარჩა, მეორე კი სხვადასხვა მიზეზის გამო ხდება მუჰაჯირი-თურქეთში. ერი ორად გაიყო. მუჰაჯირობა მხოლოდ ქართულ პრობლემას არ წარმოადგენდა, ეს მთლიანად ზოგადკავკასიური პრობლემა იყო.

ქართველები კულტურულად და ტრადიციულად განსხვავებული სახელმწიფოების შემადგენლობაში განაგრძობდნენ არსებობას. ბუნებრივია, მათ ფსიქიკაზე, მენტალობასა და საოჯახო-სამეურნეო კულტურაზე ეს ცვლილება გავლენას მოახდენდა.

1801 წლიდან, რაც საქართველო საკუთარი ნების გარეშე რუსეთის იმპერიას შეუერთდა, ქართველი ერის საოჯახო-სამეურნეო ტრადიციებში მოხდა სერიოზული რყევები. ბუნებრივია, მსგავსი მოვლენა შეინიშნებოდა თურქეთში წასულ ქართველებშიც. (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუჰაჯირი ქართველების გამაჰმადიანების პროცესი მე-16 საუკუნიდან იწყება. შემოერთების პროცესში ისინი რელიგიური კუთხით უკვე ასიმილირებული იყვნენ ოსმალურ სამყაროსთან. რჩებოდა ეთნიკური ასიმილაცია, რაც უკვე ნელ-ნელა ოსმალეთში წარიმართა) სახელმწიფოებრიობის გარეშე დარჩენილი, ორად გახლეჩილი ქართული საზოგადოების ცნობიერებაში თითქოს მოხდა გაორება. ერთმანეთს დაუპირისპირდა ქართული და სხვა კულტურისათვის დამახასიათებელი ტრადიციები.

პიროვნების ჩამოყალიბება, განვითარება ხდება გარემო პირობებთან ადაპტაციის შედეგად. გარემო პირობები კი მუჰაჯირ ქართველებს ახლა უკვე ოსმალეთის სივრცეში ექმნებოდათ. ეთნოსის გაორება კი ხდება მაშინ, როცა საუკუნეთა განმავლობაში გენეტიკურ-ეთნიკურად ჩამოყალიბებული მენტალობა ეჯახება მისთვის უცნობ გარე პირობებიდან მომდინარე ტრადიციებს. რაც ხშირ შემთხვევაში ეთნიკური მენტალობისათვის შესაძლოა იყოს არა მხოლოდ უცხო, არამედ პრინციპულად განსხვავებული.

დროთა ავბედითობის მიუხედავად, უსამშობლოდ დარჩენილი მუჰაჯირი ქართველები (თუმცა მუჰაჯირს საკუთარ თავს არ უწოდებენ) მოექცნენ რა თურქეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეურნეო-კულტურულ სივრცეში, ნებით თუ უნებლიედ ითვისებდნენ უცხო ტრადიციებს. მაგრამ ასიმილაციის ბუნებრივი პროცესის მიუხედავად, შეძლებისდაგვარად მაინც ახერხებდნენ ადათ-წესების, ტრადიციების შენარჩუნებას, თვითიდენტობის განცდას, რაც მათში სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა. “ქართველები ყველგან ვართ და არსად კი არ ვჩანვართ” აღნიშნავდა ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწე - ჰასან ფაშა (ქართველი მაჰმადიანი) “ჩვენს მეტმა ვერც ერთმა ეროვნებამ ვერ შეინარჩუნა თავის ელფერი ოსმალეთში. ვინც კი გამუსლიმანდა ყველა სრულიად გადაგვარდა, გაქრნენ, გაითქვიფნენ ოსმალეებში, ჩვენ-კი ასე თუ ისე, სახელი “გურჯი” მაინც შეგვრჩა და ეს კი იმის მასწავლებელია, რომ ქართველების კულტურა უფრო ძლიერია ეროვნულ ფსიქიკაში...” (ბოსტაშვილი 1991, 105)

კვლევის მიზანი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს თურქეთში, ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეს ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ძველი და თანამედროვე საოჯახო ყოფის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ჭრილში განხილვას.

ნაშრომში განხილულია ერთი კონკრეტული სოფლის ეთნიკური ქართველებით დასახლებული ჰაირიეს: ისტორია, სახლის სტრუქტურა, ეკონომიკური საფუძვლები,

”ნათესავით ქართველთა” საოჯახო ყოფის ლოკალური თავისებურებები: ოჯახის სტრუქტურა, ადათ-წესები, სტუმარ-მასპინძლობაზე აგებული ურთიერთობა, ნათესაური კავშირები, ოჯახებში წარსულში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენები (შელოცვები), ”დასახლების” ტრადიციებიდან დაწყებული გარდაცვალებამდე დამთავრებული, ქალის როლი, მათში არსებული ეთნიკური თვითაღქმის კონკრეტული, სპეციფიკური ნიშნები და სხვ. შევეცადეთ მოპოვებული მასალები შეგვედარებინა იმ ნიშნებისთვისაც, რაც ზოგადად, ქართული ოჯახისათვის იყო ნიშანდობლივი. აღსანიშნავია, რომ ჰაირიეს ყოფა-ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ბევრი ელემენტი ინეგოლის გარშემო ქართველებით დასახლებულ სხვა სოფლებშიც შეინიშნება, ვინაიდან ინეგოლის ეთნიკური ქართველები თავის დროზე ძირითადად აჭარა-ქობულეთიდან გადასახლდნენ, შესაბამისად, ტრადიციული საერთო გარემოს ნიშან-თვისებები თან წაიღეს და შეძლებისდაგვარად შემოინახეს. ეს უკანასკნელი კი განზოგადების საშუალებას იძლევა.

კვლევის მოსალოდნელი შედეგები

1. წინამდებარე კვლევას მნიშვნელობა ენიჭება, როგორც პრაქტიკული ისე მეცნიერული თვალსაზრისით. სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოდის მე-19 საუკუნის 80-იან წლებში თურქეთში, კერძოდ ჰაირიეში გადასახლებულ ეთნიკურ ქართველთა საოჯახო ყოფა-ცხოვრების შესახებ ეთნოგრაფიული მონაცემები, ფოტო მასალა, აუდიო-ვიდეო საშუალებებით მიღებული ინფორმაცია, რითაც გარკვეული წარმოდგენა შეიქმნება თურქეთელ ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფაზე. რაც ჩვენის აზრით კიდევ უფრო შეუწყობს ხელს გახლეჩილი ქართული ეთნოსის გამთლიანებას.

2. აღნიშნული კვლევა შეძლებისდაგვარად წარმოაჩენს თუ რამ განიცადა ასიმილაცია, რა შემოგვრჩა ძველი ქართული ყოფიდან, რამ განსაზღვრა ჰაირიესა და ინეგოლის ”ნათესავით ქართველებში” ეთნიკური თვითაღქმა და გარკვეულ ტრადიციათა, როგორც ისტორიული მეხსიერების მდგრადობა, სიცოცხლისუნარიანობა.

საკვლევი საკითხის ისტორია

ე. წ. “რკინის ფარდის” არსებობის პირობებში შეუძლებელი იყო კვლევების ჩატარება თურქეთის ტერიტორიაზე, ვერ ხერხდებოდა თურქეთელი ქართველების - “ნათესავით ქართველთა” ყოფა-ცხოვრების, შემონახული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, ისტორიული მეხსიერების, კულტურულ-სამეურნეო ტიპის, ოჯახურ-ნათესაობრივ ურთიერთობაზე დამყარებული ღირებულებების ძირეული შესწავლა. თუმცა არსებობს ზ. ჭიჭინაძის, გ. ყაზბეგის, შ. ფუტკარაძის, ი. რაჭველიშვილის, მ. არიფის, ე. დალეჯიო დ’ალესიოს, პ. მაგნარელას, ფ. ჩილაშვილის და სხვათა გამოკვლევები, მე-19 მე-20 საუკუნის ჟურნალ-გაზეთებში გაფანტული წერილები, სადაც მოცემულია თურქეთში მცხოვრებ ქართველთა და თურქეთის საქართველოს შესახებ მეტად საინტერესო მასალები.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ აქამდე, ჰაირიეში მცხოვრები ეთნიკური ქართველების საოჯახო ყოფის ფუნდამენტურად, ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხით აღწერა, კვლევა, ჩვენში ჯერ არ მომხდარა.

მე-20 საუკუნის 50-იან წლებში პოლ სტირლინგი იკვლევდა რა თურქეთის სოფლებს, შეეხო ჰაირიესაც. 70-იან წლებში კი პოლ მაგნარელამ სოფელ ჰაირეში ჩაატარა ეთნოგრაფიული კვლევა (მაგრამ ეს უკანასკნელი არ ფლობდა ქართულ ენას და არ იცნობდა ქართველთა ტრადიციებს), თუმცა მას შემდეგ ჰაირიელთა ყოფა-ცხოვრებაში, ბევრი რამ შეიცვალა, მოხდა ძველის უარყოფა, რასაც ახალი, თანამედროვე ყოფისათვის დამახასიათებელი ელემენტები ჩაენაცვლა. ის, რაც ტრადიციულად ძველი თაობისათვის მიუღებელი იყო, მისაღები გახდა ახალი თაობისათვის. ევროპულმა, კერძოდ, გერმანულმა გარემომ გარკვეული ზემოქმედება და გავლენა მოახდინა მათ ყოფაზე. შემოიჭრა თანამედროვე ყოფისათვის დამახასიათებელი მოთხოვნილებები ანუ ახალი ეკონომიკური რეალობა, რამაც ზეგავლენა მოახდინა არა მხოლოდ სახლის ტიპებზე, არამედ სამეურნეო-კულტურულ ყოფაზეც. წარმოდგენილ და ზემოაღნიშნულ კვლევებს შორის არსებულმა ორმოცწლიანმა შუალედმა სრულიად სხვაგვარი სურათი დაგვანახა. ამასთანავე ეთნოგრაფიული მასალა შეგროვებულ იქნა ქართველის მიერ, რომელიც ფლობდა თურქულ ენას, იცნობდა ქართულ ეთნოფსიქოლოგიას,

ტრადიციებს, რამაც გაადვილა მოსახლეობასთან დაახლოება, ნდობის მოპოვება და მათთან ურთიერთობა.

საკითხის აქტუალობის განმაპირობებელი მიზეზები

1. დღესდღეობით საკმაოდ ინტენსიურად იკვლევენ თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს. ბოლო პერიოდში თურქეთში ჩატარებულ კონფერენციებზე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მუჰაჯირთა თემატიკა. იმის გამო, რომ თურქეთი მრავალეთნიკური სახელმწიფოა და მის მიზანს ევროპულ გარემოსთან, საზოგადოებასთან კავშირი წარმოადგენს, ნელ-ნელა ხდება ყინულის გაღვობა და თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ერთეულების შესახებ გარკვეული დოზით საუბარი, მათ შორის სამეცნიერო დონეზეც, რაც წარსულში თითქმის წარმოუდგენელი და შეუძლებელი ითქვას სახიფათოც კი იყო. ამას ისიც ემატება, რომ ეთნიკური ქართველები საკმაოდ აქტიურ მონაწილეობას იღებენ თურქეთის პოლიტიკურ თუ ბიზნეს ცხოვრებაში, ხაზს უსვამენ თავიანთ ეთნიკურ წარმომავლობას და ქართველი მუჰაჯირების როლს ოსმალეთის იმპერიაში. ამას მოწმობს რამოდენიმე ხნის წინ თურქეთში გამოცემული მურათ ქასაფის ნაშრომი "Osmanlı Gürcüler", Murat Kasap, Istanbul, 2010 ("ოსმალეთის ქართველები")

2. უცხოეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების ყველაზე მეტი რაოდენობა განთავსებულია თურქეთში. მათი უმრავლესობა თურქეთის ბიზნეს თუ პოლიტიკურ ამინდზეც ახდენს ზეგავლენას. არსებობს მთელი რიგი ეთნიკურ ქართველთა საზოგადოებები, როგორც დიდ ისე პატარა ქალაქებში, აქედან გამომდინარე საკმაოდ მნიშვნელოვანია თურქეთში ქართველთა ძლიერი ლობის შექმნა, რომელიც გარკვეულ მხარდაჭერას გამოუცხადებს საქართველოს. ჯერ კიდევ 90-იან წლებში ეთნიკურმა ქართველებმა საკმაოდ დიდი დახმარება გაუწიეს საქართველოს. სწორედ ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა სამეცნიერო დონეზე კვლევა, მათი ეთნოფსიქოლოგიის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით უკედ შესწავლა, ქართულ სახელმწიფოსთან ადაპტირება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი ნელ-ნელა უკვე

დაიწყო. სწორედ ზემოაღნიშნული საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ამ კონკრეტულ ინტერესებს ემსახურება წინამდებარე ნაშრომიც.

პირველწყაროების მიმოხილვა

ჩვენ კვლევას საფუძვლად დაედო აქამდე არსებული სამეცნიერო ლიტერატურიდან მიღებული ინფორმაცია და 2009-2011 წლებში საველე-მუშაობების შედეგად მიღებული მასალები.

მეტად მნიშვნელოვანია საველე-ეთნოგრაფიული მივლინებებისას ცოცხალი წყაროების გამოყენება, მით უფრო თუ კვლევა უცხო ქვეყანაში ტარდება, სადაც საუკუნეების წინ გადასახლებული ეთნიკური ქართველები ცხოვრობენ.

2008-წლიდან ვცდილობდი სანდო პირველწყაროების მოძიებას. რაც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია თურქეთის რესპუბლიკაში. მოვახერხე სტამბოლის გავლენიან ეთნიკურ ქართველებთან კონტაქტის დამყარება, კერძოდ, ფაჰრეთინ ჩილოღლუ-ჩილაშვილთან, რომელიც თურქულ-ქართული ორენოვანი ჟურნალის “ფიროსმანი” რედაქტორი იყო. აღნიშნულ ჟურნალთან ვთანამშრომლობ 2009 წლიდან, რამაც თურქეთის ქართველობასთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებას შეუწყო ხელი. ფაჰრეთინ ჩილაშვილი გარკვეული პერიოდი ხელმძღვანელობდა ჟ. “ჩვენებურს”, გამოსცა ჟ. “მამული”(გამოვიდა მხოლოდ ხუთი ნომერი და უსახსრობის გამო დაიხურა) ავტორია წიგნისა “ Dilden Dine, Edebiyattan Sanata Gürcülerin Tarihi (1993) (ქართველი ერის ისტორია-ენა, რელიგია, ლიტერატურა, ხელოვნება), თარგმნა დ. ლანგის “ქართველები”, მანვე აღმოაჩინა და შემდგომ გამოსცა მეჰმედ არიფის ნაშრომი “ქართული სოფლები”, თარგმნა და წიგნად გამოსცა ”წერილები ბორჩხიდან” (2002), რომელიც რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1877-78), ჭოროხზე მყოფი რუსეთის ჯარის ოფიცრის ი. ჯაიანის მიერ “დროებასა” და “ივერიაში” გაგზავნილი წერილების ნაკრებია. კავშირი დავამყარე ცნობილ ბიზნესმენ ერგუნ ათაბაი-გურამ ქოქოლაძესთან, რომელიც წარმოშობით სოფელ ჰაირიედანაა და მივლინების მანძილზე მიწევდა მასპინძლობას.

სწორედ ამ მივლინებების დროს მოვიძიე საინტერესო პირველწყაროები, სოფლის მოსახლეობისა და ეთნიკურ ქართველთა სხვადასხვა საზოგადოებების წევრების სახით, რომელთა მეშვეობითაც, მოძიებულ იქნა მეტად საინტერესო არტეფაქტები, ვიდეო, აუდიო თუ დოკუმენტური მასალები.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია პროფ. პაატა ბუხრაშვილის მიერ ჰაიდელბერგში მცხოვრებ ილია ხიმშიაშვილ-აბდურაჰმან ჩეთინქაიასგან მოპოვებული, ოსმალეთის იმპერიაში მუჰაჯირ ქართველთა გადასახლებისა და მათი ყოფის ამსახველი მასალები.¹

კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ეთნოგრაფიულ-ისტორიულ კვლევას. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვნად მიგვაჩნდა:

1. პირველ რიგში ჩვენ ხელთ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება, რომელიც ეხებოდა მუჰაჯირთა თემას.
2. ქართული, ასევე ვიწრო რეგიონალური, კერძოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და თურქული საოჯახო ყოფის შესწავლა.
3. შემდეგ ეტაპზე, სავლელ მასალების მოპოვების მიზნით მოეწყო მრავალჯერადი ეთნოგრაფიული მივლინებები თურქეთში.

კვლევის სწორი მეთოდის შედგენა მნიშვნელოვანია, თუმცა წინასწარ ყოველივეს განსაზღვრა შეუძლებელია, მით უფრო, როცა სავლელ-ეთნოგრაფიული მუშაობა მიმდინარეობს პოლიტიკურად თუ ეთნიკურად რთულ რეგიონში. აუცილებელი იყო მცირე რაიონის საფუძვლიანი შესწავლა. როგორც გ. ჩიტაია აღნიშნავდა, მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს ცალკეულ პატარა და დიდ სოციალურ ერთეულებში-ოჯახი, გვარი,

¹ იხ. ინტერვიუ ილია ხიმშიაშვილთან, ჟურნალი “ამირანი”, № 19, 2008, 219-262

სოფელი. გეგმაზომიერი თუ სისტემური შესწავლის, თვითმყოფადი ნიშნების, კერძოდ, ხალხის ყოფის, კულტურის თავისებურებათა გამოვლინების გარეშე შეუძლებელია პრობლემის გადაწყვეტა. იმის გამო, რომ თურქეთი პოლიტიკური თვალსაზრისით რთული ქვეყანაა, პირდაპირ, აშკარად სამეცნიერო კვლევის ჩატარება არ შეიძლებოდა. საჭირო იყო სიფრთხილე ქართველებით დასახლებულ პუნქტებში. მართებულად მიგვაჩნდა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მათ გვერდით ცხოვრება, კულტურულ-სამეურნეო თვალსაზრისით ოჯახში შემონახულ ტრადიციებზე დაკვირვება და ყოფის შესწავლა. ამ უკანასკნელში ვგულისხმობთ არა მარტო ცხოვრების პირობებს, არამედ ფსიქიკურ წყობას, ეთნიკურ თავისებურებებს, რაც ყალიბდებოდა, იცვლებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. როგორც გიორგი ჩიტაია აღნიშნავდა, ეთნოგრაფიული სინამდვილე კულტურულ-ისტორიული და კულტურულ-ეთნიკური მოვლენაა. სწორედ ამიტომ ნებისმიერი მოვლენა არ უნდა იქნას შესწავლილი ცალკე, იზოლირებულად, გარემო პირობებისა თუ მოვლენების გათვალისწინების გარეშე. საჭიროდ მიგვაჩნდა ქართველი ეთნოგრაფების მიერ უკვე წლების განმავლობაში აპრობირებული **ისტორიულ-შედარებითი, კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდების გამოყენება**. მხოლოდ ფაქტი გამოუსადეგარია, თუ არ მოხდა მისი ე.წ. გენეტიკური გამოკვლევა. საგანი და მოვლენა ერთი მთლიანობაა, ამიტომაც ორივე კომპლექსურად უნდა იქნას შესწავლილი.

საველე-ეთნოგრაფიული მასალები შევისწავლეთ უშუალო დაკვირვებების, ინფორმატორისაგან ცნობების მიღების საფუძველზე, მოსახლეობასთან საუბრის გზით. კვლევაში გამოყენებულ იქნა საექსპედიციო და სტაციონარული ფორმები: პირველში იგულისხმება ხანმოკლე გასვლა წინასწარ შერჩეულ პუნქტში მასალების შეკრების მიზნით, რაც 2008 წელს სტამბოლში ყოფნისას მოხერხდა. დამყარდა კავშირი, შეირჩა პიროვნებები, რომლებიც მეგზურობასა და დახმარებას გაგვიწევდნენ მომავალში უკვე სტაციონარული (ხანგრძლივად ცხოვრების დროს) ფორმით კვლევისას. მეტად მნიშვნელოვანი იყო თანამედროვე ტექნიკური-ფოტო, ვიდეო, აუდიო საშუალებების გამოყენება.

მეტად რთული იყო თურქეთელი ქართველებისათვის წინასწარი კითხვარების შედგენა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თურქეთი ეთნიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისით მეტად რთული რეგიონია. წინასწარ შეუძლებელი იყო იმის განჭვრეტა თუ რა დაგვხვდებოდა კონკრეტულ ადგილას. საუბრის მომენტში ხშირად არ ხერხდებოდა თურქეთელი ქართველის “სრული გახსნა”. საჭირო იყო მათთან დაახლოება და ოჯახურ გარემოში ყოფნის მომენტში საუბარი. რადგანაც ოჯახურ გარემოში ავლენდა საერთო ქართული ყოფისათვის დამახასიათებელ ნიშნებს.

ძირითადად გამოვიყენეთ ქართველი ეთნოგრაფის ვ. ბარდაველიძის კითხვარი-”ქართველი ხალხის სულიერი ყოფა და კულტურა”. ხდებოდა სპონტანურად კითხვების დასმა საუბრის მომენტში. ჩაიწერა მასალები ინტერვიუების სახით, ასევე - ძველი და ახალი ზეპირი ისტორიები. გავეცანით საოჯახო ფოტომასალას, საოჯახო ნივთებს, დოკუმენტებს, რაც ეხებოდა თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის მეტად მნიშვნელოვან მოვლენებს.

კვლევის მეთოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას სოციალური ქსელებიც წარმოადგენს, რადგანაც მათი მეშვეობით მოვიძიეთ დამატებითი წყაროები და ინფორმაციები.

წინამდებარე ნაშრომი ძირითადად ეფუძნება 2009-2011 წლებში თურქეთში, ინეგოლსა და მის გარშემო ქართველებით დასახლებულ სოფლებში განხორციელებულ მრავალჯერად და ხანგრძლივ მივლინებებს, (2009 წელი ივლისი-სექტემბერი, 2010 წელი თებერვალი-მარტი, ივლისი-აგვისტო, 2011 წელი აპრილი) რომლის დროსაც ჩვენ მიერ შეგროვდა აუდიო-ვიდეო, ფოტო და დოკუმენტური მასალები. თემას თანდართული აქვს მივლინებების დროს შეგროვებული ფოტო მასალა, მეტყველების ნიმუშები გეოგრაფიული და ლექსიკური კომენტარებით.

თავი 1. სოფელი ჰაირიე ძველად და ახლა

1.1. 1877-78 წლები-რუსეთის ტერიტორიულ სივრცეში “ოსმალის საქართველოს” შემოერთება, მუჰაჯირობა

სანამ უშუალოდ განვიხილავთ სოფელ ჰაირიესა და იქ მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა საოჯახო-ყოფა ცხოვრებას, მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და ის მიზეზები, რამაც ხელი შეუწყო თურქეთში ქართველთა მუჰაჯირებას.

1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის მიერ ტერიტორიული თუ გავლენის სფეროების გაფართოების მიზნით წარმოებული ომი, საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგანაც ამ დროს მოხდა თურქეთის მიერ მიტაცებული საქართველოს ისტორიული ტერიტორიების, რუსეთის ტერიტორიულ სივრცეში შემოერთება. ბუნებრივია, რომ აღნიშნული მოვლენა თურქეთის ისტორიაშიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, რადგანაც ამ ომის შედეგად, ოსმალეთის იმპერიამ პირველად დაკარგა დიდი ტერიტორიები ბალკანეთში, ხოლო დანარჩენ ნაწილში კი XX საუკუნის I მეოთხედში. ამ ომის შედეგად მუსლიმანური რელიგიის სხვადასხვა ხალხმა საკუთარი სამშობლო მიატოვა და თურქეთისაკენ მიმავალ გზას დაადგა. ბალკანეთიდან სტამბოლში, დასავლეთ და შუა ანატოლიაში მუსლიმანური მოსახლეობის დიდი ნაწილი დაიძრა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი პირველი შეფასება აღნიშნულ გადასახლებასთან დაკავშირებით ეკუთვნის ჯასტინ მაქართის “სიკვდილი და გადასახლება. ოსმალეთის მუსლიმანების წინააღმდეგ წარმოებული ეროვნული წმენდა” (1821-1922). “ოსმალეთის კავკასიიდან” კი ანატოლიაში გადასახლდა მუსლიმანი ჩერქეზები, ნოღაელები, დაღესტნელები, აფხაზები და მათ შორის, ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი.

1877-78 წლების ომის შემდეგ ოსმალეთის სახელმწიფომ, ტერიტორიული თვალსაზრისით, აზიური სახე მიიღო, მოსახლეობა კი უფრო მეტად გამუსლიმანდა.²

მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთი “კიდევ უფრო გამუსლიმანდა”, ეთნიკური თვალსაზრისით უფრო “გამრავალფეროვნდა”. ანატოლიაში დაარსებული თურქეთის რესპუბლიკის მოსახლეობის ნაწილს ეს ადამიანები შეადგენდნენ. “ახალი თურქეთი” სწორედ რომ ემიგრანტული ქვეყნის ელფერს ატარებდა.³ ბოლო წლებში გაიზარდა თურქეთში კავკასიიდან გადასახლებულთა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა, მაგალითად-ნედიმ იფეჟი-“გადასახლებები იმპერიიდან ეროვნულ სახელმწიფომდე”, ტრაპიზონი, 2006, აბდულაჰ საიდამი-“ყირიმისა და კავკასიის გადასახლებები” (1856-1876), ანკარა, 1997, ჰაიათ ბიჯე, “გადასახლებები კავკასიიდან ანატოლიაში”, სტამბოლი 1993. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით არაერთი სამეცნიერო კონფერენცია გამართულა და სულ უფრო და უფრო იზრდება ამ საკითხთან დაკავშირებული ინტერესი თურქეთის სამეცნიერო წრეებში.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში აღმოსავლეთის საკითხმა კვლავ შეიძინა აქტუალობა. 1875 წელს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში დაიწყო ანტიოსმალური აჯანყება. მათ შეუერთდა ბულგარეთი, ჩერნოგორია და სერბეთი. ევროპა თავის მხრივ ცდილობდა მოეპოვებინა გავლენა თურქეთის ტერიტორიებზე, ავსტრია-უნგრეთს სურდა ხელში ჩაეგდო ბოსნია, ჰერცეგოვინა. მას აშინებდა რუსეთის გავლენის ზრდა ბალკანეთზე. ინგლისი პრეტენზიას აცხადებდა ბოსფორ-დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდებაზე, გარდა ამისა ეკავა დომინანტური პოზიცია თურქეთის საბაზრო სივრცეში. გერმანიას კი აწყობდა კონფლიქტის ესკალაცია, რადგანაც ყურადღება მოდუნებული იქნებოდა და ცენტრალურ ევროპაში თავისუფლად მოქმედების საშუალება მიეცემოდა. ბუნებრივია, ბალკანეთის ხალხის გამოსვლები და სლავური

² იხ. ო. ოზელი-“ისტორიული კავშირი”, თურქულ-ქართულენოვანი ჟურნალი “ფიროსმანი”, № 3, სტამბოლი, 2007, 30-33

³ გადასახლების გავლენის შესახებ საინტერესო ნაშრომი ეკუთვნის ქემალ ქარფათს –“ოსმალური მოსახლეობა (1830-1914) დემოგრაფიული და სოციალური თავისებურებანი”, სტამბოლი, 2003

სახელმწიფოების ჩამოყალიბება არ მოსწონდა ინგლისს, ავსტრია-უნგრეთს, რადგანაც მათ პრორუსული ორიენტაცია ჰქონდათ. ამრიგად, ინგლისი, ავსტრია-უნგრეთი მხარს უჭერდა თურქეთს.

მას შემდეგ რაც კონსტანტინეპოლის კონფერენციამ შედეგი ვერ გამოიღო, რუსეთი სხვა საშუალებებით ცდილობდა მოეგვარებინა ოსმალეთში მცხოვრები ბალკანელი ხალხების პრობლემა.

რუსეთის ინიციატივით 1877 წლის მარტში ლონდონში შესდგა ექვსი სახელმწიფოს შეხვედრა-კონფერენცია-ინგლისი, რუსეთი, საფრანგეთი, ავსტრია-უნგრეთი, პრუსია. მიღებული გადაწყვეტილებით სულთანს უნდა გაეტარებინა გადამწყვეტი ზომები ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანული მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მაგრამ ბუნებრივია, ოსმალეთმა ამჯობინა ქედი არ მოეხარა და უკუაგდო აღნიშნული მოთხოვნა. ოსმალეთთან ომამდე რუსეთმა გაითვალისწინა ყირიმის ომის გამოცდილება და 1870 წელს გორჩაკოვმა “ისარგებლა ევროპაში შექმნილი ხელსაყრელი საერთაშორისო მდგომარეობით და პარიზის კონგრესის (1856წ.) მონაწილეებს გაუგზავნა ცილკურალი მოთხოვნით-აღდგენილიყო შავ ზღვაზე რუსეთის სუვერენული უფლებები. ამ მიზნით, 1871 წელს ლონდონში მოიწვიეს კონფერენცია. 1871 წლის 1/13/ მარტის ლონდონის კონფერენციამ გააუქმა შავი ზღვის ნეიტრალიზაცია და რუსეთსა და ოსმალეთს მიეცათ უფლება შავ ზღვაზე ჰყოლოდათ განუსაზღვრელი რაოდენობის სამხედრო ხომალდები. შავ ზღვაზე აღდგენილ იქნა რუსეთის სუვერენული უფლებები. შავი ზღვის სრუტეები ღია იყო სავაჭრო, ხოლო დაიხურა უცხოეთის სამხედრო გემებისათვის”. (სვანიძე 2007, 327)

რუსეთმა უზრუნველყო ომის მსვლელობის დროს ინგლისისა და ავსტრია-უნგრეთის ნეიტრალიტეტი. რუსეთმა ინგლისს აღუთქვა მისი ინტერესების პატივისცემა სუეცის არხის ზონაში და სტატუს ქვოს შენარჩუნება შავი ზღვის სრუტეებსა და სტამბოლში. 1877 წლის 15 იანვარს რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთს შორის შესდგა საიდუმლო მოლაპარაკება, რომლის მიხედვითაც ავსტრია-უნგრეთს ნება ეძლეოდა მოეხდინა ბოსნიისა და ჰერცეგოვინას ოკუპაცია. ამის სანაცვლოდ იგი არ ჩაერეოდა რუსეთ-ოსმალეთის ომში.

გავლენის მოპოვებისა და მსოფლიოში დომინანტური პოზიციის გამტკიცების იდეამ მოიცვა რუსეთის საზოგადოებაც. მოსკოვში შეიქმნა სლავური კომიტეტი, რომლის მეშვეობითაც ბალკანეთში იგზავნებოდა შემოწირულობა, მოხალისეთა რაზმები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალეთი და რუსეთი, როგორც რელიგიური ისე კულტურული თვალსაზრისით, ორ განსხვავებულ სამყაროს წარმოდგენდა. რუსეთი მე-18 საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები მართლმადიდებლების ერთგვარ “პროტექტორად” გვევლინებოდა. რომელიც რელიგიის სახელით ცდილობდა თავისი გავლენის სფეროები განემტკიცებინა.

1877 წლის 12 აპრილს დაიწყო მსოფლიო გადანაწილების მორიგი მცდელობა-რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს. რუსეთის ჯარმა გადალახა თურქეთის საზღვრები ბალკანეთსა და კავკასია-მცირე აზიაში. 1877 წლის ივნისში მათ დაიკავეს მნიშვნელოვანი პუნქტი შიპკა.

ბუნებრივია, რუსეთის წარმატებას სიხარულითა და სოლიდარობით შეხვდა საქართველოც, რადგანაც იმედს იტოვებდა, რომ მე-16 საუკუნიდან თურქეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებს დაიბრუნებდა. ქართული საზოგადოებას გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ რუსეთის იმპერია საქართველოს სასიკეთოდ მოქმედებდა. იასე რაჭველიშვილი იგივე მეხუზლა საკმაოდ მხატვრულად აღწერს რუსეთის მიერ ტერიტორიების შემოერთების ამბებს, ბრძოლის ბატალიებს. მას დანარჩენი ქართველების მსგავსად ღრმად სწამდა, რომ რუსეთი აჭარის შემოერთებით დიად მიზნებს ისახავდა, კერძოდ, საქართველოს განთავისუფლებას. “ის მაინც ყველა ქართველის სურვილი უნდა იყოს, რომ რუსეთის შემწეობით შემოერთებულ იქნას საქართველოზე მთელი ლაზისტანი...”. (ბოსტაშვილი 1991, 117)

რუსეთი, რომ მართლაც დიად მიზნებს ისახავდა, მაგრამ არა საქართველოს სასარგებლოდ, ეს კარგად გამოჩნდა 1921 წელს, როდესაც თურქეთმა და საბჭოთა კავშირმა საქართველო გაიყვეს და რუსეთმა თურქეთს გადასცა იმ ტერიტორიების უმრავლესობა, რომელიც 1877-78 წლების ომის შედეგად იქნა შემოერთებული.

1877-78 წლების ომის დაწყებამდე საქართველოში მიმდინარეობდა ე.წ. დაზვერვითი სამუშაოებიც, კერძოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში “იმოგზაურეს”

დ. ბაქრაძემ, გ. ყაზბეგმა, მ. გურიელმა, ა. მეფისაშვილმა, ივ. კერესელიძემ, გ. წერეთელმა და სხვ. რუსეთის მთავრობამ გააგზავნა ივანე კერესელიძე, “ცისკრის” რედაქტორი. მის ამოცანას წარმოადგენდა გავლენიან ქართველ შერიფ ბეგ ხიმშიაშვილთან გაერკვია ოსმალეთთან ომის დაწყების შემთხვევაში, ვის მხარეს დაიჭერდა. ამ მიზნით იგი 1870 წელს ჩავიდა აჭარაში. იმის გამო, რომ საშიში იყო ოსმალეთის ფარგლებში მყოფ ქართულ მიწებზე მოგზაურობა, ივანე თარის დაკვრით შევიდა აჭარაში. მასთან შეხვედრისას შერიფმა აღნიშნა, “ღმერთმა ქნას რომ მალე დაიწყოს ომი, მე მზად ვარ, რომ მაშინათვე ჩემი ქვეყნის ქართველთ შვილებს შეუერთდე და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგაც ისევე გახდესო”. (ჭიჭინაძე 1911, 230)

რუსეთის მთავრობა, რომელიც აპირებდა თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების მიერთებას, აგზავნიდა დასაზვერვად გამოცდილ კადრს. ასეთად ისინი მოიაზრებდნენ რუსეთის იმპერიის გენერალური შტაბის მოხელეს გ. ყაზბეგს. ეს ის პერიოდია, როდესაც რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა ძალზე გამწვავებული იყო და თურქეთის მთავრობა მოსაზღვრე ქვეყნებიდან შემოსულ მოგზაურებს ეჭვის თვალით უყურებდა. გ. ყაზბეგი წერდა, რომ თურქეთში მოგზაურობა არც თუ ისე უხიფათოა, “ჩვენს მეზობელს ყველაფერში მუქარა ელანდება” ამიტომაც მოგზაურის ყოველ ნაბიჯს, ყოველ შეკითხვას, “განსაკუთრებით კი ცდას ჩაიწეროს ანდა ჩაიხატოს რაიმე”, წინ ათასგვარი დაბრკოლება ელოდება. ასეთი დამაბული ვითარების დროს თურქეთის მთავრობა ბუნებრივია ყაზბეგს აჭარაში მოგზაურობის უფლებას არ მისცემდა, მით უმეტეს, რომ იგი მაშინ გენერალური შტაბის ოფიცერი იყო. გიორგი ყაზბეგი შეიყვანეს გენერალ გრიგოლ გურიელის ამაღლაში, სადაც მის მოსამსახურეთა შორის ირიცხებოდა-ეს იყო ერთგვარი შირმა. გიორგი ყაზბეგის ჩანაწერები შემდგომში რუსებისათვის უმთავრესს გზამკვლევადა იქცა. მან “თურქეთის საქართველოში” 1874 წელს იმოგზაურა. სამწუხაროდ როდესაც იგი 1921 წელს ნ. ჟორდანიას მთავრობასთან ერთად წავიდა, თურქეთში, გზაში, გარდაიცვალა და მისი საფლავის ადგილსამყოფელი უცნობია. მის მიერ გაკეთებული დღიური სიზუსტით აღწერს რეალობას. კარგად ჩანს ეთნოგრაფიული მუშაობისათვის აუცილებელი განათლება, გეოგრაფიის ცოდნა.

გიორგი ყაზბეგი სხალთაში ყოფნისას შეჩერებულა შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის სახლში, რომლის მიმართაც რუსეთის დაზვერვა საკმაო ინტერესს გამოხატავდა. უნდა აღინიშნოს, რომ როცა იგი შერიფის სახლში ცხოვრობდა, მასპინძელს ეჭვი აუღია, რომ გიორგი ყაზბეგი მარტო მოგზაური არ იყო, რადგანაც ეს უკანასკნელი ღამ-ღამობით ჩანაწერებს აკეთებდა. როგორც 1921წლის, გაზ. ტრიბუნა № 3, იტყობინებოდა, მას თხოვნით მიუმართავს გრიგოლ გურიელისათვის “ოსმალებმა რომ შეიტყონ ეს ამბავი, რაც ჩემს მამას-ახმედ ფაშას და პაპას-სელიმ ფაშა ხიმშიაშვილს უყვეს, იმაზე უარესს მიზამენ, თავს მომჭრიან და სახლ-კარს ამიოხრებენ. ეს რომ არ მოხდეს, მე დღეს თქვენ ყველაფერს გაგიმზადებთ და ხვალ დილით ადრევე წაბრძანდებით აქედან, რათა თქვენს აქ ყოფნას ცუდი შედეგი არ მოჰყვეს”.

ამრიგად, რუსეთის იმპერია დაზვერვითი სამუშაოებით ცდილობდა “ოსმალოს საქართველოდან” მაქსიმალურად ბევრი ინფორმაცია მიეღო, რათა ომის დაწყების შემთხვევაში სათანადო დასაყრდენი ჰქონოდა.

1875 წელს, თურქეთის მთავრობამ აქარლებს ჯარში წასვლა და აჯანყებულ ჰერცოგოვინელთა წინააღმდეგ ბრძოლა მოსთხოვა. მაგრამ აქარლები აჯანყდნენ. შექმნილ ვითარებაში გასარკვევად ოსმალეთის მთავრობამ გამოგზავნა მოსამართლე იბრაიმ ალა, თუმცა ხალხმა მასთან დიალოგზე უარი განაცხადა. მაშინდელი ქართველი ინტელიგენცია გამოეხმაურა ამ ფაქტს. ილია ჭავჭავაძე წერდა “არ გვაშინებს-მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ”. (ჭავჭავაძე 1941, 312)

რუსეთ-თურქეთის ომში ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას. იქმნებოდა ქართველთა ლაშქარი (მილიცია), მოხალისეთა რაზმები. როგორც “დროება” იტყობინებოდა, შორაპნის მაზრაში მთავრობის მოთხოვნით ყოველ ას გლეხზე ორი გლეხი უნდა წასულიყო ლაშქარში, რეალური მსურველი კი უფრო მეტი აღმოჩნდა. ბათუმის მიმართულებით წარმოებულ ბრძოლებში იბრძოდნენ პირველი და მეორე ქვეითი ქართული რაზმის ნაწილები, რომლებიც ქართლ-კახეთიდანაც წარგზავნეს. დესანტის შემოტევის დროს აქტიურობდა გურიის პირველი ქვეითი რაზმი, ქუთაისის

პირველი და მეორე ქვეითი რაზმი და არარეგულარული ცხენოსანთა პოლკი. არტაანისა და ყარსის ბრძოლებში ახალციხისა და თიანეთის (თუშების) რაზმები. 1877 წელს 23 ოქტომბერს ბათუმის მიმართულებით შეტევის დროს, 16 ლიხაურელი დაიღუპა. ბრძოლაში თავად მაშინდელი ქართველი გენერლები, ოფიცრები, ინტელიგენციის ნაწილი იღებდა მონაწილობას.

კავკასიის არმიის მოქმედი კორპუსი რამოდენიმე ნაწილად გაიყო-ოზურგეთიდან ბათუმისაკენ, ახალციხიდან არტაანისაკენ, ალექსანდრეპოლიდან ყარსისაკენ და ერევნიდან ბაიაზეთისაკენ. ოზურგეთის რაზმს მეთაურობდა გენერალი ოკლობჟიო, ახალციხისას გენერალი დეველი, ალექსანდრეპოლისას გენერალი გეიმანი და ერევნისას გენერალი ლორის-მელიქოვი. თუმცა არც თურქეთის მხარე იყო პასიური. იგი აღჭურვილი იყო იმ დროისათვის უახლესი საბრძოლო საშუალებებით.

ისლამური კალენდრით, ეს ომი 1293 წელს დაემთხვა, ამიტომ ის თურქეთის ისტორიაში "93 წლის ომის" სახელითაცაა შესული. ამ ომში ოსმალეთის არმიების მოქმედებები კავკასიის ფრონტზე, ოსმალური წყაროების ცნობით, მოიცავდა ოსმალს საქართველოს: სანაპიროზე – ბათუმს, სოხუმსა და ოჩამჩირეს; შიდა რაიონებიდან კი – აჭარის ნაპიერებს, ასევე აღმოსავლეთ ანატოლიაში ჭოროხის, ტრაპიზონის, გუმუშჰანეს, ერზინჯანის, არზრუმის, ყარსის, აღრის, ბითლისის, მუმის, ვანის გუბერნიებსა და სხვ. ჩრდილოეთით, ბათუმის რეგიონში განთავსებული იყო ბათუმის არმია, რომლის სამმართველო პუნქტი ხან ხუცუბანში, ხანაც ჯიხათის მთაზე მდებარეობდა. ბათუმის არმიას თავიდან ჰასან თახსინ-ფაშა მეთაურობდა, რომელიც მალე დერვიშ-ფაშამ შეცვალა. დერვიშ-ფაშა ომის შემდეგაც გარკვეული პერიოდით დარჩა ამ რეგიონში და პირადად მან მოამზადა ბათუმ-ქობულეთსა და აჭარის ორ რეგიონში (ზემო და ქვემო აჭარა) მცხოვრები მუსლიმანი ქართველების ანატოლიაში მასობრივი გადასახლება.

ამავე რეგიონში რეგულარული არმიის პარალელურად მოქმედებდა ხუთი ქვეითი და კავალერისტთა სამი ბატალიონისგან შემდგარი დამხმარე სამხედრო ძალა, რომელთა რაოდენობა 5-8 ათასი იყო. მოხალისეთა ეს ნაწილები ძირითადად რეგიონში მცხოვრები მუსლიმანი ქართველებისგან იყო დაკომპლექტებული. ისინი დროდადრო წინა პოზიციებზე მიიწევდნენ, სადაც მათი დანიშნულება პარტიზანული ბრძოლების

წარმოება და ინფორმაციის შეგროვება იყო. მოხალისეები ბათუმ-ქობულეთის მხარეში ქმნიდნენ რუსეთის ძალებთან წინააღმდეგობის პირველ რკალს და ყველაზე გააფთრებული ბრძოლებიც სწორედ მათთან იმართებოდა. დამხმარე ძალის მეთაური ამ რეგიონში თავდგირიძეთა გავლენიანი გვარის წარმომადგენელი ქობულეთელი გენერალ-მაიორი ალი-ფაშა იყო, რომელიც ზოგჯერ ამ მხარეს ოსმალეთის სახელითაც მართავდა. ალი-ფაშა თანამდებობიდან გადააყენეს და სტამბოლში გადაიყვანეს, რადგან მას ომის დროს დაკისრებული ზოგიერთი მოვალეობის შეუსრულებლობა დააბრალებს, კერძოდ, ბათუმის არმიის მეთაურისადმი დაუმორჩილებლობა და რუსებთან ფარულ კავშირში შესვლა. ამის გამო, ომის დარჩენილ პერიოდში დამხმარე ძალების მეთაურობა მის ძმას, ოსმან-ბეის (ფაშა) მოუწია. ამ ორი ძმის მიერ ჩამოყალიბებული და მართული დამხმარე სამხედრო ძალა, ადგილობრივ წინააღმდეგობის ძალებს წარმოადგენდა. ამასთან ერთად, ზემოხსენებულ ძალებში შედიოდნენ მოხალისეები ორდუდან და ტრაპიზონიდან, რომლებთან ერთადაც ალი-ფაშას ჯერ კიდევ ყირიმის ომის დროს მოუწია მხარდამხარ ბრძოლა, ან პირადი ურთიერთობები ჰქონდა დამყარებული 1860-იანი წლებიდან, როდესაც ორდუს ქაიმაქამის (გამგებელი) თანამდებობაზე მოუწია სამსახური.⁴

ომის დაწყებისთანავე რუსებმა გადალახეს საზღვარი და თურქეთის ტერიტორიაზე აწარმოებდნენ ბრძოლებს. 1877 წლის 30 აპრილს რუსებმა დაიკავეს ბაიაზეთი. არტანის ალების შემდეგ, არტანუჯისა და ართვინის გავლით უკვე გზა გაიხსნა ბათუმისაკენ.

რუსეთის ჯარის პირველი შეტევის დროს ბათუმ-ქობულეთის მხარის დაცვა ძირითადად ალი-ფაშას დაქვემდებარებაში მყოფ მოხალისეთა ბატალიონს დაევალა. რეგულარული ნაწილები უმეტესად განლაგდნენ ბათუმისა და ციხისძირის ციხე-სიმაგრეებში, ასევე—ხუცუბნის ფერდობებზე. ციხისძირი შეუვალ ადგილად იყო

⁴ ალი და ოსმან-ფაშების ფრონტზე მოქმედებებისა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი მოხალისეთა ბატალიონების შესახებ ყველა სახის ინფორმაცია დაცულია თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბის სამხედრო ისტორიისა და კვლევების სამმართველოს არქივის 1877-78 წლების ომის კოლექციაში, ასევე იხ. Oktay Özel, “Çürüksulu Ali Paşa ve Ailesi Üzerine Biyografik Notlar”, Kebikeç, 16, 2003, 100-103

მიჩნეული. თურქეთმა მის დასაცავად 35 ათასი ჯარისკაცი გამოყო, რუსებს კი მხოლოდ 25 ათასი კაცი ჰყავდათ. გარდა ამისა, აქტიურობდა ადგილობრივი მოხალისეებისაგან დაკომპლექტებული დამხმარე ძალა, რომელმაც მოახერხა პირველი შემოტევების მოგერიება და სერიოზულად შეაფერხა რუსული ნაწილების წინსვლა ამ ფრონტზე. რუსები იძულებული გახდნენ, ბათუმის ჩრდილოეთით გამაგრებულიყვნენ.

1877 წლის დეკემბერს რუსულმა ჯარმა სერიოზულად შეავიწროვა ოსმალური თავდაცვა პლენის ხაზზე. შესაბამისად, ოსმალეთის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ბათუმის დამცველი მეოთხე არმიიდან შვიდი ბატალიონის ევროპაში გადაყვანის თაობაზე. ამ პერიოდში, აგვისტოს თვეში, ხდება რუსების სასარგებლოდ დაკარგული სოხუმისა და ოჩამჩირის რეგიონებიდან ოსმალური ჯარების გამოყვანა, რომლებსაც თან გამოჰყვა მუსლიმანი აფხაზებიც. ისინი სოხუმის პორტიდან ბათუმში, ტრაპიზონსა და ერელში გადაიყვანეს. ნოემბერში ბათუმის არმიიდან დამატებით კიდევ ექვსი ბატალიონი გაგზავნეს არზრუმში.

1878 წლის 20 იანვარს, რუსებმა აიღეს ედირნე (ანდრიანოპოლი) ერთი კვირის შემდეგ კი ჩორლუ დაიკავეს. ასეთი მძიმე დამარცხების ფონზე ოსმალეთის ხელისუფლება იძულებული გახდა, რუსეთთან დაზავებაზე ეფიქრა. ბოლოს, 1878 წლის 31 იანვარს ხელი მოეწერა ედირნეს დროებით ზავს და განისაზღვრა ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებას. ბუნებრივია, რუსეთის წარმატებამ აღაშფოთა ევროპა და შეეცადა ზემოქმედება მოეხდინა რუსეთ-ოსმალეთის მოლაპარაკების მსვლელობაზე, მაგრამ ამ მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა.

რუსულმა შენაერთებმა განაგრძეს წინსვლა და თებერვლის პირველ კვირას ჩათალჯას გავლით იეშილქოის (სან-სტეფანოს) მიაღწიეს, სადაც საკუთარი შტაბიც დაარსეს. ზავის დადების შემდეგ რუსეთმა ოსმალეთთან საკუთარი წარმატებების გათვალისწინებით, სამშვიდობო ხელშეკრულების გასაფორმებლად მუშაობა დაიწყო. 1878 წლის 3 მარტს ხელმოწერილი სან-სტეფანოს ხელშეკრულება რუსეთის ინტერესების შესაბამისად მომზადდა. ხელშეკრულების მიხედვით, ოსმალეთის

სახელმწიფოს მძიმე ვალდებულებები დაეკისრა, მათ შორის – კომპენსაციის გადახდა. სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების თანახმად, დამოუკიდებლობას იღებდნენ ბულგარეთი, ჩერნოგორია, რუმინეთი. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ბულგარეთის დიდი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. მის ფარგლებში შევიდოდა საკუთრივ ბულგარეთი, აღმოსავლეთ რუმელია და მაკედონიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ფორმალურად იგი რჩებოდა ოსმალეთის სუვერენიტეტის ქვეშ და ავტონომიური სამთავროს სტატუსს ღებულობდა. თუმცა ოსმალეთმა გამოიყვანა ჯარი ამ ტერიტორიიდან და მისი დაკავების უფლება რუსეთს მიეცა. ასევე ბოსნიასა და ჰერცეგოვინას ეძლეოდა ავტონომია. რუსეთს უნდა გადასცემოდა ევროპაში სამხრეთ ბესარაბია, აგრეთვე არტაანი, ყარსი და ბათუმი, დასავლეთ სომხეთის ტერიტორიების გარკვეული ნაწილი სოღანლუღის მთებამდე.

ამის შემდეგ რუსეთმა ოსმალეთისთვის მეტად არასახარბიელო სან-სტეფანოს ხელშეკრულების შესასრულებლად დაიწყო ყველა სახის დიპლომატიური და სამხედრო ზეწოლის გამოყენება. ოსმალეთის სახელმწიფომ მიიღო ბრიტანეთის დახმარება და მხარდაჭერა ახალი ხელშეკრულების მოსამზადებლად. სან-სტეფანოს ხელშეკრულების შედეგად, რეგიონში რუსეთის გავლენის ზრდა, შემფოთებას იწვევდა სხვა დიდ ქვეყნებში. მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბრიტანეთი, რომელმაც “შევიწროებული” თურქეთის დახმარება იკისრა და კუნძული კვიპროსიც კი გადაეცა სამართავად. ბუნებრივია ევროპას და მათ შორის ინგლისს არ აწყობდა გაბატონებული პოზიციის შესუსტება და ამის ხარჯზე რუსეთის გაძლიერება. მსოფლიო როლების გადათამაშება, რომლის შედეგადაც რუსეთს ხვდებოდა “დიდი ლუკმა”, მიუღებელი იქნებოდა ინგლისისათვის, რომელსაც თავისი მყარი პოზიციები ჰქონდა თურქეთის საბაზრო სივრცეში.

ხელშეკრულების პირობები არ სრულდებოდა. ამას ისიც დაერთო, რომ ინგლისმა და თურქეთმა დაიწყეს თავისი აგენტების მემშვეობით ამიერკავკასიაში სამუშაოების ჩატარება-“ხალხზე მუშაობა”. მათ ახალი ომისათვის დაიწყეს მზადება. ცდილობდნენ რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინათ ხალხი, იყენებდნენ ადგილობრივ სასულიერო

პირებს, ბეგებს. ოსმალებმა კატორღიდან გაანთავისუფლეს დამნაშავეები და შექმნეს შეიარაღებული ბანდები, რომლებიც თავს ესხმოდნენ მოსახლეობას და აწიოკებდნენ. პროვოკაციებს დერვიშ ფაშა მეთაურობდა. ინგლისელების დავალებით ამოქმედდა მუსტაფა ფაშა. მას უნდა შეეკრიბა ადგილობრივ მოსახლეობაში ხელმოწერები თითქოს ხალხს სურდა ინგლისელები და არა რუსები. თუმცა შედეგს ვერ მიაღწია და დაიწყო ძალის გამოყენება. 1878 წლის 13 მაისს ხალხი შეკრიბეს შენობაში, ალყა შემოარტყეს და დოკუმენტზე იძულებით მოაწერინეს ხელი. მდგომარეობა გართულდა. კომაროვი მეფისნაცვალს წერდა–საქმე მიდის ახალ ომამდე. დერვიშ ფაშას სახელით ვიღაც ინგლისელი იძლევა განკარგულებებსო. მდგომარეობა დაიძაბა. ამას ისიც ართულებდა, რომ 1878 წელს ოსმალებისა და ინგლისელების დაფინანსებით, აჭარაში შეიქმნა “შურისმაძიებელთა” ჯგუფი. მისი მიზანი იყო რუსეთის მოხელეებისა და მათთან დაკავშირებული ხალხის ლიკვიდაცია.

საბოლოოდ, 1878 წლის 13 ივნისს, ბერლინში შესდგა კონგრესი, რომელსაც გერმანიის კანცლერი ბისმარკი ხელმძღვანელობდა. რუსეთის მხრიდან მონაწილეობდა საგარეო საქმეთა მინისტრი გორჩაკოვი, ინგლისიდან, ინგლისის პრემიერ მინისტრი-დიზრაელი (ლორდი ბიკონსფილდი), საგარეო საქმეთა მინისტრი სოლსბერი. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა 7 სახელმწიფოს 20 წარმომადგენელი. გაფორმდა ტრაქტატი, რომლის მიხედვითაც რუსეთის მფლობელობაში გადადიოდა აჭარა, ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილო ნაწილი-ოლთისი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიების უმეტესობა, ტრაქტატის ხელმოწერის მომენტში რუსთა ჯარის ხელთ იყო, თუმცა აჭარა ბათუმთან ერთად, რჩებოდა თურქეთის ხელთ. კონგრესის მსვლელობის დროს ბათუმთან დაკავშირებით ცხარე დისკუსია წარიმართა. ინგლისი მოითხოვდა იგი ოსმალეთის მფლობელობაში დარჩენილიყო. დიზრაელიმ დაინახა, რომ რუსეთი არ თმობდა ბათუმს და დათანხმდა ბათუმი გადასულიყო რუსების ხელში, მაგრამ როგორც საერთაშორისო სავაჭრო ქალაქი-”პორტო ფრანკო”. ახალი ტრაქტატით, მაკედონია კვლავ ოსმალეთს დაუბრუნდა, აღმოსავლეთ რუმელია დარჩა ოსმალეთის ხელისუფლების ქვეშ და მხოლოდ ადგილობრივი ავტონომია მიიღო. მისი გუბერნატორი ქრისტიანი უნდა ყოფილიყო,

რომელსაც სულთანი ევროპის სახელმწიფოებთან შეთანხმებით დანიშნავდა. ბალკანეთის ქედსა და დუნაის შორის მდებარე ჩრდილო ბულგარეთი გამოცხადდა ავტონომიურ სამთავროდ. დადასტურდა რუმინეთის, სერბიის, ჩერნოგორიის დამოუკიდებლობაც, თუმცა მისი საზღვრები შეიკვეცა. ავსტრია-უნგრეთმა მიიღო ბოსნია და ჰერცეგოვინა.

უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთი მაქსიმალურად აჭიანურებდა ბათუმიდან გასვლის პროცესს, ცდილობდა მოეხდინა კონფლიქტის ესკალაცია. 1878 წლის 25 აგვისტოს, რუსეთის სამხედრო შენაერთმა დაიკავა ბათუმი. 1878 27 ოქტომბერს დაიწყო საზღვრების დადგენა და შეიკრიბა კომისია. თუმცა თურქეთს არ სურდა დაეთმო მდიდარი კუთხე მურღული, რომელიც რუსეთს ეკუთვნოდა. მოლაპარაკება რამდენიმეჯერ ჩაიშალა. ოსმალები მას თვითნებურად მართვადნენ. დაარწმუნეს მოსახლეობა, რომ მდინარე ჭოროხი იყო საზღვარი, რომ ართვინი, ბორჩხა, მურღული ოსმალებს დარჩებოდათ. ოსმალები სარგებლობდნენ საზღვრის დაუდგენლობით და აქეზებდნენ ხალხს გადასახლებულიყვნენ. მოსახლეობაში პანიკას თესავდნენ, თავს ესხმოდნენ და “დედა სამშობლოში” ანუ თურქეთში გადასახლებისკენ მოუწოდებდნენ. რეგიონის მუსლიმანი მოსახლეობა სტამბოლში ტელეგრამებს აგზავნიდა. ისინი აცხადებდნენ, რომ არ მიატოვებდნენ მშობლიურ მიწას, რამაც იმდროინდელ ქართულ პრესაშიც კი ჰპოვა თავისი გამოხატულება. დაძაბულობამ არა მხოლოდ მუსლიმანი მოსახლეობა, არამედ მთლიანად რეგიონში მცხოვრები ქართველები გაყო ორად: იმ პერიოდის ქართულ გაზეთებში ვკითხულობთ, რომ მოსახლეობის ერთი ნაწილი არ ეწინააღმდეგებოდა რეგიონის რუსეთის ხელში გადასვლას და მხარს არ უჭერდა ხალხის მასობრივად გადასახლებას. მეორე ნაწილი კი მიუღებლად თვლიდა რუსეთის მმართველობის ქვეშ ცხოვრებას და გადასახლების მომხრე იყო. წაქეზების შედეგად ადგილი ჰქონდა მოსახლეობის ცალკეულ აჯანყებებსაც, რომლის მეთაურების დასჯას რუსეთის მხარე მოითხოვდა. თუმცა ქართული საზოგადოება მდგომარეობის განმუხტვის მიზნით, ხალხთან დიალოგსა და მოლაპარაკებას მოითხოვდა. 1878 წლის, გაზეთში “დროება”, № 164, ვკითხულობთ “მთელი აჭარის ხალხი გადასახლდება ოსმალეთში, და არა მგონია, რომ ამისთანა შედეგი ვინმესთვის სანატრელი და

სასიამოვნო შეიქმნეს. ერთი ხეირიანი უფროსი, ხალხის ზნე-ჩვეულების მცოდნე ჭკვიანი კაცი უფრო მომეტებულ სარგებლობას მოიტანს ამგვარ შემთხვევაში და უფრო უკეთ მოუვლის და დააწყნარებს ხალხს, ვიდრე რამდენიმე ბატალიონი ჯარი”. როგორც ვლინდება ამ რეგიონში არსებულ პრობლემებს ხელს ისიც უწყობდა, რომ რუსს მმართველებსა თუ სამხედრო პირებს არ ესმოდათ მოსახლეობის ენა, ადათები, რაც ბუნებრივია ძაბავდა ისედაც დაძაბულ ვითარებას. თავის მხრივ ქართველი ინტელიგენცია ცდილობდა განემუხტა სიტუაცია, მათ აჭარის გავლენიანი პირები მიიწვიეს თბილისში. მათ შორის იყვნენ-შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი, ნური ბეგ ხიმშიაშვილი, ჰუსეინ ბეჯანოღლი, ჰუსეინ ბეგ აბაშიძე. ვახშამს დაესწრნენ ასევე გ. ორბელიანი, პ. უმიკაშვილი, კ. მამაცაშვილი, ი. კერესელიძე. ილ. ჭავჭავაძე თბილისში არ ყოფილა, თუმცა მისი აზრი კარგად გამოვლინდა “შინაურ მიმოხილვებში”. 1879 წლის, თებერვლის მიმოხილვაში ვკითხულობთ “აბა, ქართველობავ, ეხლა შენ იცი, როგორ დაანახვებ თავს შენს ახლად შემოერთებულს ძმებსა! ეხლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათ ანდერძს: “ძმა ძმისთვისაო და შავი დღისთვისაო!” ეხლა გამოჩნდება, ეს ანდერძი შენთვის ცარიელი სიტყვაა, თუ სავსე საქმეა!..”. (ჭავჭავაძე 1927, 36)

ოსმალეთის ხელისუფლებამ ერთის მხრივ დერვიშ-ფაშა გააქტიურა, მეორეს მხრივ კი, სტამბოლში მყოფი ალი- ფაშასა და მისი ძმის ოსმან-ფაშას საშუალებით ცდილობდა გავლენის მოხდენას, როგორც ადგილობრივ მებრძოლებზე, ისე მუსლიმან მოსახლეობაზე. ხალხზე ზეგავლენის მიზნით, აქტიურად მუშაობდა თურქეთის აგენტურა, დაქირავებული ქართველი მოღვაწეები, ხალხში გავლენის მქონე პიროვნებები და რათქმაუნდა რუსეთის იმპერიალისტური მანქანა, რომელიც მაქსიმალურად ცდილობდა პრობლემა გადაეჭრა იმით, რომ თავიდან მოეშორებინა მუსლიმანური მოსახლეობა, რომელსაც ზედმეტ თავის ტკივილად მიიჩნევდა. შეიძლება ითქვას, რომ თურქეთისა და რუსეთის ინტერესები გარკვეულწილად ერთმანეთს ემთხვეოდა-ანუ ორივე მხარე ცდილობდა საკუთარი ინტერესები მუსლიმანი ქართველი მოსახლეობის ხარჯზე განეხორციელებინა.

მუჰაჯირობა

სიტყვა მუჰაჯირი არაბული სიტყვაა და ნიშნავს ემიგრანტს, გადახვეწილს. ეს უკანასკნელი ჩვენში მე-19 საუკუნეში ჩნდება. მუჰაჯირობა შეეხო ბჟედულებს, ყუბანისპირელ ნოღაელებს, ჩერქეზებს, უბიხებს, ჩეჩნებს, ყარაჩაელებს, ყაბარდოელებს, ოსებს, აფხაზებსა და სამხრეთ საქართველოში მცხოვრებ მაჰმადიან ქართველებს. ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა გადასახლება თურქეთში დაიწყო 1858-1859 წლებში. კულმინაციას მიაღწია 1863-1864 წლებში. ყველაზე ინტენსიური იყო მუჰაჯირობა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან, საიდანაც ადიღურ-ჩერქეზული ტომები მასობრივად გადასახლდნენ თურქეთში.

საქართველოში მუჰაჯირობის პირველი ტალღა დაიძრა სამცხე-ჯავახეთიდან, რაც მოჰყვა 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომს. ქართველთა მუჰაჯირობამ ფართო მასშტაბი 1877-1878 წლების ომის შემდეგ მიიღო. მუჰაჯირობას საკმაოდ რთული ისტორია აქვს. იგი არა მხოლოდ ქართულ, არამედ ზოგადკავკასიურ ტრაგედიას წარმოადგენდა.

ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით გამუსულმანებულ მოსახლეობას უფლება მიეცა ან რუსეთის ქვეშევრდომობა ეღიარებინა, ანდა შეეძლო ოსმალეთში გადასახლებულიყო. ხელშეკრულების მიხედვით მუჰაჯირობის ოფიციალური ვადა დაინიშნა 1879 წლის 3 თებერვლიდან 1882 წლის 3 თებერვლამდე, თუმცა გადასახლების ვადა გადაიწია 1884 წლამდე. მაგრამ ეს პროცესი შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა. მეორე მსოფლიო ომმა, საბჭოთა რუსეთის სიძულვილმა, ბევრს ათქმევინა უარი საბჭოთა კავშირის მხარეზე ებრძოლა, ⁵ თუმცა მათ კარგად იცოდნენ, რომ რუსეთის მხარეს ბრძოლაზე უარის თქმის შემთხვევაში, დახვრეტა ემუქრებოდათ. ერთადერთი

⁵ იხ. ნ. ოქროსცვარიძე, “ბათუმელი” ოსმან აქისქალიოღლუ-გოჩიტძე (თურქეთის ქართველების კიდევ ერთი ისტორია დაწყებული სამშობლოში, გაგრძელებული და ტრაგიკულად დასრულებული სამშობლოდან შორს), ჟ. “ამირანი”, № 23. 2011, <http://www.caucasology.com/amirani23/okrostsvavidze.djvu> (10.4.2012)

გზა საქართველოს დატოვება იყო. ამით ახალი თაობის მუჰაჯირად იქცნენ და თავშესაფარი თურქეთში ჰპოვეს.

მუჰაჯირობამ დიდი ზარალი მოუტანა საქართველოს ისტორიულ ზემო ქართლს (სამცხე-საათაბაგოს) თითქმის სულ დაიცალა კოლა, არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი, ლივანი, მურღული, მაჭახელა, ტაო, აჭარა, ქობულეთი. მუჰაჯირობა არ ყოფილა სპონტანური მოვლენა. ეს უკანასკნელი ნელ-ნელა მზადდებოდა, რასაც როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელს უწყობდნენ ანტიქართული ძალები, როგორც ქვეყნის გარეთ, ისე ქვეყნის შიგნით.

ემიგრირებული ქართველების ე.წ. “მესამე ფენის”⁶ ანუ მუჰაჯირების გადასახლებას ერთი ან ორი კონკრეტული მიზეზი არ ჰქონია, იგი მიზეზთა მთელ კომპლექსს წარმოადგენდა, რომელშიაც ერთნაირი დოზით შედიოდა რუსული იმპერიალისტური ძრახვები, თურქეთის აგენტურა, ხალხის გაუნათლებლობა, ფანატიზმით გამსჭვალული სასულიერო პირები, რენეგატი ქართველები, რომლებიც

⁶ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთში სამი ტიპის ქართველობა არსებობს-**პირველი ფენა** საუკუნეების წინ სტამბოლის ბაზარზე გაყიდული ტყვეები- XVI-XVII სუკუნეთა მიჯნაზე ქართველ ტყვეთა გარკვეული კატეგორია ყალიბდება: ნადავლის ტყვე, ხარკის ტყვე, ნაყიდი ტყვე, ნაჩუქარი ტყვე. XVII ს-ის I მეოთხედში თავისი თვალით უნახავს სულხან-საბა ორბელიანს ქართველი ტყვეები. “დაკარგულის გამოსახსნელად მთელი ოჯახი დაირაზმებოდა ხოლმე და ამ ძებნაში თავადაც “იკარგებოდნენ”. მეტად საინტერესო ფაქტი დაუფიქსირებია მიხეილ თამარაშვილს, (ხელნაწერთა ინსტიტუტი მ. თამარაშვილის პირადი ფონდი #173) “შუადამისას ტყვენი წაასხეს..ამ ტყვეებში იყვნენ ივლიტელი ჩვენი მძახლის ძუძუნას შვილები სიმონაი 13 წლისა და ჯანოი 10 წლისა და მათი და მარიამი. ახლად გათხოვილი მარიამი მალევე უპოვნიათ და დაუბრუნებიათ, აი ბიჭები კი გაუყიდათ. დედამ თურმე მარიამის მეუღლე პეტრე ჯანაშვილი წაიყვანა მათ საძებნად. გემში ვიღაცის მოღალატეობით პეტრე დაიხრჩო ზღვაში, დედას კი რა დაემართა არავინ იცის. შეიძლება ზღვაში დაიხრჩო ან სტამბოლში გაიზიარა სხვა ტყვეთა ხვედრი. მარიამი კი მარტო დარჩენილა და ისიც სტამბოლის გზას დასდგომია მათ მოსამებნად. ამბობენ, წავიდა სტამბოლს და თქვეს ხალხმან თუ გათათრებულან ძუძუნას შვილები სტამბოლშიო”. **მეორე ფენას** ავტოქტონური ქართველები წარმოადგენენ, რომლებიც ოსმალეთმა მიწებიანად მიიტაცა. **მესამე ფენა** კი მუჰაჯირები იყვნენ, რომლებიც მე-19 საუკუნის 30-იანი და 70-იანი წლებიდან ოსმალეთში მუჰაჯირად წავიდნენ.

შეიძლება ითქვას ოსმალთა დასაყრდენს წარმოადგენდნენ, ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობა, რომელიც მუსლიმან ქართველებს “თათრებად” მოიხსენიებდნენ. ამ ყოველივეს 1879 წლის გაზეთი “გოლოს”-ის მიხედვით, ეკონომიკური სიდუღჭირეც ემატებოდა. მუჰაჯირებს სწამდათ, რომ თურქეთში ისინი ბედნიერები და მატერიალურად უზრუნველყოფილები იქნებოდნენ. თურქეთი მათთვის “მექა” და სამოთხე იქნებოდა. ამაში ბუნებრივია, მოლები და ოსმალეთის მიერ მოსყიდული პიროვნებები არწმუნებდნენ.

1878 წლის გაზეთი “დროება” ასახელებს ქართველთა გადასახლების შემდეგ მიზეზებს:

1. მოლების ფანატიკური ქადაგება
2. ბეგებისა და ალების წაქეზებით, თურქეთში გადასახლებისაკენ მოწოდება.
3. რუსების მიერ დადგენილი ახალი გადასახადი.
4. ფანატიზმი.

ერთ-ერთ მიზეზად ბერლინის ტრაქტატის პირობაც სახელდება, რომელმაც ძალაში დატოვა სან-სტეფანოს ხელშეკრულების 61-მეერთე მუხლი. ამ უკანასკნელის მიხედვით მოსახლეობას უფლება ეძლეოდა გაეყიდა საკუთარი მოძრავი ქონება და გადასახლებულიყო ოსმალეთში. მუსლიმან ქართველებს მისცეს 3 წელი, რომლის დროსაც უნდა მოესწროთ საქართველოს დატოვება, მერე კი უფლება აღარ ექნებოდათ. ისინი შიშობდნენ, “ვაი თუ სამი წელი გავიდეს და ვერ წავიდეთ, მერე უკვე აქედან ვეღარ გავალთ”. ამ ყოველივემ განაპირობა მე-19 საუკუნის მიწურულის ქართველი ერის ტრაგედიად მიჩნეული-მუჰაჯირობა.

გაზეთ “დროებაში” გ. გურიელი წერდა, რომ მას უსაუბრია ბათუმის ბეგებთან, რომლებსაც დაუსახელებიათ გადასახლების მიზეზები და ხალხის მოთხოვნები, რაც არ იქნა დაკმაყოფილებული. ეს მოთხოვნები შეეხებოდა შემდეგს:

1. შთამომავლობით კუთვნილი მიწა-ადგილის მათთვის დამტკიცება (მთავრობის პირების მიერ ხდებოდა მამულების წართმევა)
2. სარწმუნოების ხელშეუხებლობა.
3. მათი ენისა და წეს-ჩვეულებების მცოდნე პირთა დანიშვნა.
4. სამი წლის განმავლობაში გადასახადის ჩუქება.

1880 წლის "დროება" იტყობინება, რომ ბათუმში მმართველობას დაუწყებია გადასახედი, რაც ადგილობრივებს მძიმე ტვირთად აწვებოდა. ეს გადასახედი დაედო ნავებს, "ფელეკას" და "კაიუშკებს".

ომმა, გატარებულმა რეფორმებმა, მოსახლეობაში გამოიწვია ეკონომიკური სიღუბე. რუსეთი ხალხს თითქოს უნიშნავდა დახმარებას, როგორც ცნობილია მშვიდ მოსახლეობასა და ეკონომიკურად განადგურებულ ხალხს, რუსეთმა გამოუყო 20 ათასი მანეთი, 4 ათასი ფუთი ქერი, 14 ათასი ფუთი სიმინდი. თუმცა ამავდროულად უწყებდნენ გადასახადებს. ხალხს შეუჩივლია კიდევაც, მაგრამ ცარიზმის მოხელეს მუქარით უპასუხია, რომ თუ დროზე არ გადაიხდიდნენ გადასახადს, მაშინ ორმაგად მოუწევდათ გადახდა. ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, მთავარ მიზეზებად სწორედ ეკონომიკურ სიღუბეს და მძიმე გადასახადებს ასახელებდნენ. ნ. ნიკოლაძე 1879 წლის გაზეთში "დროება", წერდა-ხალხმა ვერც კი მოასწრო ომის შედეგად უბედურებისაგან თავის დაღწევა, რომ გასულ წელს მათგან გადასახედი აიღეს 6-დან 10 მანეთამდე. ამავ დროს მათი აკრებისათვის უხეშ მეთოდებს იყენებდნენ.

რუსეთს ბათუმი დაუბრუნდა, როგორც თავისუფალი სავაჭრო ქალაქი-ანუ ამოქმედდა ევროპის სახელმწიფოებისაგან დაწესებული "პორტო ფრანკოს რეჟიმი". რამაც გაართულა ხალხის მდგომარეობა ანუ მოსახლეობას არ შეეძლო ბათუმში გაეყიდა ან ეყიდა საქონელი ბაჟის გარეშე. ამასთან დაკავშირებით, ბათუმის ნავსადგურის უფროსი კონტრ ადმირალი გრევი მოხსენებას წერს კავკასიის შტაბის უფროსს. მასში მოყვანილია ხალხის ნაამბობი-რომ ადრე სულთნის დროს, ხალხს თავისუფლად გადაჰქონდა საქონელი, ყიდდა და ყიდულობდა მას. ახლა კი როგორც ქურდებს ისე

ჩხრეკავენ და ყველაზე შეურაცმყოფელი ის არის, რომ ასევე ექცევიან ქალებს, რაც ყურანს ეწინააღმდეგება. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის მმართველობამ არათუ არ გაითვალისწინა ხალხის სიდუხჭირე, არამედ საერთოდ უგულვებელყო თავად მოსახლეობის ადათ-წესები და რელიგიური ტრადიციები.

საჭირო იყო სამიწადმოქმედო საკითხის მოგვარებაც. საბუთების დაზუსტების მიზნით, აჭარაში დ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით შეიქმნა კომისია. აღმოჩნდა, რომ შეუსაბამობა იყო თურქეთის სამიწადმოქმედო კანონსა და ფაქტიურ მფლობელობას შორის. დამაბული ვითარების გამო, ხდებოდა ფალსიფიკაციის ფაქტები. ამის გამო კომისიამ არ სცნო მიწაზე უფლება და აიკრძალა მისი გაყიდვა. ასევე გაუგებრობა გამოიწვია ჩატარებულმა კამერალურმა აღწერამ, რადგანაც ხალხმა იგი ახალი გადასახადების აკრეფის წინაპირობად მიიჩნია. ასევე უკმაყოფილონი იყვნენ ისეთი რეფორმებით როგორც იყო-სასამართლოში ქალის მოწმედ გამოძახება, სისხლის აღების აკრძალვა. მიუხედავად იმისა, რომ ძალაში დარჩა მეჯლისი, უფლებები შეიზღუდა და მის კომპეტენციაში ადგილობრივ მოსახლეობას შორის მხოლოდ სამოქალაქო საკითხების მოგვარება შედიოდა.

ეკონომიკურ სიდუხჭირეს ხელს უწყობდა რელიგიური ფანატიზმიც. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიის ნაწილი მუჰაჯირობის უმთავრესს მიზეზად სწორედ რელიგიას ასახელებს. 1879 წლის გაზეთი “კავკაზი” შენიშნავს, რომ რელიგია “ფერმენტის როლს ასრულებდა, რომელმაც მოძრაობაში მოიყვანა არსებული ღრმა სოციალური მიზეზები.” ბუნებრივია გაუნათლებელი ხალხის მართვა რელიგიით მარტივი იყო. ეს ძალიან კარგად იცოდნენ ოსმალებმა და ყველანაირად ცდილობდნენ ქართველი თუ თურქი მოღლები თავიანთი მიზნებისათვის გამოეყენებინათ. გადასახლებისაკენ მოწოდება, მეჩეთებიდანაც კი ისმოდა-“მუაჯირა გეთთიო”. ზ. ჭიჭინაძე, რომელმაც არაერთხელ იმოგზაურა აჭარაში და მოიარა მუსლიმანი ქართველებით დასახლებული სოფლები, აღნიშნავდა, რომ მოსახლეობის აზრით მუჰაჯირობის მიზეზი-ოსმალეთიდან მოსული ხოჯები იყვნენ. ისინი ეუბნებოდნენ ხალხს წასულიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსები გააქრისტიანებდნენ, ოჯახს

“წაუხდენდნენ”, რადგანაც მათ არც წესი და არც კანონი არ ჰქონდათ. 1878 წელს, როდესაც ოსმალეთის ყოფილი საქართველოს “შემოერთების წესები” დადგინდა, როგორც ზ. ჭიჭინაძე გადმოგვცემს, 15 მუხლისაგან შესდგებოდა- ბათუმის მაზრა კავკასიის სამხედრო განყოფილებას ემორჩილება, სამხედრო და ადმინისტრაციული თვალსაზრისით, კავკასიის არმიის მთავარ სარდალს, ბათუმის მაზრის გამგეობა მინდობილი ჰქონდა ბათუმის სამხედრო გუბერნატორს, რომელსაც იგივე უფლება ჰქონდა, როგორც ურალისა და ტურგაის სამხედრო გუბერნატორებს, ქალაქ ბათუმს უნდა დარქმეოდა “ნავსადგური” და სხვ. ამ ახალი წესების შემოღებას დიდი ამბოხი მოჰყვა, რომელსაც მოღებები ედგნენ სათავეში და ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ.

აღსანიშნავია, რომ “ძალით გაქრისტიანების” შიში მოსახლეობაში ნელ-ნელა იზრდებოდა. ბათუმში ბევრი ქართველი მაჰმადიანი ყვიროდა, “რუსები შემოვლენ, გაგვაქრისტიანებენ, ქალ-ბაღანას მოგვტაცამენ, მერე სულ გავექართველებით. დავიღუპეთ, ჩვენი ბინა აქ აღარ იქნება, დაიღუპება მუსულმანობა, წავიდეთ. გეთთი, გეთთიო”. (ჭიჭინაძე 1909, 24)

ოსმალები გადასახლების შემთხვევაში ხალხს პირდებოდნენ მიწებს, ფულს, სასოფლო-სამეურნეო იარაღებს. ურიგებდნენ ბროშურებს, სადაც ნათქვამი იყო, რომ თუ დარჩებოდნენ, ისინი ვერ ეღირსებოდნენ ედემს, სულით წარწყმდებოდნენ, ხოლო თუ დროზე წავიდოდნენ საჩუქრებსაც მიიღებდნენ, ხოლო ვინც დარჩებოდა, მათ “ძველ გიაურებად” ჩათვლიდნენ. ხალხს აშინებდნენ და ყველაფერს სააგიტაციოდ იყენებდნენ. მაგალითად, როგორც 1880 წლის გაზეთი “კავკაზი” იტყობინება, 1879-1880 წლებში ძლიერი ზამთარი ყოფილა, ხალხს უკიჟინებდნენ ”რუსები მოვიდნენ და რუსეთის ზამთარი” მოიტანესო. ასევე აგიტატორებს მოსახლეობიდანაც იყვანდნენ. მათ ამგზავრებდნენ ოსმალეთში, იქ კარგ პირობებში აცხოვრებდნენ, ყველა ხარჯს უნაზღაურებდნენ, მერე კი უკან აბრუნებდნენ. ისინი მოსახლეობაში უკვე ოსმალური პოლიტიკისა და იდეოლოგიის მშვენიერი აგიტატორები იყვნენ. მუჰაჯირად წასულები თავიანთ ნათესავებს წერილებს უგზავნიდნენ და უყვებოდნენ ბედნიერ ცხოვრებაზე,

ასევე ავალეზდნენ საკუთარ სოფლებში შეეკრიბათ ცნობები თუ რამდენი რუსი ჯარისკაცი იყო. რატქმაუნდა ამ მონაცემებს თურქეთის დაზვერვა იყენებდა.

გადასახლებაზე წაქეზების პროცესი, ოსმალეთის აგენტურის წარმომადგენლებმა- მოლებმა, "ოსმალს საქართველოს" ტერიტორიების რუსეთთან შემოერთებამდე დაიწყეს. ოსმალეთში ფანატიკოსი მოლები ოსმალურად პროკლამაციებს ბეჭდავდნენ, ჩუმად უგზავნიდნენ აქარლებს და აქეზებდნენ. აქარაში შეკრიბეს მიახლოებით 20 კაცი და ოსმალეთში გაუშვეს, რათა გაერკვიათ თუ რა პირობები ექნებოდათ იქ წასვლის შემთხვევაში. მათ მოუტანიათ ცნობები, რომ "ჩვენ კაი ადგილებს გვაძლევენ ანატოლიისკენაო. ანატოლიის ადგილები საქართველოსა ჰგავს და აბა ეცადეთ აიყარენით და წამოდით იქითო". (ჭიჭინაძე 1912, 77)

ქართველი მოლები, რომლებიც ოსმალეთში სწავლობდნენ, განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ. ისინი ოსმალეთიდან ოსმალური იდეოლოგიით ბრუნდებოდნენ. ქართველი მოლები თითქმის ყოველდღე არწმუნებდნენ ხალხს წასულიყვნენ ოსმალეთში, "თავიანთ ძმებთან". "სადაც ჩვენი ფადიშაჰია, იქ არის ჩვენი ადგილიცო". (ჭიჭინაძე 1912, 77)

ქადაგებები გადასახლების თაობაზე, 1877-1881 წლებში ყოველ პარასკევს მეჩეთში, მოლების მიერ იკითხებოდა. ხალხიც მზად იყო, გამოსვლისთანავე მზადებას შესდგომოდა. ამ ქადაგების მეშვეობით, ხალხს მოუწოდებდნენ რომ "ჯენეტში" შესვლა მხოლოდ სულის ცხონებით კი არა, არამედ იმითაც ხდება თუ სად დაიმარხება სხეული. ასეთი ადგილი უნდა იყოს წმინდა. მათთვის ეს ადგილი იყო ოსმალეთი- "თათრის მიწაში "მუჰაჯირად" წასვლა...ვისაც სააქაო საიქიოს ურჩევნია, ვისაც სურს, რომ სააქაოს ცოდვები ეპატიოს და სააქაოს ლხენა მიიღოს, იმისათვის ეს ძნელი არ იქნება...". (ჭიჭინაძე 1912, 179) მათი აზრით, სანამ ადამიანი გადასახლებაზე იფიქრებს, მანამდე გულიდან უნდა ამოირეცხოს ეს მხარე. ხოლო იქ წასვლის შემდეგ "აქაური არაფერი არც უნდა გაიხსენოს, არც ბადი-ბოსტანი, არც ცივი წყალი, სახლ-კარი, არც ავი და არც კარგი" . (ჭიჭინაძე 1912, 180)

ზ. ჭიჭინაძეს მოყვანილი აქვს იმ მოღვაწის გვარები, რომლებიც გადასახლებას ქადაგებდნენ. მაგალითად, დელი მამად ეფენდი-მან ზაქარიას მეღვინით სავსე შუშა ესროლა აქ ნუ მოდიხარო. მას სახელად “დელი”, ანუ გიჟი შეარქვეს. იგი ფანატიზმით გამოირჩეოდა. ხოჯა იბრაჰიმ ეფენდი, “ქართველების მოძულე”. მისი ფანატიზმი და პრო-ოსმალური განწყობა იქამდე მივიდა, რომ ამტკიცებდა თამარ მეფე “თათრის ქალი” იყო. მაგრამ მიუხედავად ამ ფანატიზმისა, ქართულ ტრადიციებს მაინც ვერ სპობდნენ საკუთარ თავში, რაც ხშირ შემთხვევაში ქვეცნობიერად და სპონტანურად გამოვლინდებოდა. ზ. ჭიჭინაძეს მოყვანილი აქვს შემდეგი ფაქტი-ერთ ხოჯას ყანაში ნადი ჰქონია, მუშებს ქართული ხმებით დაუწყიათ სიმღერა, მათ ხოჯაც აჰყოლია. რამაც დიდი გაკვირვება გამოიწვია. მას უთქვამს, რომ ჩვენები “თათრულს ასე ვერ აწყობენო”. თუმცა ბუნებრივია იყვნენ ისეთი სასულიერო პირებიც, რომლებიც თავიდანვე მიხვდნენ, რომ ოსმალეთისა და რუსეთის პოლიტიკა ქართველების აყრას ემსახურებოდა. ისინი მოუწოდებდნენ მოსახლეობას არ მიეტოვებინათ საკუთარი მიწა-წყალი. როგორც ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, ქართველთა მუჰაჯირობას ხელს უშლიდა ქედის მუფთი სოფელ მერისიდან ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი-სურმანიძე, რომელმაც ხალხს ურჩია არ წასულიყვნენ, არ მიეტოვებინათ აშენებული სახლები, მიწა. რადგანაც თურქეთში ვეღარ ააშენებდნენ ახალს. იგი მათ ყურანში დაწერილი წესებითა და კანონებით არწმუნებდა, რომ წასვლა შეცდომა იქნებოდა-ყურანის მიხედვით “ქალბაღანა ისე უნდა აცხოვროთ, რომ არ მოამშობოთ, თქვენ კი ამას ვერ შეძლებთ და ცოდვაში ჩავარდებით” (ჭიჭინაძე 1912, 182) მისი აზრით, მიწა ყველგან მიწაა, იგი ღმერთს ეკუთვნის. მუსლიმანი კი ცხონდება თავისი კეთილი საქმით. “მუჰაჯირობის შესახებ აი რა წერია ჩვენს წიგნებში, რომ მუჰაჯირად წასულმა კაცმა ისე უნდა ამყოფოს თავისი შვილები რომ პური არ მოშივდეთო, ქალებს პირბადე არ მოეხადოთო, ხუთჯერ ვახტის ლოცვა უნდა შეასრულოს, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდ ცოდვაში ჩავარდებაო”. (ჭიჭინაძე 1912, 145) ამ ქადაგების შემდეგ ხალხი დამშვიდებულა. იგი მეჩეთში ქართულად ქადაგებდა და ხალხიც ამის გამო ემადლიერებოდა. მუფთი ჰასან ეფენდი გვერდამე, სოფელ ზუნდაგულიდან, ჰაჯი ლომან ეფენდი ბერიძე, მუფთი ჰასან ეფენდი

გვერდამე, ოსკარ ხოჯა არდანიუჩი და სხვ. ისინი აქტიურობდნენ, რათა ქართველთა გადასახლებისათვის ხელი შეეშალათ.

ქართველთა გადასახლებაში, სასულიერო პირების გარდა, დიდ როლს ასრულებდნენ ქართველ მუსულმანებში გავლენის მქონე პიროვნებებიც. მაგალითად, ალი ფაშა და ოსმან ფაშა თავდგირიძეები, ყემპერ ალა ფაშოღლი (ჩივაძე) სოფელ ხუცუბანიდან.

ალი ფაშა თავდგირიძე და დერვიშ ფაშა, როგორც ზ. ჭიჭინაძე გადმოგვცემს, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ რომლის სიტყვით უფრო მეტი აიყრებოდა საკუთარი მიწა-წყლიდან. 1890 წელს ზაქარია ჭიჭინაძეს გაუცვნია ჰოჯა ემინ ეფენდი კობალაძე. მისი ცნობით თავდგირიძეს წაუყვანია თან 7000 მოსახლე ”სული, კაცი, ქალი, ბაღანა კი არა, ერთი მოსახლე, შვიდი ათასი”. (ჭიჭინაძე 1912, 148)

გადასახლებას ძირითადად ალი ფაშა თავდგირიძე და ყემპერ ალა ფაშა ოღლი ჩივაძე მეთაურობდნენ. ოსმან ფაშა თავდგირიძე, რომელიც ადრე უქადაგებდა ქართველ მაჰმადიანებს აყრილიყვნენ და ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ, მოგვიანებით უკან დაბრუნებას ურჩევდა, რადგანაც მათი საქმე მიწაზე მუშაობა იყო.

იყო შემთხვევები, რომ ოჯახები ორად იყოფოდა. ერთი ძმა თავისი ოჯახით რჩებოდა, მეორე კი მიდიოდა და იკარგებოდა მათ შორის კავშირიც. ზ. ჭიჭინაძეს მოყვანილი აქვს დედის მიერ შვილისადმი მიწერილი წერილი, სადაც შვილს სთხოვს როგორმე დახმარებოდა და წაეყვანა, თუ ძმის ოჯახს ვერ წაიყვანდა, მას მაინც მიშველებოდა. ასეთი წერილები უხვად ყოფილა იმ პერიოდის საქართველოში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავდგირიძეთა გავლენიანი გვარის წარმომადგენელს, ქობულეთელ გენერალ-მაიორ ალი-ფაშა თავდგირიძეს, თურქეთში მყოფი ქართველთა ნაწილი, დადებითად მოიხსენიებს. მათი აზრით, ალი ფაშა რუსებს ებრძოდა და რომ ვერაფერს გახდა, იძულებული იყო ხალხთან ერთად წასულიყო სამშობლოდან. მეორე ნაწილი კი პირიქით, მოღალატედ მიიჩნევს, ეს მოვლენა უკავშირდება შემდეგ ფაქტს, კერძოდ, ომის დროს, რეგიონში დამხმარე ძალის მეთაურად ყოფნისას, ალი ფაშა

თანამდებობიდან გადააყენეს და სტამბოლში გადაიყვანეს, რადგან მას დაბრალდა ომის დროს დაკისრებული ზოგიერთი მოვალეობის შეუსრულებლობა, ბათუმის არმიის მეთაურისადმი დაუმორჩილებლობა და რუსებთან ფარულ კავშირში შესვლა. საინტერესო ცნობას გვაწვდის ზ. ჭიჭინაძე ნაშრომში “ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსულმან ქართველთ საქართველოსი”. გ. გურიელის ნაამბობის მიხედვით, შერიფ ბეგს, მეფისოვსა და გურიელ შორის მოლაპარაკება ყოფილა, რომ აჭარა უბრძოლველად უნდა დანებებულიყო. ქობულეთის ბეგებსაც თანხმობა განუცხადებიათ. მაგრამ უარზე იყო ალი ფაშა თავდგირიძე და მისი ძმა ოსმანი. მას გარკვეული თანხა შესთავაზეს, რომ წინააღმდეგობა არ გაეწია და ტყუილად სისხლი არ დაეღვარა. მალე ომიც დაიწყო და რუსების არმიამ აიღო არტაანი, ყარსი, ერზრუმი, თუმცა ბათუმი, ქობულეთი და სხვა ადგილები აუღებელი იყო. მიახლოებით 1877 წელს მოხდა ერთი ფაქტი, რაც რუსებს ძვირად დაუჯდათ-ისინი ოზურგეთის მხრიდან მიდიოდნენ ოსმალეთის საზღვრებამდე, დაბანაკდნენ სოფელ ლელვაში. ადგილობრივები მათთან არ კონტაქტობდნენ. ერთ დღეს ერთმა რუსმა ჯარისკაცმა გზაზე მიმავალ ქართველ მაჰმადიან ბავშვს ესროლა და მოკლა. ამან თავზარი დასცა იმ ადამიანებს, რომლებმაც პირობა დადეს, რომ რუსეთის მხედრობის წინააღმდეგ ხელში იარაღს არ აიღებდნენ, მაგრამ მოხდა პირიქით. კინტრიშის ხეობაში დიდძალი რუსის ჯარი დაილუპა. გაწყდნენ კახეთიდან გაყვანილი ქართველი მეომრებიც. ქართველ მაჰმადიანებს სარდლობდნენ ძმები თავდგირიძეები. საინტერესოა, რომ ომს სხვადასხვანაირად უყურებდნენ ქართველი მაჰმადიანები. მათი ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ რუსების გამარჯვებით ისინი საქართველოს დაუკავშირდებოდნენ, და მუსლიმანებად დარჩებოდნენ. მეორენი კი ფიქრობდნენ, რომ საჭირო იყო აყრა და გადასახლება ოსმალეთში. როგორც ზ. ჭიჭინაძე იტყობინება, ქართველი მაჰმადიანების ასეთმა აშლილობამ დააფიქრა ოსმალები, მათ შიში გაუჩნდათ, რომ ”გურჯები” აურზაურს დაიწყებდნენ. ოსმალებმა ალი ფაშა გაკიცხეს-“თქვენ გურჯები ხართო და შეიძლება გვიღალატოთო”. ამ ღალატის მეთაურად კი ალი ფაშას ასახელებდნენ. ამის გამო უსიამოვნება ჩამოვარდა მათ შორის. ოსმალთა მთავარსარდალი და ალი ფაშა სამტროდ გადაეკიდნენ ერთმანეთს. ქართველ მაჰმადიანების ნაწილმა დაიჯერა რუსები იმიტომ იმარჯვებდნენ, რომ ალი ფაშა

ღალატობდა. დერვიშ ფაშამ ალი ფაშა საქართველოდან გააძევა. იგი სტამბოლში გადაიყვანეს. სადაც თავი უმართლებია და საქართველოში დაბრუნებულა. მას გახსენებია მოლაპარაკება, რომლის საფუძველზეც უნდ მიეღო რუსებისაგან ასიათასი მანეთი, იმ შემთხვევაში თუ არ გავარდებოდა ტყვია. ალი ფაშამ შეიტყო, რომ აღნიშნული თანხა გურიელს გადაეცა და მისთვის გადაცემა მოითხოვა. რუსეთის მთავარსარდლისათვის წერილიც კი გაუგზავნია (იგი ქართულად ყოფილა დაწერილი) რის გამოც სარდალს გურიელისათვის მიუცია წასაკითხად. ქართულ ისტორიოგრაფიაში ალი ფაშა რენეგატ ქართველად არის მიჩნეული, რომელმაც უამრავი ქართველი დაარწმუნა უცხო მიწაზე მუჰაჯირად წასულიყო, ბევრი ვერც აღწევდა დაპირებულ “სამოთხეს” და გზაში კვდებოდა, ბევრი მათხოვრობით ირჩენდა თავს ზოგი კი დარდით კვდებოდა. თურქეთელ ქართველების ერთი ნაწილი მას რუსების წინააღმდეგ მებრძოლ პიროვნებად თვლის და მის საქციელს დადებითად მიიჩნევს, მეორენი კი პირიქით რუსებთან გარიგებაში შესვლის გამო, მოღალატედ რაცხავენ. ალი ფაშას ღალატთან დაკავშირებით ინეგოლის ქართველებით დასახლებულ სოფლებში და არა მხოლოდ აქ, გავრცელებულია სიმღერა “ალი ფაშამ გვიღალატა”.⁷

ბუნებრივია იყვნენ ისეთი გავლენიანი მაჰმადიანი ქართველებიც, რომლებიც პირიქით, ხალხს დარჩენისაკენ მოუწოდებდნენ. მათი წერილები იბეჭდებოდა საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში, სადაც ისინი ტომით ქართველობაზე საუბრობდნენ, ესენი იყვნენ შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი, გულო კაიკაციშვილი, აბდულ ეფფენდი მიქელაძე, ჰასან ეფფენდი ციციშვილი და სხვ. საინტერესოა შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის წერილი გამოგზავნილი არტაანიდან- “გულახდილი აღიარება”-“დროება” 1879 წელი. “თავიდანვე ჩემი თანამემამულე, ჩემ მოძმეთა ტანჯვა, ჩაგვრა, თავში ჩემის მეტი არა მინახავს რა!...თუმცა მე კერძოთ ჩემის ღირსების მომეტებული სახელიც მქონდა, პატივიც, კარგი ყოფა-ცხოვრებაც და სიმდიდრეც მამაპაპეული..მაგრამ ეს ყველა გარეული გამოჩენილობა თვალში სულ არ მომდიოდა.” იგი წუხდა, რომ ოსმალების ბოროტება

⁷ აღნიშნული სიმღერა ჩვენ მიერ 2009 წლის მივლინების დროს იქნა ჩაწერილი

მძლავრობდა. “მარცვა-მგლეჯელობა, დამაქცევლობა და ჩემი ტკბილი სამშობლოს უკიდურესი აოხრება, გატიალება.” იგი აღნიშნავდა, რომ “ჩემდა საუკუნო სასიხარულოდ მომეცა საშუალება ღვთის მადლით მაღალ რუს ხელმწიფის მფარველობის ქვეშ შესვლისა, მეცა და ჩემს თანა მოძმეთაცა ჩვენს მრავალ რიცხვად ძმათა თანა შეერთებითა... ღმერთმა ქნას ჩვენს თანამოძმეთაც საქმით დაგვემტკიცებინოს ჩვენგან მოსალოდნელი კეთილშობილური მოქმედება...ხელი ხელს მიგვეცეს და გარდაგვედგას ის გმირული ნაბიჯი, რითაც განთქმულნი იყვნენ ქრისტიანობის დროს ჩვენი წინაპარნი საქვეყნოდ...ეხაროსთ დიდს ხნით მიღმა იმათ ღრმად მიძინებულს სულსა და გულს..” (ჭიჭინაძე 1911, 250-251)

1878 წლის “დროება”-ში, № 126, ასევე ვკითხულობთ “ჩემი წამოსვლის მეორე დღესვე მისულან სხალთას და ჩემი სახლ-კარი, ყველაფერი გარდუწვამთ. შემიტყვეს, რომ თვალი აქეთკენ მეჭირა, და ძალიან განზედ მიყურებდნენ...დერვიშ ფაშა ყოველ კვირით მწერდა: გეიწიე, გეიწიე ახალციხისაკენო! ჯერ კი ვაღორებდი (ვატყუებდი), რომ გზა მაქვს გამაგრებული, ვერ დავიძრი აქედან, მაგრამ როცა რუსის ჯარი არდანუჯისაკენ გაუშვი ხელ უხლებლად, მაშინ კი სულ უფრო აიღო ეჭვი დერვიშ ფაშამ. ახლა სხვა ოსტატობა ვიხმარე: ჩხუბი ავტეხე ზემო და ქვემო აჭარის შუა, წავკიდე ისინი და ახლა ოთხი ბათალიონი იმათ დასამშვიდებლად გავგზავნე...” დერვიშ ფაშა დაეჭვებულა, რომ შერიფ ბეგს რუსებთან ჰქონდა კავშირი. იგი დაასმინეს. მან ოჯახი არტანში გააგზავნა, თავად კი ახალციხეში გადავიდა. რამოდენიმეჯერ აუოხრეს სახლი. შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი მაჰმადიანი ქართველებისათვის ქართულ წიგნებსაც ყიდულობდა და მოსახლეობას მაქსიმალურად ეხმარებოდა. ალექსანდრე ჩხაიძის “ჩვენებურების” მიხედვით, შერიფ ბეგ ხიმშიაშვილს პეტროგრადში ყოფნისას მართლმადიდებლობაც კი მიუღია. ნათლიად თვით მეფე ალექსანდრე დაუდგა და მის საპატივსაცემოდ ალექსანდრე დაირქვა.

ხიმშიაშვილის მგავსად გამოირჩეოდნენ-თუფანბეგ შარვაშიძე, ახმედ ეფენდი ხალვაში. მას თურქეთიდან ჩამოსული მოლები გაუგდია და ადგილობრივებსაც გადასახლებაზე საუბარს უკრძალავდა. სწორედ მისი ინიციატივით, პირველად

მუსლიმან ქართველებში დაბა მარადიდში, გაიხსნა ქართული სკოლა. თუმცა ადგილობრივი სასულიერო პირების მოთხოვნით მალევე დაიხურა. გულო ალა კაიკაციშვილი (ქათამაძე), დედი ალა ნიჟარაძე (რუსებთან მსახურობდა), გულო ალასი, აბდულ ეფენდი მიქელაძე, ჰასან ციციშვილი (რუსების მოხელე) ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი-სურმანიძე, ნური ეფენდი ბერიძე და სხვ.

ასევე არ უნდა დავივიწყოთ ის ქართველი მოღვაწეებიც, რომლებიც თავიანთი წერილებით, საქმიანობითა თუ მოწოდებით ეწინააღმდეგებოდნენ ანტიქართულ მოვლენას-მუჰაჯირობას. ესენი იყვნენ: გრიგოლ გურიელი, მან დიდი დახმარება გაუწია მოსახლეობას, როდესაც ისინი შიმშილობდნენ. იმის გამო, რომ ომის პერიოდში ვერ დათესეს ხორბალი, პურიც აღარ ჰქონდათ. გურიელმა მოსახლეობისათვის 10. 000 მანეთი გაიღო. 1878 წელს მისი რჩევით, ქართველმა მუსულმანებმა მიმართეს მთვარობას, მათთვის დაებრუნებინათ, ოსმალოსაგან წართმეული თავად-აზნაურთა წოდება. ასევე “დროების” რედაქციამ მაჰმადიან ქართველთა დახმარების მიზნით, ფული შეაგროვა. მათ ამ თანხით ფქვილი შეუძენიათ. დაბრუნებულ ტერიტორიებზე, ქართველი მწერლებიდან პირველად ფეხი შესდგა სერგეი მესხმა, რომელსაც ერთმა მაჰმადიანმა ქართველმა ესროლა და რამის მოკლა. ზაქარია ჭიჭინაძე, მიხეილ მეფისოვი (ახალციხელი ქართველი კათოლიკე), პეტრე უმიკაშვილი, რომელიც ქართველი მაჰმადიანების შესახებ გაზეთ “ივერიაში” წერდა სტატიებს, ილია ალხაზიშვილი-წერდა მესხეთ-ჯავახეთის ქართველი მაჰმადიანების შესახებ, სოლომონ ასლანოვი-ქართველი კათოლიკე, ფსევდონიმით “ზავრელი”. მან პირველად შეადგინა ოსმალურ-ქართული სახელმძღვანელო და აქვს უამრავი სტატია 1878-1885 წლებში ქართველი მაჰმადიანების შესახებ, ლევან მჭედლიშვილი-ქართველი კათოლიკე, იგი აქვეყნებდა სტატიებს “დროება”-ში ფსევდონიმით “ჭია ჭამია”, მისი ძმა პავლე მჭედლიშვილი სტატიებს ფრანგულ გაზეთებსა და “დროება”-ში ბეჭდავდა, ნიკო ნიკოლაძე, საყურადღებოა მისი წერილი “სხვათა შორის”, დაიბეჭდა “კრებულში”, დიმიტრი ბაქრაძე “ისტორიული და არქეოლოგიური მოგზაურობა გურია-აჭარაში”, თედო სახოკია-ჟ. “მოამბე”, “დროება”, “კრებული”, იაკობ ფანცხავა, ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყიფშიძე, იონა მეუნარგია, თედო სახოკია, სიმონ იოსელიანი, ლუკა ანდლულაძე, ივანე ჯაიანი, ნიკოლოზ ალექსი-

მესხიშვილი. ქართველ მაჰმადიანებს ძლიერ თანაუგრძნობდა კონსტანტინე მამაცაშვილი. მან გ. გურიელის მეთაურობით სასწავლებელში წამოიყვანა შერიფ ბეგის შვილები, ხოლო შემდეგ კი მიაბარა "ტფილისის" გიმნაზიაში. ასევე დედი ალა ნიჟარაძემ და გული ალა კაიკაციშვილმაც გააგზავნეს თავიანთი შვილები სასწავლებლად. ადგილობრივმა ქართველმა მაჰმადიანებმა ამ საქციელის გამო ისინი გაკიცხეს, რადგანაც მიიჩნევდნენ, რომ ეს ბავშვების გარუსებას გამოიწვევდა. ნური ბეგ ხიმშიაშვილი წერდა წერილებს ილია ჭავჭავაძეს და მოითხოვდა წერა-კითხვის გავრცელების თვალსაზრისით, სკოლის გახსნას შავშეთში, რათა ქართული ენა შენარჩუნებულიყო.

ზემოთ ჩამოთვლილ მუჰაჯირობის მიზეზებს რუსული იმპერიალისტური პოლიტიკა და მოსახლეობაზე ზეწოლაც ემატებოდა. მუსლიმანი ქართველების ყოფნა, რუსეთის ხელისუფლებისათვის დაბრკოლებას წარმოადგენდა. მუჰაჯირები, როგორც საზარბაზნე ხორცი, ოსმალეთსაც აწყობდა, ამაში კი ორი იმპერიის ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა. გრ. ორბელიანი სვიატოპოლსკ მირსკისადმი მიწერილ წერილში, აღნიშნავდა -აჭარიდან და ყარსიდან გრძელდება გადასახლება ოსმალეთში. ყირიმი დაცარიელდა, ყუბანიდან ჩერქეზები გადასახლდნენ, აფხაზეთი დარჩა მოსახლეობის გარეშე. ნუთუ ეს ფანატიზმით აიხსნება? ადამიანი ეძიებს წყნარ ცხოვრებას და ემორჩილება სამართლიან კანონებს, რა ენაზეც არ უნდა იყოს დაწერილი.

რუსეთის პოლიტიკური ინტერესები კარგად გამოჩნდა სვიატოპოლსკ მირსკის მიმართვიდანაც-ბათუმის ოლქის მიღებით რუსეთმა მიიღო ბუნებრივი სიმაგრე კავკასიის საზღვრების ყველაზე უფრო საშიშ კუთხეში, რომელსაც ჰყავს მებრძოლი ხალხი, ამიტომ იგი საშიშ ელემენტს წარმოადგენს. ადგილობრივი მოსახლეობა უნდა მოვიშოროთ. რუსეთს კი მათ ადგილას კაზაკების ჩამოსახლება სურდა. მემედ აბაშიძე თავის წერილებში წერდა იმ გაუსაძლისი პირობების შესახებ, რომელშიც მოსახლეობა იმყოფებოდა. მაგრამ, როგორც 1879 წლის გაზეთი "ივერია" აღნიშნავდა, რუსეთი ვერ ხვდებოდა, რომ ამ პოლიტიკის შედეგად "დაჰკარგავდა ოც-ოცდაათ ათას ადამიანს, ხოლო ეს ბრძოლებში გამოცდილი ხალხი ადგილზე თუ დარჩებოდა, საიმედო

დასაყრდენი იქნებოდა რუსეთის საზღვრებზე, რომელსაც ისინი დაიცავდნენ, როგორც თავის მშობლიურ მიწას”.

იმპერიალისტური პოლიტიკა-საქართველო მუსულმანი ქართველების გარეშე, 30-იან წლებში სამცხე ჯავახეთის შემოერთების პერიოდშიც აქტუალური იყო. რუსის გენერალს ვასილ ბებუთოვს მოლაპარაკება ჰქონია ეჩმიაძინის სასულიერო წოდების წარმომადგენლებთან, რომ თუკი რუსების მიერ დაკავებულ საქართველოს ტერიტორიებზე არზრუმისა და ვანის სომხები გადმოსახლდებოდნენ, მაშინ იგი შეეცდებოდა იქაური მუსულმანი ქართველობი აეყარა. ხალხს ემინოდა, რომ ისინი დაკარგავდნენ ისლამს. მათ დაიწყეს მიწების გაყიდვა, რომელსაც ხელში იგდებდნენ სომხები. სამცხიდან აიყარა უამრავი ქართველი მაჰმადიანი. არზრუმის ვილაიეთის სომხებმა დაიწყეს მათ ადგილებზე დასახლება, იკავებდნენ ქართველთა ადგილს, რითაც ხორციელდებოდა ქართული ტერიტორიების ხელში ჩაგდება და რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის მიზნის-”საქართველო უქართველებოდ” მიღწევა.

მაჰმადიანი ქართველები იმდენად იყვნენ დამაბულები, რომ რუსების მხრიდან ნებისმიერ ძალადობრივ აქტს, მძაფრად აღიქვამდნენ, რაც გადასახლებისათვის გარკვეულ იმპულსს წარმოადგენდა. როგორც “დროება” იტყობინებოდა, რუსს ჯარისკაცებს ქუჩაში მაწანწალა ძაღლები სასტიკად დაუხოცავთ, ამ ბარბაროსულ აქტს, მუსლიმან ქართველებში პროტესტი გამოუწვევია-გაიძახოდნენ უნდა წავიდეთ, ჩვენი ”აქ დადგომა აღარ იქნებაო”.

ამ დამაბულ მდგომარეობას, მაჰმადიანი ქართველების მიმართ ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობის მხრიდან გაღიზიანებაც ემატებოდა. ტერიტორიების შემოერთების დღიდან, ამ რეგიონში მცხოვრები მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველობა თითქოს ორად გაიყო, გაუცხოვდა და ერთმანეთის აღარ ესმოდათ. ქრისტიანი ქართველები მაჰმადიან ქართველებს-“თათრებად” მოიხსენიებდნენ. ”თქვენ თათრები ხართ და სათათრეთში გადასახლება გირჩევენიათო”. “თათარი” კი, როგორც ვიცით ეთნიკური ერთეულის გამომხატველია და დიდი შეცდომა იყო ამ ტერმინის გამოყენება, რადგან ეს ფაქტი ისედაც დამაბული მდგომარეობის უკიდურესად დამაბვას

ემსახურებოდა. რაც ბუნებრივია არა ქართულ, არამედ ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიის ინტერესებზე ასხამდა წყალს. ბუნებრივია ეს თამაში რუსეთის მიერ იმართებოდა. მათ მიაღწიეს თავიანთ მიზანს და 1879 წლის მუჰაჯირობის დროს, ქობულეთ-ჩაქვისა და ბათუმის გარეუბნები დაიცალა. დაცარიელებულ ადგილებზე რუსები, სომხები და ბერძნები დასახლდნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაჰმადიანი ქართველების (ვგულისხმობთ არა მხოლოდ აჭარაში, არამედ თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებსაც) “თათრებად” მოხსენიება დღესაც აქტიურად გრძელდება. ამ ფაქტს განიცდიან თურქეთში მცხოვრები მუჰაჯირი ქართველების შთამომავლები. თურან ადიამანი (თემურ დავითაძე) აღნიშნავს, რომ საქართველოში ერთ-ერთი ქართველის ოჯახში სუფრაზე ყოფნის დროს, მას ”თათარი” უწოდეს- *“გამარჯობა მეთქი, გაგიმარჯვოსო, ვინ ხარო ჩემთვის, მე ქართველი ვარ მეთქი, თურქეთიდან მოვალ მეთქი. პირველად მოველი საქართველოში “თქვენ თურქი ხართ?” ძალიან მეწყინა, არა მეთქი მე ქართველი ვარ. მერე თფილის წაველით, პურ-მარილზე ვართ ერთ ოჯახში “თურქი ხართვო”, არა მეთქი ქართველი ვარ. იმის მერე კაცს ვუთხარ თურქეთში თურქები-“თქვენ ქართველი ხართო” გვითხრეს, სულ ესენი ქართველი არიან. მიხარია ძალიან. რატო მე ქართველი ვარ. მე საქართველოს წევდი, ქართველები ჩვენვინ “თურქები ხართო”, ძალიან მეწყინა. მე ვიფიქრე თურქეთში მე ქართველი ვარ, საქართველოში თურქი ვარ. მე ჩემთვის ვიფიქრე მე ვინ ვარ? ძალიან მეწყინა. იმ დღე ჩემთვის ძალიან უშნო დღე იყო, მე საქართველოთვინ სიკვდილი მინდა, საქართველოსთვის რა გავაკეთო ეს მინდა, ის საქართველოს პრობლემა თურქეთში ვინც ცხოვრობს გონიათ თეელი თურქები არიან. თურქეთში ძალიან გვიხარია ქართველის გვიძახიან”*. ეს სამწუხარო მოვლენა, რომელიც დიდი ხნის წინ დაიწყო, დღესაც გრძელდება და ბუნებრივია არც დღეს ემსახურება ქართულ ინტერესებს. “თათრობა”, “თურქობა” ეს ეთნიკურობის გამომხატველი ტერმინებია, როდესაც მაჰმადიან ქართველს ამ ტერმინებით მოვიხსენიებთ, ხაზს ვუსვამთ შეგნებულად თუ შეუგნებლად მის ეთნიკურ კუთვნილებას. ეთნიკური კუთვნილებას კი უმთავრესად განსაზღვრავს გენეტიკური მხარე. გენეტიკური თვალსაზრისით კი თურქეთში მცხოვრები ქართველები, ქართველები არიან. სხვა საკითხია, რამდენად

ქართველობენ და რამდენად აქვთ შემორჩენილი საერთო ქართული ტრადიციები, კულტურა და ენა.

ზემოთ მოყვანილი მიზეზები, რომელიც როგორც რუსეთის, ისე ოსმალეთის პოლიტიკის შედეგს წარმოადგენდა, ქართველი მაჰმადიანების საკუთარი მიწა-წყლიდან აყრის, თავშესაფრისა და დაპირებული სამოთხის უცხო ქვეყანაში ძიების საფუძველი გახდა. სამწუხაროდ, ზუსტი მონაცემები თუ რამდენი წავიდა მუჰაჯირად, უცნობია. თუმცა ზ. ჭიჭინაძის ნაშრომებში ფიქსირებულია სოფლები, ადგილები, მუჰაჯირად წასული ქართველების მიახლოებითი რაოდენობა. ქართველები კომლობით მიდიოდნენ ოსმალეთში, ზოგიერთი სოფელი მთლიანად დაცარიელდა. წავიდნენ ქობულეთის მაზრიდან, ქვედა და ზედა აჭარიდან, მურღულის ხეობის, მაჭახლის, ლივანის, იმერხევისა და სხვა სოფლებიდან. მკვლევარს დასახელებული აქვს სოფლები და კომლების რაოდენობაც. როგორც იგი აღნიშნავს, მაჭახლელებს სძულდათ საქართველო, ფანატიზმით გამოირჩეოდნენ და ადვილად ტოვებდნენ ადგილებს. ქართველი მუსულმანები მუჰაჯირობაში თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ფანატიზმში კი თავად ოსმალებს. “ქობულეთის კუთხიდან, ჩაქვის ხეობიდან, ბათუმის და კახაბრის ნაწილიდან აჭარამდე, მცხოვრებთ შორის გადასახლებულ იქნა 2000 მოსახლე. ასე რომ თითო ოჯახში რომ ვიანგარიშოთ 5-6 სული. სულ გამოვა 10, 12 ათასი ორივე სქესისა. ბათუმიდან გადასახლდა 5000 ათასი სული, კახაბრის ნაწილიდან 3000 ათასი სული. სულ 20, 000 მეტი და არა ნაკლები. მაჭახელიდან წავიდა 30, 000 სული ორივე სქესის. ქვედა აჭარიდან წავიდა 10, 000 სული, ზედა აჭარიდან წავიდა 8000 სული. ლივანის ხეობიდან წავიდა 25, 000 სული, მურღულის ხეობიდან წავიდა 8000 სული. იმერხევიდან 5000 სული. შავშეთიდან 10, 000 სული, არტაანიდან 25, 000 სული. ოლთისის კუთხიდან 25, 000 სული. ჩხალის ხეობიდან 500 სული. ართვინიდან 4000 სული”. (ჭიჭინაძე 1912, 61)

დედი ალა ნიჟარაძის ცნობით 1890 წელს გადასახლებულ ქართველ მაჰმადიანთა ზუსტი რიცხვი ოფიციალურად არ არის ცნობილი. 1892 წელს ოსმალეთიდან დაბრუნებულმა ბეგმა ნიჟარაძემ ზაქარია ჭიჭინაძეს გადასცა ცნობა, რომლის

მიხედვითაც ”ოსმალეთში ქართველ მაჰმადიანთა რიცხვი 3 მილიონზედ მეტი იქნებაო”.
(ჭიჭინაძე 1912, 63)

მუფთი ჰასან ეფენდი გვერდამისათვის ზაქარია ჭიჭინაძეს დაუვალება გადასახლებულთა რაოდენობის თაობაზე მონაცემები შეეგროვებინა. მისი გადმოცემით მილიონამდე წასულა. 1898 წლის გაზეთი “ცნობის ფურცელი”, იტყობინება, რომ სოფელი წნისიდან (ახალციხის მაზრა) 40 კომლი ოსმალეთში გადასახლებულა, მათი მიწები კი ბორჯომის ხეობაში მცხოვრებ გლეხებს უყიდიათ. მაგრამ გადასახლებულ ქართველ მაჰმადიანებს არ მოსწონებიათ ოსმალეთი და უკან საქართველოში წასვლა განუძრახავთ, მაგრამ ქრისტიან გლეხებს აღარ დაუბრუნებიათ მიწები, რის გამოც უთანხმოებაც კი მოსვლიათ.

1882 წლის “დროება”-სა № 73 და ამავე წლის გაზეთს “შრომა” № 40, მოჰყავს შემდეგი ცნობა-მთელი ბათუმის მაზრიდან ოსმალეთში გადასახლდა 80 ათასი სული ორივე სქესისა. 1912 წლის გაზეთში “სახალხო გაზეთი” № 615, დაიბეჭდა დავით ჩიქუანის წერილი. მას ერთი ქართველი კათოლიკე ბერის დახმარებით, სტამბოლის მახლობლად უპოვნია გადასახლებულთა კვალი და მათ რაოდენობასაც ასახელებს:- 2524 კომლი.

ქართველ მუჰაჯირებს დაპირებული სამოთხის მაგივრად დახვდათ საშინელი პირობები. მათ ვერც საუკეთესო მიწები მიიღეს. ცნობილი თურქეთელი ქართველი, ამჟამად ჰაიდელბერგში მცხოვრები ილია ხიმშიაშვილი, ჰყვება რა თავისი წინაპრების შესახებ, მუჰაჯირი ქართველებთან დაკავშირებით მოჰყავს საინტერესო ცნობები- *“ჩვენ ოჯახს უთხრეს რომ თქვენ ახლა აქ რუსები შემოდიან ვერ იმუსლიმანებთ თქვენ სარწმუნოებას ვერ გააგრძელებთ, მოდით აქედან გადასახლდითო. ჩემ მამის ბაბუამ უთხრა რო მაშინდელ სულთანს -ჩვენ აქედან წასვლა არ გვინდაო. არ წავალთ აქედანო. რუსეთსაც ვებრძოლეთ ძალიან ბევრიო მაგრამო თუ ართვინში გადაგვასახლებთ შეიძლება თანახმა ვიყოთო. კიბატონო უთხრეს ართვინში გადაგასახლებთო. ესენი გემში ჩაყარეს. აჭარაში გავლის დროს ხულო ხულოში იყო დღევანდელ ხულოს რაიონში ძირითადი ოჯახი. ნიგაზივლი. ფურთო-ეს სახელებიც მე იქიდან ვიცი. ნანახი მაქ ახლა.*

შემდეგ ნიგაზივლი ფურთიო. ბებია იყო მამის დედა დიასამიძე, კობალთიდან, შუბანის სოფელი კობალთა. დედის დედა იყო ცეცხლაძე. მამის დედა სურმანიძე. დედის დედა იყო ისიც შუბანის რაიონიდან. შუბანი და ხულო ერთმანეთთან ახლოს არიან ძალიან. ახლა კიდევ გადასახლების პერიოდზე გადავიდეთ. ოსმალებმა დაპირდენ რომ კიბატონო არვინში გადაგასახლებთ. ჩაყარეს გემში. ბათუმიდან მაშინ გზა არ იყო, გემით წვეიდნენ, გემი რო წავიდა დიდი ხანი წვეიდა თქვეს ართვინი სად არისო, ართვინი უკან დარჩაო. თურმე მაშინ გემს აცილებული ქონდა ტრაპიზონი. ამათმა მიხვდენ რო მოტყუვდნენ. აჯანყება მოხდა გემში. აჯანყება რომ მოხდა ამათ იარაღები არ ქონდათ. ნაჯახით, წალდით ცელებით თოხებით რაც იქიდან წამოღებული ქონდათ იმავე დროს ჩემი ბებია ამბობდა ბაბუაც მიყვებოდა ამას, რომ ნერგებიც წამევიღეთ ჩვენაო. ამიტომ დღეს სადაც ჩვენ ვცხოვრობდით იქ ყურძენი ადესა მარტო ქართველებს აქვთ. ადაფაზარში. იმათ წამოღებული ნერგებით, ვაშლის ჯიშები, მსხალი-დიდერაი მსხალი, სესერაი მსხალი, კაცისთავაი მსხალი. ასეთი მსხლები თურქეთ კიდევ არ აქვთ. მიჩვეული არ არიან. მაშინ წაულიათ ესენი. აჯანყება რომ მოხდა გემში რათქმაუნდა ვინც იქ ბრძოლობდა და ჩხუბობდა ისინი წყალში ჩაყარეს, ზღვაში მერე ეს ხალხი ჩამეყვანეს ისტანბულის ნავსადგურში. იქ რო ჩამოყვანეს მიხვდნენ ამათ, მაგრამ სხვა გასავალი არ ქონდათ. რაქვია იმას თხოვეს იქ ვინც იყო მთავარი ის კაცი იმას, რომ მოგვატყუილეთო ეს მოტყუილება არც თქვენ ალაჰს მოსწონდებაო და არც ალაჰ-ქრისტესო, არავის არაო მაგრამ ერთი რამ გაგვიკეთეთო-ერთად დაგვაბინავეთო. იმანაც უთხრა რო ჩვენ რუსეთთან შეთანხმებით გამოგვიყვანეთ იქიდანაო. რუსეთის მეფემო გვითხრა რო ეს ხიმშიაშვილები ერთად არ დააბინავოთო. ჩვენ “რატომ” შევეკითხეთ და გვითხრა, რო ესენი გაძლიერდებიან, თქვენთვისაც კარგი არ იქნება ჩვენთვისაც კარგი არ იქნებაო, ამიტომო თქვენ უნდა დაჰფანტოთო ჩვენაო .ე.ი. მიხვდნენ, რომ სხვა გასავალი არ აქვთ. ეს ოჯახი დაფანტეს. დღევანდელი ადაფაზარის, სადაც ახლა ჩემი მამა ცხოვრობს, იქ ცოტა დიდი ნაწილი დარჩა, მაგრამ ამათმა არ აკმაყოფილათ ყველაფერი რომ მიიღეს, რა თქმა უნდა, წივილ-კივილი, ყვირილი, ჩხუბი. კიდევ ცოტა-ცოტა მიდიოდა და იმათ რომ მიხვდნენ, რომ ესენი მართლა ძალიან ჯიუტი ხალხი არიან, წაიყვანეს და დღევანდელი იზმით-სანაპიროდან ცოტა შორს არის ამ იზმითის და ადაფაზარის შუაში

ერთ ჭაობში ეს ხალხი დატოვეს. იქიდან მოწყვეტილი, ამოგლეჯილი ხალხი ჭაობაში, რა თქმა უნდა, მალარია, კოლო, ავადმყოფობა, ყველაფერი არის. იქაც დეიწყვიტა ამდენი ხალხი, მოკვდენ, მერე ამათმა, ვინც დარჩენ, ამათში იყო ჩემი მამის ბაბუა, ალიბეი ფაშა. მთიებისკენ წაიყვანა ხალხი. მთიებიდან სადაც წაიყვანა,წეიყვანა ჯერ ხეობიდან,გაიყვანა, მერე მაღალ მთაში, სადაც მოხვდნენ და ველარ წავიდენ, რა თქმა უნდა, მაშინდელი ხელშემწყობი პატარა იარაღები-თოხი, წალდი, ნაჯახი, ცული, ყველაფერ ჰქონდათ ამათ, რაც შერჩათ და კიდევ ნერგებიც, ძირითადად ყურძენი. მე სადაც დავიბადე იმ სოფელში დაბინავდნენ.

ადაფაზარის. მაშინ ის რაიონი პატარა სოფელია, აქიაზი. აქიაზის დღეს ჰქვია იმ სოფელს, ახმედიე. ორი დიდი სოფელი ჩამოყალიბდა. ერთი სოფელი იყო ჩვენი სოფელი-ხელექ-დუზუ. ამას ჰქვია ქართულად ღმერთისგან დაკარგული ვაკე. დღესაც კიდევ ახმედიეს ხალხში იმ სოფელს ხელექ-დუზუ ჰქვია. მთავრობამ ახმედიე დაარქვა. მეორე სოფელი იყო -ჯავრუ ჰარმადი-ჯავრების კალო. დაარქვეს თურქებმა იმიტომ რო ჩვენ მათთვის ჯავრები ვიყავით-ურჯულოები ვიყავით” .⁸

როგორც ვხედავთ ქართველები თავად ოსმალებმა გასწირეს და გამოუყენებელ მიწებზე დაასახლეს. ისინი გადაჰყავდათ უვარგისი გემებით, ადგილი ჰქონდა შიმშილს. ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილმა მათ დასახმარებლად დაიწყო ბრძოლა, დიდი მუშაობა ჩაატარეს გ. წერეთელმა, ს. მესხმა, გ. გურიელმა. ამ აქციამ გარკვეული შედეგი გამოიღო, ბევრი არ წავიდა და ბევრიც უკან დაბრუნდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ქართველ მუჰაჯირებს გამოეღიათ ფული, საკვები და დაიწყეს მათხოვრობა, ტანსაცმელიც შემოეხიათ და მშიერ-ტიტვლები დადიოდნენ. ტრადიციულად ქართველისათვის არ იყო დამახასიათებელი მათხოვრობა, ბუნებრივია ამ მოვლენამ ბევრი მათგანი სევდაში ჩააგდო და დარდისგანაც იხოცებოდნენ. ზოგი გემით მოგზაურობისას გზაში დაიღუპა. ხშირი იყო ავადმყოფობა, სიკვდილიანობა. მუჰაჯირები ნოსტალგიას განიცდიდნენ. სამშობლოს მხოლოდ სიზმრებში

⁸ იხ. ინტერვიუ ილია ხიმშიაშვილთან, ჟურნალ “ამირანში”, № 19, 2008, 220-222

ხედავდნენ. *“დღეში რამითიგ ზობ მემლექეთში გადავალ, მევიარ იქაურობასა. ბევრჯელ სიზმარშიც ვნახულობ...”*. ქვაბლიანში მცხოვრებნი ოსმალეთში ისე გადატაკებულან, რომ შიმშილისაგან რამის დახოცილან და ისევ საქართველოში დაბრუნებულან. გზაზე მათ შეხვედრიათ ოსმალეთში მიმავალი ქართველები, ქვაბლიანელებს უთქვამთ, რომ ოსმალეთში დაილუპებოდნენ და თავიანთი ამბავიც მოუყოლიათ, მაგრამ *“მოლებისაგან ისე იყვნენ გაბრიყვებულნი”*, რომ არ შეისმინეს მათი.

როდესაც მურღული რუსებმა დაიკავეს, მოლებს მაშინვე დაუწყიათ გადასახლებაზე საუბარი. მთელი მურღული მუჰაჯირად წავიდა. უცხო ადგილას მისულებს გაუჭირდათ ცხოვრება, თავის რჩენა. ხალხი შიმშილით იხოცებოდა. გაყიდეს ყველაფერი რაც ჰქონდათ. ოსმალები მათ არაფერში ეხმარებოდნენ. ხალხმა დაიწყო საკუთარი შვილებით ვაჭრობა-ვისაც კი მშვენიერი ქალ-ვაჟი ჰყავდა ოსმალებზე ჰყიდიდნენ. დადგნენ არჩევანის წინაშე ან იქ უნდა დარჩენილიყვნენ და შიმშილით მომკვდარიყვნენ ანდა სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. ლექსებში მუჰაჯირები თავიანთ თავს ადარებენ *“შეფრენილ ფუტკარს”*.⁹ სკა, რომ გამრავლდება, იმაზე იტყვიან *“სკამ მართვე გამოუშვალ”*. მართვე ხშირად მისთვის გამზადებულ სკაში არ შედის და სადმე სხვაგან იდებს ბინას. აი ასეთ *“მართვე ფუტკარს”* ადარებენ საკუთარ თავს მუჰაჯირები, რომლებსაც გზა აებნათ და სხვა ქვეყანაში შეფრინდნენ.

1879 წლის ბოლოს რუსეთის მთავრობამ პროგრესული ძალების ზემოქმედებით, მიიღო ბრძანება მუჰაჯირთა უკან დაბრუნების შესახებ, თუმცა ძალიან მცირე ნაწილმა შესძლო დაბრუნება. როგორც ცნობილია 15 ათასი აფხაზი დაბრუნდა. ქართველების შესახებ კი ცნობები არ მოიპოვება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზების მუჰაჯირობა ისეთივე სასტიკი იყო, როგორც ქართველების. აფხაზების ერთი ნაწილი გემში შეუყრიათ, მაგრამ გემი შუა ზღვაში ჩაძირულა და უამრავი აფხაზი დაღუპულა. ინეგოლში მცხოვრები აფხაზები დღესაც არ ჰკამენ თევზს, რადგანაც სწამთ, რომ ამ

⁹ იხ. შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წ. I, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი, 1993

თევზებმა მათი წინაპრები შექამეს. თევზის უჭმელობით, წინაპართა ხსოვნას ამგვარად მიაგებენ პატივს. მსგავსს მდგომარეობაში იყვნენ ჩრდილო კავკასიელებიც, ცნობილია, რომ ოსმალები ჩერქეზებს მოტყუებით პატარა გემებში ათავსებდნენ და გაყავდათ ზღვაში, თითქოს იქ გემები იცდიდნენ და შემდეგ ზღვაში ყრიდნენ. უბიხები საკუთარ შვილებს რამოდენიმე პიასტრად ყიდდნენ. საფლავებს ხსნიდნენ და ხელმეორედ დასამარხად სუდარებს იყენებდნენ.

ქართველი მუჰაჯირები საქართველოში დაბრუნების ოცნებით ცხოვრობდნენ, თუმცა ამ ლოდინში გადიოდა წლებიც. საქართველოში იმპერიალისტური მეფის რუსეთის მმართველობა, საბჭოთა მმართველობით შეიცვალა. მუჰაჯირ ქართველებს ეგონათ, რომ საზღვარი არ ჩაიკეტებოდა და გადმოსვლას შესძლებდნენ, მაგრამ იმედები გაუცრუვდათ. მათსა და საქართველოს შორის, ახლა უკვე “წითელი რეჟიმის” დროს რკინის ფარდა აღიმართა. აი რას წერს ერთი მუჰაჯირი *“თურქიეში, ოსმანლიში წამოსულ ხალხს ეგონა ქი, კიდო გადმუალთ, საქართველოშიო. ამა რუსებმა კარები დააყაფანეს, რკინის ფერდე ააფარეს, ჩიტმა ველარ გადმოუფრინდა ბილა აქეთ. მე ბაღვი ვიყავ, თქვენთან გადმოსულები რომე იტირებდნენ ბათუმის მოგონებაზე, ჰალადვენ მახსოვს. სულ ტიროდნენ:-ეი, კიდი, მემლექეთო, შორედან ვიცქირებით, ველარ მეესტრა. მისი ბადიში ძლივაი გადმოიდა მემლექეთში”*. (ფუტკარაძე 1993, 18)

გადასახლებული ქართველები ცდილობდნენ ტყიან, წყლიან და ბუნებით მდიდარ ადგილებზე დასახლებულიყვნენ. რომელიც მათ საქართველოს მოაგონებდა. ქართველებისათვის ხომ ტყიანი თუ წყლიანი ადგილები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. მაგალითად, აჭარის მთიანეთიდან წასულებს აურჩევიათ საცხოვრებლად-ბურსის ვილაეთის ინეგოლის რაიონის სოფლები. ქობულეთ-ჩაქვიდან წასულები კი უფრო ზღვიან ადგილებში დასახლებულან-ფაცას, სამსუნის, სინოპის, ადანის რაიონების სოფლებში. მუჰაჯირთა შთამომავალნი დღესდღეობით სხვადასხვა ადგილებში არიან განთავსებულნი-ტრაპიზონი, გირესუნი, სამსუნი, სინოპი, ზონგულდაქი, იზმითი, იზნიქი, იზმირი, ქუთაია, ბალიქესირი, ადანა, ესქიშეჰირი, ადაფაზარი, ბოლუ, ჩორუმი, ამასია, თოქათი, ორდუ, უნია, ბურსა, ინეგოლი, დუზჯე, იალოვა, გემლიქი, მეზიფორი,

ფათსა, გონენი, ჩუმრა, გუელბაში. ასევე არიან ანკარასა და სტამბოლში და სხვ. სხვადასხვა შეფასებებით თურქეთში 1.5 მილიონიდან 2 მილიონამდე ეთნიკური ქართველი ცხოვრობს.

თურქეთში ქართველებით დასახლებული ადგილების შესახებ არსებობს სხვადასხვა მონაცემები.¹⁰

I ამასიის ვილაეთი/ილი.

1. აქიაზი/ელიქთექქესი/.
2. ბელდადი.
3. ჩათალჩამი.
4. იუვაქი.
5. ალთინლი/თენექე
6. თათლიფინარი/დარმადერესი/

II. ართვინის ვილაეთი/ილი/

1. ერენლერი/ირსა/
2. ორმანლი/ორმანა/
3. თაშლიჯა/ჰათილა/
4. თუთუნჯულერი/ქათლა
5. ორთაქი/ბერთა/
6. ჩიმენლი/ჩიმერქ/
7. ჰამამლი/დოლს-ჰანე-დოლისყანა/
8. საქალარი/სალთეთრა/
9. აშალიმადენი/ჰოთი, ჰოდუსუფლა/
10. იუქარიმადენი/ჰოთი/.
11. ბორჩხა ქასაბა.
12. ადაგული.
13. ალაჯი.
14. ამბარლი.
15. არალიქ.
16. არქაქი.
17. ათანოლლუ.
18. ბალჯი.
19. ჯივან.
20. იბრიქლი.
21. ქაინარჯა.
22. სულუქლუ.
23. თარაქლი.
24. ზორლუ.
25. ჯამილი/მაჭახელი/ და ხუთი სოფელი.
26. გოქტაში/მურლული/ და მიმდებარე 9 სოფელი.
27. მურათლი/მარადიდი/
28. ჩავუმლუქოუ
29. გურემენი/ბეილევანი/
30. ქარშიქოუ.
31. ესქიქალე/უსტამიში/
32. თეფექი/აჰალდაბა/
33. იანიქლი/ჩიჰისჰევი/
34. მეიდანჯიქი/იმერხევი/დიობანი/ და მიმდებარე 14 სოფელი.
35. იალნიზ დემირჯი/დაბა/
36. აქდამლი/ჩიხვთა/.
37. ქოფრულუ/ოქრობაგეთი/
38. ჩევრელი/ფეთრექი
39. დერეიჩი/ჰამრუთი/
40. ბალჩიქი/ბალჯილიბადი/
41. ბიჩაქილარი/ჰევეგივანე/
42. იექსექოვა/ქობაქი/კობალთა.

¹⁰ იხ. Andrews, Peter Alford, "Ethnic groups in the Republic of Turkey" (1989), p. 151, ასევე Fahretin Çiloğlu, Gürcülerin Tarihi, 1993, 98-106

III. ბალიქსირის ვილაეთი/ილი/

1. არმუთალანი.
2. ბაბაქაია.
3. ჯუმმურიეთი/სულთანე/
4. ქუთლუდერე/მესუდიე/იკლამურთაში/
5. დელირმენბოლაზი.
6. გუნაიდინი/ქიზილდერე/სოფ. მანა/

IV. ბოლუს ვილაეთი/ილი/

1. აქჩაქოჯა ქასაბა.
2. ჩაქირლარი.
3. ჩილიმლი/ჩილმი/

V. ბურსის ვილაეთი/ილი/

1. გურსუ ქასაბა/ქესთელი/
2. გემლიქი ქასაბა.
3. ჰაიდარიე/ერჯიოვა/,
4. ქათირლი,
5. ჰაირიე/ჩიფთლიქი/
6. ინეგოლი ქასაბა.
7. ბაჰარიე.
8. ბაირამშაჰი.
9. ჩაილიჯა/ბათაქლი/მურუვევეთი/.
10. ჩაიიაქა/ბედერე/
11. ჩიფთლიქი.
12. ელმაჩაირი.
13. ესენქოი/ რუმენტაჰთაქოფრუ.
14. ფეიზიე.
15. ფინდიქლი.
16. გულბაჰჩე.
17. ჰამამლი.
18. ჰამიდიე/გაზელი/
19. ჰასანფაშა.
20. ჰაირიე.
21. ჰოჯა.
22. იჯლალიე/ერიქლი/.
13. ისქანიე/ჯემიეთ/
24. ყარაყადი/მურათფინარი/
25. ქონურლარი.
26. ლუფთიე/ფელითლი/
27. მურათბეი/დერეჩეთი/
28. იენიჯექოი.
29. თაჰთაჰქოფრუ.
30. ესქიყარაჯაყაია/ისლაჰაიე/ყარაჯაქაისქან/.
31. ჰაჯიყარა.
32. ჰილმიე/იოლათდერე/
33. მესრურიე/ბაჰჩექაია/
34. მეზითი/უზუნბარიში/
35. საადეთი/ბაზარალანი/
36. სულჰიე/უზუნბარიში/
37. ელმალი.
38. კირინთი.
39. ჰამზალი.
40. ბურსა.

VI. გირესუნის ვილაეთი/ილი/

1. ბურჰანიე.
2. მესუდიე/თაშჰანი/მამურიე/თულჰამით/

VII. თოქათის ვილაეთი/ილი/

1. ქიზილდერე.
2. ზამარა

VIII. სტამბოლის ვილაეთი/ილი/

1. აქბაბა.
2. დერესექი/დერეჩეთი/.
3. თევე.
4. უვეზლი/ოვეზლი/
5. ჰეჯიზ/საფფეთიე/
6. თეშვიქიე/ზინდან/.
7. ქაფლიჯა.

IX. კოჯაელის ვილაეთი/ილი/

1. ჰიქმეთიე/ბუიუქდერბენდი/
2. ბალაბანი.
3. მაშუქიე.
4. ჰამიდიე/ ბორჩხა/
5. ჰისარეინი/ჰასარი/
6. იჰსანიე/თათარ ქოიუ/სანიე/
7. ნიმეთიე/მევაიე/
8. შევქეთიე/სამალი/
9. ბეილერბეი.
10. ნურსეთიე/აკვინარი/

X. ორდუს ვილაეთი/ილი/

1. ალინჯა.
2. ალისაივანი.
3. ამბაროჯილი.
4. ბოზთეფე.
5. ბურჰანეთინ.
6. ერენლი/მაჰმუთორენი/
7. ეიუფლუ.
8. გერჯე.
9. გოქომერი.
10. გუნიალი/ეზულჰაირი/
11. ჰურიეთი.
12. ქესთანე.
13. მუზარეჟი.
14. ორჰანიე.
15. ოსმანიე.
16. ოჯელი.
17. სარაიჯიქი.
18. თურნასუიუ.
19. იარაშლი.
20. იუქართეფე/თეფეიბალა/
21. ბაჰარიე.
22. ბაშქოი/ჯაღნოსი/
23. ბაირამლი.
24. ჯუმჰურიეთი.
25. ქირაზდერე.
26. მუსაქირიქი.
27. იუქარიქირაზდერე.
28. ალემბეი.
29. ჩაუშლარი.
30. დელექაია.
31. ქაბაქულაქი.
32. სალიჰლი/სალიჰლერი/
33. ქაბაქდადი.
34. ჩამაში/ურმელი/
35. გუმუშლუ/გერდენგეჩი/
36. ჰასანჯიქვინარი/ჰასანჯიქი/
37. საქარგერიში.
38. უნვე ქასაბა.
39. ჩათაქი.
40. ჩათალთეფე.
41. ინქური.
42. ასთუქლალი.
43. ქალედიბი.
44. თაფლანჯიქი.
45. თეფექოი.
46. ჩაიბაში/ჯილადერი/
47. აქაბა.
48. ქაინარვინარი.
49. ქოჯამანი.
50. იაღდაში.
51. თექქირაზი.
52. ბეილერჯე/ალივერანი/ალივარა/
53. დაღქოი.
54. მეიდანნი.
55. პელითლიათაქი.
56. დუზჩიფთლიქი.
57. იაღბასანი.

XI. რიზეს ვილაეთი/ილი/

1. ჰამიდიე.

XII. საქარაიას ვილაეთი/ილი/

1. ბელდიბი.
2. ირზადიე/რეზადიე/
3. შერეფიე.
4. აჰმედიე.
5. ბიჩქიდერე.
6. გუჩუჯექი.
7. მეჯიდიე.
8. დოღანჩაი.
9. ბოღაზქოი.
10. ყარაჩამი.
11. მაქსუდიე.
12. ნურუოსმანიე/ბიჩქიდერე/.
13. შერეფიე/სარაი/
14. ლაჰანა/ორთაქოი/იანიდადი/
15. აქჩაი.
16. დილექლი/სანიე/კადივინარი/
17. ერდემლი/ულვიე/ისტანბულდერე/
18. გულდიბი/
19. ილმიე.
20. მაჰმუდიე.
21. მურადიე/აშაღისტანბულდერე/.

XIII. სამსუნის ვილაეთი/ილი/

1. ბეილერჯე/თექვსმედიანი/ 2. ყარადერე. 3. ყარამუსთაფლი. 4. ქესთნეფინარი. 5. მუსლუბეი. 6. სალიფაზარი. 7. კოჯაფინარი/ ჰილიას/ 8. არსლანთაში. 9. აივალისოქადი. 10. დუმანთეფე/ჯილარი/ 11. გოქელი.

XIV. ყარსის ვილაეთი/ილი/

ყარსი.

XV. ჩანაქალეს ვილაეთი/ილი/

1. ფინარბაში. 2. დერვიშფაშა.

მუსულმანი ქართველების მნიშვნელოვანი რაოდენობა შემორჩა ართვინისა და რიზეს ოლქებშიც. ალექსანდრე ჩხაიძის-“ჩვენებურები“-ს მიხედვით, ბურსის გარშემო 17 ქართული სოფელია.

ზ. ჭიჭინაძის ნაშრომის- “ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში მუჰაჯირი-ემიგრაცია” მიხედვით, 1904 წელს მკვლევარისათვის გადასახლებულთა შესახებ გადაუციათ ცნობები:

ხოფა-600 , ირიზე-240, ოფსი-200, ფლატანა-400, თრიპოლს-600, ორდუ-1000, ჩერშემბე-200, ბაფარი-1000, ბოლომანი-200, არხევი-120, ტრაპიზონი-100, ბელევეანი-150, გირესონი -340, აბდალა-120 , ბაცა-1000, თერმე-100, სინოპი-130, სამსონი-150, საბაჯა-160, ჩუბუქლა-80, აჰმედია-60, მაჰმედია-60, აბაუქეი-20, დერბენდი-50, შირინ-სულხია-60, შეისულიე-80, თათარ ქეი-40, ბილაბა-30, ჩეფნი-100, თელინ-კუნდუ-40, ყაზანდერე-30, სერვეთიე-50, აღსადირი-20, დაღინ-ლული-60, იენი-მელე-50, შევქეთიე-15, იჯადიე-20, ნემეთიე-15, ხესენიე-50, შეილიქი-50, ჩურუქ-ბაი -30, შემურიე-30, ფერადიე-20, დაშმე-60, ასარ-ქეი-10, თამარ-ქეი-30, ბორჩა(ჰამედია)-130, უნიე-10, ჩერქეზ-ქეი-20, ლუფთიე-30, სოფიე-25, ბაშქირე-30, ახმედია-40, ჩატალტაში-20, ალანჩანი-40, ბალკაია-34, ბიჩქიდერე-50, გულდბი-50, დიბეგთაში-90, თეზეი-30, ილიმე-30, ირშადიე-30, მემნუნიე-50, ნაიდიე-120, პაწა მადიმე-40, სენიე-50, სალამიე-50, ულვიე-50, ური-ჩეხმე-30, შეჰრეთი-45, შუქრიე-40, ჰაჯი-მერჯან-60.

1891 წელს ზაქარია ჭიჭინაძეს ხელში ჩაუვარდა მონაცემები, რომლის მიხედვით, მუჰაჯირი ქართველები სახლობენ შემდეგ ტერიტორიებზე:

პატარა ტრაპზონი -150, ახალი ათინა -200, ირიზე-600, ფლათანა-50, გერესონი-60, უნია-800, იასონი-60, ონა-100, ბოლმანი-50, ფაცა-400, ჩარშამბა-10, დიარბეჟირი-100, თერძი-60, ქუნჯულა-60, ქიზილ ირმაქი-100, გემეზესი-50, სინაფი-50, აიანჯუქსი-100, ვართენესი-50, ალაშენი-30.

XIX საუკუნის 90-იან წლებში, ფერიქოს ქართულ სასწავლებელს სრულიად უსასყიდლოდ თავისი თავი მასწავლებლად შესთავაზა ევროპაში განათლება მიღებულმა და სტამბოლში დაბრუნებულმა მაჰმადიანმა ქართველმა მემარნემ (მემარნიშვილმა) რომელიც ისტორიას ასწავლიდა და დიდ ყურადღებას აქცევდა სამხრეთ საქართველოს. იგი ცდილობდა ქართველ მუსლიმანებში განათლების შეტანით დაემლია ფანატიზმი. მას სურდა ოსმალეთში მცხოვრები მუსულმანი ქართველების რიცხვის გამორკვევა. სამწუხაროდ, ზუსტად არ არის ცნობილი ქართველთა რაოდენობის დადგენისას რას იღებდა საფუძვლად-ენას, წარმომავლობასა თუ ყოფაცხოვრებას. როგორც ცნობილია თურქეთში შარიათი ყველა ამ ნიშანს აბათილებდა და ყველას ერთ სუნიტ სექტაში აერთიანებდა. სუნიტისათვის ერთი იყო ენაც, სარწმუნოებაც, კულტურაც. თუმცა მან რაოდენობის დასადგენად მშობლიური ენის პრინციპით იხელმძღვანელა. (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თურქეთში სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ეროვნების განსაზღვრების კრიტერიუმად რჩება მშობლიური ენა და მეორე ენა, რომლითაც ოჯახში საუბრობენ) მაგრამ უამრავ პრობლემას გადააწყდა. კერძოდ, ქართველები გაფანტულები იყვნენ და იშვიათად ქმნიდნენ კომპაქტურ ჯგუფებს. გარდა ამისა, ქართველთა ნაწილი ცხოვრობდა შერეულ სოფლებში, რადროსაც მიდიოდა თვითქრობის პროცესი.

თურქეთში გადასახლებულ ქართველთა რამოდენიმე ფენა, თაობა არსებობდა. ყველაზე ძველი იყო XVII საუკუნის, იმ დროს როცა თურქეთმა დაიპყრო სამხრეთ საქართველოს რეგიონები და “დაუმორჩილებელი გიაურები” დაასახლეს შორეულ პროვინციებში. როგორც ცნობილია, ქართველთა რიცხვს მაშინ ნახევარ მილიონამდე მიუღწევია. XIX საუკუნეში, მუჰაჯირობის დროს სამცხე ჯავახეთიდან და აჭარიდან

აყრილი და გადასახლებული მოსახლეობა კიდევ სხვა იყო. მემარნიშვილი მიიჩნევდა, რომ დიდი სირთულე ემიგრირებული მოსახლეობის აღწერასთან იყო დაკავშირებული. ყველაფერი ემიგრანტების შესწავლით დაიწყო. ამ მიზნით, იმოგზაურა შემდეგ დასახლებებში- არჰავე, ვინე, ათინა, რიზე, ქერასუნტი, ორდუ, ფაცა, ჩარშამბა, ბაფრა, სამსუნი, სინოპი, ქასთამუნის ვილაეთში, სტამბოლი, იზმითი, ბურსა და სხვა. მალე მიხვდა, რომ საკმაოდ რთულ საქმეს შეეჭიდა და ერთი კაცისათვის ეს რთული იქნებოდა. მან დროებით შეწყვიტა მუშაობა და შეგროვილი მასალა გადასცა სტამბოლში მყოფ იასე რაჭველს. მემარნიშვილის აღწერაში არ შევიდნენ ლაზები და არც ისტორიული მესხები (ტაოელნი, კლარჯნი, კოლაელნი, შავშნი, ერუშელნი, იმერხეველნი და სხვანი) არამედ მხოლოდ ემიგრირებული ქართველები ე.წ. “მესამე ფენა” ანუ “მუჰაჯირები”. როგორც გაზეთი “დროება”, 1909, № 8, იტყობინებოდა, მემარნიშვილის მასალების თანახმად, მუსლიმანი ქართველები ცხოვრობდნენ 1. ტრაპიზონის ვილაეთში 164 500 სული. 2. ქასთამუნის ვილაეთში 85 000 სული. 3. იზმითში და მის სანჯაყში 25 000 სული, ბურსასა და მის ვილაეთში 50 000 სულზე მეტი . არსებობს ასევე მ. ჩიქოვანის მასალებიც. მას 1911-12 წლებში შემოუვლია ისმითის სანჯაყი და ბურსის ვილაეთი. მისი დაკვირვებით, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ამ მხარეში გადმოსახლებული ქართველები შეადგენდნენ. უმთავრესად აჭარლები. ისმითის სანჯაყის სავაჭრო ცენტრში სახელად საბანჯუ, მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ და ქართული ლაპარაკი ისმოდა. მ. ჩიქოვანს შეხვედრიან მინაძეები, დარბაიძეები, ნავიკაძეები, მისლაიძეები.

XIX საუკუნის ბოლოსათვის მოგზაურ ლინჩის ცნობით, არზრუმის ვილაეთის მოსახლეობის საერთო რიცხვის 853 758 სულიდან, ქართული წარმოშობის იქნებოდა დაახლოებით 400 000. სომეხი ისტორიკოსის ერიცოვის ცნობით, არზრუმის ვილაეთის თორთუმის ნაჰიეს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართული წარმოშობის მაჰმადიანისგან შედგებოდა.

1879 წლის მონაცემებით ტრაპიზონის ვილაეთში ცხოვრობდა 1. 100. 000 კაცი სანჯაყების მიხედვით: 1. ტრაპიზონის სანჯაყში 544. 300 სული. 2. ლაზისტანის

სანჯაყში 65. 700 სული. 3. გუმიშხანეს სანჯაყში 99. 200 სული. მიახლოებით XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში თურქეთის მთელ ტერიტორიაზე ცხოვრობდა 1. 174. 000 ეთნიკური ქართველი. დღესდღეობით თურქეთში მოსახლეობის ზრდასთან ერთად, ქართული წარმოშობის მოსახლეობაც გაიზრდებოდა.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერს პოლ მაგნარელას, რომელმაც მე-20 საუკუნის 70-იან წლებში იმოგზაურა თურქეთის ქართულ სოფლებში, მოყვანილი აქვს შემდეგი მონაცემები.¹¹

თურქეთში მცხოვრებნი, რომლებიც ქართულს ან მშობლიურ ენად ანდა მეორად ენად მიიჩნევენ:

	1935	1945	1955	1960	1965
მშობლიური ენა-	57, 325	40, 076	52, 000	33, 000	34, 330
მეორე ენა -	16, 000	9, 000	47, 000	29, 000	48, 976

მეცნიერმა იხელმძღვანელა შემდეგი მონაცემებით:

I-1959, Türkiye İstatistik Yıllığı, Ankara 1959 81 pg.

II-1960, Yürkiye Cumhuriyeti İstatistik Yıllığı, Ankara 1962 , 79 pg.

III-1965, Genel Nüfus Sayımı , Ankara, 1969, 178-179 pg.

¹¹ * იხ. Paul J. Magnarella The Peasant Venture-Tradition, Migration, and Change among Georgian Peasants in Turkey, Schenkman Publishing Company, Cambridge, Massachusetts, 1979, pg. 116

თუმცა პ. მაგნარელა აქვე განმარტავს, რომ არა თურქ მოსახლეობაში მშობლიურ ენასთან დაკავშირებით არსებული ოფიციალური სტატისტიკური ცნობები, ძალზედ მწირია.

საზღვრის გახსნამდე ოჯახები, ნათესავები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობდნენ, ცდილობდნენ წერილების საშუალებით ერთმანეთთან კავშირი დაემყარებინათ. მივლინებების შედეგად რამოდენიმე სურათი წერილითურთ ჩამივარდა ხელთ. *(იხ. სურათი 1-7)*

ამრიგად, რუსული და ოსმალური პოლიტიკის შედეგად გამოწვეული ქართული ტრაგედიის-მუჰაჯირობის გამო, უამრავი ქართველი მუსულმანი იძულებული იყო მიეტოვებინა საკუთარი სახლ-კარი და თავშესაფარი უცხო მიწაზე ეძია. ზოგმა ვერც კი მიაღწია “ნანატრ სამოთხეს” და გზაში დაიღუპა, ზოგი შიმშილითა და დარდით მოკვდა, მაგრამ ვინც გადარჩა, თურქეთის მთიან და ზღვის განაპირა ადგილებს მიაშურა. ერთ-ერთი მათგანია ინეგოლის რაიონის სოფელი ჰაირიე.

1. 2. სოფელ ჰაირიეს დაარსების ისტორია

აღნიშნული სოფლის დაარსების შესახებ არსებობს ისტორიები, რომლებსაც ჰაირიეს მაცხოვრებლები ჰყვებიან. ეს ისტორიები უკვე საუკუნეზე მეტია გადაეცემა თაობიდან თაობას. უფროსი თაობის მონათხრობები ოდნავ განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა.

ბურსაში, ინეგოლის გარშემო ქართველებით დასახლებული დაახლოებით 18 სოფელია. *(იხ. სურათი 8)* ეს ციფრი ფიქსირდება ასევე შ. ფუტკარადის ნაშრომში- “ჩვენებურების ქართული” -“ინეგოლის ქაზაში თვრამეტი გურჯი სოფელია”. *(ფუტკარაძე 1993, 22)*

ჩვენ მოვიარეთ და გამოვიკვლიეთ შემდეგი დასახლებები: 1. ჩიფთლიქი (სამად არის გაყოფილი-“გარიგებული” 2. ქარაქირაზი და 3. მერზუქიე. 4. ფევზიე. 5. ჩაილიჯა იგივე ბათაქლი. 6. გულბაჰჩე. 7. ჰამიდიე იგივე გაზელი. 8. ჰაირიე იგივე მაჭახელა და

სხვა სოფლების მოსახლეობის მიერ შერქმეული ზედმეტი სახელი “ქუჩუქ მოსკოვა”. 9. ჰასანფაშა იგივე ჩაქველები. 10. მურათბეი იგივე დერეჩათი (სამ ძმას-მურათს, ჰასანს და ჰაიდარს დაუარსებიათ სოფლები მურათბეი, ჰასანფაშა და ჰეიდარბეი. ეს უკანასკნელი სოფელი გემლიქში მდებარეობს) 11. ჰილმეი. 12. ოილათი იგივე ქაპლიჯა (კურორტი) 13. საადეთი იგივე ფაზარალანი. 14. მეშრურიე. 15. ჩურუქსუ იგივე ბაჰჩექაია. (მეშრურიე და ბაჰჩექაია ძველად ერთ სოფლად ითვლებოდა, მოგვიანებით გაიყო, “გარიგდა”) 16. თუფექჩიქონაქი იგივე წაწარქოი (ეს სახელი აფხაზებს დაურქმევიათ) 17. სულჰიე. 18. გუნეიქესთანე (რამოდენიმე ქართული ოჯახია. უმრავლესობა აფხაზია. 30 წლის განმავლობაში სოფლის გამგებელი იყო ეთნიკური ქართველი-ხულოს დავითაძე-ადიამანი და მისი გვარის წარმომადგენლები) არის შერეული სოფლებიც, სადაც ერთად თანაცხოვრობენ ქართველები, ლაზები და აფხაზები.

ჰაირიე (მაჭახელა, “ქუჩუქ მოსქოვა”-ჰატარა მოსკოვი, აღნიშნული მეტსახელი შერქმეულია ინეგოლის სხვა ქართული სოფლის მოსახლეობის მიერ) მდებარეობს მარმარილოს ზღვის რეგიონში, ბურსასთან ახლოს, ინეგოლის რაიონიდან 15 კილომეტრში. სოფელი მოქცეულია ულუდაღის მთისწინეთში. სწორიედ ამის გამო, მას უწოდეს “მთიანი სოფელი”. *(იხ. სურათი 9)*

ზაფხულის პერიოდში მთის მაღალ ფერდობებს მოსახლეობა საძოვრებად იყენებდა. სოფლის დასახლებული ნაწილი ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით შემოსაზღვრულია დამუშავებული მიწებით, ხოლო სამხრეთით და დასავლეთით მთის ფერდობებით, რომელიც სავსეა თხილის, წიფლის, ფიჭვისა და მუხის ხეებით. ზაფხულობით თბილი დღეები და გრილი ღამეებია, ზამთარი კი ზომიერია. ძველად მოსახლეობა ინეგოლში თითქმის ყოველდღე ფეხით ჩამოდიოდა და 15 კილომეტრს გადიოდა. რაიონიდან სოფლისკენ მიმავალი გზა სწორია, თუმცა სოფელ მურათბეიდან ნელ-ნელა მაღლა ადის და იკლავება. სოფლის შესასვლელში ყურადღებას იპყრობს წარწერა, რომელიც ჰაირიეში შემოსულს და გასულს უსურვებს “კეთილ იყოს თქვენი მოზრძანება”, და “კეთილად იმგზავრეთ”. *(იხ. სურათი 10)*

ინეგოლის ქართულ სოფლებში დასახლებულთა წინაპრები მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ჯერ სტამბოლში მისულან, მაგრამ ნესტისა და “ცხრო“-ს გამო საცხოვრებლად უვარგისად მიუჩნევიათ.

იავუზ ეთინი “ჩვენი მემლექეთიდან გადმოსულები ქალაქში დარჩენილან, ინეგოლში, უთხრობიათ ჩვენ აქ ვერ ვიცოცხლებთ ვერაო, ავადმყოფი ცხრო, ცხრო, ბუზები, მემრე უთხრეს ფადიშაჰს რომეო ჩვენ სოფელი გვინდა აქ ვერ ვიცოცხლებთ. ჩვენ ძროხა უნდა მოვწვათ, წყალი გვინდა ტყე გვინდა. ჰასხა გინდა იქ დაჯექით და მოსულან აქ დაჯდარან”. მუჰაჯირებს სურდათ ბუნებაში ცხოვრება. მთავრობას შეუთავაზებია ბურსასთან ახლოს მდებარე პატარა დაბა, სახელად ინეგოლი. თუმცა აღნიშნული ადგილი სავსე ყოფილა კოლოთი “ბუცუნცულა”, რაც იწვევდა ავადმყოფობებს. სწორედ ამის გამო ქართველებმა მიაშურეს ინეგოლის სოფლებს და იქ დასახლდნენ.

გიორგი ხაზინადარი (ჰუსეინ აიზარი) “ჯერ სულ თავიდან სტამბოლში ადგილი დაუთმო მეფემ და სტამბოლი არ მოეწონათ ეს რააო, ჩვენ გვინდა ბუნება, ტყე, კაი წყალი, კაი ჰაერი და ჩვენ ხომ იცი ქართველებს გვახასიათებს, სად სტამბოლი სად ინეგოლი. მაშინ არ აქცევდნენ ყურადღებას ჩვენი ქართველები, მაშინ ხომ იყო ცხრო ავადმყოფობა, ცხრო რომ იყო მაგას მოერიდეს და აქეთ წამოვიდენ. იმდენი ხალხი დაიხოცა მაგის გულიზად, მერე კოლოები იყო შეეშინდათ და აქეთკენ წამოვიდენ. მეფეს რომ უთხრეს აქ ვერ გავჩერდებითო, მაშინო თქვენ გაგიშვებთო ბურსისკენო ინეგოლია რაღაცაო, მერე აქეთკენ წამოვიდენ ინეგოლისკენ. ინეგოლშიც კოლოები იყო და წავიდენ სულ სოფლებში. აქ ქართველებზე ხუმრობენ- ქართველებს კაცო ტყე უნდათო, ტყესაც არ ტოვებენო. ხე-ტყის დამუშავება რომ არის ახლა. ქართველები სადაც არიან ტყე აღარ არის უკვე ჭრიან, შეშა მიაქვთ ყიდიან”.

თუ ინეგოლის რუკას დავხედავთ და მის გარშემო ქართველებით დასახლებულ სოფლებს თვალს გადავაავლებთ, სრულიად ნათლად დავინახავთ, რომ თითქმის ყველა სოფელს ტყე აკრავს გარშემო. (გამონაკლისია სოფ. ჰასანფაშა, გარდა ამისა ეს უკანასკნელი გარემოცულია არაქართული სოფლებით) ინეგოლში ხუმრობენ, სადაც ქართველია ყველგან ტყეა. სოფლებში ჭრიან ხეებს (ეს ადგილობრივთათვის

შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს) აბარებენ ინეგოლში, სადაც ძირითადად ავეჯის წარმოებისათვის ამუშავებენ. ავეჯის ბიზნესი კი უმეტესად ქართველთა ხელშია.

ჰაირიეს მკვიდრთა გადმოცემით აღნიშნული სოფელი 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, 80-იან წლებში დაარსდა. სოფლის მკვიდრნი გადმოსახლების წლებად 1880, 1884, 1888 წლებს ასახელებენ. ჰაირიეს საიტზე-www.hayriyekoyu.com.tr. და ასევე სოფლის ოფიციალურ წყაროებში “-Köy kayıtları.” ჰაირიეს მოსახლეობის რაოდენობის აღნიშვნისას, ფიქსირდება 1880 წელი, რაც მიგვანიშნებს, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე უკვე 1880 წლიდან სახლობენ ქართველები. მსგავსი თარიღი აქვს მოცემული ცნობილ ამერიკელ მკვლევარს პოლ მაგნარელასაც, რომელმაც ისარგებლა თავად სოფლის ოფიციალური წყაროებით.

დაახლოებით 250 კაციან ჯგუფს, თურქეთში წასვლის მიზნით, მიუტოვებია ართვინთან ახლოს მდებარე სოფლები, ზოგიერთის ცნობით მაჭახლის სოფლები ჩუკუნეთი, ჩხუტუნეთი, კირკიტეთი, ხინკილეთი, კირნათი და სხვ. სოფლის მკვიდრი ჰაირი ჰაირიოღლუ /ვახტანგ მალაყამე/ამ სოფლის დაარსების ისტორიას ასე ჰყვება: *“ჰაირი/ხეირიე/მაჭიხელია. 1888 წელს მაჭიხელის ხეობიდან წამოსული ხალხის თორუნია ეს. მოსულან ისტანბულ რამეთიმე წელს გემებზე უცხოვრიან. შემდეგ ხეირიას/ კაცის სახელია/ და რამეთიმე ამხანაგს დუუფიშმანებთან. მისულან ფადიშაჰთან, ადგილი გვაჩვენე ჩუენ. გურჯისტანიდან მუჰაჯირები ვართო. ...აქ მოსულან მოსწონებთან...ოჯადები გამუყყუანთან აქა, სულ სამოცი ოჯადი...ამ ოჯადებ შორის არიან ჩიქუნარები, ჩხუტუნარები, მილისელნი, კირნათელნი, ხალხი უბნებით დასახლებულან”.* (ფუტკარამე 1993, 340)

უნდა აღინიშნოს რომ აღნიშნული სოფლებიდან გადასახლების ცნობა მოჰყავს ზაქარია ჭიჭინაძესაც ნაშრომში “ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში-მუჰაჯირი” და ასახელებს რაოდენობასაც. კერძოდ, ჩუკუნეთიდან და ჩხუტუნეთიდან წასულა 25 კომლი, ხინკილეთიდან 20 კომლი, კირკიტეთიდან 30 კომლი, კირნათიდან 30 კომლი.

ჰაირიეს სასაფლაოზე არსებულ საფლავის ქვაზე ამოკვეთილია წარწერა, რომელიც მიანიშნებს, რომ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, 60 ოჯახს მიუტოვებია სოფელი ჩუკუნეთი და თურქეთში წასულა. (იხ. სურათი 11)

თურქი მეცნიერი პროფესორი იუსუფ ოღუზოღლუ, ასახელებს რაოდენობას. მისი მონაცემების მიხედვით, ბათუმიდან გადასახლებულ 88 ოჯახიდან, 325 კაცი ინეგოლში თავისუფალ ტერიტორიაზე ერთ ჯგუფად განასახლეს და ამით ახალი სოფელი, სახელად ჰაირიე დაარსეს. იმის გამო, რომ სოფელში არ არსებობდა მეჩეთი და სასწავლებელი, 1894 წელს, ხაზინიდან გამოყოფილი თანხით აუშენეს მეჩეთი და სასწავლებელიც .¹²

საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ჰაირიეში მცხოვრები ქართველის ოჯახში შემონახული წერილი. საიდანაც ირკვევა, რომ ერთი ოჯახის წევრები (მამა და შვილი) ცალ-ცალკე ჰაირიესა და სოფ. ჩუკუნეთში ცხოვრობდნენ. (იხ. სურათი 12)

ზოგი ფეხით, ზოგიც გემით წამოსულა. ისეც მომხდარე, რომ ზოგიერთს იზნიკი (ძველი ნიკეა) აურჩევია საცხოვრებლად.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მიახლოებით 1880-1888 წლებში 250-325 ადამიანი გადასახლებულა ჩუკუნეთიდან, ჩხუტუნეთიდან, ხინკილეთიდან, კირკიტეთიდან, კირნათიდან.

ჰაირიეს მკვიდრთა გადმოცემით, სოფელი დაუარსებია და მათი წინაპრები გადმოუყვანია იმამ ჰაჯი მეჰმედ ეფენდის გვარად ყოჩალოღლის, რომელსაც ორი ვაჟი ჰყოლია. (თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სოფლის მკვიდრი ოსმან მისირლიოღლუ-კახიძე მოგვითხრობს, სოფლის დაარსებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჰუსეინ ალა-ხინკილაძესაც) ჰაჯი მეჰმედ ეფენდი მსახურობდა ჰაირიესთან ახლოს

¹² იხ. prof. Dr. Yusuf oğuzoğlu, Inegölü Şenlendiren Kafkas Göçmenlerinin Tarihi-2, İnegöl Çınarlaraltı, İnegöl Belediyesi Kent Müzesi Kültür Sanat Tarih Dergesi, 1-sayı: 2, Eylül 2010, 7- 9

მდებარე თურქებით დასახლებულ სოფელში მადენი (ეს უკანასკნელი ოქროს საბადოთი ყოფილა ცნობილი) მას მოსწონებია ჰაირიე თავისი ბუნებით, ტყით, მდელოებით და საქართველოსთვის მიუმსგავსებია. იგი დაკრძალულია სტამბოლში, ფათიჰას მეჩეთში. (იხ. სურათი 13)

ქართველები ჯერ მადენში დასახლებულან და პირველი ზამთარი იქ გაუტარებიათ. ზოგიერთი იქვე გარდაცვლილა. მათი საფლავები, სოფლის შესასვლელში დღემდეა შემორჩენილი. (იხ. სურათი 14)

ჰაირიეში გადმოსულებს ჩერქეზები დახვედრიათ, რომლებსაც თავი შეუფარებიათ ჭადრის ხეების ფულუროებში. **იავუზ ეთინი** - "მეზერლულია მადენში ჩვენი სოფლის მეზერლულია იქა. აქ ჩერქეზები მჯდარან ამა სახლები არ ყოფილა აქა, დიდვანი ჩინარები ყოფილა და იქ დამჯდარან ორი ღამე, იქიდან ჩვენი დედები რომ გადმოსულან ჰაირდი ინშალაჰ, ჩერქეზები გუდაყურიათ, სოფელ ჰაირიე მაშინ დარქმულა იშთე". ქართველებსა და ჩერქეზებს შორის კონფლიქტი მომხდარა და ეს უკანასკნელნი იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ ეს ადგილი. აღნიშნული პრობლემა გადაჭრა ინეგოლის მმართველმა. მან გადაწყვიტა ნება მიეცა ქართველებისათვის დასახლებულიყვნენ ჰაირიეში. ჩერქეზები კი ჰაირიესთან ახლოს მდებარე სოფელ ჰაჯიყარაში დაასახლა. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად ოსმალეთის მმართველი წრეები მიიჩნევდნენ, რომ ქართველების სამეურნეო ყოფაცხოვრება, გარჯა, მიწისადმი სიყვარული კარგ მაგალითად იქცეოდა მომთაბარე ტომებისათვის. შესაძლოა ეს გახდა უპირატესობის მინიჭების მიზეზთაგანი.

სოფლის მოსახლეობის აზრით, სწორედ მომხდარი ფაქტის გამო არ უყვართ ჩერქეზებს ქართველები, თუმცა ცდილობენ თავიანთი ქალიშვილები ჰაირიელებს მიათხოვონ, რადგანაც მათ მაინც შესძლონ წინაპართა მიერ ოდესღაც დაკავებულ მიწაზე ცხოვრება.

ნინო ოქროსცვარიძე - "ჩერქეზებთან, რომლებიც ჰაირიელებმა "გაყარეს", როგორი ურთიერთობა გაქვთ?"

სუათ ფელევანოლლუ-“ახლა ჩერქეზები რას იჯებიან იცი? ჩვენ გოგოებ გვაძლევენ, ჩვენ ვერ დავჯექით თქვენ დაჯექით სოფელში”.

ნინო ოქროსცვარიძე-“რატომ მოგყავთ მერე ჩერქეზები? რომ გამრავლდნენ და გაგყარონ?”

სუათ ფელევანოლლუ -“ვერ გაგყარიან, ბაღნები ჩვენებურები არიან”.

მას შემდეგ რაც ქართველებმა ჩერქეზები “გაყარეს”, გაუჩნდათ სურვილი საკუთარი სახლები და მიწები ჰქონოდათ. ეს უკანასკნელი საკმაოდ ნაყოფიერი ყოფილა, მის განაწილებაზე კამათი არ მომხდარა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გაყოფა არათანაბარი იყო. შეძლებული ოჯახები მრავალი წევრისგან შედგებოდა, ჰყავდათ საკმაოდ ბევრი პირუტყვი, ამის გამო მოითხოვეს სხვებზე მეტი მიწა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ “ძველი სოციალურ-ეკონომიკური განსხვავება შენარჩუნებულ იქნა”. (Magnarella 1979, 18)

მათ გაკაფეს ტყე, გააშენეს ყანები, ააშენეს სახლები. ამ საქმეში დახმარება გაუწია მეზობელი არაქართული წარმოშობის სოფლების მადენისა (სადაც ისინი სტუმრად იყვნენ) და ორთაქოს მოსახლეობამ. ჰაირიეს მცხოვრებთა გადმოცემით, მათ წინაპრებს მთავრობა არ დახმარებია იქამდე, სანამ თავიანთი ხარჯებით არ ააშენეს მეჩეთი. მსგავსი ფაქტი მოჰყავს პოლ მაგნარელასაც ” სოფლის მოსახელობამ ააშენა პატარა მეჩეთი...” . (Magnarella 1979, 109) მეჩეთის აშენებასთან დაკავშირებით, თურქი მეცნიერი იუსუფ ოღუზოლლუ განსხვავებულ ცნობას გვაწვდის და აღნიშნავს, რომ მოსახლეობას ხაზინიდან გამოყოფილი თანხით აუშენეს მეჩეთი.

“ ბულგარელ მუჰაჯირებს მთავრობამ მისცა ყველაფერ, ჩვენ კი არაფერი, მარტო ტყე მოგვცა” აღნიშნავს თემურ დავითაძე-თურან ადაიმანი. ცნობა იმის შესახებ, რომ ოსმალები ქართველებს არაფერში ეხმარებოდნენ, ზ. ჭიჭინაძესთანაც დასტურდება. იგი აღნიშნავდა, რომ ოსმალეთის მთავრობა ქართველებს არაფერში ეხმარებოდა. ოსმალებს თავად არ ჰქონდათ მიწები. ხშირად ქართველთა მიმართ უკმაყოფილებასაც გამოხატავდნენ. ხოლო თუ მაინც მისცემდნენ, საცხოვრებლად უვარგისი იყო. აღნიშნულ ფაქტს, ჰაიდელბერგში მცხოვრები, თურქეთელი ქართველი ილია

ხიმშიაშვილიც ადასტურებს “მეორე სოფელი იყო ჯავრუ ჰარმადი-ჯავრების კალო. დაარქვეს თურქებმა, იმიტომ რო ჩვენ მათთვის ჯავრები ვიყავით-ურჯულოები ვიყავით. ის სოფელი, ის ხალხი მთავრობას დაავიწყდა რომელიც ჭაობაში მიაგდეს დატოვეს და იმ სოფელმა ერთი რაც ჩემი ბაბუა მიყვებოდა 60-70 წელიწადი სულ დავიწყებული იყო. არ იცოდენ ეს ხალხი სად დაიკარგნენ ეგონათ რო მოკვდნენ”.¹³

შეიძლება ითქვას, ჰაირიეში მუსლიმან ქართველთა მხრიდან მეჩეთის აშენება, როგორც ისლამის განმტკიცების სიმბოლო, ოსმალთა მხრიდან დახმარების უმთავრესს პირობას წარმოადგენდა. რადგანაც, სანამ ოსმალეთი არ დარწმუნდა ისლამისადამი მუჰაჯირი ქართველების ერთგულებაში, რის დასტურს მეჩეთის მშენებლობა წარმოადგენდა, იქამდე არანაირი დახმარება არ გაუწია. ქართველებით დასახლებულ თითქმის ყველა სოფელში მეჩეთებია, ზოგან ძველის ადგილზე შენდება ახალი. ჰაირიეშიც ძველი სამლოცველო აღარ არის შემორჩენილი. მის ადგილზე თავად სოფლის მოსახლეობის შემოწირულობით 1988-1990 წლებში აშენდა ახალი.

მოსახლეობა ჰაირიეში 1880 წლიდან მკვეთრად იზრდებოდა, ამას რამოდენიმე ლაზი ოჯახის გადმოსახლებაც დაემატა.

წელი რაოდენობა¹⁴

1880 - 250

1940 - 995

1945 - 1026

1950 - 1083

1955 - 1063

¹³ იხ. ინტერვიუ ილია ხიმშიაშვილთან. ამირანი № 19, 2008, გვ. 222

¹⁴ მონაცემები ამოღებულია www.hayriyekoyu.com.tr. (7. 2. 2009.) დამატებითი ინფორმაცია მოგვაწოდა სოფლის მკვიდრმა ოსმან მისირლიოღლუ-კახიძემ.

1965 - 1010

1970 - 746

1974 - 750

1997 - 350

2000 - 381

2007 - 279

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მაცხოვრებელთა უმრავლესობას ქართველები წარმოადგენდნენ, იყვნენ აგრეთვე ლაზებიც და მომთაბარე თურქ-იურუქები, რომლებიც ამ მხარეში ქართველების მოსვლამდე ბინადრობდნენ. მათ ჰაირიესთან ახლოს მდებარე საძოვრებზე აჰყავდათ საქონელი და ქართველებთან ერთად ჰარმონიაში თანაარსებობდნენ. თუმცა სოფელი არა მხოლოდ რიცხვობრივად, არამედ მნიშვნელობის თვალსაზრისითაც გაიზარდა. კერძოდ, თურქეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წლებში 1919-1923, სოფელში განთავსდა ჟანდარმერია, მოგვიანებით კი სატყეო სამმართველო. ჰაირიე გადაიქცა მაზრის ცენტრად ნაჰიედ. (ადმინისტრაციული ერთეული)

1. 3. სოფლის სახელწოდების შესახებ

მას შემდეგ რაც მუჰაჯირმა ქართველებმა სოფლის ტერიტორია დაიკავეს, ინეგოლის მმართველს გამოუთქვამს სურვილი და იმედი, რომ მის გადაწყვეტილებას “სიკეთე” მოჰყვებოდა. ამის გამო, ჰაირიელები მიიჩნევენ, რომ სოფლის სახელწოდება “ჰაირიე” სწორედ ამის გამო ეწოდა. **Hayriye** მომდინარეობა სიტყვისგან **Hayır** რაც ნიშნავს “სიკეთეს”. თუმცა არსებობს სხვადასხვა მოსაზრება სოფლის სახელწოდებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მადენიდან გადმოსული ქართველები იმდენად მოიხიბლნენ სოფლის ადგილმდებარეობითა და სილამაზით, რომ წარმოსთქვეს “**Hayırdır inşallah**”

(ღმერთმა სიკეთე მოგვიტანოს, ღმერთმა ქნას ხეირის/სიკეთის მომტანი იყოს) ზოგიერთის აზრით, თავად ჩერქეზებს დაურქმევიათ იგი. ვახტანგ მალაყმადის (ჰაირი ჰაირიოღლუს) მონათხრობის მიხედვით "ხეირია/ კაცის სახელია", შესაძლოა მის საპატივცემულოდ სოფელს ეწოდა ჰაირიე. თურქეთი სოფლებს სახელწოდებებს უცვლიდა, არსებობს შეხედულება, რომ თავად მთავრობამ დაარქვა ეს სახელი. ჰაირიელები თავიანთ სოფელს "მაჭახელას" ეძახიან, რადგანაც როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათი წინაპრები მაჭახლის სოფლებიდან არიან. თავად მოსახლეობის მხრიდან ქართული სახელის შემორჩენა და მისი გამოყენება, წარსულთან კავშირზე მეტყველებს და ამავდროულად ამით ახდენენ საქართველოსთან თვითიდენტიფიკაციას. ეს არა მხოლოდ ჰაირიეს, არამედ ეთნიკურ ქართველთა სხვა სოფლებსაც ეხება, მაგალითად სოფელი მურათბეი, იქაური ქართველებისათვის "ჩაქველების" სოფლის სახელწოდებით არის ცნობილი.

ოსმან მისირლიოღლუ-კახიძე-“აქაურობა მაჭახელია. ჩვენი სოფელის სახელი მაჭახელია. ჰაირიე ქოი მემრე დაარქვეს თურქჷ ჰაირიეა... რა ვიცი მე სახელი გამოცვლა გამოცვლის, რუსიც გამოცვლავს, საქართველოს გამოცვლის სახელს. ეს დიდი არალი, ამა ჩემი სოფელი მაჭახელია. ბუნუ სილმეზ.” (ვერ წაშლი გონებიდან)

შეიძლება ითქვას, რომ ინეგოლის რიგი ქართული სოფლების სახელწოდებები, სოფლის დამაარსებელი მუჰაჯირი ქართველების სახელებს უკავშირდება. ამით თავიანთ სივრცეს საკუთარი სახელით საზღვრავდნენ. მაგრამ დროთა განმავლობაში ოფიციალური ხელისუფლება სოფლებს სახელებს უცვლიდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, მოსახლეობაში სოფლის პირვანდელი სახელები მაინც შემორჩა.

ნინო ოქროსცვარიძე-“ქართველები რომ სახლდებოდნენ თავად არქმევდნენ სოფლებს სახელებს?”

აზიზ ეფე-“ხო, ახლა ჰასანფაშას სოფელია, ჰასანფაშა რატომ დაურქმევიათ იგერ აქა ფაშა ყოფილა, ჰასანფაშა, იმას გუუწყვია ის სოფელი, იმის ძმა ყოფილა დერეჩათსა მურათბეი ძმა დაურქმევია სოფელში მურათბეი სოფელი გამწყობელი, ახლა იმან გამეიცვალა, ერთი იმან არ გემეიცვალა ჰასანფაშამ არ გემეიცვალა სოფლის სახელი. სუყველას

დაწყებული ყარაყადი სოფელია ყარაყადი კაცი, იმან გუუწყვია, იმის სახელი იყო, ახლას გემეიცვალა სხვა სახელი დარჩა.”

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოფელს მეტსახელიც გააჩნია, კერძოდ, მას “küçük Moskova” ანუ “პატარა მოსკოვს” უწოდებენ. ბუნებრივია ამ სახელწოდებას თავად სოფლის მოსახლეობა არ იყენებს. იგი მეზობელი ქართული სოფლების მოსახლეობამ შეარქვა. როგორც ჰაირიელები აღნიშნავენ, ასე “შურის გამო უწოდეს”.

ბუნებრივია, არსებობს მიზეზი ამ სახელწოდების არსებობის და იგი უკავშირდება სოფლის თანამედროვე ანუ “მოდერნ” ყოფას. ჰაირიეს “გათანამედროვეება” დაახლოებით 70-იანი წლებიდან იწყება, როცა სამუშაო მიზნით, დაიწყო სოფლის მამაკაცების გერმანიაში გადინების პროცესი. “გათანამედროვეება” “კომუნიზმთან”, “მემარცხენეობასთან” და “გადარეცხილობასთან” ანუ ტრადიციების მოშლასთან ასოცირდება.

მას შემდეგ, რაც ჰაირიელები სამუშაოდ გერმანიის სხვადასხვა ქალაქში წავიდნენ, ევროპულ გამოცდილებას ეზიარნენ. ახალი სახლების აშენების მიზნით, გზავნიდნენ ფინანსებს, ზაფხულობით ჩამოდოდნენ და სოფელში შემოჰქონდათ თანამედროვე შეხედულებები, ახალი იდეები. მაგალითად, როგორ დაემუშავებინათ მიწები, კეთილმოეწყოთ სოფლები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ გუმერსბახში¹⁵, როგორც ჰაირიელები აღნიშნავენ, პატარა სათვისტომო აქვთ “კავკასიური კლუბი”, სადაც იკრიბებიან, ქართულ კერძებს ამზადებენ და “ჰაირიეს დღეებს” აწყობენ. აგროვებენ თანხას და სოფლის საჭიროებებისათვის იყენებენ. როგორც კატრიე ილდიზ- ერგუნი აღნიშნავს, “მთელი ჰაირიე” გუმერსბახშია *“გერმანიაში ქართველებს დერნეჯი (სათვისტომო) აქვთ, გუმერსბახია ქიოლნთან ახლოს ქალაქია ავსილია ჰაირიელებით, იკრიბებიან, გურჯულად იჯებიან, ემეკლი (პენსიონერი) რომ ხდებიან აქ ბრუნდებიან.*

¹⁵ 2012 წელს “კოიმბრას უნივერსიტეტების ჯგუფის” სტიპენდიის ფარგლებში, იენის (გერმანია) ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის, კავკასიოლოგიის მიმართულების ეგიდით, სამეცნიერო მივლინება განვახორციელე გუმერსბახსა და ბერგნოშტადში, სადაც ჰაირიელი ქართველები 1960 წლიდან სახლობენ. იხ. სტატია, ნინო ოქროსცვარიძე “ორგზის მუჰაჯირები სამი კულტურის გზაჯვარედინზე (ჰაირიელი ქართველები ბერგნოშტადში”. ჟ. “კადმუსი”, 2015, № 6

ჩემმა ბიჭმა იცის გურჯული. დაკვრა დერნეჟში ისწავლა. ჩვენ გურჯისტანი არაფერ დროს არ გედევგვივარდება.”

სუათ ფელევანოღლუ-კირკიტაძე- ”კოპერატივის წყალობით ჩვენი სოფელი ჰაირიე წელში გაიშალა. გერმანიაში 256 ჰაირიელია მარტო. დერნეჟი გვაქვს გერმანიაში მე 62-ში წაველი, ჩემს წინ წამსვლელნი იყვნენ კიდევ ჰაირიედან 59-ში, 61-ში. გუმერსბახში, თეელი ჰაირიეა, სადაც წახვალ ყველგან ჰაირიელები შეგხვდებიან. სულიკოც ვიცით”.

ბუნებრივია, იქ დაბადებული და გაზრდილი ბავშვები გერმანულ საზოგადოებასთან არიან ასიმილირებული. ამის გამო, სოფელში ჩამოსვლისას მათ ოჯახებში სამი განსხვავებული კულტურა შეიმჩნევა-გენეტიკური ანუ ქართული, თურქული და გერმანული. გუმერსბახში არსებული სათვისტომო გარკვეულწილად მათ წარსულთან აახლოვებს. იციან, რომ “გურჯები” არიან, ბევრმა მათგანმა, ქართული სიმღერები და ცეკვები ქორწილებში ისწავლა. (იხ. სურათი 15-16)

გერმანიაში მიღებულ გამოცდილებას, ახმარდნენ სოფლის კეთილდღეობას. გარდა ამისა ევროპულმა კულტურამ, გამოცდილებამ, მათზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა, რაც პრაქტიკულ გამოხატულებას სოფელში ჰპოვებდა. სწორედ ამიტომ, ჰაირიელებს “კომუნისტები” შეარქვეს. “კომუნისტობა” თანამედროვე ყოფით აზროვნებასთან ასოცირდებოდა. სოფელი გამდიდრდა და ინეგოლის ყველაზე შეძლებულ და წარმატებული ინფრასტრუქტურის მქონე სოფლად გადაიქცა. ევროპულმა შეხედულებებმა, თანამედროვე და არა რელიგიური დოგმებით ყოფა-ცხოვრებამ, სოფლის ყოფაში სიახლეების შემოტანამ, ისინი სხვათა თვალში “კომუნისტებად” და “გედერეცხილებად” აქცია, ხოლო “პატარა მოსკოვი” კი მატერიალური კეთილდღეობის გამომხატველი მეტსახელი გახდა.

აზიზ ეფე-(ინეგოლის მკვიდრი, სოფელი საადეთიდან) ”ჰეირიე- კომუნისტო. ჰეირიე დეინახე, მოდერნ მოდერნ სახლებია. ახორები არ ექნებოდენ, ალმანიაში წვეიდენ გერმანიაში. გერმანიაში არიან სუყველა. იქ რაცხამდონი არიან გერმანიაში იმდენი არიან. იქიდან მოიდენ აქ გააკეთეს სახლები. ჰეირიე აქ აქვთ, სახლები ორი ქათლი (სართულიანი), სამი ქათლი, ოთხი ქათლი სახლები.”

ჰაირიელები კი მიიჩნევენ, რომ მათი მატერიალური კეთილდღეობა, მიმდებარე ქართული სოფლების მოსახლეობაში შურს იწვევს, რამაც განაპირობა ჰაირიესათვის ზედმეტსახელად “პატარა მოსკოვის” შერქმევა.

ნინო ოქროსცვარიძე–*რატომ უწოდეს სოფელს “კუჩუქ მოსქოვა”?*

ოსმან მისირლიოღლუ-კახიძე–*“კუჩუქ მოსქოვა” რატომ ამბობენ იცი? აგერ გითხრა ქისგანგიჩთან იჩინ (შურიანობის გამო). იმისთვის ასე დუურქმევიათ ზიჰინ ოლარაქ (გონებით) მოდერნი არიან, სხვამ დაარქვა. ჩვენი სოფელია ამფერი სოფელია ნაკითხი კაცები არიან. მიდიან მოდიან რაცხები მოაწვან ჰეპ იენილიქ ახლობაა, მოსკოვა გახდენ. ლოცვა კითხვა ყველა მუსლიმანმა უნდა ილოცოს, ამა არ ლოცვილობს კაცი. მე 204 ლისტე მაქვს გერმანიაში, ავუსტრიაში იქეთ აქეთ. ლისტე მაქვს იმ კაცებმა რომ აქ მოიდენ თეელმა ახალი რაცხეები უნდა მოიდეს, “კუჩუქ მოსქოვა” იყო ახლა ბუიუქ (დიდი) მოსქოვა უნდა გახდეს. ჩუნქუ (რადგან) ონლარდა იენილიქ ვარ. (მათში სიახლეა) აქ ახლა პური დათესე, სიმინდი დათესე იმათმა ფუტკარი რაფერ უნდა ის იქნას ძროხას რაფრად უნდა იენილიქ ვარ ონდა. მაშინ აქა დიდი მოსქოვა უნდა გახდეს. მე ჩემი ჭკუით ეს ვარ. ასე ვიტყვი ამ სოფელში ისე ვიტყვი თელად ვამბობ ასე “პაწაი მოსკოვა” ამისთვის არის. ნაკითხი კაცი მოსკოვას ამსგავსებენ. აიდინი კაცები არიან აქ. თეელი აღმანას არიან ახლა. ახლა მე დავბერდი, იაშლი (მოხუცი) ვარ. რალობა დევისწავლე. ამათმა გაკვირდენ უიმე შეიშალა ამ კაცმაო თქვა, არ იცის ბლაცყმა. ლოცვაზე იმაზე წინ-წინ ბევრი ჰოჯიები იყვნენ ახლა არ ალი. მე ვლოცულობ ვკითხულობ, ამა რომ მოვდე იქ იმ საქართველოს ჩემ ძმების ერთად რატომ უნდა დავცხო. გოო იქ ჰა ბელქი შარაფს არ ვსვამ არაყს არ ვსვამ ამა შენისთანა ჩემ დებსამე შვილისამე ჩემი ნენი, ინსანს ინსნის თვალით უნდა შეხედო გოო. გამჩენელმა ღმერთმა გაგვაჩინა. იმისთვის ეუბნებიან კომინისტობას იშთე, იმათ არ უყვენ ბაზი შეილერი ბოილე იენილეშთილერ. (არ მოსწონს ზოგს, ზოგიერთი რამის განახლება) ეს ედისონი დუნია გაანათა ედისონმა, ედისონმა ქნა ეს ლამბა ხო? ამას თუ გეჰენემში(ჯოჯოხეთი) წევიდენ მთელმა წევიდეს მაშინ გოო, ამა კი არ ეუბნებიან ჰალა გოო, ედისონი გოო გაანათა და ის გეჰენემში უნდა ჩავიდეს დაწვეს, ამ ტილიანმა გენეტში უნდა წევიდეს.*

არა ამაზე შევიშლები ამ საქმეზე. ჰილმიეს რომ თქვა რამეს ვერ იტყვი კომუნისტი უნდა თქვა იანი. ამათ ამას ვერ მიახვდინებ, ამას რომ იტყვი ჰილმიეს ქვებ გაყრიან ბევრ. იმისთვის მოსქოვა ხდები”.

დღესდღეობით ჰაირიეში სამი კულტურა იკვეთება ქართული-თურქული-ევროპული (გერმანული). არ არსებობს ოჯახი, რომლის ერთი წევრი არ მუშაობდეს, არ ცხოვრობდეს გერმანიაში. ახალი თაობის ჰაირიელების უმეტესობა, გერმანიაშია დაბადებული. ბუნებრივია, ევროპული შეხედულებები, გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მათზე და საუბრისას ვლინდება ის დიდი განსხვავება, რომელიც ინეგოლის სხვა ქართულ სოფლებში მცხოვრებთა და ჰაირიელთა შორის აღინიშნება. ჰაირიელები ახალ სახლებს ევროპული სტილით აშენებენ (გერმანული ფინანსებით) მათი ჩაცმულობა, ცხოვრების სტილი, სხვებთან შედარებით უფრო თანამედროვეა, მიმდებარე ქართული სოფლების მანდილოსნებისაგან განსხვავებით, თავსაბურავის გარეშე დადიან. ახალგაზრდები (ქალები) საკმაოდ თავისუფლად საუბრობენ იმ საკითხებზე, რაზეც ეთნიკური ქართველებით დასახლებული სხვა სოფლის ქალბატონები არ ანდა ვერ ბედავენ საუბარს. ქალს შეუძლიან ჩაიხანაში მამაკაცებთან ერთად დაჯდეს და ისაუბროს, რაც მიუღებელი იყო ძველად და სხვა სოფლებშიც დღესაც ტაბუირებულია. სამი კულტურის ნაზავი კერძოდ, ქართული, თურქული და ევროპული, ძალიან კარგად იკვეთება, ერთ-ერთი ჰაირიელის ბალის წარწერაზე, რაც არტეფაქტს წარმოადგენს. ამ უკანასკნელში სამი ენობრივ-კულტურული მომენტი იკითხება. *(იხ. სურათი 17)*

ამრიგად, ჰაირიელების “კომუნისტობა” სხვათა თვალში, სიახლეებისადმი ლიბერალურ დამოკიდებულებასთან ასოცირდება. სიახლეები კი ხშირ შემთხვევაში უპირისპირდება რელიგიურ დოგმებს. ის, ვინც რელიგიური ტრადიციების დაცვით არ გამოირჩევა და თანამედროვე სიახლეებს იზიარებს, მას “კომუნისტს” უწოდებენ. სიახლეების შექმნა კი გერმანიასთან ანუ ევროპასთან კავშირის ნიადაგზე მოხდა. “კომუნისტობა” სიახლეებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების გარდა, “ნაკითხობასთანაც” ასოცირდება. ის, ვინც ნაკითხია მისი თვალსაწიერი მხოლოდ რელიგიური დოგმებით არ შემოიფარგლება. “ნაკითხობა” აზროვნებას, საზოგადოებაში

არსებული ნორმების შეფასებას, გადაფასებას, გააზრებასა და საჭიროების შემთხვევაში, მათ პრაქტიკულ განხორციელებას გულისხმობს. ამ თვალსაზრისით, ჰაირიეს ყველაზე “ნაკითხ” სოფლად მიიჩნევენ.

ოსმან მისირლიოღლუ-კახიძე “ზურსანინ ენ ნაკითხი სოფელი ჩვენი სოფელია. ჰაირი არალი ამდენი ნაკითხი სოფელი. თაბი კომუნისტი ხდება.”

1. 4. სოფელ ჰაირიეს შიდა საუბნო-სათემო დაყოფა

როგორც სოფლის მოსახლეობა აღნიშნავს, მათ წინაპრებს სოფელი ისე მოუწყვიათ, როგორც საქართველოში. **იავუზ ეთინი**-“დედის სიკაღეთი ბათუმში აინია, ვაკიელები აინი, ჯამბაზ მაჰალესი ბათუმში აინი აქაც აინი, თელი იქ რაფერია აქაც თელი ასეა”. ეს უმსუბუქებდა მათ სამშობლოსადმი ნოსტალგიას. სოფელი ჰაირიე ხუთი უბნისგან ანუ როგორც უწოდებენ “მაჰალე”-სგან შედგება. (იხ. სურათი 22)

ცენტრალური ნაწილი თურქულად “orta mahalle”, ქართულად კი ხინკილაძეების უბანია. ამ უბანში განთავსებულია სკოლა, მეჩეთი, მაღაზია, კოოპერატივი, ჩაიხანა, ადმინისტრაციული დაწესებულება. აღმოსავლეთით არის ჯამბაზოღლებისა და კირკიტაძეების უბანი. ჯამბაზოღლებთან დაკავშირებით ასეთი ისტორია არსებობს, წარსულში ყოფილა ერთი “დედეი თელზე იარებოდა, ოინებ იჯებოდა” მისი “ბადიშებისთვის” დაურქმევიათ ჯამბაზოღლები ანუ ჯამბაზის შვილები. სამხრეთით მდებარეობს ზედა უბანი თურქულად “Yukarı mahalle” ანუ სიკაღეთი, ხოლო მის საპირისპირო მხარეს, დასავლეთით არის ვაკიელების უბანი, თურქულად “karşı mahalle”. როგორც სოფლის მოსახლეობა მოგვითხრობს, შვიდი ძმა მოსულა და აქ დასახლებულა. სწორედ ამიტომ, სოფელი ერთმანეთის “ხისიმია” (ნათესავია). ქართველებს გვარების მიხედვით აურჩევიათ საცხოვრებელი ადგილი. მაგალითად, ხინკილაძეებს ხინკილაძეების უბანი, თუმცა აქ ქოქოლაძეებიც სახლობენ, კირკიტაძეებს კირკიტაძეების უბანი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად აჭარის სოფლებისათვის, დამახასიათებელი ყოფილა გვარების მიხედვით დაყოფა. მაგალითად, არსანაული-

არზანაძეებით ყოფილა დასახლებული, გორგისეული-გიორგაძეების სამკვიდრო ყოფილა. როგორც ჩანს, ეს წესი ჰაირიელებს საქართველოდან წაუღიათ.

სოფელში თითქმის ყველას ახსოვს ქართული გვარი, აქ არიან ხინკილაძეები, მალაყმაძეები (ცნობილი მოღვაწე, მთარგმნელი ჰაირი ჰაირიოღლუ სწორედ მალაყმაძეთა გვარიდან იყო), გურგენიძეები, გორაძეები, კახიძეები (მისირლიოღლები გახდნენ) კირკიტაძეები, ქოქოლაძეები, ლეკურიძეები, იაკობაშვილები, ყედენბეგიშვილები, ჯინჭარაძეები, ბასილაძეები. ხინკილაძეების უბანში ასევე არის პატარა წყარო, რომელიც ხინკილაძის სახელს ატარებს. (იხ. სურათი 25)

სოფელი საკმაოდ წარმატებულია, მისი ინფრასტრუქტურა ინეგოლის სხვა სოფლებისაგან განსხვავებულია, კეთილმოწყობილია, ცენტრალური გზები კვაფენილითაა გაწყობილი. თუმცა ყოველთვის ასე არ იყო. ეკონომიკურმა აღმავლობამ, რაც ინეგოლთან, თურქეთის სხვა ქალაქებთან კავშირითა და გერმენიაში მუშაობით იყო განპირობებული, ხელი შეუწყო სოფლის განახლებას. როგორც ძველი თაობის წარმომადგენლები მოგვითხრობენ, ძველ და თანამედროვე სოფელს შორის რადიკალური განსხვავებაა.

1. 5. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები - მეჩეთი, ჩაიხანა, სკოლა

ჰაირიეში მოსახლეობის თავშეყრის რამოდენიმე ადგილი არსებობს-მეჩეთი, ჩაიხანა, სკოლა და აჰმედ მელაშვილის საფლავი, სადაც წელიწადში ერთხელ, მის დალუპვისადმი მიძღვნილ დღეს იკრიბებიან.

მეჩეთი

ჰაირიელთათვის სულიერ თავშეყრის ცენტრს მეჩეთი წარმოადგენს. ეს უკანასკნელი 1894-95 წლებში იქნა აშენებული და როგორც უკვე ზევით აღვნიშნეთ, თავად მოსახლეობის ხარჯებით აიგო. მის ასაშენებლად მაშინდელ მმართველ წრეებს

არანაირი დახმარება არ გაუღიათ. ძველი მეჩეთის ნაცვლად 1988-1990 წლებში ადგილობრივთა ხარჯებით აშენდა ახალი მეჩეთი. მასზე ზრუნვა, მთლიანად მოსახლეობის პრეროგატივა იყო. (იხ. სურათი 27-28)

საინტერესოა, რომ თითქმის იშვიათია სოფელი, სადაც შემორჩენილია პირველი ქართველი მუჰაჯირების მიერ აშენებული მეჩეთი. ბევრი დაინგრა და მათ ადგილზე ახალი აშენდა. თუმცა, ჩვენი მივლინებების დროს, იზნიქის (ძველი ნიკეა. მის გარშემო ეთნიკური ქართველებით დასახლებული რამოდენიმე სოფელია) ერთ-ერთ სოფელში, კერძოდ, ელმალიში დავაფიქსირეთ 1884 წლის ხისგან აშენებული მეჩეთი, (იხ. სურათი 29) რომელიც ქართველ მუჰაჯირებს ამ სოფელში დასახლების პირველ წლებში აუშენებიათ. გარდა ამისა, მეჩეთების ასაშენებლად ხის მასალის გამოყენება უკვე იშვიათობას წარმოადგენს, როგორც წესი, მას თანამედროვე სამშენებლო საშუალებები ჩაანაცვლეს.

სოფლის მეჩეთი რელიგიური აქტივობების ცენტრს წარმოადგენდა. იმამი მონაწილეობას ღებულობდა ჰაირიელთა ცხოვრებაში, ეს იქნებოდა ქორწილი თუ გარდაცვალება. ასევე ცდილობდა მედიატორის ფუნქცია ეკისრა პრობლემების მოგვარების დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის რესპუბლიკის დაარსებამდე, იმამი ჰაირიეში ფართო უფლებებით სარგებლობდა. იგი ასრულებდა არა მხოლოდ რელიგიურ ვალდებულებებს, კერძოდ, ეზანის შესრულებას (ლოცვისათვის მოწოდება) მეჩეთში ნამაზის გაძღოლას, მიცვალებულის რიტუალურ განბანვასა და დამარხვას, ყურანის სწავლებას, არამედ აკეთებდა ამულეტებს (მუსკა), კარგად იცნობდა ხალხურ მედიცინას, გასცემდა დაბადებისა და გარდაცვალების მოწმობებს, ასრულებდა საქორწილო რიტუალს, რომელსაც ჰქონდა როგორც სამოქალაქო ისე რელიგიური დატვირთვა, მეჩეთთან არსებულ სკოლაში, სოფლის ბიჭებს ასწავლიდა წერა-კითხვას. შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ აქტიურ როლს თამაშობდა ჰაირიელთა ცხოვრებაში. სოფლის მოსახლეობა იმამს ქირაობდა და ხელფასს თავადვე უხდიდა. ყოველ წელს ოჯახის თავები მეჩეთის გარეთ “şadırvan”-ის წინ (განსაზღვრული შადრევანი) იკრიბებოდნენ,

რათა იმამის საკითხი გადაეწყვიტათ. თუ მოქმედი იმამის მუშაობით კმაყოფილები იქნებოდნენ და თუ მასაც ექნებოდა სოფელში დარჩენის სურვილი, მაშინ შემდეგი წლისთვისაც ქირაობდნენ. მაგრამ თუ მოსახლეობა იმამით უკმაყოფილო იყო, ანდა თუ საკუთარი ნებით დატოვებდა თანამდებობას, მაშინ ინეგოლის "მუფთს" და სხვა სოფლებს ახალი იმამის საჭიროების შესახებ ატყობინებდნენ. შეკრებისას ოჯახების მამაკაცები განიხილავდნენ კანდიდატურებს, ყოველი მათგანი თავის პოზიციას აცხადებდა. მათი სიტყვა გადამწყვეტი იყო და რომელ კანდიდატურასაც უფრო ღირსეულად მიიჩნევდნენ, მას ანიჭებდნენ უპირატესობას. თუმცა, თურქეთის რევოლუციის შემდგომ პერიოდში, მკაცრად განისაზღვრა იმამის მოვალეობები. მაგალითად, აიკრძალა იმამის რელიგიური გაკვეთილები და სახალხო მედიცინა. მის მიერ ჩატარებულმა ქორწილმა თავისი ლეგალური მნიშვნელობა დაკარგა. მისი ვალდებულებები მხოლოდ რელიგიური ფუნქციით შემოიფარგლა, როგორც იყო ქორწილისა და გარდაცვალების რელიგიური მხარე.

სოფელ ჰაირიეს რელიგიური ცხოვრება განსაკუთრებით აქტიურდება მარხვის (ყურბან და რამაზან ბაირამის) პერიოდებში. სოფელი ცხოვრების განსაკუთრებულ რეჟიმში გადადის, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდები რელიგიურ ცხოვრებაში, უფროსებისგან განსხვავებით, ნაკლებ მონაწილეობას იღებენ.

მარხვას ძირითადად უფროსი თაობის მოსახლეობა იცავს. მარხვის პერიოდში სოფლის ცხოვრება შედარებით პასიურია. ინტენსიური სამეურნეო მუშაობა აღარ მიმდინარეობს, ყველა ცდილობს ცხოვრებას მოსწყდეს, ილოცოს და საკუთარ თავში ჩაიკეტოს. *(იხ. სურათი 30)*

საკვებისა და წყლის მიღება მხოლოდ გათენებამდე—"საჰური" (ქართველები იასლულსაც უწოდებენ) და საღამოს—"იფთარზე" ხდება, სწორედ მაშინ, როცა მოლა მორწმუნებს აძლევს ნებას მიიღონ საკვები და წყალი. სოფლებში ასევე ისმის თოფის სროლა, რომელიც ზოგჯერ მოლას მოწოდებას უსწრებს წინ. საღამოს 6 საათიდან მოსახლეობა უკვე სუფრის გაწყობისთვის იწყებს მზადებას. დღის განმავლობაში მარხული ადამიანი, 8 საათისათვის განსაკუთრებულად ემზადება. ნელ-ნელა თადარიგს

იჭერს, ყიდულობს პროდუქტს, ჩადის ქალაქში. რიგები დგება მაღაზიების წინ. ინეგოლიც სოფლების მსგავსად, მარხვის საათებში პასიურია, დახურულია თითქმის ყველა რესტორანი თუ ყავახანა. უნდა აღინიშნოს, რომ იფთარისათვის მზადება (ტრაპეზი რამაზანის დროს) ახალიწლის მზადებას წააგავს, როგორც განწყობის ისე სუფრის განწყობის თვალსაზრისითაც. როგორც კი, სოფლის მოსახლეობა თოფის და შემდეგ მოლას ხმას გაიგონებს, იწყება ტრაპეზი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იფთარი მულსიმანი ქართველებისათვის განსაკუთრებული მოვლენაა, რადგანაც ამ დროს ხდება ნათესავების, მეზობლების, მეგობრებისა და ოჯახის ახლობლების იფთარზე დაპატიჟება. სუფრა მრავალფეროვანია, გვხვდება “ჩერქეზული საცივი”, “დომათეს ჩორბასი”, “ფილავი”, “სარმა”, “ქადაიფი”, “თათლი”, “სინორი”, “მაკარნა”, “ფეინირლი, შექერლი ბორეკი”, “ფხალ ლობია”, “ფიდე” და სხვ. (იხ. სურათი 31)

რამაზანის დროს, მარხვისა და ლოცვის გარდა უმნიშვნელოვანესია ღარიბებისათვის საკვების გაცემა. რადგანაც, მუსლიმანი, რომელიც მარხვას იცავს და გარკვეული პერიოდის განმავლობაში წყლისა და საკვების მიღებაზე უარს აცხადებს, სიმბოლურად გადის გაჭირვებული და მოშიშმილე ადამიანის გზას, რითაც ცდილობს გაითავისოს რამდენად რთულია იმ უპოვარის მდგომარეობა, რომელიც შიმშილობს.

გარდა მარხვისა, ჰაირიელები ყურანის კითხვის მიზნით, იკრიბებიან ერთმანეთის სახლებში და ჰაფიზის (პიროვნება, რომელიც ზედმიწევნით ფლობს ყურანს) მეშვეობით არაბულ ენაზე, რიგრიგობით კითხულობენ ყურანს. ჰაფიზი მისთვის გამოყოფილ ადგილზე ჯდება. კაცები და ქალები ცალ-ცალკე სხდებიან. საღამოს კი მიდიან მეჩეთში. (იხ. სურათი 32-33)

ჰაირიეში ყოველ 5 ივლისს, აჰმედ მელაშვილის დალუპვის დღეს (1980 წლის 5 ივლისს ქალაქ ბურსაში, მოკლეს აჰმედ-ოზკან მელაშვილი) ეწყობა მისდამი მიძღვნილი ღონისძიება. 2010 წლის 5 ივლისს მომიხდა სოფელში ყოფნა. აღნიშნულ ღონისძიებას ორგანიზებას უწევს სტამბოლის “Gürcü kültür merkezi” (ქართული კულტურის ცენტრი) ჰაირიე თურქეთის სხვადასხვა ქალაქებიდან და საქართველოდან ჩამოსული სტუმრებით ივსება. იკრიბებიან აჰმედ მელაშვილის საფლავზე და მუსულმანური

წესით ადავლენენ ლოცვას. დღის ბოლოს იშლება სუფრა, ხშირ შემთხვევაში სტუმრებს მასპინძლობას უწევს ერგუნ ათაბაი-გურამ ქოქოლაძე. ისმება ქართული ღვინო. საყურადღებოა, რომ აღნიშნული ღონისძიების მონაწილეებსა და სტუმრებს მკერდზე უკეთიათ აჰმედ მელაშვილის სურათი, რომელზედაც წერია მისი დაბადების თარიღი, თუმცა გარდაცვალების თარიღი არ არის აღნიშნული. ეს გარკვეულწილად მიანიშნებს, რომ ის არ მომკვდარა და იქაურ ქართველთა გულებში ჯერ კიდევ ცოცხალია. (იხ. სურათი 36)

ჩაიხანა

სოფლის მამაკაცების თავშეყრისა და გართობის ცენტრს ჩაიხანა წარმოადგენს. ის უფრო მეტია ვიდრე ჩაიხანა. ასეთი თავშეყრა გარკვეულწილად ჰგავს საქართველოს სოფლებში არსებულ ე.წ. "ბირჟას". რომელიც ასევე მამაკაცთა ერთგვარ სივრცეს წარმოადგენს. ჩაიხანაში იკრიბებიან მხოლოდ მამაკაცები, მიერთმევენ ჩაის, თამაშობენ ნარდს და საუბრობენ როგორც სოფლის, ქვეყნის, ისე გლობალურ საჭირობო საკითხებზე. შენობა სოფლის ცენტრში მდებარეობს და კულტურის სახლშია განთავსებული. (ეს უკანასკნელი გერმანიაში სამუშაოდ წასული ქართველების თანხებით არის აშენებული) ჩაიხანაში ქალების შესვლა აკრძალული იყო, რადგანაც იგი მამაკაცთა სივრცეს წარმოადგენდა. თუმცა, დროთა განმავლობაში, გათანამედროვებამ, ქალი უფრო თავისთავში დარწმუნებული გახდა და ზოგიერთი (ვინც ევროპაში ცხოვრობდა) ჩაიხანაში მამაკაცების საზოგადოებაში ჯდომასა და საუბარს არ ერიდება. თუმცა, თანამედროვე შეხედულებების მიუხედავად, მაინც ცდილობენ თავი შეიკავონ. ჩაიხანაში ხალხმრავლობა ზაფხულის პერიოდში, სადამო ხანს შეინიშნება, როდესაც სამეურნეო საქმიანობას რჩებიან.

სკოლა

უნდა აღინიშნოს, რომ სხვა სოფლებთან შედარებით ქართველების სოფლებში დიდი ყურადღება ექცევა განათლებას. თურქეთში ქართველები სწავლის დიდი სურვილით გამოირჩევიან. ამას ჯერ კიდევ მოგზაურმა მეჰმედ არიფმა მიაქცია

ყურადღება, როდესაც იმოგზაურა სამსუნის ქართულ სოფლებში, კერძოდ, მუსლუბეში. იგი აღნიშნავს, რომ მშობლები ბავშვების განათლებისათვის თანხას არ ზოგავენ. ცდილობენ შვილს ნებისმიერ ფასად მიაღებინონ განათლება. ქართველები “წვდომის დიდი უნართა და ნიჭით გამოირჩევიან”. (Arif 2002, 47)

სოფელ ჰაირიეს საკმაოდ ბევრი განათლებული კაცი ჰყოლია. **ოსმან მისირლიოღლუ-კახიძე** “*ენ დიდი კაცი მეშენ გითხრა სულეიმან ეფენდი, ჰაჯი მემედ ეფენდი, დოხტორები არიან. მესელა ყედენბეგიშვილი ნური ბეგი თურქეთის დიდი დოხტორებიდან არიან გენერლები, ფაშები არიან ჰუსეინ ერგუნი დიდი ფაშა არის. მუჰენდისები, ენჯინრები სოფელში ბევრი ნაკითხი კაცები არიან.*” ფაიკ ერთანმა, რომელმაც განათლება სტამბოლში მიიღო და მასწავლებლობას ეწეოდა, ჰაირიეს განვითარების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა. მან ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 50-იან წლებში სოფლის განვითარების ასოციაციის შექმნა გადაწყვიტა, რომელიც სოფლისათვის საჭირობოროტო საკითხებზე იმსჯელებდა და მის განვითარებას შეუწყობდა ხელს. ასევე აღსანიშნავია, ჰაირი ჰაირიოღლუ-ვახტანგ მალაყმაძე ცნობილი მთარგმნელი. იგი თურქულად თარგმნიდა საქართველოს ისტორიის წიგნებს, ინეგოლის ეთნიკურ ქართველებს აცნობდა ქართულ კულტურას, მწერლობასა და ისტორიას. ასევე აღსანიშნავია, ქართული კულტურის მოამაგე, ჰაირიეში ჩასიძებული აჰმედ-ოზკან მელაშვილი, დღესდღეობით ცნობილი ბიზნესმენი ერგუნ ათაბაი-გურამ ქოქოლაძე, ინეგოლის მერი ალინურ აქთაში-ალეკო ქოქოლაძე. (იხ. *სურათი 18-21*)

თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადების პერიოდში, ათა-თურქის მიერ განხორციელდა განათლების რეფორმა, რომელმაც მთლიანად შეცვალა განათლების სისტემა. სოფლებში გაიხსნა სკოლები, სადაც იგზავნებოდნენ მასწავლებლები, ხშირ შემთხვევაში თურქები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ათა-თურქის რეფორმების უმთავრესს პროპაგანდისტებს მასწავლებლები წარმოადგენდნენ. მმართველი წრეები სკოლებს, ნაციონალური სულისკვეთებით სავსე დაწესებულებებად მოიაზრებდნენ, სადაც უნდა გატარებულიყო ერთიანი თურქეთის სახელმწიფოებრივი იდეოლოგია. რეფორმების შედეგად, ჰაირიეში დაიხურა ძველი სასულიერო სასწავლებელი.

ჰაირიელთათვის უპირველესს მიზანს წარმოადგენდა ბავშვი კარგ მართლმორწმუნე მუსლიმანად ექციათ. 1894-95 წლებში პირველი მეჩეთი ააგეს, ჰყავდათ ქართველი “ჰოჯა”, რომელიც პატარებს წერა-კითხვასა და ყურანს ასწავლიდა. ნიჭიერი ახალგაზრდები სასულიერო განათლებას სტამბოლის მედრესებში აგრძელებდნენ. როგორც ცნობილია, ერთ-ერთი მოსამართლევ კი გამხდარა და მმართველ წრეებში გავლენიან ფიგურას წარმოადგენდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, თურქეთის სასულიერო სასწავლებლებში სწავლას აგრძელებდნენ და აგრძელებენ დღესაც არა მხოლოდ თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველები, არამედ ბათუმში მცხოვრები ქართველი მუსულმანებიც.

ერთ-ერთი პირველი სკოლა, ქართველებით დასახლებულ სოფლებში გახსნილა. ჰაირიეში სკოლის დაარსების თარიღად ასახელებენ 1929, 1937 წლებს. ეროვნებით ქართველ ქემალ ათაბეგს “ლათინურ ჰარფზე” გადასვლის მიზნით, ბურსის ვალისათვის მიუმართავს. (ჰამამლიში და ესქი ქარაჯაქაიში მასწავლებლები ქართველები ყოფილან-ნური ოზბექი და აქიფ ეფენდი) უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის პირველი დაწყებითი სკოლა (1-5 წლამდე) სოფლის მოსახლეობას ნადით აუშენებია. (იხ. სურათი 26)

სკოლაში ისწავლებოდა თურქული ენა, ისტორია, გეოგრაფია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა. იმის გამო, რომ მოსახლეობის უმეტესობა მხოლოდ ქართულ ენას ფლობდა, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თურქულ ენას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალებმა საერთოდ არ იცოდნენ თურქული, რადგანაც ისინი ოჯახისა და სოფლის ფარგლებს გარეთ არ გადიოდნენ. სოფელი ჩაკეტილი სივრცე იყო, ქალაქთან კონტაქტი იშვიათად უწყევდათ. (თუ ეს განსაკუთრებულ აუცილებლობას არ წარმოადგენდა. ინეგოლში უმეტესად მამაკაცები მიდიოდნენ. ამიტომაც იყო, რომ ქალებთან შედარებით, ცოტას მაინც ფლობდნენ თურქულ ენას) ქართული ენობრივი სივრცე დაცული იყო. გარდა ამისა, მიმდებარე სოფლები უმეტესად ქართველებით იყო დასახლებული. არ ხდებოდა უცხო თესლის შემოღინება. ეს იცავდა შიდა სივრცეს. ენა აზროვნებაა, ისინი კი ქართულად

მეტყველებით, ქართულად აზროვნებდნენ. “სექსენ იაშინდა (80 წლის) ქალები თურქეს ვერ ლაპარაკობდენ, იმას მევესწარი, ბერები ქალები ვერ დეილაპარაკებდენ, თურქე არ იცოდენ, პაწვანებმა არ იცოდენ მემრე მემრე თურქე ის ქნეს, წინ-წინ ჩვენნი სოფელი კარში არ გევიდოდა იანი, კითხვა არ იყო”.

ქართულ საუბართან ერთად საოჯახო წეს-ჩვეულებებიც ქართულად ჰქონდათ. ილია ხიმშიაშვილი “მე სულ ჩემი ბებიისთან იმათში გავიზარდე ჩემმა ბებია სულ არ იცოდა თურქული. დღესასწაულები რაფერ გვქონდა. ქორწილები მახსოვს, მაგრამ ახლა ძალიან მიკვირს ისა, ქალები და კაცები ცალკე ცეკვავდენ. სიმღერა ქართულად იყო, ესეც მახსოვს წერა-კითხვა არ იყო. ზამთარში ბებრები და ხალხი ერთ სახლში რომ მოიკრიბებოდენ მოგროვდებოდენ სულ მემლექეთზე ლაპარაკებოდნენ, მემლექეთი ე.ი. სამშობლო. ჩემი დედა გვარად სურმანიძე თურქული წერა-კითხვაც არ იცოდა სკოლაში ნამყოფი არ იყო. მამაც არ იყო სკოლაში ნამყოფი მეორე მსოფლიო ომის დროს 46 თვე საბერძნეთის-ბულგარეთის საზღვარზე ჯარში რომ იყო მაშინ ისწავლა თურქული წერა-კითხვა დღესაც ძალიან კარგად არ იცის. დედა გარდაიცვალა 1991-ში რომ მოკვდა თურქული ძალიან დამტვრეულად იცოდა. ახერხებდა მაგრამ სუფთა თურქული არ იყო. ბებია ჩემს დედაზე ორი დღით ადრე მოკვდა გარდაიცვალა იმან სულ ბოლო 3-4 წელიწადში თურქული რაც კი იცოდა ის მთლიანად დაავიწყდა მთლიანად გადავიდა მშობლიურ ენაზე.”

ბუნებრივია, ეს საერთო თურქული იდეოლოგიისათვის მიუღებელი იყო. ოფიცოზმა კარგად იცოდა, რომ ენა ასიმილაციის უმთავრეს საფუძველს წარმოადგენდა. სწორედ ამის გამო მთელი ყურადღება თურქულის სწავლებისაკენ იყო მიპყრობილი. იგზავნებოდნენ თურქი მასწავლებლები, რომლებიც ჯგუფში ქართულად საუბარს კრძალავდნენ. ეს პოლიტიკა ტარდებოდა ყველგან, როგორც ილია ხიმშიაშვილი აღნიშნავს, “ქალაქში ნამყოფი არ ვიყავი, თურქული სიტყვა არ ვიცოდით იქიდან ჩამოსულ ბებრებმაც არ იცოდენ. მერე თურქული როგორ ვისწავლე, არ ვიცი, არ მახსოვს, მაგრამ ერთი რამ მახსოვს: ერთი ქურთი პედაგოგი გვყავდა, რო ჩერქეზები ერთმანეთში ჩერქეზულად რომ ილაპარაკებდნენ, იმათ ცემდა, მერე ჩემგან დაიწყო.

სკოლაში ჩვენ რომ გაგვიჭირდებოდა, ქართულად ვლაპარაკობდით, სხვა არ ვიცოდით. ჩვენც გვცემდა ის ქურთი, რომ თურქულად უნდა ისწავლოთ, ქართული აკრძალულია. ასე ვისწავლე. ახლა დღესაც კი ჩემ დამ თურქული ენა ისე ძალიან ლიტერატურულად თურქული კარგად, წმინდად არ იცის.”

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სოფლის საბჭოში, ადგილობრივებთან შეთანხმების გარეშე, სახელმწიფოს მასწავლებელი შეყავდა. მიზანს, სოფლის საბჭოს გადაწყვეტილებების მოდერნიზაცია წარმოადგენდა. საბჭოს კი დიდი ზეგავლენა ჰქონდა სოფელზე. გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენით, ჯაჭვური რეაქციის მსგავსად, თავად სოფლის მოსახლეობაც შეიცვლებოდა. იმის გამო, რომ სოფლის მართვაში დიდი როლი ეკავა საბჭოს, სახელმწიფომ სწორი გათვლა გააკეთა და სწორედ სოფლის მმართველობით სტრუქტურაში შეიყვანა საკუთარი აგენტი, რომლის მეშვეობითაც, მოსახლეობის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას მიიღებდა. ამის შემდეგ კი შესაბამის ღონისძიებებს აქტიურად გაატარებდა. ძველად თუ საბჭოს გავლენა ჰქონდა მოსახლეობაზე, სოფელსა და ოჯახში არსებულ პრობლემებს წყვეტდა, დავებში აქტიურად ერეოდა, ნელ-ნელა დაკარგა გავლენის სფეროები. როგორც აიშე ხინკილაძე აღნიშნავს, *“მუჰთარი დიდვანი კაცები წყვიტავდნენ, ახლა სუყველა მან წყვიტავს, ახლავინმე ვინმეს აღარ კითხავს, ახლა სუყველა მან იცის. ამბობენ ჩემი პრობლემა არის, ეს მუჰთარი და დიდვანი რა შუაში არიან”*.

სოფლის სივრცეში სახელმწიფოს მიერ წარგზავნილი ნებისმიერი მასწავლებელი თურქული იდეოლოგიისა და სახელმწიფოს აგენტურას წარმოადგენდა. მიზანი იყო მოსახლეობის აზროვნების შეცვლა და თურქულ საზოგადოებასთან მათი სრული ასიმილაცია. ამ შემთხვევაში, დაკარგული და იგნორირებული იქნებოდა ქართული ეთნიკური ნიშან-თვისებები, ტრადიციები. ამ ე.წ. ”სოფლის რეფორმატორებს“- მასწავლებლებს სოფელში პროგრესის შემოტანა სურდათ, მაგრამ ეს პროგრესი ფასადური იყო, რომლის მიღმა ხალხის სრული ასიმილირება იმალებოდა. ბუნებრივია, მოსახლეობა მათ სივრცეში უცხოს შემოსვლას, საკმაოდ უარყოფითად შეხვედრია. ოჯახში ქალები უარს აცხადებდნენ ესწავლათ თურქული. მხოლოდ ქართულად

საუბრობდნენ და ისე მოკვდნენ, რომ თურქული არცკი უსწავლიათ. *“ჩვენ სოფლებში დედაბრებმა თურქულ არ იცოდენ და კაცებმა იცოდენ, არ დეისწავლეს, ვერ მიაღწევდენ თურქებმა, გეთორიეთ ასე ეტყოდენ”*. მათ ქვეცნობიერად ეშინოდათ, რომ უცხოს შემოჭრა მათ შიდა სივრცეს მოუღებდა ბოლოს. სწორედ ამიტომ, სრულიად ბუნებრივი და ადეკვატური იყო ქალების რეაქცია. გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ სწორედ ქალებს ჰქონდათ პროტესტის გრძნობა. ქართულ და ზოგადად კავკასიურ რეალობაში, ქალი ყოველთვის ოჯახის შიდა სივრცის დამცველად გვევლინებოდა. ის ამ სივრცის მთავარ ნიშნულს წარმოდგენდა და ყოველთვის ხვდებოდა, გრძნობდა იმ საფრთხეებს, რაც შესაძლოა მის ოჯახურ სივრცეს დამუქრებოდა. ამიტომ, ოჯახის სივრცის დამცველმა, შემნახველმა მანდილოსნებმა გაათვინცნობიერეს საფრთხეები და სწორედ ამით აიხსნება მათი მწვავე რეაქცია.

შიში სრულებით რეალური აღმოჩნდა. ბავშვებმა ნელ-ნელა დაიწყეს თურქულად საუბარი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკოლებში ეკრძალებოდათ ქართულად ლაპარაკი და იძულებულები იყვნენ თურქული ენა გამოეყენებინათ. ამ პოლიტიკის შედეგად, თურქულად საუბარი უკვე ნორმად ჩაითვალა და დროთა განმავლობაში ოჯახებშიც თურქული ენა დამკვიდრდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ქალები მაქსიმალურად ცდილობდნენ ოჯახებში ქართულად ესაუბრათ და სოფლის შიდა სივრცეშიც მშობლიურ ენაზე დაემყარებინათ ურთიერთობა. დროთა განმავლობაში მათ მეტყველებაში ნელ-ნელა გამოჩნდა ქართულ-თურქული ტერმინები. ამ ფაქტს განიცდიან ჰაირიელები *“აქამომდე ენა დაკარგული არ გვექონდა, ახლა ქალები თურქულაი ელაპარაკებიან ბაღვებს დაავიწყდენ. გერმანიაში სახლდებიან. დუნიაზე იქ მოსულებმა ქართული არ იციან. ჩვენა თუ მოკვდით აღარ დარჩება და ვეღარ გააგნებინებენ.”* აღნიშნავს ჰაირიეს მკვიდრი.

თავიდან სკოლებში მხოლოდ ბიჭები სწავლობდნენ, თუმცა შემდგომში უკვე გოგოების მიზარებაც დაიწყეს. 1960 წლისათვის ყველა სოფელს საკუთარი სკოლა ჰქონდა და ჰაირიეს სკოლაში სხვა სოფლებიდან აღარ მოდიოდნენ. ბუნებრივია, სწავლამ ბევრს მისცა საკუთარი თავის გამოვლენის შესაძლებლობა. ზოგიერთმა

დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ, სახლში დარჩენაზე უარი განაცხადა და ინეგოლის საშუალო სკოლაში გააგრძელა სწავლა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწყებითი სკოლის მასწავლებლებიც საკუთარი “კეთილი ნებით”, ფინანსურად ეხმარებოდნენ ბავშვებს, რათა სწავლა ქალაქში გაეგრძელებინათ. ბუნებრივია, ეს უფრო გათქვეფავდა მათ ქალაქურ ყოფაში და მოახდენდა მათ სრულ ასიმილირებას. ბევრ მშობელს შვილების ეს საქციელი არ მოსწონდა, მათ ერჩივნათ ისინი სახლში დარჩენილიყვნენ და მეურნეობისათვის მიეხედათ. ზოგიერთს კიდევაც შეუჩვენებია საკუთარი შვილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკოლაში გოგოებიც სწავლობდნენ, თუმცა ეს ზოგიერთი მშობლისთვის მიუღებელი იყო. ემინოდათ, რომ გოგოები და ბიჭები დაახლოვდებოდნენ, რაც მათი ტრადიციებისათვის შეურაცმყოფელი იქნებოდა. თუმცა, დროთა განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. ისინი ათვიცნობიერებდნენ, რომ დროისათვის უნდა აეწყოთ ფეხი და შვილებისათვის განათლება მიეცათ. ამიტომ, ამ საკითხისადმი ნელ-ნელა ლიბერალურნი გახდნენ. მათ სურდათ თავიანთ შვილებს ჰქონოდათ ის, რაც თავად აკლდათ. ამიტომ, ცდილობდნენ გოგოებიც გაეგზავნათ ინეგოლსა და ბურსაში სასწავლებლად, თუმცა ნათესავების ზედამხედველობის ქვეშ.

თავი 2. ოჯახი და ოჯახის შემადგენლობა

როგორც მიიჩნევენ, საქართველოში ოჯახი ჩნდება გვაროვნული წყობილების დაშლის საფეხურზე. ტერმინი “ოჯახი” გვიანაა ფეხმოკიდებული საქართველოში. ისტორიულ დოკუმენტებში იგი პირველად “სამოქალაქო ჰსჯულდებაში” (1799-1800) გვხვდება.

საბჭოთა ენციკლოპედიასა და “სამოქალაქო ენციკლოპედიაში”¹⁶ აღნიშნული ტერმინი განმარტებულია შემდეგნაირად-ოჯახი არის ქორწინებასა თუ სისხლით ნათესაობაზე დამყარებული მცირე ჯგუფი, რომლის წევრები დაკავშირებულნი არიან ყოფა-ცხოვრების ერთიანობით, ურთიერთ მორალური პასუხისმგებლობითა და ურთიერთდახმარებით. თუმცა, ამავე ლექსიკონში მოცემულია მეორე განმარტებაც, “ოჯახი არის დაქორწინებული მეუღლეები შვილებით ან მათ გარეშე, ან მარტოხელა მშობელი შვილით.” სამოქალაქო სამართლის მიხედვით კი ოჯახი -ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია სახელმწიფო ორგანოში, რამდენადაც, სამართლებრივი თვალსაზრისით, მხოლოდ ასეთი რეგისტრაცია წარმოშობს მეუღლეთა შორის გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს. სამოქალაქო სამართლის 1152-ე მუხლით აღიარებულია მეუღლეთა თანასწორუფლებიანობა და განმარტებულია, რომ საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები. სხვა უფლებებთან ერთად, მათ აქვთ საოჯახო საკითხების ერთობლივად გადაწყვეტის, საქმიანობისა და საცხოვრებელი ადგილის (თუ ამით არ ილახება ოჯახის საერთო ინტერესი) თავისუფლად არჩევის, თანასაკუთრებაში არსებული ქონების ურთიერთშეთანხმებით მართვისა და განკარგვის უფლება. რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის მინიჭება სოციალური ან ქონებრივი მდგომარეობით ან

¹⁶ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=1970> (9.2. 2010)

სქესის ნიშნით წარმოადგენს დისკრიმინაციას, რაც დაუშვებელია და იკრძალება კანონით.¹⁷

თურქეთის კონსტიტუციის (1982წ.) 41-მეერთე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ "ოჯახი წარმოადგენს თურქეთის საზოგადოების ფუნდამენტს".¹⁸ ასევე წინასწარმეტყველი მუჰამედი ბრძანებს "მეძიე მე ბედნიერ ოჯახში". ამრიგად, ოჯახი როგორც რელიგიური, ისე კონსტიტუციური თვალსაზრისით, მუსულმანის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს და საერო თუ სასულიერო ნორმებით, ხელს უწყობს მის სიძლიერეს, განიხილავს რა ერთის მხრივ სახელმწიფოებრივ ასპექტში, ხოლო მეორეს მხრივ ამყარებს რელიგიურად.

ამერიკელი მეცნიერი რუბენს ჰილი განმარტავდა, რომ არ არსებობს ფენომენი, ისეთი ნაცნობი, როგორც ოჯახია. იგი ყურადღების საგანია მსჯელობის ყველა დონეზე. დაწყებული ცხოვრების კონკრეტული სიტუაციებით და დამთავრებული კულტურასთან, საზოგადოებასთან საქმის მქონე დიდი თეორეტიკოსების მიერ ფორმულირებული ყველაზე დახვეწილი აბსტრაქციებით.

ოჯახს საქართველოში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგანაც ეროვნულ თვითმყოფადობას წარმოადგენდა. ტრადიციულად ოჯახი არა მხოლოდ ინახავდა წესჩვეულებებს, სამეურნეო-კულტურულ ტიპს, არამედ გადასცემდა მას შთამომავლობას.

"ოჯახი", "სახლი", "კერა", "სახლეული" "საცხოვრისი" ეს იყო ერთი სოციალური ორგანიზმი, სახელმწიფოსა და ერის მინი-საზოგადოება, რომელიც ირეკლავდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. მას ქართველი ერის ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავა და ერის მორალურ სახეს, ღირებულებათა სისტემას წარმოადგენდა. ოჯახი ეს ცოცხალი ორგანიზმი იყო, ამიტომაც ერის დაკნინება მასზე მკვეთრად ისახებოდა. როდესაც ერში იშლება ფასეულობები, ჯაჭვური რეაქციის მსგავსად, ისიც განიცდის რეგრესს.

¹⁷ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=1970> (9.2. 2010)

¹⁸ <http://www.servat.unibe.ch/icl/tu00000.html>. (9.2. 2010)

ოჯახი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერის ყოფა-ცხოვრების ანარეკლია. მას აქვს წარსული და აწმყო. მომავალი კი, ამ ორი უკანასკნელის შედეგზეა დამოკიდებული. მაგრამ მის სტრუქტურას შეიძლება გარკვეული საფრთხე დაემუქროს, გარკვეული ცვლილებები განიცადოს, როდესაც იგი სხვა ტერიტორიაზე, სხვა ეთნიკური ერთეულების გარემოცვაში სახლდება, სადაც უმცირესობაშია. ამის შედეგად, მისი მომავალი უკვე ბუნდოვანია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი აღმოჩნდება ძლიერი-წარსული, რომელიც თავის თავში მოიცავს ტრადიციებს, ისტორიულ მემკვიდრეობას, თუ აწმყო, რომელიც უცხო გარემოში ყალიბდება, სხვა ეთნოსისათვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებით. ასეთმა უცხო გარემომ შეიძლება ჩამოაყალიბოს უკვე ახალი საოჯახო ტიპი, ძველი ტრადიციები ჩაანაცვლოს ახლით, ან მოახდინოს სინთეზი. თუმცა, შეიძლება ოჯახი აღმოჩნდეს მდგრადი ცვლილებებთან მიმართებაში, გარკვეული დროის განმავლობაში განიცადოს რაღაცა დოზით რყევა, მაგრამ შემოინახოს უმთავრესი ღირებულებები, რომელთა გადაფასებაც არ მოხდა აწმყოსთან დაპირისპირების შედეგად.

ოჯახის სტრუქტურა საზოგადოების განვითარების პარარელურად შეისწავლება, რადგანაც ამ უკანასკნელის ფორმაცია პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს ოჯახზე. ოჯახის სტრუქტურის კომპონენტია მისი შემადგენლობა, ქორწინება, ეკონომიკური საფუძვლები, უმცროს-უფროსობაზე აგებული მმართველობითი სისტემა, ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულება, ნათესაური ურთიერთობები, ბავშთა აღზრდა, საოჯახო საქმიანობაში ოჯახის წევრების უფლება-მოვალეობების გადანაწილება, შიდა საოჯახო სივრცესა და საზოგადოებაში ქცევის ნორმები და სხვ.

2.1. ოჯახის წევრთა რაოდენობა და თაობათა შემადგენლობა გუშინ და დღეს

“ოჯახი”- როგორც საზოგადოების მცირე ჯგუფი, საუკუნეთა განმავლობაში ამ უკანასკნელის ევოლუციის პარარელურად ყალიბდებოდა და იხვეწებოდა. პრომიკუიტიტიდან ნელ-ნელა იქცა მონოგამიურ, პატრილოკალურ სისტემად.

პატრიარქალური გაუყრელი, დიდი ოჯახი ნელ-ნელა ნუკლეარულ და როგორც დღესდღეობით თანამედროვე საზოგადოების საოჯახო ყოფა-ცხოვრებაში მკვეთრად შეიმჩნევა, ეგალიტარულ ოჯახად იქცა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის სიმტკიცე თანამედროვე რეალობაში, გარკვეულ მორალურ რეგრესს განიცდის, ის მაინც უნიკალურ, ჩაუნაცვლებელ ფენომენად რჩება და ტრადიციულ საზოგადოებაში მორალურ პრინციპებზე დამყარებულ ცოცხალ ორგანიზმს წარმოადგენს.

ოჯახი ადამიანთა "საზოგადოების ბაზაა". აჭარაში, ისევე, როგორც დანარჩენ საქართველოში, პატრიარქალური ოჯახი აერთიანებდა მშობლებისა და მათი დაქორწინებული თუ დაუქორწინებელი შვილების ოჯახებს. ბუნებრივია, ასეთი "დიდი" ოჯახები მრავალი წევრისაგან და სხვადასხვა თაობისაგან შედგებოდა. გიორგი ყაზბეგის ცნობით, "აჭარელის საშინაო ყოფა ისეთივეა, როგორც კავკასიის მთიელი ხალხებისა: პატრიარქალურობა, მოხუცთა პატივისცემა, დოგმად ქცეული სტუმართ-მასპინძლობა, თავშეკავებულობა, დიდი ცნობისმოყვარეობა-და რაც ამირკავკასიაში იშვიათად გვხვდება-შრომისმოყვარეობა". (ყაზბეგი 1995, 61)

საქართველოსა და თურქეთის მსგავსად, ჰაირიეს ქართველებშიც, წარსულში ოჯახი პატრიარქალური და "გაუყრელი" იყო. შედგებოდა მამის, დედის, დაქორწინებული თუ დაუქორწინებელი შვილების, რძლებისა და შვილიშვილებისაგან ანუ რამოდენიმე თაობისაგან. თანამედროვე ოჯახი კი მშობლებისაგან და შვილებისაგან შედგება. ძველად, ასეთი ოჯახები მრავალრიცხოვანი იყო და თხუთმეტ სულს აჭარბებდა. იგი მრავალშვილიანობით ხასიათდებოდა, რაც თანამედროვე ყოფაში აღარ შეიმჩნევა. ერთ-ერთ მიზეზს თანამედროვე ოჯახის საყოფაცხოვრებო მოთხოვნების ზრდა წარმოადგენს. რაც ეკონომიკურ მდგომარეობას უკავშირდება. მიიჩნევენ, რომ ორი-სამი შვილი საკმარისია. ოჯახის "გაურიგებლობა" მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც თავის თავში მოიცავდა მრავალწევრიანობას და რამოდენიმე თაობას აერთიანებდა, რაც ეკონომიკურ-სამეურნეო თვალსაზრისით საკმაოდ მომგებიანი იყო, ანუ ოჯახის შრომით ორგანიზების პროცესში-უფრო მეტი ოჯახის წევრი, როგორც მუშახელი, სამუშაოს თავისუფლად გადანაწილების საშუალებასა და საოჯახო დოვლათის

შევსებასაც უწყობდა ხელს. მატერიალური კეთილდღეობის ზრდის გარდა, "გაუყრელობა" წარმოადგენდა ოჯახის წევრთა სულიერ კოჰეზიას და სიძლიერის განცდას ქმნიდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ფეოდალური სამართლის მიხედვით, ოჯახის გაყრა მიზანშეწონილი არ ყოფილა.¹⁹ როგორც გ. ცეცხლაძე მიიჩნევს, "მრავალიცხოვანი ოჯახების შემორჩენა განაპირობა ეკონომიკურმა მდგომარეობამ და ერთად ცხოვრების ტრადიციამაც...გაუყრელად ცხოვრება ცალკეულ შემთხვევაში ოჯახის წევრთა კარგი ურთიერთდამოკიდებულებით აიხსნება". (ცეცხლაძე 1991, 17) მსგავსი ოჯახები არა მხოლოდ აჭარის, არამედ გურიის მთიანი სოფლებისთვისაც იყო დამახასიათებელი.

ჰაირიეში მშობლები, შვილები, რძლები და შვილიშვილები ერთად ცხოვრობდნენ, ერთმანეთის გარეშე სუფრაზე არ სხდებოდნენ, ერთმანეთს არ განარჩევდნენ. ასეთი ოჯახი, როგორც წესი მრავალწევრიანი იყო, აქედან გამომდინარე ოთახების რაოდენობაც იზრდებოდა. როგორც სოფლის მკვიდრი სებაჰათ ათაბაი (ქოქოლაძე) აღნიშნავს, მისი ოჯახი 15 წევრისაგან და ოთხი თაობისაგან შედგებოდა. მათ 11 ოთახი ჰქონდათ. *"ჩვენ 15 ვიყავით. ჩემი ბაბაი და ბიძას ბაბაი ერთი იერზე იყვნენ არ გარიგდნენ იმათმა, დიდ სახლში ვიყავით თეელი, 11 ოდა გვექონდა, ნალიები, სამანლიქები, აჰორები".* წინა თაობას მოსწონს ასეთი "გაურიგებელი" ოჯახები და ძველ დროს მისტირის.

ნინო ოქროსცვარიძე–*"ახლა არის ძმების გაყრა?"*

სებაჰათ ათაბაი –*"ახლა თეელი აირი აირია".*

ნინო ოქროსცვარიძე–*"მთელი ოჯახი ერთად რომ იყო დედამთილი, მულები, უფრო კარგი იყო?"*

¹⁹ იხ. სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა და სამიეზლები დაურთო ი. დოლიძემ, "საბჭოთა საქართველო", 1981, მუხლი 98.

აიშე ხინკილაძე- ”უწინ ჩვენ დროში ესე იყო, ახლა აღარ უნდებიან. დედამთილი მული სახლში არ უნდებიან. არც კაი უნდათ არც ცუდი.”

სებაჰათ ქოქოლაძე (ათაბაი)-”ჩემი დედა არაფერში გეერევა გელინი”.

აიშე ხინკილაძე-”15-16 წლისა ვიყავი აქ რომ მოვედი. ერთად ვიყავით რამდენ ხანს (ამბობს მულზე და დედამთილზე)დედამთილ ერთად ვიყავით 15 წელიწადს. დედამთილით მემუნნი ვარ, დედამთილი კაი მყავს. მულებიც კაი მყავს დედამთილი.”

ოჯახი, რომელიც არ იყო გაყოფილი და ერთ შენობაში ცხოვრობდა, დაოჯახებულ წყვილებს თავიანთ შვილებთან ერთად, ცალ-ცალკე ოთახში ეძინათ. თუმცა, მთელი ოჯახი-ბავშვები, ქალები, კაცები, ერთად ჭამდნენ “სოფრაზე” (ხისგან გაკეთებული, პატარა მაგიდა) თუმცა, სტუმრის მიღების, დღესასწაულების დროს, ქალები და კაცები ცალ-ცალკე სხდებოდნენ. ჯერ მამაკაცებისათვის იმლებოდა სუფრა, ხოლო შემდეგ კი ქალებისათვის. “სოფრა”, როგორც საოჯახო ნივთი დღესაც არის შემორჩენილი ჰაირიეში, თუმცა, მას ის დატვირთვა აღარ აქვს რაც ძველად ჰქონდა. დღესდღეობით “სოფრას”, ცომის გასაპრტყელებლად “სინორის” და “მაკარნას” გასაკეთებლად იყენებენ, ასევე თუ სტუმრის სურვილი იქნება, ჩაის “სოფრაზე” მიართმევენ. “სოფრას” ძველად, ოჯახებშივე, მაგარი ხისგან კერძოდ, მუხისგან ამზადებდნენ. (იხ. სურათი 43-44) “სოფრაზე” ზოგჯერ 8 კაცზე მეტი ეტეოდა, მას ძირზე დასადგამი ჰქონდა, რომელშიც ნიორს ნაყავდნენ, ხოლო გადმოტრიალებისას “სოფრას” მიწაზე დგამდნენ. გარშემო ჩანგლებისათვის კიდეები ღრმად ჰქონდა ამოკვეთილი. ქართველებით დასახლებულ ზოგიერთ სოფელში, დღესაც შემორჩენილია საუკუნეზე მეტი ხნის “სოფრა”, რომელიც მფლობელთა გადმოცემით “გურჯისტანიდან გადმოსულა, დედეს გადმოუტანია, მისი ხათრით ვინახავთ”. (იხ. სურათი 45-46) ჰაირიეს მკვიდრი ეთთინების ოჯახში დღესაც შემორჩენილია “ბერების” (ძველი თაობის) მიერ გაკეთებული “სოფრა”, რომელსაც შესაძლოა სიმყარის მიზნით, ქვემოდ დატანებული აქვს ჯვრის ფორმის ნაკეთობა. (იხ. სურათი 47)

ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ოჯახის უფროსის სიკვდილი ზოგჯერ ”გაყრის”, ”გარიგების” მიზეზიც ყოფილა. მაგალითად, თუ დაქორწინებული

შვილი ეკონომიკურ დამოუკიდებლობას მიაღწევდა, ცოლ-შვილთან ერთად ცალკე გადადიოდა და აყალიბებდა საკუთარ ოჯახს. თუმცა, შეეძლო მამის გარდაცვალებამდე მასთან დარჩენილიყო. ოჯახის უფროსის სიკვდილის შემდეგ, დაქორწინებული ძმები “რიგდებოდნენ”, ანუ ცალკე დამოუკიდებელ ოჯახებს ქმნიდნენ. მაგრამ, ყოფილა შემთხვევები, როცა მამის სიკვდილის შემდეგ მათ ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა შეუნარჩუნებიათ და მამისეულ სამკვიდროში თანაცხოვრებასა და მუშაობას ამჯობინებდნენ. თუმცა, დღესდღეობით, თითქმის ყველა ოჯახი “გარიგებულია” ანუ ცალ-ცალკე ცხოვრობს, ძმები სხვადასხვა ქალაქში მუშაობენ და ცხოვრობენ. ცალკეულ შეძლებულ ოჯახებში, ტრადიციული ”გაურიგებელი” ოჯახის სახეცვლილი ანდა მასთან მიმსგავსებული ფორმა შეინიშნება. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ ოჯახი შეძლებულია, მაშინ ძმები, ერთ მიწაზე, ერთ ტერიტორიაზე აშენებენ სახლებს. მაგალითად, ათაბაის (ქოქოლაძეები) ოჯახის მამაკაცები, სამი ძმა ერთ ტერიტორიაზე სახლობს. ორი ძმა იყოფს ერთ დიდ შენობას-სამ სართულიან სახლს, რომელიც შუაზეა გაყოფილი. მათი სახლის მოპირდაპირედ, იმავე ეზოში სახლობს უფროსი ძმა თავის ოჯახთან ერთად. ასევე გვერდით ცხოვრობს მათი ბიძაშვილი. თუმცა ასეთი ოჯახები მაინც იშვიათია ჰაირიეში. (იხ. *სურათი 38-41*) დღესდღეობით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოფელში, ისევე როგორც ინეგოლის ქართველებით დასახლებულ სოფლებში, თითქმის აღარ მოიპოვება ”გაურიგებელი ოჯახი”. მისი ადგილი ატომარულმა ოჯახმა დაიკავა. აქედან გამომდინარე, თაობათა რაოდენობასთან ერთად, ოჯახის წევრთა რაოდენობაც შემცირდა, თუ წარსულში ოჯახში ოთხი-სამი თაობა ცხოვრობდა და 10 სულს აჭარბებდა, დღესდღეობით საკმაოდ მცირეა. ოჯახი როგორც წესი, ორი თაობისაგან შედგება-მშობლები და შვილები, ამ უკანასკნელთა რაოდენობა ხშირ შემთხვევაში ორი ანდა სამია. მიზეზებს მატერიალური მდგომარეობა და თანამედროვე ყოფისათვის დამახასიათებელი, ინდივიდუალური ოჯახების არსებობა წარმოადგენს, რასაც თურქეთის ქალაქებსა და ევროპაში მიგრაციის პროცესიც ემატება. დაქორწინებული თუ დაუქორწინებელი ახალგაზრდები ცხოვრების უკეთესი პირობების ძიების მიზნით, სოფლებს ტოვებენ, სადაც როგორც წესი, მოხუცები რჩებიან, თუმცა, სურვილის შემთხვევაში ქალაქში, შვილებთან გადადიან საცხოვრებლად, ან

მათთან გერმანიაში მიდიან. მაგრამ მოხუცებიც და ახლაგაზრდებიც, ზაფხულობით ცდილობენ თავის კერას დაუბრუნდნენ. თურქეთის სხვადასხვა ქალაქიდან ან საზღვარგარეთიდან ჩამოდიან (ძირითადად გერმანიიდან) და ერთად ატარებენ რამოდენიმე კვირას ან მთლიანად ზაფხულს. (იხ. სურათი 48)

ქართველებისათვის ფუძე მნიშვნელოვანია, ამიტომ სადაც არ უნდა წავიდნენ, საბოლოოდ ცდილობენ უკან დაბრუნდნენ. ჰაირიეში მოხუცებულობის ასაკის მიღწევასას, ისევ სოფელში, საკუთარ კერას უბრუნდებიან. აღსანიშნავია, რომ ეს თვისება, სამსუნის ქართულ სოფლებში მცხოვრებ ქართველებსაც ახასიათებდათ. მოგზაური მ. არიფი აღნიშნავს “ქართველები განათლების მისაღებად წავლენ სხვაგან, თუ ბევრ ფულს იშოვნიან, მაინც ბოლოს თავიანთ სოფელში ბრუნდებიან, ცოლს ირთავენ და მკვიდრდებიან”. (Arif 2002, 52)

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თურქეთში მცხოვრებ ქართველებში შეინიშნება წინაპართა მიწაზე ანუ საქართველოში დაბრუნების პროცესი. ვგულისხმობთ, იმ ფაქტს, რომ ქართული წარმოშობის, თურქეთის მოქალაქეები ცდილობენ განათლება საქართველოში მიიღონ, აწარმოონ სამეწარმეო საქმიანობა, შექმნან ოჯახები და აქვე დაფუძნდნენ. ამ პროცესს ორმაგი მოქალაქეობაც უწყობს ხელს.

2.2. ოჯახის ეკონომიკური საფუძვლები

ბუნებრივია, ძლიერი ოჯახებისათვის სულიერ კოჰეზიასთან ერთად, მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური კეთილდღეობაც. რაც ერთიანობაში იდეალური ოჯახის სიმბოლურ სახეს წარმოადგენდა. ოჯახის ეკონომიკური საფუძვლების შესწავლის დროს, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, რადგანაც ”საცხოვრებელი სახლი, პირველ რიგში, წარმოადგენს ოჯახის ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრებისა და მისი ყოფის ცენტრს”. (ჩიქოვანი 1967, 5)

სახლის ტიპების შესწავლის დროს, როგორც გ. ჩიტაია აღნიშნავდა, მნიშვნელოვანია მკვლევარის მიერ გათვალისწინებული იყოს რამოდენიმე ფაქტორი, კერძოდ, “ქვეყნის ბუნებრივი არე... და მეორე ამ გარემოში მცხოვრები ხალხის კულტურული მდგომარეობა და მისი წარმატება”. (ჩიტაია 1997, 184) მეცნიერის აზრით, აუცილებელია საცხოვრებელი ნაგებობის დეტალური აღწერა, როგორც ”გარეგანი ისე შიდა კონსტრუქცია, რაც მოგვცემს საშუალებას შევიქმნათ წარმოდგენა სახლის ამა თუ იმ ტიპის შემადგენელ ელემენტებზე”. (ჩიტაია 1997, 185) სამშენებლო ტრადიცია, თავისთავად, ეთნიკური კულტურის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი კომპონენტია, “რომელშიც თანაბარზომიერად შერწყმულია, და შემდგომ ხილულად გადმოცემულია ეთნიკური კულტურის როგორც მატერიალური, ასევე სულიერი სფეროს მთავარი ელემენტები”. (ბუხრაშვილი 2005, 84)

აჭარის მსგავსად, ჰაირიეშიც საოჯახო მეურნეობა განსაზღვრავდა საცხოვრებლის ტიპს. აჭარაში სახლების უმეტესობა ორსართულიან ხის ნაგებობისგან შედგებოდა. პირველ სართულზე “ახორი” იყო, მეორეზე კი საცხოვრებელი. ჰაირიეშიც, ქართველები ცდილობდნენ მსგავსი სტრუქტურით აეშენებინათ საცხოვრისი. პირველად მოსულმა მუჰაჯირმა ქართველებმა გაკაფეს ტყე და დაიწყეს საკუთარი სივრცის შექმნა, საცხოვრისის სახით. მათ უცხო მიწაზე უპირველესად შემოფარგლეს “შინა”- “გარეთა”- საგან. საკუთარი შიდა სივრცით გააერთიანეს ორი სამყარო “სიმბოლური და რეალური”. “სახლი, როგორც რეალური, პრაქტიკული კომპლექსი და მეორე, როგორც სიმბოლურ-წარმოსახვითი ობიექტი...ვებებით რა სახლს, საცხოვრისს როგორც პრაქტიკულ, რეალურ კომპლექსს, ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა დავინახოთ მისი ეკონომიკური, სოციალური მხარე; გავანალიზოთ მისი როლი ცალკე ინდივიდისა და ცალკე საზოგადოების ცხოვრებაში....შესაძლებლობა გვეძლევა ავაგოთ სოციალური და ეკონომიკური მოდელი..რაც შეეხება სახლს, საცხოვრისს, როგორც სიმბოლურ ერთობლიობის მომცველ ობიექტს, აქ საქმე სხვაგვარად გვაქვს. თუკი ჩვენ შევეცდებით აღნიშნული კუთხით მის გაანალიზებას, მაშინ შესაძლებლობა გვეძლევა მასში ამა თუ იმ სოციალური ორგანიზმის (იქნება ეს ოჯახი, გვარი თუ თემი) სულიერი ცხოვრების კვალის დაფიქსირებისა. ე.ი. შესაძლებლობა გვეძლევა ამოვიკითხოთ ის ძირითადი,

განუმეორებელი, თვითმყოფადი დვრიტა სულიერი ცხოვრებისა, რომელიც არსებითად განასხვავებს ამ სოციალურ უჯრედს სხვა რომელიმე მისი მსგავსი სოციალურ-გენეტიკური (საერთო-წარმომავლობითი) ერთობისაგან“. (ბუხრაშვილი 2005, 111-112) ან არა საერთო წარმომავლობის ანუ სხვა ეთნიკური ერთეულებისაგან, რაც უფრო უკედ უცხო ქვეყანაში ვლინდება, სადაც მძაფრად ხდება გარე სამყაროსგან გამოცალკეება, რაც პირველად მის შეგნებაში იბადება და პრაქტიკულ განხორციელებას სახლის, როგორც შიდა სივრცის აშენების დროს ჰპოვებს. ეს მიკრო სამყარო მისი იდენტობაა. ამ მიკროსამყაროში მუჰაჯირებს შეჰქონდათ საქართველოდან წამოღებული ნივთებიც, რომელსაც დღესდღეობითაც ინახავენ. ეს მათ ეთნიკური სივრცის განცდას უქმნიდა.

ამრიგად, ჰაირიელებმა დაიკავეს რა უცხო ტერიტორია, ეთნიკური თვალსაზრისით შემოფარგლეს და მხოლოდ ქართველებით დასახლებულ სოფლად განსაზღვრეს- “ჩვენ” და “სხვები”. ხოლო სახლების აშენებით კი, უფრო ვიწროდ დაჰყვეს- “შინა”- და “გარეთა”. ე.ი. გამოჰყვეს მიკროსამყარო მაკროსამყაროსაგან, როგორც ეთნიკური (ამის მაგალითია, ის რომ ჰაირიელები თავიანთ სოფელს “მაჭახელად” მოიხსენიებენ) ისე ვიწრო პიროვნული თვალსაზრისით.

თურქი მოგზაური მეჰმედ არიფი მეტად საინტერესოდ აღწერს სამსუნის ქართული სოფლის მუჰაჯირი ქართველების საცხოვრისს “ქართველების სახლები ქალაქური ტიპისაა და აგებულია წაბლის ხეებისაგან. სახლებისათვის კრამიტის მაგივრად, პატარა მართკუთხა წაბლის ნაჭრებს იყენებენ, რომლითაც ერთის მხრივ ძლიერი ქარის დროს კრამიტების აყრის შემთხვევაში, თავიდან იცილებენ დამატებით ხარჯებს, მეორეს მხრივ კი საკმაოდ დიდხანს სძლებს. მათი სახლები ოთხი კედლისაგან, ერთი ან ერთმანეთში გამავალი ორი ოთახისა და სამზარეულოსაგან შედგება. ერთსართულიანია და ოსტატურად არის ნაგები...ყოველ სახლს საკუთარი ეზო და ბოსტანი აქვს. დათესილია ჭარხალი, კომბოსტო, ლობიო, კიტრი. ეზოებში სხვადასხვა ჯიშის ხეებია, თუთა, ვაშლი, მსხალი, ლეღვი, ქლიავი. მათი მოშენებით გატაცებული ქართველები შორს წავიდნენ, ამოტომაც სულ აქვთ ბოსტნეული და ხილი. ჰყავთ ფუტკარი და მისგან თავლს

ღებულობენ. მინდორში სიმინდს, გოგრასა და ლობიოს სთესავენ, ვაზი ვერ ხარობს”.
(Arif, 2002, 39-40)

ხისგან გაკეთებული მსგავსი სახლები ჰაირიეშიც არსებობდა. თუმცა, დროთა განმავლობაში შეიცვალა. ჰაირიეში სახლებს ალიზით აშენებდნენ, ფუნდამენტად ქვას, ხოლო კარკასებად კი ხეს იყენებდნენ. სახლები ერთ ანდა ორ სართულიანი იყო. მას “ქერფიჩის” სახლებს უწოდებდნენ. სიმტკიცის მიზნით, ტალახში ბზეს ურევდნენ, შემდეგ აღნიშნულ მასას, ფორმის მიცემის მიზნით, ყალიბში ასხამდნენ და აშრობდნენ. დროთა განმავლობაში “ქერფიჩს” აგური ჩაენაცვლა. სახურავს წითელი კრამიტით ხურავდნენ. კედლებს ათეთრებდნენ ან ცისფრად ღებავდნენ. (იხ. სურათი 49-52)

ჰაირიელთა საცხოვრებელში შესვლისთანავე მისაღები ოთახი იწყებოდა და დანარჩენ ოთახებს უკავშირდებოდა. პირველ სართულზე განთავსებული იყო სამზარეულო, მისაღები და ერთი ან რამოდენიმე საძინებელი. მეორე სართულზე კიბეებით ადიოდნენ. სასტუმრო ოთახი შუშის ფანჯრებიანი იყო. კედელზე დივნები ჰქონდათ მიდგმული. დღესდღეობით, ჰაირიეში ძველი სახლები ახლით იცვლება, მაგრამ ვისაც ძველი შემორჩა, მასზე მზის ბატარეები დაამატა, სახლი გადააკეთა, ზოგიერთმა ახალ სახლს, აგურზე ამოკვეთილი წინაპართა გვარისა და სახელის აღმნიშვნელი ნიშა დაადო, რითაც წინაპრისადმი პატივისცემა გამოხატა. (იხ. სურათი 53)

დღესდღეობით შემორჩენილი ძველი სახლები ოდნავ სახეცვლილია, თუმცა კარგად ჩანს, ძველი საცხოვრისის იერსახე. ზოგიერთმა მაცხოვრებელმა, ნალია, ბეღელი, “ახორი” დატოვა და მასზე საცხოვრებელი დააშენა. (იხ. სურათი 54) ნალიის ქვეშ მოაწყო მისაღები ოთახი, სადაც მხოლოდ ხალიჩაგადაფარებული ტახტია. ამავე სართულზეა სამზარეულოც. პირველი სართულიდან ადიან მეორე სართულზე, აქ რამოდენიმე ოთახია. ყველგან ხალიჩებია დაფენილი. შიდა კედლები თეთრად არის შეღებილი. ძველად გარეთა კედლებს, რომელიც ქარისა და წვიმის გამო ფუჭდებოდა, წელიწადში ორჯერ ღებავდნენ. (უფრო სადღესასწაულო პერიოდში) სასტუმრო ოთახში ყურადღებას იქცევს თანამედროვე ტიპის მაგიდა, სკამები, დივანი. ამ ოთახიდან ცალკე ოთახებში

გადიან. აქვეა აბაზანა. ამავე სართულზეა სხვადასხვა ნივთებისათვის განკუთვნილი სათავსო, რომელიც ძველად ნალია ყოფილა. მისი იატაკი წვრილი ხისგანაა გაკეთებული, ხოლო კედლებად კი სქელი ხეა გამოყენებული, გვერდზეა ბეღელიც. ამავე შენობის პირველ სართულზეა “ახორი” სადაც ჰყავთ ძროხა და ქათმები. (იხ. სურათი 55-57)

ეკონომიკურმა განვითარებამ და მატერიალური დონის ამაღლებამ მკვეთრად შეცვალა მოსახლეობის მოთხოვნილებები. სოფელში გაჩნდა ახალი, თანამედროვე ტიპის სახლები. ვინც ევროპაში ცხოვრობს და მუშაობს, ახალი სახლების მშენებლობის პროცესში, შემოაქვს ევროპული სტილი. შეიძლება ითქვას, რომ ინეგოლის სხვა სოფლებთან შედარებით ჰაირიე ევროპულ-ქართული სოფელია. თითქმის არ არსებობს ოჯახი, რომლის ერთი წევრი არ მუშაობდეს გერმანიაში. მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული უკვე რამოდენიმე თაობა ცხოვრობს გერმანიაში. აქედან გამომდინარე ევროპულმა ცხოვრებამ, სტანდარტებმა, გარკვეული ზემოქმედება მოახდინა მათ ცხოვრების სტილზე, ეს უკანასკნელი კი გარკვეულ გამოხატულებას თანამედროვე სახლის ტიპზე ჰპოვებს, რაც ეკონომიკურად ძლიერი ოჯახების სიმბოლურ სახეს წარმოადგენს. (იხ. სურათი 58-60)

საცხოვრებელ ნაგებობებთან ერთად, ოჯახის ეკონომიკური დონის მაჩვენებელი იყო **სამეურნეო ნაგებობები**. აღსანიშნავია, რომ ძველად მატერიალურად მდგრადი ოჯახების ეკონომიკური ძლიერების საფუძველს, ნალია, სათივე, ბოსელი, ბეღელი, ყანა წარმოადგენდა. მათი არსებობა იმაზე მეტყველებდა, რომ ოჯახი ინტენსიურ სამეურნეო ყოფას ეწეოდა. ზოგს პირუტყვისათვის ცალ-ცალკე სადგომიც კი ჰქონდა. მსგავსი მოვლენა საქართველოშიც გვხვდება. გურული გლეხის ძლიერ ეკონომიკურ მდგომარეობას, თავის ნაწარმოებებში ე. ნინოშვილი შემდეგნაირად აღწერს, ”იმ სოფელში ჯერანზე უკეთესი და შეძლებული გლეხი ორიც არ მოიპოვებოდა. ოროთახიანი ყავრით დახურული ფიცრის სახლი, მეორე კიდეც ისლით დახურული პატარა ფიცრული სახლი, საჭმლის საკეთებლად, კაი ბეღელი, ფაცხა, ”ნალია”, ოჯახისათვის საჭირო სხვადასხვა პატარა შენობები, ერთი ურელი ხარი, ორი მეწველი ძროხა, ღორები, ..ეს დიდ შეძლებად ითვლება გლეხკაცობაში”.. (ნინოშვილი 1984, 114)

ჰაირიეშიც მდიდარი ოჯახი შედგებოდა: "ev"- სახლი, ხორბლის შესანახი-ნალია , ბელელი "ambar", სათივე-საბძელი-"samanlık", ახორი-"ahir". მათ ხის მასალისაგან აკეთებდნენ და კრამიტით ხურავდნენ. ნალიას შეყენებული ჰქონდა 4 მაღალი ბოძი, რათა ცხოველები არ შესულიყვნენ და ჰაერსაც თავისუფლად ემოდრავა, რაც აუცილებელი იყო ხორბლის "გასანიაველად". ნალია იდგა ეზოში, ამ უკანასკნელს კი გარშემოვლებული ჰქონდა მაღალი სარის ღობეები. მეჰმედ არიფი მოგზაურობის დროს, აღრფრთოვანებულა სამსუნის ქართველების სოფლების სამეურნეო ნეგებობებით "ქართველები თავიანთ მოსავალს ბელელში ინახავენ. იგი ყველა სახლის ეზოშია. ნალიები და ბელეები უპირველესად ოთხი ბოძისა და ყოველ ბოძზე ბორბლის ფორმის მრგვალ და პრიალა ზედაპირზე ერთიმეორეზე დადგმული ბოძებისაგან შედგება. ზემოდან ლერწმის ან სიმინდის ღეროთია გადახურული". (Arif 2002, 41-42)

მოგზაური ქართველების მოხერხებითაც მოხიბლულა. მას უნახავს ნადირის დასაფრთხობად გაკეთებული მოწყობილობა, "წყლის ფსკერზე ფიცრით მშვილდი მაგრდება. მშვილდის ერთ ბოლოზე თუნუქის სახაპავია მიმაგრებული, მეორე ბოლოში კი ხის ნაჭერზე თანაბარ მანძილზე მდებარე ერთმანეთისაგან გამოყოფილი ხისსავე თხელი ფიცრებია ჩამაგრებული. იგი ოინბაზის მორთულ დაფას ჰგავს. კალაპოტიდან მომდინარე წყალი თუნუქის სახაპავში ჩაედინება...იგი დიდ ხმას გამოსცემს და მხეცი მინდვრებს ვერ ეკარება". (Arif 2002, 40-41)

მისი გადმოცემით "მიწათმოქმედებისათვის საჭირო ნივთებს თავად ამზადებენ-ურმებს, ნალიებს, ბელეებს, რთავენ ძაფს, სახლებში აბრეშუმის პარკი გამოჰყავთ, ქსოვენ ქამრებს, თავადვე წნავენ კალათებს. ბაზარს არც კი იყენებენ".. (Arif 2002, 42-43)

1961 წლისათვის ჰაირიეში საკმაოდ ბევრი ბოსელი, სათივე, ნალია და ბელელი ყოფილა. (იხ. *სურათი 62-66*) ოჯახებისთვის წესდებოდა გადასახადი "სალმა" (განისაზღვრებოდა სიმდიდრის მიხედვით და სოფლის თავისა და უხუცესთა საბჭოს მიერ დგინდებოდა)

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ თუ ადრე ჰაირიელების მატერიალურ დონეს, ნალია, ბელელი, ბოსელი, სათივე განსაზღვრავდა და სოფლის თვალში ასეთი ოჯახი მდიდრად

ითვლებოდა, დღესდღეობით პირიქით ხდება, ვისაც ჯერ კიდევ შემორჩენილი აქვს აღნიშნული ნაგებობები, მათ მატერიალურ სიდულჭირზე მეტყველებს. ყველა ჰაირიელი, ვისაც კი საშუალება გააჩნია, ცდილობს დაანგრის ძველი და ააშენოს ახალი სახლი. ძველი სახლის ნგრევას კი ბუნებრივია, სამეურნეო ნაგებობების ნგრევაც მოჰყვება. თუმცა, არიან ოჯახები, რომლებიც ამ პროცესს მტკივნეულად განიცდიან და ცდილობენ მთლიანად არ გაანადგურონ. რადგანაც იციან, რომ ყოველი ნაგებობა, წინაპართა მიერ არის აშენებული. ჰაირიეში მკვიდრმა ეროლლუს ოჯახმა მიუხედავად იმისა, რომ ახალი სახლი ააშენა, "ახორი" მაინც დატოვა, თუმცა მას თავისი პირვანდელი დანიშნულება უკვე აღარ გააჩნია და ძველი ნივთების სათავსოდ გამოიყენება. ოჯახს ნალიის დანგრევა მაინც მოუხდა, სამაგიეროდ ოჯახის უფროსი, ნალიის წინ გადაღებულ სურათს დღემდე ინახავს და სამზარეულოს კედელზე აქვს ჩამოკიდებული. (იხ. სურათი 67)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამეურნეო ნაგებობები, ინტენსიურ სამეურნეო საქმიანობაზე მიანიშნებდნენ. ამ უკანასკნელში კი უპირველესი ადგილი ეკავა მიწათმოქმედებას, რომელიც მატერიალური დოვლათის პირველწყაროდ მიიჩნეოდა. გარდა ამისა, გურიაში მეურნეობის განვითარებას განსაზღვრავდა მიწის სიდიდე, "ასევე მიწადმოქმედების მაშტაბურობაზე იყო დამოკიდებული მესაქონლეობის განვითარების დონეც. რამდენადაც საქონლის საკვებს მიწა იძლეოდა". (ცეცხლაძე 1991, 25)

სწორედ ამიტომ იყო, რომ მას შემდეგ რაც, ჰაირიეში მოსულმა მუჰაჯირებმა დაიკავეს ტერიტორია და შემოსაზღვრეს შიდა ეთნიკური სივრცე, დაიწყეს მიწების განაწილება. იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი საკმაოდ ნაყოფიერი იყო, მის განაწილებაზე კამათი არ მომხდარა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გაყოფა არათანაბარი იყო. მრავალწევრიანმა შეძლებულმა ოჯახებმა, რომლებსაც საკმაოდ ბევრი პირუტყვი ჰყავდათ, სხვებზე მეტი მიწა მოითხოვეს. შეიძლება ითქვას, რომ ძველი სოციალურ-ეკონომიკური განსხვავება, რომელიც მათ საქართველოში ჰქონდათ, ჰაირიეშიც შეინარჩუნეს.

ძველად ჰაირიეში მიწა ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელი იყო. 6 თვის განმავლობაში ყანაში მუშაობდნენ. ზამთარში კი სახლში იჯდნენ. ყანაში დილაადრიანად მიდიოდნენ და საღამომდე საქმობდნენ. თუმცა, ქალისათვის ასეთი სამუშაო ძალზედ მძიმე იყო.

ჰაირიელებს ძველად საკმაოდ ბევრი საქმე ჰქონდათ, კრეფდნენ, ახმობდნენ და ამზადებდნენ თუთუნს, ამუშავებდნენ მიწას, პურს და სიმინდს სთესავდნენ, კრეფდნენ თხილს. მიწაზე მოჰყავდათ *“პური, ფათათესი, ქერი, ულაფი, ჭუავი, ბურჩალი/საქონლის საჭმელია, პურის მსგავსია/, სიმინდი.....ყანაში ხაპი, კიტრი, ყარფუზი, ტომათაი დეირგვის...კალობა ვიცით, ხარმანობა თხუთმეტ დღეს გაწევს.....ლობიოს ჯიშებია; თეთრი ლობიაი, შავი ლობიაი, ბაჯგაი ლობიაი, ძირვალი ლობიაი, ფარუხაი ლობიაი...ბოსტანი გუაქ. ქინძი, მაკილო. შაშპრამი, ქონდარი, პიტნა, ქექიტ/ტარხუნა/პრასა, ნიორი, ბოლოკი, მიწახაპი/მიწყავაშლი/”*. (ფუტკარაძე 1993, 343)

ჰაირიეს მკვიდრი სებაჰათ ათაბაი იგონებს, რომ ძველად *“ჩვენი მისირ დიორ სიმინდს გავფაჭევდით, პურ მოვჭრიდით, ხარები ცხენები, საღამოზე გუუნიავედით, იანი სამან აირილდიქ ბოილე რუზგარ ჩიქთიი ზამან-ქარი რომ გამოვიდოდა სამნებს წეილებდა პური აირი სამანი აირი წევიდოდა, მემრე ასე საცერები იყო დიდვან დიდვანი, პურის საცერები, იმით გაცრიდენ, ჩავყრიდით მერე ჩუვალებში (ტომარა) ერთ თვეს ვერ ავდგებოდით ყანიდან, ჩვენაც გვქონდა ბელელი, ამა დავანგრიეთ ახლა, ავსილი იყო ლობიაი, სიმინდი, რაგინდა თეელი იყო, თლად ყანიდან მოვიდოდა ბალებიდან.”* შემორჩენილია ყანებისათვის “ბერების” (ძველი თაობის) მიერ დარქმეული სახელები: *“მილეთყანიები, მენახნარი, ალიას ქედი, ალიას ბახჩა, მეზალულის ყანიები, მადენის ყანიები, ყალიები, ჰელმედუზი, ფადიმე ყანიები, ტაშლიყანიები, ყალე ყანიები, ტორულები, ჩარჩხალაი, წიფნარები, ქურუ დერე...”*. დღესდღეობით ისინი, ვინც სოფელში დარჩნენ და სხვაგან საცხოვრებლად არ წავიდნენ, ცდილობენ დაამუშაონ მიწა, ყიდიან წაბლს, თხილს, მარწყვს. ამ პროცესში ქალებიც იღებენ მონაწილეობას. ხილი და საოჯახო ნაწარმი ინეგოლის კურორტ ოილათში მიაქვთ. (იხ. *სურათი 72-73*) აქ ძირითადად ქართველთა სასტუმროები და რესტორნებია, ამავდროულად მის გარშემო არსებული ქართული სოფლების მოსახლეობაა დასაქმებული.

მიწის დამუშავების გარდა, სოფლის მოსახლეობა მისდევდა მეფრინველეობასა და მესაქონლეობას. პროდუქტს ოჯახში აწარმოებდა, თავადვე მოიხმარდა და ნათესავებსაც უნაწილებდა. ქალაქში მხოლოდ მარილს, შაქარს და მსგავსს პროდუქტებს ყიდულობდნენ. ფულს “იშვიათად ხედავდნენ”.

წარსულში ჩვეულებისამებრ ოჯახის ყველა წევრი და მეზობელი, ერთმანეთის გვერდით მუშაობდა, მას “imece” ანუ ნადი-ერთობლივი მუშაობა ეწოდება. ყველა, ვინც ერთმანეთის სახლების მშენებლობაში იღებდა მონაწილეობას, მასპინძლის ოჯახში სადილობდა. უნდა აღინიშნოს, რომ ინეგოლის ყველა ქართული სოფელი, ტყიან ტერიტორიაზეა გაშენებული (გამონაკლისია სოფ. ჰასანფაშა) აქედან გამომდინარე, ხის მასალა ადგილზე მოიპოვებოდა. **ტყით სარგებლობა**, არა მხოლოდ პირადი მოხმარებისათვის იყო მომგებიანი, არამედ მომდევნო წლებში, შემოსავლის წყაროსაც წარმოადგენდა. მოსახლეობა ჭრიდა ხეს, მიჰქონდა სოფლის ქარხანაში, გადამუშავების შემდეგ კი მასალას სამშენებლო ტერიტორიაზე აგზავნიდა. სახლის მშენებლობისას, ძირითადად უპირატესობას ანიჭებდნენ წაბლის (სიმაგრის გამო) და ალვის ხეებს (სირბილის გამო), პირველს ბოძებისათვის, მეორეს კი სახურავისთვის იყენებდნენ და ზემოდან კრამიტს ადებდნენ. ძველად, წითელი კრამიტი სოფელშივე მოიპოვებოდა, მაგრამ 60-იანი წლებიდან მისი შემოტანა ინეგოლიდან და ბურსიდან დაიწყო. ტყით სარგებლობამ, ეთნიკურ ქართველებს საკმაოდ დიდი შემოსავალი მოუტანა, რასაც ხელს უწყობდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტყიან ტერიტორიაზე დასახლება. დღესდღეობით, ჰაირიეს მამაკაცები, ძირითადად ტყეში ანუ “დეჰოში” (მოჭრილი ხის მასალის სათავსო) მუშაობენ. ჭრიან ხეს და ქალაქში ავეჯის ფირმებს აბარებენ. (იხ . სურათი 74-76)

იავუზ ეთინი-“ახლა ტყეში მუშაობენ, ტყიდან მოჭრიან იქ ჩამეიტანებენ ჰუქუმათში, იმიდან ნაჭარ აართმევენ, ფარა. წინ-წინ აქა ინსნები ძალიან მოსაქმე იყო. ახლა ტყეში საქმობენ, ჭრიან მოაქვან, ფულ ართმევენ დიდ ქალაქიდან, აქაც ჩვენ თოფრაქები გვაქ წინ – წინ დიდი ბელლები იყო აქა, იმ ბელელში ბევრი ავსილი იყო და აღარ დატიეს გახრიტეს ქვემა, შეჭამეს ფარები”.

ქართველების შესახებ ხუმრობით ამბობენ ”სადაც ტყეა იქ ქართველია”. ამ დომინანტური პოზიციის შედეგია, ის, რომ ინეგოლის თითქმის ყველა წამყვანი ავეჯის ფირმა, ქართველს ეკუთვნის და თურქეთის ბევრ ქალაქს ამარაგებს. (იხ. სურათი 77-78)

ჰაირიელთა ეკონომიკური შემოსავლის უმთავრესს წყაროს 70-იანი წლებიდან, უკვე ქალაქში მუშაობა წარმოადგენს. უმრავლესობა ან ინეგოლის რაიონში ანდა თურქეთის სხვა ქალაქებშია დასაქმებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფელში ოჯახი არ არის, რომლის წევრი გერმანიაში არ მუშაობდეს. ჰაირიელები უხვად არიან ქალაქ გუმერსბახში.

ჰაირიელების გერმანიაში გადინება მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება და აკმედ ოზკან-მელაშვილის სახელს უკავშირდება. იგი აღნიშნულ სოფელში ჩასიძებული იყო და ადგილობრივ ფაიკ ერთანთან ერთად სოფლის ფეხზე დაყენებას ცდილობდა.

იმის გამო, რომ თურქეთში 60-იან წლებში მაღალი იყო უმუშევრობის დონე, ხოლო ევროპას იაფი მუშახელი ესაჭიროებოდა, თურქეთმა მუშახელის გაგზავნასთან დაკავშირებით, ევროპასთან გააფორმა შეთანხმება. ევროპის ქვეყნებს შორის, ყველაზე დიდი უპირატესობით დასავლეთ გერმანია სარგებლობდა. 1974 წლამდე, თურქეთიდან მიახლოებით მილიონმა ადამიანმა გადალახა გერმანიის საზღვარი იმ იმედით, რომ სწრაფად გამდიდრდებოდა. მათთვის ევროპა მიმზიდველი იყო ცხოვრების მაღალი დონითა და სტანდარტებით. იმის გამო, რომ ჰაირიეს მოსახლეობას ფინანსურად უჭირდა, აკმედ მელაშვილმა, შექმნა თურქეთის მთავრობის მიერ ინიცირებული²⁰ “სოფლის განვითარების კოოპერატივი”. (იხ. სურათი 70)

სწორედ ამ კოოპერატივის მეშვეობით, უამრავი ჰაირიელი მამაკაცი გერმანიაში გაიგზავნა სამუშაოდ. თუმცა ამ გადინებამ სოფელი დააცარიელა. თუ 1955 წლისათვის მოსახლეობის რაოდენობა 1.063 შეადგენდა, 1965 წლიდან მათი რიცხვი უკვე

²⁰ ინიციატივა ეხებოდა თურქეთში სოფლის განვითარების საკითხს. 1964 წელს შეიქმნა თურქეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ამ უკანასკნელმა შეიმუშავა სამუშაო გეგმა, რომლის თანახმადაც თურქი მიგრანტების მიერ გამოიმუშავებული თანხებით უნდა მომხდარიყო სოფლების ინფრასტრუქტურის განვითარება. სწორედ ამ ინიციატივამ წაახალისა ღარიბი სოფლების მოსახლეობა შეექმნათ ”სოფლის განვითარების კოოპერატივი”.

კლებულობს. კერძოდ, 1965 წელი-1.010, 1970 წელი-746. სოფელ ჰაირიეში შემორჩენილია ერთადერთი ფოტო, რომელზეც 1960-იანი წლების ჰაირიეს ახალგაზრდობაა გადაღებული. (იხ. სურათი 71)

მამაკაცების გერმანიაში წასვლისა და მათთან განშორების გამო, თავდაპირველად ბევრი მანდილოსანი გამოხატავდა უკმაყოფილებას ა. მელაშვილის მიმართ, თუმცა მოგვიანებით, მას მადლობას უხდიდნენ, რადგანაც უკვე სახეზე იყო ოჯახების მატერიალური წარმატება. აღნიშნული ორგანიზაცია მატერიალური დონის ამალღებაში, დაეხმარა, როგორც სოფელს ისე ცალკეულ ოჯახებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ა. მელაშვილს 60-იან წლებში თავად სურდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის დაარსება, რომლის მეშვეობითაც, მოსახლეობას საკუთარი პროდუქტის გაყიდვის შესაძლებლობა ექნებოდა. თავდაპირველად, უამრავმა ჰაირიელმა მოინდომა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება, თუმცა რაღაც პერიოდის შემდეგ, უარი განაცხადა. ამრიგად, ა. მელაშვილის წამოწყება, იმ პერიოდში განუხორციელებელი დარჩა.

თანამედროვე ცხოვრებამ ბევრი რამ შეცვალა ჰაირიელთა ყოფით ცხოვრებაში. ნალია, ბელელი ისევე, როგორც სხვა ბევრი რამ, უკვე წარსულის კუთვნილებად იქცა. დღესდღეობით, ჰაირიელთა უმრავლესობა მიწაზე აღარ მუშაობს. **იავუზ ეთინი** *“ადრე ყანიები იყო ბევრი, ხარებით ხნავდენ, ახლა ბევრი ეკლები გეიზარდნენ, ახლა ტრაქტორები გვაქ იმდენი, ერთ ყანას არ ვთესავთ.”* აქედან გამომდინარე, უკვე აღარ გააჩნიათ საოჯახო ნაწარმი. საქონელიც შემცირდა. ადრე ქალაქში თუ მხოლოდ მარილს, შაქარს ყიდულობდნენ, დღეს თითქმის ყელაფერი მაღაზიიდან მიაქვთ. ბუნებრივია ამ ფაქტს განიცდიან ძველი თაობის წარმომადგენლები. **ოსმან მისირლიოღლუ-კახიძე** *“ჩვენი სოფელი აქ ჩვენ ყანაში დავთესავდით ხახვი, პური, სიმინდი, თელი მოვა, ცხვარი, ძროხები გვყავდა, იმათ ნაწველს ვჭამდით. ჭადს ვჭამდით, პურ შევინახავთ იმითვინ ბორეჯი, ხაჭაპური, ქათხერი. ახლა ქასაბიდან იღებენ, იქიდან ჭამენ, სოფელში ერთი კვერცხი არალი, ძროხა არალი, ქათამი არალი, ხარი არალი”.*

ქალაქსა და ევროპაში ცხოვრების ხიბლმა, დააცარიელა სოფელი და ზოგიერთი ადგილი ნასახლარადაც კი აქცია. როგორც **ოსმან მისირლიოღლუ-კახიძე** აღნიშნავს,

“სოფელი დაპაწავდა. აქ რომ მკვდარი იყოს ასაწევი ინსნები აღარ დარჩება, თეელი აღმანას არიან. ახლა 20 დღეს უკანა აქ ვინმეს ვერ დეინახავ 2-3 კაცი ჩიტები ძაღლები შიერი რჩებიან აქ ვინ უნდა მოუაროს. სოფელში ვინმე არალი”. ეს მოვლენა ქართველებით დასახლებულ სხვა სოფლებშიც შეიმჩნევა. ადგილობრივები მტკივნეულად განიცდიან იმ ფაქტს, რომ სოფელი ახალგაზრდებისაგან ცარიელდება. შემოსავლიანი საქმე სოფელში აღარ არის, ყველას ქალაქში ანდა გერმანიაში სურს ცხოვრება. თუმცა, სიბერის დროს კვლავ სოფელს უბრუნდებიან. როგორც ჩვენი რესპოდენტი აღნიშნავს “სოფელში გენჯი (ახალგაზრდა) არალი ზათენ, არ დგება, ქასაბაზე (ქალაქი) არიან, რენჩბერობა (მიწადმოქმედება) არალი, ჰაივანჯილილი (მესაქონლეობა) იოქ, ბირშიე იოქ, გენჩმა რა ქნას, რაიზა ქნას, ყანიები ბოშ (ცარიელია), ვინცხა ემექლია (პენსიონერი) მოვა კიდო სოფელში, სახლ აკეთებენ სოფელში არიან. გენჯებია აღარალიან, აღმანას (გერმანიას) იქნებიან. მესელა (მაგალითად) მოვლენ, უკან ბრუნდებიან, დაბერდებიან ემექლი გამოვლენ, მოვლენ”.

თუმცა რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ბოლო წლებში თურქეთში არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, გარკვეულწილად დადებითი გავლენა იქონია მოსახლეობაზე. სამსახურებში შტატების შემცირებამ, უამრავ ადამიანს უბიძგა სოფელში დაბრუნებულიყო და დაემუშავებინა მიწა. ამით სოფლები კვლავ შეივსო და ადგილობრივი რესურსების გამოყენებაც დაიწყო, კერძოდ აშენდა წყლის მცირე ქარხნები, სადაც დასაქმდნენ ადგილობრივები.

შეიძლება ითქვას, რომ რადიკალური განსხვავებაა ძველ და თანამედროვე ჰაირიეს შორის. 1961 წლისათვის მოსახლეობას არ ჰქონდათ არც წყალსადენი და არც სინათლე. წყალს სპილენძის ან კერამიკის ჭურჭლებში ინახავდნენ. დღის სინათლეს განათებისათვის იყენებდნენ, ღამე კი ნავთის ლამფებს ანთებდნენ. მაგრამ მომდევნო წლებში, ზოგიერთმა საკუთარ სახლში წყალი გამოიყვანა. ხოლო 1973 წლისათვის უკვე ყველა სახლში იყო სინათლე. ჰაირიელებს ეზოში ხისგან გაკეთებული საპირფარეშო ჰქონდათ. სახლებში ედგათ უბრალო ხის სკამები, ადგილობრივთა მიერ გაკეთებული კარადები, მაგიდები, ზარდახშები, (უმეტესი მათგანი საქართველოდან იყო

წამოღებული. დღესდღეობით, ჰაირიეში და სხვა ქართულ სოფლებში, მოსახლეობას ჯერ კიდევ აქვს შემონახული წინაპრების მიერ საქართველოდან წამოღებული სამეურნეო-საოჯახო ნივთები, რომლებსაც “მათი ხათრით ინახავს”) თუმცა, “ქერფიჩის” ძველი საცხოვრებელი სახლები, დროთა განმავლობაში თანამედროვე სტილით შეიცვალა, სამეურნეო ნაგებობებიც დაინგრა ანდა გადაკეთდა, რადგანაც თავისი პირვანდელი დანიშნულება დაკარგა. ოჯახის ეკონომიკური საფუძვლებიც ნელ-ნელა შეიცვალა. მას ახალი შემოსავლის წყარო-თურქეთის ქალაქებსა და ევროპაში მუშაობა დაემატა. თუმცა, უცვლელი დარჩა ეკონომიკური საფუძვლების როლი და მნიშვნელობა.

მივლინებების დროს, მოვიძიეთ და დავაფიქსირეთ **საოჯახო-სამეურნეო ნივთები**. უმრავლესობა ქართული სახელით არის ცნობილი და ხშირ შემთხვევაში მათი წინაპრების მიერ საქართველოდან არის წამოღებული. ამ ნივთებიდან ბევრმა დაკარგა თავისი პირვანდელი დანიშნულება, მაგრამ მოსახლეობა მაინც ინახავს, რადგანაც წარსულთან და წინაპართა სახელთან არის ასოცირებული. ქართულ სოფლებში ასევე შემორჩენილია **ქართული ხილის ჯიშები და კერძები**.

ჰაირიეში, ისევე როგორც ინეგოლის სხვა ქართულ სოფლებში, გვხვდება საოჯახო-სამეურნეო ნივთები (უმრავლესობა ქართული სახელწოდებებით), რაც წარსულში მათი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. ბევრი საოჯახო-სამეურნეო ნივთი, მაგალითად, “ჯილდა”, უღელი”, “ქოთანი”, “ლეგენი” (leğen) (დიდი ტაშტი), “კეცი”, “ლაფერა” (ხის კოვზი “სალჩას“-პომიდვრის საწებლის მოსარევად) “ტაფა”, “თითა” (მას 8 რკალი ჰქონდა და ხისგან იყო გაკეთებული), “ჭახრაკი”, “ხერხაი დანა”, “ხერხი”, “ეჩო” “ქვაბი”, “საბელი” (ადრე მას ოჯახებში თავადვე აკეთებდნენ, მაგრამ დღესდღეობით, გამზადებული სახით ყიდულობენ), “გორვალაი”, “თექირი” “ხის მორი”-“ხორცს ცულით დანაყავ, ნაჯახით, ცულით, დიდ ცულ ეტყვიან, პაწაის ნაჯახ ეტყვიან, ამაზე დაფარჩავენ იანი ხორცს დაფარჩავენ.” “გუგუმი”- (Gügüm) წყლის თუნგი, “კარდალა”, “ფიწალი”, “ფოცხი”, “მერული”, “პაწაი გობი”, “დიდი გობი”, “გოდორი”, “სკივრი”, “ხანჯლები”, “ტყვია-წამლის” შესანახი, “ქალამნები”, “ყანწი”- (მასში ურმის გასაწმენდ ზეთს ინახავდნენ), კარაქის სადღვეები-“ვარია”, “ქვიჯა” (სანაყი)

“დოლაბი”, “ბურღულის გასარჩევი”, თიხისგან გაკეთებული “ყავის მოსახალი”, “ურემი”, და სხვა. დღესდღეობით, იშვიათად ანდა საერთოდ აღარ არის ხმარებაში, ისინი თანამედროვე საშუალებებმა ჩაანაცვლა. თუმცა, ზოგიერთი მათგანის სახელი ძველ თაობას მაინც ახსოვს და ინახავს ამ ნივთებს, როგორც წინაპართაგან შემორჩენილ, მათთან და საქართველოსთან ასოცირებულ, წარსულის კუთვნილებას. **იავუზ ეთთინი-** *”შენ სოფელში გამოჩიე ჰეირიეს ნახე ჯილღაი?”*

ნინო ოქროსცვარიძე- *”არა, არ მინახავს ჯერ”.*

იავუზი ეთთინი- *”მე მქონდა”.*

ნინო ოქროსცვარიძე- *”გურჯულია?”*

იავუზ ეთთინი- *”ხო, ულელი, ბონდრული. ხარებს რომ შაბმენ ავშარაებით, ურანებს წამოდეფ.”*

“არაბა“-ს გადასაზიდ საშუალებად იყენებდნენ. ძველად მას “ხარი არაბად” მოიხსენიებდნენ. ეს იგივე ურემია. მისი ერთ-ერთი ნაწილია “თექირი”. ქართველებში “თექირის” მნიშვნელობით, გავრცელებულია ტერმინი “გორვალაი”. ეს უკანასკნელი ხის ბორბალია, რომელსაც გარშემო გადაჭერილი აქვს რკინის სალტე. მას ჯერ აცხელებენ და შემდეგ მჭიდროდ შემოავლებენ. საინტერესოა, რომ მსგავსი ნივთი, იმერხევის სოფლებშიც გვხვდება “ხის ბორბალს მეორენაირად “მარანს”, რკინისსალტიან ბორბალს კი “თექირს” უწოდებენ”. (შავშეთი 2011, 119)

თანამედროვე ჰაირიეში, მხოლოდ ერთ ოჯახშია შემორჩენილი “საფექრო“- (ხალიჩების მოსაქსოვი) ახალგაზრდები ”საფექრო“-თი ხალიჩების ქსოვის ტრადიციას აღარ აგრძელებენ. ბუნებრივია, ამ ფაქტს უფროსი თაობა განიცდის.

სამიე ოზდილი *“ქილიძს ვაკეთებ და ახლა ნამაზლულ ვიჯები, ნამაზლულ. ილოცავ მოგვე მოვექსოვო? მოვექსოვ და მოგცემ შენა და ილოცე.”*

ნინო ოქროსცვარიძე- *”ეს საფექრო გურჯისტანიდან მოიტანეთ?”*

სამიე ოზდილი-”*აქ იყო ბაბას გაკეთებული. ბაბაი გურჯი იყო. ბაბამ გააკეთა და ასე ქილიმებს ვქსოვ. ახლა ნამაზლოული უნდა ვქნა*”.

ნინო ოქროსცვარიძე -”*საფექრო მარტო შენ გაქვს?*”

სამიე ოზდილი-”*ბევრ ქონდენ და აღარ იჯებიან ვინმე დანაყრდნენ. ახლა მე ბაბას გაკეთებულია და არ იმას ვიჯები. გენჯობაში ვიჯებოდი და ახლა დავბერდი.*”

წარსულში ქალები იატაკისთვის ფარდაგებს წნავდნენ და მათ ჩალისგან აკეთებდნენ. დღესდღეობით, “**ჰასირს**” უკვე აღარავინ ამზადებს, თუმცა ზოგიერთს ოჯახებში მაინც შემორჩა.

სახლში შესვლამდე, წესის მიხედვით, ფეხზე იხდიდნენ და ხის ლანჩიან ქოშებს - “**takunya**” (ტაკუნია) იცვამდნენ. ჰაირიეში და ინეგოლის ქართულ სოფლებში გავრცელებულ სიმღერაში “*ეგ ლამაზი ტაკუნები ვინ მოგიტანაო?*”, გვხვდება “ტაკუნები”, თუმცა, ზოგი სიმღერისას ამბობს “*ბაბუჩებს*”-ს (“*pabuç*”-ფლოსტები) “ტაკუნიებს” დღესდღეობით სახლებში უკვე აღარ იყენებენ. იგი მეჩეთის ეზოში მდებარე, ფეხების დასაბან შადრევანთან გვხვდება. (იხ. *სურათი 81-106*)

სოფლის ქალები პურს გარეთ ღუმელში ანუ “**ფურუნში**” აცხობდნენ, ხოლო საჭმელს სახლის შიგნით ბუხარში ანუ “**ოჯაქში**” ამზადებდნენ. (იხ. *სურათი 79-80*) პირველი ყოველთვის სახლის გარეთ, ხოლო მეორე კი სახლის შიგნით, ცენტრალურ ნაწილში უნდა ყოფილიყო. ამასაც თავისი მნიშვნელობა ენიჭებოდა კერძოდ, ის ერთგვარ ცენტრს წარმოადგენდა. ქართულ რეალობაშიც, შინაური სამყაროს გამომხატველი ნივთები, უფრო ახლობელნი იყვნენ, ვიდრე გარესამყაროს შემადგენელი ელემენტები. “*შინაური ცეცხლი, რომელიც ადამიანს კერაზე უნთია კეთილია, მისი მსახურია, ხოლო გარეთა ცეცხლი ბოროტია, გამანადგურებელია, ყოველივეს მშთანთქმელია*”. (ბუხრაშვილი 2005, 113) გარდა ამისა “*ოჯაქ*”, თურქულად ნიშნავს, “*სახლს*”, “*ოჯახს*”, “*საგვარეულოს*”, “*ქურას*” და მათ შორის “*კერასაც*”. კერა კი ყოველთვის ცენტრალურ სივრცესთან ასოცირდებოდა. საქართველოში, ისევე როგორც ჰაირიეს ქართველებში, ოჯახი შედგებოდა ერთად მცხოვრები მშობლების, შვილების,

რძლებსა და შვილიშვილებისაგან. ისინი სწორედ ამ “ოჯაქის” გარშემო იყრიდნენ თავს. დღესდღეობით, ჰაირიესა თუ ინეგოლის სხვა ქართულ სოფლებში, “ოჯაქი” უკვე ძალზედ ცოტაა.

რუქიე ერგუნი-“მე მაქვს სახლში ოჯაქი, ახლანდელ სახლებში არ აკეთებენ. ოჯაქებში გავაკეთებდით საჭმელს, ჭადს გამოვაცხობდით კეცზე. ფურუნი კალოზია, პურებს ვაცხობთ. გურჯები ბევრ პურ ჭამენ, ჭადი პაწაი იციან. ჩვენ ოჯაქიც გვაქ ფურუნიც გვაქ. წინ წინ კუდიანებს ექნებოდენ, რამდენიმე წლის უკან ჩვენც გავაკეთეთ”.

ინეგოლის ქართულ სოფლებში, შემორჩენილია ქართული კერძები, ხილის ჯიშები, რაც მათი ყოველდღიური და სადღესასწაულო სუფრისა თუ სამეურნეო კულტურის განუყოფელი ნაწილია.

“ბოქშვაი მსხალი” და **“ადესა”** (იხ. სურათი 107) თითქმის ყველა ქართულ სოფელშია, *“სულ ქართველ ოჯახის ბაღჩაში შავი ყურძენი იქნება ადესა, ქართველების ყურძენი. ბოქშვაი მსხალი ჩემ ბაბუამ მოუტანია საქართველოდან ერთი ნერგი, გამოუტანია ახლა არის ის ბოქშვაი მსხალი”, “გურჯისტანიდან მოსული ყურძენი მეტროველა”, “ბარაქაი სხალი”-ძველი მემეღეჭეთი, ბათუმიდან მოტანილი ერთი სხალი დარჩა, ბარაქაი სხალი. სულ ყოველ წელს მეისხავს. წამალი არ უნდა, ჰიჩ არაფერი არ უნდა”. “საქართველოდან მოსული ჟავე ვაშლი”, “იქიდან წამოსული ჟოლო”. მათში ასევე ცნობილია ხილის სხვა ჯიშებიც, რომლებიც მუჰაჯირებს საქართველოდან წამოუღიათ-“ადაფაზარში იმათ წამოღებული ნერგებით, ვაშლის ჯიშები, მსხალი-დიდერაი მსხალი, სესერაი მსხალი, კაცისთავაი მსხალი. ასეთი მსხლები თურქეთ კიდევ არ აქვთ. მიჩვეული არ არიან. მაშინ წაუღიათ ესენი გურჯისტანიდან”.*

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ რელიგიის მიუხედავად, ჰაირიელი მამაკაცები ღვინოს მაინც ეტანებიან.

ნინო ოქროსცვარიძე- “ჰაირიელები ღვინოს სვამთ”?

იავუზ ეთინი-“ჰაირიელები ჩვენ მასაზე ვსვავთ. ღვინოს დეპოში, ყანიებში ვსვავთ ჩუმად. გურჯულაი ღვინო ვსვი და ოთხ დღეს თავი მტკიოდა ვერ ვიარებოდი და ვბლაყვავდი.”

ძველად ქართველი ქალები, ყურძნისგან წვენს აკეთებდნენ “წინ-წინდელი ქალები “ყურძნებიდან ბექმეზ (წვენი) მაადულებდენ, შურუკს სვავენ. წინ წინ ასე იყო ხისიმ”.

საჭმელებიდან ცნობილია: “ჭადი”, “ახლა ჩვენ ჭადი იყოს უნდა სუფრაზე, სიმინდი დავაფქვივე ეგერ, ჩვენ ჭადი რომე არ ვჭამოთ ჩვენი კუში არ გაძლება.” ამ უკანასკნელს ძველად კეცზე აკეთებდნენ, მაგრამ დღესდღეობით, ძველი წესით აღარ ამზადებენ. თუმცა სინანულით აღნიშნავენ, რომ ის გემო აღარ აქვს, რაც უწინ ჰქონდა. “ჩვენ სოფლებში ჭადს აკეთებენ, აკეთებენ ახალი კულტურით კეცის გემო არ არის.” (იხ. სურათი 108) პურს საერთოდ არ ეტანებოდნენ. მამია დუმბაძე-მეჰმედ ნურუ თაიარი, აღნიშნავს, რომ ადრე “ხალხს გული უწუხდებოდა იმის გამო რომ პური უნდა ეჭამათ, როცა სიმინდი თავდებოდა”. მ. არიფის ცნობით სამსუნის ქართველები “საკმაოდ დიდხანს ცოცხლობენ, იკვებებიან ჭადით. მას კეცზე აკეთებენ, “ქარა გიოზად” წოდებულ ლობიოსაც წიწაკით ამზადებენ და მიირთმევენ. სიმინდის წვნიანი და ქარხლის შეჭამანდი მათი ძირითადი საკვებია”. (Arif 2002, 46)

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დღესაც მჭადის გამოცხობისას, ზოგიერთი ზედ ჯვარს გამოსახავს. ბევრი ამას გაუაზრებლად, ქვეცნობიერად აკეთებს და იმით ხსნის, რომ წინაპრები ასე იქცეოდნენ, თუმცა, არ იცის რატომ. ამ შემთხვევაში, წესების ტრადიციულ და არა რელიგიურ შესრულებასთან გვაქვს საქმე. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც თვლიან, რომ ეს ჯვრის სიმბოლოს წარმოადგენდა, რათა ოჯახში ბარაქა ჰქონოდათ.

წინო ოქროსცვარიძე- ” მჭადს ჯვარს კიდე უკეთებენ?”

თურან ადიაშანი (თემურ დავითაძე)-”ხო, კვიდვენ უკეთებენ, ბებიადან მოდის. ახლა ჩვენი კულტურაზე ის სულ არის, რაითვინ აკეთებენ არ იციან. მე მგონიოდა რაითვინ კარგად რომ გეიტეხოს ის ვიცოდი, არ ყოფილა ის, ის ჯვარი ყოფილა, ბერექეთი მოსულიყო”.

ილია ხიმშიაშვილი- *“შავი ლეჩაქი ეხურა ამ ქალს ჯვრებით, თეთრი ჯვრებით ეს მახსოვს როგორც დღეს. მჭადს რომ გამოაცხოდა კეცში ცომს ჩააგდებდა შუაში პატარა ცომს, იმ ცომს ჯვარს გოუსვამდა მერე იმ ჯვარსაც ან კაკლის ფოთლით დახურავდა ან ლედვის ფოთლით, რომელიც იყო იმის მიხედვით. ერთი რამე კიდევ მახსოვს ძალიან კარგად მუსლიმანებში სანთლის დანთება არ არის. სანთელი დავანთოთო იტყოდა ბებია ე.ი. ქრისტიანული მიღებული შემორჩენილი ძალიან ბევრი რამე ქონდა.”*

ასევე საკმაოდ გავრცელებულია: **“მალახტო”**, - *“ჩვენი ფადიშაჰია, ახლა შავი ლობია (ჰაირიესთან ახლოს მდებარე სოფელ მურათბეიში, იგივე “ჩაქველებში”, “შავ ლობიას”, “ზარბუნეიდ” მოიხსენიებენ) მალახტო, კერცხიან ლობიას გააკეთებდენ, იაღან გააკეთებენ ქათმიანი”, “ფხალ ლობიაი”, - “ლობიას მოხარშავ, ფხალ მოხარშავ, ერთმანეთს გუდურევ, მემრე კაკალ, ფქვილ გუდურევ, ჩაასხავ. ნიორს ურთავ. გახდება ფხალ ლობიაი”. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათში ნიორი და ქინძი საკმაოდ გავრცელებულია, (ამ უკანასკნელს თურქები საკვებად არ იყენებენ) საინეტრესოა, რომ როგორც ერთ-ერთმა ჰაირიელმა აღნიშნა, გერმანიაში “ჩვენ ქართველებზე, რომ გაბრაზდებოდნენ, ნივრის მჭამელებს გვეძახდნენ”.*

“ხმელ ლობიაი”, “ახალ ლობიაი”, “დომორვა” (ზოგან ბომორვას ხმარობენ), **“ქალაჯო”, “ჟავიან ლობიო ნიგოზიანი”, “კერჩხილობიაი”, “წოწოლაი”, “ხავიწა”, “ტყემალი”, “ჰასუთა”, ბორავო”, “ჭრეხელა”, “კორკოტი”, “ძველად ქორწილებში კორკოტი დაკეთდება, უკორკოტო ქორწილი იმ გოგოს და ბიჭს ბაღვი არ ეყოლებოდა, წესი ისე იყო ღმერთი თუ მოგცემს გეყოლება მაგრამ ესე იყო”.** **“სალჩა”** (თურქ. salça) პომიდვრის საწებელა. ამ უკანასკნელს მაღაზიებში ყიდულობენ, თუმცა ბევრი ოჯახი მაინც სახლში გაკეთებულს ანიჭებს უპირატესობას. იგი პომიდვრისაგან მზადდება, მას გაარჩევენ, დაჭრიან, მოადულებენ, შემდეგ საცერში გაატარებენ და ისევ მოადულებენ- *“პამიდორ დავჩრით, ავადულებთ მემრე გავხახნით საცერით საცერიდან ვარუნიებთ. მემრე დავადულებთ”.* (იხ. სურათი 109)

“ყათმერი” (თურქ. katmer) ფენოვანი ღვეზელი. მიაჩნიათ, რომ ქართველების საჭმელია. **რუქიე ერგუნი**- *“ყათმერი ქართველების საჭმელია, დილას ჩაისთან სადამოს*

ჩაისტან. მრგვალ მრგვალი...რძით მოზელილი, სოდაზე, პურის სოდაზე მარილი უნდა დუღროთ, ორი სამი კვერცხით მოზილო უნდა, მრგვალ მრგვალი უნდა დააწყო, შუაზე კაკალი უნდა მაყარო, ერთმანეთზე უნდა დაადვა კენარებიდან შუუკაკო. ლამაზი გამოჩენა ქონდეს ზეიდანაც კვერცხი უნდა მოუსვალო ლამაზად”.

ძველად ჰაირიესა და ინეგოლის სხვა ქართულ სოფლებში, გავრცელებული იყო “აპოხტები”-“ქერზე ვკიდებდით აპოხტებს”. ქათმებს დაკვლის შემდეგ, გასახმობად ჰკიდებდნენ და წლის ნებისმიერ დროს, საჭიროებისამებრ იყენებდნენ. დღესდღეობით, ჰაირიეში თითქმის აღარავინ იქცევა ასე, თუმცა მასთან დაკავშირებული გამოთქმები, ძველ თაობაში ჯერ კიდევ შემორჩენილია, “ბარკალი და კურტუმი ღობის ძირას ჩავფალი...დედოფალი ფარფალი, შავ მიწაში ჩავფალი...ამეველევი დამპალი, ისევ უკან ჩავფალი...”.

“ქანჭურაი ფაფა”- *“იყო წინ-წინ ამა ახლა აღარ არის, იქაც აღარ იქნება. მე ვიცი და ახლებმა არ იციან. მემრე ქანჭურის ყაისასა ვეტყვით ყაისა თათრულად არის ამა ჩვენებურად ქვია ქანჭური. ქანჭურ მოხარშავ. შექერს ურთავ თერეიად ურთავ, კაკალ ურთავ. ნიგოზი ხო, იმას ურთავ იმას ქვია ყაისეფე. ყაისეფე თათრულად არის და ჩვენებურად რა ქვია არ ვიცი. თუ ძველი დედების ქართული სიტყვები კიდე ამდენი ჩამონახული გვაქ ბაქ გადაკარგულან.”*

“სინორი”-(ზინორი) ეს კერძი ჰაირიეს თითქმის ყველა ოჯახში კეთდება. ”სინორის” მოსამზადებელ მასალას ზაფხულში “ვაჰაზირებთ” (ვამზადებთ). მათი აზრით, იგი ქართველების კერძია. (თუმცა, აღნიშნული კერძი არაქართულ სოფლებშიც იციან) ”სინორი” ცომისგან მზადდება, მას კვერცხთან და რძესთან ერთად მოზელავენ, “სოფრაზე”, “ჩხირით” ანუ “სოპა”-თი კარგად აპრტყელებენ და “ფურუნში”, ანდა ”ოჯაქში” ათავსებენ. გამოცხობის შემდეგ, გამოაქვთ, კარაქს უსვამენ, გადაკეცავენ და მიირთმევენ. მისი ცომისაგან, სხვადასხვა სახეობის კერძი მზადდება, გაპრტყელების შემდეგ გადაკეცავენ, ჭრიან, აწყობენ ღრმა ჯამში და “გასაყირმიზებლად” “ფურუნში” დებენ. *“ფიდე ბორეჯი გავწიოთ. ეს ქენარებია. ნიორი და იოგურთი თბილი წყალი დავასხავთ ზეიდან. მერე ნიორს და ნიგოზს გავლესავთ დავასხავთ, თერეიადი*

მაასხი. ხორციანი მოხრაკე, პაწაი წვენი მიეცი დაასხი, შექერი დაასხი. თიბილი თიბილი ჭამენ. ეს ქართულია, ჩვენებურია. ქართველები ზინორს ეუბნებიან, ჩვენ სინორას ვიტყვით”. (იხ. სურათი 110-116)

სინორის ცომის მოსამზადებლად ჰაირიეში ქალები ერთმანეთს რიგრიგობით ეხმარებიან. შეიძლება ითქვას, რომ ეს ქალთა თავშეყრის ერთგვარ რიტუალს წარმოადგენს, რომლის დროსაც განიხილება სოფლის, საოჯახო საქმეები, ჭორები. ხშირად უკმაყოფილებას გამოხატავენ იმის გამო, რომ მეზობელი მათ მთელი დღე ამუშავებს, როცა თავად, მათთან ამდენს არ გააკეთებდა. ისინი ძირითადად ქართულად მეტყველებენ, თუმცა თურქულ სიტყვებსაც ურევენ ან პირიქით თურქულად მეტყველებისას, ქართულ სიტყვებს ურევენ. შიგადაშიგ ქართულ სიმღერებსაც მღერიან. საინტერესოა, რომ უფრო ასაკოვანი ქალები ჭარბობენ, მათი აზრით “ახალგაზრდებმა არ იციან გამოცხოვა და ეზარებათ”. მართლაც შეიძლება ითქვას, რომ მისი მომზადების პროცესი შრომატევადია და თითქმის მთელ დღეს მოითხოვს.

საკმაოდ გავრცელებული კერძია ე.წ. **”მაკარნა”**. ამ უკანასკნელს ცომისგან აკეთებენ, ეს იგივე ვერმიშელია. იგი მაღაზიებშიც იყიდება, მაგრამ სოფლებში საკუთარი ხელით გაკეთებულს ანიჭებენ უპირატესობას. გაპრტყელებულ ცომს წვრილად ჭრიან და ახმობენ. უფრო ხშირად რელიგიურ დღესასწაულებზე მიირთმევენ.

საინტერესოა, რომ ინეგოლის ქართველებით დასახლებულ სოფელში ბაჰჩექაიაში, ერთმანეთისაგან განარჩევდნენ **”ბოსტანსა”** და **”ბოსტნაულს”**. საბაჰათინ ბაშთურქი აღნიშნავს, რომ **”ბოსტნაული”** სხვადასხვა სახეობის მწვანილის ადგილმდებარეობაზე მიუთითებს. *“1979-ში ახალ წელის მესამე თვის თორმეტში, შუშანა ფუტკარაძე ის ჩემთან სულ ცოტა 20 ჯერ ჩამოსულია. პირველად რომ ჩამოვიდა სამ თვე იყო ჩემთან, ასე ვართ ვჯდარვართ მასაზე (მაგიდა), შინ რა გაკეთდა ვახშამზე, ამა სხვა აქაური ქართველი სტუმრებიც გვყავს, შუშანა აგერ ამ ზამთარში, ზამთარია ხომ ის წელი, ჩვენ აგერ ამ ზამთარს სოფელში ეველით ბაჰჩექაიას, ბოსტნაულში ეს ქინძი, მაკიდო, ქონდარი ესენი მოვკრიბე და ჩამევიტანე. ჩემი წიგნი უნდა მოვიტანო, დღეს მარტის 12, საბაჰათინის ოჯახში ვართ, არის ფხალლობია, კერჩხილობია, თეთრი ლობია, ლამაზი*

პამიდორის დომათაი, პამიდორში ახლავს ქინძი, სალათა გუუკეთებია ესენი ახლავს, წესულა ბაჰჩაქაიას მუუკრეფია ბოსტნაულში, ჩაწერა. დომორმა ვჭამეთ. დავამთავრეთ, გაჩერდიო ეს რატომ დავწერეთ? ეს ბოსტნაული ოჯახში რამელ იერზე (ადგილას) გაქო? სახლი იმაზე მიყუდებულა... ეს ბოსტნაულიც ეს ოთახის იერი შამოლობული ფიცრით, პრასა, ხახვი, ქინძი, პამიდორი, პირპილაი, პირპილაი რატომ უნდა იყოს მარტში ბაჰჩაქაიას? ასჯერ, ათასძირ ხაშრის ლობიას დავდევ იმას ქვია ბოსტანი. იმას კი ქვია ბოსტნაული”.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კერძებით, ხილის ჯიშებით, მუჰაჯირობის დროს საქართველოდან წამოღებული საოჯახო ნივთებით, ასოციაციურად უკავშირდებიან წარსულს და ეთნიკური სივრცის განცდას იქმნიან.

2.3. ოჯახის ხელმძღვანელობა და შრომითი ორგანიზაცია

ოჯახის ხელმძღვანელობისა და თითოეული წევრის უფლება-მოვალეობის შესწავლას, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ოჯახის კვლევის დროს. ”ოჯახის მართვისა და შრომით ორგანიზაციის ხასიათს უმთავრესად ოჯახის ტიპი განსაზღვრავს”. (ითონიშვილი 1970, 79) ბუნებრივია, ამ უკანასკნელს, რელიგიური მომენტიც ემატება. ქართულ, ზოგადკავკასიურ და აღმოსავლურ სივრცეში, ოჯახის ხელმძღვანელობაზე ტრადიციულად გავლენას ახდენდა სქესი და ასაკი, დაცული იყო პატრიარქატი და უფროს-უმცროსობის ტრადიცია.

ოჯახის უფროსის უფლება-მოვალეობები და ოჯახის წევრთა საქმიანობა

ჰაირიეში ოჯახის თავი ანუ მთავარი იყო უფროსი მამაკაცი. იგი ავტორიტეტულ ფიგურას წარმოადგენდა და ოჯახის ყველა წევრისაგან პატივისცემასა და მორჩილებას მოითხოვდა. აჭარაში ოჯახის უფროსს მამაკაცს “თავს,” “უფროსს”, “თავბაშს” უწოდებდნენ. მას კერასთან და სუფრასთან საკუთარი ადგილი ეკავა. მსგავსი მოვლენა

ფიქსირდება საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში. ”უფროსი მამაკაცის ადგილი სუფრის თავში იყო, კერასთან კი-ამორჩეულ მხარეს. იშვიათად, რომ უფროსის ადგილზე მისი შინ ყოფნის დროს ვინმე დამჯდარიყო. თუ ვინმე იჯდა, მისი შემოსვლისთანავე უნდა ამდგარიყო და სკამი მიეწოდებინა” . (ცეცხლაძე 1991, 60-61) როდესაც ოჯახის უფროსი სახლში შევიდოდა, ყველა ვალდებული იყო ფეხზე ამდგარიყო. სუფრაზეც ჯერ იგი ჯდებოდა. ჭამის დროს, პირველი ლუკმის უფლებაც მას ეკუთვნოდა. თუ იგი ასაკისა ან ჯანმრთელობის გამო, ვეღარ უძღვებოდა ოჯახის საქმიანობას, მაშინ ამ ფუნქციას საკუთარ ძმას ანდა უფროსს შვილს გადასცემდა. თუმცა, ოჯახის უფროსის სტატუსის სხვაზე გადაცემის მიუხედავად, მისი სიტყვა საჭირ-ბოროტო საკითხების გადაწყვეტაში, მაინც განმსაზღვრელი იყო. ოჯახში უმთავრესად ერთი იყო უფროსი, თუ რომელიმე წევრი მას შეეპასუხებოდა, ეს შესაძლოა სერიოზული უკმაყოფილების საფუძველი გამხდარიყო. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მამაკაცი მეუღლეს ანდობდა შვილების ”დასახლებისათვის” პირველადი სამუშაოების ჩატარებას, როგორც იყო ვაჟიშვილისათვის ”პრატის” ძიება.

მსგავსი მოვლენა საქართველოს რიგ რეგიონებში გვხვდება, ”ქორწინების საკითხის გადაწყვეტისას მშობლები უნდა შეთანხმებულიყვნენ, შვილის დაქორწინების საკითხს მარტო მამა ვერ გადაწყვეტდა. განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი კუთხისაგან, სადაც ქალის გათხოვების საკითხზე მოლაპარაკებისას ქალის დედას და საერთოდ ქალს არავითარი უფლება არ ჰქონდა” (ცეცხლაძე 1991, 60-61)

როგორც ვლინდება, პატრიარქატის მიუხედავად, უფროსს ქალს ოჯახში სიტყვის უფლება ჰქონდა. შეიძლება ითქვას, რომ რიგი საკითხების გადაჭრა ერთპიროვნულად არ ხდებოდა. თუმცა, საბოლოო სიტყვა მაინც ოჯახის უფროსს ეკუთვნოდა. მის მოვალეობას წარმოადგენდა ოჯახის შემოსავალი, საჭმლით უზრუნველყოფა და ქალაქში მუშაობა.

ოჯახის უფროსის მეუღლეს პატივსაცემ ფიგურას წარმოადგენდა. შვილებთან და შვილიშვილებთან იყო თბილი და მზრუნველი. პატრიარქალურობის მიუხედავად, დედა ოჯახში მაინც ცენტრში იდგა. როდესაც ოჯახის უფროსი ქალი-დედამთილი

ასაკისა თუ ავადმყოფობის გამო, თავის მოვალეობებს თავს ვეღარ ართმევდა, ანდა ოჯახში ეს უკანასკნელი გარდაცვლილი იყო, მაშინ მის ფუნქციას უფროსი რძალი ასრულებდა. მაგრამ ისეც ხდებოდა, რომ დედამთილი რძლებიდან თავად ირჩევდა შემცვლელს. ამ შემთხვევაში, ზოგჯერ უპირატესობა ენიჭებოდა არა ასაკს, არამედ რამდენად მოხერხებული, უნარიანი და ჭკვიანი იყო რძალი.

ჰაირიელთა ოჯახში საქმიანობა მკაცრი, ყოველდღიური განრიგით რეგულირდებოდა. ყველას საკუთარი როლი და საქმე ჰქონდა. ჰაირიეს ქართველებში, ისევე როგორც საქართველოსა და კავკასიის ყველა რეგიონში, საოჯახო საქმე სქესის მიხედვით იყოფოდა. "მამაკაცისა და ქალის ფუნქციათა განაწილებაზე დამყარებულია ყველა საზოგადოების სოციალური და კულტურული ცხოვრება, რაზედაც დიდ გავლენას ახდენს წარმოების ფორმები, გეოგრაფიული პირობები და კულტურული განვითარების დონე". (ცეცხლაძე 1991, 67)

მამაკაცთა საქმიანობას განაგებდა ოჯახის უფროსი, ის ანაწილებდა მამაკაცებისათვის საოჯახო საქმეებს. ქალაქში გასვლისა თუ მუშაობის უფლება მხოლოდ მამაკაცებს ჰქონდათ. ამ უპირატესობით ქალები ვერ სარგებლობდნენ. თუმცა, დღესდღეობით ეს დოგმას უკვე აღარ წარმოადგენს. იმის გამო, რომ სოფელი ჩაკეტილი სივრცე იყო, ქალაქთან კონტაქტიც ნაკლები იყო. დაცული იყო სოფლის შიდა სივრცე. ქალაქში მხოლოდ მამაკაცები გადიოდნენ, ისიც მხოლოდ საჭიროების შემთხვევებში. ოჯახის უფროსი არ ერეოდა მეუღლის საშინაო საქმეებში, მაგრამ გარკვეულ ვალდებულებას იღებდა მის საქმეებზეც. შეიძლება ითქვას, რომ არსებობდა კაცისა და ქალის შიდა საოჯახო სივრცე, რომლის ერთმანეთში აღრევას შესაძლოა უსიამოვნებაც კი გამოეწვია.

ისინი ერთობლივ საქმიანობასაც ეწეოდნენ, დადიოდნენ ყანაში, სადაც დილიდან საღამომდე მუშაობდნენ, აშრობდნენ, ამუშავებდნენ თუთუნს, მოჰყავდათ მოსავალი და საზამთროდ ემზადებოდნენ. საჭმელს სახლში დარჩენილები აკეთებდნენ და მათთვის ყანაში მიჰქონდათ. მთელი ოჯახი საქმეში იყო ჩაფლული. ქალებს-დედამთილს, ქალიშვილებსა და რძლებს შორის, უფროსად დედამთილი ითვლებოდა, ის გასცემდა

განკარგულებას, ანაწილებდა მოვალეობებსა და საქმეებს. ყველა ქალი მას ემორჩილებოდა და დიდი კრძალვით ეკიდებოდა. უფროსი ქალის ნებართვის გარეშე, ოჯახის სხვა ქალებს, ახალი საქმის წამოწყების უფლება არ ჰქონდათ. რძლები ჯერ დედამთილისგან იღებდნენ ნებართვას, ხოლო შემდეგ კი მეუღლისგან. საოჯახო საქმის მსგავსს ორგანიზებას, ჩვენ გურული ქალის საოჯახო ყოფაშიც ვხვდებით ”გაუყოფელ ოჯახში საქმე ნაწილდებოდა წინა ღამით. მოილაპარაკებდნენ ვინ რას გააკეთებდა-ერთი ასუფთავებდა, მეორე რეცხავდა...ერთი ქალი საჭმელს გააკეთებდა...რძლებს დედამთილი ავალეზდა საქმეს..” .(ცეცხლაძე 1991, 71)

სებაჰათ ათაბაი-”უფროსი დედამთილი იყო ის, იმას თქვენ იქ უნდა წეხვიდეთ, დაამზადებდა, ახლა საქმე არ არის შინ, გინდა ისაქმე გინდა არა.”

მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულად ქალის ძირითად მოვალეობად ოჯახის შიდა სივრცე, ბავშვების პატრონობა, საჭმლის მომზადება ითვლებოდა, იგი აქტიურად იყო ჩაბმული სამეურნეო საქმიანობაშიც. განსაკუთრებით კი, მესაქონლეობაში. მას ევალეზებოდა ახორში პირუტყვის მოვლა, სახლის დაგვა-დასუფთავება. საინტერესოა, რომ მესაქონლეობით, აჭარელი ქალი განთქმული ყოფილა, მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის ივ. ჯაიანი 1894 წლის გაზეთ ”ივერია“-ში № 219, სტატიაში ”გურია და ზოგიერთი ძველი და ახალი ჩვეულება გურულებისა”, ავლებს რა პარარელს აჭარელ და გურულ ქალს შორის ”ეხლა მაინც იქნება ღმერთმა მოგვხედოს, რადგან აჭარელი და გურული ქალები ზაფხულობით ერთად იყრიან თავს (ბახმაროში), ერთსა და იმავე მთაზე დადიან და ვინ იცის, იქნება ამათგან საქონლის მოვლა და ერბო-ყველის გაკეთება ისწავლონ. საქონლის მოშენებასაც ხელს შეუწყობს უხვი მთა და ბარი საბალახოები, რომელიც გურიას აქვს და თითქმის ქვეყნის ხალხი იმათს საბალახოებს შეჰნატრიან. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენ ქალებსაც მიებაძოთ აჭარელი ქალებისათვის და ამით ოდნავ მაინც დახმარებოდნენ ქმრებს, რომელთაც ათასწარი გადასახადისა და გაჭირვებისაგან თავი მაღლა ვერ აუწევიათ. საჭიროა მხოლოდ, რომ ამ საქმეს ერთმა მოჰკიდოს ხელი და მერე სხვებიც იმას მიჰბაძავენ”. როგორც ჩანს, აჭარელ ქალს მესაქონლეობის ტრადიცია ჰაირიეშიც გადაუტანია.

ჰაირიელი ქალები სარეცხის გასარეცხად ღელეში ჩადიოდნენ, დიდი ქვაბს ცეცხლზე დაადგამდნენ და საღამომდე რეცხავდნენ. თუმცა, თანამედროვე ტექნიკურმა საშუალებებმა გაადვილა მათი საქმიანობა და ღელეში მთელი დღე დამღლედი მუშაობა, სარეცხის მანქანამ შეცვალა.

სებაჰათ ათაბაი-“ჩამაშირისთვის წვედიოდით ღელეში, დავადგვიდით დიდვან კაზანი საღამომდინ ღელეში ჩამაშირ.. ახლა რა არის შეყარე, გამოყარე დაკიდე.”

აიშე ხინკილაძე- ”ყანაში დავდიოდით და ახლა აღარ მივალთ. ახლა ხანუმები გავხდით”.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საყოფაცხოვრებო პირობები მკვეთრად შეიცვალა, გაადვილდა ქალისა თუ მამაკაცის სამუშაო, ცხოვრების პირობები, ძველი თაობის წარმომადგენლები მაინც წარსულს მისტირიან.

ამრიგად, ჰაირიეს ქართველთა გაუყოფელ ოჯახს ახასიათებდა მრავალრიცხოვნობა და პატრიარქალურობა. ის მკაცრად იყო ორგანიზებული და განსაზღვრავდა ოჯახის თითოეული წევრის უფლება-მოვალეობას, რაც უფროს-უმცროსობის პრინციპსა და სქესობრივ განსხვავებას ეფუძნებოდა, ანუ უმცროსი ემორჩილებოდა უფროსს, ხოლო ქალი კი მამაკაცს. მამაკაცსაც და ქალსაც პირადი საოჯახო სივრცე ჰქონდათ, რომლის ერთმანეთში აღრევა არ ხდებოდა.

ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულებანი

ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულებას, ქცევის ნორმებს, როგორც ოჯახის შიგნით ისე მის გარეთ, მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს: საცხოვრებელი ადგილი, სოციალური მდგომარეობა, ასაკი, ოჯახის წევრთა საქმიანობა, განათლების დონე, რელიგია და რაღატქმაუნდა ეთნიკური წარმომავლობა. განსხვავებულია ურთიერთობა ოჯახის სრულწლოვან წევრებს, შვილებს, მშობლებსა და შვილებს შორის. რაზეც ბუნებრივია გავლენას ახდენს სქესობრივი განსხვავება და უფროს-უმცროსობის დადგენილი წესები.

მველად ჰაირიეში ცოლ-ქმარს შორის მიმართვა განსხვავებული იყო, რაც უფროსი ასაკის მოსახლეობას შორის, დღესდღეობითაც შემორჩენილია. კაცი ქალს, ანუ თავის მეუღლეს მოიხსენიებს, როგორც “ჩემი ქალი”, ხოლო მანდილოსანი ქმარს “ჩემი კაცი”. მსგავსი მოვლენა აჭარასა და გურიაშიც ფიქსირდებოდა “პირდაპირ სახელით არც ცოლ-ქმარი მიმართავდა ერთმანეთს. ქმარი მიმართვისათვის იყენებდა “ქალო”. (ბექაია 1974, 70) ”გურიაში ცოლ-ქმრის ურთიერთობაში მორიდება შემდეგნაირად გამოიხატებოდა: სხვისი თანდასწრებით ცოლ-ქმარი ერთმანეთს სახელით ვერ მიმართავდა. მიმართვისას იყენებდა გამოთქმებს: ”ეი”, ”გესმის”, ”კაცო” ან ”ქალო”. სხვასთან მოხსენიებისას მამაკაცი ცოლზე იტყოდა-”ჩემი ქალი“-ო, ცოლი ქმარზე კი ”ჩემი კაცი“-ო”. (ცეცხლაძე 1991, 77) როგორც ჩანს მეუღლეებს შორის აღნიშნული მიმართვა, საქართველოს მთელი რეგიონებში ყოფილა გავრცელებული.

სოფლისა და საზოგადოების თვალში ქალი უნდა ყოფილიყო მეუღლის მიმართ დამჯერი, პატივისმცემელი და ერთგული. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძლიერი ქალი ოჯახში შეიძლება ყოფილიყო დომინანტი და კიდევაც ემართა იგი იმ შემთხვევაში, თუ მამაკაცი სუსტი იქნებოდა. დღესდღეობით, ჰაირიეში ქალის დომინანტური პოზიცია შესამჩნევი გახდა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში. როგორც ჰაირიელები თვლიან, ქალი “მოდერნი” გახდა, მართვის სადავეები ხელში აიღო და შეითვისა თანამედროვე შეხედულებები. მაგრამ მიზეზი არის არა ის, რომ კაცის პოზიციები შესუსტდა, არამედ მოხდა ქალის “გათანამედროვეება”, ქალაქთან ზიარება, განსაკუთრებით კი გერმანიასთან.

ოჯახში ყველაზე ახლო კავშირი არსებობდა დედას, ქალიშვილებსა და დებს შორის. ტრადიციულად ქორწინებამდე გოგო მთელ დროს ატარებდა დედასთან და დებთან ერთად. ინაწილებდა მოვალეობასა და საშინაო საქმეებს.

ჰაირიელთა ყოფაში, ისევე როგორც ზოგადად ქართველებში, დიდ პატივად და ღმერთის წყალობად მიიჩნევდნენ ვაჟის დაბადებას. ოჯახის წევრთა თვალში ბიჭის დაბადების შემდეგ, ქალის სტატუსი იზრდებოდა. დედა მას სქესობრივ მომწიფებამდე უვლიდა, ხოლო შემდეგ კი “დედის კალთას” სცილდებოდა და მეტ დროს მამაკაცების

საზოგადოებაში ატარებდა.

მამისა და ქალიშვილის ურთიერთობა საკმაოდ თბილი იყო. თუმცა ასაკის ზრდასთან ერთად, თანდათანობით ფორმალური ხდებოდა. უფროსს ქალიშვილს დედასთან შეეძლო ხუმრობა, კამათი, მაგრამ მამასთან ურთიერთობისას მორჩილი უნდა ყოფილიყო. სიყვარულს საჯაროდ იშვიათად გამოხატავდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა გოგო სქესობრივ მომწიფებას მიაღწევდა. საინტერესოა, რომ გურიაშიც მშობლებს შვილების ”მოფერება სხვების თანდასწრებით უხერხულად მიაჩნდათ”. (ცეცხლაძე 1991, 81)

მამა ვაჟისგან სრულ მორჩილებასა და პატივისცემას მოითხოვდა. როდესაც მამა და ვაჟიშვილი საზოგადოებაში იყვნენ, ვაჟი ზრდილობიანი უნდა ყოფილიყო და საზოგადოებაში არსებული ქცევის ნორმები დაეცვა. თუ მამა იდგა, შვილი არ უნდა დამჯდარიყო. როდესაც მამა შემოვიდოდა, ფეხზე დგებოდა დედაც და ოჯახის ყველა წევრი. თუ მამა სკამზე იჯდა, შვილი უნდა ამდგარიყო. მას ცოტა და დაბალი ტონით უნდა ელაპარაკა. არ უნდა მოეწია, არ უნდა ეხუმრა, არ უნდა გაეკეთებინა ისეთი რამ, რაც ოჯახის ღირსებისათვის დამამცირებელი იქნებოდა და სოციალურ ცუდ ტონად ჩაითვლებოდა. ახალგაზრდებს ახასიათებდათ პატივისცემა არა მხოლოდ ოჯახის უფროსი წევრებისადმი, არამედ ზოგადად უფროსი თაობის მიმართ.

როგორც ისმაილ უიგურ მელეგაშვილი-მელეგოღლი აღნიშნავს-*“სუფრაზე ენ წინ დიდვანი უნდა დაჯდეს პაწაი არ დაჯდება, ენ წინ დიდვანი უნდა შოვდეს. დიდვანი თუ შამოვდა ქალებმა ადგომდა”*. სქესობრივ მომწიფებამდე და-ძმა დროის უმეტესს ნაწილს ერთად ატარებდა, მაგრამ როგორც კი იზრდებოდნენ, მათ შორის დამოკიდებულებაც იცვლებოდა. მაგალითად, უფროსი და ხდებოდა მეორე დედა უმცროსი და-ძმებისათვის, პატრონობდა და უვლიდა მათ. უფროსი ძმა დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. ისიც მეორე მამა ხდებოდა მათთვის და იცავდა ოჯახს. როდესაც და-ძმა სქესობრივად მომწიფდებოდა, ერთმანეთის მიმართ სიყვარული საჯაროდ არ უნდა გამოეხატათ.

ჰაირიეში, აჭარისა და გურიის მსგავსად, ახლად მოყვანილი რძალი ოჯახის ყველა წევრის მიმართ, მაქსიმალურად მორიდებული უნდა ყოფილიყო. პირველ რიგში მას საუბრისას უნდა გამოეყენებინა, ზრდილობიანი ფორმები -მობრძანდით, დაბრძანდით. ორსულობის შესახებ ჯერ დედამთილს უმხელდა. მას მოკრძალება მართებდა არა მხოლოდ ოჯახის, არამედ ზოგადად სოფლის მამაკაცების მიმართაც. იგი უფროსს მამაკაცს თვალს ვერ უსწორებდა. პატივისცემის მიზნით, მაზლს, დედამთილს ორმოცი დღის, ხოლო მამამთილს მიახლოებით სამი წლის განმავლობაში არ უნდა დალაპარაკებოდა. სახელით არ უნდა მიემართა. გარკვეული დროის შემდეგ ოჯახის უფროსი, რძალს მასთან დალაპარაკების ნებას აძლევდა. როგორც ცნობილია გურიაში, რძალს უფლება ჰქონდა დედამთილ-მამამთილს ქორწილის დღესვე დალაპარაკებოდა, თუმცა, მამამთილთან ურთიერთობა ნაკლებად უხდებოდა. "რძალი დედამთილ-მამამთილს "უბატონოდ" ვერ გასცემდა ხმას". მამამთილს რძალი ასე მიმართავდა: "მამა-ბატონო", დედამთილს -"დედა-ბატონო"...მათთვის სახელით მიმართვა კი გამორიცხული იყო. ..მამამთილი რომ შემოვიდოდა, რძალი ფეხზე უნდა ამდგარიყო და მის დაჯდომამდე ვერ დაჯდებოდა..." .(ცეცხლაძე 1991, 79)

ოჯახში შემოსული რძალი დილაადრიაანად უნდა ამდგარიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს დიდ სირცხვილად ჩაითვებოდა. რძალი მამამთილის თანდასწრებით ბავშვს ძუძუს ვერ მოაწოვებდა, ასევე ქმრებსაც ერიდებოდათ მამის წინაშე ბავშვის ხელში აყვანა.

აიშე ხინკილაძე-"დილას არ ამდგარიყო გელინი სირცხვილი იყო, დილაზე უნდა ამდგარიყავ, ჩვენ რომ ავდგებოდით შეგვცხვებოდა, რატომ დეგვეგვიანდა, ჩასვლა შეგვცხვებოდა. აკვანში ბაღანას დავაწვენდით. მამათილთან ძუძუს ვერ მივაწყობდით, კაცები ხელში ვერ აწევდნენ ბაღნებს." აღნიშნული მოვლენა გურიაშიც ფიქსირდება "მამამთილთან და მაზლთან ქალი ბავშვს ძუძუს ვერ აწოვებდა". (ცეცხლაძე 1991, 79) როგორც ჰაირიეში მკვიდრი ქალბატონი იხსენებს, ძველად ფიქსირდებოდა რძლის მიერ მამამთილისა და დედამთილის ფეხების დაბანის ტრადიციაც.

აღსანიშნავია, რომ ოჯახის უფროსებისადმი რძლის თავაზიანი დამოკიდებულება, არა მხოლოდ აჭარულ, არამედ ზოგად ქართულ მოვლენას წარმოადგენდა. რადგანაც ასეთი მკაცრად განსაზღვრული ურთიერთობები, ქართული საოჯახო ყოფისათვის უმთავრესი მახასიათებელი იყო.

ჰაირიეს საოჯახო ყოფაში, ტრადიციულად ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა გარკვეულ ჩარჩოებში იყო მოქცეული. ამ ნორმებით ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ სირცხვილი და იცავდნენ ოჯახის ღირსებას. ჰაირიეში, ისევე როგორც საქართველოში და ზოგადად აღმოსავლურ სამყაროში, ღირსების საკითხი ოჯახის ქალ წევრებთან- დედასთან, მეუღლესთან, დებთან მიმართებაში, ეხებოდა მამაკაცს. თუ მისი ქალები ინარჩუნებდნენ უმწიკლობას, ე. ი. იგი ინახავდა თავისი ოჯახის ღირსებასაც. მაგრამ თუ იგი შეიბღალეობდა, მისი ღირსებაც იბღალეობდა. იმისათვის რომ ოჯახს ჩირქი არ მოსცხებოდა, საჭირო იყო უცხო მამაკაცებისაგან ქალების იზოლაცია. თუ ქალი ცოდვას ჩაიდენდა, მაშინ კაცები ქალს და მისი ღირსების შემზღალავ მამაკაცს სჯიდნენ და ამით ოჯახს სირცხვილს ჩამორეცხავდნენ. ოჯახებს შორის ღირსების შებღალვა, დიდ დაპირისპირებას იწვევდა. ასეთი სიტუაციების თავის არიდების მიზნით, ქალსა და მამაკაცს შორის საჭირო იყო ყოფილიყო დისტანცია.

ქალებს გარეთ თავდაბურულებს უნდა ევლოთ. თუმცა, ხელებისა და თვალების გამოჩენა შეეძლოთ. ოჯახში უფლება ჰქონდათ ოდნავ გამოეჩინათ მკლავები, თმები და სახე. უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით ეს წესი უკვე აღარ მოქმედებს. ჰაირიეში მხოლოდ ძველი თაობის ქალები დადიან თავწაკრულები, ახალგაზრდები საკმაოდ თანამედროვედ გამოიყურებიან. ჰაირიეში თითქმის არ არის ოჯახი, რომლის წევრები არ მუშაობდნენ ან არ იყვნენ ნამყოფი ევროპაში, კერძოდ, გერმანიაში, რაც თავისთავად გავლენას ახდენს ცხოვრებისა და ჩაცმის სტილზე. ამას გარკვეულწილად ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ თურქეთი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან შედარებით, თანამედროვეა. თურქეთში ქალების ემანსიპაციის პროცესი ათა-თურქის პერიოდს უკავშირდება, კერძოდ, მე-20 საუკუნის 20-იან წლებს, როდესაც ევროპასთან დაახლოების მიზნით, მთელი რიგი რეფორმების განხორციელება დაიწყო. მათ შორის საგანმანათლებლო,

საკონსტიტუციო-სამართლებრივი. ქალებმა ჩამოიხსნეს ჩადრი, შეიცვალა მამაკაცისა და ქალის ჩაცმის სტილიც. ამ უკანასკნელმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის უფლება მიიღო.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ძველად ჰაირიეში იმისათვის რომ ახალგაზრდა ვაჟების მხრიდან არ მომხდარიყო არსებული ეტიკეტის დარღვევა, რასაც ბუნებრივია უფროსების მხრიდან უკმაყოფილება და შენიშვნები მოჰყვებოდა, საჯარო ადგილებში ქცევის წესები შეიმუშავეს. მაგალითად, თუ ვაჟი მამას, უფროსი მამაკაცების საზოგადოებაში კერძოდ, ჩაიხანაში, ყავახანასა თუ უფროსი თაობის თავშეყრის ადგილებში დაინახავდა, მათთვის თავი უნდა აერიდებინა. მაგრამ თუ შევიდოდა, მოშორებით ჯდებოდა. ასე იქცეოდნენ უფროსებიც-ისინი არ შედიოდნენ ისეთ ადგილებში, სადაც შვილების თაობა იყრიდა თავს. ეს ეტიკეტი, გარკვეულწილად არეგულირებდა: 1. უფროსს და უმცროსს თაობას შორის ქცევის ნორმებს. 2. მათ შორის არსებულ ურთიერთპატივისცემას უსვამდა ხაზს. 3. თავიდან იცილებდა გაუგებრობასა და შენიშვნებს, რაც შესაძლოა გამოეწვია ორ სხვადასხვა თაობას შორის არსებულ განსხვავებულ შეხედულებებს.

თუმცა თანამედროვე ჰაირიეში, საოჯახო ურთიერთობების მკვეთრი შეცვლა მოხდა. ყველა ცალ-ცალკე ამჯობინებს ცხოვრებას. რძლები გაურბიან დედამთილთან თანაცხოვრებას და რაც ჰაირის ქართველებში წარსულში სირცხვილად ითვლებოდა, დღეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამ ფაქტს ძველი თაობის წარმომადგენლები საკმაოდ მტკივნეულად განიცდიან.

აიშე ხინკილაძე-“ახლა დედამთილი ქაჭვალთის გააჰაზირებს, გელინი შუადღემდე იძინებს, დგებიან, ჭამაც ეზარებიან, შუადღემდე იძინვიან ახლა. ახლა გელინი ადგება დედამთილს ბაღანას აძლევს წიყვანო მე ვიძინოვო”.

შეიძლება ითქვას, რომ მოხდა ღირებულებების გადაფასება, რაც უპირველეს ყოვლისა სოფლის შიდა სივრცის დარღვევამ, ქალაქური ყოფა-ცხოვრების შემოჭრამ და მოსახლეობის გერმანიასთან კავშირმა განაპირობა. ეს პროცესი მათში ნელ-ნელა მიმდინარეობდა და დღეს უკვე საოჯახო ურთიერთობებმა სახეცვლილი ფორმა მიიღო.

თუმცა, "გათანამედროვებული" ყოფის მიუხედავად, ოჯახის უფროსი წევრების სიტყვა დღესაც "კანონია". შვილებისა და მშობლების ურთიერთობა, დედამთილ-მამამთილთან, მაზლებთან თუ მულებთან რძლების დამოკიდებულება, მაინც გარკვეული ეტიკეტის დაცვით გამოირჩევა, რაც ბუნებრივია ურთიერთპატივისცემის პრინციპზეა აგებულია, რადგანაც ტრადიციულ ქართულ ოჯახში, ისევე, როგორც კავკასიის ხალხებში, "ოჯახის წევრთა სქესობრივ-ასაკობრივი განსხვავების და ოჯახის უფროსი თაობისადმი პატივისცემის არსებობა ეთნიკური ტრადიციის თავისებური გამოხატულებაა" . (გეგეშიძე 1973, 143)

ქალი, როგორც ოჯახის შიდა სივრცის დამცველი გუშინ და დღეს

"ქალის საოჯახო და საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით, სამართლიანად განსაზღვრავენ კულტურისა და მორალის მდგომარეობას მოცემულ საზოგადოებაში". (ცეცხლაძე 1991, 70)

გენეტიკურად ქართველი ქალი ოჯახის სივრცის დამცველად ითვლებოდა. ის ოჯახის სიწმინდის სიმბოლოს წარმოადგენდა. მისი მორალური სახე კი, ოჯახის ფუნდამენტი იყო. იგი მეტწილად დროს ოჯახში ატარებდა, უვლიდა სახლ-კარს, მეუღლეს. ხშირ შემთხვევაში, ის მამაკაცის ფუნქციასაც ასრულებდა, როდესაც ეს უკანასკნელი ომში იბრძოდა ანდა იღუპებოდა. ქალი ხდებოდა ოჯახის მარჩენალი და მამაკაცის ადგილს იკავებდა. ქართულმა ენამ შემოინახა სიტყვა "დედაკაცი", რომელმაც თავის არსში აირეკლა ქართველი ქალის ეთნო-ფსიქოლოგიური თავისებურებები. ქალს-დედას, ანუ ოჯახის შიდა სივრცის დამცველს, ამავდროულად შეიძლება ეტვირთა კაცის, როგორც ოჯახის მარჩენალის ფუნქცია და მისი საოჯახო საქმიანობაც შეესრულებინა. "დედაკაცი"-ს სახე ძალიან კარგად გამოიკვეთა ქართულ ლიტერატურულ სახეებშიც. ილია ჭავჭავაძის "ოთარაანთ ქვრივი", ვაჟა-ფშაველას "ბახტრიონი"-სანათა "აფხოშოური ქალია", რომელიც ადასრულებს მამაკაცის საქმეს-თხრის ომში დაღუპული ოჯახის წევრებისათვის საფლავს და უგებს

წესს. "უკაცურთ კაცობა გვმართებს". ეკატერინე გაბაშვილის "მაგდანას ლურჯა" და სხვ. თუ როგორი უნდა ყოფილიყო ქართველი "დედაკაცი", ძალიან კარგად არის მოცემული ილია ჭავჭავაძის ნინო ბაგრატიონისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში. სადაც მწერალს მოყვანილი აქვს, გაბრიელ ეპისკოპოსის სიტყვები "ერთს ძველს ეკვლესიასა შინა კედელზედ არის დახატული ყოვლად-წმიდა ღვთისმშობელი და მის წინ სძევს მატყლი, ხელში უჭირავს ტარი და ჰქსოვს მატყლსა....რა კარგი იქნებოდა ყოველსა ქალსა მარადის ჰქონდეს წინაშე თვალთა ისრეთი ხატი ყოვლად-წმიდისა, რომ ერთ-კერძო მისსა იდგეს და შესცქეროდეს მას სიყვარულის ღიმილითა ღვთაებრივი მისი ყრმა, ხოლო თვით მას ხელში ეპყრას მატყლი და ტარი და სახესა ზედა მისსა ღვთაებრივსა კარგითა ხელოვნებითა იყოს გამოყვანილი ის ღვთაებრივი სიწმიდე, სიმშვიდე და სიყვარული..ესრეთი ხატი იქნებოდა ჭეშმარიტი ნიშანი ყოველის ქალის მოვალეობისა, ღირსებისა და მნიშვნელობისა...". (ჭავჭავაძე 1928, 149) ეს წარმოადგენდა ქართველი ქალის- "დედაკაცის" სახეს, რომელსაც შეეძლო ერთის მხრივ ყოფილიყო "მოსიყვარულე დედა", ხოლო მეორეს მხრივ კი "დედაკაცი მშრომელი და მხნე" და "ხელნი თვისნი განეხვნა გლახაკისათვის, ხოლო ნაყოფნი მიეპყრნა დავრდომილისათვის" . (ჭავჭავაძე 1928, 154)

თუმცა დროთა განმავლობაში სიტყვა "დედაკაცმა" დაკარგა თავისი შინაარსობრივ-აზრობრივი ფუნქცია და როგორც ი. ჭავჭავაძე აღნიშნავდა, სალანძღავ სიტყვად იქცა. შეიძლება ითქვას, მოხდა მისი აზრობრივი გაუფასურება. ჯერ თავად ამ სიტყვის გამომხატველმა ობიექტმა დაკარგა თავისი ფუნქცია, რადგანაც მე-19 საუკუნეში "დედაკაცი" ნელ-ნელა იქცა ე.წ. ემანსიპირებულ ქალად, რომელსაც "მოვალეობის, ღირსებისა და მნიშვნელობის" მაგივრად, მხოლოდ ერთი საზრუნავი ჰქონდა "სიმაღლე შლიაპისა და სიდიდე ტიურნირისა", შემდეგ კი სიტყვამ, ჯაჭვური რეაქციის მსგავსად, განიცადა აზრობრივი რეგრესი და დღეს 21-მეერთე საუკუნეში სიტყვა "დედაკაცი", არა მხოლოდ სალანძღავ სიტყვად იქცა, არამედ შეურაცმყოფელ მნიშვნელობასაც გამოხატავს. ეს ძალიან კარგად გამოჩნდა საქართველოში, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, როდესა ე.წ. "კარვის ქალებს", ლანძღვისა და შეურაცმყოფის მიზნით "დედაკაცებად" მოიხსენიებდნენ.

ქართველურ სამყაროში, რომ ოჯახის მფარველი ღვთაება მდებდრობითი სქესისა იყო, ნათლად მეტყველებს მითოლოგიური გადმოცემებიც. მათ თანახმად "სახლის ანგელოზი ქალია...უბიწო ანგელოზია...რადგანაც ოჯახის ანგელოზს უბიწო ქალი განასახიერებდა, შესაძლოა საერთოდაც აქედან წარმომდგარიყო ის ტრადიცია, რომლის თანახმადაც ოჯახის სტუმარს, რომელიც ღვთისგან ბომბულ წყალობად...ალიქმებოდა, ოჯახი ამსახურებდა მისთვის ყველაზე ძვირფასს, საკუთარ "სიწმინდეს", ოჯახის ანგელოზის განმასახიერებელ უმანკო ქალიშვილს;...რომელიც ხშირად ფეხს დააბანინებდა, დაანაყრებდა, საწოლს გაუშლიდა სტუმარს". (ბუხრაშვილი 2005, 148-149) როგორც ჩანს, ქართველი "დედაკაცი", ოდითგანვე მოიაზრებოდა ოჯახის ტრადიციების, შიდა საოჯახო სივრცის დამცველ არსებად-"სახლის, ფუძის ანგელოზად", რომელსაც ვალდებულებები გააჩნდა 1. იმ ოჯახის წინაშე, რომელშიც დაიბადა, 2. ვის ოჯახშიც შევიდა რძლად და 3. ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე.

ფრანკელი აღნიშნავდა, რომ ოჯახში აჭარელი ქალები დიდი გავლენით სარგებლობდნენ. "მუჰამედის რწმენამ ჩაკეტა ისინი ოჯახში", მაგრამ სწორედ ეს მდგომარეობა გახდა მიზეზი იმისა, რომ "თურქეთის ქართველებმა არ დაივიწყეს თავისი ქართული წარმომავლობა და შეინარჩუნეს ენა და ყველა წეს-ჩვეულება ქართველებისა". (ბექაია 1974, 15) ოჯახში "ჩაკეტვამ" გარკვეულწილად იმოქმედა ტრადიციების შემონახვაზე, რასაც ისლამის სიმკაცრე უწყობდა ხელს.

არაერთი ცნობაა შემონახული იმისა, თუ როგორ ინარჩუნებდნენ ქალები ოსმალეთის მმართველობისა და ზეწოლის პირობებში ენას, ტრადიციებს, შეძლებისდაგვარად ქრისტიანობასაც. 1911 წლის "სახალხო გაზეთ"-ში, № 211 დაბეჭდილი სტატიის "წერილი საზღვარგარეთიდან (ტრაპიზონი)" ავტორი, ტრაპიზონში ერთ ჭანს შეხვედრია, რომელსაც საუბრისას აღუნიშნავს, რომ "ჭანური ენა არასდროს არ მოისპობა და საბუთად მოიყვანა, რომ ეს ჩვენი სამშობლო ენა არისო, ეს ჩვენი ოჯახის ენა არისო, ამ ენაზე ვიწყებთ ლაპარაკს და განსაკუთრებით, ქალები, როგორც ოჯახის ბურჯნი, საუკეთესოდ იცავენ მასო". როგორც ცნობილია, ლაზური ენის შენარჩუნებაშიც ქალებს მიუძღვოდათ დიდი როლი.

იმის გამო, რომ მუჰაჯირი ქართველი მუსულმანი ქალი კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა და სახლის გარეთ ვერ გადიოდა, თურქებთან მიმოსვლაც არ ჰქონდა, ამიტომ ოჯახში საურთიერთო ენა ქართული იყო. ზოგიერთ ქართველში შემორჩენილი ყოფილა ”საუცხოო ქართული წერა, რასაც ისინი უწოდებდნენ-”დედაბრულ წერას”.

ზაქარია ჭიჭინაძის გადმოცემით, იმის გამო, რომ შავშეთელი ქალები ბავშვებს ქართულად ესაუბრებოდნენ, კაცებს თურქი ცოლები მოჰყავდათ, რათა შვილებს ოსმალური ესწავლათ. მუჰაჯირობის დროს მაჭახლის სოფლებში ქალები უარს აცხადებდნენ ქმრებს ოსმალეთში გაჰყოლოდნენ. ზოგიერთი თავის მოკვლასაც კი აპირებდა, იმ შემთხვევაში თუ ქმრები ძალას გამოიყენებდნენ. იკრიბებოდნენ და საუბრობდნენ, თუ როგორ გადაეფიქრებინათ ქმრებისათვის საკუთარი მიწიდან აყრა და უცხო მიწაზე გადასახლება.

ქალი არა მხოლოდ ენის, არამედ ქრისტიანობის შენარჩუნებასაც ცდილობდა. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, აჭარაში “გათათრების” საქმე გართულებულა. “განსაკუთრებით დედაკაცები ქრისტიანობაზედ მტკიცედ იდგნენ და თან ოსმალს მოლა-ხოჯებსაც ეკამათებოდნენ და ედავებოდნენ”. (ჭიჭინაძე 1909, 59)

მუსლიმანობის მიუხედავად, წარსულიდამი, წინაპართა რელიგიისადმი კრძალვა, ქალებს მაინც ჰქონდათ. ისინი ინახავდნენ და პატრონობდნენ ქრისტიანულ ეკლესიებს. გ. ყაზბეგის ცნობით, შავშეთში ყველამ იცოდა, რომ ისინი საქართველოდან იყვნენ მოწყვეტილნი და რომ მათი რელიგია ქრისტიანობა ყოფილა. ოქრობაგეთის ეკლესია ორი, სამი გურული ქალის “მეცადინეობით ბოლოწლებამდე მოქმედებდა”. ისინი შავშეთელ ბეგებს ჰყოლიათ ცოლებად.

ქართველი ქალი მიწის სიყვარულითაც გამოირჩეოდა. ის არა მხოლოდ საშინაო საქმეებს უძღვებოდა, არამედ მიწასაც ამუშავებდა და “დედაკაცობდა”. “ქალი მის მფლობელობაში მყოფ მიწას დაუმუშავებელს და ცარიელს არ დასტოვებს...”. (ჯიქია 1941, 1)

გურჯი ქალი თავისი გენეტიკითა და ვაჟკაცობითაც გამოირჩეოდა. საკმაოდ აღრფთოვანებულა მეჰმედ არიფი ქართველი ქალებით “ქალები ძალიან კდემამოსილნი და პატიოსნები არიან. ბავშვებს ლაღად ზრდიან”. (Arif 2002, 49) “ქალების მეუღლეებისადმი მორჩილება ლეგენდად არის ქცეული” . (Arif 2002, 51) ამიტომ სრულებით ბუნებრივია, რომ თურქებს ქართველი ქალის ცოლად მოყვანის სურვილი ჰქონდათ.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება ექცეოდა გურჯი ქალის გენეტიკურ მხარეს, მის შრომისმოყვარეობას, ოჯახის ბურჯობას, შინაგან კულტურას. გურჯი ქალის ვაჟკაცობა თურქეთში არა მხოლოდ ეთნიკურ ქართველებში, არამედ თურქებს შორისაც ცნობილი ყოფილა. “გურჯი ქალი მეტი ყიიმეთლია თურქიეში. იმითვინ ძალუან მუუნდებიან თურქებსა, სხუა ჯინსის, სისხლის ინსებსა ჩუენთან დადოსტება, ჩუენიდან ძალიან თხოვნა. გურჯი ქალი ოჯაღსა, ქმარსა არ გაყიდის, არ უღალატებს....ისტანბულის დოღმა ბახჩე სარაის მუზეუმშია ერთი მესხი, გურჯი ქალის ნენე ჰათუნის დიდი რესმი...ეს ქალი ერზრუმის ფერეთიდან ყოფილა. რუსიე და თურქი რომ შეჩხუბილან 1877-ში, რუსი ასკერი ერზრუმ მისლამდი მისულან. ერთი მესხი კაცი, ამ ნენე ჰათუნის ძმა, მუუკლან რუსებსა. იარალი ძმა შესულა დასთან. ნენე ჰათუნსა პაწაი ბაღვი ყოლია და იმის აკვანი არწობდა მეგემ. სისხლიანი ძმა რომე დუუნახავს, უყვირია...ეზოდან ცული, წალდი უუწევია და უყვირია მეზობლებითვინ:-გარეთ გამოით, რუსმა გაქჷრასნა...დუუხუცვან რუსის ასკერი”. (ფუტკარაძე 1993, 157)

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ ინეგოლის ცენტრში, სადაც განთავსებულია ჩანაკალეს ბრძოლისადმი მიძღვნილი მემორიალი, დგას ბავშვიანი ქალის ქანდაკება. ეს “გურჯი ნენე ხათუნის” ძეგლია, რომელიც ბრძოლის ველზე ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად წასულა და უკან გმირის სახელით დაბრუნებულა. ზემოთ მოყვანილ ისტორიაში დასახელებული “მესხი ქალი”, ვფიქრობთ ის ნენე ხათუნია, რომლის ძეგლი ინეგოლის ცენტრში დგას (*იხ. სურათი 120*) თუმცა, წლები სხვადასხვაა-ზემოთ მოყვანილ ისტორიაში ფიქსირებულია 1877 წელი, ხოლო ინეგოლში მდგარი ნენე

ხათუნის ძეგლი, ეხება ჩანაკალეს ბრძოლებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ათა-თურქის პერიოდში, კერძოდ 1915-1916 წლებში.

გურჯი ქალის ვაჟკაცობებზე სოფელ ჰაირიეშიც ჰყვებიან. ისინი ომის პერიოდში სოფლის დამცველ “ბექის” როლსაც ასრულებდნენ. ტყეში გადიოდნენ და სოფელს იცავდნენ მძარცველებისაგან.

ქერემიჩ ჩოშქუნი-“*ჰარბის დროს ერთი დედაბერი დუყყენებიათ წინ-წინდელი დედაბერი ბევრი ესრიან, ერთი დედაბერი იქზე, ერთი დედაბერი იქზე თლად დედაბრები ასე, ენ სონდა ამ დედაბერ გაღმა ქედია იგერე, იუნანები(ბერძნები) რომ ამოვლენ ის დედაბერი რომ ესრის.*”

ნინო ოქროსცვარიძე-“*ქალი იყო ბექჩი? ” (მეთვალყურე)*

ქერემიჩ ჩოშქუნი-“*თაბიი, პანტოლები ქალები, მოქსოვილი შარვლები, ესვრის ისიც ესვრის ისიც ესვრის, აქედან გეიქცევა ერთ ძროხას ასე წეიყვანს.*”

ნინო ოქროსცვარიძე-“*სოფელს იცავდნენ?*”

ქერემიჩ ჩოშქუნი-“*კაცები დამალული არიან, ტყეებში, ისე გუუდენიან აქაურებიდან ორასი წელიწადი არ არალი იმთე, ჩვენ იმათ გააურებ ვეტყვით. ის ქალები გურჯები ყოფილან, იქ არ მუუშვიან აქეთ იმფერი ქალები ყოფილან.*”

ჰაირიელთა ოჯახში მკაცრად იყო განსაზღვრული მამაკაცისა და ქალის უფლებრივი თუ ფუნქციური მოვალეობები. ქალს უმთავრესად ევალებოდა ოჯახის შიდა სივრცეზე ზრუნვა, საოჯახო ტრადიციების, ადათ-წესების დაცვა და მომავალი თაობისათვის გადაცემა. მის ვალდებულებებში შედიოდა შვილების მოვლა-პატრონობა, სახლის დალაგება, თუმცა იგი მონაწილეობას იღებდა არა მხოლოდ შიდა საოჯახო საქმეებში, არამედ სახლის გარეთაც მუშაობდა. კერძოდ, “ახორში” უვლიდა პირუტყვს, მეუღლესთან ერთად ყანაში შრომობდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალი მამაკაცს ემორჩილებოდა და ისლამი მის უფლებრივ მოვალეობებს ზღუდავდა, ქართველების საოჯახო ყოფაში, ქალის სიტყვას და მის აზრს ანგარიშს უწევდნენ. რძლის მოყვანის

დროს, ჯერ ქალები აწარმოებდნენ ე.წ. წინასწარ სამუშაოებს, შემდეგ მეუღლესთან და ოჯახის უფროსს მამაკაცებთან განიხილავდნენ კანდიდატურას, რის შემდეგაც მიმდინარეობდა ქალის ოჯახთან შეთანხმება. ქალს შეეძლო საოჯახო საქმეებში მეუღლე არ მიეშვა, თუმცა მას ეკრძალებოდა ფინანსურ საქმეებში ჩარევა, მაგალითად, ფულის გასესხება, ოჯახის თივითა თუ შეშით უზრუნველყოფა და სხვ.

ჰაირიეში ისევე, როგორც ინეგოლის ქართულ სოფლებში, არსებობს ტრადიცია “kadın toplantı” ანუ “ქალების შეკრება” (აღნიშნული წესი თურქებშიც შეინიშნება) მას მეორენაირად “Gün”-ს ეძახიან. 15 დღეში ან თვეში ერთხელ ქალები იკრიბებიან, და აგროვებენ გარკვეული რაოდენობის თანხას, მიახლებით 50 ლირას, ან ოქროს. ამ დღეს “ოქროს დღეს” ანუ “altın gün”- უწოდებენ. მაგალითად, 12 ქალი შეაგროვებს ოქროს და მისცემს ერთს. ერთი წლის განმავლობაში, თორმეტივეს ოქრო რიგრიგობით ხვდება. (აღნიშნული მოვლენა საქართველოში გავრცელებულ ე.წ. ”ლატარიის” თამაშს ჰგავს, რომელიც მეგობრებს, თანამშრომლებსა და ნაცნობთა შორის შეინიშნება) წინასწარ ოჯახის შერჩევა, სადაც შეკრება გაიმართება, შემდეგნაირად ხდება-ფურცელზე დაწერენ გარკვეულ ნიშანს ან სიმბოლოს და ვისაც იგი შეხვდება, მის ოჯახში იკრიბებიან. იმ შემთხვევაში თუ ქალს არ სცალია, მაშინ “მასპინძლობის” ფუნქციას სხვას გადასცემს. ზოგჯერ მათ შორის კამათიც ხდება. “ქალთა შეკრება,” ქალთა ერთგვარ ლხენასა და დროსტარებას წარმოადგენს. ბუნებრივია, ამ მოვლენაში მამაკაცები არ იღებენ მონაწილეობას. ისინი ცალკე იკრიბებიან და აწყობენ “erkek eğlence” (მამაკაცთა გართობა), რომელსაც ქალები არ ესწრებიან. შეიძლება ითქვას, რომ ორივე შემთხვევაში პირადი სივრცის დაცვასთან გვაქვს საქმე. ქალები მამაკაცთა სივრცეში არ იჭრებიან და პირიქით.

ქალები სპეციალურად ამ დღისათვის ამზადებენ საჭმელებს - “ბორეჯი, “სალათა”, “ჯევიზლი ლოქუმი”, “თათლი” და სხვ. როდესაც მამაკაცები ქალების შესახებ საუბრობენ, დაცინვით აღნიშნავენ, რომ სოფლის ქალები მთელი დღე “დოლაფში” (კარადაში) იყურებიან და მათ მიერ მოტანილ “ფარას” (ფულს) “შეკრებებზე” ხარჯავენ.

არსებობს რელიგიური ნიშნით ქალების შეკრების ტრადიციაც, რომელსაც “Hatim”- (ეს არის ყურანის თავიდან ბოლომდე კითხვა. კაცები ცალკე აწყობენ, ქალები ცალკე) ეწოდება. ამ დღეს იკითხება ყურანი და ოჯახში გარდაცვლილებს ლოცვებს უკითხავენ.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიოში და მათ შორის თურქეთშიც ქალთა ემანსიპაციის საკითხი და დასავლური თუ ევროპული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალიზმი საკმაოდ თვალშისაცემია, ინეგოლის ქართულ სოფლებში, ქალი მაინც უკანა პლანზეა მოქცეული (დიდი ქალაქებისაგან განსხვავებით) მამაკაცი კი ოჯახში დომინანტია. ხშირ შემთხვევაში ქალს მუშაობაც კი ეკრძალება.

ძველად ჩაიხანაში ქალის შესვლა აკრძალულული იყო, დღესდღეობით ევროპაში ნამყოფი (მეუღლესთან ერთად) და საკუთარ თავში დარწმუნებული, ემანსიპირებული ქალი, თავს უფლებას აძლევს შეერიოს კაცების საზოგადოებაში, დაჯდეს ჩაიხანაში, იმუშაოს და საკუთარი თავის ბატონ-პატრონი თავადვე იყოს. შეიძლება ითქვას, რომ არსებობს **ქალების სამი ტიპი-1**. სოფლებში დაბადებული და სოფლებშივე მცხოვრები ქალები, რომლებიც საკუთარ სახლებში არიან ჩაკეტილები და მამაკაცებს ემორჩილებიან, თუმცა შინაგანი პროტესტის გრძნობით გამოირჩევიან (არ მოსწონთ საზოგადოებაში მეორეხარისხოვანი პოზიცია) 2. ქალები, რომლებიც უარყოფენ ყოველგვარ ინოვაციას და ცხოვრობენ ისლამური ტრადიციებით. 3. მეუღლეებთან ერთად ევროპაში მცხოვრები, შემდეგ სოფლებში დაბრუნებული და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართული, საკუთარ თავში დარწმუნებული ქალები.

პირველ შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ ოჯახსა თუ საზოგადოებაში საკუთარი მდგომარეობის მიმართ შინაგან პროტესტს განიცდიან, მაინც ვერ ლახავენ ფსიქოლოგიურ ბარიერს, რომლის ფუნდამენტს ხშირ შემთხვევაში ქალისადმი ტრადიციული დამოკიდებულება და რელიგია წარმოადგენს. მათ ცხოვრებაში მასობრივი საშუალებები და ზოგადად მსოფლიოში მიმდინარე ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ არსებული პიარკომპანია, გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს. ერთის მხრივ აღიარებენ მამაკაცის დომინანტურ პოზიციას, მაგრამ მეორეს მხრივ გამოთქვამენ პროტესტს. თუმცა საბოლოო ჯამში ეს “პროტესტი” არ სცდება შინაგანს და კვლავ მეორეხარისხოვან პოზიციას სჯერდებათ.

მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს იმ ტიპის ქალებთან, რომლებიც სოფელშივე ცხოვრობენ და სიახლეების მიღება, ალაჰის დალატად მიაჩნიათ. მათთვის ოჯახური ცხოვრება ტრადიციებზე და რელიგიურ დოგმებზე არის აგებული. მიუღებელია ქალის ემანსიპაციის საკითხი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ ჩაკეტილობამ, სიახლეებისაგან იზოლაციამ, ისლამის მკაცრმა მოთხოვნებმა, შეანარჩუნებინა მათ წინაპართა ტრადიციები.

მესამე ტიპის ჯგუფში შედიან ის ადამიანები, რომლებიც ინოვაციის მიმართ კეთილგანწყობით გამოირჩევიან. ევროპულმა ცხოვრებამ და გამოცდილებამ, მათში, როგორც ქალებში, საკუთარი თავისადმი რწმენა გააძლიერა, აგრძნობინა, რომ მათ აქვთ გონებრივი და კონსტიტუციურ-უფლებრივი შესაძლებლობა, მამაკაცების მსგავსად საზოგადოების სრულფასოვანი წევრები გახდნენ და მიიღონ აქტიური მონაწილეობა ბიზნეს თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასევე ამ ტიპის ქალები განქორწინებას, ტრაგედიად აღარ აღიქვამენ, მაშინ როდესაც ძველად და ახლაც, ოღონდ მეორე კატეგორიის ქალებში, ეს მოვლენა მიუღებელია და ოჯახიდან წამოსულ ქალს “ცუდი თვალით” უყურებენ. საინტერესოა, რომ ავტოქტონური ქართველებით დასახლებულ ტერიტორიებზე, კერძოდ შავშეთში გამოყოფენ “გენდერულ სუბკულტურის” 4 ტიპის ჯგუფის ქალებს. “1. ქალები რომლებიც ოჯახთან ერთად მუდმივ საცხოვრებლად გადავიდნენ თურქეთის ევროპული ნაწილის დიდ ქალაქებში და ცდილობენ დასავლეთ ევროპასთან ინტეგრირებას; 2. ქალები, რომლებიც ინარჩუნებენ თავიანთ საცხოვრისს ტაო-კლარჯეთში, ზაფხულობით ბრუნდებიან მამა-პაპისეულ სახლებში, წელიწადის სხვა დროებში კი ცხოვრობენ ქვეყნის დიდ ქალაქებში; 3. ქალები, რომლებიც ეკონომიკური პირობების გამო ვერ ახერხებენ სხვაგან გადასვლას, რჩებიან ადგილზე და მასმედიის საშუალებით ეცნობიან ახალ ფასეულობებს (რომელთაგან ზოგიერთი ნებისით თუ უნებლიედ, შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც, ინერგება ყოფაში); 4. ქალები, რომლებიც უარყოფენ ყოველგვარ სიახლეს და მისდევენ ადათობრივ ტრადიციებს, რომლებიც ძირითადად ისლამის დოგმებს უკავშირდებიან. პირველის შემთხვევაში ქალებს (და მამაკაცებსაც) უწევთ ურთიერთობა დიდ ქალაქებში მცხოვრებ მოსახლეობასთან, მათ შეხედულებებთან, ღირებულებათა სისტემასთან. მიუხედავად

იმისა, რომ თურქეთი სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო კონსერვატიულია, რასაც ამყარებს ისლამური დოგმები, ნელა, მაგრამ მაინც, აქაც ხდება დასავლური ღირებულებების ცალკეული ელემენტების დანერგვა. ამდენად მათი ქცევის ნორმებისა თუ ცხოვრების წესის ათვისებას თავისუფალი ხასიათი აქვს. იძულების მექანიზმები არ მოქმედებს, რადგან თვითონაა დაინტერესებული მოხდეს ასოციებში მისი ინტეგრირება. ინტერესების დონე და ხარისხი დამოკიდებულია თავად პიროვნებისა და შესაბამის გარემო პირობებზე. არსებობს თეორიული შესაძლებლობა იმისა, რომ მოხდეს ტრადიციული ფასეულობათა სისტემის სრული ტრანსფორმაცია და ახლით ჩანაცვლება, თუმცა უფრო მოსალოდნელია ადაპტაცია. მეორე შემთხვევაში ხდება თავინთი ნეგატიური თუ პოზიტიური გამოცდილების გადმოტანა მამა-პაპისეულ დასახლებაში და შესაბამისი გარემო პირობების ვითარებაში ხდება მისი გავრცელება. მესამე შემთხვევაში ქალებისათვის სრულიად არაა მისაწვდომი დიდ ქალაქებში შემოსული ელემენტები. ამიტომ სრულიად ვერ ხერხდება მისი ათვისება. იგი მხოლოდ მასმედიაზეა დამოკიდებული. ცალკეულ შემთხვევაში შესაძლოა გაუჩნდეს ქალს ამა თუ იმ სფეროში ბრმად მიბადვის სურვილი, რასაც შემდეგ მოჰყვება კულტურის მარგინალიზაცია-ვულგარიზაცია, თუმცა თურქეთის ქართულ სოფლებში არსებული გარემო პირობები ამის შესაძლებლობას პრაქტიკულად არ იძლევა. ბოლო შემთხვევაში იგულისხმება არსებული კულტურის იზოლაციისაკენ სწრაფვა, რასაც გლობალიზაციის პერიოდში შედეგად მოჰყვება კულტურული უძრაობა.....ამ ტიპის მოსახლეობაში უფრო შენარჩუნებულია ქართული ყოფის და კულტურის ზოგადეთნიკური თავისებურებები”. (შავშეთი 2011, 135-1366)

შეიძლება ითქვას, რომ შავშეთის ავტოქტონური ქართველები და ინეგოლის ქართველი ქალები, ერთმანეთთან გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებენ. ორივე შემთხვევაში გამოიყოფა ემანსიპაცია-ინდივიდუალიზმისაკენ, ადათებისა და რელიგიისადმი მიმართული ქალთა ტიპები. ბუნებრივია ერთმანეთს უპირისპირდება ადათობრივ-რელიგიური დოგმები და ევროპული, დასავლური ღირებულებები. ხშირშემთხვევაში ხდება მიმბაძველობა, დასავლურის გაფეტიშება. თუმცა, ადათობრივი სივრცის დაშლის პროცესი წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. გაუყოფელი

პატრიარქალური ყოფა, რომლის დროსაც, მთელი ოჯახი ერთ საერთო სივრცეში იყო გაერთიანებული და ერთ მთლიან ორგანიზმს წარმოადგენდა, დროთა განმავლობაში ატომარულ სივრცეებად დაიშალა, დაიყო ცალკეულ დამოუკიდებელ ერთეულებად. სოფლის საბჭომ დაკარგა თავისი გავლენა, ადრე თუ სოფლის შიდა საქმეებში, ოჯახურ დავებში ერეოდა, ხალხში მისი ავტორიტეტი დროთა განმავლობაში დაიკარგა. ამ ყოველივემ თავად ოჯახის წევრებს შორის დამოუკიდებულებაც შეცვალა-თუ ადრე დედამთილი, მამამთილი ოჯახის შიდა და გარე საქმეების მოგვარებაში მთავარ როლს ასრულებდნენ, დღესდღეობით ახალი თაობისგან “იზოლირებულები” აღმოჩნდნენ, რადგანაც მათ ცხოვრებაში აქტიურ როლს ვეღარ თამაშობენ. ამ პრობლემას ძველი თაობა მტკივნეულად განიცდის, ახალი თაობა კი მათ იმის გამო კიცხავს, რომ დამოუკიდებლობას მოკლებულები იყვნენ და მათ ბედს უფროსები განაგებდნენ.

თანამედროვე სამყაროში, სადაც მიმდინარეობს ქალთა თუ მამაკაცთა ფუნქციურ-თვისობრივი დაპირისპირება, ბუნებრივია გავლენას ახდენს თანამედროვე ადამიანზე, მით უფრო თუ იგი ქალაქში ცხოვრობს და ევროპასა და დასავლეთთან აქვს შეხება. ეს ზეგავლენა აღმოსავლეთსაც ეხება, რომელიც მუდმივად ევროპულ თუ დასავლურ ღირებულებებს უპირისპირდება. ამ გარემოში ქალი მისწრაფვის გამოეყოს მამაკაცს, აღმოსავლეთში მიღებულ დოგმას- ქალი უუფლებოა, მამაკაცი კი მისი ბატონია. მას სურს მოიპოვოს დამოუკიდებლობა, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები და საკუთარი ბედის გამკარგველად თავადვე იქცეს. მაგრამ ის ქალები, რომლებიც ჯერ კიდევ ადათობრივ, რელიგიურ დოგმებით ცხოვრობენ, მათთვის უცხოა ე.წ. თანამედროვე ღირებულებებზე აგებული “ახალი ქალის” სახე. ისინი ემიჯნებიან ამ “ახალ ღირებულებებს” და რელიგიური რიტუალების შესრულებითა თუ წინაპართა ტრადიციების დაცვით, საკუთარ ოჯახურ სივრცეს იცავენ. ამ ჯგუფის ქალები ამგვარი დოგმირებული ნორმებით აღიარებენ მამაკაცთა ფუნქციურ უპირატესობას და ქმნიან რელიგიურ, ადათობრივ სისტემაზე დამყარებულ საოჯახო ტიპს.

ნათესაური ურთიერთობები

ცნება “ნათესავი” შინაარსობრივად განაყოფიერების ცნებას უკავშირდება. “ნათესავი” არის ის, “ვინც თესვის განაყოფიერების შედეგად ჩნდება და საერთო მამიდან, “მშობელი” ძირიდან მომდინარეობს. თავისთავად სახლი სისხლისმიერი ერთობაა, საერთო წარმომავლობითი დვრიტით გაერთიანებული თესლნაყარი ერთობა, მომდინარეა თავისი სამკვიდროდან, მიწიდან, რომელთან ერთობლიობაშიც განიხილება ამ სახლის შემავალი ყოველი ცალკეული ინდივიდი. ისინი საერთო ნათესაური ერთობის პრინციპით არიან შეკრულ-შედუღებულნი და ერთიანი სანათესაო ღვთაების სამსახურით, ინიციაციურად შესულნი არიან სამკვიდრო გარემოსთან სისხლხორცეულ კავშირში”. (ბუხრაშვილი 2005, 139)

ჰაირიეს ქართველებში ნათესაური ურთიერთობები შეიძლება იყოს, როგორც სისხლითი, მოყვრობითი, ისე სულიერი. თუმცა სამივე მათგანი ტრადიციულ, ქართულ ოჯახებში მნიშვნელოვანი იყო.

სოფელში საკმაოდ ახლო ურთიერთობები არსებობს “ემიაშვილებს” (ბიძაშვილები მამის მხრიდან), “ბიბიაშვილებს” (მამიდაშვილი), “ტაიაშვილებს” (ბიძაშვილები დედის მხრიდან), “თეიზეშვილებსა” (დეიდაშვილები. ქართველები დეიდაშვილის მნიშვნელობით, უფრო ხშირად “ჰალაშვილებს” იყენებენ) შორის.

მამის მხრიდან ნათესავეს უფრო მეტი გავლენა და პატივისცემა ჰქონდათ, ვიდრე ნათესავეს დედის მხრიდან. რადგანაც გვარი ანუ “sülale”, რომელიც მამიდან მომდინარეობდა, ოჯახის შემდეგ ყველაზე დიდ ნათესაურ კავშირს წარმოადგენდა. ძველად ნათესაური ურთიერთობა, ერთმანეთში მიმოსვლა უფრო ხშირი იყო. ჰაირიელები მიწაზე მოყვანილ პროდუქტს, არა მხოლოდ ოჯახში მოიხმარდნენ, არამედ ნათესავეებსაც უნაწილებდნენ. დღესდღეობით მოსახლეობა ნათესაური კავშირის მოშლას უჩივის. მათი აზრით ხალხი “გედერიცხა”.

ქერემიჩ ჩოშქუნი-“პაწაი აირეცხა. წინ წინდულა არალი იანი. ვინემ რომ მოკვდე კარაი არავინ გიგილებს. წინ წინ ასე არ იყო, წინ-წინ წასვლა მოსვლა იყო, ახლა არალი იანი,

წინ-წინ ერთმანეთს დეებმარებოდენ, ერთმანეთს სახლ გააკეთებდენ, ყანაში დეებმარებოდენ, სიმიდს გააფაჩიებდენ”.

ძირითად მიზეზად სოფლის დაცარიელება სახელდება. ნათესავები გაიფანტნენ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში. მატერიალურმა კეთილდღეობამ, ძველი ღირებულებები ჩაანაცვლა. ოჯახის გაფანტული წევრები ერთმანეთს რელიგიურ, საოჯახო დღესასწაულებზე ანდა ზაფხულობით ხვდებიან. **ქერემიჩ ჩომქუნი** “*ჰაირიე წინათ დაჰა ლამაზი იყო, ახლა ჰაირიე მეიშალა მეტი დიდვანი სახლები გაკეთდა, ძველი სახლები დაჰა კარგი იყო, ტყე სოფელში იყო, ტყემ დეილია, მანქანები ეივსო, ფული ეივსო, ხისიმმა ხისიმი არ იცის, ჩვენ თვეში ერთხელ დევნახავთ ერთმანეთს, ფულმა შოვდა შუაში, წასვლა მოსვლა აღარ არის, ფულმა ხისიმზე დაჰა წინ მოვიდა. ქორწილზე დევნახავთ ერთმანეთს. აქაური გერმანიაში წამსვლელები არ უყვარან, იქაურები არ უყვარან დუგუნებზე(ქორწილებში) არ წოვლიან აქაურები. ახლა შენ დოგუნს იჯები ბაღნისთვის, შენ ქორწილში არ მოვა ფულ არ გაძლევს”.*

ძველად სოფლის სივრცე შემოსაზღვრული იყო. მოსახლეობა იშვიათად გადიოდა გარეთ-ქალაქში, ქალაქური ცხოვრებისგან დაცული იყო, რაც გარკვეულწილად ინახავდა სოფლის შიდა სივრცეს და ჰაირიელთა ნათესაურ ურთიერთობასაც.

თურქეთის ქართული წარმოშობის მოსახლეობაში ეგზოგამიაა, ნათესავებს შორის იკრძალებოდა ქორწინება. თუმცა იყო შემთხვევები, როცა ნათესავებს შორის ასეთ ფაქტს მაინც ჰქონდა ადგილი. აღსანიშნავია, რომ ისლამში საქორწინო აგამია მოიცავს შემდეგს: მამების ცოლებს, დედებს, საკუთარ ქალიშვილებს, დებს, მამიდებს, დეიდებს, ძმისა და დისწულებს, ძიძებს, დობილებს, სიდედრებს, ქალიშვილებს იმ ქალებისგან, ვისთანაც მამაკაცს ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ თუ არ ჰქონდა შეეძლო მოეყვანა ცოლად, შვილიშვილებს, ქმრიან ქალებს, (ტყვედ ჩავარდნილების გარდა) თუმცა, აქ არაა საუბარი მაზლზე, რძალზე, ბიძაშვილ-მამიდაშვილებს, დეიდაშვილებს შორის, გარდაცვლილ ცოლის დასა და მის სანათესაოზე ქორწინებაზე. აქვე უნდა დავამატოთ, რომ ზოგადად საზოგადოებისთვის ცნობილი იყო როგორც კროსკუზენური ანუ ჯვარედინ კუზენებს (დისა და ძმიშვილებს) ორთოკუზენური ანუ პირდაპირ კუზენებს (ბიძაშვილებსა და

დეიდაშვილებს) შორის ქორწინება, ასევე ლევირატული და სორორატული კავშირები. ეს მოვლენა დამახასიათებელი იყო არა მხოლოდ ზოგადად აღმოსავლური, არამედ ქართული საზოგადოებისთვისაც. კერძოდ კუზენური ქორწინებები გავრცელებული იყო აჭარაშიც. სავარაუდოდ, ჰაირიელებსა და ზოგადად ინეგოლის ქართველებში ასეთი სახის ახლო ნათესაურ ქორწინებას, ისლამი და მასში ამ აკრძალვების არ არსებობა განაპირობებდა, რასაც ამავედროულად ეკონომიკური ფაქტორებიც ემატებოდა. კერძოდ, თუ ოჯახში რძალი დაქვრივდებოდა, ცდილობდნენ იგი მაზლისათვის მიეთხოვებინათ, ამით ოჯახი თავიდან იცილებდა დამატებით ხარჯებს, რაც მოყვებოდა მაზლის სამომავლო ქორწინებას სხვა ქალზე. გარდა ამისა, ქვრივის მზითევიც მათ ოჯახში რჩებოდა. “რძალში მეორედ ურვადის გადახდა და საქორწილო ხარჯების გაწევა აღარ იყო საჭირო, ქმნიდა ქმრის ოჯახის დაინტერესებას, რძალი ოჯახიდან არ წასულიყო და მათივე ვაჟისთვის “დაებრუნებინათ”. (ბექაია 1974, 87) თუმცა საბოლოო სიტყვა ქალზე იყო, მაგრამ იმის გამო, რომ ისლამში კაცის ოჯახს რჩება შვილები, დაქვრივებული ქალი იძულებული იყო გაყოლოდა უმცროსს მაზლს. ხშირ შემთხვევაში მაზლი ქალზე უმცროსიც კი იყო. აღსანიშნავია, რომ ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდა არა მარტო აჭარაში, არამედ საქართველოს სხვა მხარეებშიც, კერძოდ სვანეთში, ხევში. ახლო ბიძაშვილებს (ძმათა შვილები) შორის ქორწინება ხდებოდა მაშინ, თუ ერთ ოჯახში მხოლოდ გოგოები იყვნენ, მეორე ოჯახში კი ბიჭები. ეს იმით აიხსნებოდა, რომ ქონება უცხო, ჩასიძებულს არ დარჩენოდა. აღნიშნული მოვლენა ფიქსირდებოდა აჭარაშიც “აჭარაში კუზენური ქორწინება უკავშირდებოდა მამის ოჯახიდან განაყოფი, “გარიგებული” ოჯახის ქონების შენარჩუნების სურვილს. აჭარა მთაგორიან მხარეს წარმოდგენს, იგი მწვავედ განიცდიდა შემოსავლის ძირითადი წყაროს, გამოსაყენებელი მიწის ნაკლებობას. ამიტომ მიწის ნაკვეთის გაფართოება თუ შენარჩუნება სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა აჭარელისათვის. ამ ინტერესს ამწვავებდა აგრეთვე აჭარული ოჯახის მრავალშვილიანობით გამოწვეული მიწის დაქუცმაცება. ასეთ პირობებში გასაგებია, რომ ბიძაშვილები ყოველნაირად ცდილობდნენ მათი უახლოესი წინაპრის მიწა ხელიდან არ გაეშვათ და მემკვიდრე ვაჟის არყოლის შემთხვევაში პრეტენზიას აცხადებდნენ...”. (ბექაია 1974, 82)

რაც შეეხება სორორატულ მოვლენას, “ბალდიზის” ანუ გარდაცვლილი ცოლის დისა თუ მისი სანათესაოდან ქალის მოყვანას, ესეც იმით აიხსნება, რომ დაობლებულ ბავშვებზე ცოლის და უკედ იზრუნებდა და ამავდროულად ქალის ოჯახს მზითვის პრობლემას მოუხსნიდა, რადგან ასეთ შემთხვევაში ძალიან მცირეს ან საერთოდ არ ატანდნენ მას. ამ ე.წ. ”შელავათებითაც” ბიჭის ოჯახიც სარგებლობდა და თავიდან იცილებდა ახალ საქორწინო ხარჯებს. მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჰალაშილებსა (დეიდაშვილები), ბიბიაშვილებს (მამიდაშვილებს), ტაიაშვილებს (დედით ბიძაშვილები) შორის ქორწინება სირცხვილად და შეიძლება ითქვას ინცესტად მიიჩნეოდა. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებს მაინც ჰქონდა ადგილი. საინტერესოა, რომ თუ ზემოთმოყვანილი შემთხვევები უხვედრთა რიცხვში არ მოიაზრებოდა, ეს უკანასკნელი იკრძალებოდა, თუმცა ორივე ახლო ნათესაური მოვლენა იყო. სავარაუდოდ, ეს იმით აიხსნება, რომ ბიბიაშვილების, ტაიაშვილების და ჰალაშილების შემთხვევაში, საქმე არ ეხებოდა საერთო ქონების საკითხს, რადგანაც ქონების გადაცემა ხდებოდა მამის მხრიდან და არა დედის.

ჰაირიეში მუჰაჯირად წასული ქართველები ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ ახლო ნათესაური ქორწინებები. აქვე უნდა დავამატოთ, რომ აჭარაშიც მოსახლეობის დამოკიდებულება ამგვარი ფაქტებისადმი უარყოფით იყო. ჰაირიეში საერთო წესი პიროვნების ბიძაშვილზე დაქორწინებას კრძალავდა. როგორც სოფლის მკვიდრი გადმოგვცემს, დღესდღეობით ჰაირიეში ყველა ერიდება ახლო ნათესაურ ქორწინებებს, *“ძალიან ახლოს არიან ემიაშვილები, ბიბიაშვილი, ტაიაშვილი, თეიზეშვილი თლად ეთხოვებიან, წინ-წინ ასე მიცემდენ, ახლა მეტი გოგოები არ იჯებიან ხისიმი, არ ქორწილდებიან.”* თუ ასეთ ფაქტს მაინც აქვს ადგილი, სოფელი მას “ცუდი თვალით” უყურებს. ბალიქესირის ოლქში, სოფელ მანაში (ეთნიკური ქართველებით დასახლებული სოფელი) როგორც ადგილობრივები აღნიშნავენ, კატეგორიულად იკრძალებოდა ბიძაშვილ-მამიდაშვილებზე ქორწინება და შორეულ ნათესავებთანაც ერიდებოდნენ დამოყვრებას. იმის გამო, რომ სოფელი ერთიმეორის ნათესავებისაგან შედგებოდა, ადგილობრივები ცდილობდნენ ქალი სხვა ქართული სოფლებიდან მოეყვანათ და გოგოც მეზობელ სოფელში გაეთხოვებინათ.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ისლამში ბიძაშვილებს შორის ქორწინებაზე აკრძალვა არ ვრცელდებოდა, ინეგოლის ქართველებით დასახლებული სოფლების მოსახლეობა, ასეთი სახის ურთიერთობებს მაინც ერიდებოდა და დღესდღეობით სირცხვილად მიიჩნევს. შესაძლოა, ამის მიზეზი ზოგადი ქართული მოვლენა იყო, რომელიც ახლო ნათესაურ ქორწინებებს ინცესტად თვლიდა.

ჰაირიეში გარდა სისხლის მიერი ნათესაური ურთიერთობისა, არსებობდა არა სისხლის მიერი ნათესაური ანუ სულიერი ურთიერთობებიც, რომელიც მოიცავდა აკრძალვებს და იყო ტაბუირებული. მათგან ყველაზე საყურადღებოა შემდეგი სახის კავშირები:

“kirve” ანუ ნათლია, (მაჰმადიანური წეს-ჩვეულება, თუმცა აღნიშნული ფაქტი არ ფიქსირდება ყურანში) ბიჭის მეორე მამა ხდებოდა. (“Sünnet”-ის ანუ წინადაცვეთის რიტუალი 2 დან 14 წლამდე ასაკის ბიჭებში ტარდება) “ქირვე” შეიძლება ყოფილიყო ოჯახთან დაახლოებული პიროვნება, მაგრამ არა ნათესავი. მას ირჩევდა ბიჭის მამა, თუმცა, ბავშვის დაბადების დროს, პიროვნებას შეეძლო თავადაც გამოეხატა სურვილი გამხდარიყო მისი “ქირვე”. ოჯახში ყოველ ბიჭს ჰყავდა თავისი “ქირვე”. მაგრამ ერთიდაიგივე პიროვნება არ უნდა ყოფილიყო.

“ქირვეს” თავისი თავისებურებები გააჩნდა. ეს იყო განსაკუთრებული ახლო კავშირი ბიჭის ოჯახსა და “ქირვეს” შორის, რაც ნათესაურ ურთიერთობას ემსგავსებოდა, თუმცა, ამ უკანასკნელისგან იმით განსხვავდებოდა, რომ “ქირვე” ნებაყოფლობითი აქტი იყო. პიროვნება, რომელიც წინადაცვეთის დროს ბავშვს იჭერდა, მისი მეორე მამა ხდებოდა. ორ ოჯახს შორის დამყარებული ეს ურთიერთობა ნდობას ეფუძვნებოდა. რაც თავის თავში ურთიერთდახმარებას, მეგობრობასა და პატივისცემას გულისხმობდა. “ქირვეს” ისეთივე უფლებები ჰქონდა ბიჭის მიმართ, როგორც მამას. იგი ინაწილებდა პასუხისმგებლობას, განათლებისა და ქორწილის ხარჯებს, ზრუნავდა მის კეთილდღეობაზე, გაჭირვების ჟამს ეხმარებოდა. შეიძლება ითქვას, რომ სისხლის მიერ ნათესაურ კავშირს უთანაბრდებოდა. ბავშვიც ვალდებული იყო მოკრძალება და პატივისცემა გამოეხატა მის მიმართ. ხალხს მიაჩნდა, რომ “ქირვესადმი” და მისი

რჩევების უგულვებელყოფა უფრო სამარცხვინო იყო, ვიდრე მამისადმი დაუმორჩილებლობა.

აღნიშნული ტრადიცია მოიცავდა შემდეგ მნიშვნელოვან მომენტებსაც, კერძოდ, ბიჭი არ უნდა დაქორწინებულიყო თავისი “ქირვეს” შთამომავალზე. ამ ნათესაური ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარე, იგი ტაბუს ადებდა და კრძალავდა ინცესტს. მსგავსი ფაქტი ფიქსირდებოდა აჭარაშიც, როგორც მკვლევარი მზისა ბექაია აღნიშნავს, “ქორწინების აკრძალვა ნათლია-ნათლულსა და მათ შთამომავლობას შორის ქრისტიანული რელიგიის გადმონაშთად უნდა ვიგულისხმოთ, რადგან ასეთი აკრძალვა მუსულმანური სამყაროსადმი არაა დამახასიათებელი”. (ბექაია 1974, 84) მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ “ისლამურ სამყაროშიც ნათლულს ეკრძალება თავის ქირვას შვილზე დაქორწინება”.²¹

ორივე ოჯახის კარი ერთმანეთისთვის ღია იყო. ბიჭის ოჯახის ქალები, “ქირვეს”, როგორც მამაკაცს, თავს არ არიდებდნენ, რადგანაც იგი მათი ოჯახის ახლობელი იყო.

ჰაირიეს ქართველები მეგობრობისა და მჭიდრო კავშირის განვითარების მიზნით, “ქირვეს” საკუთარი სოფლიდან ირჩევდნენ. თუმცა, მას შემდეგ რაც ჰაირიეში ქალაქური ცხოვრება შემოიჭრა, მოსახლეობამ “ქირვეს” ძიება იმ ქართველთა შორის დაიწყო, რომლებიც ინეგოლსა და თურქეთის სხვა ქალაქებში ცხოვრობდნენ. ეს იმით აიხსნება, რომ ქალაქში მცხოვრები, ფინანსურად უზრუნველყოფილი “ქირვე”, ბავშვს უპატრონებდა და მატერიალურ დახმარებას გაუწევდა. შეიძლება ითქვას, რომ ადრე თუ “ქირვეს” ადამიანური ღირსებების გამო ირჩევდნენ, ბოლო წლებში მას ფინანსურად უზრუნველყოფილი ადამიანი ჩაენაცვლა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით “ქირვეს” მნიშვნელობა დაიკარგა.

მეორე სულიერი ნათესაობა, ანუ სულიერი და-ძმობა, რომელიც წარსულში ჰაირიეში ფიქსირდებოდა, იყო “აჰრეტი” (“ahret”), რაც “იმქვეყნიურ სამყაროს” ნიშნავდა.

²¹ * http://www.enjoyturkey.com/info/culture/Life_Style.htm, Circumcision ceremony (9.2.2010)

ეს ურთიერთობა ორ არა სისხლით ნათესავ პიროვნებას შორის ადრეული ასაკიდან იწყებოდა და მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდებოდა. ეს კავშირი სულიერ მეგობრობას ეფუძნებოდა. ისინი განუყოფელი იყვნენ არა მხოლოდ ამქვეყნიურ, არამედ იმქვეყნიურ სამყაროშიც. თუ ერთ-ერთი მათგანი მეორეზე ადრე გარდაიცვლებოდა და სამოთხეში მოხვდებოდა, შეეძლო ალაჰის წინაშე მეორისათვის ეშუამდგომლა. ეს მოვლენა თავისი არსით სრულყოფდა და ამაღლებდა მეგობრობის განცდას. აღნიშნული სულიერი კავშირი ორ გოგოს შორის ყალიბდებოდა (იშვიათად ორ ბიჭს შორის) ისინი შეიძლება ერთმანეთის მეზობლები ანდა თანაკლასელები ყოფილიყვნენ. განუყრელად ერთად იყვნენ და დროსაც ერთად ატარებდნენ. ეს ურთიერთობა არა მხოლოდ აერთიანებდა ორ მოზარდს, არამედ მათ ოჯახებსაც ანათესავებდა და აახლოვებდა. ისინი ერთმანეთის ოჯახის წევრებს, საკუთარ ოჯახის წევრებად აღიქვამდნენ.

ამრიგად, ეს ორი ოჯახი ერთმანეთის ახლო, სულიერი ნათესავი ხდებოდა და მათ შორის არსებული ვალდებულებები, სისხლით ნათესაურს უახლოვდებოდა. ისინი გაჭირვების ჟამს ერთმანეთს ეხმარებოდნენ, მონაწილეობას იღებდნენ ერთმანეთის ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებში. თუმცა, ამავდროულად, აღნიშნული კოჰეზია შეიცავდა აკრძალვებსაც-იკრძალებოდა რომელიმეს ძმაზე დაქორწინება, რაც ინცესტის ტოლფასი იქნებოდა. ძველი თაობის წარმომადგენლებს, თითქმის ყველას ჰყავდა თავისი "აჰრეტი", თუმცა დღესდღეობით აღნიშნული მოვლენა ჰაირიეში აღარ შეიმჩნევა. (წარსულში ბიჭებს შორის გავრცელებული ყოფილა სისხლით დაძმობილების ტრადიცია. ისინი იჭრიდნენ თითს და წოვდნენ ერთმანეთის სისხლს)

"süt kardeş"- ანუ იგივე ძუძუმტე. თუ დედას შვილისათვის რძის მიცემა არ შეეძლო, მაშინ პატარას მეზობლის ქალი აწოვებდა ძუძუს. ამით ორივე ოჯახი უნათესავდებოდა ერთმანეთს და ახლო კავშირს ამყარებდა. ბავშვები ერთმანეთის ძუძუმტეები ხდებოდნენ და მთელი ცხოვრების მანძილზე სულიერ მეგობრებად ითვლებოდნენ. "ქირვესა" და "აჰრეტის" მსგავსად, ძუძუმტეებიც ერთმანეთის ნათესავები ხდებოდნენ და მათ შორის ქორწილი ანდა სასიყვარულო კავშირი ცოდვად

მიიჩნეოდა. მიუხედავად იმისა, რომ ძუძუმტეები ერთმანეთისათვის სისხლით ნათესავები არ იყვნენ, ხალხი მაინც თვლიდა, რომ დაქორწინების შემთხვევაში, შესაძლოა მათ ავადმყოფი შვილები ჰყოლოდათ. მსგავსს მოვლენას ადგილი ჰქონდა აჭარაშიც, „ამ ბავშვებსა და მათ და-ძმებს შორის, რომლებიც ამ ოჯახებს შეეძინებოდა „ძუძუ-ნაჭამ“ ბავშვების შემდეგ, ქორწინება სასტიკად იკრძალებოდა“. (ბექაია 1974, 83) თურქული ტრადიციების მიხედვითაც ძუძუმტეებს შორის ქორწინება იკრძალებოდა.

ნინო ოქროსცვარიძე - "მათ შორის ქორწინება შეიძლება?"

აიშე ხინკილაძე - "სუთ კარდემი არ იქნება მესელა, რძეს სვამს ერთამნებისა ცოდვა არის. ისინიც არ იქნებიან. სახადი ბაღნები იქნებიან, დუნიაზე მოვლენ. ვერ ითხოვ იმთე. სუთ კარდემი ძმაზე წინაა, ძუძუს წოვიან არ იქნება".

აღნიშნული შეხედულება იმდენად გამჭდარი იყო მოსახლეობაში, რომ სოფელში ასეთ ფაქტს არც კი ჰქონდა ადგილი.

მეზობლობა ჰაირიელთა ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი იყო და ოჯახების ერთიანობის, ურთიერთდახმარების გამომხატველ მოვლენას წარმოადგენდა. სოფელი იყო დაცული სივრცე. ოჯახის უპირველესს საზრუნავს ქალებისა და ბავშვების უსაფრთხოება და სიწმინდე წარმოადგენდა. ძველად სოფლის მოსახლეობის სახლებს გარს მაღალი ღობე ანდა კედელი აკრავდა, რაც უსაფრთხოების ნიშანი იყო. როდესაც კაცები მუშაობდნენ ან გართობის მიზნით ყავახანაში იხდნენ, ქალები და ბავშვები უმეტესს დროს სამეზობლოში ატარებდნენ. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა საერთო, დაცულ სივრცეს, რაც უპირველეს ყოვლისა ნდობას ეფუძნებოდა. ჰაირიეში ყველა ერთმანეთის ან სისხლითი ან სულიერი ნათესავი იყო. მეზობლური ურთიერთდამოკიდებულება იმდენად ძლიერი იყო, რომ თანაცხოვრების პერიოდში, ახლო ურთიერთობა ყალიბდებოდა, რაც ნათესაური კავშირისაგან არაფრით განსხვავდებოდა. იგი იმდენად ძლიერი იყო, რომ თავის თავში შეიცავდა აკრძალვებსაც. ახლო მეზობლებს შორის სასიყვარულო კავშირი ცოდვად და სირცხვილად ითვლებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ძირითადად გამმაფრებული ნდობის ფაქტორით იყო

გამოწვეული. ერთ-ერთმა ჰაირიელმა მეუღლე სინოპიდან მოიყვანა (წარმოშობით ქართველი) მიზეზი კი ის იყო, რომ მეზობლების ქალები მას დებად მიაჩნდა, „ენდობოდნენ“ და მათთვის სხვა თვალთ შებედევა სირცხვილი იქნებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად ქართველი ერის ცხოვრებაში, წარსულში მსგავსი მომენტები უცხო არ ყოფილა. ეს ძალიან კარგადაა გადმოცემული ხალხურ ლექსში, „მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურიაო“, ანუ მეზობლის ქალს, საკუთარ ოჯახის წევრად მიიჩნევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მეზობელთან არც სისხლის მიერი, არც „ქირვეს“, „აჰრეთის“, „სუთ კარდემის“ მსგავსი კავშირი არ აერთიანებდათ, ახლო მეზობლობა მაინც სულიერი ურთიერთობა იყო, რომლის დარღვევაც ინცესტს გამოიწვევდა. ამ ფაქტის ხელშემწყობ მიზეზს ის ფაქტიც წარმოადგენს, რომ სოფლის ეთნიკური ქართველებისთვის დამახასიათებელია ეგზოგამიურობა.

მეზობლობის მნიშვნელობა და აუცილებლობა კარგად ვლინდებოდა ურთიერთდახმარების საკითხებში. როდესაც ვინმე გარდაიცვლებოდა, ანდა ოჯახში ქალი ავად გახდებოდა, მეზობელი ქალები უვლიდნენ და პატრონობდნენ მის ოჯახს. ერთად იყვნენ „ტირილსა“ და სიხარულში. მეზობლები მატერიალურ დახმარებას უწევდნენ სოფელში მყოფ ღარიბ ოჯახებს. ეთნიკური ქართველები სწორედ ამ თვისებებით გამოარჩევენ საკუთარ თავს, სხვა ეთნიკური ერთეულებისაგან.

ამრიგად, ჰაირიეს ეთნიკურმა ქართველებმა გარკვეული დოზით შეინარჩუნეს წინაპართა ადათობრივი სივრცე, წეს-ჩვეულებები, აკრძალვები და საერთო ქართული ტრადიციები.

სტუმარ-მასპინძლობა

ოჯახის წევრთა ურთიერთობის წესები, ქცევის ნორმები, **სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები**, კავკასიის, შუა აზიისა თუ აღმოსავლეთის ხალხებისათვის შეიძლება მყარ ტრადიციებად ჩაითვალოს. ”მაშინ როცა დასავლეთ ევროპის ხალხებთან მსგავსს ზნეობრივ კომპონენტებს უკვე დიდი ხანია ძველებური ძალა აღარ აქვს” . (Бражников 1983, 180)

კავკასიაში და ზოგადად აღმოსავლეთში, სტუმარ-მასპინძლობა ადამიანთა ცხოვრებაში, შეიძლება ითქვას ქალიშვილობის (როგორც ღირსების) დაცვის ტოლფასი იყო და არის დღესაც. იგი ოჯახის ღირებულებათა სისტემასა და ღირსებას წარმოადგენდა. საქართველოსა და კავკასიაში სასიკვდილოდ გადამტერებული ადამიანები თუ ოჯახები, ვალდებულნი იყვნენ დაეცვათ სტუმარ-მასპინძლობის წესები. „დღეს სტუმარია ის ჩემი თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“. მასპინძელი ვალდებული იყო დღის ნებისმიერ დროს მიეღო სტუმარი. უარის თქმა სირცხვილად ითვლებოდა. ბუნებრივია, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სტუმარ-მასპინძლობის წესები განსხვავებული იყო, მაგრამ მათ საერთო ნიშან-თვისება ახასიათებდათ, კერძოდ ნდობა და პატივისცემა.

თედო სახოკიამ საკმაოდ საინტერესოდ აღწერა აჭარული ოჯახის სტუმარ-მასპინძლური ტრადიციები. “გამასპინძლება ყოველ მოლოდინს აღემატება. მეტისმეტი სიფრთხილე და ცდა მართებს უცხო კაცს, რომ აქაურ სუფრაზე ადგილობრივი ეტიკეტი პირნათლად აღასრულოს და თავისი ქცევა უზრდელობაში არ ჩამოერთვას. საჭმელთა სიმრავლეა, რომ კაცს ოფლს აწურინებს! ჭამის წინ მსახურს (რა თქმა უნდა მამათა სქესისას) შემოაქვს მეტად თავისებური ტახტი, რომელშიაც საწურსავით დაცხრილული სპილენძის ხუფი თავდაყირაა ჩამხობილი, რომ ტაშტში ჩასული წყლის წინწკლები ზევით არ ამოვიდეს და სტუმარს არ მოხვდეს. ამ ტახტს მსახური დაჩოქილად გაწვდით და ისე გააბანინებს ხელს. მეორე მსახურს ხელსახოცი უჭირავს. ყველას რომ ჩამოივლიან, მერე ასუაში დგამენ მრგვალ ხის სუფრას, მრგვალფეხიანს, სწორედ რომ საეკლესიო ფეშხუმის მსგავსს. საყურადღებო ის არის, რომ სახელადაც ამ სუფრას აქ ფეშხუმს ემახიან. სტუმრები და მასპინძლები ამ ფეშხუმს გარშემო უსხდებიან. ზედა დგამენ რიგ-რიგად თითო საკმაოდ დიდ სინს სპილენძისას, რომელიც ყველასათვის საერთოა და შეიცავს ერთ ხელ საჭმელს. დანარჩენი ხელი საჭმელები ამნაირივე სინებში მოქცეულები, აქვე მახლობლად ტახტზე აწყვია, თავდახურული, გაუცივებლობისათვის. ამ სინის გვერდით აწყვია სქელი მჭადის ნაჭრები, ცხელ-ცხელი ყველანი.....აი, თვით მენიუ სადილისა: 1) შორვა (ჩიხირთმის მსგავსი) , 2) სუთლი (რძეში მოხარშული ბრინჯი), 3) ფლავი, 4) ქათმის ტაბაკა, 5) ყველი და კვერცხი ერთმანეთში არეული და

ერბოთი მოხრაკული, 6) ბორანი (ერბოკვერცხი), 7) ცხვრის ხორცი მოხარშული, 8) ბურღული (დადერღილი ხორბალი ერბოში მოხარშული) 9) ხინკალი ყველისა და ბოლოს ყავა! სასმელად აქაურ ბროლივით ანკარა და ყინვასავით ცივ წყალს ხმარობენ. ყოველი ხელი საჭმელი ჭარბად მოაქვთ და ადგილობრივი პოლიტესი მოითხოვს სტუმარმა ყველას გემო მაინც ნახოს, თუ გულმოდგინედ ვერა სჭამს, ანუ როგორც აქ ამბობენ, ვერ შეურიგდება“ .(სახოკია 1985, 266-267)

სტუმარ-მასპინძლობამ შეიძლება გარკვეული ზემოქმედება განიცადოს, როდესაც ერთი კონკრეტული ეთნოსის წარმომადგენელი სხვა ეთნიკური ერთეულის ტერიტორიაზე სახლდება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიული მდებარეობა, განსხვავებულ ზეგავლენას ახდენს მათ ტრადიციებზე. აღმოსავლეთში უფრო მძაფრად აღიქმება, შეიმეცნება და პრაქტიკულად ხორციელდება სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები. აქედან გამომდინარე თუ ტრადიციული ქართველი აღმოსავლეთში დასახლდებოდა, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები აღმოსავლურ ტრადიციებს უფრო შეესისხლხორცებოდა. აღნიშნული ტრადიცია უპირველეს ყოვლისა ნდობის ფაქტორზე იყო დაფუძნებული და მისი შელახვა ღვთის რისხვად და სირცხვილად ითვლებოდა. სტუმრის ოჯახში შეშვება და მიღება, მისდამი ნდობით იყო განპირობებული. ეს იყო სტუმრისა და მასპინძლის ურთიერთობის უმაღლესი ფორმა და ერთმანეთისადმი ნდობის გამოხატულება.

სტუმარ-მასპინძლობა ჰაირიეს ქართველთა ცხოვრებაში საკმაოდ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. უპირველეს ყოვლისა იგი პატივისცემასა და ნდობასთან ასოცირდება. ძველად სტუმრის მიღება თითოეული მაცხოვრებლისათვის ღვთის წყალობად ითვლებოდა. ყველა სახლს ცალკე გამოყოფილი ჰქონდა “მუსაფირის ოდა” (ოთახი სტუმრისათვის) და მას ოჯახში არსებულ საუკეთესო ადგილზე ათავსებდნენ. ყველა პირობას უქმნიდნენ იმისათვის, რომ თავი კომფორტულად ეგრძნო. ოჯახის დიასახლისი და ქალები, სტუმარს ქართული კერძებით უმასპინძლდებოდნენ. სთავაზობდნენ -ფხალ ლობიას, ბოშორვას, მჭადს და სხვ.

ჰაირიეს მოსახლეობა, სოფელს ყველაზე „გუვენ“ ანუ სანდო ადგილად მიიჩნევს. სტუმარი, რომელიც სოფლის ზღურბლს გადააბიჯებს, თავს დაცულად გრძნობს. თუ სტუმარი მანდილოსანია, მას განსაკუთრებული პატივით იღებენ „დად უყურებენ“, „გონჯად“ არ შეხედავენ. როგორც ადგილობრივი იგონებს, მათ სკოლაში ქალაქიდან მასწავლებლად გამოგზავნილ მანდილოსანს, მთელი სოფელი ხელის გულზე ატარებდა. მოსახლეობის პატივისცემა ურთიერთნდობის ფაქტორზე იყო დამყარებული. „სახლის კარებს ღიად ვტოვებდით, ისე ვენდობოდით“. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ქართული სოფლის მოსახლეობა ჰაირიეს, როგორც ყველაზე არასტუმართმოყვარე სოფლად მიიჩნევს. მიზეზებად ასახელებენ იმას, რომ რაც მოსახლეობამ გერმანიაში მიმოსვლა დაიწყო, სოფელი ქართული ადათებისაგან „გადაირეცხა.“ ბევრი სოფლის არასტუმართმოყვარეობაზე, ისტორიებსაც კი ჰყვება, რომ თითქოს სხვა სოფლიდან სტუმრად ამოსული, ღამე გარეთ დატოვეს და ჩაიც კი არ შესთავაზეს „ჰაირიე არ მუშაობს კიდო ჩვენი მილეითა და გადარეცხილია. მე იქ მიველი, იქ რომ მიველით და დავჯექი ყავეში, თამაშობენ, ერთ არავინ თავი არ აწია ეს ვინ მოვიდა რა არის ვინ ხარ რა ხარ. მუსაფირს არ უყურებენ, დუნიას არ უყურებენ. ეველი დავჯექი თამამ ნე ჩაი ვარ ნე ჰომ გელდინ ვარ, ბიჰო ავდექი დავუზახე ოჯახჩის წვეთი ჩაი მომიტანე მეთქი, მოიდა შენა ჩვენებური ხარო? ჩვენებური ვარ მეთქი, რა ამბავაია მოველი ერთი ჩაი არაფერი არ არის მეთქი. ემენო ახლა მოგიტანო ჩაი და სვიო, სიდეური ხარო შენაო მე კიდე ქასაბიდან ვარ მეთქი, სვი ჩაი თამამ წამოვედი, იმის მერე აღარ ეველი. ჰო ჩვენი გურჯი მილეითი, ახლა წაი ბათუმში, იმფრად არის სულ რომ არ გქონდეს ბუირუნ ემიაო, ჰომ გელდინ გეტყვი“. ჰაირიეს შესახებ ასეთ ფაქტსაც ჰყვებიან: ერთხელ სოფელში საქართველოდან სტუმარი ჩამოსულა. მას ყოველ დღე დილიდან საღამომდე ჩაის სთავაზობდნენ, შეწუხებულ სტუმარს უკმაყოფილება გამოუხატავს „დილით ჩაი, საღამოს ჩაი“, გაბრაზებულ მასპინძელს კი ასეთი პასუხი გაუცია „თუ არ გინდა წადი სახლში“. ²² მაგრამ როგორც თავად ჰაირიელები აღნიშნავენ, ამ ისტორიებს ის ადამიანები ჰყვებიან, ვისაც „სოფლის მატერიალური წარმატების შურს“.

²² აქვე უნდა დავამატოთ, რომ თურქეთში ჩაი კულტურულ დატვირთვას ატარებს. იგი, როგორც ღვინო

ჰაირიესა და ზოგადად ინეგოლის ქართული სოფლის მოსახლეობა სტუმრის მიმართ პატივისცემას გამოიჩენს, მიიღებს, გაუმასპინძლდება, თავშესაფარს მისცემს, რადგანაც თავს ვალდებულად სთვლის, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, შეიძლება ითქვას სულიერი მომენტი, რომელიც სტუმარ-მასპინძლობას აკეთილშობილებს. ეს სულიერი კავშირი, ნდობის განსაკუთრებულობაა, რაც ყველა სტუმრის მიმართ ვერ იქნება გამოხატული. არსებობს წესები, რომელიც სტუმრის მიერ უნდა იქნას დაცული. ეს კი დიდ გულისხმიერებად და მასპინძლისადმი პატივისცემად მიიჩნევა. სტუმარს ევალება პატივი სცეს ოჯახის ტრადიციებს და ოჯახში არსებული წესების შესაბამისად მოიქცეს. მასპინძლის ეს „მოთხვნები“ დაუწერელი კანონია. მათი დარღვევის შემთხვევაში, მასპინძელი თავის უკმაყოფილებას სტუმარს არ აგრძნობინებს, მაგრამ მისდამი ნდობა, პატივისცემა აღარ იარსებებს. სტუმარი, რომელიც ამათუიმ ოჯახშია გაჩერებული, ღამის სხვაგან გათენების შემთხვევაში, მასპინძლისაგან უნდა იღებდეს ნებართვას. დაგვიანების შემთხვევაში კი ოჯახს უნდა შეატყობინოს. თუ სტუმარი მანდილოსანია, მართებს ეტიკეტის განსაკუთრებული დაცვა. ოჯახისათვის შეურაცმყოფელია, როდესაც ქალი უცხო ოჯახში სტუმრობისას, ნებართვის ანდა მასპინძელთან შეთანხმების გარეშე, ღამე სხვაგან დადის ანდა ოჯახისათვის უცხო მამაკაც სტუმრებს, თავზე აყენებს. ამან შესაძლოა მეზობლებში მითქმა-მოთქმა გამოიწვიოს და სახელი გაუტეხოს ოჯახს. ამით, ბუნებრივია იზღალემა მასპინძელი დიასახლისისა და ოჯახის უფროსის ღირსება. ნებართვის აღება ანდა დაგვიანების შემთხვევაში ოჯახის გაფხილება, მასპინძლისადმი პატივისცემას გამოხატავს, რაც საოჯახო განწყობას ქმნის, რადგანაც ოჯახის ნებისმიერი წევრი, დაგვიანებისას ხშირშემთხვევაში აფრთხილებს დანარჩენ წევრებს. ასეთი დამოკიდებულება სტუმარსა და მასპინძელს შორის სულიერ კავშირს წარმოშობს. სტუმრის მხრიდან ოჯახის ადათობრივ-რელიგიური ტრადიციების დაცვა, მასპინძლისადმი პატივისცემას უსვამს

საქართველოში, მხოლოდ სმაა არაა, ეს პირველრიგში ურთიერთობაა ადამიანებს შორის. ინეგოლის ქართულ სოფლებში ჩაის ანუ როგორც მას ჰაირიეში უწოდებენ “შავ წყალს”, ყველა სტუმარს სთავაზობენ. იმ შემთხვევაში, თუ მას დამატება აღარს სურს, დალევს შემდეგ, ჭიქა უნდა ამოაბრუნოს ანდა ზემოდან კოვზი დაადოს, რათა მასპინძელმა მეტი აღარ დაუსხას.

ხაზს, რის შედეგადაც, მასპინძელი სტუმრისადმი ნდობით იმსჯვალება და მას საკუთარი ოჯახის წევრად აღიქვამს.

ამრიგად, ნდობა, პატივისცემა, ოჯახური სივრცის განუყოფელი ნაწილია, ხოლო ამ სივრცეში სტუმრის შემოშვება, მისი მხრიდან ქცევის ნორმების განსაკუთრებულ დაცვასა და ამ სივრცის პატივისცემას მოითხოვს. აღნიშნული წესების შეუზღალობა კი სტუმარ-მასპინძელს შორის სულიერი კავშირის დამყარებას უწყობს ხელს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჰაირიელები და ინეგოლის სხვა ქართული სოფლის მოსახლეობა, ქართველი სტუმრის მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. როგორც იქაურები აღნიშნავენ „გონჯი, რომ იყოს, მაინც დავეხმარებით“. ქართველობა და საქართველოდან სტუმრობა, სტუმრის საუკეთესოდ მიღების საფუძველს წარმოადგენს.

ჯემალეთინ ოზდემირი (ინეგოლის ჩინილი მეჩეთის იმამი) – *“ვინცხა გურჯი დვინახოთ გიგვიხარდება, ჩვენებურია მოთავდება საქმე ჩვენია ჩვენებურია”.*

საქართველოდან ჩასულს „ხისიმად“²³ ან „ჩვენებურად“ მოიხსენიებენ. ქართველის სტუმრად მიღება მათთვის დიდი პატივია. ქართველი მათი „ხისიმია“ ანუ ნათესავია, ერთი „სისხლის“ მატარებელია. ამიტომაც, არჩევენ „სხვა“ და „გურჯ“ სტუმარს ერთმანეთისაგან. ისინი „გურჯისტანიდან“ ჩამოსულის მიმართ განსაკუთრებულ ემოციებს გამოხატავენ. (იხ. სურათი 117-118)

ქერემიჩ ჩოშკუნი - *„გურჯისტანიდან გელენ ჩვენებურას ვეტყვით. ეხლა ხისიმ ტირილვა მემინდა, ეიდა ხისიმ ასე, რაფერ ის ქენი, ახლა რაფერ იმას შვრება იცი ახლა? შენ რომ დევინახე იქეთაი მუსაფირო რო მოსულიყო იმდონი არ გემიხარდებოდა, შენ ჩვენი სისხლიდან იტყვიან ია! ევეთ ევეთ, ჩვენ სისხლიდან იტყვიან.“*

²³ hisım- ნიშნავს ახლო სისლით ნათესავს, რომელსაც პაპა და ბებია საერთო ჰყავს. იხ. განმარტებით ლექსიკონი-Türkçe sözlük, Türk dil kurumu, I cilt, Ankara-1998, s.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებიდან თურქეთში ქართველი ქალის სახელი შეიბღალა, რასაც ეთნიკური ქართველები საკმაოდ მტკივნეულად განიცდიდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც საქართველოდან ჩასულთან საუბარში წარმოშობით ქართველი, მალავდა თავის ეთნიკურ წარმომავლობას, სცხვენოდა რომ „გურჯი“ იყო. თუმცა, ამ არასახარბიელო სიტუაციის მიუხედავად, სტუმრად ჩასულ ქართველს, მაინც განსაკუთრებული პატივით ხვდებიან. მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმთავრეს ფაქტორს ნდობა და მასპინძლის ოჯახის ტრადიციებისადმი პატივისცემა წარმოადგენს.

ინეგოლის ეთნიკურ ქართველებს მიაჩნიათ, რომ საქართველოსთან შედარებით, მათში უფროა ხელშეუხებლად შენარჩუნებული სტუმარ-მასპინძლობა. ყველაფერი საუკეთესო სტუმრისთვის ემეტებოდათ და დღესდღეობითაც ეს წესად აქვთ ქცეული. მიიჩნევენ, რომ სტუმარ-მასპინძლობა მათი წინაპრების მიერ დადგენილი ადათია, „გურჯისტანიდან გადმოტანილი“. საუკუნეთა განმავლობაში ადათი მათი ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელ ნაწილად იქცა და მას როგორც გენში გამჭდარ წესს, ურყევად გადასცემენ შთამომავლობას.

ოჯახებში წარსულში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენები (შელოცვები)

რწმენა-წარმოდგენები ანუ შელოცვები თანამედროვე ჰაირიეში თითქმის აღარავინ იცის. წარსულთან შედარებით, ავადმოყოფობის დროს ექიმთან მისვლას ამჯობინებენ. აიშე ხინკილამის გადმოცემით, *“ბერებმა იცოდნენ, ახალბემა აღარ იციან. რაცხა დააყრიდა ახლა ჰემენ დოხტორი. მუცელი ატკივდებოდა დავაკოჩიებდით, ბამბის ძაფით დაკოჭავდენ, მუცელზე მოვარტყმდით. საქონელი ამოვიდოდა ტყიდან ღორებმა არ შეჭამონო დავაკოჭიებდით, ღორებს დავაკოჭიებდით”*.

წარსულში სოფელში არსებული შელოცვები, თითქმის ყველამ კარგად იცოდა. თუმცა, ამ რიტუალს გამოცდილი პირები ასრულებდნენ. სოფლის მოსახლეობას სწამდა “nazar” – ბოროტი თვალის, “büyü”- ჯადოქრობის, “cin şerri” -ბოროტი სულების ანუ დემონების და ამავედროულად სჯეროდათ იმ ადამიანებისაც, ვისაც შელოცვის

რიტუალის ჩატარებით, ადამიანის განკურნება შეეძლოთ. ბუნებრივია, წარსულში ექიმის ინსტიტუტი არ არსებობდა, ამიტომ შელოცვების მცოდნე პიროვნებები განკურნების რიტუალს ასრულებდნენ.

ძველად ჰაირიელებში გავრცელებული ყოფილა **"ateş söndürmek"**, (მას მაღალი სიცხის დაგდების დროს მიმართავდნენ) როდესაც პიროვნებას მაღალი სიცხე ჰქონდა, მიიჩნევდნენ, რომ მას ბოროტი თვალი ეცა, გაითვალა. ოჯახის უფროსი ქალი სიცხის დაგდების რიტუალს თავადვე ატარებდა. თოქმაჩიდან აიღებდა სამ ცალ ცხელ ნახშირს და თასში ჩააგდებდა. იგი ჯერ ავადმყოფი ადამიანის თავზე ეჭირა, შემდეგ ფეხებამდე ჩამოატარებდა. მ. არიფს მოგზაურობის შედეგად, სამსუნის ქართულ სოფლებში დაუფიქსირებია სიცხის დაწვევის მეტად საინტერესო ტრადიცია-**"სამშობლოს მიერ ნაბოძებ ჯანმრთელობას, აქაური ატმოსფერული წნევა ვერაფერს ვნებს. როცა ავად ხდებიან ასე მკურნალობენ-ავადმყოფს ოფლის მოდენის მიზნით, სამლოცველო ხალიჩას, საბანს გადააფარებენ"**. (Arif 2002, 44)

საინტერესო შელოცვაა **"Kurşun dökmek"** (**"გამდნარი ტყვიის დასხმა"**). ეს შელოცვა თურქეთში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა) თუ ბავშვი თავის დროზე ფეხს ვერ აიდგამდა, ხალხს მიაჩნდა, რომ დედამისი ახლად ნამშობიარებ ცხოველს პირისპირ შეხვდა. სოფლის მკურნალი შემდეგი სახის რიტუალს ატარებდა. ტყვიას ჩამჩაზე ათავსებდა და მას ცეცხლზე ადნობდა. შემდეგ ბავშვის თავზე წყლით სავსე თასს იჭერდა და დამდნარ ტყვიას მასში ასხამდა. როდესაც დამდნარი ტყვია გაცივდებოდა, იგი იმ ცხოველის ფორმას იღებდა, რომელიც ბავშვის მშობელს პირისპირ შეხვდა. შემდეგ მკურნალი ბავშვს იმ წყლით ბანდა, რომელმაც დამდნარი ტყვია გააცია. ფერფლს, რომლითაც ტყვია დაადნო, ნაჭერში ახვევდა და ბავშვის ლეიბის ანდა ბალიშის ქვეშ ამოდებდა. ყოველ კვირას, ფერფლით სავსე ნაჭერს ხსნიდა და მასში ცხოველის ბეწვს პოულობდა.

"şerbet dökmek" (ხილის წვენის დასხმა) იმ შემთხვევაში თუ პიროვნებას სულიერი და მენტალური პრობლემები აწუხებდა, ხალხს სწამდა, რომ მას ბოროტი თვალი ეცა. ავადმყოფი ან მისი ოჯახის წევრი ხილის ტკბილ სასმელს-შერბეთს ამზადებდა. ოჯახში

მოდით პიროვნება, რომელიც კითხულობდა ყურანს, სამჯერ ამბობდა "Sure-i ihlas"- (112-ე სურას ყურანიდან) და ერთხელ "ფათიჰას". ავადმყოფს ღამე ჩუმად მიჰქონდა სასმელი იმ ადგილზე სადაც ავ სულელებს შეხვდა და მას მიწაზე ასხამდა, თან ამბობდა "წაილე ჩემი პრობლემები და მომეცი ჯანმრთელობა. ჩვენ კარგ არომატს გაძლევთ და იგივე ჩვენც მოგვეცი". ამის შემდეგ სახლში უკან მოუხედავად ბრუნდებოდა. მსგავსი ტრადიცია ახალ სახლში გადასვლის დროსაც ჰქონდათ. ისინი შერბეთს კიბეების ქვეშ ანდა პადვლის კუთხეში ასხამდნენ. მათ სჯეროდათ, რომ დემონები, რომლებიც სიბნელეში ცხოვრობდნენ, კმაყოფილები დარჩებოდნენ და პრობლემებს აღარ შეუქმნიდნენ.

შელოცვები ზოგჯერ რელიგიაზე ანდა ტრადიციებზეა გადაჯაჭვული. როგორც ბრონისლავ მალინოვსკი აღნიშნავდა -ადამიანს სჭირდება სასწაული არა იმიტომ, რომ იგი დაბრმავებულია პრიმიტივიზმით, არამედ იმიტომ, რომ თავისი განვითარების ყოველ ეტაპზე, ანალიზებს, რომ მისი სხეულისა და გონების შესაძლებლობები ლიმიტირებულია.

სოფლის მოსახელობას შელოცვების სჯეროდა და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც აქტიურად იყენებდა. მაგრამ ქალაქური ცხოვრების შემოჭრამ, თანამედროვე ყოფამ, საზოგადოების ემანსიპაციამ ნელ-ნელა გაანელა შელოცვებისადმი რწმენა. თუმცა, გულის სიღრმეში სოფლის საზოგადოებას მაინც ეშინია "ავი თვალის" და ბავშვის ჭირვეულობის დროს მაინც მიმართავს შელოცვებს. *(იხ. სურათი 121-122)*

თავი 3. „დასახლება“ - ოჯახის შექმნა და მისთვის მზადების ეტაპები

3.1. სარძლოსა და სასიძოს ძიება

მშობლებს გოგოები იქამდე უნდა გაეთხოვებინათ, სანამ სექსუალური პრობლემები დაეწყებოდათ. დაოჯახების ასაკი მერყეობდა 15-19 წლებს შორის. მშობლები თავიდანვე ცდილობდნენ შვილების ბედი თავადვე განესაზღვრათ, რადგანაც გოგოს, როგორც კი 18

წელი შეუსრულდებოდა, მშობლების ჩარევისა და ნებართვის გარეშეც შეეძლო გათხოვება. ძველად საქართველოში, საქორწინო ასაკი გოგოებისთვის 12-14, ვაჟებისთვის კი 15 -16 წლებს შორის მერყეობდა. თუმცა, სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული იყო. მაგალითად აჭარაში “დასახლებისათვის” ხელსაყრელ ასაკად 17-20 წელი ითვლებოდა. თურქეთში რეგიონებისდა მიხედვით, ტრადიციების მიმდევარ ოჯახებში ქორწინების ასაკი, კაცებისათვის მიჩნეულია 17-22 წელი. ზოგიერთს მიაჩნია, რომ კაცმა ჯარში წასვლამდე უნდა შექმნას ოჯახი, ზოგიერთი კი პირიქით ფიქრობს. გოგოებისათვის კი მიჩნეულია 17-20 წელი. მათ შორის ასაკობრივი სხვაობა კი 4 დან-5 წლამდე მერყეობს.

დაოჯახება ანუ „დასახლება“, უფროსობის პრინციპით ხდებოდა და რამოდენიმე საფეხურს მოიცავდა. 1. ოჯახის მიერ გოგოს (პრატის, ციცას) ძიება, შერჩევა. 2. ქალის ოჯახთან შეთანხმება, გოგოს მშობლების თანხმობა-„სიტყვის მიცემა-შეპირება“. 3. „ბეჭდის წამოცემა“ ანუ ნიშნობა. 4. „ინის დადება“-„kına gecesi“. 5. ქორწილი. საქართველოში დაოჯახება კი 3 საფეხურს მოიცავდა-სარძლოს შერჩევა, დანიშვნა, დასამოყვრებელ ოჯახების ურთიერთობა ნიშნობიდან ქორწილამდე და ბოლოს ქორწილი.

ჰაირიეში დედამთილი არჩევდა სავარაუდო სარძლოს ისე, რომ ამ უკანასკნელს აზრს არც კი ეკითხებოდნენ.

სებაჰათ ათაბაი-“უწინ ესე იყო დედამთილი მული დეინახევდა თუ მოწონდა ის მოვიდა..უწინ ესე იყო ”.

აიშე ხინკილაძე-“ჩვენ არ გვკითხავდნენ ვინცხა მიგვცემდნენ იმას.”

ნინო ოქროსცვარიძე-“მოგწონდათ ეს წესი?”

აიშე ხინკილაძე-“არვიცი, ჩვენთვის კაი ვარ.”

ხშირად ახალგაზრდებს ისე აქორწინებდნენ, რომ ერთმანეთი არც კი ჰყავდათ ნანახი. ასაკოვნები ძველი წესებისადმი კმაყოფილებას გამოხატავენ, მაშინ როცა ახალი

თაობა, ამ ტრადიციას, საკმაოდ კრიტიკულად განიხილავს. შეიძლება ითქვას, რომ ძველად ახალგაზრდები შეზღუდულები იყვნენ და თავისუფალი არჩევანი არ ჰქონდათ, რადგანაც ეს უკანასკნელი მათ ნაცვლად განისაზღვრებოდა.

ჰაირიეში ყველა ოჯახს სურდა თავისი შვილისათვის საუკეთესო კანდიდატურა შეერჩია, ანუ “წესიერი ოჯახიდან” ყოფილიყო. ეს მოვლენა უცხო არ იყო ქართველთათვისაც. ოჯახი ითვალისწინებდა პატიოსნებას, შრომისმოყვარეობას, უფროსებისადმი პატივისცემას, სტუმართმოყვარეობას, გარეგნობას, ოჯახის ავ-კარგიანობასა და გენეტიკურ მხარეს-ჰქონდა თუ არა ოჯახს რაიმე გენეტიკური დარღვევა. ორივე მხარისათვის ეს ზოგად მოთხოვნას წარმოადგენდა.

ჰაირიეს ქართველთათვის განსხვავებული იყო ქალ-ვაჟის მშობელთა “მოთხოვნები”. ბიჭის მხარეს სურდა მომავალი რძალი ყოფილიყო პატიოსანი, მორჩილი, გარეგნულად მომხიბვლელი. ყურადღება ექცეოდა გოგოს დედას, როგორც შვილის აღმზრდელს. ანალოგიური მოვლენა შეინიშნებოდა აჭარასა და შავშეთშიც, “როგორი დედაცაა, გოგოც იმფერი იქნება”. (ბექაია 1974, 30) შავშეთის ავტოქტონურ ქართველ მოსახლეობაში “გამორჩევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქალის მიხვედრილობას, სისუფთავეს, წარმომავლობას და ა.შ. ბორჩხელი ქართველები “ბახალას” მიხვედრილობის შესამოწმებლად კართან დააგდებენ ცოცხს. ქალი თუ ცოცხს აიღებს, “გამოდგება”, თუ არა და დაიწუნებენ. შესაძლოა ქალი დაიწუნონ იმ შემთხვევაშიც, თუ მისი მშობლების ხელებზე შენიშნავენ მოუწესრიგებელ ფრჩხილებს, ოჯახში უსუფთაობას და ა.შ.”. (შავშეთი 2011, 122)

საინტერესოა, რომ ჰაირიელთა ოჯახებისათვის (ვისაც გოგო ჰყავდა) დამახასიათებელი იყო ჰიპერგამია ანუ ბიჭი სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით, მასზე ძლიერი უნდა ყოფილიყო. ბუნებრივია, გოგოს მხარე დაინტერესებული იყო მომავალი სასიძოს ფინანსური მდგომარეობით. აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც ჰაირიეს მამაკაცების გერმანიაში გადინება დაიწყო, მიმზიდველად ჩაითვალა ევროპაში მომუშავე სასიძო, რადგანაც ეს უკანასკნელი მატერიალურ უზრუნველყოფასა და ფინანსურ სტაბილურობასთან ასოცირდება. ამ განსხვავებული

“მოთხოვნების” გარდა, ქალისა და ვაჟის ოჯახს საერთო სურვილი, შეიძლება ითქვას, საერთო მოთხოვნა ჰქონდა, კერძოდ, სიძეც და რძალიც ქართველი უნდა ყოფილიყო. ისინი ქართველ სიძეს ან რძალს მეზობელი ქართული სოფლებიდან ირჩევდნენ. ამით შიდა ქართულ სივრცეს იცავდნენ. *“დაქორწინებიხან გურჯი’ნა ითხოო და ლაპარაკი არ გედეერევა, ოჯალი გურჯი დარჩება. დედაც გურჯი მყავან და მამაც, იმითვინ ვიცი გურჯიჯე”*. (ფუტკარამე 1993, 178) შეურეველი ქორწინება ქართველობის, როგორც ეთნიკური თვითობის შენარჩუნების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იქცა.

შეიძლება ითქვას, რომ ჰაირიეს ქართველები, ეთნიკურ-ტომობრივი თვალსაზრისით ენდოგამები იყვნენ ანუ უპირატესობას ანიჭებდნენ ეთნოსის შიდა სივრცეში დაოჯახებას. ეს მოვლენა არც ქართველებისათვის იყო უცხო. ენდოგამია “ეთნოსის ერთგვარ სტაბილიზატორად” მიიჩნევა, რომელიც ამათუ იმ ერს უნარჩუნებს ეთნიკურ-გენეტიკურ კუთვნილებას. როგორც ბრომლეი მიიჩნევს, ქორწინება, არა მხოლოდ სოციალური, არამედ ბიოლოგიური მოვლენაც არის. ჰაირიესა და ინეგოლის ქართულ სოფლებში ქართველობის შენარჩუნების სამი მიზეზი დავაფიქსირეთ, რამაც წლების განმავლობაში განაპირობა მათი საოჯახო, ქართული სივრცის დაურღვევლობა. ერთ-ერთი სწორედ შეურეველი ქორწინებაა. ჰაირიეს ქართველობამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ბიეთნიკური ქორწინების შემთხვევაში, დაირღვეოდა შიდა ქართული სივრცე და მოხდებოდა მათი ასიმილაცია, რასაც ისედაც ხელს უწყობდა უცხო მიწაზე დასახლება.

როგორც ცნობილია, ოჯახის სიმტკიცისათვის აუცილებელი ფაქტორია “შეთანაწყობის ხარისხი”. ეს უკანასკნელი 3 სახისაა. მაქსიმალური, საშუალო და დაბალი. მაქსიმალური გულისხმობს სექსუალურ და ფსიქიკურს, რაც იდეალურია, თუმცა იშვიათი. მაგრამ ყველაზე გავრცელებული ფორმაა ფსიქიკური. ეს უკანასკნელი ოჯახის სიმტკიცისათვის, შეთანხმებული ურთიერთობისათვის მეტად მნიშვნელოვანია. ერთნაირი ფსიქიკური განწყობის ადამიანები კი მეტწილად ეთნოფორებში არსებობენ. სწორედ შეურეველი ქორწინება ქმნის წყვილის ეთნიკურ-გენეტიკურ-ფსიქიკურ კოჰეზიას.

აღსანიშნავია, რომ არა მარტო ჰაირიესა და ინეგოლის სხვა ქართული სოფლის მოსახლეობისათვის, არამედ ქართველთათვისაც წესად იყო შეურეველი ოჯახები, რამაც ქართველები, როგორც არქოგენეტიკური ეთნოსი გადაარჩინა. საინტერესოა, რომ აჭარის მუსულმანი მოსახლეობა მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური და ტერიტორიული თვალსაზრისით, ახლოს იყო თურქებთან, ერიდებოდა მათთან ქორწინებას და თავისივე შიდა სივრცეში ამჯობინებდა მოყვრების ძიებას. სწორედ ამან გადაარჩინა ისინი სრულ ასიმილაციას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარსულში და დღესაც ქართველებში შეიმჩნევა შიდა კუთხური ნიშნით ქორწინებები, მაგალითად, სვანი ამჯობინებს სვანზე დაქორწინებას. ეს არ უნდა გავიგოთ, თითქოს ამით სხვა ქართველებისგან განარჩევენ თავს, არამედ ამ შემთხვევაში, სვანურ სივრცეში შეურეველი ოჯახი უკედ შემოინახავს მათ საოჯახო ტრადიციებს, რაც საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის განსხვავებული სახისაა.

ამრიგად, შეურეველი ოჯახის შექმნის ტრადიცია ჰაირიელმა ქართველებმა თან წაიღეს თურქეთშიც და წლების განმავლობაში მტკიცედ იცავდნენ. თუმცა, აქვე უნდა დავამატოთ, რომ მამაკაცებს იშვიათად მაგრამ, მაინც შეეძლოთ მოეყვანათ სხვა “მილეტის” ქალი.

იავუზ ეთინი-“ქალი ჰაც უნდა იმქედან იყოს, შენ რაცხას დათესავ ის ამოვა”.

ნინო ოქროსცვარიძე-“ე. ი. მთავარია კაცი?”

იავუზ ეთინი-“კაცი, კაცი თავარია. კაცია, კაცი იკითხვის ზაათენ. ქალი ხომ არ იკითხვის?”

თუმცა ამ შემთხვევაში მაინც დაცული იყო ქართული საოჯახო სივრცე, გვარი გრძლდებოდა და ქართველი მამაკაცი იყო დომინანტი ოჯახში. მაგრამ გოგოს სხვა ეროვნების წარმომადგენელს არ აძლევდნენ. “წინ-წინ გოგოების მიცემა კარში არ იყო”. მსგავსი მოვლენა ფიქსირდებოდა აჭარაშიც “საერთოდ შეიმჩნევა, რომ სხვა სარწმუნოების თუ ეროვნების პირთან ქორწინების შემთხვევების უმეტესობა გულისხმობდა სწორედ ქალის მოყვანას აჭარაში და არა აჭარელი ქალის სხვაგან

გათხოვებას”. (ბექაია 1974, 85) მათ იცოდნენ, რომ ქალის უცხოზე გათხოვების შემთხვევაში ანუ ბიეთნიკური ოჯახის პირობებში, ერთი ერთნოსი (ამ შემთხვევაში ქალის) კარგავდა მის მოდემას, სამაგიეროდ იძენდა უცხო ეროვნების სიძის ოჯახი. საინტერესოა, რომ ისლამი ქალის სხვა არამუსლიმ მამაკაცზე გათხოვებაზე, აწესებს აგამიას, “მუსლიმ მამაკაცს შეუძლიან იქორწინოს ქრისტიან ან იუდეველ ქალზე....მუსლიმი ქალი კი მხოლოდ ერთმორწმუნე მუსლიმზე შეიძლება გათხოვდეს”. (გელოვანი 2005, 162) შესაძლოა, ერთი შეხედვით ეს ფაქტი ქალის დისკრიმინაციად მოგვეჩვენოს, მაგრამ იგი სხვა თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ. იმის გამო, რომ აღმოსავლური სამყარო, ოჯახის თავად, ანუ დომინანტად მამაკაცს აღიარებს, ქალის სხვა ეროვნებისა თუ რელიგიის წარმომადგენელზე გათხოვება ქმრის ოჯახში მის რელიგიურ თუ ეთნიკურ ასიმილაციას გამოიწვევდა.

ისლამის მიხედვით მამაკაცს შეეძლო რამოდენიმე მეუღლე ჰყოლოდა, თუმცა ამ წესს არ ექვემდებარებოდნენ ჰაირიეს ქართველები. მათში გავრცელებული იყო მონოგამიურობა. აქვე დავამატებთ, რომ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში თურქეთმა მიიღო შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი, რომლის მიხედვითაც აიკრძალა პოლიგამიურობა. აღსანიშნავია, რომ ძველად აჭარის მაჰმადიან ქართველებში ფიქსირდებოდა პოლიგამიურობა, მაგრამ მას გარკვეული მიზეზები ჰქონდა, კერძოდ, თუ ქალი ვერ აკმაყოფილებდა მისდამი წაყენებულ მთავარ მოვალეობას-არ ჰყავდა შვილი, განსაკუთრებით კი ვაჟი. განქორწინებაც დაიშვებოდა იმ შემთხვევაში, თუ ქალი უშვილო იყო ანდა მამაკაცი იყო ცვედანი. განქორწინების შემთხვევაში ქალს ეკარგებოდა მეორედ გათხოვების შესაძლებლობა, ამ მიზეზის გამო, იგი იძულებული იყო მეუღლეს ცოლის მოყვანაზე დათანხმებოდა, რომელსაც “ამხანაგს” უწოდებდა. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეორე ცოლობას გარკვეული ნაკლის მქონე ქალები თანხმდებოდნენ. საყურადღებოა, რომ მეორე ცოლობას (დაქვრივების შემთხვევაშიც) ჰაირიეს ქართველებში, ბევრი ქალი დღესაც გაურბის. როგორც ჰაირიეს მკვიდრი აღნიშნავს, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მას “ქართველებიდან ქალი არ მისცეს”, ამიტომ იძულებული იყო თურქი მოეყვანა. მიზეზი არის ის, რომ მეორე ცოლობა ტრადიციული, პატიოსანი ქალის ოჯახისათვის, სირცხვილად ითვლება. ეს მოვლენა

არა მარტო ჰაირიეს ქართველებში, არამედ ზოგადად ქართული სინამდვილისთვისაც უცხო არ არის. რაც შეეხება დაქვრივებულ ქალს ჰაირიეში, მისი მეორედ გათხოვება თუ შვილები ჰყავდა, სირცხვილად ითვლებოდა. ეს მოვლენა ქართველებშიც შეინიშნებოდა, ვაჟა-ფშაველა ეთნოგრაფიულ ნარკვევში აღნიშნავდა, რომ ქვრივი ქალის გათხოვება საძრახისი იყო, თუ მას შვილები ჰყავდა, ხოლო თუ უშვილოდ დაქვრივდებოდა, მაშინ შეეძლო მეორედ შეექმნა ოჯახი. ქვრივი თუ არ გათხოვდებოდა სოფელში დიდი პატივით სარგებლობდა.

მეორე ცოლის მოყვანის შემთხვევაში, კაცისთვის ნიშნობისა თუ საქორწილო ხარჯებიც მინიმალური იყო და ქორწილიც ზედმეტი პომპეზურობის გარეშე ტარდებოდა. თუმცა, საყურადღებოა, რომ თუნდაც ამ მინიმალური ხარჯების გაღების შესაძლებლობა ყველას არ ჰქონდა. რადგანაც ორი ცოლის შენახვა გარკვეულ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ ამ “უპირატესობით” აჭარაში ბეგები სარგებლობდნენ. ეს მოვლენა “მოსახლეობაში მუდმივი ჩხუბის, უკმაყოფილების და აურზაურის სინონიმი იყო...ყველა მოგზაური და მკვლევარი, რომელიც ამ საკითხს შეხებია, აღნიშნავს, რომ მიუხედავად ყურანის ნებართვისა, მრავალცოლიანობა აჭარაში იშვიათი იყო და მხოლოდ საზოგადოების ზედა ფენაში გვხვდებოდა”. (ბექაია 1974, 93) ორცოლიანობა, მის არ ჰყოლის მიზეზით, შეიმჩნეოდა არა მხოლოდ ”აჭარაში, არამედ სვანეთში, ხევსურეთში, აფხაზეთში”. (ბექაია 1974, 93) შეიძლება ითქვას, რომ იგი ზოგადკავკასიურ მოვლენასაც წარმოადგენდა. რაც ერთის მხრივ შვილიანობის საკითხთან, ხოლო მეორეს მხრივ ისლამის გავლენასთანაც იყო დაკავშირებული.

ქორწინება ხშირშემთხვევაში ორი ოჯახის შეთანხმების საფუძველზე ხდებოდა. გოგოსა და ბიჭს შორის დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო საკმაოდ გაწონასწორებული და მორალურ ჩარჩოებში მოქცეული. იკრძალებოდა შეხვედრები, რასაც შეიძლებოდა წახალისებინა სექსუალური ურთიერთობა და ოჯახის ღირსების შელახვის მიზეზიც გამხდარიყო. თუმცა, ისეც ხდებოდა, რომ შეყვარებულები ჩუმად ხვდებოდნენ ერთმანეთს. შედარებით უფრო თამამ ახალგაზრდებს შეეძლოთ გაემხილათ მშობლებისათვის თავიანთი გრძნობები და ამათუ იმ ადამიანთან ერთად

ოჯახის შექმნის სურვილი. შესაძლოა, ისეც მომხდარიყო, რომ ოჯახი წინააღმდეგი წასულიყო, მაგრამ თუ პიროვნება ძლიერი ნებისყოფის იქნებოდა, შეეძლო მშობლების ნებას არ დამორჩილებოდა და თავის რჩეულთან ერთად გაპარულიყო. თუ ეს უკანასკნელი 18 წლის იყო, მაშინ მას ოფიციალურად ქორწინების ნებაც ეძლეოდა და ოჯახი იძულებული ხდებოდა შერიგებოდა მის არჩევანს. თუმცა, გაპარული გოგო სოფელში კარგი სახელით არ სარგებლობდა და ეს თამამი საქციელი მის ღირსებას ლახავდა.

დღესდღეობით ჰაირიეში ბევრი რამ შეიცვალა. ახალგაზრდები საკუთარი ნებით თხოვდებიან და ცოლად მოჰყავთ საკუთარი რჩეულები. ამას ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს ინტერნეტი, სოციალური ქსელები, სადაც შეუძლიათ თავად შეარჩიონ და გაიცნონ ერთმანეთი. დედამთილის მიერ ქალის შერჩევა ჰაირიესა და ინეგოლის სხვა ქართული სოფლების თანამედროვე ყოფაში თითქმის აღარ შეიმჩნევა. ახალგაზრდები უფრო თამამად იღებენ გადაწყვეტილებებს. ადრე თუ იშვიათობა იყო შეურეველი ოჯახები, დღეს უკვე ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს.

ნინო ოქროსცვარიძე–*“გელინო რომ მოგყავთ გურჯი უნდა იყოს?”*

ნებაათ თაიარი–*“არა, წინ-წინ იყო იმფრობა ახლა გურჯისტანი, თურქისტანი, სულ რაცხა შეერია, უფრო გურჯი დაჰა იი (უფრო კარგია) ვინცხას თუ რაცხა უნდა, გედევერიეთ, ემეს არ ვარჩევთ ახლა შენი ჩემი, გადარჩევა აღარ არის, სულ ერთი გავხდით”.*

მაგრამ უფროსი თაობის მოსახლეობა სწუხს, რომ გოგოები “გარეთ გადიან” და ბიჭებს უცხო “მილეთის” გოგოები მოჰყავთ–“ჩვენებური ჩვენებურზე აღარ ქორწინდება”–**იავუზ ეთთინი**–*ჩვენებურები რატომ არ სახლდებიან აქედან გურჯებში? იქაურობა აქაურობა არ უნდებიან, ჩვენებსაც იქაურობა არ უნდებიან. თამამ დეიკარგვის ჩვენებურობა. ჩვენებურები ჩვენებურებს არ მისდევს. ჩვენ სოფელში იუგოსლაველი გელინი გყავს, თურქი გელინი გყავს აბაზა გყავს, ჩერქეზი გყავს, კუდიანი გყავს, მააჯირი გყავს, ჩემითლი გარეული ვართ. ერთი ქართველიდან გყავს გელინი. ჩვენებური ჩვენებურს წაყვეს გურჯობა არ დეიკარგოს იუკსა დეიკარგება, ჩვენებური*

ჩვენებურ არ მისდევს, ახლა გამოვიდა ინტერნეტიო. ახლა ამის ოჯახის გოგო დენიზლის უნდა გეეთხოვოს, სოფელში იუზ ელიი თანე გენჯი იქ უნდა წაყვუს, ეს საქმე კაი არალი გერჩეთენ.”

ასიმილაციის ორი სახე არსებობს ”იძულებითი” და ”ბუნებრივი”. ”ბუნებრივია”, როდესაც ხდება მჭიდრო კონტაქტები, მათ შორის შერეული ქორწინებები. ჰაირიესა და ინეგოლის სხვა ქართულ სოფლებში, ენდოგამიას ნელ-ნელა ჩაენაცვლა ბიეთნიკური ქორწინებები, რაც გარკვეულ საფრთხეს უქმნის ქართულ სივრცეს და ამავდროულად აჩქარებს ასიმილაციის პროცესს, რასაც სხვა მიზეზებიც ემატება. თუ ენდოგამიის ხელშემწყობ ფაქტორებად მიიჩნევა სახელმწიფო პოლიტიკური საზღვრები, საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროები, კულტურისა და ყოფის ელემენტები, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, რაც გაზიარებასა და განხორციელებას ეთნოფორებში არსებულ ოჯახებში ჰპოვებს, შერეული ქორწინების პირობებში, ეს უკვე იშლება, რადგანაც მეორე ნახევარი, რომელიც სხვა ეთნოსის წარმომადგენელია ვერ გაიზიარებს მეორის ადათობრივ სივრცეს.

თანამედროვე ცხოვრების მიუხედავად, ინეგოლის ქართულ სოფლებში მოსახლებას ჯერ კიდევ სურს რძალი და სიძე ქართველი იყოს.

ჯემალეთთინ ოზდემირი (ინეგოლის ჩინილი მეჩეთის იმამი)-”*ხო გელინი ჩვენ ჩვენიანი გვინდა, კულიანებებიდან არ გვინდა. ჩვენი უნდა იყოს გურჯი უნდა იყოს*”.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინეგოლის ქართველებში, ბიეთნიკური კავშირების თვალსაზრისით, უფრო ხშირია ქართულ-აფხაზური ოჯახები. არ არსებობს ქართული ანდა აფხაზური ოჯახი, რომლის ახლო ნათესავი, არ იყოს ქართველი ანდა აფხაზი. ქართველებს უფრო ხშირად აფხაზი რძლები ჰყავთ, რომლებიც კარგად ფლობენ ქართულ ენას, ამზადებენ ქართულ კერძებს და ქართულ ოჯახებთან სრულად არიან ასიმილირებული. შერეული ქორწინების მიზეზად, ხშირ შემთხვევაში საერთო კავკასიური სივრცე, ტრადიციები და უფროსებისადმი პატივისცემა სახელდება. მიაჩნიათ, რომ საერთო ადათობრივი წეს-ჩვეულების გამო, აფხაზი ქალი ქართველ მამაკაცს უფრო კარგად გაუგებს.

ამრიგად, თუ წარსულში გოგოს ქართველის გარდა არავის მიათხოვებდნენ, დღეს შეიძლება ითქვას, რომ ქართველზე გათხოვება დოგმას აღარ წარმოადგენს. ახალგაზრდები თავად იღებენ გადაწყვეტილებებს, ერთმანეთს თავისუფლად ხვდებიან თუმცა, გარკვეულ დისტანციას მაინც ინარჩუნებენ, არ ხდება ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობა.

3.2. გოგოს ოჯახთან შეთანხმება და მისი მშობლების მხრიდან „სიტყვის მიცემა-შეპირება“

ტრადიციულად როცა ვაჟი 19 წელს მიაღწევდა, პირველ ეტაპზე მისი მშობლები როგორც წესი დედა, და ზოგჯერ რძალი და ახლო ნათესავები იწყებდნენ პატივსაცემი ქართული ოჯახის ძიებას. ინიციატივა ყოველთვის მათგან მოდიოდა. გოგოს ოჯახი ამ კონკრეტულ შემთხვევაში პასიურობდა. შესაძლოა ბიჭის ოჯახს წლების განმავლობაში “შეთვალთქონებული” ჰყოლოდა გოგო (პრატი, ციცა). ძველად აკვანში დანიშვნის, ანდა დაბადებამდე სიტყვიერი პირობის მიცემის ფაქტებიც ფიქსირდებოდა. ამ მოვლენას “beşik kertme-nişanlı” ანუ აკვანში დანიშნულს უწოდებდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ფაქტი ძველად აჭარაშიც და ზოგადად საქართველოს რიგ რეგიონებში შეიმჩნეოდა. სარძლოს მოწონებას “გამორჩევა”, “თვალის დაკავება” ეწოდებოდა. ეს მოვლენა ასევე უცხო არ იყო თავად თურქული სამყაროსთვისაც.

“პოვნის” შემდეგ როდესაც დარწმუნდებოდნენ, რომ ქალის ჯიში და ჯილაგი (“cins”) მათთვის მისაღებია, მეორე ეტაპზე ორივე ოჯახის ქალები მართავდნენ “მოლაპარაკებებს”. ბიჭის დედა და რამოდენიმე ნათესავი ქალი (ოჯახის ახლო მეგობრები) გოგოს ოჯახში მიდიოდა. ისინი საუბრობდნენ შესაძლო ქორწილზე და ამოწმებდნენ სავარაუდო სარძლოს. აღსანიშნავია, რომ საქართველოშიც ქალის შერჩევის პროცესში, ვაჟის ოჯახის ქალები აქტიურობდნენ.

გოგოს “შემოწმება” ხდებოდა ვიზუალურად და რამდენად იცოდა საოჯახო საქმიანობა: სტუმრის მიღება, დახვედრა, გამასპინძლება. “შემოწმებას” საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რადგანაც ქალი მათ ოჯახში შედიოდა და აქედან გამომდინარე, ამ სივრცის ნაწილი ხდებოდა. საქართველოში ამ პროცესს “გასინჯვას” უწოდებდნენ. როგორც უკვე შევნიშნეთ, ამ საქმიანობაში დომინირებდნენ ქალები. ისინი ”პირველად სამუშაოს” აწარმოებდნენ. ამ პირველად საქმიანობაში მამაკაცები არ იღებდნენ მონაწილეობას. ისინი განზე იდგნენ და ელოდებოდნენ ქალებისგან მიღებულ “ინფორმაციას”. მსგავსი მოვლენა შეიმჩნეოდა თურქულ სამყაროშიც. აქაც ქორწილის წინა ეტაპი იყო ქალის ძებნა, შერჩევა, ნახვა. ამ პროცესში აქტიურობდა სანათესაო, სამეზობლო. ქალის ძიების შემდეგ, იწყებოდა მაქანკლობა-“**Görücülik**”. ბიჭის ოჯახიდან ირჩევდნენ რამოდენიმე ქალს და გოგოს ოჯახში სტუმრად აგზავნიდნენ. ისინი ქალს ამოწმებდნენ და ამავდროულად თავიანთ განძრახვასაც უცხადებდნენ. ამ პროცესს “**kız bakma**”, “**görücü çıkma**”, “**dünür gezme**”-ეწოდებოდა.

“შემოწმების” შემდეგ იწყებოდა **მესამე ეტაპი**. ქალები ოჯახის მამაკაცებთან განიხილავდნენ არსებულ ვითარებას და თუ რამდენად იქნებოდა გამოსადეგი მათი ვაჟიშვილისათვის ნანახი “პრატი”. ამის შემდეგ უკვე ერთვებოდნენ მამაკაცები. თუ ორივე ოჯახის მამაკაცები თანახმა იქნებოდნენ, იწყებოდა **მეოთხე ეტაპი** - “**ოფიციალური**” **მოლაპარაკება**. ბიჭის მხარე ირჩევდა ორ გავლენიან და პატივსაცემ ნათესავ მამაკაცს ან ოჯახის მეგობარს. ამ საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სოფლის “**ჰოჯა**” (სასულიერო პირი), რომელიც გოგოს მამას სტუმრობდა, რათა ქორწილისათვის თანხმობა მიეღო. სავიზიტოდ მისულ შუამავალს, შუაკაცს (“**dünür**”) ეძახდნენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოშიც ცდილობდნენ “შუამავლად” პატივსაცემი პიროვნება შეერჩიათ, ისეთი, რომელიც ორივე მხარის ნათესავი იქნებოდა. ამ პროცესში დიდ როლს აკისრებდნენ გოგოს “ტაიას” ანუ დედის ძმას. აჭარაში ასეთ პიროვნებას “**ელჩს**” უწოდებდნენ. თუ ელჩი ვერ დაითანხმებდა ქალის მშობლებს, მაშინ საქმეში მთელი სოფელი ერთვებოდა.

საოჯახო სივრცეში, სადაც ყველაფერი ტრადიციულად მიმდინარეობდა, საუბრების დროს ნელ-ნელა დამაბულობა იფანტებოდა. ერთ-ერთი შუამავალთაგანი (ჩვეულებისამებრ ჰოჯა) წარმოსთქვამდა შემდეგ სიტყვებს: “ალაჰის ბრძანებით, ჩვენ გვსურს გთხოვოთ თქვენი გოგო ჩვენი ჰუსეინის (ბიჭის მამა) შვილისათვის”. ეტიკეტის დაცვის მიზნით, გოგოს მამა ითხოვდა დროს რათა სანათესაოსთან ერთად განეხილა შემოთავაზება. დასასრულს კი ამბობდა “როგორც ალაჰს სურს, ისე იქნება, თუ არ სურს არ იქნება”. სამი დღის ან მაქსიმუმ ერთი კვირის შემდეგ იწყებოდა **მეხუთე ეტაპი “სიტყვის მიცემა”, “დაპირება”**. შუამავლები მიდიოდნენ პასუხის მისაღებად, თუ პასუხი დადებითი იქნებოდა, გოგოს მამა მათ სასურველ ჩამონათვალთა სიას გადასცემდა. ეს იყო ის “ფასი” რაც ბიჭის მხარეს უნდა გადაეხადა. თანხა, მიახლოებით 4, 000 დან 10, 000 ლირამდე მერყეობდა. ამავდროულად, საჩუქრების სახით უნდა მიეცათ სამკაულები: ოქროს ბეჭედი, ოქროს სამაჯური, ყელსაბამი, ასევე “urba” (ჩასაცმელი, კაბა) და სხვ. თუ აღნიშნული “ფასი” შუამავლებისთვის მისაღები იქნებოდა, ისინი თანხმდებოდნენ, მაგრამ თუ “ეძვირებოდათ” ცდილობდნენ შეემცირებინათ. ეს უხერხული პროცესი საკმაოდ მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა და ორივე მხარისთვის მისაღებად წყდებოდა. შემდეგ კი იწყებოდა “დასახლების” მესამე ეტაპი - ნიშნობა-“ბეჭდის წამოცმა”.

ელჩს/შუამავალს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ შავშეთის ქართველებშიც “ელჩობა იმართებოდა ხუთშაბათს, საღამოს საათებში. ხშირად ელჩობას სამამამთილო საკუთარ თავზე იღებდა. შესაძლოა ელჩი დედის ძმა, სხვა რომელიმე ნათესავი, მეზობელი, ქირვა (ნათლია), ან გავლენიანი პირი ყოფილიყო. ეს ძირითადად მაშინ ხდებოდა, თუ ვაჟს არ ჰყავდა მამა. თურქული მოსახლეობისაგან განსხვავებით (პირველსავე ელჩობაზე მიაქვთ ტკბილეული), გურჯებს პირველ დღეს არაფერი არ მიაქვთ ქალის სახლში. ელჩობა შეიძლება გახანგრძლივებულიყო, თუმცა ზოგჯერ ორ-სამ ელჩობაზეც წყდებოდა საკითხი, განსაკუთრებით მაშინ თუ სასიძოს ოჯახი იყო მდიდარი. ელჩობას შორის ერთი კვირა მაინც უნდა გასულიყო. თუ ელჩად მისვლა დაემთხვა ვახშობას, მაშინ სუფრას გაუშლიან, სხვა შემთხვევაში ვახშამს არ

შესთავაზებენ. ელჩობის სადამოს გოგოს მომსახურება, სტუმრისათვის წყლის, ან ყავის მიტანა თანხმობის ნიშანია”. (შავშეთი2011, 122)

“დაპირება” აჭარაში 2-3 წელიც გრძელდებოდა. შუამავალი ქალის ოჯახში რამდენჯერმე მიდიოდა. მის ფუნქციას “ქალის გამოსყიდვის” ფასზე შეთანხმება წარმოადგენდა. საქართველოში არსებული წესის მიხედვით, ქალის ოჯახის თანხმობის შემდეგ, მის ოჯახში ვაჟის მამაც მიდიოდა და გოგოს “დაიბევებდა” ანუ საჩუქარს აძლევდა. ამ პროცესს “ბეჰს”, “ბელგას” უწოდებდნენ. რაც ნიშნობის წინაპირობას წარმოადგენდა. იყო შემთხვევები, როცა თავად ქალის ოჯახსაც მიჰქონდა რაიმე საჩუქარი. აჭარაში სარძლოს “დაბევების” დროს ბეჰედს და სხვა სამკაულს აძლევდნენ. დასანიშნ ნივთებს, ბიჭის მამა ან უფროსი ძმა იძენდა. აღნიშნულ ნივთებში შედიოდა ბეჰედი, ოქრო და სხვ. თუმცა, ყველაზე პრესტიჟული იყო ვერცხლის ქამარი, რომელიც საკმაოდ დიდ ფუფუნებად ითვლებოდა. საქართველოში ნიშნობა, როგორც წესი ქალის ხარჯებით ხდებოდა, თუმცა ბიჭის მხარე ვალდებული იყო ქალის ოჯახი სურსათ-სანოვაგით მოემარაგებინა. აჭარაში მთლიან ხარჯებს ბიჭის მხარე იხდიდა.

3.3. “ბეჰედის წამოცმა” ანუ ნიშნობა

“დასახლების” უმნიშვნელოვანესს ეტაპს “ბეჰედის წამოცმა” წარმოადგენდა. დღესდღეობითაც, ინეგოლის ქართულ სოფლებში, აღნიშნული წესის ძირითადი მომენტები თითქმის უცვლელია. ოჯახები ცდილობენ წინაპართა “ადეთები” უცვლელად შემოინახონ. რითაც ხაზს უსვამენ ტრადიციათა დომინანტურ პოზიციას.

ნებაათ თაიარი-”წინ-წინ რაფერი იყო წინ-წინ რაცხაფერი რომ იყო ახლანდელელებიც იმფრად არის, ახლანდელელები მოდერენი გახდა. წინწინდულა აღარ არის, მაგრამ წინ წინ რაცხა დიგვინახვია, დიგვისწავლია, ახლანდელელებიც იმფრად ვიჯებით, რაცხა დიგვინახვია, დიგვისწავლია ის იმითანაი გვიყვარს. ადეთებს ვინახავთ, ისინი ჩვენ გვინდა, რომ ეს გვექონდეს, იყოს. ჩვენი ადეთები იყოს”.

როგორც წესი ბიჭის მხარეს მოჰქონდა თავისი რჩეული “პრატისთვის” ბეჭედი და საჩუქრები. (საჩუქართა ჩამონათვალი ბუნებრივია შეიცვალა და უფრო გათანამედროვდა) “ბეჭდის წამოცმის” დროს უთანხმებდნენ გოგოს ოჯახს, რათა შესაბამისი მზადება დაეწყო. ყველაფერი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხდებოდა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიძის ოჯახის სიტყვა გადამწყვეტი იყო და დღესაც ასეა. ეს კარგად გამოჩნდა, როცა ერთ-ერთი მივლინებისას, ნიშნობის დროს, ქალების ოთახში მყოფი დასანიშნი გოგო, დედამთილის მოთხოვნით არ გადამალვინეს.

ნინო ოქროსცვარიძე–*“დედამთილს არ სურდა გადამელო ვიდეო. “არ წავიყვანთო მაშინ გოგოსო”. ე. ი. რასაც თავად იტყვის ის უნდა შესრულდეს”?*

ნებაათ თაიარი–*“ხო, მან თუ იტყვის მაშინ უნდა გედევლოთ, თუ არ უნდა არ შეიძლება”.*

ნინო ოქროსცვარიძე–*“თქვენი აზრით რატომ არ გადამალვინა?”*

ნებაათ თაიარი–*“რატომ არ უნდოდა და, ესენი ცოტა ბიჭს არ უნდა, დუუბარებია”.*

ქალები და მამაკაცები ცალ-ცალკე იკრიბებიან. ესეც ბუნებრივია ბიჭის ოჯახთან თანხმდება. თუმცა, დღესდღეობით არის შემთხვევები, როცა ერთად არიან, რაც წარსულში მიუღებელ მოვლენად ითვლებოდა.

ნებაათ თაიარი–*“დღეს ახლა ამოვლენ, ბეჭედი წამოაცვებს გვითხრეს, რომ ქალები ერთად, კაცები ერთად, ვინცხას რომ უნდა ერთად არიან.”*

დადგენილ დღეს, ბიჭის მხარე გოგოს ოჯახში ამოდიოდა, ოჯახის წევრებისთვის ამოჰქონდა ბეჭედი და საჩუქრები. შემდეგ იმლებოდა სუფრა, იწყებოდა მხიარულება, ცეკვა-თამაში, (ძველად, ქალები გოგოს კაბაზე აკრავდნენ ფულს, უკეთებდნენ ბრასლეტებს და ყელსაბამს) შავშეთის ქართველებშიც მსგავსს მოვლენას ჰქონდა ადგილი “დათქმულ დროს ქალის ოჯახში ამზადებდნენ სხვადასხვა სახის საჭმელს: ერიშტას, მაკარნას, ხავიწას, მუხრაკულს, ქოფთეს...ლონისძიებას ესწრებიან, როგორც ვაჟის, ისე ქალის ახლო-ნათესავები და საპატარძლოსათვის მიაქვთ როგორც ჩასაცმელი (ურბა), ისე სამკაულები-ოქროს საათი, სამაჯური, საყურეები..”. (შავშეთი 2011, 122) ამ

დღის კულმინაციას კი სადედამთილოს მიერ სარძლოსთვის “ბეჭდის წამოცმა” წარმოადგენს, რომელსაც ყველა გულისფანცქალით ელოდება. სადედამთილო გოგოს ბედნიერებას უსურვებს, რის შემდეგ მას ყველა ულოცავს გაბედნიერებას. პატარძალიც პატივისცემის მიზნით, უფროსებს ხელებს უკოცნის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არც სიმე და არც სხვა მამაკაცი არ ესწრებიან ამ ცერემონიას. აჭარაშიც სიმე ამ პროცესს არ ესწრებოდა, თუმცა იყო შემთხვევები როცა აუცილებლად უნდა დასწრებოდა. წესის მიხედვით, ქალები ცალკე ერთობიან, კაცები ცალკე. თუმცა, დღესდღეობით ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში, ერთად ცეკვა და გართობა შეუძლიათ, არა მხოლოდ ნიშნობაზე, არამედ ქორწილშიც. შეიძლება ითქვას, რომ მოხდა ძველი წესების გათანამედროვეება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ძირითადი და აუცილებელი მომენტები მაინც უცვლელად შემორჩა, როგორც არის ნიშნობა, საჩუქრების ამოტანა, სუფრის გაშლა.

აჭარაში ნიშნობის პირველ დღეს “დაპაიჯნა”-ს უწოდებდნენ ანუ ეს იყო სასიძოს პირველი მისვლა ქალის ოჯახში. იგი ვალდებული იყო საკლავი მიეყვანა. ასევე მას ტრადიციული წესით მოხატული (სარიტუალო) პური მიჰქონდა. იმის, გამო რომ ეს დღე მათი სექსუალური ცხოვრების დასაწყისი იყო, (მხოლოდ “აღდის გაჭრის შემდეგ”) შეიძლებოდა “თვალი სცემოდათ”, “დაეკოჭათ”, ამიტომ შესასვლელი კარის ერთ მხარეს დებდნენ კლიტეს ან დანას, მეორე მხარეს კი გასაღებს, ხოლო მათ შორის სიძის გავლის შემდეგ კლიტეს კეტავდნენ და გასაღებს წყალში აგდებდნენ. ქალი სხვა ოთახში გაჰყავდათ, მას ხელს სტაცებდა სასიძო და ხელახლა შემოყვანისთვის ასაჩუქრებდა. ასევე “პირსანახავსაც” (სამკაულის სახით) ჩუქნიდა.

ბიჭის ოჯახის მიერ ამოტანილი საჩუქრები განთავსებული უნდა იყოს ყველაზე გამოსაჩენ ადგილას, რათა მათი ნახვა ყველამ შეძლოს. ჩვენ მიერ ნიშნობის მომენტში დაფიქსირებული ბიჭის ოჯახის მიერ ამოტანილი საჩუქრები შემდეგნაირად გამოიყურება: პირსახოცი, ქალის ფეხსაცმელი, მაისური, წინდები, დეზოდორანტი, ყვავილები, თეთრეული, მაგიდის გადასაფარებელი. საჩუქრები ოქროსფერი ბაბთით ლამაზად არის შეხვეული და მაგიდაზე ყველასათვის გამოსაჩენ ადგილზე აწყვია. მას

ყველა სტუმარი დიდი ინტერესით ათვალიერებს, ხოლო გოგოს წაყვანის დროს თან მიაქვთ ბიჭის სახლში. (იხ. სურათი 125-129)

ნინო ოქროსცვარიძე - "ეს საჩუქრები ვინ მოიტანა?"

ნებაათ თაიარი-"ის ბიჭის თარაფმა (მხარემ) მეიტანა, ჩვენში ამფერია, ამეიტანებენ დააწყობენ მემრე გოგოს იმფრად ჩუუტანებენ ისე გავაწყობთ ჩვენაც. ეს სადედამთილომ ამეიტანა ახლა ეს მის დასთვისნ ამეიტანა, ეს ბაჯიამისთვინ (უფროსი და), ეს ანამისთვინ, გოგოსისთვინ. მემრე წაყვანიხან ამათ უკან იქ დავაწყობთ ბიჭის სახლში".

ნინო ოქროსცვარიძე-"ეს თურქული წესია?"

ნებაათ თაიარი -"Türk Gürcü ikisi de bir adet" (თურქული, ქართული ორივე ერთიდაიგივე წესია). ასე გეეწყობა მემრე იქნება ქორწილი.

ნინო ოქროსცვარიძე-"როდის არის ქორწილი?"

ნებაათ თაიარი-"ქორწილი ახლა იქნება რამაზანს უკან. რამაზანი რომ დამთავრდება მემრე. ახლა ბეჭედი ავათავოთ და..."

(ქორწილი რელიგიურ დღესასწაულების დროს იკრძალება)

ნინო ოქროსცვარიძე-"Burda yalnız kadınlar olmalı değil mi?erkekler olmaz." (აქ მხოლოდ ქალები უნდა იყვნენ, კაცების შემოსვლა აკრძალულია?)

ნებაათ თაიარი-"olmuyor, bizde oluyor isteyen istiyor, ama erkekler karışmıyor, erkekler de var aşağıda." (არა. ჩვენში შეიძლება. ვისაც სურს, სურს. მაგრამ, მამაკაცები არ ერევიან. ისინი ქვემოთ არიან)

ნინო ოქროსცვარიძე-"kadınlar ve erkekler beraber mi dans ediyorlar?" (ქალები და კაცები ერთად ცეკვავენ?)

ნებაათ თაიარ -"ederler, eden de var etmeyen de var." (კი, მსურველებიც არიან და პირიქით)

ნინო ოქროსცვარიძე -” *yasak değil*” (აკრძალული არ არის).

ნებათ თაიარი -” Hayır kesinlikle değil. Tabii ki isteyen olursa beraber oluyor kutlanıyor nasıl istiyorlarsa. Yani doğunda öyle oluyor düğün gününde öyle oluyor, nişanda öyle oluyor. İsteyen her dilediği gibi oluyor. Yani nasıl isterlerse nasıl arzu ederlerse, kız tarafı oğlan tarafı, arzuya göre. Kabul eden herşeyi kabul ediyor.” (არა, რა თქმა უნდა თუ მსურველი იქნება, ერთად იცეკვებენ, აღნიშნავენ, როგორც მოისურვებენ. ასევეა დაბადების დღეზე ნიშნობასა და ქორწილშიც. ვისაც რა სურს ისეა. ყველაფერი ბიჭისა და გოგოს მხარის სურვილის მიხედვით იქნება. ვინც თანხმობას განაცხადებს ყველაფერზე თანახმაა)

ნინო ოქროსცვარიძე-” *modern şey. Eski zaman böyle miydi?*” (თანამედროვე წესია. მაგრამ ადრე ასე იყო?)

ნებათ თაიარი-” eski zamanda böyle yoktu, ama eski zamanları bıraktık, yeni şeylere geldik.” (არა ადრე ასე არ იყო, მაგრამ ძველზე უარი ვთქვით და ახალი წესები შემოვიტანეთ)

გოგოს გვერდით ზის სადედამთილო. სარძლო ძალიან მორცხვად გამოიყურება, თვალს ვერ უსწორებს მას. აჭარაშიც ნიშნობის დროს პატარძალი ჩუმად იჯდა და ხმის ამოღებისათვის ბიჭი მას ფულს აძლევდა. საჩუქრების მიცემაში ვაჟის სანათესაოც აქტიურობდა და ქალის დედასაც ასაჩუქრებდნენ.

ქალის სანახავად და მისალოცად მხოლოდ ქალები შემოდიან. (იხ. სურათი 130) ყველას თავსაბურავი აქვს მოხვეული და გრძელი ქვედაბოლო აცვია. (ნიშნობის მომენტში ოჯახში ქალებს შეუძლიათ თავი არ დაიბურუნ, მაგრამ მამაკაცის შემოსვლის შემთხვევაში, თავზე მანდილს იკრავენ. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავზე დახურვა და გრძელი ქვედაბოლოს ჩაცმა არა მხოლოდ ისლამისთვის არამედ წარსულში ქრისტიან ქართველ მანდილოსნებისთვისაც იყო ნიშანდობლივი) ინეგოლის ქართულ სოფლებში თანამედროვე “მოდერნ” ყოფის მიუხედავად, იგრძნობა ტრადიციებისადმი მორჩილება.

ნიშნობას როგორც წესი მოჰყვებოდა “ინის დადება” და ტრადიციულ-რელიგიური, სამოქალაქო ქორწინება. ეს უკანასკნელი მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან უკვე

სავალდებულო ხდება. იგი როგორც წესი ტარდებოდა ინეგოლში. იყო საკმაოდ უბრალო და ხანმოკლე. მას ესწრებოდნენ ნათესავები და ორი მოწმე. მაგრამ არა მშობლები. საინტერესოა, რომ სამოქალაქო ქორწინებას სოფელში არ გააჩნდა ძალა. ეს კარგად ვლინდებოდა მაშინ, როცა ცერემონიის შემდეგ, პატარძალიც და სიძეც თავიანთ სახლებში ბრუნდებოდნენ და საზოგადოდ ერთად გამოჩენის უფლება არ ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ ორივე სამოქალაქო კანონის წინაშე დაქორწინებულები იყვნენ, სოფლის ტრადიციის მიხედვით ჯერ-კიდევ დანიშნულები იყვნენ და არ ითვლებოდნენ ალაპის წინაშე მეუღლეებად.

ნიშნობის შემდგომი პერიოდი შეიცავდა გარკვეულ აკრძალვებს. დანიშნულები ერთმანეთს არ უნდა შეხვედროდნენ. გოგოს ეკრძალებოდა მომავალი ქმრის ოჯახთან მისვლა და ურთიერთობა, “კალოზე” წასვლა. საყურადღებოა, რომ ეს უნახველობის წესი, იმერხევის ცალკეულ სოფლებშიც არსებობდა.

აიშე ხინკილაძე-“ნიშნობის დროს დედამთილ არ დეინახვინ, მამამთილ არ დეინახვინ, მულ არ დეინახვინ, კალოზე ვერ გეიარვის, ხისიმებს ვერ დეინახვინ, მთლად ერიდებოდნენ.”

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აჭარაში მხოლოდ “აღდის გაკვეთ“-ის შემდეგ, რომელიც მუსულმანური წესით ტარდებოდა, დაიშვებოდა მათ შორის სქესობრივი კავშირი, რაც გოგოსავე სახლში ხდებოდა. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ისტორიულ სამხრეთ საქართველოს ზოგიერთ სოფელში დღემდე უნდა იყოს შემორჩენილი სიძამრის სახლში დანიშნული ქალ-ვაჟის შეხვედრის ძველი ადათი, რომელიც ქართულ ეთნოლოგიაში ნიშანლობის სახელითაა ცნობილი. “რადაც დროის განმავლობაში საქმრო დადის საცოლის ოჯახში და მასთან წვება”. (შავშეთი 2011, 123)

მეტად საყურადღებო ცნობას გვაწვდის ნ. მარი, რომელმაც შავშეთსა და ტაო კალრჯეთში იმოგზაურა. იგი აღნიშნავდა, რომ “საქმრო რჩება უახლოეს ნათესავებთან ერთად, ამ დროს პირველად საცოლეს ჩადრს ახდის პირზე, ამის შემდეგ საცოლის სახლში, როგორც ქმარი, რჩება სამი დღე, მას ქალს ანებებენ”. (ჯაფარიძე 1996, 63) ამიტომაც გასაკვირი არ იყო, რომ ქალის მშობიარობაც მამისავე სახლში ხდებოდა.

თურქეთის რეგიონებშიც შეინიშნება მსგავსი ტრადიციები, თუმცა რიტუალები ოდნავ განსხვავებულია. ნიშნობას წინ უსწრებს, "ნიშნობაზე თანხმობა", "დაპირება"- "söz kesimi" ამით ორივე მხარე ადასტურებს თანხმობას. ამ პროცესს თან ახლავს ბიჭის ოჯახის მიერ საჩუქრების მიტანა: ბეჭედი და მოქარგული მანდილი. ზოგიერთ ადგილას "söz kesimi"-ს მცირე ნიშნობის ცერემონიალსაც უწოდებენ. ეს მოვლენა ტკბილი სუფრით ("ağız tatlılığı") აღინიშნება. ტკბილეულის მოტანას ბიჭის მხარე უზრუნველყოფს. ტკბილეულით სტუმრებს რიტუალის შემდეგ უმასპინძლებიან. ამ ცერემონიალს არ ესწრება სასიძო (ეს ეთნიკურ ტრადიციებზეა დამოკიდებული) მაგრამ თუ მაინც დაესწრება, სარძლოც და სასიძოც სტუმრებს ხელზე ემთხვევიან. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესს თან ახლავს მნიშვნელოვანი მომენტი, კერძოდ, სარძლოსთვის განკუთვნილი ძვირფასეულობა და მისი ოჯახისთვის წინასწარ განსაზღვრული თანხა, სწორედ ამ დღეს დგინდება. ზოგიერთ რეგიონში ბიჭის ოჯახის მიერ თანხის გადახდის ტრადიცია ნელ-ნელა იშლება, თუმცა მაინც შემორჩენილია გოგოს დედისთვის გარკვეული ოდენობის თანხის გადახდა ანუ "დედის წილის" მიცემა. ამ პროცესს მოჰყვება ნიშნობა, რომელიც გოგოს ოჯახში ტარდება. ნიშნობაზე პატიჟებენ ნათესავებსა და მეზობლებს. ბიჭის ოჯახში მისული სტუმრებიც, გოგოს სახლში მიდიან. ტრადიციის მიხედვით, ქალები და კაცები ცალ-ცალკე სხდებიან. სუფრის შემდეგ სადედამთილო და ნათესავები სარძლოს სამკაულებს ("taki") აძლევენ. ნიშნობის ბეჭედი მოაქვს სასიძოს ნათესავ ქალს. ზოგჯერ ბეჭედს ოჯახის უფროსი მამაკაცი უკეთებს. ქალაქში მცხოვრები მდიდარი და თანამედროვე ოჯახები ნიშნობისთვის ქირაობენ სპეციალურ "სალონებს", სადაც ქალები და მამაკაცები ერთად სხდებიან. ნიშნობის შემდგომი პერიოდი ოჯახების ურთიერთშეთანხმებით განისაზღვრება. ქალაქში წყვილები უფრო თავისუფლად ხვდებიან ერთმანეთს, სოფლებში კი იცავენ წესებს. შეხვედრები ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი არის თანახმა. ზოგჯერ წყვილის შეხვედრებს თავად ოჯახის წევრიც ესწრება. გოგოს მხრიდან ნიშნობაზე უარის თქმის შემთხვევაში, ყველა სამკაული და საჩუქარი უკან უნდა დაუბრუნოს ბიჭის ოჯახს, მაგრამ თუ პირიქით ხდება, მაშინ გოგოს მხარე არაფერს აბრუნებს.

ჰაირიესა და ინეგოლის ქართულ სოფლებში ახალგაზრდები ზოგჯერ არღვევდნენ ნიშნობის შემდეგ ერთმანეთის უნახველობის ტრადიციას და ყველასგან მალულად ერთმანეთს ხვდებოდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც მშობლების ნება-სურვილით დანიშნული გოგო, საბოლოოდ არ გაჰყოლია ოჯახის მიერ არჩეულს. ჩუმად სხვას ხვდებოდა და მშობლების თანხმობის გარეშე ცოლადაც გაჰყოლია.

ქერემიჩ ჩოშკუნი-”ის გოგოები ნიშნული იყო და მე დელეყანლი ვარ, ასე ახლა საქმობს, იმას ირჯება და მღერობს. მეც ახლა ვსეირობ იანი, იმ გოგომ არ წაყვა იმას, გეექცა სხვა კაცთან გეექცა, წინ-წინ ჩვენში ნიშნული რომ ვიქნებოდით ასე დანახვა არ იყო”.

აღნიშნული მოვლენა აჭარაშიც შეინიშნებოდა, რომელსაც “ოჯახზე დაჯდომას” უწოდებდნენ. მას მიმართავდნენ იმ შემთხვევაში: 1. როცა ვაჟს არ სურდა მშობლების მიერ შერჩეული კანდიდატურა და მათ შვილისგან უჩუმრად მოჰყავდათ რძალი სახლში. მისი უკან გაშვება დიდ სირცხვილად ითვლებოდა, რაც შეიძლებოდა ორ ოჯახს შორის კონფლიქტის მიზეზიც კი გამხდარიყო. ვაჟი იძულებული იყო ამ “იძულებით” ფაქტს შეგუებოდა. 2. ხდებოდა პირიქითაც, როდესაც ბიჭის ოჯახი თანახმა არ იყო შვილის მიერ შერჩეულ გოგოს მოყვანაზე, ახალგაზრდები აღნიშნულ ტრადიციას მიმართავდნენ და მშობლები იძულებულები ხდებოდნენ ბედს შერიგებოდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის ზოგიერთ რეგიონშიც ფიქსირდება მსგავსი ტრადიცია ”oturakalma”, რომელიც ქორწინების ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევა. ამ ტრადიციის თანახმად, გოგო და ბიჭი მხოლოდ ურთიერთშეთანხმების შემდეგ განაგრძობენ ერთად ცხოვრებას.

მველად ახალგაზრდების “ამბოხი”, თავისუფალი ნების თამამი გამოვლინება, მალული შეხვედრები სირცხვილად მიიჩნეოდა და თუ აღნიშნული ფაქტი ოჯახის ფარგლებს გასცდებოდა, მასზე მთელი სოფელი ლაპარაკობდა.

სოფლის მკვიდრ ასაკოვან მოსახლეობას ჯერ კიდევ ახსოვთ მათ ახალგაზრდობაში გავრცელებული ლექსები, რომლებსაც თავიანთ რჩეულებს უმღეროდნენ:



“იგერ გაღმა ტრედებო
გოგოვ რას მერიდებო
მაგრეთ რომ ლამაზი ხარ
ჩვენთვისაც რომ იზრდებო”.



“ბახჩაში მაქვს ტყემალიო
კონწილ-კონწილ კიდიო
მე ის ბიჭი არ მინდა
ბუკზე (სახე) დაპრანჭულიო”



“თათრის ნათალი არ
მავიწყდება შემონათვალი,
შენ რომ მომიტანე ჩემი ნათქვამი,
ადექ, წამოდი, ჩემო ლამაზო,
ჩემო ლამაზო! ვერ დაგინახე
გულვეში ზიდვები ვერ მოგინახე,
ძალიან გეხვეწები ვინმე შემინახე
ადექ, წამოდი, ჩემო ლამაზო!
ცევსიეს ბრუნებით გევარეთ ხიდზე,

ნიშნის სინარო ძელზე გვიხარდა,

ძალიან მიხდება ქემერი წელზე,

ადექ, წამოდი, ჩემო ლამაზო!

ადექ, მოვიართო, ღელე, ბოსტანი

ძალიან მიხდება წვანე ხისტანი,

აგიც არ იყო ჩვენი დესტანი,

ადექ, წამოდი, ჩემო ლამაზო!

ოსმალი მარტინი ავსწიე ხელში,

სევდა ჩიმივიდა ბირ ქერე გულში,

ადექ, წამოდი, ჩემო ლამაზო!” *(მურათბეიში გავრცელებულ სასიყვარულო სიმღერას ასრულებს სოფლის მკვიდრი 80 წლის ოსმან ონაძე-თურქილმაზი)*

აკრძალების პარარელურად, არსებობდა ვალდებულებებიც, რომელიც ბიჭის ოჯახს ეკისრებოდა. კერძოდ, ე.წ. “ნახველობის” დროს საჩუქრები უნდა მიეტანა გოგოსთვის. მას “ბოხჩის მიტანა” ეწოდებოდა. ხშირ შემთხვევებში სწორედ ამ დღეს ხდებოდა საქორწილო თარიღზე შეთანხმებაც. ეს წესი ფიქსირდებოდა ზემო აჭარაშიც. მისი შექმნა ოჯახს საკმაოდ ძვირი უჯდებოდა. აჭარლები მას როგორც წესი ბათუმში იძენდნენ, ხოლო ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა, თურქეთში. აღნიშნული საოჯახო ნივთი თანამედროვე ჩანთის ფუნქციასაც ასრულებდა. ბოხჩა იყო დიდი ლამაზი ოთხკუთხა ქსოვილი, რომელსაც სხვადასხვა ფერის ნაჭრებისგან კერავდნენ. მასალად ძირითადად იყენებდნენ აბრეშუმს, შალს და სხვ. შემდეგ სარჩულს ჩააკერავდნენ, ზედაპირს კი უქარგავდნენ. მასზე ზოგჯერ მძივებს აკერებდნენ, გვერდებზე მაქმანებს უკეთებდნენ. მასში დებდნენ კაბებს და სხვადასხვა ნივთებს. შეიძლება ითქვას, რომ ბოხჩას დღევანდელი ჩანთის დატვირთვაც ჰქონდა. როგორც ცნობილია, მას სარიტუალო

დანიშნულებაც გააჩნდა, კერძოდ ლოცვისას მუხლსაფენად იყენებდნენ. (იხ. სურათი 131, 133-136)

მუქემერ ოზბეჯი (გოგიტიძე)-*ჩანთას ადეთი რომ არ იყო, ბოხჩაში გამოკოჭავდნენ ლამაზ კაბებს და საჩუქვარ იყო. გელინი წეილებდა, გელინს მიუტანდნენ. ურბას (ჩასაცმელი, კაბა) დაბოხჩავდნენ, მაშინ ჰაზირი (მზა) შეკერილი არ იყო*. (იხ. სურათი 132)

წარსულსა და აწმყოს შორის დღესდღეობით უკვე დიდი განსახვავებაა. თუ ადრე დანიშნულებს შეხვედრა არ შეეძლოთ ან შეხვედრის შემთხვევაში იგი სირცხვილად ითვლებოდა, დღეს ეს უკვე წარსულს ჩაბარდა. თანამედროვე ქალაქური ცხოვრების ღია სივრცე, სოფლის ჩაკეტილ სივრცეს ჩაენაცვლა, წახალისა ახალგაზრდობა და შესძინა მათ არჩევანის თავისუფლება, რასაც “ბერები” (მოხუცები) საკმაოდ მტკივნეულად განიცდიან. თუმცა, მიუხედავად ამ “წახალისებისა” ინეგოლის ცალკეულ სოფლებში მაინც შემორჩენილია “დასახლებასთან” დაკავშირებული ტრადიციები, მათშორის “ბოხჩაც”.

3.4. მზითევი და „Kına gecesi“, - „ინის დადების ღამე“

ძველად ინეგოლის ქართულ სოფლებში, ქორწილი დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და შეიცავდა რამოდენიმე ასპექტს, თუმცა დღესდღეობით უკვე არის შემთხვევები, როცა ეს უკანასკნელი მხოლოდ რამოდენიმე დღე გრძელდება. ქორწილის მნიშვნელოვან მომენტს მზითევი წარმოადგენდა.

საქართველოში **მზითევი**, ქალის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ელემენტი იყო. ეს უკანასკნელი სათავნოსგან და ქორწილში მიღებული საჩუქრებისგან შედგებოდა. ეს იყო ქონების გარკვეული რაოდენობა, რომელიც მას ახალ ოჯახში მიჰქონდა.

საქართველოში მზითვის ტრადიცია ყველა კუთხეში იცოდნენ და მისი არ ქონა სირცხვილად ითვლებოდა. მზითვის რაოდენობა არ იყო განსაზღვრული. ქალს თავად ევალეობდა საკუთარ მზითევზე ზრუნვა. ზოგან სიის შედგენაც იცოდნენ, რომლის ერთ პირს ქალის ოჯახში ინახავდნენ. ბუნებრივია, ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა

გამოხატულებას ჰპოვებდა ქალის მზითევშიც. მისი შემადგენლობა მატერიალურად შეძლებული თუ ღარიბი ოჯახებისთვის განსხვავებული იყო, მაგალითად მაღალ საზოგადოებაში მიღებული იყო წიგნებისა და ჭადრაკის გატანება. ზოგადად მასში შედიოდა სკივრი, თეთრეული, ლოგინები, ფარდაგები, პირუტყვი და სხვ.

ქალის საქორწილო ქონება სხვადასხვა სახელით იყო ცნობილი. კერძოდ, “სათავისთავადო”, “სათავნო”, “მზითევი”. თუმცა ეს ტერმინები ერთმანეთისგან მაინც განსხვავდებოდა ანუ მზითევში შედიოდა ქალის პირადი მოხმარების ნივთები, ხოლო სათავნოში კი პირუტყვი. სულხან-საბა ორბელიანი მზითევს განმარტავს, როგორც “უსულო ხვასტაგი”. აჭარაში მას “გზითვად” ანდა თურქულიდან შემოსული სპარსული სიტყვით “ჩეიზის”, ზოგან “ჯეიზის” სახელით მოიხსენიებდნენ. აქაც განასხვავებდნენ ტერმინებს-“გზითვში” საქონელი იგულისხმებოდა, “ჩეიზში” კი სხვა დანარჩენი. შეიძლება ითქვას, რომ “გზითვი” იგივე “სათავნო” იყო, ხოლო “ჩეიზი” კი იგივე მზითევი.

მის მომზადებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ოჯახის საერთო ქონებიდან თითოეული ქალისთვის მშობლები გამოჰყოფდნენ განსაზღვრულ ქონებას. შეეძლოთ ეჩუქებინათ პირუტყვი, რომელზეც ზრუნვა ქალის მოვალეობა იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ “სათავნო”, რომელიც პირუტყვისგან შედგებოდა, ქალის გათხოვებამდე ოჯახის საერთო საქონელთან ერთად იყო, მას ბუნებრივია ოჯახი უვლიდა, თუმცა ეს არ ნიშნავდა, რომ ქალს მასზე უფლება ეკარგებოდა, მაგრამ როგორც კი იგი ახალ ანუ საკუთარ ოჯახში შედიოდა, პირუტყვი მშობლების ოჯახიდან მიჰყავდა. ქალს შეეძლო მოვლის მიზნით იგი სხვისთვის მიეცა ან გაეყიდა. მიღებული შემოსავალი კი მის პირად საკუთრებაში ირიცხებოდა. შეეძლო ასევე ქმრის ოჯახში შეენახა, მაგრამ ნამატით, გათხოვილ ქალს საკუთარი წვლილი შეჰქონდა საერთო ოჯახის ქონებში. აღსანიშნავია, რომ პატარაობიდანვე აჩვევდნენ საკუთარ ქონებაზე ზრუნვას და მას ოჯახში როგორც დამოუკიდებელ პიროვნებას ისე განიხილავდნენ, მაგალითად თუ იგი ჯერ კიდევ პატარა იყო, მის ქონებას ბუნებრივია მშობლები განაგებდნენ, თუმცა ანგარიშს აბარებდნენ მას. როგორც კი ქალი გარკვეულ ასაკს მიაღწევდა, ძირითადად 8 წლის ასაკს,

შეეძლო თავადვე ეშოვნა თანხა. იმის გამო, რომ მას პატარაობიდანვე ასწავლიდნენ ხელსაქმეს, 8 წლის ასაკში უკვე კარგ მოსაქმედ ყალიბდებოდა და შეეძლო საკუთარი ხელით გაკეთებული გაეყიდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გოგო თავიდანვე ეჩვეოდა სამზიოთვო ნივთების მოქსოვასა და შეკერვას. საქორწილო ტანსაცმელი ქორწილამდე რამოდენიმე კვირით ადრე იკერებოდა, ზოგჯერ საკაბეს ბიჭის ოჯახი უგზავნიდა. რაც შეეხება ე.წ. სამზიოთვო ლოგინის მომზადებას, მის შესაკერად იწვევდნენ მეზობლის ქალებს. ზოგან ლეიბზე ან საბანზე პატარა ბიჭს გადააგორებდნენ, რათა ქალს პირველი ბიჭი ჰყოლოდა.

მზიოთვეი ივსებოდა არა მხოლოდ ქალის და მისი მშობლების, არამედ მეუღლის ოჯახისა და სტუმრების მიერაც. არსებობდა “პირისანახავის” ტრადიცია. რომლის დროსაც ქალისადმი მიცემული საჩუქრები, მის მზიოთვეს ავსებდა. მაგრამ “შესაწევარის” დროს შემოსული თანხით, იფარებოდა საქორწილო ხარჯები. ე.წ. “დამძახებელი”, “მყეფარი” სტუმრებს შესაწევრის გაღებისკენ მოუწოდებდა. სწორედ “დამძახებელი” აცხადებდა “პირისანახავისა” და “შესაწევრის” თანხას. ზოგან მზიოთვეში შესულ თანხას, “ჯიბის ფულს”, “შაბაშს”, “გადასალოცს” უწოდებდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აჭარაში ფიქსირდებოდა ვაჟის ოჯახის მიერ ქალის გამოსყიდვის ტრადიციაც ანუ “ბაშლული” და “რიშვეთი”, რაც თურქულად ქრთამს ნიშნავს. “ბაშლული” ზოგჯერ შეიძლებოდა ყოფილიყო საქონელი, ფული, მაგრამ თუ ვაჟს არ გააჩნდა ქალში “რიშვეთის” გადახდის მატერიალური შესაძლებლობა, მაშინ სასიძოს სამეურნეო საქმიანობაში მოიხმარდნენ. ამ ტრადიციაში საინტერესო არის ის ფაქტი, რომ ამ თანხის გარკვეულ რაოდენობას, მშობლები ქალს მზიოთვის სახით ატანდნენ.

მზიოთვეი და სათავნო ქალის, როგორც ოჯახის წევრის დამოუკიდებლობასაც უსვამდა ხაზს და შეიძლება ითქვას, მის ფინანსურ გარანტს წარმოადგენდა. რადგანაც ეს მის პირად საკუთრებად ითვლებოდა და ხელშეუხებელი იყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას ქალი პატარაობიდანვე თავადვე ამზადებდა, ამით საკუთარი ხელით შექმნის ფასს სწავლობდა და თავადვე იყო “მოსაქმე”, ასევე შეეძლო გაეყიდა, რითაც თანხას გამოიმუშავებდა. ერთდრულად იგი მწარმოებელიც და წარმოებულის გამკარგავიც

თავადვე იყო, რაც ბუნებრივია მას დამოუკიდებლობას აჩვენებდა. მეორეს მხრივ, მშობლების მიერ მისთვის გამოყოფილი ქონება, იყო ქალის წილი ოჯახიდან, რითაც გათხოვებამდე მის, როგორც ოჯახის სრულფასოვან წევრობას ესმებოდა ხაზი. გათხოვების შემდეგაც მზითევი, როგორც ქალის პირადი საკუთრება, ქონება, ქმრის ან ოჯახის ნებისმიერი წევრისაგან ხელშეუხებელი იყო და განქორწინების შემთხვევაშიც კი ეს უკანასკნელი ქალის საკუთრებაში რჩებოდა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ სხვადასხვა დროს ქართული სამართალი მას გარკვეულ საკანონდებლო ჩარჩოებში აქცევდა. მაგალითად, ბექას სამართლის მიხედვით, ქმრის ინიციატივით განქორწინების შემთხვევაში, მზითევი ქალს რჩებოდა. მაგრამ თუ ქალი საკუთარი ნებით ქმარს უღალატებდა და სხვა კაცთან გაიქცეოდა, მას მხოლოდ ის ერგებოდა რისი წაღებაც წასვლისას მოასწრო, დანარჩენი ქმრის საკუთრებად მიიჩნეოდა. ვახტანგისეული სამართალი კი მხოლოდ უდანაშაულო ქალს აკუთვნებდა მზითევს სრულად.

ამრიგად, ქართველი ქალის ყოფაში მზითევს არა მხოლოდ მატერიალური მნიშვნელობა ენიჭებოდა, არამედ მის, როგორც ინდივიდის სრულფასოვან წევრობასაც ნიშნავდა, რადგანაც პირადი საკუთრების ქონა, მისი მომზადება, შექმნა, ფლობა, ახალ გარემოში, ვგულისხმობთ მეუღლის ოჯახში შეტანა, ქალის მიერ საზოგადოებაში, თუნდაც მიკრო საზოგადოებაში-ოჯახში, თვითდამკვიდრებისა და სრულფასოვან წევრად ყოფნის განცდას აყალიბებდა.

ინეგოლის ქართულ სოფლებში ტრადიციულად საქორწილო კვირის დასაწყისში გოგოს მშობლები სიძის სახლში აგზავნიდნენ ცარიელ სკივრს, რათა იგი შევსებულიყო საჩუქრებითა და მანამდე შუამავლების მეშვეობით შეთანხმებული ნივთებით. ოთხ დღეში იგი უკან უბრუნდებოდათ. *(იხ. სურათი 137-138)*

აღნიშნულ საჩუქრებს და თავად პატარძლის მიერ ხელით მოქსოვილ თუ მოქარგულ მზითევს (რასაც იგი წლების განმავლობაში ამზადებდა) სოფლის ქალები, გოგოს სახლის ერთ ოთახში ფენდნენ. ამ მოვლენას “çeyiz odası” ანუ “მზითვის ოთახი” ეწოდებოდა. დღესდღეობით ეს მოვლენა უკვე იშვიათობას წარმოადგენს. *(იხ. სურათი-139)*

ორი დღის განმავლობაში ქალის ოჯახს სოფლის ქალები სტუმრობდნენ, რათა მიელოცათ და შეემოწმებინათ მზითევი. სოფლის მანდილოსნების მონათხრობის მიხედვით, გოგო მზითევს ნელ-ნელა აგროვებდა ქორწინებამდე. მამა მას აძლევდა მიწის ნაკვეთს, რათა მოევლო და ოჯახისთვის მოსავალი მოეყვანა. გათხოვების შემდეგ (თუ სოფელშივე თხოვდებოდა) მიწა მთლიად მის საკუთრებაში გადადიოდა, ხოლო თუ სოფლის გარეთ გათხოვდებოდა, კარგავდა მიწაზე ყველანაირ უფლებას და იგი რჩებოდა მამის საკუთრებაში. მზითვის სახით, ოჯახი ატანდა ძროხას, ლოგინს, საბნებს, “ქილიმს” (ხალიჩა), ცხვრის მატყლისაგან მოქსოვილ “პათიქს” (წინდებს), “გუგუმს”, “თენჯერეს”, (ქვაბი), “ჰავანს” (ქვიჯა, სანაყი), ხის კოვზებს და ყველა იმ ატრიბუტს, რაც საოჯახო ყოფაში ქალისთვის მნიშვნელოვანი იყო. თანამედროვე ყოფაში, სამზითვო ნივთები შეცვალა სარეცხმა მანქანამ, ტელევიზორმა და საოჯახო ტექნიკამ. თუმცა, სოფლის გოგოები მზითევს მაინც თავადვე ამზადებენ, საკუთარი ხელით ქსოვენ და ქარგავენ, აკეთებენ ჩუქურთმებიან ნაქარგებს საბნის ჩიხოლებისთვის, ზეწრებისთვისა და პირსახოცებისთვის. ასევე ქარგავენ სუფრებს. ცდილობენ თავიანთი დანაზოგით ნელ-ნელა შეიძინონ ჩასაცმელიც. *(იხ. სურათი-140-161)*

“ინის დადება” საკმაოდ მნიშვნელოვანი ეტაპია. ეს უკანასკნელი ქორწილამდე, “გოგოს წაყვანამდე”, სადამო ხანს ეწყობა. არის შემთხვევები, როცა “ინის დადებისა” და “ქალის წაყვანის” დღე ერთმანეთს ემთხვევა. ჯერ “ინის დადება” ხდება და იმავე სადამოს მიჰყავთ ქალი. ჩვენ მიერ ასეთი მოვლენა 2010 წლის ზაფხულში დაფიქსირდა სოფელ ჰაირიეში. შეიძლება ითქვას, რომ “ინის დადება” ქალთა ერთგვარ თავმეყრისა და გართობის საშუალებასაც წარმოადგენს.

წარსულში აღნიშნული მოვლენა პარასკევ სადამოს ცეკვითა და სიმღერით იწყებოდა. ქალები გოგოს სახლში, ხოლო კაცები კი სიძის სახლში იკრიბებოდნენ. მომდევნო დღეს სადილისა და სადამოს ლოცვის შემდეგ, სტუმრები სიძის სახლში მიდიოდნენ. ქალები ძირითადად ცალკე, სახლის შიგნით, ხოლო კაცები კი ცეკვისა და სიმღერის მიზნით, გარეთ იყრიდნენ თავს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წარსულში როგორც წესი, მამაკაცები “აკორდიონით” ასრულებდნენ ტრადიციულ ქართულ

სიმღერებს, ხოლო დაქირავებული ბოშები უკრავდნენ თურქულ მუსიკას "Alaturka". ქალებიც ცალკე მხიარულობდნენ და დაირის თანხლებით ცეკვავდნენ. ამ მოვლენის განუყოფელი ნაწილი იყო თოფების სროლა.

ამ მხიარულების ფონზე, ახალგაზრდა ქალები ძირითადად დედოფლის თანატოლები, აწყობდნენ სპეციალურ, ტრადიციულ რიტუალს. სახლში შესვლისას, ყოველი მათგანი იღებდა ინას და დედოფალს ხელის გულსა და ფეხებზე უსვამდნენ. ამის შემდეგ, აგროვებდნენ ხურდა ფულს და ხელისგულზე აკრავდნენ. მიიჩნეოდა, რომ ინა ნაყოფიერების, ხოლო მონეტები კი მატერიალური კეთილდღეობის სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენდა. მხიარული მონაწილეები განასახიერებდნენ ქორწილის სიხარულს, დედოფლის ტირილი კი გამოხატავდა მწუხარებას, რაც საკუთარი სახლიდან მოახლოებულ გამგზავრებასთან ასოცირდებოდა.

დილით წვეულების ეს უმნიშვნელოვანესი ნაწილი მთავრდებოდა. ხალხიც იშლებოდა, მაგრამ რამოდენიმე ახალგაზრდა მამაკაცი სიძის სახლში ბრუნდებოდა და აგრძელებდა მხიარულებას. დედოფალი ინას ჩამოირეცხავდა, ხოლო მონეტებს კი ურიგებდა გაჭირვებულებს.

დღესდღეობით ამ რიტუალმა ცვლილება განიცადა, თუმცა გარკვეული წესები მაინც შემორჩა.

სოფელში ამ ცერემონიისთვის მზადება დილიდანვე იწყება. როგორც წესი, აღნიშნული რიტუალი გოგოს ოჯახში ეწყობა. ახლო ნათესავები, მეგობრები და მეზობელი ქალები მის ოჯახში ამოდიან და სუფრას აწყობენ. იკრიბებიან ერთ დიდ ოთახში, ერთმანეთს მოიკითხავენ და სოფელში მომხდარ ამბებზე საუბრობენ. ერთმანეთში ურევენ ქართულ და თურქულ სიტყვებს. მათ შორის ზის პატარძალიც და მომავალი მეუღლის ამოსვლას ელის. *(იხ. სურათი 162)*

სუფრას ძირითადად ეზოში აწყობენ. იქვე ანთებენ ცეცხლს და მასზე დიდ ქვაბებს ადგამენ. ამზადებენ სხვადასხვა კერძს, ძირითადად "ხორციან ლობიოს", "დოლმას", "სარმას", "ფილავს", "მერჯიმიქს", "სალათას" და სხვ. *(იხ. სურათი 163-166)* წარსულში

და ახლაც სუფრაზე ხშირია ქართული კერძები, რაც მათი ყოველდღიური თუ სადღესასწაულო სუფრის განუყრელი კომპონენტია.

სუფრის გაწყობამდე, მუსიკოსებთან ერთად მოდის სიძე და ქალის ეზოში მუსიკის თანხლებით ცეკვავს. აღსანიშნავია, რომ ზოგადად ინეგოლის ქარველთა საქორწინო ტრადიციებში, დამახასიათებელია “დოლი” და “აკორდეონი”. (იხ. *სურათი 167-168*) მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენ მიერ დაფიქსირებულ რიტუალზე, სიძე იყო თურქი (ანტალიიდან), ხოლო გოგო ქართველი (ჰაირიელი), სიძემ თურქული წესები შემოიტანა, დოლი და აკორდეონი, “დავულითა” და “ზურნით” შეცვალა. (იხ. *სურათი 169*) ეს მუსიკალური ინსტრუმენტები კი თურქულ ქორწილებს ახასიათებს და უცხოა ქართულ და აფხაზურ საქორწინო ტრადიციებში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სოფლის მაცხოვრებლებს არ მოეწონათ ეს ფაქტი და წყენით აღნიშნეს, რომ თურქი “სიძე ქართველთა სოფელში იყო და ეს არ უნდა გაეკეთებინა”. თუმცა, როგორც ინეგოლის ქართული სოფლის მოსახლეობა აღნიშნავს, დღესდღეობით ქართულ ქორწილებში იშვიათად, მაგრამ მაინც ფიქსირდება “ზურნა” და “დავული” (ეს უკანასკნელი ასევე გამოიყენება მარხვის პერიოდებშიც “ყურბან” და “რამაზან” ბაირამობების დროს). შეიძლება ითქვას, რომ ქართველები ნელ-ნელა ითვისებდნენ თურქულ ტრადიციებს. ეს მოვლენა მე-20 საუკუნის 70-იან წლებშიც შეიმჩნეოდა, როცა ქორწილებში ბოშა მუსიკოსებს ქირაობდნენ და “ალათურქს” ასრულებდნენ. უცხო ადათების შეთვისება მისაღმებასაც ეხება, კერძოდ მამაკაცები ერთმანეთს თავის მიდებით ესაღმებიან (ეს ზოგიერთ ეთნიკურ ქართველში გალიზიანებასაც კი იწვევს)

იმის გამო, რომ ზოგადად აღმოსავლურ სამყაროში მამაკაცი ოჯახში დომინანტია, იგი თავისი ადათ-წესებით მოქმედებს. სწორედ ამ მიზეზის გამო ერიდებოდნენ ინეგოლის ქართველები წარსულში გოგოს არაქართველისთვის მიცემას. რადგანაც არაქართველი სიძე ქალს საკუთარ ადათობრივ წესებზე გადაიყვანდა და დაუკარგავდა მას საკუთარ ქართულ ადათობრივ სივრცეს.

სუფრის გაწყობას გარკვეული წესები აქვს. მას ბუნებრივია ქალები აწყობენ. ჯერ მამაკაცები სხდებიან, შემდეგ ქალები. არის შემთხვევები, როცა პირიქითაც ხდება.

მაგრამ წარსულში ჯერ მამაკაცები უნდა დამჯდარიყვნენ სუფრაზე, ხოლო შემდეგ კი ქალები. ამით ხაზი ესმებოდა მამაკაცთა დომინანტურ პოზიციას. (იხ. სურათი 170-172)

სიძე-პატარძალი ამ სუფრას არ ესწრება. როდესაც სუფრა მთავრდება, მუსიკოსები ქალის სახლის წინ დგებიან. სიძე იწყებს ცეკვას და იქვე მდგარ ქალებსაც გამოიცეკვებს. (იხ. სურათი 173) ყველანი ერთად მიდიან სოფლის ცენტრში, სადაც სტუმრებისთვის დადგმულია სკამები და მაგიდები. მაგიდები გაფორმებულია წითელ და თეთრ ფერებში. საცეკვაო მოედნის ცენტრში კი მუსიკისთვის დამონტაჟებულია სპეციალური მოწყობილობები. აქ უამრავი ადამიანი იყრის თავს, რათა გაიზიაროს სიძე-პატარძლის ბედნიერება. პირველი ცეკვა სრულდება ნეფე-პატარძლის მიერ, შემდეგ კი მათ სტუმრებიც უერთდებიან. (იხ. სურათი 174)

შეურეველ ქორწილებში ჭარბობს ქართული (აჭარული ცეკვები), ძირითადად მათში შემორჩენილი და გავრცელებულია “ხორუმი”, “აჭარული განდაგანა”, სიმღერებიდან “დედოფლის სიმღერა”, “ჰოირამა” და სხვ. მაგრამ იმის, გამო რომ სიძე არაქართველი იყო, ბუნებრივია მის სანათესაოსა თუ სამეგობროში ჭარბობდა თურქული ხალხური ცეკვები (მიუხედავად იმისა, რომ რიტუალი ქართველებით დასახლებულ სოფელში ტარდებოდა). ეზანის (ლოცვისკენ მოწოდება) კითხვის დროს წყდება მუსიკა, ცეკვა და ყველანაირი გართობა. ეზანის დასრულების შემდეგ კი აგრძელებენ მხიარულებას. ჰაირიეს ახალგაზრდები (მამაკაცები) გრძნობდნენ რა საკუთარ სივრცეში “უცხო ელემენტების” არსებობას, დაიწყეს “ხორუმისა” და “განდაგანას” (“კოლსომა”) შესრულება. ამით ცდილობდნენ სოფლის ქართული სივრცისთვის ხაზი გაესვათ და მიენიშნებინათ თურქი სიძისთვის, რომ ამ სოფელში დომინანტი ქართველია. ქართული ცეკვების ფონზე კი ადგილობრივი მოსახლეობა (მამაკაცები) სკანდირებდა “ტაში ჯოო”.

დღის კულმინაციას “ინის დადება” წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ “ინის დადება” განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ სად ტარდება და რომელი ეთნოსის წარმომადგენლები ატარებენ მას. ინას აქვს სხვადასხვა სახელწოდება “iplik kınası” (ინის ძაფი), “sivama” (წასმა), “kuşgözü” (ჩიტის თვალი). იგი მაჰმადიანურ სამყაროში ფართოდ

არის გავრცელებული. მას არა მხოლოდ სარიტუალო, არამედ კოსმეტიკური თუ სამკურნალო დანიშნულება გააჩნია (ამაგრებს თმის ძირებს და სპობს ქერტლს) ინა წითელი ფერისაა, ისევე როგორც პატარძლის სამოსი. წითელი ფერი ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში "მანათობელი ღვთაებების სიმბოლოდ" მიიჩნევა და "მათი თვისებების გამომჟღავნების გამოხატულებას წარმოადგენს". (ბარდაველიძე 1953, 130) მას მისტიკური ფუნქცია ენიჭება. ინას უსვამენ წრიულად, რგოლის სახით, რაც მნათობთა წრიულ ბრუნვას უკავშირდება. გარდა ამისა, ამ სარიტუალო წესს ავი თვალისგან დასაცავადაც მიიჩნევენ, კერძოდ, გ. გოცირიძის შეხედულებით, ქორწინების დროს მოსალოდნელი "სქესობრივი აქტის ჩაკეტვის", "ქალის უშვილობის თუ ვაჟის სქესობრივი უძლურების წინააღმდეგ მოქმედება მიეწერება". (გოცირიძე 1987, 85) აღნიშნული წესი არა მხოლოდ თურქეთელ ქართველებში, არამედ ფერეიდნელ ქართველებშიც შეინიშნება.

ჩვეულებისამებრ ინა ბიჭის ოჯახს მოაქვს. მას სანთელ ანთებულ, წითელ ნაჭერგადაფარებულ სპილენძის ან ვერცხლის ჭურჭელზე ათავსებს ქალი, რომელსაც მშობლები ცოცხალი ჰყავს. პატარძალს მისი თანატოლი გოგოები, ხელის გულზე (როგორც წესი ფეხებზეც, ზოგჯერ თავზეც) ინას უსვამენ. (იხ. სურათი 175-177)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ვინ ჩამოარიგებს და წაუსვამს ინას პატარძალს. იგი ბედნიერი უნდა იყოს თავის ქმარ-შვილთან ერთად (başı bütün). მსგავსი წესი იყო აჭარაშიც-დედოფლის მომზადებას დაოჯახებულ, ბედნიერ ქალს ანდობდნენ.

გარკვეული პერიოდის შემდეგ ინას აცილებენ და ხელებზე წითელ ხელთათმანს აცმევენ, თავად პატარძალიც პირბადე ჩამოფარებულ წითელ კაბაშია გამოწყობილი. კაბის ქვეშ შარვლის ფერიც წითელი უნდა იყოს. (იხ. ტაბულა 178-179) ძველად, აჭარაში ქალს წელზე შემოკრული ჰქონდა შალი. კაბის ზემოდან იცვამდა მონეტებით მორთულ ხავერდის ჩასაცმელს. იჭერდა ვერცხლის ქამარს. თავზე ეხურა "ჯერ ლეჩაქი, ზემოდან "კრონი". შემდეგ თავზე თასმით-"თორით", "იაზმას" მანდილს ამაგრებდნენ, რომელიც სახეს უფარავდა დედოფალს. თითებს შუა ეჭირა მოგრძო, ცხვირსახოცის ზომის თეთრი

ქსოვილი. (ბექაია 1974, 61) სახლიდან გაყვანის დროს კი, მის თავსაბურავს ემატებოდა მუყაოს ქუდი ანუ “ტვალი”/“დუალი-“დუვაკ” (ფატა) რომელსაც ახურებდა მამა ან ძმა. ქორწილის დროს მას ძმა ხანჯლით ხდიდა და ქალის დედამთილს გადაუგდებდა. ზოგჯერ მას სასიძოს მხრიდან რომელიმე ქალს “შემოკრავდა და დეიპირებდა”. (ბექაია 1974, 68) საინტერესოა, რომ მსგავსი რიტუალი შავშეთის, ყვირილას ხეობის საქორწილო ტრადიციებშიც შეინიშნება, მაგრამ აჭარისგან განსახვავებით, პირბადის მოხსნას მამამთილი, სიძე ანდა მაზლი ადასრულებდა “შავშეთის ქართულ მოსახლეობაში საინტერესოა პირბადის (ვალა) ახდის რიტუალი. დანის წვერით პირბადის ახდისას მამამთილი ეკითხება პატარძალს...ყვირილას ხეობაში კი ამ რიტუალს განსხვავებული ვარიაციით ასრულებს მაზლი...ჩამოფარებული პირბადის ახდას დანის წვერით ცდილობს სასიძოც, მაგრამ პატარძალის ახლობლები ვაჟს ამის საშუალებას არ აძლევენ მანამ, სანამ გარკვეულ თანხას არ გადაიხდის”. (შავშეთი 2011, 128-129) მსგავსი ტრადიცია აქვს აღწერილი თურქ მოგზაურს მეჰმედ არიფსაც, აღწერს რა სამსუნის ქართული სოფლების ქართველობას “პატარძალს სახლში შესვლისას სიძე მას სახეზე ჩამოფარებულ რიდეს ხსნის და იქ მყოფ გასათხოვარ გოგოებს გადაუგდებს”. (Arif, 2002, 53)

პატარძალს “ინის” დადებისას ნაღვლიან და ”სატირალ” თურქულ სიმღერებს უმღერიან, ხოლო როდესაც იტირებს, მის გარშემო იწყებენ ცეკვას. (თანამედროვე ყოფაში პატარძალი ტირილის სიმულაციას ახდენს). ეს ღამე ქალის ცხოვრებაში მნიშვნელოვანია, რადგანაც თავისიანებთან ერთად, როგორც ქალიშვილი მას უკანასკნელად ატარებს. ამიტომ იგი სავსეა ემოციებით. ბიჭის მხარე ვალდებულია პატარძალს ხელში ფული ჩაუდოს. არსებობს შემდეგი სახის ტრადიციაც, ინას დებენ წითელი ფერის კალათაში და სტუმრებს ურიგებენ. ზოგჯერ ხდება პირიქით, ჯერ სტუმრებს ურიგებენ, ხოლო შემდეგ პატარძალს უსვამენ ხელზე. ინა სხვადასხვა ფერის ქისაშია მოთავსებული. თეთრი კალათით კი სხვადასხვა სახეობის თხილს არიგებენ, რომელიც ასევე ქისაშია მოთავსებულია. (იხ. სურათი 180-183) მხიარულება გვიანობამდე გრძელდება და ძირითადად პატარძლის ახლო მეგობრები იღებენ მონაწილეობას.

ამრიგად, შიძლება ითქვას, რომ წარსულსა და თანამედროვებას შორის მაინც შეინიშნება განსხვავება. ადრე თუ აკრძალული იყო შერეული ქორწინებები, დღეს უკვე იშვიათობას აღარ წარმოადგენს, რაც გარკვეულ წილად საზღვრავს საქორწილო წესებს, რომლის ნათელ მაგალითს, ჩვენ მიერ დაფიქსირებული რიტუალი წარმოადგენს. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრისა და თანამედროვე “ინის წასმის” რიტუალს **საერთო აქვს**: 1. თურქული და ქართული მუსიკები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სოფლის უხუცესები გადმოქცემენ, წინა თაობებში, (გულისხმობენ 1877- 78 წლების მუჰაჯირ ქართველებსა და შემდგომ რამოდენიმე თაობას) არ ფიქსირდებოდა არანაირი თურქული სიმღერები გარდა ქართულისა. თუმცა წლების განმავლობაში ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ასიმილაცია განიცადეს. 2. ე.წ. “სატირალი” სიმღერები. 3. ინის წასმა. 4. ფულის ჩადება.

სახეცვლილია: 1. მიუხედავად იმისა, რომ ქალები და კაცები ცალკე მიირთმევენ საჭმელს, ცეკვით ერთად ცეკვავენ. 2. ადრე ჯერ მამაკაცები მიყვებოდნენ პროცესიას და შემდეგ ქალები, დღესდღეობით ამას მნიშვნელობა აღარ ენიჭება. 3. თოფის სროლაც უკვე იშვიათობაა.

ამ ნიუანსური განსხვავებების მიუხედავად, “ინის დადება”, როგორც წინა საქორწილო რიტუალი, მაინც სრულდება და ქალთა ერთგვარ მოლხენას წარმოადგენს.

“ინის დადება” ქორწილის (რელიგიური თუ სამოქალაქო) ბოლო საფეხურია, რომელსაც მოჰყვება “დასახლების” კულმინაცია-ქორწილი.

3.5. ქორწილი

ქორწილი, როგორც ოჯახის შექმნის მნიშვნელოვანი ეტაპი, თითქმის ყველა ერში გვხვდება, განურჩევლად იმისა, თუ რომელ სარწმუნოებას ეკუთვნის და სამოქალაქო თუ რელიგიური წესით აღასრულებს მას. საქორწილო ტრადიციის შემადგენელ ელემენტებზე, როგორც წესი ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ კონკრეტული ეთნოსისათვის დამახასიათებელი ადათობრივი სივრცე, არამედ რელიგია. აჭარის

მუსულმანი ქართველებისა და მუჰაჯირობის დროს თურქეთში წასულ ათასობით ადამიანის საოჯახო თუ საქორწინო ტრადიციებზე გავლენა მოახდინა, როგორც საერთო ქართულმა-კავკასიურმა, ისე მაჰმადიანურმა, თურქულმა გარემომ. საბოლოო ჯამში კი შედეგად მივიღეთ ქართულ-თურქულ-ისლამური ნაერთი.

ჰაირიეში ქორწილი ძირითადად აპრილში, მაისისა და ივნისის თვეებში იციან. უცხოეთში საცხოვრებლად თუ სამუშაოდ წასულები ცდილობენ ამ თვეებში ჩამოვიდნენ და “გამართონ” ქორწილი. ეს ის პერიოდია, როცა თურქეთსა თუ ევროპაში გაფანტული ნათესაობა ერთმანეთს ხვდება. აჭარაში ქორწილი გვიან შემოდგომაზე იცოდნენ, როდესაც მოსავალი აკრეფილი და “დაბინავებული” ჰქონდათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ინეგოლის ქართველთათვის დამახასიათებელი იყო და არის დღესაც ადრეულ ასაკში დაქორწინება, რაც თაობათა გაახალგაზრდავებას უწყობდა ხელს.

ქორწილი როგორც წესი იმართებოდა სოფელში, თუმცა ქალაქური ცხოვრების შემოჭრამ, საქორწინო ცერემონიალი ქალაქ ინეგოლის “სალონში” (სარიტუალო სახლი) გადაიტანა. თუმცა თანამედროვე ახალგაზრდები მაინც ცდილობენ დაიცვან ტრადიციები და ჯერ სოფელში გადაიხადონ და შემდეგ ინეგოლში გააგრძელონ მხიარულება. ძველად, როგორც ასაკოვანი თაობის წარმომადგენლები აღნიშნავენ, მტკიცედ იყო დაცული საქორწინო ტრადიციები.

ქორწილისთვის მზადება დილიდანვე იწყებოდა. სოფლის მოსახლეობა და სტუმრები დედოფლის სახლში მოდიოდნენ. როგორც წესი ქალები და კაცები ცალ-ცალკე იყვნენ. გაშლილ სუფრაზე ქართული კერძები მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა, რაც ეთნიკური სივრცის განცდას ქმნიდა.

ძველად სოფლის მოსახლეობა საერთო ლანგრიდან მიირთმევედა სადილს. თუმცა განსაკუთრებული სტუმრებისთვის ან შორი მანძილიდან მოსულთათვის, ჩანგალთან და კოვზთან ერთად ცალკე თეფშს აწვდიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს სუფრა გოგოს სახლში იშლებოდა, მის ხარჯებს სიძის ოჯახი ფარავდა.

ამ მნიშვნელოვან დღეს ბუნებრივია მონაწილეობას სოფელიც იღებდა და საკუთარი წვლილი შეჰქონდა თანასოფლელის გაბედნიერებაში. ნათესავ-მეზობლების თანამონაწილეობა “ტირილსა”და სიხარულში, საერთო ქართული ტრადიცია იყო და უმნიშვნელოვანესს მოვლენას წარმოადგენდა, რითაც სოფელი, ერთ მთელ ორგანიზმს ქმნიდა. სწორედ ამ თვისებით განარჩევენ იქაური ეთნიკური ქართველები საკუთარ თავს სხვა ეთნიკური ელემენტებისგან. თანასოფლელები ამზადებდნენ კერძებს, შლიდნენ სუფრას.

აზიზ ეფე-”ქორწილში მუსაფირებს საჭმელ მივცემთ, საჭმელები გაკეთდება, ვაჭმევთ ამაღამ აქ გაათენებენ გათენებამდე ისაქმებენ, მომსვლელი მოვლენ სტუმრები მოვლენ, ჭამენ სვენ გათენებამდე მემრე დილაზე ადგებიან წევლენ, რძალს მეიყვანებენ, ქორწილი დამთავრდება. სუფრას დეიკავებენ. თაბიი მაყარი მოყვებიან, რძალს მაყარი მოყვება წინ-წინ ისე იყო ახლა ძალიან იმფრად აღარ დარჩა. რომ მოყვებოდა მაშინ ჭამენ სმენ ყველას დუუდგემდენ საჭმელებს აჭმევდენ ისე დამთავრდებოდა ქორწილები.”

შუადღისას სიძის მხრიდან მამაკაცთა ერთი ჯგუფი გოგოს სახლში მის წამოსაყვანად მიდიოდა. აჭარაშიც, ქალის წამოყვანა საღამომდე უნდა მომხდარიყო. სიძე ამ საქმიანობაში მონაწილეობას არ იღებდა. მიდიოდნენ მაყრები, ბიძები, ძმები, ნათესავ-მეგობრები. მათ თან მიჰყავდათ ქალი ანუ “დადე”, რომელსაც პატარძლის წამოყვანა ევალეზოდა. ბუნებრივია მიჰქონდათ საჩუქრებიც. თურქეთში ”ქალის წამოყვანას” უწოდებენ -“Gelin Alma”, “kız alma”, “gelin götürme”.

წარსულში ქალი ცხენით მიჰყავდათ, თუმცა დღესდღეობით მას მანქანა ჩაენაცვლა. მეოცე საუკუნის 50-იან წლებში ჰაირიელები ტაქს ქირაობდნენ, დღეს კი ყველას საკუთარი მანქანა ჰყავს. მაყრონის გამოჩენისას, დედოფალი სამზარეულოში შედიოდა და ტირილით ემშვიდობებოდა ოჯახის წევრებს, ნათესავებს. ტირილის რიტუალი “ინის დადების” და ქორწილის დროსაც სრულდებოდა, რაც მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. მსგავსი მოვლენა შავშეთშიც შეინიშნება “...სრულდება დედის, მამისა და ქალიშვილის რიტუალური ტირილი. ტირიან ახლობლებიც. პატარძლის მამა ერთხელ კიდევ მოეფერება თავის ქალიშვილს..”. (შავშეთი 2011, 126) აღსანიშნავია, რომ

საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში, ქალის საკუთარ ოჯახთან გამოთხოვება და მისი ქმრისთვის ჩაბარება, სამზარეულოში, კერასთან ან დედაბოძთან ხდებოდა.

წარსულში მნიშვნელოვანი ტრადიცია იყო სიძის მაყრონისთვის გზის გადაკეტვა და ფულის გამორთმევა. ამ წესს “kapi harci” ანუ ”გზის გახსნას”, ”კარის ხარჯს”, უწოდებდნენ. მსგავსი მოვლენა აჭარაშიც ფიქსირდებოდა კერძოდ, დედოფლის წამოყვანისას, მას სკივრზე სვამდნენ, შემოყავდათ მამამთილი, რომელიც მის წამოყვანას ცდილობდა. ამ მომენტში პატარძლის ნათესავი ქალი მას თავზე ხელს ადებდა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მამათილს იგი უნდა დაესაჩუქრებინა. ამ ფულად საჩუქარს “მუძუს ფარა” ანდა “რძის ფარა” ეწოდებოდა. ბოლოს დედოფალი მიჰყავდათ კარისკენ, ამ დროს სრულდებოდა კიდე ერთი აუცილებელი რიტუალი-ქალის ძმა ან ბიძაშვილი გარედან კარებს კეტავდა და მამათილს ევაჭრებოდა. კარის გაღების თანხას “ქაფი ხარჯი” ანუ “კარდასამყრელო” ეწოდებოდა. თურქეთში მსგავსი მოვლენა “ქაფიჩექირმექი”-თ არის ცნობილი. “kapi harci”- ის რიტუალი შავშეთის ავტოქტონურ ქართველებშიც გვხვდება “დედოფლის მამისეული სახლიდან გამოყვანას წინ უსწრებს ე.წ. გარიგება-ვაჭრობა. საპატარძლოს მხარე მოითხოვს ყოჩს ან მისი ღირებულების თანხას, რომელსაც უმრავლეს შემთხვევაში რძალს დაუბრუნებენ (“რძლის სახელზე იქნება”). აქაურ ყოფაში დღემდე შემორჩა “სეისხანა”-კარის დაყრის რიტუალი. ბორჩხაში იგი “ყაფი ხარჯის” სახელითაა ცნობილი. ვაჟის მხარემ უნდა გადაიხადოს აგრეთვე “რძის წილი” (რასაც აჭარაში “მუძუს ფარას” ეძახიან)..” (შავშეთი 2011,127)

ამ თანხის გაღების შემდეგ, დედოფალი მიჰყავდათ. მეტად საინტერესო იყო ქალის წაყვანის ცერემონია- როცა ქალს მანქანაში სვამდნენ, სიძის მხრიდან ორ მამაკაცს ხელში ზეწარი ეჭირა და ქალს აფარებდა, (გადმოყვანის დროსაც იგივეს აკეთებდნენ) რათა პატარძალი ბოროტ ან შურიან თვალს არ გაეთვალა. საინტერესოა, რომ იმერხეველთა საქორწილო ტრადიციებშიც, ავი თვალისგან თავდაცვის მიზნით, ქალის მანქანიდან გადმოყვანისას შემდეგ რიტუალს მიმართავდნენ “სადედოფლო ტრანსპორტიდან (მანქანა, ცხენი) ჩამოყვანისას დედოფალს ფეხს დაადგმევინებდნენ წითელნაჭერგადაფარებულ ჩაბრუნებულ ქვაბზე. ქვაბი მურიანი უნდა იყოს. ამ

რიტუალში გამოიხატება სიმაგრისა (რკინისავით მაგარი) და ჯამრთელობის სურვილი. სიმბოლური დანიშნულება აქვს მურსაც. ამით ისინი პატარძალს იცავენ “ავი სულეზისა” და თვალის ცემისაგან”. (შავშეთი 2011, 126)

ქალი მანქანაში აუცილებლად მარჯვენა ფეხით უნდა შესულიყო და ამ დროს აუცილებლად კითხულობდნენ ლოცვას ყურანიდან. საინტერესოა, რომ მარჯვენა ფეხით შესვლის ტრადიცია საქართველოშიც გვხვდება-ქალი ახალ ოჯახში აუცილებლად მარჯვენა ფეხით უნდა შესულიყო, რათა არ დათარსულიყო. აჭარაში “კიბეზე დედოფალს პირველად მარჯვენა ფეხი უნდა შეედგა.....”. (ბექაია 1974, 65) შავშეთშიც “სახლში შესვლამდე პატარძალმა მარჯვენა ფეხის ერთი დარტყმით უნდა დაამტვრიოს ყავის ჭიქა”. (შავშეთი 2011, 127)

როგორც კი დედოფლის მანქანა წავიდოდა, რამოდენიმე ქალი სპილენძის ჭურჭლიდან წყალს გადააქცევდა და დაიყვირებდა “bereketli gitsin” ანუ უსურვებდნენ ბედნიერ მგზავრობას, ხვავსა და ბარაქას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ წყლის გადასხმა დღესაც შემორჩენილია სოფლის მოსახლეობაში, ისინი ამ რიტუალს მაშინ ასრულებენ, როცა მათი ოჯახიდან გასული სტუმრები ან ოჯახის წევრები, შორ გზაზე მიდიან. ამით მშვიდობიან მგზავრობას უსურვებენ.

წასვლისას გოგოს მამა კანფეტებს ესროდა, რათა ქორწილის გზა ტკბილი ყოფილიყო. ტკბილეულის თავზე გადაყრა ისტორიული შავშეთის საქორწილო ტრადიციებშიც გვხვდება, “მამისეული სახლიდან გამოყვანის წინ მამამთილი პატარძალს...თავზე გადააყრის შაქარს, ტკბილეულობასა და ხურდა ფულს”. (შავშეთი 2011, 126) ეს მოვლენა მრავალი ხალხის ყოფაშიც გვხვდება, რითაც ნეფე-პატარძლს ტკბილად დაბერებას უსურვებდნენ.

მანქანას წინ დაქირავებული მუსიკოსები მიუძღვებოდნენ. მათ ჯერ მამაკაცები მიჰყვებოდნენ, შემდეგ დედოფლის მანქანა, ბოლოს კი ქალები. თუ ქალი ჰაირიედან მიჰყავდათ, სოფლის ბიჭების ერთი ჯგუფი, მანქანას წინ გადაუდგებოდა და თანხას სთხოვდა. იგივე ჯგუფი, მანქანას სოფლის შემოსასვლელთანაც ხვდებოდა და გადასახადს ითხოვდა- “yer bastı para”, ეს იყო გადასახადი სოფლის საზღვრის

დარღვევისათვის. თუ ქალი სოფლის ერთი უბნიდან მეორე უბანში მიჰყავდათ, მაშინ მანქანას უბნის ზღურბლთან ხვდებოდნენ. გზის გადაკეტვის წესი საქართველოშიც ფიქსირდებოდა. აჭარაში ქალის ეზოდან გაყვანის დროს, სოფლის ახალგაზრდობა თოკით ან ჯოხით მათ გზას უღობავდა და გზის გახსნისათვის საჩუქარს ითხოვდა. იმერხველთა საქორწილო ტრადიციებშიც მაყრიონისათვის “გზის გადაკეტვა” უცხო მოვლენას არ წარმოადგენდა. როდესაც მანქანა სიძის ეზოში შედიოდა, ბიჭის მამა ჰაერში კამფეტებს და მონეტებს ისვროდა, რაც სიტკბოებასთან, სიუხვესა და კეთილდღეობასთან ასოცირდებოდა. ამ დროს სოფლის უხუცესი მამაკაცები, მღეროდნენ ქართულ სიმღერას “დედოფლის წამოყვანა”.

აზიზ ეფე-“ჩვენი ქართული ქორწილები ჩვენ ძველების წამოღებულია საქართველოდან და ჩვენც გაგონილი გვაქვს ძველებიდან სიმღერები. სანამ დედოფლის სიმღერის დაწყობამდე, ლეკის ხეზე, ორ დღის წინ წამოვაცვავთ ქადას-ხაჭაპურს, ჩვენი აჭარის ხაჭაპურებს, მოხარშულ ქათამს, შეწვირი ქათამი, მადარინი, ფორთაქალი, ვაშლი, სხალი იმას ზედა ყველაფერს ავსახავთ, მეფე წინ წავა, ერთ დროშა უკავია.”

საინტერესოა, რომ “დროშის დაკავება” სხვა არაქართულ სოფლებშიც აღინიშნება. საქორწილო დროშა სასიძოს მეგობრებს მოაქვთ მის სახლში. ზოგიერთ რეგიონში, დროშაზე ამაგრებენ ვაშლს, ნიორს, სარკეს. ეთნიკური ქართველებში დღესაც შემორჩენილია საქორწილო სიმღერები:



“დედოფალი მოგვყუავს

საჩუქარი რა გყავან

მუნანი, გახვლეკილი თხა ყავან”

(მისამღერი ო დელა დელია..)



“მაღლა სერზე სარაია,

რომ ამოვალ რავაია”

აზიზ ეფე–“მემრე დედოფალი ავაყნოთ უნდა, ცხენზე შავაჯდუნებთ, დედოფალი მოგვეყავსო, საჩუქარი რაგაქვსო ვეტყვით ბიჭის თარაფს. გენაცვალე მარია, ჩემი გული კვდარია, ორერაა ჰორერაა.. აბა დელი დელა.”

ქართული ცეკვები და სიმღერები განუყოფელ საქორწილო ელემენტს წარმოადგენდა. *აზიზ ეფე*–“ჩვენებური ქორწილი წინ –წინდელი, ემეს ვიტყოდით ჩვენ ოდელიას ვიტყოდენ ჩვენა, რაცხას თურლი თურლი ჩვენებურად. მეიყვანდენ გელინსა ხორუმ იცეკვებდენ, ჩვენებურად რძალსა გელინი თურქქეა.”.

როგორც წესი სრულდებოდა-“განდაგანა” (“კოლსამა” ცნობილია გურული და აჭარული განდაგანას სახელით), “ხორუმი”, “ჰოირამა”- “ღელე ჩევიარე, ჰოირამა, იქ მოვკრიფე ხვოზიკავო, ჰოი რამა, მოდი ბიჭო მო დუგვრათო.. დილივ, დილივ ჰოი რამა..ლამაზ გოგოს ხვოზიკავო..დილივ დილივ ჰოი რამა, დილივ რამა..ჰოი რაში რაში, რაში ჰოი რაში...” ამ სიტყვების თანხლებით ცეკვავდნენ მამაკაცები. (იხ. სურათი 184-188) თუმცა დროთა განმავლობაში, ქართულ სიმღერებს თურქული ჩაენაცვლა, მაგრამ მიუხედავად ამისა, დროსთან მიმართებაში მაინც შეინარჩუნა დომინანტური პოზიცია.

წინო ოქროსცვარიძე–“ქართული სიმღერები არის ქორწილში?”

ნებაათ თაიარი–“არი, ქართული სიმღერებიც არის დაკრაც არის, წინ-წინ რაცხა დუუნახავსნ დუსწავლიან სუყველაფერი არი”.

წინო ოქროსცვარიძე -“ეს მარტო ჩიფთლიქშია თუ სხვა ქართულ სოფლებშიც არის?”

ნებაათ თაიარი -“სუყველა სოფლებში არი.”

წინო ოქროსცვარიძე -“თურქული ტრადიციები გააქვთ გადმოღებული?”

ნებაათ თაიარი - "კი არი, ვინცხას თუ უნდა მისი ადეთს იქს. ჩვენ ამფრად გვინდა საიგი (პატივისცემა) არის იქს, რაცხაფრად უნდა იმფრად დავამთავრებთ."

ბუხარში თოფის სროლა, ეთნიკურ ქართველებში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. (მაგრამ ბევრი ჩივის, რომ მას ნელ-ნელა ივიწყებენ, სამაგიეროდ ეს წესი თურქებში შეინიშნება). აღნიშნული ჩვეულება საქართველოშიც გვხვდება, რითაც ბოროტ ძალებს აფრთხობდნენ. თოფის სროლის ტრადიცია საქართველოში არა მხოლოდ ქორწილის, არამედ საახალწლო დღესასწაულისა და ოჯახში ბიჭის დაბადების დროსაც იცოდნენ.

როდესაც პატარძალი მეუღლესთან მოჰყავდათ, ორი მამაკაცი, სახლიდან წამოყვანის მსგავსად, მანქანიდან ზეწარაფარებულს გადმოიყვანდნენ და კარებისკენ მიიყვანდნენ. სიძეც დედოფალს ეგებებოდა და სახლში ერთად შედიოდნენ. ამ დროს, ახალგაზრდა მამაკაცები მათ თავზე ხანჯლებს გადააჯვარედინებდნენ და შუაში ატარებდნენ. სწორედ ამ მომენტში სრულდებოდა შემდეგი რიტუალი:- ახალგაზრდები შესასვლელი კარების ზედა მხარეს აჭრიდნენ ხის ნაჭერს. ამით სიმბოლურად ბოროტებას კვეთავდნენ, რათა წყვილს მშვიდად თანაცხოვრება შესძლებოდა. ეს წესი საქართველოშიც შეიმჩნეოდა. წყვილს ატარებდნენ ხანჯლების ქვეშ, ხანჯლებს დაკრავდნენ შემოსასვლელი კარის თავხეს და ხანჯლით გადასერავდნენ მას.

ქალის გადმოყვანის დროს მეტად მნიშვნელოვანი წესი სრულდებოდა, პატარძლის ცხენს, ხოლო მოგვიანებით კი მანქანას, ცხვარს სამჯერ გარშემო შემოუტარებდნენ და ქალის ოჯახს უგზავნიდნენ, რათა დაეკლათ და სტუმრებისათვის მომდევნო დღეს ("paça günü") სადილი მოემზადებინათ. აღსანიშნავია, რომ ცხვრის სამჯერ შემოტარების რიტუალი არც აჭარლებისთვის ყოფილა უცხო. კერძოდ, პატარძლის ცხენიდან ჩამოყვანისას, მყრები მამამთილს თხოვდნენ "უზანგის საჩუქარს". "უზანგის საჩუქრის" სახით ყოჩს ამზადებდნენ, რომელსაც "დედოფლის ცხენს შემოუტარებდნენ გარშემო სამჯერ და იქვე კლავდნენ. შემდეგ კი წესად შემოსულა "პატიება"-დაკვლის მხოლოდ იმიტაციის შესრულება ყოჩის ყურის შეჭრითა და სისხლის გამოდენით". (ბექაია 1974, 65)

ცხვრის სიმბოლიკის გამოყენება თურქეთის ქართველებში, სხვადასხვა სახით შეინიშნებოდა, მაგალითად უნიეს ქართველებში ქალის ცხენიდან ჩამოყვანისას, მას ფეხთით ცხვრის ტყავს უგებდნენ, რათა ოჯახში ახლად შესული რძალი ცხვარივით დამყოლი და მორჩილი ყოფილიყო.

ამ ცერემონიის შემდეგ, სიძეს პატარძალი “ქორწილის ოთახში” (“gerdek odasi”) შეჰყავდა და სამკაულით ასაჩუქრებდა. შემდეგ გადიოდა და მეგობრებს დახმარებისათვის მადლობას უხდოდა. თურქული ტრადიციების მიხედვით, ასაკოვან ქალს ახლად დაქორწინებული წყვილი “საქორწილო ოთახში” შეჰყავდა, რათა ერთმანეთისათვის ხელი ჩაეკიდათ. სიძე აღავლენდა ლოცვანს, ხოლო შემდეგ კი პატარძალს სახეზე ჩამოფარებულ პირბადეს ხდიდა და ასაჩუქრებდა.

პარარელურად იწყებოდა ქალთა უმნიშვნელოვანესი ცერემონია- ოჯახის კერის გაცნობის მიზნით, ქალებს პატარძალი სამზარეულოში შეჰყავდათ, სკამზე დასვამდნენ და კალთაში პატარა ბიჭს (არა ნათესავს) სამჯერ ჩაუგორებდნენ, რათა მას ბიჭი გაეჩინა. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ქალი საკუთარი ოჯახის დატოვების და ახალ ოჯახში შესვლის დროსაც, სამზარეულოში ანუ “მუთფაღში” შედიოდა. იგი ცოლს მოზელავდა და მარჯვენა ხელს ან სახლის კერის ზედა მხარეს მიადებდა, რათა კვალი დაეტოვებინა, ან დედამთილის კაბაზე შეიმშრალებდა. ამით ხაზს უსვამდა დედამთილის დომინანტურ პოზიციას და მისდამი უსიტყვო მორჩილებას აცხადებდა. უნიეს ქართულ მოსახლეობაში, გავრცელებული ყოფილა შემდეგი ტრადიცია, როდესაც პატარძალი ახალ ოჯახში შედიოდა, მას ყურანს და პურს აძლევდნენ. ტრადიციად ჰქონდათ წყლით სავსე თასის მიცემა, რომელიც სვლით უნდა დაეცალა, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ საქმეები მომავალში წარმატებით წაუვიდოდა. ბოლუს ოლქში, ეფთენში (სოფელ ჰამამუსთუსა და ჰაჯიიაქუფის შემოგარენს ჰქვია) დედამთილი პატარძალს კარების წინ წყლით სავსე ჯამს უდგამდა, რომელიც უნდა გადაებრუნებინა ან ხელში კარაქს აძლევდა, რათა კერისთვის წაესვა.

სამზარეულოში ქალის შეყვანისა და ოჯახის, კერის გაცნობის ტრადიცია შავშეთის ქართველებშიც მნიშვნელოვანია “პატარძალს პირველად დედამთილი ესალმება, პირში

შაქარს ჩაუდებს, შეიყვანს “მუთფაღში”, ბუხარში (ბუხარს, კერას იქ “ოჯაღს” ეძახიან) ჩამოკიდებულ “მურიან” ჯაჭვზე ხელს მოაკიდებინებს, ან ფქვილში თუ ცომში ჩააყოფინებს და კედელზე, კერის თავზე (“ოჯალითავში”) ჩამოასმევინებს. პატარძალს ზოგჯერ ლურსამანსაც მიაჭედებინებენ. ბარაქიანობის სურვილის გამოსახატავად, ბელელში უყრიან პურის მარცვალს და ლოცავენ”. (შავშეთი 2011, 127)

ზემოაღნიშნული რიტუალები საქართველოსთვისაც უცხო არ ყოფილა. კერძოდ, აჭარაში რძალს “კალთაში ვაჟს ჩაუსვამდნენ-წლისთავზე შენც გეყოლოსო. ეს ბიჭი დედოფალს უნდა დაესაჩუქრებინა პერანგით ან ფულით. ამ საჩუქარს “საჯიფო” ეწოდებოდა”. (ბექაია 1974, 66)

ასევე საინტერესოა, რომ ახალი კერის გაცნობა საქარველოშიც გარკვეული რიტუალების ჩატარებით სრულდებოდა. კერძოდ, დედოფალს ჯერ მარანში ანდა სამზარეულოში შეიყვანდნენ. მას კერის გარშემო გაშლილ მაგიდას შემოატარებდნენ. “აჭარისათვის დამახასიათებლად გამოიყურებოდა ბუხრის კედელზე ხელის (ან ფეხის) სამჯერ ჩამოსმა და იქვე გამზადებული, გამომცხვარი ჭადის აღება-“არეკვა” კეციდან...კერის ჯაჭვზე –ხელის მოკიდება, პურის ცომში ხელის ჩაკვრა და ცომიანი თითების ჩამოსმა ბუხარზე ან კარის თავზე, თაფლში ხელის ჩაყოფა, ღომის მარცვლების მიმოპნევა კერის წინ, კერის ძირზე რძის მოსხმა..”. (ბექაია 1974, 66) მარცვლეულის მიმოპნევა, რძით ხელების დაბანა, მარანში ქვევრის თავზე ბრის დაკვრა და სხვ.

იმავე საღამოს ქალები სიძის სახლში იკრიბებოდნენ და ერთობოდნენ. შეექცეოდნენ “ფლავს”, “მაკარნას”, “ბორანს”, “კორკოტს” (ეს უკანასკნელი აუცილებლად უნდა ყოფილიყო სუფრაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში წყვილი უშვილოდ დარჩებოდა) “ჰასუთას” (სიმინდის ფქვილის ერბოიანი ფაფა), “ხორცს”, “hosaf”-ს (კომპოტი) “bekmez”-ს (ყურძნის წვენი) და სპეციალურად გამომცხვარ პურს “katmer”, “ლუხუმს”, “ბაქლავას”, “ბორეგს”, “ერიშტას”.

როგორც წესი პატარძლის დედა და ახლო ნათესავი ქალები ამ თავშყრას არ ესწრებოდნენ. საღამო პირზე პატარძლის ძმა აღასრულებდა წესს, იგი ხანჯლის წვერით

პირბადეს ხსნიდა დას, მას რამოდენიმეჯერ აგდებდა და სადედამთილოს ეკითხებოდა თუ რის მიცემას აპირებდა მისი დისათვის.

ნებათ თაიარი-”დედოფალი რო მოვიდოდა დედამთილს დუუძახებდენ რა უნდა აჩუქოვო, ისიც ძროხას აჩუქებდა, ყანას აჩუქებდა. ამის შემდეგ, სტუმრები ულოცავდენ პატარძალს და მის კაბას მონეტებს აკრავდენენ.”

რელიგიურ მომენტს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ამიტომ მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ. ორივე მხარის წარმომადგენელი, მოწმე (ნეფე-პატარძლის მშობლები ამ რიტუალს არ ესწრებოდნენ) იმამის გვერდით იხოქებდა, იმამი მიწაზე დანას არჭობდა და ალაჰს სთხოვდენ ქორწილი მშვიდად და ბედნიერად წარმართულიყო. ლოცვის შემდეგ, იმამი პატარძლის წარმომადგენლის მიმართულებით ტრიალდებოდა და ამბობდა “ალაჰისა და წინასწარმეტყველის სახელით თქვენ დაგამტკიცეს ჰუსეინის ქალიშვილის (ქალის მამა) წარმომადგენლად”. შემდეგ იმამი სამჯერ ეკითხებოდა “ალაჰის ბრძანებით აძლევთ თქვენს გოგოს?” წარმომადგენელი კი სამჯერვე პასუხობდა “ მონიჭებული უფლებით მე მივეცი იგი”. ამის შემდეგ იმამი ეკითხებოდა სიძის წარმომადგენელს “ალაჰის სახელით მიგყავთ გოგო?” ისიც სამჯერ დადებით პასუხს იძლეოდა. ბოლოს იმამი ამბობდა “ამინ” და იმეორებდენ ”ფათიჰას” (პირველი სურა ყურანიდან) ცერემონიალი მთავრდება ”şerbet“-ის სმით. (ხილის ტკბილი სასმელი) სადამო ჟამს სიძე სახლში ბრუნდებოდა და მეუღლეს ”საქორწილო ოთახში” უერთდებოდა. ისინი ერთად აღავლენდენ ლოცვას და ამით მთავრდებოდა ქორწილი.

ჰაირიეში, ისევე როგორც ზოგადად აღმოსავლურ სამყაროში, ქალიშვილობა მამაკაცის ღირსებასთან ასოცირდება. გოგოს უნდა დაეცვა თავისი უმწიკლობა, რათა არ შეებღალა ოჯახის მამაკაცებისა და თავისი მომავალი ქმრის ღირსება. იმისათვის, რომ ეს შეუბღალავი ღირსება, უმწიკლობა დაემტკიცებინათ, დილით ბიჭის ოჯახი პატარძლის მშობლებს საქორწილო ზეწარს უგზავნიდა. აღნიშნული ტრადიციის მიხედვით, სისხლის წვეთები ზეწარზე იმის მანიშნებელი იყო, რომ მან უმანკოება ქორწილამდე შეინახა. მაგრამ თუ პირიქით მოხდებოდა, მაშინ ეს დიდ შეურაცმყოფად და ღვთის

რისხვად ითვლებოდა. ამ შემთხვევაში მას უკან აგზავნიდნენ და ქორწინებაც ბათილად ცხადდებოდა. არსებული ტრადიცია ზოგად კავკასიურ და აღმოსავლურ სამყაროში მტკიცედ უნდა ყოფილიყო დაცული. უმწიკლობა რელიგიური თვალსაზრისითაც იყო გამტკიცებული. იგი ქალის ოჯახის მამაკაცებისა და მისი მომავალი ქმრის ღირსების უმნიშვნელოვანესს ელემენტს წარმოადგენდა, რომლის შებღალვა სიკვდილით დასჯასაც კი იწვევდა. მე-18 საუკუნის მოგზაური ადამ ოლეარიუსი აღწერდა რა ირანის მოსახლეობაში არსებულ პირველი ღამის ტრადიციას, შენიშნავდა “ძველად მიღებული წესის თანახმად, თუ ქალი ქალწული არ აღმოჩნდება, ვაჟს შეეძლო მისთვის ცხვირი ან ყური მოეჭრა და ისე გამოეგდო გარეთ”. (გოცირიძე 1987, 123)

ზოგად აღმოსავლურ და კავკასიურ სივრცეში პირველი ღამის რიტუალთან არის დაკავშირებული საქორწინო ზეწარი. რ. გალუნოვის მიხედვით, ირანის სოფლებში საქალწულო ზეწარს დოღზე გადაჭიმავდნენ და სოფლის გასაგონად ხმამალა უკრავდნენ, რათა მოსულიყვნენ და ენახათ. შუა აზიასა და ტაჯიკეტში გავრცელებული იყო “საქალწულე ზეწარის” დაგებისა და მზითევში “გამზევრების” წესიც. (გოცირიძე 1987, 124)

ძველად ინეგოლის ქართული სოფლების მაცხოვრებლებს შემდეგი სახის ტრადიციაც სცოდნიათ. მას “sofra tutulmasi” ანუ “სუფრის დაკავება” ეწოდებოდა. როგორც სოფლის მოსახლეობა აღნიშნავს, ეს მოვლენა ქართულია. ამ ტრადიციის მიხედვით, საღამო ხანს პატარძლის სანათესაოდან, რამოდენიმე მამაკაცი, სიძის სახლში სადილად მიდიოდა. ისინი მღეროდნენ და მასპინძელს განსაკუთრებულ კერძებს ანდა ხილს უკვეთავდნენ, რომელიც იმ სეზონზე აღარ იყო.

მეჰმედ თაიარი–“ახლა ბიჭის ახლოს ხისიმებიდან იმათ დუუძახებდენ იმათ რაცხებსა მოთხოვდენ, იქიდან კაცები ხეზე ეიყვანებდენ სუფრას დააკავებინებდენ აქ უნდა ჭამოს. აწვალეზდენ. იმფერ რაცხას მოთხოვდენ რომე იმ დროს ის რაცხა რომ არ არი.”

რადგანაც ისინი პატარძლის ნათესავები იყვნენ, მაქსიმალურად უნდა ესიამოვნებინათ. ხშირშემთხვევაში ინეგოლშიც კი მიდიოდნენ, რათა მათი გასაკუთრებული მოთხოვნები დაეკმაყოფილებინათ და თავი არ შეერცხვინათ.

საინტერესოა, რომ აღნიშნული ტრადიცია ძველად აჭარაშიც ყოფილა. მას “რუსუმს” უწოდებდნენ. “ქალის მაყრები აწვალებდნენ მასპინძელს...სუფრას უწუნებდნენ, ახალ-ახალ კერძებს მოითხოვდნენ. ამ მოთხოვნებს “რუსუმი” ეწოდებოდა....”რუსუმის” შესრულებამდე მაყრები სუფრას არ ათავისუფლებდნენ. ამიტომ ამ წესს “სუფრის დაკავება” ერქვა. საერთოდ რუსუმის უფლება ყველა მაყარს ჰქონდა, მაგრამ ძირითადად ერთი მაგიდა “კავდებოდა” მხოლოდ”. (ბექაია 1974, 67)

ქორწილის მომდევნო დღეს, პატარძლის თანატოლი გოგოები მასთან ერთად ატარებდნენ ნაყოფიერების რიტუალს. პატარძალი იცვამდა თავის საქორწილო კაბას, მისი თანატოლები იატაკზე ზეწარს აფენდნენ და პატარძალიც ქერს ან შაქარ შერეულ ხორბლის თესლს ფანტავდა. ეს რიტუალი სიმბოლურად ხორბლის დათესვას გამოხატავდა. ამასობაში იკითხებოდა ლოცვა ყურანიდან.

ქორწილის შემდეგ, მთელი კვირის განმავლობაში წყვილი და პატარძლის ოჯახი ერთმანეთის ნახვას გაუბრბოდა. გარკვეული დროის შემდეგ ცოლ-ქმარი ხელისმომკიდებებთან ერთად, პატარძლის სახლში სადილად მიდიოდნენ. ამ მოვლენას “ayak dönüşü” ანუ “ფეხის დაბრუნება” ეწოდებოდა. მსგავსს მოვლენას ადგილი აჭარაშიც ჰქონდა. ქორწილიდან რამოდენიმე ხნის შემდეგ, სიძე სურსათ-სანოვაგით სიმამრის ოჯახში მიდიოდა. ამ ტრადიციას “ფეხნაქცევი” ეწოდებოდა.

ჯერ პატარძალი შედიოდა და ამბობდა “bismillah” (არაბულად ნიშნავს ალაჰის სახელით) ჰკოცნიდა თავის უფროსს ნათესავს, რითაც გამოხატავდა პატივისცემას. პატარძალი ქალებთან ცალკე ოთახში მიდიოდა, სადაც დასხდებოდნენ, საუბრობდნენ და შეექცეოდნენ სადილს. კაცები სხვა ოთახში სხდებოდნენ და ჭამდნენ. ამ დროს იკითხებოდა -”მეველუდი”-(სულეიმან ჩელების პოემა, სადაც მოთხრობილია მუჰამედის დაბადების შესახებ. იგი იკითხებოდა ან სადილამდე ან მის შემდეგ) ამ შეხვედრის შემდეგ ორივე მხარეს ერთმანეთთან უკვე თავისუფლად სტუმრობა შეეძლო.

ამრიგად, ჰაირიესა და ინეგოლის ქართველებით დასახლებული სოფლების საქორწილო ტრადიციებმა მიუხედავად იმისა, რომ თურქული, ისლამური გავლენა განიცადა, მათში მაინც შემორჩა ზოგადქართული, უფრო ზუსტად კი აჭარული

ადათობრივი სივრცის ფუნდამენტური ელემენტები. რითაც ეთნიკური ქართველები განარჩევენ საკუთარ თავს, სხვა ეთნიკური ერთეულებისაგან, ანუ ახდენენ განსხვავებას-“ჩვენ” და “სხვები” .

3.6. ოჯახში ახალი წევრის დაბადება

აღმოსავლურ თუ კავკასიურ სამყაროში, ქალის მდგომარეობას ოჯახსა და საზოგადოებაში, განსაზღვრავდა ყავდა თუ არა მას შვილი. უშვილობა დიდ უბედურებად და ღვთის სასჯელად ითვლებოდა.

ჰაირიეში ქალი, რომელიც შვილს ვერ აჩენდა თავს დამცირებულად გრძნობდა. მაგრამ მისდამი პატივისცემა ოჯახში ორმაგად იზრდებოდა თუ ბიჭი ეყოლებოდა. ამიტომაც, პატარძალს ოჯახში შესვლისას ბიჭს უგორებდნენ კალთაში. ბიჭის დაბადების სურვილი არა მხოლოდ გვარის გაგრძელებას, არამედ მემკვიდრეობასა და საოჯახო მეურნეობაში მიხმარებასთან იყო დაკავშირებული.

სოფელში ფეხმძიმობას ბედნიერ მოვლენად და ღვთის წყალობად განიხილავდნენ. როგორც კი ქალი დაფეხმძიმდებოდა, ცდილობდა თავისი ნაყოფი შესაძლო საფრთხისაგან დაეცვა. კერძოდ, არ უნდა შეხვედროდა პირისპირ ფეხმძიმე ქალს ან ცხოველს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ჰაირიელები მიიჩნევდნენ, პატარა შესაძლოა რაიმე ფიზიკური ანდა გონებრივი ნაკლით დაბადებულიყო. ამ დროს მომავალი დედა დაუცველი იყო და ბოროტ თვალს შეიძლებოდა გაეთვალა-“თვალი სცემოდა”.

საინტერესოა, რომ ქალი არა მხოლოდ ფეხმძიმობისა და ბავშვის გაჩენის 40 დღის განმავლობაში, არამედ გათხოვებიდან 40 დღის განმავლობაშიც ავი თვალისაგან განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებდა. გათხოვების, ფეხმძიმობისა და ბავშვის გაჩენის შემდგომი რამოდენიმე კვირა, ქალისათვის რთულ პერიოდად მიიჩნეოდა როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, სწორედ ამის გამო, მისდამი

ფაქიზ დამოკიდებულებას იჩენდნენ. საქართველოშიც ქორწილიდან 40 დღის განმავლობაში პატარძალს არიდებდნენ უცხოსთან შეხვედრასა და არასასიამოვნო ამბის გაგებას. “არიდებდნენ მიცვალებულის დანახვას...ასევე არასასიამოვნოდ ითვლებოდა ორმოცი დღის მოყვანილი სხვადასხვა დედოფლების შეხვედრა. ამიტომ მეზობლები ცდილობდნენ უბანში ორმოცი დღის განმავლობაში ორი ქორწილი არ ყოფოლიყო. თუ ასეთი დამთხვევას მაინც ექნებოდა ადგილი, მოსალოდნელი ავადმყოფობისა, თუ უშვილობის თავიდან ასაშორებლად, თვალდახუჭულ დედოფლებს ნემსები უნდა გაეცვალათ, ან ერთი თეფშიდან დაელიათ წყალი...”. (ბექაია 1974, 71) ნემსების გაცვლის ტრადიცია, ბოლუს ოლქის, ეფთენის ქართველებით დასახლებულ მოსახლეობაშიც გვხვდება. მაგალითად, თუ ბავშვი ორმოცი დღის ჯერ არ არის და ერთმანეთს ორი მელოგინე შეხვდება, ანდა თუ მელოგინის სანახავად ახლად მოყვანილი რძალი მოვა, ორი ქალი ამ შემთხვევაშიც ქინძისთავებს უცვლის ერთმანეთს.

ძველად ჰაირიეში, ბავშვის გაჩენაში დედას ბებიაქალი ეხმარებოდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იგი არა მხოლოდ ბავშვის მოვლინებაში იღებდა მონაწილეობას, არამედ მასთან მთელი სიცოცხლის მანძილზე სულიერ კავშირს ინარჩუნებდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო გარკვეული სულიერი ნათესაობაც. ბებიაქალი პატარას აძლევდა დროებით სახელს, რომელსაც მარჯვენა ყურში სამჯერ ჩასჩურჩულებდა. ძირითადად რელიგიური სახელები იყო. თუმცა პატარა მუდმივ სახელს მესამე დღეს იღებდა. როგორც წესი, ჰაირიელთა ყოფისათვის დამახასიათებელი იყო უფროსი წინაპრის სახელის დარქმევა, რაც პატივისცემის ნიშნად განიხილებოდა. საქართველოშიც თითქმის ტრადიციად იყო და დღესაც ასეა, ბავშვისათვის ოჯახის უფროსი წინაპრის სახელის მიცემა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქული წესის მიხედვით სახელთა დარქმევა სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხდება. კერძოდ, სახელი შეიძლება იმის მიმანიშნებელი იყოს, თუ რომელ პერიოდში დაიბადა ბავშვი, მაგალითად ბაირამი (დღესასწაული), შაფაქი (გათენება), ბაჰარი (გაზაფხული), რამაზანი (მუსლიმანთა დღესასწაული) ანდა მშობელთა ემოციებს გამოხატავდეს. მაგალითად, სონგული (უკანასკნელი ვარდი), იეთერი (საკმარისი, როცა მშობლებს სურთ, რომ იგი ბოლო შვილი იყოს) ასევე ქართველების მსგავსად, ბავშვს ოჯახის უფროსი წინაპრის სახელსაც

არქმევენ. თურქულ სოფლებში ტრადიციის მიხედვით, პატარას სახელს იმამი ანდა ოჯახის უფროსი წევრი არქმევდა. იმამი ან ოჯახის უფროსი ბავშვს მექას (kible) მიმართულებით იჭერდა, მარცხენა ყურში ყურანიდან ლოცვებს უკითხავდა და სამჯერ უმეორებდა სახელს. მაშინ როცა, ჰაირიეში ბებიაქალს ენიჭებოდა ეს უპირატესობა.

ძველად ინეგოლის ქართული სოფლის მოსახლეობის ცხოვრებაში, როგორც მოხუცები იგონებენ, შემდეგი ტრადიცია არსებობდა, კერძოდ ბიჭის დაბადებიდან ერთი კვირის შემდეგ, დედა და ნათესავი ქალები, აწყობდნენ წვეულებას, რომელსაც “პოპიობას” უწოდებდნენ. მაგრამ გოგოს დაბადების ანდა ოჯახში უახლოეს წარსულში გადატანილი ტრაგედიის შემთხვევაში, რიტუალი შემდგომი ბავშვის (ბიჭის) დაბადებამდე გადაჰქონდათ. როგორც თავად აღნიშნავდნენ “ეს ქართული ტრადიცია იყო. რადგანაც იგი თურქებს არ ჰქონდათ”. მეზობელი თუ ნათესავი ქალები დედის სახლში იკრიბებოდნენ, რათა ბავშვის დაბადება აღენიშნათ. აკეთებდნენ ტრადიციულ ფლავს და ამ დღისათვის იკვლებოდა ცხვარი. უნდა აღინიშნოს, რომ მაჰმადიანებშიც შეინიშნება წესი სახელად “აქიქა ყურბანი”, რომლის მიხედვითაც ბავშვის დაბადებისას სასურველია ცხვარი ანდა მოზვერი დაიკლას. შესაძლოა წარსულში ჰაირიელ ქართველებში გავრცელებული “პოპიობა” და მაჰმადიანური ტრადიცია “აქიქა ყურბანი” ერთიდაიგივე ყოფილიყო. მაგრამ ქართველებში იგი “პოპიობის” სახელით იყო ცნობილი, გარდა ამისა “პოპიობას” მხოლოდ ბიჭის დაბადებისას აწყობდნენ, ხოლო “აქიქა ყურბანის” დროს კი, სქესს მნიშვნელობა არა აქვს.

ჰაირიელები გოგოს დაბადების შემთხვევაში, ფაფას, ხოლო ბიჭის დაბადებისას ფლავს ამზადებდნენ. სტუმრები ასაჩუქრებდნენ დედას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქულ ყოფაში დედამთილი ვალდებულია რძალს ოქროს ბრასლეტი აჩუქოს. (ზოგჯერ ბიძა ანდა დედამთილი ახლად დაბადებულ გოგოს ასაჩუქრებს ოქროს ბრასლეტით).

პირველი სამი დღის განმავლობაში მხოლოდ ახლო ნათესავებს შეუძლიათ მათი მონახულება, ხოლო შემდეგ კი ყველა დანარჩენს. ანატოლიაში ასეთი ტრადიციაც კი არსებობს, კერძოდ, ახლად დაბადებულების სახელზე ირგვება ხეები. გოგოს დაბადების

შემთხვევაში რგავენ წაბლისა და თუთის ხეებს, ხოლო ბიჭის დაბადებისას კი ალვისა და ფიჭვის ხეებს. ბიჭის შემთხვევაში ამ რიტუალს გარკვეული ინვესტიციის გაღების სახე ეძლევა.

ქალი მშობიარობიდან 40 დღის განმავლობაში უწმინდურად ითვლებოდა. იმის გამო, რომ ბავშვს რძეს აძლევდა გარკვეული წესები უნდა დაეცვა. კერძოდ, არ უნდა გაეკეთებინა საჭმელები, არ უნდა ეჭამა ცხარე საკვები, რადგანაც შეიძლებოდა პატარას ორგანიზმში მოხვედრილიყო. თავი უნდა აერიდებინა პირისპირ შეხვედროდა ახლად ნამშობიარებ ადამიანს ან ცხოველს, ამას იმით ხსნიდნენ, რომ პატარას ფეხის ადგმისას პრობლემები შეექმნებოდა. დედასა და შვილს სახლში მარტო არ ტოვებდნენ, რადგანაც დაუცველებად მიიჩნევდნენ, მაგრამ ეს თუ მაინც მოხდებოდა, მაშინ კარებთან დებდნენ ცოცხს ან რკინის ცეცხლის საჩხრეკს. ცოცხი სისუფთავის სიმბოლო იყო, ხოლო რკინა კი სიძლიერესთან ასოცირდებოდა. მათი რწმენით ორივე “ნაზარს” ანუ ბოროტ თვალს ხელს შეუშლიდა. დედა პატარას ტანისამოსზე უმაგრებდა ავი თვალისაგან დამცავ ამულეტს.

ამ 40 დღიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, მე-40 დღეს, ტარდებოდა დედისა და შვილის განბანვის რიტუალი. ამ რიტუალს ეწოდება “kırklama” ანუ განბანვა, რის შემდეგაც იხსნებოდა მანამდე არსებული ყველანაირი ტაბუ.

ქალის დედა მოვალე იყო პატარასათვის საჭირო ნივთები მიეტანა. გოგოს მშობლებს ევალებოდათ პირველი შვილიშვილისათვის “აკვანი გაეწყოთ”. **ნებაათ თაიარი-** *“ძველებური აკვანები გვაქ, იქიდან მოსული კაცების გაკეთებულისა, მაშინდელი უსტიების, აქ გაკეთებულისა ბაღანა რომ დუნიაზე მოვიდოდა ქალის ანეი აკვან გუუწყობდა მუუტანდა, ახლა მობილი არის.”* საქართველოშიც გოგოს მხარე ვალდებული იყო პირველი ბავშვისათვის აკვანი ანუ “ხოჭიჭი” მოემზადებინა. “ქორწილის შემდეგ მშობლებს გათხოვილი ქალიშვილისადმი ევალებოდათ აკვნის-”ხოჭიჭის” გაგზავნა პირველი ბავშვისათვის. ამით ამოიწურებოდა მათი ვალდებულებანი ქალიშვილის მიმართ”. (ბექაია 1974, 71)

აღსანიშნავია, რომ აკვანი ინეგოლის ქართველებით დასახლებულ მთელ რიგ სოფლებში დღესაც არის შემორჩენილი. ბუნებრივია, მას უკვე აღარ აქვს თავისი უწინდელი დანიშნულება, რადგანაც ეს უკანასკნელი თანამედროვე საბავშვო საწოლებმა შეცვალეს, მაგრამ ძველ, წინაპართა მიერ ხელით გაკეთებულ აკვნებს მაინც ინახავენ. ამით ერთგვარ სულიერ კავშირს ამყარებენ წინაპრებთან და მათ ხსოვნას ამგვარად მიაგებენ პატივს. *აიშე ერგუნი “უწინდელი ბევრი რაცხები იყო, ამა ახლა აღარ არის. მე ერთი მყავს, იმანაც სამი ბაღვი გაზარდა ამაში.*

ტრადიციულად აკვანს შემდეგნაირად აკეთებდნენ: ხელის მოსაკიდებელი გრძელი ხე უნდა ყოფილიყო ნაძვისგან გამოთლილი, გვერდები ცაცხვის, ხოლო თავთან და ფეხებთან მომრგვალო თალი კი ბზა. შუაში მოსასაქმებლად დებდნენ ქოთანს ანუ როგორც უწოდებდნენ “ხარვეზას”. გარწევსას ბავშვი რომ არ გადმოვარდნილიყო უჭერდნენ “არტახებს”. *(იხ. სურათი 189)*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძველი აკვნები აღარ გამოიყენება იგი მხოლოდ ოჯახის რელიქვიას წარმოადგენს. ზოგიერთ სოფელში, ქართველები აკვნის ფუნქციით, იყენებენ ჭერზე თოკებით მიმაგრებულ, ნაჭრისგან გაკეთებულ ჰამაკს. *(იხ. სურათი 190)*

3.7. წინადაცვეთა

ისლამური წესის მიხედვით, როცა ბიჭს 6, 7 წელი შეუსრულდება (2 დან 14 წლამდე უნდა ჩაუტარდეს წინადაცვეთა) ოჯახი რიტუალისათვის ემზადება. იწყებენ ”ქირვეს” ანუ ნათლის ძიებას, რომელიც ბავშვის გვერდით მთელი ცხოვრების მანძილზე იქნება და დაეხმარება. როგორც წესი, ”ქირვე” სოციალურად და ფინანსურად შეძლებული უნდა იყოს. ჩვეულებისამებრ, მოსავლის აღებისა და დაბინავების შემდეგ ატარებენ ამ აუცილებელ რიტუალს, პატიჟებენ თანასოფლელებს, ნათესავებსა და მეგობრებს.

ძველად წინადაცვეთის დღეს, ქალები და კაცები ბიჭის სახლში იკრიბებოდნენ, იმამისა ან ჰაფიზის (რომელმაც იცის ყურანი) დახმარებით ცალ-ცალკე კითხულობდნენ

მეველუდს (პოემა მუჰამედის დაბადების შესახებ) დღესდღეობით, თუ ოჯახი ეკონომიკურად შეძლებულია, მაშინ წინადაცვეთა სახლის მაგივრად სასტუმროში ანდა სარიტუალო დარბაზში ტარდება. ბავშვი შემოსილია თეთრი ტანსაცმლით, მოსასხამითა და ქუდით, რომელზეც აწერია “Maşallah” (ღმერთმა დაიფაროს) და ხელში სკიპტრა უკავია. მშობლები რთავენ შვილის ოთახსა და საწოლს, მხიარულებისათვის ყველა პირობას უქმნიან, თანატოლებთან ერთად ეტლით ანდა მანქანით ასეირნებენ. მუსიკაც ამ რიტუალის თანმხლები ელემენტია.

როდესაც ”მეველუდის” კითხვას ასრულებენ, კაცებს ბავშვი სახლში შემოჰყავთ და ამბობენ ”allahü ekber” “დიდია ალაჰი”. შემდეგ შედიან ”კაცების ოთახში”, პატარას ხდიან ქუდს, ტანსაცმელს და თეთრ სამოსს აცმევენ. ”ქირვე” მკლავებს, ხოლო სხვები კი ფეხებს უკავებენ და სასქესო ორგანოდან კანს აჭრიან. იმის გამო, რომ ეს პროცესი პატარაში გარკვეულ ტკივილსა და შიშს იწვევს, კაცები ცდილობენ სხვა რამეზე გადაატანინონ ყურადღება. უხვევენ ჭრილობას, ხვერდით მორთულ ლოგინში აწვენენ, ულოცავენ და გვერდით ფულს უდებენ. ყველა მართლმორწმუნე მუსულმანი ბიჭი ვალდებულია ჩაიტაროს წინადაცვეთა. ამით მაჰმადიანურ სამყაროში შესასვლელად პირველ ნაბიჯს დგამს და მეჩეთში კაცებისათვის განკუთვნილ ნაწილში ყოფნის უფლება ენიჭება. გოგოებისათვის მსგავსი რიტუალი არ არსებობს. მათთვის ყოველდღიური ლოცვების კითხვა 9 წლის ასაკიდან ხდება სავალდებულო.

3.8. გარდაცვალება

ქორწილის, დაბადებისა თუ სიკვდილის სარიტუალო წესები განპირობებულია არა მხოლოდ ტრადიციული, არამედ რელიგიური თვალსაზრისითაც.

გარდაცვალება სიცოცხლის განუყოფელ და გარდუვალ ასპექტად მიიჩნევა. ბევრი წინასწარ ემზადება ამ დღისათვის, გადადებს გარკვეული რაოდენობის თანხას, ყიდულობს მიწას სასაფლაოზე. ისლამში საპატიოა შაჰიდად სიკვდილი. მიაჩნიათ, რომ მისი სული პირდაპირ სამოთხეში მიდის.

ჰაირიეში გარდაცვალების რიტუალი რელიგიური ტრადიციებით ხორციელდებოდა. როგორც სოფლის მოსახლეობა განმარტავს, სიკვდილის პირას მყოფი ადამიანის ნათესავები და სოფლის იმამი მისსავე ოთახში იკრიბებოდნენ, სულისათვის ლოცულობდნენ, მონანიებდნენ ცოდვებს, ალაჰს შენდობას სთხოვდნენ და წარმოსთქვამდნენ “არ არის სხვა ღმერთი გარდა ალაჰისა, ხოლო მუჰამედი კი მისი წინასწარმეტყველია.” ისინი მომაკვდავს არ სთხოვდნენ ამ სიტყვების გამეორებას, რადგანაც ნათქვამი რომ ვერ დაემთავრებინა–“არ არის სხვა ღმერთი...”იგი შესაძლოა რწმენის გარეშე მომკვდარიყო. მომაკვდავისათვის ტკივილის შემსუბუქების მიზნით, იკითხებოდა “ია სინ”-ი (36-ე სურა ყურანიდან). გარდაცვალების შემდეგ, მას ლოგინიდან იღებდნენ და სხვა ოთახში, ხალიჩაზე სახით მექისკენ აწვენდნენ. ხდიდნენ ტანისამოსს, ნიკაჰს და ფეხებს კოტონის თეთრი ნაჭრით უკრავდნენ, გვერდით უწყობდნენ ხელებს, თვალებს ღიად დარჩენის შემთხვევაში, უხუჭავდნენ. შიშველ სხეულს თეთრ ნაჭერში ახვევდნენ და დანას გულზე ადებდნენ. (მიაჩნდათ, რომ დანა გასიებას უშლიდა ხელს და ამავდროულად რკინა ბოროტ სულებს აფრთხოვდა) შემდეგ მოდიოდა იმამი და თავიდან ბოლომდე კითხულობდა ყურანს. წესის მიხედვით, ადამიანი იმავე დღეს მზის ჩასვლამდე უნდა დამარხულიყო, მაგრამ თუ ნათესავები, ოჯახის წევრები შორი მანძილიდან მოდიოდნენ ანდა შუადღისას გარდაიცვლებოდა, მაშინ მეორე დღეს მარხავდნენ. სხეული გაჰქონდათ გარეთ “taharet”- ისათვის ანუ “განსაწმენდელად”. (იმამი განზანა მამაკაცებს, ხოლო ქალი კი ქალებს) ჰაირიეში მეტად საინტერესო დატირებაა გავრცელებული. “ჩემო დაო, რათვინ ასე მალე მომითავე ჩემი დუნია, ჩემო დავ”.



” ჩემო დავ, რათვინ გამომიშპი ამ დუნიადან ასე მალე ჩემო დავ,

ჩემო დავ, შენს უკან რაღათმინდა სიცოცხლე ჩემო დავ,

რათვინ გიმიშვი ეს დუნია ჩემო დავ ტყვილად, ჩემო დავ,

ჩემო დავ, შენს უკან რა უნდა ვქნა მე ტყუილ დუნიაზე ჩემო დავ”.²⁴

რელიგიური მრწამსის თანახმად, თუ ადამიანი განბანვის გარეშე დაიმარხებოდა, მას სამოთხეში შესვლის ნება არ ეძლეოდა. ქალი, რომელიც განბანდა მიცვალებულს, ვერ შეასრულებდა ბებიაქალის ფუნქციას. რადგანაც დაბადებისა და გარდაცვალების არევა აკრძალული იყო. განბანვის პროცესისათვის წყლის გასაცხელებლად, საწვავად იყენებდნენ წიფელს, მუხასა და სხვა ფოთლოვან ხეებს, რომელიც სიცოცხლესთან, დასასრულსა და ხელახლა დასაწყისთან ასოცირდებოდა (ფოთლოვანი ხეები გარკვეულ პერიოდში იძარცვება, მაგრამ გაზაფხულზე ისევ იმოსება) მას შემდეგ რაც მიცვალებული სამჯერ განიბანებოდა, სხეულის ღია ადგილებზე, ქაფურში ამოვლებულ კოტონის ნაჭერს ადებდნენ და გვამს ქაფურიან, კვლიავის თესლიან სუდარაში ათავსებდნენ, სუდარას თავიდან ფეხებამდე კრავდნენ და ხის სასახლეში დებდნენ. ამის შემდეგ, იმამი, ნათესავები და მეგობრები ლოცულობდნენ და სასახლე მეჩეთში მიჰქონდათ. სახლის წინ სამჯერ ჩერდებოდნენ. სოფლის გზაზე მამაკაცები სასახლეს რიგრიგობით იკავებდნენ, რითაც გარდაცვლილის მიმართ პატივისცემას გამოხატავდნენ. პროცესის დროს წინ არავინ მიდიოდა, სასახლის წაღებისას კი უკან არასოდეს იყურებოდნენ, რადგანაც სჯეროდათ, რომ უკან მოხედვას შესაძლოა კიდევ სხვისი სიკვდილი გამოეწვია. მეჩეთში, სასახლეს დებდნენ ქვაზე-“musalla taşı” (მეჩეთში სპეციალური ქვაა, რომელზედაც მიცვალებულს ასვენებენ), იკითხებოდა ლოცვა “cenaze namazi”. ქალებს მონაწილების მიღება ეკრძალებოდათ. მიცვალებულს მექას მიმართულებით, წინასწარ მომზადებულ საფლავეში ათავსებდნენ. ყველა ტოვებდა საფლავს, რჩებოდა მხოლოდ იმამი, რომელიც უგებდა წესს (telkin)

როგორც სოფლის უხუცესმა განმიმარტა, ძველად ჰაირიეში შემდეგი წესი ყოფილა გავრცელებული, კერძოდ, თუ გარდაცვლილი მამაკაცი ოჯახის უხუცესი იყო, შემოსასვლელთან ანდა მიწაში მისი სახლის ქვეშ (სხეულის ქვეშ) იდგმებოდა ხის ბოძი და იქამდე რჩებოდა სანამ მიცვალებულს არ გაასვენებდნენ.

²⁴ აღნიშნული დატირება, აუდიო საშუალებით, ჩვენ მიერ 2009 წლის მივლინების დროს იქნა ჩაწერილი.

თურქეთში საფლავები, მათ შორის ქართველებისაც განსხვავებული იყო. საფლავი შეიძლება ყოფილიყო სახლის ქვეშ, ყორღანული, ქვის, სარქოფაგი, გუმბათიანი, აკლდამა, მავზოლეუმი (kümbet, türbe), საგვარეულო თუ ინდივიდუალური. წესის მიხედვით, ახლად დასაფლავებულის საფლავზე არჭობენ წარწერიან ხის ანდა რკინის პატარა ბოდს. ხოლო წლისთავზე უკეთებენ საფლავის ქვას. (იხ. სურათი 191-193, 197)

აღსანიშნავია, რომ ეთნიკურ ქართველთა საფლავის ქვებზე, შეინიშნება იდენტობის გამოვლინების ცალკეული ნიშნები, კერძოდ, დაბადების ადგილი, მაგალითად "ბათუმი", წარმომავლობა "Batumlu" (11⁴ -სუფიქსი თურქულში სადაურობას გამოხატავს), ლათინური ასოებით დაწერილი ქართული გვარი. (იხ. სურათი 194-196)

დღის განმავლობაში გარდაცვლილის ახლობლები მიდიოდნენ მის სახლში და კითხულობდნენ "ya sin". სოფლის მოსახლეობას სწამდა, რომ ორმოცდამეთორმეტე ღამეს გარდაცვლილის სხეული ტოვებდა ძვლებს. ამის გამო, ოჯახი იწვევდა სოფლის იმამს და იკითხებოდა "ორმოცდამეთორმეტე ღამის ლოცვანი", რითაც ალაჰს გარდაცვლილისათვის ტკივილის შემსუბუქებას სთხოვდნენ.

თავი 4. ეთნიკური თვითაღქმის საკითხის გააზრებისთვის ჰაირიესა და ინეგოლის ქართველებში

ვიდრე ამ საკითხს განვიხილავთ, საჭიროდ მიგვაჩნია განვმარტოთ ერის ცნება, რა ძირითადი ელემენტებისაგან შეესდგება იგი და რა არის მისი, როგორც ცოცხალი, კონკრეტული და არა აბსტრაქტული ორგანიზმის არსებობის პრინციპები.

მე-19 მე-20 საუკუნის ეროვნული მოძრაობის უმთავრესს ფუნდამენტს შეადგენდა-მამული, ენა, სარწმუნოება. მამული - ტერიტორია, სადაც თვისობრივად, ფიზიკურად თუ სულიერად საუკუნეთა განმავლობაში ფუძნდებოდა ერი. ენა-რომლის მეშვეობითაც აზროვნებდა და სარწმუნოება-რითაც კავშირს ამყარებდა უმაღლეს გონთან. ილია ჭავჭავაძე, განიხილავს რა ეროვნულ საკითხს, აღნიშნავს, რომ არც ერთობა ენისა და არც

ერთობა სარწმუნოებისა ისე არ შეამსჭვალე ადამიანებს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. მარქსისტების თეორიის მიხედვით, ერი ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა იყო, წარმოშობილი ოთხი ძირითადი ერთობის ბაზაზე- ენა, ტერიტორია, ეკონომიკური ცხოვრება და ფსიქიკური წყობა. შემდგომში მათ დაემატა მეხუთე კომპონენტიც-განკერძოებული ეროვნული სახელმწიფოს არსებობა. ი. სტალინი თავის ნაშრომებში “ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი”, “მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი”, განიხილავს რა ერის წარმოშობის საკითხებს, აღნიშნავს, ”ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და ფსიქიკური წყობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაც კულტურის ერთობა”. (სტალინი 1951, 23)

ზოგიერთი კი მიიჩნევდა, რომ “ერი არის ერთი სოციალური სუპერ-ორგანიზმი ანუ ჰიპერ ორგანიზმი (ტარდის სიტყვით), შემდგარი ერთგვარი ანუ მრავალგვარი ეთნიური და სოციალური მასალისაგან, რომელსაც შეუძლიან ჟამთა ვითარებაში შექმნას, ერთი გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება თავისი შემადგენელ ერთეულთა, ერთი საზოგადოება ყველა თავისი ორგანოებითა, ენითა, სარწმუნოებითა, მეცნიერებითა, ზნეობითა, ხელოვნებითა, სამართლითა და პოლიტიკითა, საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიითა, ტიპითა და თვითშეგნებითა” (წერეთელი 1990, 106)

ამრიგად, ერი კომპლექსურად უნდა განიხილებოდეს. მისი, როგორც კონკრეტული, სოციალური და ისტორიული ინდივიდის არსებობის უმთავრესს ელემენტებს წარმოადგენს-ტერიტორია, ენა, ეკონომიკური წყობა, გენეტიკურ-ანთროპოლოგიური ტიპი, სულიერი და ისტორიული კოჰეზია, რომელიც თავის მატერიალურ და ამავედროულად აბსტრაქტულ (სულიერ) გამოხატულებას კულტურასა და ტრადიციებში ჰპოვებს. ერს არა მარტო ფიზიკური და სულიერი, არამედ საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, გააჩნია უფლება თავისუფალი არსებობისა. “თუ საბუთია საჭირო “კაცობრიობის” წინაშე თავისუფალი არსებობის უფლების მოსახვეჭად, აი ეს საბუთიც: განსაზღვრული კოჰეზიის მქონე სოციალური ორგანიზმი, ისტორია,

კულტურა...განსაზღვრული უფლება, ნამდვილი და მართალი მომქმედი საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით” . (წერეთელი 1990, 237)

ერის ცენტრში დგას ადამიანი, რომელიც თავისი არსებობის ყოველ მომენტში ახდენს იდენტობის გააზრებას. დე ვოსის განსაზღვრების მიხედვით, ეთნიკური იდენტობა, ხალხის მიერ საკუთარი კულტურის სუბიექტურ-სიმბოლური გამოხატულებაა, რითაც განარჩევს საკუთარ თავს სხვებისაგან. ბერძნულად “ეთნოსი” აღნიშნავს ხალხს, ზნით და ჩვეულებით გამოყოფილს, გამორჩეულ ერთობას. “ბერძენი ზნით და ჩვეულებით განსხვავებულს ეძახდა ეთნოსს და გამომდინარე აქედან თავს უწოდებდა ელინს. ზნითა და ჩვეულებით განსხვავებულ სხვა ეთნოსს კი ეძახდა ბარბაროსს”. (ბუხრაშვილი 2005, 17)

მაგრამ საინტერესოა, თუ როგორ არის ეს საკითხი დაყენებული ქართულ რელობაში. “ქართველურ (თამამად შეიძლება ითქვას ზოგადკავკასიურ) შემეცნებაში კი სხვა ხალხის, სხვა ჯიშის, სხვა მოდგმის აღსანიშნავად, წარმომავლობით-ნათესაური ნიშნით განსხვავებულობაა აღიარებული. ჩვენ კაცობრიობის დანარჩენი ნაწილისაგან თავს გამოვიცალკევებთ მოდგმის, ჯიშის, სისხლითნათესაობითი ერთობლიობის საფუძველზე, რაც თავის მხრივ, ზნის და ჩვეულების სხვაობასაც გულისხმობს; თუმცა ჩვენივე მსგავსი ზნე და ჩვეულება სხვასაც შესაძლებელია გააჩნდეს. ამდენად ზნე და ჩვევა ჩვენთვის თავის გამოსაცალკევებლად ძირეული არ არის...”ნათესავით ქართველის” ცნება, რომელიც ღერძულ ხაზად გასდევს ზოგადქართველური ერთობის მთელი თანაცხოვრების რამდენიმე ათასწლოვან ისტორიას” . (ბუხრაშვილი 2005, 17-18) ე.ი. ქართველი თვითიდენტიფიკაციას ძირითადად გენეტიკური თვალსაზრისით ახდენს. ეს ძალიან კარგად ვლინდება თურქეთში მცხოვრებ ქართველებში, რომლებიც საუბარში ამბობენ “მე ვარ გურჯი”. ამით ისინი ხაზს უსვამენ თავიანთ გენეტიკურ-ეთნიკურ კუთვნილებას, რითაც გამოაცალკევებენ საკუთარ თავს სხვებისაგან.

საუკუნეთა განმავლობაში “ნათესავით ქართველნი” ხშირად იხლიჩებოდნენ, ჟამთა ავბედითობის წყალობით, სხვა ტერიტორიაზე სახლდებოდნენ და არსებობის ყველა ეტაპზე უხდებოდათ ეთნიკური თვითობის შემეცნება. 1877-78 წლების რუსეთ -

თურქეთის ომის შემდეგ “ნათესავით ქართველნი” ორად გაიყვნენ. ერთი ნაწილი მეფის რუსეთის შემადგენლობაში დარჩა, მეორე ნაწილი კი თურქეთის ტერიტორიაზე დასახლდა. ორივე შემთხვევაში მათ არ გააჩნდათ საკუთარი სახელმწიფო და სხვა ქვეყნების მმართველობით სივრცეში მოექცნენ. ბუნებრივია ამ პირობებში საკმაოდ რთული იქნებოდა საკუთარი მეობისა და ეთნიკური თვითობის შენარჩუნება. “ქართველები ყველგან ვართ და არსად კი არ ვჩანვართ” აღნიშნა იასე რაჭველიშვილთან (მეხუზლა) საუბარში ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწემ ჰასან ფაშამ (ქართველმა მაჰმადიანმა), “ჩვენს მეტმა ვერც ერთმა ეროვნებამ ვერ შეინარჩუნა თავისი ელფერი ოსმალეთში. ვინც კი გამუსლიმანდა ყველა სრულიად გადაგვარდა, გაქრნენ, გაითქვიფნენ ოსმალეებში, ჩვენ-კი ასე თუ ისე, სახელი “გურჯი” მაინც შეგვრჩა და ეს კი იმის მასწავლებელია, რომ ქართველების კულტურა უფრო ძლიერია ეროვნულ ფსიქიკაში...”. (ბოსტაშვილი 1991, 105)

ქართველ მუსლიმანებზე საუბრობდა მ. წერეთელი, მისი აზრით ოსმალთა და ქართველს შუა ”გამომწყვდეული, აღარცერთ ერს ეკუთვნის და აღარც მეორეს, ამიტომაც გაველურებულია. ერთ დროს ბრწყინვალე კულტურის მქონე, ნაწილი იყო ქართველი ერის, მონაწილეობას იღებდა მის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ლიტერატურის შექმნაში და მისი სარწმუნოების მოსავი იყო. ოსმალეებმა ისინი მოსწყვიტეს საქართველოს სოციალურ ორგანიზმს თვითონაც ვერ მოიხელეს და დარჩა ქართველი ხალხის ეს ნაწილი ნახევრად დაღეჭილი ოსმალეთის სახელმწიფოს გაცვეთილი კბილებისაგან, ძალით მოგლეჯილი საქართველოს სოციალური სხეულიდან. თუმცა არსებობს ეს ნახევარი მილიონი ქართველი ხალხი, გამაჰმადიანებული ქართველობა, მაგრამ ისინი ქართველი ხალხის ნაწილს აღარ შეადგენენ, ვინაიდან აღარავითარ მონაწილეობას აღარ იღებენ საქართველოს ეროვნულ-სოციალურ ფუნქციათა აღსრულებაში. თანაც ვერ შეეთვისნენ ოსმალეთის სოციალურ ორგანიზმს. უმეტესმა ნაწილმა ოსმალური ენა არ იცის, ამიტომ ისინი სოციალური მასალანი არიან ჩვენთვის ან ოსმალეთისათვის საასიმილაციონი და არა ბუნებრივი ნაწილი ცოცხალი სოციალურ-ეროვნული ორგანიზმისა. ზოგს გაღვიძებაც ეტყობა, თხოულობენ ქართულ სკოლებს, შეუხანავთ ენა, რომლის განვითარებასაც თხოულობენ, შერჩენიათ კიდევ ტიპი

ქართული და მრავალი ზნე-ჩვეულება. ქართველი ერის ცდილობს დაიბრუნოს თავისი დაკარგული ნაწილი და როდესაც ერთ ნაწილს მაინც დაიბრუნებს, გავხდით ისევ ჩვენი ერის ნაწილად. მაშინ იმ ნაწილის დაბრუნებაც ადვილი იქნება, სადაც ენაც კი დავიწყებიათ. ამ შემთხვევაში იქნებიან ისინი ნაწილნი ქართველი ერისა, ეხლა კი მხოლოდ ხალხის ნაწილნი არიან, უბრალო სოციალური მასალა. ამით მასალის გადამუშავება და ეროვნული ელემენტად შექმნა მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული” . (წერეთელი 1990, 102)

1877-78 წლების ომის დასრულების შემდეგ მაჰმადიანი ქართველების, “სოციალური მასალის”, ქართველ ერთან სრული ინტეგრაციის პროცესი უნდა დაწყებულიყო, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოსმალეთის, რუსეთის პოლიტიკური ინტერესების, აგენტურის, ფანატიკოსების, ქრისტიანი თუ მუსლიმანი მოსახლეობის მხრიდან გამომჟღავნებული პოლიტიკური სიბეცის წყალობით, მოხდა რეინტეგრაციის საპირისპირო პროცესი-მუჰაჯირობა. ქართველები კულტურულად და ტრადიციულად განსხვავებული სახელმწიფოების (რუსეთი, ოსმალეთი) შემადგენლობაში განაგრძობდნენ არსებობას. ბუნებრივია, მათ ფსიქიკაზე, მენტალობასა და საოჯახო-სამეურნეო კულტურაზე ეს ცვლილება გავლენას მოახდენდა. 1801 წლიდან, რაც საქართველო საკუთარი ნების გარეშე რუსეთის იმპერიას შეუერთდა, ქართველი ერის საოჯახო-სამეურნეო ტრადიციებში მოხდა სერიოზული რყევები, რაც უფრო მეტად გამძაფრდა საბჭოთა პერიოდის დამყარების შემდეგ. ბუნებრივია, მსგავსი მოვლენა შეინიშნებოდა თურქეთში წასულ ქართველებშიც. სახელმწიფოებრიობის გარეშე დარჩენილი, ორად გახლეჩილი (ჯერ რელიგიურად და შემდეგ ტერიტორიულად) ქართული საზოგადოების ცნობიერებაში თითქოს მოხდა გაორება. ერთმანეთს დაუპირისპირდა ქართული და სხვა კულტურისათვის დამახასიათებელი ტრადიციები. (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუჰაჯირი ქართველების გამაჰმადიანების პროცესი მე-16 საუკუნიდან იწყება. შემოერთების პროცესში ისინი რელიგიური კუთხით უკვე ასიმილირებული იყვნენ ოსმალურ სამყაროსთან. რჩებოდა ეთნიკური ასიმილაცია, რაც უკვე ნელ-ნელა ოსმალეთში წარიმართა)

როგორც ცნობილია პიროვნება ყალიბდება და ვითარდება გარემო პირობებთან ადაპტაციის შედეგად. გარემო პირობები კი მუჰაჯირ ქართველებს ახლა უკვე ოსმალეთის სივრცეში ექმნებოდათ. ეთნოსის გაორება კი ხდება მაშინ, როცა საუკუნეთა განმავლობაში გენეტიკურ-ეთნიკურად ჩამოყალიბებული მენტალობა ეჯახება მისთვის უცნობ გარე პირობებიდან მომდინარე ტრადიციებს. რაც ხშირ შემთხვევაში ეთნიკური მენტალობისათვის შესაძლოა იყოს არა მხოლოდ უცხო, არამედ პრინციპულად განსხვავებული და უფრო მეტიც-მიუღებელი. ქართველ კაცს ზოგადად ახასიათებს “უცხოთ მოყვარეობა”, “სხვის ფანდურზე ცეკვა თამაში”, საუკუნეთა განმავლობაში არაერთხელ მომხდარა, რომ ქართველი “ირწეოდა ვითარცა ლერწამი, ქართაგან ძლიერთა”, თუმცა მიუხედავად ამისა, იგი ძნელად ეგუებოდა თვისობრივი ხასიათის ძირეულ ცვლილებებს. ქართველი “შეურყეველია და მტკიცედ იცავდა ჯიშს და მოდგმას. იგი სხვას მოირიგებს, მაგრამ იშვიათად შეირევს ამავე სხვას. ამდენად ქართველმა შეიძლება დაიხუროს კიდევ სხვისი ქუდი (ისიც დროებით), მაგრამ ეს გადაჯიშებად არ ითვლება მის შეგნებაში. გადაჯიშება იწყება სისხლის შერევის შემდეგ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამას თვისობრივად ახალი ზნე-ჩვეულების შემორევაც ახლავს თან”.

(ბუხრაშვილი 2005, 18-19)

ჰაირიეს და ინეგოლის ქართველმა მუჰაჯირებმა საქართველოდან აყრის მომენტში თან წაიღეს, როგორც მატერიალური კულტურის, ისე სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი. გენეტიკურ-ეთნიკური კუთვნილება, საოჯახო-სამეურნეო და კულტურულ-ადათობრივი ტრადიციები, წარსული მეხსიერება, რითაც შემოსაზღვრეს საკუთარი ეთნიკური მიკროსამყარო.

ქართველები ოსმალეთში 15 წლის გადასულები იყვნენ, როცა ისმეთზადე დოქტორ მეჰმედ არიფმა ისინი მოინახულა. მან გამოსცა ნაშრომი “ქართული სოფლები”, რომელიც გაზეთში “ტარიკი” დაიბეჭდა და 1893 წელს სტამბოლში გამოიცა. მასში ასახულია აჭარიდან წასულ, სამსუნის სოფლებში დასახლებულ ქართველთა ყოფა-ცხოვრება. მან აღწერა მუჰაჯირთა სოფელი მუსლუბეი. მოიხიბლა ქართველთა ნიჭით, შრომისმოყვარეობით, სტუმრის პატივისცემით, ერთმანეთისათვის დახმარების

აღმოჩენის სურვილით, ენით, ღირსების შეგრძნების უნარით, სურვილით დაეუფლონ განათლებას, პატიოსნებით, ქალების სათნოებით, რომელთა მორჩილება ქმრების მიმართ ლეგენდად არის ქცეული და ცეკვებით. მოგზაური ადარებს რა ქართველ და თურქ მოსახლეობას, დასძენს, რომ თურქები, ქართველი მუჰაჯირებივით გაბედულნი და საქმის მცოდნენი არ არიან. ამიტომაც ცხოვრობენ ცუდად.

რეალურად უცნობია რა იყო მ. არიფის კვლევის მიზანი, თუმცა ბუნებრივია, რომ მისი კვლევის ობიექტი ქართველები იყვნენ. ოსმალეთის იმპერიის წარგზავნილს აინტერესებდა რამდენად იქნებოდნენ ქართველი მუსლიმანები ასიმილირებული და რამდენად ექნებოდათ შენარჩუნებული წარსული ტრადიციები.

აღნიშნულ ნაშრომში, ყურადღებას იქცევს ქართველების აღწერა, შეიძლება ითქვას, რომ ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი წყაროა, რადგანაც წარმოადგენს მუჰაჯირების წასვლიდან თითქმის 15 წლის შემდეგ მათ შესახებ არსებულ ინფორმაციას. ამ აღწერაში მოცემულია ქართული ზნისა და თვისებების მნიშვნელოვანი მომენტები, რაც არა მხოლოდ სამსუნის სოფლებში მცხოვრებ აჭარლებს, არამედ ინეგოლის ქართველ მოსახლეობასაც ახასიათებდა და ახასიათებს დღესაც. მოგზაურის გადმოცემით, შესანიშნავია მათი ყოფა-ქცევა და სტუმრების პატივისცემა. “ქართველები როგორც ახლობელი, ისე შორეული ნათესავებისა და მეგობრების მიმართ დიდ სიყვარულს იჩენენ. ძველი ადათის მიხედვით რომელიმე მათგანის სოფელში მისვლისას სიხარულის გამოსახატავად და პატივისცემის ნიშნად თოფს ბევჯერ ისვრიან” . (Arif 2002, 38)

აღნიშნული წესი ნიშანდობლივი იყო ზოგადად ქართველთათვისაც, როგორც საქორწილო ტრადიციებში, ისე სტუმრის მიღებისა და ბიჭის დაბადების დროს. მოგზაური საკმაოდ დადებითად ახასიათებს ქართველებს, მისი აზრით, ქართველებმა ტყით სავსე მიწა კეთილმოაწყვეს და ზოგიერთი გამოუსადეგარი ადგილი, ნაყოფიერი გახადეს. ერთმანეთს ეხმარებიან და 15 დღის სამუშაოს ერთ დღეში ასრულებენ. მიმართვენ “იმეჯე“-ს (იგულისხმება ნადი, თურქულად ”იმეჯე“) კოლექტიური შრომას, რითაც საქმეს იმარტივებენ. როგორც ვხედავთ, ქართველებს შრომის სიყვარული და

გამჭრიახოზა გამოარჩევდათ სხვა ეროვნების წარმომადგენლებისაგან. ცნობილი მკვლევარი ევგენი დალეჯიოც, მ. არიფის მსგავსად ქართველთა შრომისმოყვარეობასა და გამჭრიახოზაზე საუბრობს, რასაც მათ გენეტიკურ წარმომავლობასა და ადათობრივი სივრცის დაცვას უკავშირებს. მისი აზრით, დღე-ღამესავით განირჩევა ქართველთა კარმიდამო, სოფლები, ყანები, მინდვრები და ბალები დანარჩენი მუსლიმანების სოფლებისაგან. თავიანთ თავს გურჯებს ეძახიან და ამით ამაყოფენ, დაცინვით უყურებენ თურქებს და ქართულად გაიძახიან-“თათარი კაცი არ გახდება”. ქართველი მაჰმადიანების ეკონომიკურ დაწინაურებას იმან შეუწყო ხელი, რომ ისინი ინახავდნენ თავიანთ ზნე-ჩვეულებას, ადათ-წესებს. ქართველები მთელ ოსმალეთში კარგად არიან მოწყობილნი, რადგანაც “რასიული გამჭრიახოზა და კულტურა მეტი აქვთ”. (ქართველები კონსტანტინეპოლში და სპარსეთში 1990, 13)

მ. არიფის მიხედვით, მუჰაჯირი ქართველები ენაწყლიანობით გამოირჩევიან, წარსულის ამბებს ტკბილად ჰყვებიან. ისინი ძლიერ გაწაფულნი არიან ცხენოსნობაში და ბუნებით მეომრები არიან. ქართველებს ერთობლივი ლოცვის ადგილი ძლიერ უყვართ. “არიან ძლიერ ხმაურიანნი. როცა ორი კაცი ერთმანეთს შეხვდება, მათი საუბარი სხვას შეიძლება ჩხუბი ეგონოს”. (Arif 2002, 48) “ღირსება და კეთილშობილება ქართველების უპირატესობათაგანია”. (Arif 2002, 51) ქალები ძალიან კდემამოსილნი და პატიოსნები არიან. მამაკაცები კი საკმაოდ მოხდენილები. იცვამენ ქართულ ტანსაცმელს. ზამთრის ღამებში უყვართ ცეცხლის გარშემო შემოსხდომა და საუბარი. ქორწილებში მეტად ნატიფ ცეკვას ხორუმს ასრულებენ. ამ ცეკვიდან ჩანს, რომ ქართველებს სისწრაფეში ბადალი არ ჰყავთ. მათი ენა მეტად ტკბილი და მდიდარია.

ამრიგად, ე. დალეჯიო და მ. არიფი ქართველების შემდეგ თვისებებზე ამახვილებენ ყურადღებას: 1. არიან ხმაურიანნი. 2. ქართველთათვის მნიშვნელოვანია ღირსება და კეთილშობილება. 3. არიან პატიოსანნი. 4. გამოირჩევიან ერთობლივი ლოცვის ადგილის სიყვარულით. 5. არიან მოხდენილები. 6. ნიჭიერნი. 7. შრომისმოყვარენი. 8. სტუმრის პატივისმცემელნი. 9. ურთიერთდამხმარენი. 10. საქმის მცოდნენი. 11. გაბედულნი. 12. ტრადიციის დამცველნი. 13. ახასიათებთ “რასიული გამჭრიახოზა”. 14. სწავლის

სიყვარული. 15. არიან ენაწყლიანნი. 16. ტკბილმოუბარნი. 17. ამაყნი. საინტერესოა, რომ აღნიშნული თვისებები, ემთხვევა ვ. ბაგრატიონის “აღწერა სამეფოსა საქართველოსი”. “...ზნენი აქუნდათ პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა. მედგრად დგომა მისთვის, ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრება ქუეყანისა, ერთისა ცოლისა ქმრობა, რამეთუ მოიყვანდიან თვის-თვისთა თანასწორთა..ხოლო კაცნი ამის ქუეყნისა არიან სარწმუნოებით ქრისტიანენი. ხოლო ანაგებთა არიან კაცნი და ქალნი შუენიერნი, ჰაეროვანნი, შავ თვალთ-წარბ-თმოსანნი, თეთრყირმიზნი, იშვიათ შავგვრემან და მოყვითან, იშვიათ თვალჭრელ და გრემან, და მწითურ ანუ თეთრ. ქალთა თმა გარდატევებული და დაწნული. ხოლო კაცთა ყურთა ზედა მოკუეცილნი; წერწეტნი, უმეტეს ქალნი, იშვიათ სქელნი, მხნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ციხესა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფნი. სალაშქროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყუარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მაძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა რიდებენ ქვეყანასა და მეფესა თვისსა, სტუმართა და უცხოთ მოყუარენი; მხიარულნი, უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან, არარა შეიჭირვიან; უხუნი, არც თვისსა და არცა სხვისსა კრძალვენ; საუნჯეთა არა მმესველნი, გონიერნი, მსწრაფლ-მიმხდომნი, სწავლის მოყუარენი ...ურთიერთის მიმყოლნი, სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მიმდევარნი, კეთილ-ბოროტზედ ადრე მიმდრეკნი, თავხედნი, დიდების მოყვარენი, თვალმგებნი და მოთაკილენი”. (ქართლის ცხოვრება 1973, 44-45) როგორც ვხედავთ, ქართველების გენეტიკურად დამახასიათებელი თვისებები, უცხო ქვეყანაშიც სხვა ეთნოსის წარმომადგენლებისთვისაც შესამჩნევი ყოფილა. სწორედ ამ თვისებების წყალობით განირჩეოდნენ და განირჩევიან დღესაც თურქეთში მცხოვრები ქართველები.

საინტერესოა, თუ როგორ განიხილავენ საკუთარ თავს ინეგოლის ეთნიკური ქართველები და რა თვისებებით განარჩევენ –“ჩვენ” და “სხვები”. ჰაირიელ და ზოგადად ინეგოლის ქართველებით დასახლებულ სოფლებში, ჩვენი კვლევის შედეგად, ქართველობის შემეცნებისა და გამოხატვის 3 უმთავრესი ნიშანი იკვეთება. 1. ტერმინოლოგიური. 2. მათთვის გენეტიკურად დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. 3. სიმბოლოებით გამოხატული ეთნიკური თვითაღქმა.

I ტერმინოლოგიური: დეფინიცია “გურჯი”, “ჩვენებური”. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის კონსტიტუციის 66-მეექვსე მუხლის თანახმად, თურქეთის რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე თურქია. ე.ი. მოქალაქეობა განსაზღვრავს ეთნიკურობასაც. თურქეთში მცხოვრებ ქართველებს უწოდებენ “ქართული წარმოშობის თურქ მოქალაქეს” (Gürcü kökenli Türk vatandaşı) და “თურქეთელი ქართველი”. (Türkiye’li Gürcü) მაგრამ თავად საკუთარ თავს უწოდებენ “გურჯებს”, ერთმანეთში საუბრისას კი “ჩვენებურს”. სამშობლოს აღსანიშნავად იყენებენ თურქულ სიტყვას “მემლექეთი”. მაგალითად, “მემლექეთიდან გადმოვსულვართ”, “ზაზას მემლექეთიდან გადმოუტანია”, “თიბვაში მემლექეთურ სიმღერას ვიტყვოდი”.

ტერმინი “გურჯი” და “გურჯისტანი” XV საუკუნიდან მოყოლებული ყველა ტიპის ოსმალურ წერილობით წყაროებში ფიქსირდება. “ტერმინი “გურჯისტანი” ოსმალურ წერილობით ძეგლებში პოლისემიური მნიშვნელობითაა ფიქსირებული”. (საქართველოსა და ქართველობის აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია 1993, 256)

ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ (1461 წ.) ოსმალეთი მიადგა რა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებს, ოსმალეთ-ირანის პოლიტიკურ ურთიერთობებში დაისვა “გურჯისტანის საკითხი”, ხოლო 1555 29 მაისს, ირანსა და ოსმალეთს შორის დადებული ამასიის ზავით, საქართველო ორი დიდი მაჰმადიანური სახელმწიფოებს შორის გაიყო. საქართველოს დასავლეთი და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი ერგო ოსმალეთს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო (ქართლ-კახეთი) და აღმოსავლეთ მესხეთი, ახალციხის ჩათვლით, ირანს. შესაბამისად ოსმალეთის მეისტორიეთა-სელიანიქის, მუსტაფა ალის, იბრაჰიმ ფეჩევის, ყარა ჩელები-ზადეს, ქათიბ ჩელების, ნაიმას, აბუბექრის, იბრაჰიმ ჩავუშის, სოლაქ ზადეს, მუნეჯიმ ბაშის, ქუჩუქ ჩელები ზადესა და გურჯი ზადეს ნაშრომებში ცნება “გურჯისტანი” ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს გულისხმობს, ხოლო იმ ისტორიკოსთა შრომებში, რომლებიც 1639-1722 მოვლენებს აღწერენ, მეჰმედ რაშიდი, ნამი ალა, ფუნდუქლულუ მეჰმედ ალა, ვასიფი ჩეშმე ზადე, ტერმინი “გურჯისტანი” დასავლეთ საქართველოს გულისხმობს. როგორც

ცნობილია “ამ ”მშვიდობიან” პერიოდში (1639-1722) ოსმალეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის აქტიურ პუნქტად ამიერკავკასიის ქვეყნებიდან დასავლეთ საქართველო იქცა”. (საქართველოსა და ქართველობის აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია 1993, 257)

XVI საუკუნიდან “გურჯისტანი” საქართველოში შექმნილი რეალური ისტორიული ვითარების შესაბამისად, ოსმალურში “ძირითადად დიფერენცირებული შინაარსით იხმარება და გულისხმობს საქართველოს ერთ კონკრეტულ მხარეს, ერთ “საქართველოს”, “საქართველოებიდან” ერთ-ერთ ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერიტორიას”. (საქართველოსა და ქართველობის აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია 1993, 259)

საინტერესოა, რომ ინეგოლის ეთნიკური ქართველები “გურჯს” და “ქართველს” არა მხოლოდ ტერმინოლოგიურად, არამედ აზრობრივადაც განასხვავებენ. ტერმინში “გურჯი” მოიაზრებენ მაჰმადიან ქართველს, ხოლო ტერმინში “ქართველი” გულისხმობენ ქრისტიან ქართველს. ზოგადად, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში როდესაც ქართველი გაქრისტიანდებოდა ეტყოდნენ “გაქართველდაო”. ე. ი. “გაქრისტიანება” და “გაქართველება” საერთო ცნებად იქცა. თურქეთში მცხოვრებთა უმრავლესობისათვის “ქართველსა” და “გურჯს” შორის განსხვავება, რელიგიური და არა ეთნიკური კუთხით ხდება. აქვე უნდა დავამატოთ, რომ ბევრი ცდილობს, და ეს ტენდენცია დიდი ხნის წინ დაიწყო, “გურჯი” ჩამოაცილოს “ქართველს” და ამით თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს, დაუმტკიცონ, რომ იქ მცხოვრები “გურჯები” არიან არა ქართველები, არამედ “აჭარელი თურქები”. 1996 წლის 2 იანვრის გაზეთში “თურქიე”, დაიბეჭდა ნეჯათ ოზფათურის სტატია “ანატოლიის ეთნიკური მოდელი”, სადაც იგი აჭარასა და აფხაზეთს თურქეთის პრობლემად მიიჩნევს. სტამბოლის პროფესორმა მემედ სარაიმ 1996 წლის 17 აპრილს წაიკითხა ბათუმში ლექცია, სადაც განაცხადა რომ აჭარლები უიღურთა ტომს ეკუთვნიან და ამდენად ისინი თურქები არიან. ცნობილ ამერიკელ მეცნიერს პოლ მაგნარელას, მოჰყავს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, კერძოდ, ქალაქ სუსურლუკთან ახლოს, დაწყებით სკოლაში იგი შეხვედრია წარმოშობით ქართველ

მასწავლებელს, რომელსაც აღუნიშნავს, რომ “ ქართველები არიან კასპიელი თურქები, რომლებიც საუბრობენ თურქული ენის დიალექტზე და რომელიც ახლა უნდა ჩაანაცვლონ სტანდარტული თურქული ენით. იგი თავის სათვისტომოში განათლებულ პიროვნებად არის მიჩნეული და მის შეხედულებას საკმაო წონა გააჩნია”. (Magnarella 1979, 117) ბუნებრივია, ასეთ პიროვნებას სოფელში საკმაო გავლენა ექნებოდა და მისი აზრები ზეგავლენას მოახდენდა სხვა დანარჩენ ქართველებზეც. როდესაც 1877-78 წლებში აჭარა შემოუერთეს ”რუსეთის საქართველოს”, გადასახლების თაობაზე დაიწყო პროპაგანდა, უმთავრესს პროპაგანდისტებად თურქეთში განათლება მიღებული (ვგულისხმობთ სასულიერო განათლებას) მოღებები ითვლებოდნენ. შეიძლება ითქვას, რომ “განათლება” მიღებული მასწავლებლების, მოღებებისა თუ სხვათა მეშვეობით, 1877-78 წლებიდან დაწყებული ოსმალეთის იმპერია ცდილობდა ზეგავლენა მოეხდინა ეთნიკურ მუსულმან ქართველებზე, როგორც აჭარაში ისე თურქეთის ტერიტორიაზე. აქვე უნდა დავამატოთ, რომ 1992 წელს, ინეგოლში, დაარსდა “საქართველოს აჭარის ავტონომიური რაიონის, მუსლიმან თურქთა დაცვისა და სასიცოცხლო პირობების უზრუნველყოფის საზოგადოება”. რომლის მიზანი იყო აჭარის მოსახლეობას დახმარებოდა.²⁵

ტერმინები “კასპიელი თურქი”, “აჭარელი თურქი”, “აჭარის მუსლიმანი თურქები”, თურქეთში და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური მუსულმანი ქართველების, საერთო ქართული სივრციდან ჩამოცილებას ემსახურება. მსგავსი ტენდენციები უკვე დიდი ხანია შეიმჩნევა, რაც ბუნებრივია გავლენას ახდენს თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებზე. შეიძლება ითქვას, რომ ტერმინების “გურჯისა” და ”ქართველის” ერთმანეთისაგან რელიგიური თვალსაზრისით განცალკევებით, ცდილობენ მოახდინონ ეთნიკური გათიშვაც. მსგავსი ტენდენცია ძველად ლაზებთან მიმართებაშიც შეიმჩნეოდა,

²⁵ იხ. ნ. ოქროსცვარიძე, “ბათუმელი” ოსმან აქისქალიოღლუ-გოჩიტძე (თურქეთის ქართველების კიდევ ერთი ისტორია დაწყებული სამშობლოში, გაგრძელებული და ტრაგიკულად დასრულებული სამშობლოდან შორს), ჟ. ”ამირანი”, № 23. 2011, <http://www.caucasology.com/amirani23/okrostsvavidze.djvu> (10.4.2012)

კერძოდ, ზ. ჭიჭინაძეს მოჰყავს მეტად საინტერესო ცნობა, რომ ოსმალებმა ლაზები გადააკეთეს და დაამხეს მათში ვინაობის შეგრძნება. შეაძულეს ქართველთა ნათესაობა და ააფარეს არაბული დამწერლობა. მოსპეს მათში ეროვნულობა და ჩაუნერგეს თურქოფილობა. მკვლევარს ბათუმში ლაზები უნახავს, რომლებიც კარგად ფლობდნენ ლაზურ ენას. მას აუხსნია ლაზებისათვის ქართული ვინაობის შესახებ, ხოლო მათ უპასუხიათ “წიგნები ქართულ ენაზედ რომ დაბეჭდოთ, მის შემდეგ მოახერხეთ და ოსმალურ ენაზედაც დაბეჭდეთ, რომ ჩვენმა ხალხმაც გაიგოს, რომ ჩვენ ქართველ-მეგრელების ნათესავები ვართ და არა თურქებისა და ქურთებისა. ამ საქმში ფულით ჩვენ დაგეხმარებით, თორემ ოსმალებმა ჩვენ ისე გარდაქვმნეს, რომ ჩვენ ჩავგინერგეს ის ყალბი ცნობები, რომ თქვენ თურქები ხართ, თქვენი ანბანიც არაბულია და არა ქართულიო”. (ჭიჭინაძე 1927, 6)

როგორც ვხედავთ თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების საერთო ქართული სივრციდან “ნათესავით ქართველი”-დან მოწყვეტის მცდელობები საკმაოდ დიდი ხნის წინ დაიწრო და დღესაც აქტიურად გრძელდება. აღსანიშნავია, რომ ასაკოვან მოსახლეობაში ტერმინების ”გურჯისა” და ”ქართველის” აღრევა იწვევს საკმაოდ ძლიერ გაღიზიანებას. “ქართველის” წოდებაზე მათში უარყოფითი განწყობა შეიმჩნევა. “ქართველები კი არა გურჯები ვართ”. არის მთელი რიგი სოფლები, სადაც “ქართველის” წოდება შეიძლება ითქვას შეურაცმყოფის ტოლფასია.

ნინო ოქროსცვარიძე-“ქართული საჭმელებიდან რა იცით?”

უსთაისმეთოდლუ- *“ქართული საჭმელებიდან, მე ორი გელინი მყავს, ერთმა გურჯული, ქართული არ ვთქვათ, გურჯული საჭმელები ქალაჯო, ბოშორვა, ფხალლობიაი, კერჩხილობიაი, მალახტო, სინორი, მაკარნა, წოწოლაი”.*

როგორც, ადგილობრივები აღნიშნავენ, წარსულში მათ ოჯახებში ტერმინს “ქართველი” სალანძღავი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ პროცესის შესახებ ჯერ კიდევ ზ. ჭიჭინაძე საუბრობდა ნაშრომში- “მუსულმან ქართველთა საქართველო”, სადაც აღნიშნავდა, რომ ოსმალებმა იმდენად შეაძულეს ქართველ მაჰმადიანებს ყველაფერი ქართული, რომ მათ სიტყვა “ქართველი” სძულდათ. ვინმეს რომ ეთქვა მათთვის

შენ "ქართველო, სატევარზე დაიდებდა ხელს". "მეჯლისებში" ხანდახან სხვადასხვა პირთა საჩივრებიც კი შედიოდა-ამა და ამ პირმა "ქართველი" მიწოდაო. მათში სიტყვა ქართველი გმობით იხსენიებოდა.

ინეგოლის ქართველებში, შემდეგი ტერმინიც ფიქსირდებოდა, როდესაც უფროსები პატარებს გაუბრაზდებოდნენ "ქართველიშვილად", "ქართველების შექმნილად" მოიხსენიებდნენ. რაც ლანძღვასა და გინებას უდრიდა.

აზიზი ეფე "აქ რომ მოვიდენ "ქართველიშვილო" ჩვენი დედები, ნენები გვეტყოდენ-რაფერ ვხელდებოდით იცი? რატომ ქართველიშვილი ვართ? ქართველი რა თქმა არის. ეგენი იმას ამბობდენ ქართველიშვილო-გურჯუნუნ ოღლუ, გაგბრაზდებოდით ქართველი რატომ გვხდიათ".

სუათ ფელევანოღლუ-კირკიტაძე- "გერმანიაში მაღაზიაში ერთი პურს მაძლევს შენ ქართველიხარო, რაის ქართველი მეთქი. აქ ნენე გვეტყოდა "ქართველიშვილო" როცა გაბრაზდებოდა."

ტერმინი "ქართველი" ქრისტიანი ქართველის მნიშვნელობით გამოიყენებოდა, ხოლო მისგან წარმოქმნილმა სიტყვამ "ქართველიშვილი", "ქართველის შექმნილი" სალანძღავი სიტყვის დატვირთვა შეიძინა. დროთა განმავლობაში ამ სიტყვიდან წარმოიშვა ტერმინი "გადამიქართულდა", რითაც თურქეთელი ქართველები "გადავიწყებას" აღნიშნავენ. ეს ტერმინი მოხმობილი აქვს ფრიდონ ხალვაშსაც თავის ნაშრომში "ომრი".

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრისათვის "ქართველი" და "გურჯი" ერთიდაიგივეა. ამ ადამიანთა კატეგორიას ის ეთნიკური ქართველები მიეკუთვნებიან, რომლებსაც საქართველოსთან, ქართულ სათვისტომოებთან აქვთ ხშირი კონტაქტი ანდა ახალგაზრდები, რომლებშიც ძველი თაობისაგან განსხვავებით, ისტორიული მეხსიერებიდან შემორჩენილი ამ ტერმინის მნიშვნელობა, მკაცრად არ არის განსაზღვრული.

აზიზი ეფე- *”აქ რომ მოვედით ქართველობა მემრე შევიტყვეთ აგერ აქა ქართველის თქმას დერნექით(სათვისტომო)გამოვიდა ქართველი. შენ ქართველი, რა თქმა არის. ჩვენ გურჯი ვართ ამა საქართველოში სახელი ქართველია, ეს ვერ მივახდინეთ, აა ახლა მიხვდენ. რავახარ ქართველო კაცო-დიორ დეიწყეს ახლა”.*

ნინო ოქროსცვარიძე- *”ზოგი საკუთარ თავს ”გურჯს” უწოდებს და არა ქართველს”.*

მუქემერ ოზბეჯი-გოგიტიძე-*”სულ ქართულად ვლასპარაკობთ. ქართულ რატომ არ ამბობენ იცი? იქაური ხალხის სახელი ქართულია, ფადიშაჰსა ქართველებისთვის გურჯი დუურქმევია თუ არა ჩვენ იქა გვარი ქართული გვაქ. ეიდა... სამი რძალი მყავს. ორი რძალი გურჯია ქართველია.”*

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტერმინებს შორის რადიკალური განსხვავება უფრო იმ სოფლებში შეიმჩნევა, სადაც ეთნიკური ქართველები ჩაკეთილ ცხოვრებას ეწევიან, არიან მართლმორწმუნე მაჰმადიანები, უარყოფენ სიახლეებს და იცავენ ტრადიციულ-რელიგიურ სივრცეს. მათში უფრო მეტად არის შემორჩენილი ისტორიული მეხსიერება და ბუნებრივია, მკაცრად საზღვრავენ ტერმინის “გურჯი” მნიშვნელობას. ამიტომ, “ქართველისა” და “გურჯის” აღრევა მათში სრულებით ლოგიკურ გაღიზიანებას იწვევს.

II ინეგოლის “ნათესავით ქართველები” არა მხოლოდ ტერმინოლოგიურად განასხვავებენ საკუთარ თავს სხვებისაგან, არამედ გამოყოფენ იმ უმთავრესს თვისებებს, რაც მხოლოდ მათთვის არის ნიშანდობლივი. ეს თვისებებია: 1. “დამკავებლობა”-ერთად ყოფნა ჭირსა და ლხინში. 2. ურთიერთდახმარება. 3. სიმაღლე, სიჯანსაღე, გარეგნული სილამაზე. 4. სიცოცხლის ხანგრძლივობა. 5. სამზარეულო. 6. სისუფთავე.

აზიზი ეფე- *”ამა ქართველები კაი ვართ, დამკავებელი ვართ, რაცხა გამოუვიდეს კინწლას თლად მეინგრევა, ამიტომ ის გვაქ დაკავება, მემრე სხვა დაკავება არ გვაქ. დახმარებაში კაი ვართ, ქორწილში ერთად წევლენ, რომ ვინცხა გერდეიცვლება იმის ჯენაზე (დაკრძალვა) ბევრი წევლენ. აქა თურქეთში ენ ბევრი ჩვენები იქნება”.*

ჰუსეინი ორდუ-ამირან თავდგირიძე-”ქორწილში ქართველები ბევრია. ჯენაზე ქართველები ბევრია. ახლა თურქი დაჯდება მესელა გეიყურება მიხვდები ეს არნაუთია, ეს ბოშნაკია, ეს მუაჯირია, ეს ქართველია.”

ნინო ოქროსცავარიძე- ”რითი ხვდებიან, რომ ქართველია?”

ჰუსეინ ორდუ-ამირან თავდგირიძე-”ერთად არიან. კაი დღეში ერთად არიან, გონჯ დღეში ერთად არიან. თურქებში ამოდენა ჩვენი დონა არ არის. ჩვენ კაი დღეში ერთად ვართ, გონჯ დღეში ერთად ვართ. სულ შეკრული ვართ. აქ ეშინიათ სუყველას ჩვენი. თუ ვინცა რაცა თურქს დეემართა, იტყვის რომ მე ქართველი ამხანაგი მყავს. ეს ჩვენ გვიხარია.”

მელექ ერგუნი-ხინკილაძე-”თურქეთზე უფრო კარგ საჭმელს ვჭამთ, დუნიაში ენ ლამაზი, ენ მაღალი, ენ კარგი, ენ სადლიქლი (ჯანმრთელი) ინსნები ვართ. კარგი საჭმელები გვაქვს, კარგი ინსნები ვართ. სისხლი რომ ქართული გვაქვს არ შეგვეშლება. ზოგი იმდონი ინსნები გევიგონე რომენე გურჯობა ცხვენია, თელი ვუთხარი-იცით თუ გურჯები რაფერ ინსნები არიან? რაფერი რას ჭამენ, რას სვენ, ამ დუნიაში ენ ლამაზი, ბევრ ცოცხლობენ, აქაურებმა ერთამანეთის დახმარება იციან, ვინმეს რომ გაუჭირდეს, მოკვდეს მთელი სოფელი ეხმარება, სხვებმა ეს არ იციან.”

იავუზ ეთთინი- ”კუდიანები პისი არიან, ახლა მადენში გედედი ცხვირ მეიფარებ. გაღმა სოფელი ესეა გაღმა სოფელიც კუდიანი, თლად უკან არიან. მიდი სახლებში მესელა აპორები აკვნებზე ზიან, თემიზი არალი, ნაჭამ იერზე გადაყრიან, თემიზი ინსნები არალიან, ჩვენი სოფელი ას და ოცი წელი სოფელია, ახლა იქ გედე ბინ სენელი, ათასი ჯერ უკან არიან ჩვენ აქა ას და ოცი წელიწედი გახადა, ჩვენ სოფელე შეხედე და იქეთ იმ სოფლებში გეიარე.”

III სიმბოლოებითა და სულიერი კულტურით გამოხატული ეთნიკური თვითაღქმა: მათში ვგულისხმობთ საქართველოსთან და ქართველობასთან ასოცირებული სიმბოლოებით, გამოხატულ ეთნიკურ თვითშემეცნებას, რაც თავისმხრივ უკავშირდება ისტორიულ მეხსიერებას. ხშირ შემთხვევაში პიროვნება ქართველობის

აღქმას სიმბოლოებით ახდენს. ეს შეიძლება იყოს საქართველოდან მათი წინაპრების მიერ წამოღებული-მიწა. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ფაქტი აქვს მოყვანილი ფრიდონ ხალვაშს ნაშრომში “ომრი”, ეჯვევითის მთავრობის დროს შინაგან საქმეთა მინისტრი ხასან გიუნეში (ბოლქვაძე) საქართველოში ჩამოსულა. მას პაპის საფლავი მოუნახულებია მიწა აულია და პარკში ჩაუყრია “ჩემთვისნა შევნახონაო”. ქალამნები, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომლებსაც დღესდღეობით პრაქტიკული დანიშნულება აღარ გააჩნიათ. ქართული ხილის ჯიშები (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის ქალაქ გუმერსბახში, ჰაირიელ ქართველებს, თან წაულიათ ადესა). მეხსიერებაში შემორჩენილი ქართული სიმღერები, ლექსები, ცეკვები, ქართული გვარები-ხინკილაძეები, მალაყმაძეები, გურგენიძეები, გორაძეები, კახიძეები, კირკიტაძეები, ქოქოლაძეები, ლეკურიძეები, იაკობაშვილები, ყედენბეგიშვილები, ჯინჭარაძეები, ბასილაძეები და სხვა. წინაპრების გადმოსახლების ადგილების შესაბამისი გვარები, მაგალითად სოფელი მეკვიძედან გადმოსულებს გვარად მეკვიძეე აულიათ, ფოცხოვიდან გადმოსულებს ფოცხოველები *“ჩვენ იმიდან გადმოსულვართ, ჩემი დედე იმიდან გადმოსულა-ფოცხოვიდან. შენ გეცოდინება, ფოცხოვიდან გადმოსულა ჩემი დედე 93-მუჰაჯირისა ვართ ჩვენ, ჩემი ბაბოი იქიდან გადმოუყვანიან ცხენ შუაზე დუუკვრიან და გადმოუყვანიან ჩემი ბაბოი. ჩემი ბაბო ყოფილიყო ახლა 110 იაშინდა უნდა ყოფილიყო. ჩემი ბაბო და მომკვდარა აქა. ჩვენ დავრჩით იშთე მას მერე აქ ვცოცხლობთ. გვარი ფოცხოველებს გვეტყოდენ. ის ვიცი სხვა არაფერი არ ვიცი. ჩემ დედეს ემე ქვია-დურსუნაი, ჩემ ბაბოსაც იდრისაი”*.

დაცული საოჯახო, საქორწინო, სტუმარ-მასპინძლობისა და უფროსს-უმცროსობის ადათები. ზოგიერთი თურქეთელი ქართველის საფლავის ქვაზე ამოკვეთილი წარწერა, გვაწვდის მიცვალებულის ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას-დაბადების ადგილი, წარმოშობა და ქართული გვარი.

ჯემალეთთინ ოზდემირი-ინეგოლის ჩინილი მეჩეთის იმამი (თუფეკჩიქონაქიდან) –
“სულყველაფერი არის ძველი ადეთებ. იქ რაცხა ადეთები იყო ისე აინი არი. ჩვენი ადეთები ლამაზია, ჩვენ ადეთებიდან მემუნნივართ იანი, მესელა სახლში ადეთია,

მეზობლობაში ადეთია, სოფელში ადეთია, ძალიან ინსნობის ადეთებია იანი, მესელა მუსაფირი ძალიან იმედს მივცემთ იანი, საიგი გოსთერიორუზ(პატვის ვცემთ) სულყველაფერი რაცხა არის დევამ ედიორუზ (ვაგრძელებთ) იანი, გელინობაა, ემიობაა. ადეთები გვაქ, ბაღნებს ქართულია ვასწავლით, ქართულად ვლაპარაკობთ. ქართულად წევიკვილებთ, ვიყვირებთ ბავშვებს, კაცს. ჩვენ წინ წინდულია ადეთები არ დაგვრჩა, წინ წინ ბევრი ყოფილა, ჩვენ ენ დიდი ადეთი ქართული ვართ და წინ წინდელი საიგი (პატვისცემა) აღარ დარჩა, ჩვენ ცოტა დიდი ინსნები პაწაი კიდე ვეკიდებით, წინ წინ ასე ადგებოდენ უფროსი სტუმარი, ახლა ფეხი ფეხზე გადადებული ეს ამბაობა თქვენთვისაც გეჩერლია”.

ეთნიკური თვითობის ერთ-ერთ უმთავრეს სიმბოლურ გამოხატულებას, ქართული სიმღერების, ლექსებისა და ცეკვების ცოდნა წარმოადგენს. ინეგოლის ცენტრში განთავსებულია “კავკასიის ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოება”, რომელიც 1977 წელს დაარსდა. (იხ. სურათი 198) (აღნიშნული საზოგადოების წევრად 2011 წელს ამირჩიეს) საზოგადოებაში უკვე მრავალი წელია რაც ფუნქციონირებს ქართული ცეკვის ანსამბლი. ეთნიკური ქართველების ოჯახები ცდილობენ თავიანთ შვილებს ქართული ცეკვები შეასწავლონ. (იხ. სურათი 199) ქართველებით დასახლებულ სოფლებში თითქმის ყველამ იცის ხორუმი, განდაგანა, ქართული სიმღერები. ცეკვის ილეთებს ახალგაზრდები ქორწილებში უფროსი თაობისაგან სწავლობენ. აღნიშნულ საზოგადოებაში ახლახანს გაიხსნა ქართული ენის შემსწავლელი კურსებიც.

მივლინებების დროს, ჩვენ დავაფიქსირეთ რამოდენიმე ქართული ლექსი:



“წყალი მასვი კოკითა

გამაძლე კოცნითა..”



“ბაჰჩაში დავთესე ლობიაი

იმას უნდა ჰაშარი

დედამთილი გავახელე

არ მაჰამა ვახშამი”.



“თათრის ნათალი

არ მავიწყდება შემონათვალი

შენ რომ მომიტანე ჩემი ნათქვამი

ადექ წამოდი ჩემო ლამაზო,

ჩემო ლამაზო ვერ დაგინახე

გულვეში ზიდვები ვერ მოგინახე

ძალიან გეხვეწები ვინმე შემინახე

ადექ წამოდი ჩემო ლამაზო

ცეცსიეს ბრუნებით გევიარეთ ხიდზე

ნიშნის სინარო ძელზე გვიხარდა

ძალიან მიხდება ქემერი წელზე

ადექ წამოდი ჩემო ლამაზო

ადექ მოვიართო ღელე ბოსტანი

ძალიან მიხდება წვანე ხისტანი

აგიც არ იყო ჩვენი დესტანი

ადექ წამოდი ჩემო ლამაზო

ოსმალი მარტინი ავსწიე ხელში

სევდა ჩიმივიდა ბირ ქერე გულში

ადექ წამოდი ჩემო ლამაზო.”



“ლალის ციხეში ვარ დამწყვდეული

კაცის ფერი არა მაქო ლალის

დედაჩემი ჩამოსულა ციხის კარებზეო

ლალის ნაჩალნიკსაც უპასუხა შვილი

მაჩვენეო ლალის

ტიფლისიდა სოლჩაკ დახვრიტეს და მორჩა”.



“ბაღჩაში მაქ ლობია

იმას უნდა ხაშარი

დადამთილი გავაბღეზე

არ ვაჭამე ვახშამი

ნარდანიანი ნინაიდა

ნარდანიანი ნინაიდა

ნარდანიანი ნინაიდა

ნარდანიანი ნინაიდა

ეგერ გაღმა სარაია

ერთი გევლო რავაია

ზედ გოგვები ფუნდრუკობენ

საკოცნელად რავაია

ნარდანიანი ნინაიდა

ნარდანიანი ნინაიდა

ღელე-ღელე ვიარე

ვერ ავაგსე გუგუმი (წყლის ასადუღებელი)

ჩემ ნიშანლის აცვია თეთრი

ნარმის ზუბუნი (პერანგი)

ნარდანიანი ნინაიდა

ნარდანიანი ნინაიდა

ნარდანიანი ნინაიდა

ნარდანიანი ნინაიდა

ეგერ გაღმა თიკნები

ვატიალებ და ვიქნები

გოგოვ არ წამომყვები

ვიტირებ და ვიქნები

ნარდანიანი ნინაიდა

ნარდანიანი წინაიდა

ნარდანიანი წინაიდა

ნარდანიანი წინაიდა.

ეგერ გაღმა მდინარე

გოგო ნახვე ძინარე

მაკოცე ჰემ ვუკბინე

გავაგზავნე ტირალე

ნარდანიანი წინაიდა

ნარდანიანი წინაიდა

ნარდანიანი წინაიდა

ნარდანიანი წინაიდა”



“ფელელემ მელელემ

ჯიმ ჯიმ თელელემ

ჰაჯი ყარა ბუჯი ყარა

ჩაქველი ბაში ყარა

იწილოს მიწილოს

დათვმა მნახოს

საცხა მიხვალ

იქ ჩაგბარხლოს.”



“იგერ გაღმა ტრედებო
გოგოვ რას მერიდებო
მაგრეთ რომ ლამაზი ხარ
ჩვენთვინაც რომ იზრდებო”.



“ბახჩაში მაქვს ტყემალიო
კონწილ კონწილ კიდიო
მე ის ბიჭი არ მინდა
ბუკზე(სახე) დაპრანჭულიო”.



“ყია ყია ყინდორია
ყინდორ ზედა მინდორია
მინდორ ზედა შავი ტყეა
შავ ტყეში ნადირია
ვინცხა ვერ მიხვდება
ხვალ იმის სადილია.



“ნაზრია მიადგა კარსა
აღურღურღურებს თავსა

ღმერთო მოგვეც წვიმა წყალი

შიგვინახე სიზამთარი”.



“ღელე-ღელე ჩავიარა

ღელე ტალახიანი

ერთი პაწია შემეყარა

ისიც ტალახიანი.”



“პაწია ყანაი დიდ ყანა

პაწა პაწაიმ წემიყვანა

დადგა ტაფა შექმნა ფაფა

დავჯექი და ვქენი სეფა”. (მხიარულება)



”აი ოხერო სიბერევე მალე შამატანე ხელი, პირში გემო გამომართვი, გამაძულე ყველაფერი, მგონი ადგომას ვფიქრობდი, ამიკანკალდა მუხელები, სამოცი წლის რომ გახდები ჩემ ამბავს მაშინ მიხვდები. გონჯად თავი გამითეთრე, გლახად დამიგრძელე წვერი, კაცი არ შემაცვოდვება არ მოვლენ ჩემი ძმანები... მომამტვრიე ცალი გვერდი..გათენებამდე სულ ვკრუსუნობ, სულ ვიძახი ნენევე წელი”.

უმთავრესი სიმბოლო მაინც ენის ცოდნაა, რომელიც დღესდღეობით შემორჩენილია ზეპირი და არა წერითი მეტყველების სახით. ეთნიკური ქართველები გაღიზიანებით უყურებენ იმ ქართველებს, რომლებმაც ქართული ენა არ იციან. ჩვენი რესპოდენტი მელექ ერგუნი (მაღაყმაძე) აღნიშნავს, *“ჩვენა ვინცხამ რომე გურჯიჯა არ იცის, იმა*

ქართულ კაცათ არ ვთვლით. ზოგი იმდონი ინსნები გევიგონე რომენე გურჯობა ცხვენია, გგურჯი ვართო ცხვენოდენ არ ამბობენ, მეწყინა. შვილებს უნდა დაასწავლოთ, მანქანაში ჯდომაში ერთი კაცი გევიცანი, გურჯი ხარვო? ხო მეთქი შენ მეთქი? თურქულია მეუბნება, იშთე ამ სოფლიდან ვარო, გურჯუჯე ენა იცი მეთქი? მევო არ დამასწავლესო მეო. ეს დიდი სირცხვილია. ვინცხვა გურჯულს არ სწავლობს იმათ ვარცხვენთ.”

კატრიე ილდიზ, ერგუნი -“გერმანიაშიც არიან არ ვიცითო ჩვენ ქართულიო, რაისთვის არ უნდა იცოდე მეთქი ქართულიო? რაისთვის არ უნდა იცოდე მეთქი დიდი კაცი გამხდარ ხარ მეთქი? ჩემმა შვილიშვილებმა იციან ქართული, ჩემი გოგო გერმანიაში მექთებში(სკოლა) კითხულობს, იმის მეზობელმა მითხრა რომენე ერთი შენ რაცხა უნდა გკითხოვო, შენი გოგოს აღმანჯა დაჰა ლამაზიაო, ლამაზად ლაპარაკობსო, რაისთვინო თქვენ სახლში ისე ლაპარაკობთ თლადო გერმანულიაივო? არა მეთქი, ამან მეთქი ჰემენ მივხვდი, ჩემ გოგომ ქართველი იცის გეორგიშე, გეორგიშე შპრახე იცის მეთქი, ვოო, ახლა მივხვდი ახლაო. ჩემ ბადიშებმაც იციან, ჩვენ თელმა ვლაპარაკობთ ქართულად”.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულად მხოლოდ შიდა საოჯახო და სანათესაო სივრცეში მეტყველებენ. სოფლის გარეთ კი იყენებენ თურქულს. შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური ქართველებში ქართულ ენას მხოლოდ ეთნიკურობის სიმბოლური დატვირთვა გააჩნია.

ინეგოლის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე ერთამენტის მიყოლებით განთავსებულია ეთნიკური ქართველების ავეჯის ფირმები, რომლებიც ლათინური შრიფტით, ქართულ სახელწოდებებს ატარებს. მაგალითად “tetrihome”, “didikoltuk”, “vardi”, “saloni” “sinatle”, “modi”, “aveci”. ამით სიმბოლურად საკუთარი თვითიდენტობის გამოხატულებას ახდენენ. (იხ. სურათი 200-203) ამაცობენ თავიანთი წარმოშობითა და ინეგოლში დომინანტური პოზიციის დაკავებით.

ზოგადად “თურქიეში “გურჯობა დიდი რამეა”. ქართელთა დომინანტურ პოზიციაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე, ეთნიკურ ქართველებს ინეგოლის მერის თანამდებობა უკავიათ-ჯემალ არიქა (ჯემალ

ცეცხლაძე), ჰიქმეთ შაჰინი, (შემდგომში ბურსის მერი), ალინურ აქთაში (ალეკო ქოქოლაძე), ქალაქის მმართველობის წამყვანი თანამდებობებიც მათ ხელშია. (იხ. სურათი 204-206)

ჰუსეინ ორდუ-თავდგირიძე- *”აქ მერი ქართველია, მოადგილე ქართველია, განათლების სამართველოს უფროსი ქართველია, ყველას თავში ქართველია. ჩვენ რაცხას ვიტყვით ისე იქნება.”*

საინტერესოა, რომ ინეგოლის ქართული წარმოშობის მოსახლეობა, მერობის კანდიდატს, ხშირ შემთხვევაში ეთნიკური ქართველობის გამო ირჩევს, მიუხედავად იმისა, იზიარებს თუ არა მის პოლიტიკურ პლატფორმას.

ინეგოლში ქართველთა უპირატესობის ტენდენცია ჯერ კიდევ მუჰაჯირების გადმოსახლების პერიოდიდან ვლინდება. მაგალითად, სოფელ ჰაირიეში თავიდან ჩერქეზები მოსულანს, მაგრამ შემდგომში ეს ტერიტორია ქართველებს დაუკავებიათ. მათ მხარდაჭერა ოსმალეთის ოფიციალური წრეების მხრიდანაც ჰქონიათ, რადგანაც სწორედ ინეგოლის მმართველმა მიანიჭა ეთნიკურ ქართველებს უპირატესობა და აღნიშნული ტერიტორიის დაკავების ნება დართო. მსგავსი ფაქტი ინეგოლის სოფელ თუფექჩიქონაქშიც მომხდარა. ქართველ მუჰაჯირებს ამ სოფელში აფხაზები დახვედრიათ, მაგრამ მათ შორის გაუგებრობა მომხდარა, რის შემდეგაც აფხაზებს ეს სოფელი მიუტოვებიათ. სოფლის ძველი სახელწოდება წაწარქოი ყოფილა, რომელიც აფხაზებს მიუციათ. მოსახლეობის გადმოცემით, სოფელში ღამის გათევის მიზნით, ათათურქი თავისი სამხედროებით გაჩერებულა, ქართველებს საკვები შეუთავაზებიათ და კარგი მასპინძლობაც გაუწევიათ. ათათურქს არ მოსწონებია აფხაზების მიერ დარქმეული სახელი და სოფელს “თუფექჩიქონაქი” ანუ “მეიარაღის ღამის სადგომი”. უწოდა (იხ. სურათი 207)

ეთნიკურ ქართველთა დომინანტური პოზიციის თვალსაზრისით, საყურადღებოა სოფელი გუნეიქესთანაც. ამ სოფლის უმრავლესობა აფხაზია, უმცირესობაში კი ქართველები არიან. მარშანიების დახმარებით სოფელში დავითაძეების -ადიამანების ოჯახი გადმოსულა. 35 წლის განმავლობაში აფხაზებით დასახლებულ სოფელს,

ხელმძღვანელობდნენ უმცირესობაში მყოფი ქართველები, კერძოდ, დავითაძეების-ადიამანების გვარის წარმომადგენლები. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგანაც უმცირესობაში მყოფი ქართველის ოჯახი, 30-35 წლის განმავლობაში ინარჩუნებდა სოფლის “მუჰთარის” ანუ გამგებლის თანამდებობას.

როგორც ეთნიკური ქართველები აღნიშნავენ, თურქებს მათი “შურთ” და ცდილობენ “გაქართველებას”. თავიანთი შვილები ქართული ცეკვების შემსწავლელ კურსებზე დაჰყავთ და ქართველებთან დამოყვრებასაც ესწრაფვიან. (საინტერესოა, რომ ცნობილი ოსმალთა პოეტი ნაზი ალტაცებუღი წერდა ქართველი ქალის შესახებ. თავის ლექსებში იმ უბედურებაზე საუბრობდა, რაც არაქართველი ქალის მოყვანას მოსდევდა. ქართველი ქალის შერთვა, დიდ პატივად მიიჩნეოდა)

ჰუსეინ ორდუ-თავდგირიძე-“ერთმა თურქმა თქვა მე ქართველი გახდომა მინდაო და რა კენაო, გოგო უნდა ვითხოვო ქართველიო ან გოგო უნდა მივცეო ქართველებსო და ქართველი გავხდეო”.

ნინო ოქროსცვარიძე-“ხშირია თურქების მხრიდან გაქართველების სურვილი?”

ჰუსეინ ორდუ-თავდგირიძე-“კი, რატომ მე გამაჩინა ღმერთმაო თურქადო.”

ეთნიკური გაორება ბუნებრივი პროცესია მაშინ, როდესაც ეთნოსი სხვა ეთნოსის ტერიტორიაზე სახლდება და წლების განმავლობაში თაობებად ყალიბდება. ამ შემთხვევაში ემიგრირებული ეთნოსი იძენს სხვა ეთნოსისათვის დამახასიათებელ ტრადიციებს და ხდება მათ სივრცეში უცხო გარემოს შემოჭრა. ინეგოლის ქართველების ყოველდღიურ ცხოვრებაში ერთის მხრივ აღინიშნება ზოგადი ქართული ტრადიციების დაცვა, მეორეს მხრივ კი ხდება თურქული წეს-ჩვეულებებისადმი მიმდევრობა. ხშირშემთხვევაში ერთმანეთშია აღრეული ქართული და თურქული საოჯახო ყოფისათვის დამახასიათებელი ტრადიციები. ბიეთნიკური ქორწილის დროს კი, ცერემონია იღებს ტრადიციათა შერეულ სახეს. მსგავსი ქორწილების დროს, ოჯახებს შორის გაურკვეველობასა და გაღიზიანებასაც ჰქონია ადგილი.

ჰაირიესა და ინეგოლის ქართულ სოფლებში მივლინებებისა და კვლევების შედეგად გამოიკვეთა ქართველობის შენარჩუნების 3 უმთავრესი მიზეზი, რომელთა თანდათანობითმა მოშლამ, მათ ეთნიკურ გაორებას შეუწყო ხელი.

1. ჰაირიელი და ზოგადად ინეგოლის ქართველები საკუთარი სოფლის სივრცეში უცხო არ უშვებდნენ, მიწას არაქართველზე არ ყიდდნენ. მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ მიწის სხვაზე მიყიდვით, საკუთარ ეთნიკურ სივრცეში, სხვა ეთნიკური ერთეულის შემოდინებას შეუწყობდნენ ხელს, რითაც მოხდებოდა შიდა სივრცის თანდათანობითი მოშლა და უცხო ტრადიციების დამკვიდრება. ამ წესს დღესაც იცავენ, თუმცა ზოგიერთ სოფელში მიწის სხვა ეთნოსზე მიყიდვის ფაქტები მაინც ფიქსირდება.

ნინო ოქროსცვარიძე - *“თქვენ სოფელში მიწას უცხოს მიყიდიან?”*

აზიზ ეფე - *“იქ რო მე მიწა გემყიდა ეგერ აქა ინეგოლში 15 დაირე (სახლი) მექნებოდა. სხვები ყიდიან, ვინცა ფარას ბევრ აძლევენ ყიდიან. მე არ გავყიდი. მე სხვას იქ არ შევუშვებ. მე ვუთხარ ამდენი ფული მომცეს, არ ვაძლევ აქ არვის არ ვუშვებ, გაყიდეს ხალხმა, ამა მემრე მეიშლება ქართველობა, ადგება ის მოვა, ის მოვა, გეიზრდება”.*

ჰუსეინ აიბარი-ხაზინადარი - *“უცხოს მაინც არ უშვებენ ადგილობრივს უთმობენ”.*

აზიზ ეფე - *“რაცხა ფულს დაადებს კაცი ყიდის იმას. ის სოფელი დეიკარგვის. ქართველები აღარ არიან.”*

ჰუსეინ აიბარი-ხაზინადარი - *“თურქებიც არიან და უნდათ ყიდვა.”*

აზიზ ეფე - *“სოფელში ვეუბნები ეს უნდა გავყიდო. ამას რა უნდა 20 მილიონი ფული მინდაო არ გაძლევს კაცი, მოდის 30 მილიონ ფულ გაძლევს, შენც იმას მიყიდავ. სოფელი დეიკარგვის.”*

ჰუსეინ აიბარი-ხაზინადარი - *“ჩვენს სოფელში (საუბარია ჰილმიეზე) რაც არ უნდა მეტი მისცეს, მაინც უცხოს არ მიყიდიან. მხოლოდ ერთმა გაბედა სახლის გაყიდვა და დაატოვინეს. სოფლის სიძე იყო ეგა.”*

შიში იმისა, რომ მოხდება ეთნიკურ ქართველთა გადაჯიშება, დიდია. ეს განსაკუთრებით უფროს თაობაში შეინიშნება. ახალგაზრდებს, მშობლების სიკვდილის შემდეგ, სხვა ეთნოსის წარმომადგენლებისათვის მიუყიდათ მიწები. ამ ფაქტს უარყოფითად შეხვდა სოფლის მოსახლეობა და "უცხო" აიძულეს მიწები ადგილობრივებისათვის მიეყიდა.

2. უარყოფითად ეკიდებოდნენ შერეული ოჯახების შექმნას. ქართველების ამ თვისებაზე ჯერ კიდევ ევგენი დააღუჯო საუბრობდა. იგი აღნიშნავდა, რომ იშვიათია მათში მრავალცოლიანობა და "თათრებში" აღრევა. ეთნიკური ქართველები არა მხოლოდ სოფლის, არამედ თავიანთ ოჯახშიც სხვა ეთნოსის შემოშვებას გაურბოდნენ- *"თურქებს სურთ ჩვენთან ქალი წაიყვანონ ან ბიჭი, მაგრამ ჩვენ არ ვაძლევთ"*.

უსთაისმეთოდლუ-ვახტანგიძე- "გენელდე (უმთავრესად) გურჯია. იაბანჯი (უცხო) მიცემა ართმევა არ გვიყვარს. ჩუნენამ არ გამეიცვალოს, იაბანჯის (უცხოს) ქართუელის გარდა არ ვუშვებთ ჩუნენ სოფლებში. სისხლმა არ გამეიცვალოს, ენამ არ გამეიცვალოს".

აზიზ ეფე- "იმათ იერიან. უწინ არ იყო. გურჯი სხვას არ მისცემდნენ. გურჯი სხვას არ ითხოვდა. ახლა აძლევენ, რაფერ აძლევენ. სოფლებში გოგოები ახლა ინეგოლში მჯდარან, ინეგოლში ვინცხა მოთხოვს, ოღო ინეგოლია აძლევენ. უწინ ქართველი ქართველი. ანაი ქართველი, ბაბაი ქართველი. ბაღვები იმფრად იზრდებოდნენ, ახლა რომ იერია ახლა იმას ვიჯებით."

3. ეთნიკური ქართველები უცხო ტერიტორიაზე დამკვიდრების დღიდან, ცდილობდნენ შემოენახათ წინაპართა ტრადიციები, ადათები, მომავალი თაობებისათვის გადაეცათ ინფორმაცია წარმომავლობის შესახებ.

ამრიგად, ზემოაღნიშნულმა მიზეზებმა ერთის მხრივ შემოუნახეს მათ ქართველობა, თუმცა მეორეს მხრივ თანდათანობრივმა მოშლამ გამოიწვია და დააჩქარა ასიმილაციის პროცესი, რასაც ისედაც ხელს უწყობდა გარემო პირობები-ქალაქური ცხოვრების შემოჭრა, სავალდებულო სამხედრო სამსახური, თურქეთის მოქალაქეობა (თურქეთის კონსტიტუციის სამოცდამეექვსე მუხლის მიხედვით თურქეთის ყველა მოქალაქე

თურქია), ისლამი და "თურქი ხალხის ტოლერანტობა", რომელიც "მუსლიმ ემიგრანტს საკუთარ მიწაზე იღებდა". როგორც პ. მაგნარელა აღნიშნავდა, "თურქეთში სამხედრო სავალდებულო სამსახური, ქართველების და სხვა ეთნიკური უმცირესობების, თურქულ საზოგადოებასა და კულტურასთან გაერთიანებას უწყობს ხელს. ჯერ კიდევ 20 წლის ასაკში პრაქტიკულად ყველა ჰაირიელი მამაკაცი სოფელს ტოვებს და ორი წლით თურქეთის ჯარში მიდის". (Magnarella 1979, 117) მეცნიერს მოჰყავს პოლ სტირლინგის გამოკვლევა, (ამ უკანასკნელმა 1950-იან წლებში გამოიკვლია თურქეთის სოფლები და მათ შორის შეეხო ჰაირიესაც) "უეჭველია, რომ სამხედრო სამსახური, სოფლის ეროვნულ სახელმწიფოსთან იდენტიფიცირების თვალსაზრისით, უმთავრესს მიზეზს წარმოადგენდა.... ყველას შეეძლო უფრო მეტი ენახა თურქეთის შესახებ" . (Magnarella 1979, 117)

ბუნებრივია, ასეთ გარემოში ძალიან რთული იქნებოდა იდენტურობის დაცვა. თვისობრივად უცხო გარემო გავლენას ახდენდა და ახდენს მათ ყოფა-ცხოვრებაზე. მაგრამ იძულებითი და ბუნებრივი ასიმილაციის მიუხედავად, ეთნიკურ ქართველებში მაინც შემორჩენილია თვითიდენტობის ტერმინოლოგიური, გენეტიკურად დამახასიათებელი ნიშან-თვისებებითა და სიმბოლოებით გამოხატული ეთნიკური თვითაღქმა, რითაც ახდენენ საკუთარი თავის მიკუთვნებას "ქართულ", "გურჯულ"-სამყაროსთან.

დასკვნები

I. ჰაირიესა და ინეგოლის ქართველმა მუჰაჯირებმა საქართველოდან აყრის მომენტში თან წაიღეს, როგორც მატერიალური კულტურის, ისე სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი. გენეტიკურ-ეთნიკური კუთვნილება, საოჯახო-სამეურნეო და კულტურულ-ადათობრივი ტრადიციები, წარსული მეხსიერება, რითაც შემოსაზღვრეს საკუთარი ეთნიკური მიკროსამყარო. თვითდამკვიდრება უცხო მიწაზე დაიწყეს საკუთარი სივრცის შექმნით-საცხოვრისის სახით. გამიჯნეს “შინა”- “გარეთა”-საგან. შიდა სივრცით გააერთიანეს ორი სამყარო “სიმბოლური და რეალური”, წარსული და აწმყო.

II. ჰაირიელ და ზოგადად ინეგოლის ქართველებით დასახლებულ სოფლებში, მოსახლეობის მიერ, ქართველობის შემეცნებისა და გამოხატვის 3 უმთავრესი ნიშანი იკვეთება.

1. ტერმინოლოგიური, რომელშიც ვგულისხმობთ დეფინიციებს “გურჯი”, “ჩვენებური”.

2. გენეტიკურად დამახასიათებელი ნიშან-თვისებები ა) “დამკავებლობა”-ერთად ყოფნა ჭირსა და ლხინში. ბ) ურთიერთდახმარება. გ) სიმაღლე, სიჯანსაღე, გარეგნული სილამაზე. დ) სიცოცხლის ხანგრძლივობა. ე) სამზარეულო. ვ) სისუფთავე.

3. სიმბოლოებითა და სულიერი კულტურით გამოხატული ეთნიკური თვითაღქმა: მათში ვგულისხმობთ საქართველოსთან და ქართველობასთან ასოცირებული სიმბოლოებით, გამოხატულ ეთნიკურ თვითშემეცნებას, რაც თავისმხრივ უკავშირდება ისტორიულ მეხსიერებას. ხშირშემთხვევაში პიროვნება ქართველობის აღქმას სიმბოლოებით ახდენს. ეს შეიძლება იყოს საქართველოდან მათი წინაპრების მიერ წამოღებული ნივთები, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომლებსაც დღესდღეობით პრაქტიკული დანიშნულება აღარ გააჩნიათ. მეხსიერებაში შემორჩენილი ქართული სიმღერები, ლექსები და ცეკვები. უმთავრესი სიმბოლო მაინც ენის ცოდნაა, რომელიც დღესდღეობით შემორჩენილია ზეპირი და არა წერითი მეტყველების სახით. დაცული საოჯახო, საქორწინო, სტუმარ-მასპინძლობისა და უფროსს-უმცროსობის ადათები.

ზოგიერთი თურქეთელი ქართველის საფლავის ქვაზე ამოკვეთილი წარწერა, გვაწვდის მიცვალებულის ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას- დაბადების ადგილი, წარმოშობა და ქართული გვარი.

III. ჰაირიესა და ზოგადად ინეგოლის ქართველებში შეინიშნება გაორების მომენტი. მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ერთის მხრივ აღინიშნება ზოგადი ქართული ტრადიციების დაცვა, მეორეს მხრივ ხდება თურქული წეს-ჩვეულებებისადმი მიმდევრობა. ხშირ შემთხვევაში ერთმანეთშია აღრეული ქართული და თურქეთისათვის დამახასიათებელი ტრადიციები. ქართველისა და თურქის ანუ ბიეთნიკური ქორწილის დროს კი ცერემონია იღებს ტრადიციათა შერეულ სახეს.

მუჰაჯირი ქართველები ცდილობდნენ შეძლებისდაგვარად მკაცრად შემოესაზღვრათ საკუთარი სივრცე, რათა თავიდან აეცილებინათ ბუნებრივი პროცესისრული ასიმილაცია. ჰაირიესა და ინეგოლის ქართულ სოფლებში მივლინებებისა და კვლევების შედეგად, გამოიკვეთა ეთნიკური თვითობის შენარჩუნების 3 უმთავრესი მიზეზი:

1. ჰაირიელ და ზოგადად ინეგოლის ქართველებით დასახლებულ სოფლებში, ეთნიკურ ქართველებს ჩვევად ჰქონდათ, საკუთარი სივრცის შემოსაზღვრა. ფუნდებოდნენ, იკავებდნენ რა კონკრეტულ ტერიტორიას, უცხო მასზე არ უშვებდნენ, არ ყიდდნენ საკუთარ მიწას უცხო ეთნოსზე, ვინაიდან კარგად იცოდნენ, რომ მიწის სხვაზე მიყიდვით, საკუთარ ეთნიკურ სივრცეში, სხვა ეთნიკური ერთეულის შემოღინებას შეუწყობდნენ ხელს, რითაც მოხდებოდა შიდა სივრცის თანდათანობითი მოშლა და უცხო ტრადიციების დამკვიდრება.

2. უარყოფითად ეკიდებოდნენ შერეული ოჯახების შექმნას, რადგანაც გადაჯიშებად აღიქვამდნენ. ქართველი “შეურყვეველია და მტკიცედ იცავდა ჯიშს და მოდგმას. იგი სხვას მოირიგებს, მაგრამ იშვიათად შეირევს ამავე სხვას. ...გადაჯიშება იწყება სისხლის შერევის შემდეგ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამას თვისობრივად ახალი ზნე-ჩვეულების შემორევაც ახლავს თან”. (ბუხრაშვილი 2005, 18-19)

3. ტრადიციებისა და ადათობრივი სივრცის, როგორც ისტორიული მეხსიერების შემონახვა.

უნდა აღინიშნოს, რომ დროთა განმავლობაში თანდათანობითი ცვლილება განიცადა ჩვენ მიერ დასახელებულმა პირველმა ორმა მიზეზმა. ადრე, თუ მიწის უცხოზე მიყიდვა, შეიძლება ითქვას აკრძალული იყო, დღესდღეობით იშვიათად, მაგრამ მაინც შეიმჩნევა ასეთი ფაქტები. თუმცა, სოფლის მოსახლობის დამოკიდებულება უარყოფითია. რაც შეეხება შერეულ ოჯახებს, ქართველის ქართველზე დაქორწინება აღარ წარმოადგენს კატეგორიულ მოთხოვნას.

შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნულმა მიზეზებმა, ერთის მხრივ შემოუნახეს მათ ქართველობა, თუმცა მეორეს მხრივ მათმა თანდათანობრივმა მოშლამ გამოიწვია და დააჩქარა ნაწილობრივი ასიმილაცია, რასაც ისედაც ხელს უწყობდა გარემო პირობები. ბუნებრივია, ყოველივე ეს გავლენას ახდენდა და ახდენს მათ ცხოვრების წესზე. მიუხედავად იმისა, რომ უცხო გარემოში რთულია იდენტობის დაცვა, მიგვაჩნია, რომ ასიმილაციური გარემო პირობების, ეთნიკური გაორების მიუხედავად, მათში მაინც შემორჩენილია თვითიდენტობის ერთიმხრივ გააზრებული და მეორეს მხრივ ქვეცნობიერი აღქმა.

რეკომენდაციები

წინამდებარე ნაშრომი ეხება თურქეთში, ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეს (მაჭახელა) ეთნიკური ქართველებით დასახლებული მოსახლეობის შესწავლას. სამეცნიერო მივლინებების დროს 2009-2011 წლებში, ჩვენ გამოვიკვლიეთ არა მხოლოდ სოფელი ჰაირიე, არამედ ინეგოლის გარშემო არსებული 18 ქართული სოფელი. სწორედ აღნიშნული მივლინებებისა და კვლევების საფუძველზე მომზადდა წინამდებარე ნაშრომი.

2012 წლის "კოიმზრას ჯგუფის უნივერსიტეტების სტიპენდიის" ფარგლებში, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის, (გერმანია) კავკასიოლოგიის დეპარტამენტის პროფესორ ქევინ თუითის ხელმძღვანელობით, ჩავატარე კვლევა გუმერსბახსა და ბერგნომტადში, სადაც 1970-იანი წლებიდან ჰაირიელი ქართველების სამი თაობა სახლობს. (ეს მათთვის მესამე კულტურის ქვეყანაა) მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა გუმერსბახსა და ბერგნომტადში მცხოვრები თურქეთელი ქართველების (ჰაირიელი ქართველების) საოჯახო ყოფა-ცხოვრების ლოკალური თავისებურებები, საცხოვრისის მნიშვნელობა/განცდა. ჩვენს კვლევაში ყურადღება დაეთმო არაქართულ გარემოში ოჯახის ისტორიული განვითარების პროცესში მომხდარ ცვლილებებს. 2009-2011 წლებში ინეგოლში (თურქეთი) ჩატარებულმა კვლევებმა წარმოაჩინა თუ რამ განიცადა ასიმილაცია, რა შემოგვრჩა ძველი ქართული ყოფიდან, რის საფუძველზეც შეიძლება განისაზღვროს გარკვეულ ტრადიციათა, როგორც ისტორიული მეხსიერების შემადგენელი ნაწილის, მდგრადობა და სიცოცხლისუნარიანობა. გერმანია მათთვის მესამე ქვეყანაა. შორეული წარსულით ისინი გენეტიკურად საქართველოსთან არიან დაკავშირებულები; უახლოესი წარსულით, როგორც მუჰაჯირები თურქეთთან; ხოლო აწმყოთი კი ევროპასთან, კერძოდ გერმანიასთან. ზოგადად ცნობილია, რომ პიროვნება გარემოსთან ადაპტაციის შედეგად ყალიბდება, სწორედ ამ პრინციპის მიხედვით, ჩვენი კვლევისათვის საინტერესო იყო, როგორ მოხდა თურქეთიდან, კერძოდ ჰაირიედან მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში წასვლის შემდეგ, გერმანიასთან მათი ადაპტაცია, გერმანიამ,

როგორც "მესამე კულტურის" ქვეყანამ რამდენად შესძლო მათი ასიმილირება ზოგად ევროპულ სივცესთან. ამასთან დაკავშირებით მომზადდა კვლევა, სტატიის სახით "ორგზის მუჰაჯირები სამი კულტურის გზაჯვარედინზე (ჰაირიელი ქართველები ბერგნოშტადში)"

მე-20 საუკუნის 60/70-იან წლებში გერმანიაში გადასახლებულ მუჰაჯირ ქართველთა საოჯახო ყოფის შესწავლის შედეგად, შეძლებისდაგვარად დადგინდა ოჯახის განვითარებისა თუ ტრანსფორმაციის სურათი "მესამე კულტურის" ქვეყანაში. ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოვიდა აღნიშნული რეგიონის მოსახლეობის (მესამე ქვეყანაში) შესახებ არსებული ეთნოგრაფიული მასალა, რომელშიც შეძლებისდაგვარად აისახა გერმანიაში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა დღევანდელი ყოფა. ადგილზე შეგროვებულმა ფოლკლორულმა, დიალექტოლოგიურმა, ეთნოგრაფიულმა მონაცემებმა საშუალება მოგვცა გავცნობოდით აქამდე უცნობ მასალებს და შეგვედარებინა ჩვენ მიერ 2009-2011 წლებში თურქეთში, კერძოდ ჰაირიეში შეგროვებული ეთნოგრაფიული მასალებისათვის.

სამომავლოდ ვვარაუდობთ, ჩვენი კვლევა გავაგრძელოთ: 1. გერმანიის დანარჩენ ქალაქებში (დერშლაგი, აპფელბაუმი, ბორხენი, ჰაიდელბერგი, ჰალლე, ეპპელჰაიმი) სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ თურქეთელი ქართველები. აღნიშნული კვლევა აქტუალურია არა მარტო ქართული, არამედ გერმანული მხარისთვისაც, რაც თავის მხრივ მას აქცევს საერთოევროპული, ერთაშორისი ურთიერთობების საკითხების შესწავლის არეალში - ცნობილია, რომ დღევანდელ გაერთიანებულ ევროპაში თავი წამოყო ჰომოფობიამ და ეროვნულმა შეუწყნარებლობამ (ე.წ. „ბრეივიკის სინდრომი“) გერმანიაში მწვავედ დგას თურქების საკითხი, რადგანაც როგორც ეთნიკური უმცირესობა საკმაოდ მრავლად არიან გერმანიაში, ამას ემატება მათი აღმსარებლობაც - ისლამი. ასეთ პირობებში კულტურული სხვაობა ბადებს გარკვეულ დისბალანსს, მენტალურ შეუთავსებლობას. კულტურათა შორის დიალოგის არ არსებობამ შესაძლოა მომავალშიც წაახალისოს "ბრეივიკის სინდრომი" ევროპის დანარჩენ ქვეყნებში და მათ შორის გერმანიაშიც.

2. ირანში კერძოდ, ფერეიდანში (სოფელი მარტყოფი) როგორც ცნობილია, შაჰ-აბასმა მე-17 საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოდან სპარსეთში, კერძოდ ფერეიდანში გადაასახლა ქართველები. კვლევის მიზანია სოფელ მარტყოფში დასახლებული ეთნიკური ქართველების საოჯახო ყოფა-ცხოვრების შესწავლა, (მსგავსად ჰაირიეს ქართველების საოჯახო ყოფისა) რა აქვთ შემორჩენილი საერთო ქართული ყოფიდან, რამდენად არიან ასიმილირებული ირანულ საზოგადოებასთან. თურქეთში ჩვენი კვლევების შედეგად დადგინდა რამოდენიმე მიზეზი, რამაც მუჰაჯირ ქართველებს შეუნარჩუნა თვითიდენტობის აღქმა. საინტერესო იქნება დადგინდეს ის მიზეზები, რამაც ფერეიდნელ (მარტყოფელ) ეთნიკურ ქართველებს შემოუნახა დღემდე "ქართველობის" შემეცნება. შესაძლებელია ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევის შედეგები დაემთხვას თურქეთში ჩატარებული კვლევის შედეგებს. ჩვენთვის ასევე საინტერესო იქნება სამომავლოდ ირანიდან მოპოვებული და უკვე თურქეთში ჩატარებული მასალების შედარება. რა გამოიკვეთება მსგავსი და განსხვავებული. ირანში ქართველები მე-17 საუკუნიდან ცხოვრობენ, თურქეთში კი მე-19 საუკუნიდან (მუჰაჯირები) შესაბამისად ასიმილაციის მხრივ საქმე განსხვავებულად იქნება. გარდა ამისა, ირანი, თურქეთთან შედარებით დახურული სივრცეა და განსხვავებაა რელიგიური მიმდინარეობის თვალსაზრისითაც, კერძოდ ირანი შიიტური ისლამის მიმდევარი ქვეყანაა, თურქეთი კი სუნიტური. გარდა ამისა საყურადღებოა ის მომენტიც, რომ თურქეთელი ქართველები, მუჰაჯირობის პერიოდში რელიგიური თვალსაზრისით, უკვე ასიმილირებულნი იყვნენ, რჩებოდა ეთნიკური ასიმილაცია, რაც თურქეთში წარიმართა, ფერეიდნელი ქართველები კი კახეთიდან აყრის პერიოდში ქრისტიანები იყვნენ და მათი რელიგიურ-ეთნიკური ასიმილაცია ირანში წარიმართა.

ამრიგად, დაგეგმილი ეთნოგრაფიული კუთხით კვლევის ჩატარება ხელს შეუწყობს:

1. ერთაშორისი და კულტურათაშორისი დიალოგის გააქტიურებას.
2. ქართულ სამეცნიერო სივრცეში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, პერიოდსა და ქვეყნებში, ობიექტური მიზეზების გამო გადასახლებულ ეთნიკურ ქართველთა შესახებ ახალი ეთნოგრაფიული მასალების შემოტანას. ამავედროულად, საშუალება გვექნება მასალები ერთმანეთს შევუდაროთ.

ლიტერატურა

1. აბაშიძე მ. - რჩეული ნაწერები. "საბჭოთა საქართველო", ბათუმი, 1973
2. აჩუგბა თ. -ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ბათუმი, 1983,
3. აჩუგბა თ. -ხალხური საოჯახო სამართლის ნორმები აჭარაში (ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობა) სდსყკ, X, თბილისი, 1983
4. აჩუგბა თ. -ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულების ნორმები, სდსყკ, XI, თბილისი, 1985.
5. აჩუგბა თ. - ქალის უფლებები აჭარულ ოჯახში, სდსყკ, XII, თბილისი, 1986.
6. ზაგრატიონი ვ. -აღწერაი სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1973.
7. ზარდაველიძე ვ. - ქართული (სვანური) საწესო-გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953,
8. ზარდაველიძე ვ. - ქართველი ხალხის სულიერი ყოფა და კულტურა, "მეცნიერება," თბილისი, 1988.
9. ბექაია მ. -ძველი და ახალი საქორწილო ტრადიციები აჭარაში, "საბჭოთა აჭარა", ბათუმი, 1974.
10. ბექაია მ. -ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, "მეცნიერება", თბილისი, 1980.
11. ბექაია მ. -საოჯახო და საქორწილო ტრადიციების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ოჯახის სიმტკიცისათვის, "მეცნიერება", თბილისი, 1981.

12. ბექაია მ. -ოჯახის ეთნოსოციოლოგიური კვლევის მეთოდური საკითხები, "მეცნიერება", თბილისი, 1988.
13. ზოსტაშვილი ნ. -იასე რაჭველიშვილი-მეხუზლა, "მეცნიერება", თბილისი, 1991
14. ბუხრაშვილი პ. -საცხოვრისი ქართველი ერის ყოფასა და კულტურაში ძველად. "უნივერსალი", თბილისი, 2005.
15. გეგეშიძე მ. -ეთნიკური კულტურა და ტრადიციები. "მეცნიერება", თბილისი, 1978.
16. გელაძე თ. -შრომის ორგანიზაციის ფორმები იმერეთში, კრ. იმერეთი, თბილისი, 1978.
17. გელოვანი ნ. -ქალი ისლამში, "უნივერსალი", თბილისი, 2005
18. გვრიტიშვილი დ. -საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, "სახელგამი" თბილისი, 1955.
19. გიგინეიშვილი ო. -ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, "მეცნიერება", თბილისი, 1982
20. გიგინეიშვილი ო. -მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია, "მეცნიერება", თბილისი, 1983
21. გოცირიძე გ. -ქორწინება ფერეიდნელ ქართველებში, თბილისი, 1987
22. დალეჯიო დ'ალესიო ე. -ქართველები კონსტანტინეპოლში, "ქართული სავანე", სტამბოლი, 1921.
23. დოლიძე ი. -საქართველოს ჩვეულებათა სჯული. " საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა". თბილისი 1960.
24. დოლიძე, ი. -ქართული სამართლის ძეგლები, "მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა", თბილისი, 1963

25. ვაჩნაძე მ, გურული ვ. -ამასიიდან ყარსამდე საქართველოს ტერიტორიის გადანაწილება. ირან-ოსმალეთ-რუსეთ შორის 1955-1921. თბილისი, "მეცნიერება", 2007.
26. იველაშვილი თ. -საქორწინო-საოჯახო აკრძალვები ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მაცნე, ისტორიის სერია, #3, 158-168, 1980
27. ითონიშვილი ვალ. -ქორწინების ზოგიერთი წეს-ჩვეულება ძველ თბილისში, "საქართველოს მეცნიერებათა აკადემია", თბილისი, 1959
28. ითონიშვილი ვალ. -ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, "საქართველოს მეცნიერებათა აკადემია", თბილისი, 1960
29. ითონიშვილი ვალ. -ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, "მეცნიერება" 1969
30. ითონიშვილი ვალ. -მოხევის საოჯახო ყოფა, "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1970
31. ითონიშვილი ვალ. -ქართველი ხალხის საოჯახო და საქორწინო ურთიერთობების საკითხები ივ. ჯავახიშვილის შრომებში, მაცნე, ისტორიის სერია, #2, 79-91, 1976.
32. ითონიშვილი ვალ. -კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფა (ისტორიოგრაფიული ნარკვევი), თბილისი, "მეცნიერება", 1977.
33. ითონიშვილი ვალ. -ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, "მეცნიერება", თბილისი 1989
34. ითონიშვილი ვალ. -კავკასია და კავკასიელები, "მეცნიერება", თბილისი 2007
35. კაპანაძე ნ. -ბავშვის აღზრდის ქართული ხალხური წეს-ჩვეულებანი, "მეცნიერება", თბილისი, 1986.
36. კაპანაძე ნ. -ქართული საბავშვო ფოლკლორის მითოსური და ქრისტიანული მსოფლმხედველობა, "მეცნიერება", თბილისი, 2006

37. კაპანაძე ნ. -საოჯახო ყოფითი ტრადიციები ქართულ ფოლკლორში, "მეცნიერება", თბილისი, 2006.
38. ლომსაძე შ. -მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი. "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1984.
39. მაჩაბელი ნ. -ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის ისტორიისათვის. თბილისი, "მეცნიერება", 1976.
40. მაჩაბელი ნ. - ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, "მეცნიერება", თბილისი 1978
41. მეგრელიძე შ. -აჭარის წარსულიდან-"მეცნიერება", თბილისი 1964
42. მელიქიშვილი ლ. -ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებების სტრუქტურის ანალიზი და ინოვაცია, თბილისი, "მეცნიერება", 1986.
43. მიქელაძე ჯ. -საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები აჭარაში, "საბჭოთა აჭარა", ბათუმი, 1982
44. მიწიშვილი ნ. -ეპოპეია. ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან. წ. 1. ტფილისი 1929
45. ნადარეიშვილი გ. -ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, "მეცნიერება", თბილისი, 1965.
46. ნადარეიშვილი გ. -ქართული საოჯახო სამართლის ისტორიის ნარკვევები, "მეცნიერება", თბილისი, 1971.
47. ნინოშვილი ეგ. -თხზულებანი, "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1984.
48. რობაქიძე ალ. -ტრადიცია და ცხოვრების წესი, "მეცნიერება," თბილისი, 1981.
49. საბჭოთა აჭარის 20 წელი, ბათუმი, 1941
50. სამართალი ვახტანგ VI, ტექსტი დაადგინა და საძიებლები დაურთო ი. დოლიძე, "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1981

51. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, რვა ტომად, ტ. V, “საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1970.
52. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. “მეცნიერება” თბილისი, 1993.
53. სახოკია თ. - მოგზაურობანი, ბათუმი, 1985
54. სვანიძე მ. -საქართველო ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII ს. ”მეცნიერება”, თბილისი, 1971.
55. სვანიძე მ. - საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები(XIV-XVIII) ”მეცნიერება”, თბილისი, 1990
56. სვანიძე მ. -თურქეთის ისტორია, “არტანუჯი”, თბილისი 2007
57. სორდია გ. -დემოკრატიულ ნორმათა პრობლემები თურქულ კანონმდებლობაში. “უნივერსიტეტის გამომცემლობა”, თბილისი, 2002.
58. სურგულაძე ა. -საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობათა ისტორიისათვის. “აჭარა”, ბათუმი, 1997.
59. სტალინი ი. -ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი. “სახელგამი პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი”, თბილისი, 1951.
60. სტალინი ი. -მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი. “სახელგამი პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი”, თბილისი, 1951.
61. ფეჩვის ი. -ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ. “მეცნიერება” თბილისი 1964
62. ფუტყარაძე შ. -ჩვენებურების ქართული, წ. I, ”აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა”, ბათუმი, 1993,
63. ქართველები კონსტანტინეპოლში და სპარსეთში, “მერანი”, თბილისი, 1990.

64. ყაზბეგი გ. -სამი თვე თურქეთის საქართველოში “აჭარა”, ბათუმი, 1995
65. ყორანაშვილი გ. - ეთნიკური თვითშეგნება და ტრადიციები, ”მეცნიერება”, თბილისი 1984
66. შავშეთი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართველოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა “ ჰოროსი”, თბილისი, 2011
67. ჩიტაია გ. - შრომები, ხუთ ტომად, ტ. I, , ”მეცნიერება”, თბილისი, 1997
68. ჩიტაია გ. -შრომები-სვეტები. ტ.IV. “მეცნიერება”. თბილისი, 2001.
69. ჩიქოვანი თ. -ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა) ”მეცნიერება”, თბილისი, 1967.
70. ჩელები ე. -მოგზაურობის წიგნი. “მეცნიერება”, თბილისი 1971.
71. ჩელები ე. -ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ, “მეცნიერება” თბილისი, 1978.
72. ჩხაიძე ა. -ჩვენებურები, “აჭარა”, ბათუმი, 1991.
73. ცეცხლაძე გ. - გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, ”მეცნიერება”, თბილისი 1991
74. წერეთელი მ. -ერი და კაცობრიობა. “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”. თბილისი, 1990
75. ჭავჭავაძე ილ. -თხზულებანი სრული კრებული, ხუთ ტომად, ტ, II, თბილისი, 1941
76. ილ. ჭავჭავაძე-ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, ტ, VI, ტფილისი, 1927
77. ჭავჭავაძე ილ. -ნაწერების სრული კრებული, ცხრა ტომად, ტ, 7, ”ქართული წიგნი”, ტფილისი, 1928
78. ჭიჭინაძე ზ. -აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი, ტფილისი, 1895
79. ჭიჭინაძე ზ. -მესხეთ ჯავახეთის გათათრება, ტფილისი, 1906

80. ჭიჭინაძე ზ. -ოსმალეთის ყოფილი საქართველო, ქართველების გამაჰმადიანება, თბილისი, 1907.
81. ჭიჭინაძე ზ. -მუსულმან ქართველთა საქართველო, ტფილისი, 1909
82. ჭიჭინაძე ზ. -ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსულმან ქართველთ საქართველოსი, ბათუმი, 1911
83. ჭიჭინაძე ზ. -ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, მუჰაჯირი-ემიგრაცია, ტფილისი, 1912
84. ჭიჭინაძე ზ. -მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფილისი, 1913
85. ჭიჭინაძე ზ. -ოსმალეთის ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ნაწილი ლაზისტანი ისტორიულის და ეთნოგრაფიულის მხრით, ტფილისი, 1927
86. ხალვაში ფ. -ომრი, “ეროვნული მწერლობა”, თბილისი, 2007
87. ხარაძე რ. - დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი, 1939
88. ხორავა ბ. -აბხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, ”არტანუჯი”, თბილისი, 2004
89. ხიზანიშვილი ნ. (ურბნელი) -ძველი ქართული ოჯახი, რჩეული იურდიული ნაწერები, დასაბეჭდად მოამზადა, ბიოგრაფიული მასალები და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, ”მეცნიერება”, 1982.
90. ჯავახიშვილი ალ. -თხზულებანი, ტ I. ანთროპოლოგიური შრომები, “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, თბილისი 1990.
91. ჯაიანი ივ. -გურია და ზოგიერთი ძველი და ახალი ჩვეულება გურულებისა, გაზ. ”ივერია”, 1894, #219
92. ჯაფარიძე შ. -მუსტაფა ქემალ ათა-თურქი. პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. “ირმისა”, ბათუმი-თბილისი, 1996.

93. ჯაფარიძე შ. -ნიკო მარის მოგზაურობა შავშეთში და კლარჯეთში, თბილისი, 1996
94. ჯიქია ს. -გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაფთარი, სამ ტომად, ტ, 1
“საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა”, თბილისი, 1947
95. Magnarella P. - The Peasant Venture-Tradition, Migration, and Change among Georgian Peasants in Turkey, Schenkman Publishing Company, Cambridge, Massachusetts, 1979.
96. Бромлей Ю. В. -Этнос и Этнография. «Наука». Москва, 1973.
97. Бражноков Б. Х. -Очерки этнографии обшения адыга. Нальчик. 1983
98. Чебоксарев И.А, Чебоксарева Н. Н. -Народы, Рассы, Культуры. «Наука». Москва, 1971
99. Arif İ. M. -Gürcü Köyleri “Sinatle” İstanbul, 2002
100. Çiloğlu F. -Dilden Dine, Edebiyattan Sanata Gürcülerin Tarihi, Istanbul,1993
101. Kasap M. ”Osmanlı Gürcüler”, Istanbul, 2010
102. Türkçe sözlük, Türk dil kurumu, I cilt, Ankara-1998
103. “ამირანი” № 19, 2008,
104. “ალმანახი” № 1, 1901.
105. “განთიადი” № 4, 1978.
106. ”გოლოს” № 96, 1879.
107. “დროება” № 12017, 1875. (“დროება” 1875-1909)
108. “დროება” № 35, 1878.
109. “დროება” № 126, 1878.
110. “დროება” № 164, 1878.
111. “დროება” №14, 1879.

112. "დროება" № 73, 1882.
113. "დროება" № 11, 1908.
114. "დროება" № 3, 8, 1909.
115. "ერთობა" № 262, 1918.
116. "თემი" № 42, 1911.
117. "ივერია" № 2, 1879 (1879-1894)
118. "ივერია" № 185, 1897.
119. "ივერია" № 105, 1897.
120. "კავკაზი" № 159, 1879.
121. "კავკაზი" № 67, 1880.
122. "კვალი" 1895
123. "კრებული" 1873
124. "მიმომხილველი" № 6-9, 1972.
125. "მოგზაური" №3-4, 1904.
126. "ნიშადური" № 10, 1907.
127. "სამუსლიმანო საქართველო" № 295, 1920.
128. "საქართველო" № 61, 1916.
129. "სახალხო გაზეთი" № 211, 1911.
130. "სახალხო გაზეთი" № 232, 1911.
131. "სახალხო გაზეთი" № 615, 1912 ("სახალხო გაზეთი" 1911-1914)

132. “ტრიბუნა” № 3, 1921.
133. თურქულ-ქართულენოვანი ჟურნალი “ფიროსმანი”, № 3, 2007.
134. “შრომა”, № 40, 1882.
135. ”ცნობის ფურცელი”, № 87, 1897.
136. “ჯვარი ვაზისა” № 18, 1906.
137. İnegöl Çınarlaraltı, İnegöl Belediyesi Kent Müzesi Kültür Sanat Tarih Dergesi, Eylül yıl 1-
№2, 2010
138. Kebikeç İnsan bilimleri için kaynak araştırmaları dergisi № 16, 2003.
139. www.hayriyekoyu.com.tr.
140. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=1970>
141. <http://servat.unibe.ch/icl/tu00000.html>.
142. http://www.enjoyturkey.com/info/culture/Life_Style.htm, Circumcision ceremony
143. ხელნაწერთა ინსტიტუტი მ. თამარაშვილის პირადი ფონდი. #173

დანართი 1

ჰაირიესა და ინეგოლის ქართველებით დასახლებულ სოფლებში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა მეტყველება. ჩაწერილია 2009-2011 წლებში ვიდეო და აუდიო საშუალებების მეშვეობით.

(ნინო ოქროსცვარიძე, აიშე ხინკილაძე, სებაჰათ ათაბაი, რემზიე ათაბაი, ქამურან ათაბაი)

ნინო-სახლში ქალი რას აკეთებდა?

აიშე-რას აკეთებს, სახლსა გვის, საჭმელ გააკეთებს, ბაღნებს შეხედავს, აჰორში შავა.

ნინო-და მამაკაცი?

აიშე-ქალაქში საქმობს

ნინო-შვილები ეხმარებიან?

აიშე-აბა

ნინო- ეხლაც მასე არის?

აიშე-ახლა აღარალი ასე უწინდელი საქმე. კარქა ვართ.

ნინო-ყანაში დადიხართ?

აიშე-ყანაში დავდიოდით და ახლა აღარ მივალთ. ახლა ხანუმები გავხდით.

ნინო-დედამთილის ინსტიტუტი როგორია?

აიშე-უწინ უფრო კაი იყო, ახლა უფრო კაი აღარ არის. ჩემთვინ კაი ჩემი დედამთილი 42 წელიწადი იქნა მე გელინი ვარ.

ნინო-ადრე დედამთილი არჩევდა რძალს. ახლა როგორ არის?

აიშე-ახლა გოგო და ბიჭი ლაპარაკობს. ახლა გოგოს ბიჭი ერთმანეთი მოწონთ თამამ.

სებაჰათი-უწინ ესე იყო, დედამთილი, მული დეინახევდა თუ მოწონდა ის მოვიდა. უწინ ესე იყო ახლა აღარ.

აიშე-სოფელში ითხოვდნენ, სოფელში მისცემდნენ. ახლა მთლად კარში მიდიან გარედან მოდიან. ყარსი გინდა, ერზრუმი გინდა, კაისერი გინდა, კონია გინდა, ამასია გინდა, ადანა გინდა, მთელი კუთხიდან გელინები გვყავს. ქურთებიც გვყავს.

ნინო-ევროპიდან?

აიშე-არი არი. ჩვენ არ გვკითხავდნენ ვინცხა მიგვცემდნენ, ვინცხა მიგვცემდნენ იმას.

ნინო-მოგწონდათ ეს წესი?

აიშე-არვიცი, ჩვენთვის კაი ვარ.

ნინო-ახალგაზრდები როგორ ფიქრობენ?

რემზიე-მაგათ დანახულიც არ ყავდენ.

სებაჰათი-ახლანდელი უფრო კაია თაბი (1) მაა აბა, მაშინ ისე კაი არ იყო. უნდათ არ უნდათ აძლევენ ახლა. უნდა არ მინდაო ამბობს.

რემზიე-თუ მოეწონა...

სებაჰათი-ის გელინი რომ მოვიდა მე დევინახე მე მომწონდა ვითხოვეთ მემრე. მემრე დავანახე გოგოს თაბი ერთმანეთი.

რემზიე-მოწონდენ ერთმანეთი თუ არ მოწონდენ არ იქნებოდა.

ნინო-ნათესაური ურთიერთობა როგორ არის?

აიშე-კაი ვართ, წავალთ მოვალთ, ვეხმარებით.

ნინო-ოჯახში რამდენი წევრია?

სებაჰათი-ჩვენ 15 ვიყავით. ჩემი ბაბაი და ბიძას ბაბაი ერთი იერზე იყვნენ არ გარიგდნენ იმათმა. დიდ სახლში ვიყავით თეელი. 11 ოდა (2) გვქონდა, ნალიები, სამანლიქები, აპორები (3)

აიშე-რამდენი აპორი გვქონდა ძროხების აირი (4), თხების აირი, ვირების აირი, ექვს თვე ყანაში ვიქნებოდით ექვს თვე, ზამთარი მოვიდოდა შემოხვიდოდი.

ნინო-ახლა არის ძმების გაყრა?

სებაჰათი –ახლა თეელი აირი აირია.

ნინო-მთელი ოჯახი ერთად რომ იყო დედამთილი, მულები, უფრო კარგი იყო?

აიშე-უწინ ჩვენ დროში ესე იყო, ახლა აღარ უნდებიან. დედამთილი მული სახლში არ უნდებიან. არც კაი უნდათ არც ცუდი.

სებაჰათი-ჩემი დედა არაფერში გეერევა გელინი (5).

აიშე- 15-16-17წლისა ვიყავი აქ რომ მოვედი. ერთად ვიყავით რამდენ ხანს (ამბობს მულზე და დედამთილზე) დედამთილ ერთად ვიყავით 15 წელიწადს. დედამთილით მემნუნი (6) ვარ, დედამთილი კაი მყავს. მულებიც კაი მყავს დედამთილიც. ჩემი დედამთილი “მივა ჩემთან დაჯექო მეტყვის”

ნინო-მზითევი როგორია თქვენში?

სებაჰათი-ძროხას მიცემდნენ, იშთე (7) რემეს ყანა ის შენი იყოს ეტყოდნენ. დედამთილი, მამამთილი მიცემდნენ. დედოფალი რო მოვიდოდა დედამთილს დუუძახებდენ “რა უნდა აჩუქოვო”, ისიც ძროხას აჩუქებდა ყანას აჩუქებდა.

ნინო-გოგოს მამა რას ატანდა?

სებაჰათი-რამეს გუუკეთებდა. ლოგინი იშთე, საბანი, ბალიში, ქილიმი (8),

აიშე-ახლა ბევრი მიაქვთ ხოლმე ახლა ჩამაშირ მაქინასი (9), ახლა ბევრი მიაქვთ ხოლმე.

სებაჰათი-ჩამაშირისთვის წევიდოდით ღელეში, დავადგვიდით დიდვან კაზანი (10) საღამომდინ ღელეში ჩამაშირ. ახლა რა არის შეყარე, გამოყარე დაკიდე.

ნინო-განქორწინება თუ არის?

აიშე-არალი ჩვენში, ბელქი (11) ასში ერთი იქნება, საცა წახვალ იქ უნდა დაბერდე. ახანდელში ახალეთან ბევრია, ჰემენ (12) ერთ თვეს უკან რიგდებიან, მათ ნახულობენ მათ რიგდებიან.

ნინო-თუ ოჯახს აქვს პრობლემები სოფელი მის გადაწყვეტაში იღებს მონაწილეობას?

აიშე-მუჰთარი (13) დიდვანი კაცები წყვიტავდნენ, ახლა სუყველა მან წყვიტავს, ახლა ვინმე ვინმეს აღარ კითხავს, ახლა სუყველა მან იცის.

რემზიე-ამბობენ ჩემი პრობლემა არის, ეს მუჰთარი და დიდვანი რა შუაში არიან.

ნინო-შელოცვები თუ იციან?

რემზიე-მოხუცებმა იციან, ახლაგაზრდებმა არა.

აიშე-აჰმედ ეროლის მეზობელია იმან იცის. ბერებმა იცოდნენ ახალემა აღარ იციან. რაცხა დააყრიდა ახლა ჰემენ დოხტორი. მუცელი ატკივდებოდა დავაკოჩიებდით-ბამბის ძაფით დაკოჭავდენ მუცელზე მოვარტყმდით. საქონელი ამოვიდოდა ტყიდან, ღორებმა არ შეჭამონო დავაკოჭიებდით, ღორებს დავაკოჭიებდით.

აკვანში ბაღანას დავაწვენდით მამათილთან ძუმუს ვერ მივაწყობდით, კაცები ხელში ვერ აწევდნენ ბაღნებს, ახლა...ნიშნობის დროს დედამთილ არ დეინახვინ, მამამთილ არ დეინახვინ, მულ არ დეინახვინ, კალოზე ვერ გეიარვის, ხისიმებს ვერ დეინახვინ, მთლად ერიდებოდნენ, ახლა მთლად ნიშანი არიან სახლში არიან. ძველი დრო უფრო კაია.

ნინო-აარეტი (14) თუ გყავდათ?

აიშე-კი.

ნინო-როგორი იყო ძველად გელინი?

აიშე-დილას არ ამდგარიყო გელინი სირცხვილი იყო, დილაზე უნდა ამდგარიყავ, ახლა დედამთილი ქაჰვალთის (15) გააჰაზირებს (16), შუადღემდე იძინებს, დგებიან, ჭამაც ეზარებიან, შუადღემდე იძინვიან ახლა. ჩვენ რომ ავდგებოდით შეგვცხვებოდა რატომ დეგვეგვიანდა, ჩასვლა შეგვცხვებოდა. ახლა გელინი ადგება დედამთილს ბალანას აძლევს წეიყვანეო მე ვიძინოვო. ოთუზ იაშინდაში (17) ხუთი ბალანა მყავდა, ცკვიტი ვიყავი.

სებაჰათი-ყანაში წევიდოდით დილაზე გათენდებოდა, წევიდოდით დილას, საღამომდე ვიყავით, საღამოთი შინ მოვიდოდით.

ნინო-საჰმელს ვინ აკეთებდა სახლში?

სებაჰათი-ვინცხა იქნება შინ დიდი ის გააკეთებდა, ჩემი ბიძას ქალი იყო ის აკეთებდა სადილი გამოგვივიდოდა ყანაში, ძალინ ბევრი საქმე იყო. თუთუნიც იყო, სიგარა იჩილიორ ია (18), ის რომ მძულდა ის თუთუნი, სამულველი. სად არის ახლა აღარ არის.

ნინო-ოჯახში ქალებში უფროსი დედამთილი იყო?

სებაჰათი-ხო, უფროსი დედამთილი იყო. ის იმას თქვენ იქ უნდა წეხვიდეთ, დაამზადებდა. ახლა საქმე არ არის შინ. გინდა ისაქმე გინდა არა. ახლა დაგვა დასუფთავება ის არი. საჰმელები გააკეთე. ასე ვინ დაგვაჯდუნებდა აჯაბა (19).

ნინო-რომელი დრო ჯობდა?

სებაჰათი-ის დროც კაი იყო ჩვენთვის, გენჯი (20) ვიყავით ვუთევედით საქმეს. ახლა ვერ ვუთევე ქი, ახლა თანსიონი (21) მაქ სიცხეში ვერ გევალ.

ნინო-ახალგაზრდები არ გადიან?

სებაჰათი-იმათმა ჰიჩ (22) არ იციან ზათენ (23), ჰიჩ არ იციან. ჩვენი მისირ დიორ (24) სიმინდს გავფაჰევედით. პურ მოვჰრიდით. ხარები, ცხენები, საღამოზე გუუნიავებდით, იანი სამან აირილდიქ ბოილე რუზგარ ჩიქთიი ზამან (25)-ქარი რომ გამოვიდოდა,

სამწებებს წეილებდა პური აირი სამანი აირი წევიდოდა, მემრე ასე საცერები იყო დიდვან დიდვანი, პურის საცერები, იმით გაცრიდენ, ჩავყრიდით, მერე ჩუვალეზში (26). ერთ თვეს ვერ ავდგებოდით ყანიდან, ჩვენაც გვექონდა ბელელი, ამა (27) დავანგრიეთ ახლა, ავსილი იყო ლობიაი, სიმინდი, რაგინდა თელი იყო. თლად ყანიდან მოვიდოდა ბალებიდან. ეს ორმან ბოილე(28) ასე ჰომ არ იყო ჩამოვიდა იმთე, გეიზარდა, გეიზარდა, თლად ჰრიდენ ია, არ ჩებოდა მაშინ, შიშითვინ ჰრიდენ. ახლა არ აჰრევინებენ გეიზარდოს და ისე, მაშინ უჩუმარაი მოქონდენ. ქაჩაქ (29), იპარევედენ.

წინო-ახალგაზრდები რა საქმიანობენ?

სებაჰათი-თელი დღე ვინცხას საქმე აქვს საქმობს, ეხმარება.

ქამურან-გენჩლერები ქალაქში მუშაობენ დილაზე მანქანა მივა ღამეში მოვლიან.

სებაჰათი-უწინ ემექლობა (30) არ იყო, ქი, შენ ოჯახში მუშაობდი უწინ, კარში არ მიდიოდი ქი.

სალიჰა ბალჩოკი, ქართული გვარი (მამამის მხრიდან) ხინკილაძე.

სალიჰა-თელი ვიცით გურჯული ბაბამაც იცის, ნენემაც იცის. პატარებმა არ იციან. იციან ხდომილობენ, ამა არ ლაპარაკობენ, ჰეფ თურქე კონუმუიორლარ. ჩემ გოგომ თელი იცის, მე ვასწავლე, ჩვენებურად ველაპარაკები, ქასაბაში კითხულობს ჩემი გოგო, ინეგოლდე. მე იქ ვიჯექი, გათხოვებული ვიყავ, ბეშ სენედენ მერე აქ ვარ, ხუთი წელია აქ ვარ ნენეი ბაბასთან. იქ ბიბიაი ყავს ის უყურებს.

ერთმანეთში საუბრობენ ქალები-ხინკილაძის უბნიდან(ჰაირიე)

ბათუმიდან 7 ძმა მოსულა, ასე სოფელში დამჯდარან. სოიადი (31) არ ვიცი ძველები მოსულან. ბუთუნ სოფელი ერთმანეთზე ხისიმი არიან. ხეირელები არიან. იაბანჯი (32) ვინმე არალი. ახლა პაწაი გეერია ალმანიას (33) წევიდენ ია, ჩვენ ხინკილაძეები არიან. ვაკიელები არიან, სიკალიეთები არიან, ჯამბაზები არიან, კირკიტაძეები არიან, ხეიროშვილები არიან, ჰაირიოლლუ, თლად ერთმანეთზე ხისიმი ვართ. სოფელში იაბანჯი ვინმე არალი, არც მეიყვანენ, ისე გელინები არიან ბურსას არიან. ხისიმებზე

აართვენ მიცემენ, ახლა ჩემი დედამთილი ხინკილძეა. მესელა ჩემი დედეს ბიბიაა. ამის დედამთილი ჩემ ნენეს ბიბიაა, ჩემი კაცი და ამის კაცი ხალაშვილები არიან. ემიაშვილები არაღიან აქ. ძალიან ახლოს არიან ემიაშვილები, ბიბიაშვილი, ტაიაშვილი, თეიზეშვილი თლად ეთხოვებიან, წინ-წინ ასე მიცემდენ. ახლა მეტი გოგოები არ იჯებიან ხისიმი, არ ქორწილდებიან. წინ-წინ ნენე ბაბა საცხა მიგცემდა იქ წებვიდოდი, მეჯბურ (34). გოგო რამეს ვერ იტყოდა ახლა იოქ (35). ახლა იაბანჯები მოყავან, ახლა ვინცხა შუყვარდება იმას თხოვნილობენ, გეიქცევიან, არ მიეც გეიქცევა, გეიპარება. აირი არიან ერთად ვინმე არალი ახლა. (გულისხმობენ დედამთილთან და მამამთილთან ცხოვრებას) სოფელში გენჯი არალი ზათენ, არ დგება, ქასაბაზე(36) არიან, რენჩბერობა (37) არალი, ჰაივანჯილილი(38) იოქ, ბირშეი იოქ (39), გენჩმა რა ქნას, რაიზა ქნას, ყანიები ბომ (40), ვინცხა ემექლია მოვა კიდო სოფელში. სახლ აკეთებენ სოფელში არიან, გენჯებია აღარაღიან აღმანიას იქნებიან მესელა მოვლენ, უკან ბრუნდებია, დაბერდებიან ემექლი გამოვლენ მოვლენ. შინ თლად ჩვენებურად ვლაპარაკობთ, ჩვენ ხო. ახლა ამ ბაღნებმა ჩვენებური არ იციან ეს ამათმა ჰიჩ, თურქეს ლაპარაკობენ, არ ესმით, ჩვენ ველაპარაკებით, ნენეი ბაბაი არ ელაპარაკება ბაღანა სად წამიწყდება? დეპოში (41) ედი.

-ხვალ მაღახტოს გავაკეთებდი. პაწაის ბახჩედან მოვწყვიტეთ, მარცვალი არალი ჯერ.

-ებლაცუნები ეხლა,

-ბარბუნე, ნედლი არალი, (ემახის სხვას) ეს ჩემი აარეთია ეს. მაღახტო, ჭადი არა გვაქვს იოქ? მესელა აარეთი შენ რაცხას უღებ ის რაცხას ქარდაშლული, შიმდი ვარ (42), ქარდაშლული დუუდგები მესელა.

წინო-მათ შორის ქორწინე შეიძლება?

-აარეთი აარეთია, სუთ ქარდემი (43) არ იქნება მესელა. რძეს სვამს ერთამნებისა ცოდვა არის. ისინიც არ იქნებიან. სახადი ბაღნები იქნებიან დუნიაზე მოვლენ. ვერ ითხოვ იშთე, სუთ კარდემი ძმაზე წინაა, ძუძუს წოვიან არ იქნება.

სელიმი(ჰაირიეს მკვიდრი)

სელიმი-ბერები არ დეგვინახვიან რომ გვარი ელაპარაკნეს, მეიიყრებოდენ ილაპარაკებდენ, ჩვენ ხომ არ დამდგარვან და არ დეგვიყურებია.

ნინო-ადრე რას საქმიანობდით?

სელიმი-ყანაში ვიყავით, სიმიდს დევთესევდით, პურებს, ემექლი ვარ ქი. დიდი დედე წამოსულან, რუსიას შუუწუხებთან.

ნინო-რა იცით თქვენი წინაპრების შესახებ?

სელიმი-რა უნდა ვიცოდე, არცერთი არ დემინახია, თლად ქართულად ვლაპარაკობდით, ახლა ვინ უნდა ნახო რო ლაპარაკონ. კირკიტაძეებში (უბანია ჰაირიეში) ცოტა ხალხია, წყლები ამოჭრეს ბახჩიებში და კასაბაზე გედეიყარენ.

იავუზ აღისხალი-ეთთინი, სევეგი, ჯემალ და ნურჯან ეთთინები (ჰაირიელები)

იავუზი-სოიადების მიცემა იმან იცოდა დიდვანებმა, ჩვენზე წინაებმა, ჩვენ ახლა უჩუნჯუ კუმალი (44) ვართ მესამე, მიხვდი ახლა, მესამე ვართ ჩვენ და მეოთხე. იმ დიდვანებმა იცოდენ, მე ახლა რა ვიცოდე. ამ თურქეთში რომ ამდენი გავატარეთ გურჯობა კიდევ კაია დეილ მი? (45) ახლა შენ გიკვირს აქაურობა, რაფრად აქ ჩვენებურები არიანო, ჩვენ ლამაზად ვლაპარაკობთ, შენ თურქე მითხარი და მე გურგუჯე მოგცე ჯევაპ. (46) შერეული ვართ წინ-წინ გოგოს მიცემა არ იყო გოგოს ეტყვით თქვენაცო, პრატი, პრატი აჭარელები ეტყვიან, ესენი ციცას ეტყვიან, წინ-წინდელი ინსნები დაჰა (47) ის იყი, რას ვლაპარაკობდით ჭო? წინ-წინ ისე მიცემა არ იყო, ახლა ქართველებსაც ვაძლევთ გოგოებს. იქ ნახულობენ გერმანიში, ჩვენი პრატები იმათ წაყვებიან. აბაზებს მივეცით, ავართვით გოგო, ჩვენ მივეცით, გედევერიეთ იანი, ამა უფრო კაი ქნა. გერმანიაში 50 იქ არიან ჩვენები, იქ ბაღანა დუნიაზე მოვიდა, გეიზარდა იქ დასახლდა, აქაური ენა არ იცის, ჩვენებურაი, იქაური ენა იცის აღმანის. მე ერთი ბიბია მყავს, ენ პაწაი, მე იმის კაცი არ მინახავს, ჯერ არ მოსულა, ქირქ იქი სენე ოლმუმ (48), მე არ ვიცი, მას სამი ბიჭი ბაღანა ყავს, ადაფაზარ გამოთხოვებულ იყო, ამა იქ არიან, ბაღნები თეელი აირი აირი იქიდან დასახლებული არიან, თურქე არ იციან რაის ქართული, ერთს ფრანსიზი ყავს ერთს იტალიანი ყავს, ჩემ ბიბიას გელინები. რაცხა

თქვენ ხართ, ჩვენც აინი გავხდით, ამა აქაურობა დაჰა კაია ჩვენი. ჩვენმა დიდვანებმა თურქულაი არ იცოდენ, რაცხაფრად რომ თქვენ იქ ლაპარაკობთ ჩვენი დიდვანებმა აქა თურქულაი არ იცოდენ, რაცხაფრად რომ ვლაპარაკობთ წინ წინდელი დიდვანები ქალები ასე ლაპარაკობდნენ, ახლა ახლა რაცხა ვგონილობთ თურქულაი ენა, ჩვენებურაი დაჰა კაია, თურქე ილქ ოქულ ბირინჯი სინიფში (49) დევისწავლე თლად ჩვენებურად ვლაპარაკობდი, ახლა თურქი ქალები მოვყვანეთ აბაზები იმას თურქულაი ლაპარაკში ჩვენაც თურქი გავხდით.

ნინო-ქართული ვინ გასწავლათ?

იავუზი-ზათენ დევისწავლეთ, ოჯახში დევისწავლეთ, ახლა ბადვებმა იციან მესელა (50) ჩვენ ვიცით, ჩვენი ახალ მოსულები ვართ რაცხას ინახავ, ჩვენ ორი ოცი ათი გავხდით, ჩვენ მესელა ვიცით, იმათ უკანებამ არ იციან ართიქ (51), ხდომილობენ ვერ ლაპარაკობენ, არ გუუკვირდებიან. ჩემი ქალი ერთი გურჯი მყავდა მოკვდა, მერე ქუთაიადან დავსახლდი მე, მიხდი ახლა? გურჯი არ მოგვცეს მეორე და იქიდან დავსახლდი, იქაურები იუნანები სუფთა ინსნები არიან. სახლში შეხვიდო კარში, კუდიანები ფისი (52) არიან, ახლა მადენში გედედი ცხვირ მეიფარებ. გაღმა სოფელი ესეა გაღმა სოფელიც კუდიანი, თლად უკან არიან. მიდი სახლებში მესელა აპორები აკვნებზე ზიან, თემიზი (53) არალი, ნაჭამ იერზე გადაყრიან, თემიზი ინსნები არალიან, ჩვენი სოფელი ას და ოცი წელი სოფელია, ახლა იქ გედე ბინ სენელი (54), ათასი ჯერ უკან არიან. ჩვენ აქა ას და ოცი წელიწედი გახადა, ჩვენ სოფელს შეხედე და იქეთ იმ სოფლებში გეიარე, მიხდი ახლა? შენ ჯესარეთლი (55) გოგო ხარ, ვალლა შენ ძალლებისაც არ გეშინია, რაფერ ზოვლი (56) ინსანი (57) ხარ. ახლა აქა ზოვლი აჯარებითაც რომ ვლაპარაკობდით ისინი ზოვლი იტყვიან, წინ წინ ხარებ უბვიდენ იცი ჯილღაი? ყანიებ მოხნევდენ ისინი აჯარლები უღელ ეტყვიან, ქესერ (58) ჩვენ თურქეს ვხმარობთ ისინი აჩოს ეტყვიან. კაი ენა გვაქ. ჩვენ მაჭახლებ გვეუბნებიან, მურათბეი-დერეჩათი. იმ დერეჩათს ჰასანფაშელები მაადენ ეტყვიან. მაადენი ასლინდა ქვეითაა, ესენი დაჰა სუფთა ინსნები არიან ჩაქველები. ჰასანფაშელები პაწაი იქ ბევრი იუნანი (59) დარჩენილა და ისინი სარია-სარია ინსნები არიან-ყვითელი, ყვითელი ინსნები არიან. ახლა ვის რა უნდა

გააგნებინო, ნინო! ბაღვი მივა ახლა ინტერნეტები, ტელეფონები გამოვიდა, დააწვებიან ინტერნეტით ნახულობენ გოგობს, ისა ქართველი იყოს ისა კუდიანი იყოს ნახულობენ ქი, ართიქ გედირეცხა თელმა. სამი ნალიაა აქ. ჩვენ კირკიტამე ვართ, ეს ხინკილაძეა, ესენი ორთა მაჰალეა ხინკილაძეები, ეს იუქარი სიკალეთია, ვაკიელები, ჯამბზოლლუები, ამა იქ რაცხაფრად რომელე დუუდგმია სოფელი, აქ ალია დედეს ქედი იქაც ყოფილა ალია დედეს ქედი. ერთი ტაია მოვიდოდა ათაბაიებში იმან აქ რა არისო-ალია დედს ქედო. იქაც აინი ყოფილა მემლექეთში ტური ბუდე, მაჭახელში.

ჩვენებურები რატომ არ სახლდებიან აქედან გურჯებში? იქაურობა აქურობა არ უნდებიან, ჩვენებსაც იქაურობა არ უნდებიან თამამ დეიკარგვის ჩვენებურობა. ჩვენებურები ჩვენებურებს არ მისდევს. ჩვენ სოფელში იუგოსლაველი გელინი გვყავს, თურქი გელინი გვყავს, აბაზა გვყავს, ჩერქეზი გვყავს, კუდიანი გვყავს, მააჯირი გვყავს, ჩეშითლი (60) გარეული ვართ. ერთი ქართველიდან გვყავს გელინი, ჩვენებური ჩვენებურს წაყვეს გურჯობა არ დეიკარგოს იოქსა (61) დეიკარგება, ჩვენებური ჩვენებურ არ მისდევს, ახლა გამოვიდა ინტერნეტიო. ახლა ამის ოჯახის გოგო დენიზლის უნდა გეეთხოვოს, სოფელში 150 თანე (62) გენჯი იქ უნდა წაყვეს, ეს საქმე კაი არალი გერჩექთენ (63), დენიზი ქუთაიასკენ არის იქ თურქები არიან, აბაზები.

ჯემალი-ჩემი დედები აღისქალიდან წამოსულია, ჩემი დედეს გვარი ჰადიოღლია, ამა ბათუმშიც ყოფილან, ნენე ბუქოღლი ყოფილა, ჩემმა დებმა ქართული ზოვლი იციან. ჩემი ანნე შაქაჯი (64) იყო მომიკვდა. ზოვლი ქალი იყო ქართული კარქა იცოდა.

სევგი-ჩვენი და თქვენი გურჯული პაწაი სხვაფერია, ჩემი გურჯისტანიდან მუსაფირები (65) მოვიდენ, ამა ზოგი გურგუჯე ვერ მივხვდით.

ჯემალი-ძველად თლად ჩვენებურად ვისაუბრებდით.

სევგი-ჩემი კაცი იზმირელია, თურქია, სუბაი (66) იყო ახლა ემექლი გახდა. ჩემი ეგანი (67) აღმანიაში იყო ახლა აქ ამოვიდენ.

ნურჯანი მღერის სიმღერას, რომელიც გავრცელებულია ინეგოლის ყველა ქართულ სოფელში:

•

”ბაღჩაში მაქ ლობია

იმას უნდა ხაშარი

დადამთილი გავაბლუზე

არ ვაჭამე ვახშამი

ნარდანიჩაი ნინაიდა

ნარდანიჩაი ნინაიდა

ნარდანიჩაი ნინაიდა

ნარდანიჩაი ნინაიდა

ეგერ გაღმა სარაია

ერთი გევლო რავაია

ზედ გოგვები ფუნდრუკობენ

საკოცნელად რავაია

ნარდანიჩაი ნინაიდა

ნარდანიჩაი ნინაიდა

ღელე-ღელე ვიარე

ვერ ავავესე გუგუმი(წყლის ასადუღებელი)

ჩემ ნიშანლის აცვია თეთრი

ნარმის ზუბუნი(პერანგი)

ნარდანიჩაი ნინაიდა

ნარდანიანი წინაიდა

ნარდანიანი წინაიდა

ნარდანიანი წინაიდა

ეგერ გაღმა თიკნები

ვატილებ და ვიქნები

გოგოვ არ წამომყვები

ვიტირებ და ვიქნები

ნარდანიანი წინაიდა

ნარდანიანი წინაიდა

ნარდანიანი წინაიდა

ნარდანიანი წინაიდა.

ეგერ გაღმა მინარე

გოგო ნახვე ძინარე

მაკოცე ჰემ ვუკბინე

გავაგზავნე ტირალე

ნარდანიანი წინაიდა

ნარდანიანი წინაიდა

ნარდანიანი წინაიდა

ნარდანიანი წინაიდა.

•

“ელელემ მელელემ

ჯიმ ჯიმ თელელემ

ჰაჯი ყარა ბუჯი ყარა

ჩაქველი ბაში ყარა

იწილოს მიწილოს

დათვმა მნახოს

საცხა მიხვალ

იქ ჩაგბარხლოს. (გათვლა, მაგალითად ჩაი, სადილი ან სხვა რამე ვინ მოამზადოს)

სოფელი ჰაირიედან ჰამიდიემდე იგივე ქაზელი (მათ შორის დაახლოებით 30 წუთის ფეხით სავალი გზაა. ამ სოფლებს შუა არის თურქული სოფელი მადენი, სადაც პირველად დასახლდნენ ჰაირიელი ქართველები. ხოლო შემდეგ შეიცვალეს ადგილი და გადავიდნენ ჰაირიეში) იავუზ ეთთინი ყვება ისტორიას მათი წინაპრები როგორ გადავიდნენ მადენიდან ჰაირიეში:

იავუზი-შენ იქ უყურე, ჰეი ზეით სახლები არის, ბაქ (68), გაკეთებული სამი სახლია, ჩვენ სოფლის 93-ში რომ მოსულა იქ გირიშთე (69) იქ დამჯდარან ჩვენი სოფლები ერთ ორ თვეს. იქ რომ მოსულან იქ დამჯდარან ჩვენი სოფლელები, იმ ქიდან იქ ვერ დამჯდარან თურქები ყოფილან. ამქიდან იქ გადმოსულან ჰეირიეს. აგერ ამას დედეს ქედს ეტყვიან. აქზეს ეს თეფე (70) დედეს ქედია. აგერ ეს მუხრანია, ახლა შენ რაფერ გითხრა წიფელა იცი, მუხა იცი, ჩვენ აქაურები ჰაირიელები კოს ვეტყვით, აჭარლები მუხას ეტყვიან. მეზერლულია მადენში ჩვენი სოფლის მეზერლულია იქა. აქ ჩერქეზები მჯდარან ამა სახლები არ ყოფილა აქა. დიდვანი ჩინარები ყოფილა და იქ დამჯდარან ორი ღამე, იქიდან ჩვენი დედეები რომ გადმოსულან ჰაირდი ინშალაჰ, ჩერქეზები გუდაყურიათ, სოფელ ჰაირიე მაშინ დარქმულა იშთე. იქაური ჩვენ აქ მაჭახლებს გვეუბნებიან

ჰასანფაშელები, დერეჩათლები...მადენში კუდიანები არიან. ჰაჯი მეჰმედი აქ რომ მოსულა მადენში ჰოჯა ყოფილა. ჩვენი სოფლიდან ბევრი დიდვანი კაცი გამოვიდა. აქამომდე ენა დაკარგული არ გვქონდა. ახლა ქალები თურქული ელაპარაკებიან ბაღებს დაავიწყდენ. გერმანიაში სახლდებიან. დუნიაზე იქ მოსულებმა ქართული არ იციან. ჩვენა თუ მოკვდით აღარ დარჩება და ვეღარ გააგნებინებენ. წინ-წინ გოგოების მიცემა კარში არ იყო. ახლა ჩვენი გოგოები კარში მიდიან ჩვენა სხვა მოგვყავს. ადრე ყანები იყო ბევრი, ხარებით ხნავდენ, ახლა ბევრი ეკლები გეიზარდნენ. ახლა ტრაქტორები გვაქ იმდენი, ერთ ყანას არ ვთესავთ.

ნინო-ე.ი.თქვენი წინაპრების მეზერები (71) მადენშიც არის?

იავუზი-იქ არის, მადენში ბელქი და 20 და ბელქი და ორდა ოცი. მომკვდრები არიან იქა.

ნინო-ჰაირიეში რატომ არ დაკრძალეს?

იავუზი-აქ ვერ გადმეიტანეს დიდვანებმა. ართიქ დაავიწყდეს იქ. ამა იქ არის ჩვენი მეზარულლები გირიშთა იქიდან აქ გადმოსულან. ჰაჯიყარელები მჯდარან ჩინარებში შიან. დილაზე რომ გადმოსულან აქა, დუმანი (72) გადისო ჩინარების სარაიდან. დაუყრიან ჩვენი დედები ეშხიები ჰაირდი ინშალაჰ, ქონგულების იქით გუდუყვანათ. ჰაჯიყარელებს (73) შეშნათ ეს რაიქნაო, დუურქმევიათ ჩვენი სოფლითვინ ჰაირიე.

ნინო-ჰაირიელი მამაკაცები რას საქმიანობენ?

იავუზი-ახლა ტყეში მუშაობენ, ტყიდან მოჭრიან, იქ ჩამეიტანებენ ჰუქუმათში, იმიდან ნაჭარ აართმევენ, ფარა. წინ-წინ აქა ინსნები ძალიან მოსაქმე იყო. ახლა ტყეში საქმობენ, ჭრიან მოაქვან, ფულ ართმევენ დიდ ქალაქიდან. აქაც ჩვენ თოფრაქები გვაქ. წინ-წინ დიდი ბელლები იყო აქა. მაშინ ინსნები ძალიან ლამაზად დახურულნი ყოფილან. ჩვენებურაიც კარგად იცოდნენ. წინ-წინ წასვლა მოსვლა იყო, ლაპარაკი იცოდენ. ახლა აღარალი. ახლა გენჯებსაც ვეღარ ნახულობ. დიდ იერებზე საქმობენ ფაბრიკებში.

ნინო-როგორც ვხედავ აქ ჩაიხანაში ქალები არ სხედან.

იავეზი-ჩახანაში ქალები სირცხვილია, ქალმა რომ ჩამევიდეს აქა არ იქნება. ახლა თქვენში ქალები არიან, ამა ჩვენი ქალები არ შეიძლება. წინ-წინ აპორები, ამბარი ავსილი იყო, ჰიჩ ქასაბაიდან ბაქალიდან აღება არ იყო. შექერს აიღებდენ მარილ აიღებდენ, შავ წყალ(ჩაი)აიღებდენ. წინ-წინდელი ქალები ვერ მეიცლებოდენ სასიარულოდ. ახლა ქალები საქმე არალი, ფარას კრიფენ ერთმანეთში სახლში, მეიყრებიან, ერთ სახლში საღამომდე ფასთას აყლაპუნებენ. დოლაფში უყურებენ ვინმე არ საქმობს.

ნინო-ქორწილები ძირითადად რომელ თვეებშია?

იავეზი-აქა ქორწილებია აპრილი, მაისი, ივნისი. გერმანიიდან მოდიან აქ იქნება ქორწილი.

ჰამიდიე-ქაზელი; ყველაზე მორწმუნე ქართულ სოფლად ითვლება. აქაური ქალის თხოვნა პატივია, რადგანაც იგი ძლიერ შრომისმოყვარედ მიიჩნევა და დღედაღამ მუშაობაში ატარებს.

ომერ დემირი-ბლაცვი გურჯები იქ დარჩნენ.

ნინო-გურჯული გვარი გახსოვთ?

ომერი-მეკვიძე, მეკვიძე სოფელია აჭარას.

ნინო-ჰამიდიეში რამდენი ოჯახია?

ომერი-გარეთ წასულები რომ მოვთვალო 300, და 60 ბუხარიდან ფუხი ადის. ემექლებიც არიან და ემექსიზებიც (74) არიან.

ნინო-რას საქმიანონებ ჰამიდიეში ძირითადად?

ომერი-ტყეითა, საქონელით, მარწყვი.

იავეზი-წაბლები. წაბლი ბევრი იყო აქა. ერთ კაც 100 ქილე 200 ქილეს იღებდა ამქიდან კაცო 300 ქილეს იჯებოდნენ გახმა წაბლებმა.

ომერი-19 სოფელია გურჯი სოფელი გუურეველი ინეგოლისა. იქიდან გადმოსული ნენეი მყავდა ბაბოის ანაი. იმიდან ბევრი რამე გაგონილი და დასწავლილი. ჩვენ დედეს იქიდან რომე წამოსულან, ძალვან სიტყვის კანჭროით ინსანი ყოფილა იგერ იქა, ასე ვინც უნდა იმას რაც უნდა იმ ემესა რაცხანა უთხრას და იმის სიტყვამ არ უნდა გასჭრას, ის არ ყოფილა ჩვენ დედესთან ისმაილ ალა დედესთან. რუს რომე მაშინ ემენ უქნია იანი იქაურობა ალმიშ სინირი (75) მაშინ სიტყვის გამჭრელი ინსნები და დიდვანი ინსნები ჰკარგვენ ჰკრევენ. შენ გაგონილი გექნება ამასა ესა გასულა ორ წელიწად დამალული ყოფილა იქა. ამისთვინ უთხრომია რომე შენ აგერ აქ ცოცხლობა არ გაქ, ვერ უნდა იცოცხლო, შენ ვინცხაი გინდა მეიკან, აქედან წადი, იქაურობა თუ კაი იქნება და რაცხა ემენ იქნება ჩვენცა ბელქი გადმოვალთო, იქ დარჩენილებს. გადმოსვლა აგერ აქა, უვლია თაბიი იქიდან გადმოსული შიერი, წყურვილი, გოჩმენი (76) ინსანი ძველი დროს ქამიონი (77) არ იყო და ემენ არ იყო არაბაი (78) არ იყო გადმოსული ფეხით ცხენი ართიქ რაცხა ნახეს, ემენ ქონია იშთე ალთუნ რა ქვიოდა?

ნინო-ოქრო.

ომერი-ოქრო ის წამოულია ის გზაში იმითა ართიქ მოსულა. იგერ იქიდან აქ მოსულან ჯერ აქ ალაგ მოუცემიან მაშინ იშთე გაიურების წასული დატეული ემიებიდან, ძალვან მაშინ ცუდი ყოფილა აქაურობა ბუსუნსველაი იცი?

იავუზი-სივრისინექ (79)

ომერი-იქ ალაგი მუუცემიან, ამა აქაც ჩვენი გურჯები ჰავა ლამაზი უნდა იყოს, წყალი ლამაზი უნდა იყოს, იეშილლული უნდა იყოს.

ნინო-სად მიუციათ ეს ადგილი?

ომერი-ყასაბაში მუუცემიან ჰუქუმეთიდან (80).

იავუზი-ახლა რომ ჩვენი თურალი არის ჰეირიელები მჯდარან ქაჰვეში იქაურობა ჩვენ სოფლისთვის მუუცემიან ჰეირიელებისთვინ, იქ ბუცუნცულაი რომ ყოფილა ისითმა (81) ავადმყოფობა ყოფილა, რომ უკბენდა ინსნები სივდებოდა. აქ კაი არალიო და აქ

წამოსულან ტყიებში, ბლაცყები, ამა ახლა ვლოცავ დედებს ახლა ვლოცავ. იქ დიდვან იერებზე ეშხიაც (82) არის ჰირსიზობაც (83) თელი არი. ერთი ჩვენი აბდულია ნახეთ, აბდულია ორეთმენი (84) აბდულია. იმან ერთი ქითაბი დაწერა გურჯულია.

ნინო-ვიცი ჰამიდიეს შესახებ.

ომერი-აბდულია თათაროლლუ, იაზარ (85)

იავუზი-შენ სოფელში გამოწიე ჰეირიეს ნახე ჯილღაი?

ნინო-არა არ მინახია ჯერ.

იავუზი-მე მქონდა.

ნინო-გურჯულია?

იავუზი-ხო, ულელი ბონდრული. ხარებს რომ შააბმენ ავშარაებით, ურანებს წამოდეგ. აქარლები ზვინებ გააკეთებენ. ზვინ ეტყვიან ამას ხომ? საქონელს ზამთარში გათოვდება ყარაყიში, ზემერში აქამენ.

ნინო-აქ აქარლები არიან?

იავუზი-სულ აქარლები არიან,

ნინო-თქვენში მნიშვნელოვანია ქალი საიდან იქნება?

იავუზი-საცხა უნდა იქიდან დასახლებულიყავ ავგანისტანიდან, რუსიადან, საცუნდა ვარ, ყანაში თესლს რაცხა დათესავ იმის ის მოვა. დამთესველი კაციც ის არის ბაღვიც ის არის. ყანაც საცხა უნდა იმქიდან იყოს, ჰაც უნდა იქ დათესო რა მოვა? ფათათესი ამოვა, რაცხა დათესავ. რაცხას იზავ სიმიდს დათესავ, ამერიქას დათესავ ის გამოვა სიმიდი გამოვა სიმიდს დათესავ. მიხვდი? ქალი ჰაც უნდა იმქედან იყოს, შენ რაცხას დათესავ ის ამოვა.

ნინო-ე. ი. მთავარია კაცი?

იავუზი-კაცი, კაცი თავარია. კაცია კაცი იკითხვის ზაათენ. ქალი ხომ არ იკითხვის?

ჰამიდიეში 94 წლის მოხუცის ოსმანის ოჯახს ვესტუმრე-მეუღლეს უთხრა ჩემზე “რუსიადან გამოსულა”-ო. ბევრისათვის საქართველო კვლავ რუსეთთან ასოცირდება. ეს კი შესაძლოა სათავეს იღებდეს 1877-1878 წლებიდან, როდესაც რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, თურქეთის მიერ მიტაცებული საქართველოს რიგი ტერიტორიები, “რუსეთის საქართველოს” სივრცეში შემოვიდა.

ოსმანი-ჩვენ იმიდან გადმოვსულვართ, ჩემი დედე იმიდან გადმოსულა-ფოცხოვიდან. შენ გეცოდინება, ფოცხოვიდან გადმოსულა ჩემი დედე 93-მუჰაჯირისა ვართ ჩვენ. ჩემი ბაბოი იქიდან გადმოუყვანიან ცხენ შუაზე დუუკვირიან და გადმოუყვანიან ჩემი ბაბოი. ჩემი ბაბო ყოფილიყო ახლა 110 იაშინდა უნდა ყოფილიყო. ჩემი ბაბო და მომკვდარა აქა. ჩვენ დავრჩით იშთე მას მერე აქ ვცოცხლობთ.

ნინო-თქვენი სახელი და გვარი?

ოსმანი-ჩვენი გვარი ფოცხოვლებს გვეტყოდენ. ის ვიცი სხვა არაფერი არ ვიცი. ჩემ დედეს ემე ქვია-დურსუნაი, ჩემ ბაბოსაც იდრისაი, ანლადინ მი?(86)

იავუზი-დეინახე, მაშინ დროშიც ყოფილა ჰუსეინაი და მემედაი. ახლა ნინაი ნანაი, რაფერ დედაგალღეტილი სახელები გამეიტანეთ იქა, რატომ ესე დეიბით? იქ მაშინ ყოფილა ჰუსეინაი, მემედაი.

(იავუზს უკვირს ახლა რატომ არავის ჰქვია ასეთი სახელები საქართველოში. მე ავუხსენი, რომ ასეთი სახელები ახლაც ჰქვიათ, მაგრამ მხოლოდ მაჰმადიან ქართველებს)

იავუზი-ახლა გიაურები გახდით თუ? ჩემო ნაგაზებო! თქვენ.

აქ მოდით მოდით. რუსეთმა მოგნათ თამამ ბითთი (87) გურჯობამაც მოკვდა. გადმეიბარგე აქა. მაშინ იყვნენ ახლა იჯებიან ჯამეში ლოცვილობენ?

ნინო-ვინც მუსლიმანია კი, ვინც ქრისტიანია არა.

იავუზი-ქრისტიანი ხართ, ეეე ახლა მაშინ აქ გამოგათხოვებ თურქეთში და მაშინ ქრისტიანი არ გახდები.

ოსმანს ვთხოვე ემღერა სიმღერა, რასაც ახალგაზრდობაში უმღეროდა თავის მეუღლეს. მან ტირილი დაიწყო, ეტყობა წარსულს გაახსენდა. ამოიოხრა-“აი ნინე, აი ნინე, ახლა დავბერდი და ააფერი აღარ ვიცი”.

გამომშვიდობებისას მეც წესის მიხედვით მის ხელს ვემთხვით. რითაც გამოვხატე ჩემი პატივისცემა და არ დავარღვიე მიღებული-უფროსისადმი ხელზე მთხვევის ტრადიცია.

ჰაირიე-ზემო სიკალეთი -ქერემიჩ ჩოშკუნ

ქერემიჩ-ქოსაები კოპრიზე რომ გეიარო ბათუმიდან, მაჭახლებში რომ ეიარ ბირინჯი (88) სახლები ჩვენი სახლები იყო. ყარაღაები ემიაშვილები არიან, ყარაღაები ჩვენი ემიაშვილები ყოფილან. მე ესა ასე ჩვენ სულალესთან (89) მისული ვარ იქზე. ჩვენ სულალესთან მისული ვყოფილვარ და მენა არ ვიცოდი. მე ყარაღა სულალე, ზეით აველით ყარაღაებთან. იქზე რომ მიველი და იმ კაცმა რო მოვდა ჩემ დედეს გავს მეთქი, ამა სონრადან (90) აქ რომ მოველი მაშინ მივხვდი ჩვენ აქ სულალე რა არის, სულალე ქოსაოღლები ყოფილან. დედეები აქ ყოფილან, დედეები აქ დამჯდარან.

ნინო-როდის წამოვიდნენ თქვენი წინაპრები?

ქერემიჩ-108 სენე იანი. ისე იტყვიან, ბილიორ მუსუნ? (91) ჩვენ ასე მოვსულვართ სამ წელიწად აქ მოვსულვართ ჩვენ იანი, ფეხით უვლიათ, გემიებით უვლიათ. უვლიან და უვლიან იანი, ერთი ყაბილი (92) იზნიქ არი. ერთი ყაბილი იქ არი ჩვენი მაჭახლებიდან. ჩვენ მაჭახლები ვართ. თქვენ რა ბრძანდებით? სეიდან ხარ?

ნინო-ტიფლისიდან.

ქერემიჩი-ტიფლისიდან, ბათუმიდან ბევრია?

ნინო- 6 საათი

ქერემიჩი-იქ უნდა გევესულიყავი მე, იშთე მე იქ მანქანაზე ვიყავ, იქ გასაყიდად, ბილიორ მუსუნ? ესე ვიარე, მემლექეთი (93) ვიარე, კაი მემლექეთი ყოფილა.

ნინო-რატომ წამოსულან თქვენი წინაპრები გურჯისტანიდან?

ქერემიჩი-რავიცი მე. მაშინ იმთე წამოსულან, ახლა რაფერ იტყვიან თუ გინდა აქ დაჯექი თუ გინდა იქ წედი იანი. ისე ყოფილა. იანი მეჯბური არ ყოფილან იანი. შიმდი აქ რო მოსულან ჰომ აქ რამე არ ყოფილა. აქზე ხე მუუჭრიან, აქზე სახლი გუუკეთებიათ. იანი ისე იმფრად ყოფილა იანი. მუოქუქვიან. მუქუქვა იცი? მუოქუქვიან ყანიები გუუხდიან, ესე გუუხდიან ის გუუხდიან, ისინი ხეები დუუჭრიან, მუოქუქვიან ყანა გუუხდიან.

ნინო-აქ ჩერქეზები ყოფილან და ქართველებს გაუყრიათო.

ქერემიჩი-შიმდი ისე იტყვიან იანი, ჩვენი დედებიდან (94) ჰომ ჩვენ რამე არ ვიცით, ჩვენი დიდვანებიდან, ჩვენი ხისიმებიდან აქ მოსულან იერები (95) უნახიან, აქაურიბა ჰეილანი ყოფილა, ჰეილანი მოხეთქილი, ბლაცვა იანი. აქ სხვა მილეთი დამჯდარან, იმ მაადენიდან ერთ ქალსა ვოიმეო მოხეთქილ იერებზე დაჯენო. მადენ ქოიში (96) იურუქები არიან. შიმდი ბაქ ჩვენ ახლა გურჯებში მანავებ ვეტყვით, ჩვენი გურჯი მილეთი მანავებ ვეტყვიან, შიმდი ესენი ორთა ასიადან გოჩმენობა უქნია. ძვებით ძვებით მოსულან იანი, შიმდი რომე მკითხო ეს ქითაბი არ მიკითხია, ამა იურუქი არიან, იურუქები რაცხა ჩადირს (97) გააკეთებს, საქონელი, ახლა მესელა ამ ზაფხულს აქ იქნება, რაცხა ზაფხული წევა იქ წევლენ. ახლა ზაფხულში იაილებზე ჩადირ დადგმენ, აქ თოვლი გათოვდება აქედან ადგებენ იქ წევლენ. აქ თლად გურჯები არიან იაბანჯი მილლეთ არ იმას იქმნენ, ჩვენ იაბანჯი მილლეთს აქ არ დააჯდუნებენ იანი, იერებ არ მიცემ, ადგილებ არ მიცემ, არ მიყიდიან, ჩვენიანი თუ არი მიყიდიან. იაბანჯის არ უნდებიან. ესქიდან (98) ბერი ჩვენზე წინ-წინ იაბანჯი გოგოს არ მიცემდენ, ახლა ამლევენ ახლა გედევერიეთ იანი, რაფერ გითხრა აქ გაზრდილი ვარ გურჯუჯეს ვერ დევილაპარაკებ. ჩვენ ისე გაგონილი გვაქ წინ-წინ გოგობს არ მიცემდენ. აქაურობა რომ ბევრი საქმე იყო იაბანჯი გოგოს არ მიცემდენ, ჩვენი გურჯი მილეთიდან უნდა იყოს. გედევერიეთ ჩვენმა იქ წევიდა, იმათმა აქ მოვიდენ, ბაღნები არ ლაპარაკობენ, ფექ არ იციან ამა ხდომილობენ. ახალ ჩვენ ჭადი იყოს უნდა სუფრაზე, მალახტო იყოს, ჩვენ ახლა შავი ლობია მალახტო, კერცხიან ლობიას გააკეთებდენ, იადან გააკეთებენ ქათმიანი, სიმინდი დავაფქვივე ეგერ, ჩვენ ჭადი რომე არ ვჭამოთ ჩვენი ქუჭი არ გაძლება. წინ-წინ

ნალიები გვქონდა, ახლა რენჩბერობა არალი. დევინახე ბათუმში, აქ ერთი სოფელ ყეზელ ვეტყვით ჩვენ ნალიებია. წინ-წინ ჩვენე სახლები აქაურობა ჭერიებით იყო, წინ-წინდელი სახლები არალი ახლა, ჩვენი სოფელი ახლა გერმანიას არიან, ჩემი ბაღნები იქ არიან, მე იქ ვიყავ მმა წვეიყვა, ეს წვეიყვა ის წვეიყვა. იმფერი დრო გვქონდა 50 ლირა ფარა (99) მესელა არ გვქონდა. ტყიებს ვჭრიდით, ფარა არ იყო იანი, ჩვენ წვევლით აღმანიას ბეტონის სახლები გავაკეთეთ. ახლა ჩვენი ბერები წინ-წინდელი ბერები ასე იმღერებდენ, ჩვენ ბაღნები ვართ ახლა, გოგოებს გუუმღერებდენ გოგოებს:

•

“იგერ გაღმა ტრედებო,

გოგოვ რას მერიდებო,

მაგრეთ რომ ლამაზი ხარ,

ჩვენთვინაც რომ იზრდებო”.

•

“ბახჩაში მაქვს ტყემალიო

კონწილ კონწილ კიდიო

მე ის ბიჭი არ მინდა

ბუკზე(სახე) დაპრანჭულიო”

ასე იმღერებდენ ბერები, ბილიორ მუსუნ, ჩვენც გვიგვიხარდებოდა, ის გოგოები ნიშანლი იყო და მე დელეყანლი (100) ვარ. ასე ახლა საქმობს, იმას ირჯება და მღერობს. მეც ახლა ვსეირობ იანი. იმ გოგომ არ წაყვა იმას, გექცა სხვა კაცთან გექცა. წინ-წინ ჩვენში ნიშანლი რომ ვიქნებოდით ასე დანახვა არ იყო, ასე ჩვენ გიზლი გიზლი დეველაპარეკებოდით, ახლა სახლში მოყავან სიძეები იანი, დედამთილი ემინია ახლა. რავა გაგვახარე, მოდი ასე ჩვენთან რაფერ ლამაზი გოგოები მყავს. ერთი გერმანიას გავაგზავნე, ერთი კასაბაზე მყავს მეტი უყვარს გურჯობა, ლაპარაკი. გურჯისტანი კაი

მემლექეთია. იქ რომ მოველი დევინახე ჩვენი დედების ფორთაქალი, მანდალინები, ჩაი ბაჭჩეები აქვან გუზელ (101), ჩალიშქანი (102) მილეთი ყოფილა, ამა ერთია ბევრ ღვინოს სვამენ. ადესაჭჩვენაც გვაქ, ვაშლი, მსხალი, ატამი ჩეშითლი ჩეშითლი მეივე (103) გვაქ. წინ-წინდელი ქალები ყურძნებიდან ბეჭმეზ (104) მადულეზდენ, შურუპს სვავენ. წინ წინ ასე იყო ხისიმ.

წინო-ხისიმობა როგორია ახლა სოფელში?

ქერემიჩი-პაწაი აირეცხა. წინ წინდულა არალი იანი. ვინემ რომ მოკვდე კარაი არავინ გიგილებს. წინ წინ ასე არ იყო, წინ-წინ წასვლა მოსვლა იყო, ახლა არალი იანი, წინ-წინ ერთმანეთს დეხმარებოდენ, ერთმანეთს სახლ გააკეთებდენ, ყანაში დეხმარებოდენ, სიმიდს გააფაჩიებდენ. მე რომ ხუთი წლისა ვიყავ, 80 იაშინდა (105) ქალები თურქჩეს ვერ ლაპარაკობდენ, იმას მევესწარი, ბერები ქალები ვერ დეილაპარაკებდენ, თურქჩე არ იცოდენ, პაწვანებმა არ იცოდენ მემრე მემრე თურქჩე ის ქნეს, წინ-წინ ჩვენი სოფელი კარში არ გევიდოდა იანი, კითხვა არ იყო. ჩვენი მილეთი კაი მილეთია თუთქუნი (106) მილეთია, დახმარება მეტი იციან. ჩვენი მილეთი ინეგოლდე იქ იერები მუუცემიან, არ დამჯდარან ბუზები ბევრნი ყოფილან, იქიდან გამოქცეულან ასე, სოფლის ამოსასვლელ ყანასთან დამჯდარიყვნენ. საქონელი აქ ვერ გამეიარონ და ღელე გამოლმა გამდგარან. აქაურებში მაშინ გაიურები ყოფილან იუნანები, ათათურქმა წამეისხრიკა. აქ მესელა იუნანი მოსულა, ტყიებში დამალულან იანი, პური მუუხარშავთ, ბურღულ უქამიან. ბათუმში ქაჭვეში დამჯდარი ვარ, ჩაი, ქაჭვე ნასვამი მაქვს, იქაური გემიხარდა თერეიალი (107), ასე მორეკილი, ახლა ბათუმში ის გაგაგნებინო, მანქანა გავყიდე ქალები არიან ფაზარზე (108), ახლა ისინი გურჯეს ლაპარაკობენ მე მეცინება ახლა. მოდი ნენეო ქოქობაი მჭადი, ქოქობაი ჭადებს ყიდებენ, შევხედე თერეილები მორეკილი. ის დამშურდა. აქ არი იქაურობა დაჰა დოღალია, (109) ჭიმურ გააკეთებენ, ხუთი თითით ჭამენ. თქვენში ხმელ თევზ ბევრ იმას შვრებიან? გამხმარ თევზებ ჩამოკიდებენ ხოლმე.

წინო-დიახ, იციან.

ქერემიჩი-ჩვენ არ ვიცით იმფერობაი. გემიელია?

ნინო-ძალიან, ჩამოკიდებენ და ახმობენ.

ქერემიჩი-წინ-წინ დიდვანი კაცები იყვნენ შენ დეინახო ტირილ დეიწყო, იმფერი კაცები იყვნენ, ახლანდელი კაცები არალი. ამის ბაბაი(მეუღლის მამაზე საუბრობს) მესელა დიდი იყო აჰმედ ჩაუშვილი მაღალ მაღალ კაცები იყვნენ, ბუიუქ ბუიუქ (110) მეც კაი ბულები მქონდა ახლა არ მაქვს დავბერდი იმისთვის ახლა.

ნინო-ჩვენებურს ვის ეძახით?

ქერემიჩი-გურჯისტანიდან გელენ (111) ჩვენებურას ვეტყვით.

ეხლა ხისიმ ტირილვა მემინდა, ჩემი ქალის ნენემ თურქზე არ იცოდა ჰეფ ჩვენებურად დეილაპარეკებდა. ესქილერი (112) ჩვენ ახლა არ გვამიწყდება, ამა ერთ კიდევ უნდა მოვდე იქ უნდა ვიარო იანი. მე ემექლი კაცი ვარ, ჩამოვიდე ხუთასი დოლარი გეყოფა, ასე ვართ იანი ჩვენ. ეიდა ხისიმ ასე, რაფერ ის ქენი, ახლა რაფერ იმას შვრება იცი? ახლა შენ რომ დეგინახე იქეთაი მუსაფირო რო მოსულიყო, იმდონი არ გემიხარდებოდა, შენ ჩვენი სისხლიდან იტყვიან ია! ევეთ ევეთ (113), ჩვენ სისხლიდან იტყვიან. ახლა მენე ბათუმში რო მოვდე, წინ-წინ ამა ახლა პატარა მივეჩვიეთ. ენ წინა კომუნისტების მაშინდა რომ დეინახავდნენ ვაიმეე, მაშინ გვიგვიხარდებოდა, თქვენაც გვიგვიხარდებოდნენ, ახლა გორგაჩოვ რაფერ ლამაზ კაი ქნა, ახლა ეს გორგაჩომ ქნა? გორგაჩოვ ჩვენებურია?

ნინო-არა რუსია, ჩვენებურია შევარდნაძე, საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა მაშინ ორივე სათავეში იყვნენ.

ქერემიჩი-ევეთ, ევეთ, ამა თქვენი ლაპარაკი ტელევიზორში მალ-მალე ლაპარაკობთ, ჰემენ ვერ ვარჩევ იანი, ამა ვხდომილობ.

ნინო-უყურებთ ქართულ ტელეარხებს?

ქერემიჩი-აბა არ ვუყურებთ. მე ერთი გერმანიას ვიარებოდი, გერმანიას ვლაპარაკობდი. ჩვენებურაი ორი ბაღანა ჩვენებურაი ლაპარაკობდა, წეველით უკნიდან ორი ქალი ორი კაცი მოდიან, ახლა ჩვენ მოგვდევან, შევხედე ჩვენ იმ მიშბაადენ იერზე გურჯულად

დეგვილაპარეს. ჩვენ იმათმა გვითხრეს თქვენ აქ რა გაქ, თქვენ აქ რა იჯებით? ჩვენ მოველით საქმისთვის, ჩვენ რომ აქ წამოვსულვართ ისინი იქ წასულან. გურჯულად დევილაპარეკეთ პაწაი იმათაც მონატრებული გურჯული ქონებიათ. ჩვენაც ვილაპარაკეთ ბილიორ მუსუნ, ვიცინეთ. ვაიმე ნენემ სულიო, ვაიმე ნენევ მუცელიო ესე იტყოდენ წინ-წინ ჩემო ხისიმო. ახლა ერთი შენ უნდა გითხრა ახლა თქვენე, ჩვენ ისე ვართ და თქვენ რაფერი ხართ? ერთ გურჯ რომ დეინახავთ, ჩვენებური ლაპარაკი რომ დეინახავ რაფერ იმას იქმთ?

ნინო-ძალიან გვიხარია, ყველას უყვარს თურქეთელი ქართველები.

ქერემიჩი-ევეთ, ევეთ, ჩვენ რომ დევიინახავთ-გოო ჩვენებურაი ლაპარაკობს ჩვენებურაი ლაპარაკობს ჭოო, იანი ასე იმას ვიქმთ. რაცხამ გონჯი გურჯი იყოს ჩვენი სისხლია. მე რომ ამდონ გელაპარაკები იქეთას ახლა მე შენ დონა არ იმას ვიქმ, თაბიი ისიც ჩვენი ის არის ამა შენ რომ დიგინახე ახლა დაჰა სხვა ფერი გავხდი. ახლა შენ ამდონი ის ქენი შენი ტელეფონი ნუმარა დიმიწერე, ბელქი მე მოვალ იქე, ერთი ქართი მეიტა დედაბერო *(მიმართავს მეუღლეს)*

(ყვება ისტორიას ჰაირიეზე)

ქერემიჩი-ჰარბის დროს ერთი დედაბერი დუუყენებიათ წინ-წინდელი დედაბერი ბევრი ესრიან. ერთი დედაბერი იქზე, ერთი დედაბერი იქზე თლად დედაბრები ასე. ენ სონდა (114) ამ დედაბერ გაღმა ქედია იგერე, იუნანები რომ ამოვლენ ის დედაბერი რომ ესრის.

ნინო-ქალი იყო ბექჩი? (115)

ქერემიჩი-თაბიი, პანტოლები ქალები, მოქსოვილი შარვლები, ესვრის ისიც ესვრის ისიც ესვრის, აქედან გეიქცევა ერთ ძროხას ასე წეიყვან.

ნინო-სოფელს იცავდნენ?

ქერემიჩი-კაცები დამალული არიან, ტყიებში, ისე გუუდენიან აქაურებიდან ორასი წელიწადი არ არალი იშთე, ჩვენ იმათ გაიურებ ვეტყვით. ის ქალები გურჯები ყოფილან, იქ არ მუუშვიან აქეთ იმფერი ქალები ყოფილან.

ნინო-ჯესარეთ ქადინები ყოფილან.

ქერემიჩი-ამას ერთი(მეუღლეზე ამბობს) ბაბაიანე ყავდეს, რავთქვათ ასე დიდი მაღალი ქალი, ჩაცმული ასე ძველებურაი ჩაცმულები ვაიი, ანლადინ მი? (116) წინ-წინ მესელა ჩვენ პური არ ვიცოდით. წააყუდებდენ კეცზე ჭადი, ჩვენ პურით გაზრდილი არ ვართ, ეიდა ხისიმ ასე.

ინეგოლი (117)-საუბრობენ თუფეკჩიქონაქის (118) გამგებელი ჰუსეინ ორდუ (ამირან თავდგირიძე) და აზიზ ეფე(ანზორ მამულაძე ნწლის, სოფ. საადეთიდან), ფაზლი უზლუ, ჰუსეინ აიბარი (გიორგი ხაზინადარი სოფ. ჰილმიედან) თურან ადიამანი (თემურ დავითაძე, ინეგოლი) მეჰმედ ნური თაიარი(მამია დუმბაძე-კავკასიის ფოლკლორისა და კულტურისა საზოგადოების-სათვისტომოს თავჯდომარე), ჯემალეთთინ ოზდემირი-ინეგოლის ჩინილი მეჩეთის იმამი თუფეკჩიქონაქიდან)

ფაზლი-ძია გედევინა ბათუმს და იქიდან მის ბაბოს ნამყოფ იერიდან მიწა გადმეიტანა ჯამზე დადვა. ასე ქნა ჭო, რამაზანაო ის ბათუმის მიწა სუნი მომხვდაო, ასე ჯამზე შეხედა რომე და მიწას აკოცა. ძიას ცრემლები გადმოდინდა. ასე ბაბომ მაშინ დეიბნიდა, მემრე გეიღვიძა შვილებოვო ჩვენ იქედან გადმოსულეზივართო.

აზიზი-ჩვენ სოფლებში დედაბრებმა თურქულ არ იცოდენ და კაცებმა იცოდენ, არ დეისწავლეს, ვერ მიაღწევდენ თურქებმა, გეეთრიეთ ასე ეტყოდენ. ჰილმიე სოფელი რომ არის, ჰილმიე რომ გეიწყო ცოტა იყო, ჩვენი სოფელ ზევით დიდვანი ჭალებია.

ნინო-საადეთის (119) ზემოთ?

აზიზი-კი, იმათ თქვეს რომე აქ მოვალთ, აქ დავჯდეთო იქ დამჯდარან. ჰილმიელები მომსვლელელები ზევით დამჯდარან მემრე რომ არაფერ არ მოვიდა მარტო ბალახის მეტი არაფერ არ მოდის, იქიდან მემრე საადეთ გეიცალა იქ ჩამეიბარგეს სახლები გააკეთეს, ზოგმა ჰილმიეს ჩამეიბარგე. ჰილმიეს ნახევარზე ბევრი ჩვენი სოფლიდან არიან. ჩვენი სოფელი ახლა ჰილმიეზე ბევრნი რომ არიან ჰილმიეზე მიმბულივით ჩანს. პატარაზე მიმბული ჰილმიეზე დარჩა ახლა, ჩვენი სოფელი პაწაია, ჰილმიე დიდია.

ნინო-ანუ საადეთის ხალხი ჰილმიეში წასულა?

აზიზი-კი.

ნინო-საადეთის ძველი სახელი რა იყო?

აზიზი-ფაზარალან, ფაზარალან რა თქმა არის იცი? ფაზარს რომ იჯებოდნენ იქიდან იტყვიან, ბაზრობის მოედანი. ახლა დაარქვან საადეთი ეს ინეგოლის სოფლებში სულ გამეიცვალა სახელები, რატომ გამოცვალეს ისიც არ ვიცი, იყოს.

ნინო-მთავრობამ გამოცვალა თუ ხალხმა?

აზიზი-მთავრობამ.

ნინო-ქართველები რომ სახლდებოდნენ თავად არქმევდნენ სოფლებს სახელებს?

აზიზი-ხო, ახლა ჰასანფაშას სოფელია, ჰასანფაშა რატომ დუურქმევინ იგერ აქა ფაშა ყოფილა, ჰასანფაშა, იმას გუუწყვია ის სოფელი, იმის ძმა ყოფილა დერეჩათსა-მურათბეი ძმა დუურქმევია სოფელში მურათბეი სოფელი გამწყობელი, ახლა იმან გამეიცვალა, ერთი იმან არ გემეიცვალა ჰასანფაშამ არ გემეიცვალა სოფლის სახელი. სუყველას დაწყებული ყარაყადი სოფელია ყარაყადი კაცი, იმან გუუწყვია, იმის სახელი იყო, ახლა გემეიცვალა სხვა სახელი დარჩა.

ნინო-საადეთს ქართველები რას ეძახიან ძველ თუ ახალ სახელს?

აზიზი-მე მკითხავენ ფაზარალანო ვარ ვამბობ, სუყველამაც იციან ჰომ.

აიბარი-ინეგოლი არის თურქეთის ერთ-ერთი უძველესი ადგილი. ოსმალეთის იმპერიამ აქედან დაიწყო ფუძე, ეგ იყო ბილუჯიქი, სოლუთი და ინეგოლი. ჯერ დაიწყო სოლუთიდან, მერე ბილუჯიქი და მერე ინეგოლი შემდეგ ბურსა და გაგრძელდა მერე. აი ინეგოლის დაპყრობის შემდეგ გადაიქცა როგორც სახელმწიფო ოსმალელებმა, მანამდე იყო პატარა ბეილიქი პატარ სახელმწიფოც არ იყო რა, ორგანიზაცია. ძველი სახელია ანგელაკომა, ანგელა ანგელოზების კომა არის ადგილი, ქალაქი ინეგოლის სულ პირველი სახელია ეგა.

აზიზი-ჩვენი დედეები აქ რომ მოსულან აქ ვერ გეარვინ, კოლოები ყოფილან, აქ არ დაჯდენ მისცეს იერები არ დაჯდენ.

აიბარი-ჯერ სულ თავიდან სტამბოლში ადგილი დაუთმო მეფემ და სტამბოლი არ მოეწონათ ეს რააო, ჩვენ გვინდა ბუნება, ტყე, კაი წყალი, კაი ჰაერი და ჩვენ ხომ იცი ქართველებს გვახასიათებს. სად სტამბოლი სად ინეგოლი. მაშინ არ აქცევდნენ ყურადღებას ჩვენი ქართველები, მაშინ ხომ იყო ცხრო ავადმყოფობა, ცხრო რომ იყო მაგას მოერიდეს და აქეთ წამოვიდენ იმდენი ხალხი დაიხოცა მაგის გულიზად. მერე კოლოები იყო შეეშინდათ და აქეთკენ წამოვიდენ, მეფეს რომ უთხრეს აქ ვერ გავჩერდებითო, მაშინო თქვენ გაგიშვებთო ბურსისკენო ინეგოლია რაღაცაო. მერე აქეთკენ წამოვიდენ ინეგოლისკენ. ინეგოლშიც კოლოები იყო და წავიდენ სულ სოფლებში. აქ ქართველებზე ხუმრობენ ქართველებს კაცო ტყე უნდათო, ტყესაც არ ტოვებენო. ხე-ტყის დამუშავება რომ არის ახლა. ქართველები სადაც არიან ტყე აღარ არის უკვე ჭრიან, შეშა მიაქვთ ყიდიან.

აზიზი-დედეებმა აქ რომ მოვიდენ, ის ოჯახი რაფერ გააწყეს, ის სახლები რაფერ გააკეთეს, ის ყანები რაფერ გააკეთეს, ჩვენ მამაების დედეების გაკეთებულები დავყიდეთ და ჩამოვედით აქ ვდგავართ.

აიბარი-ეხლა კიდე ისეთი დრო მოვიდა, აი ინეგოლი ხომ არის სამრეწველო რაიონი, ეხლა ბურსის დანარჩენი რაიონები არის უფრო საკურორტო- ბუდანია, გემლიქი, იზნიქი... მარმარილოს ზღვის ნაპირზეა, ან ახლოსაა, ინეგოლი სამრეწველო სამუშაო რაიონია. ბოლო დროს ამ კრიზისულ მდგომარეობაში ფაბრიკები დაიხურა და ხალხს უნდათ უკვე სოფელში ნაკვეთები, მაგრამ გავყიდეთო და აღარ დარჩაო.

ნინო-ვის მიყიდეს?

აიბარი-უცხოს მაინც არ უშვებენ, ადგილობრივს უთმობენ.

აზიზი-რაცხა ფულს დაადებს კაცი ყიდის იმას. ის სოფელი დეიკარგვის.

ნინო-თუ ქართველმა იყიდა აღარ დაიკარგება.

აზიზი-ქართველები აღარ არიან ორი სამი არიან შიგნით, ეზრუმია, ყარსია.

აიბარი-თურქებიც არიან და უნდათ ყიდვა.

აზიზი-სოფელში ვეუბნები ეს უნდა გავყილო ამას რა უნდა 20 მილიონი ფული მინდაო არ გამლევს კაცი, მოდის 30 მილიონ ფულ გამლევს, შენც იმას მიყიდავ. სოფელი დეიკარგვის.

თურანი-არ აინტერესებთ ზოგ საიდან არიან. უნდა წეიყვანო დეინახოს მისი კულტურა ვინ არი, საიდან არის, საიდან მოსულა მისი ბაბუები, წინაპრები, დეინახოს, იმის მერე აინტერესებს რატომ აინტერესებს დეინახოს ამდენი ძველი ხალხი ყოფილა. ახლა აქ დეინახავს წერვა, ლაპარაკი დეისწავლის. ახლა 4 სენეს უკან წევედით საქართველოში, ერთმა ბიჭმა ახალგაზრდა ბიჭმა თქვა არაო მთელი ქართულად ლაპარაკობსო რატომო? გაგიჯდა არ იცოდა. მარკეტში წავიდა, ხალხი ქართულად ლაპარაკობს, პატარა ბავშვი ქართულად ლაპარაკობს. მას ძალიან აინტერესებს. ახლა იმას მერე ქართული რაცხაები ინტერნეტში მიდის მოდის.

ნინო-თქვენმა შვილებმა იციან ქართული?

თურანი-მიხვდება ვერ ლაპარაკობს. ჩემ ბაბუამ საქართველოს დაბადებულია. მამის მამა 17 წლის ყოფილა იქიდან მოსულა, მე მესამე ვარ ბაბუა, მამა, მე. ჩვენი ოჯახი ნელანელა ჩამოვედით, 1971 ქალაქში წამოვიდენ ჩვენები, ქარხანა გასხნეს. ჩემ ბაბუების გაკეთებული სახლი არის.

ნინო-უვლით?

თურანი-ხო, სენედენ სენე (120) ის დრო არ გვაქ.

ნინო-რომ გახმეს ადესა?

თურანი-რატომ? ახლა ორი საათის უკან იქიდან მოვედი.

(ჰყვება ისტორიას, რომელიც საქართველოში ყოფნისას შეემთხვა) გამარჯობა მეთქი, გაგიმარჯოსო, ვინ ხარო ჩემთვის, -მე ქართველი ვარ მეთქი, თურქეთიდან მოვალ მეთქი.

პირველად მოველი საქართველოს მეტეი. თქვენ თურქი ხართვო? ძან მეწყინა არა მეტეი მე ქართველი ვარ. მერე თბილის წავედი, წავედით პურ-მარლზე ვართ ერთ ოჯახში. თურქი ხართვო? არა მეტეი-ქართველი ვარ. იმის მერე კაცს ვუთხარი-თურქეთში თურქები თქვენ ქართველი ხართვო გვითხრეს, სულ ესენი ქართველი არიან, მიხარია ძალიან, რატომ ქართველი ვარ. მე საქართველოს წვედი ქართველები ჩვენთვინ თურქი ხართვო ძალიან მეწყინა ეს საქმე. მე ვიფიქრე ახლა თურქეთში ქართველი ვარ, საქართველოში თურქი ვარ. მე ჩემთვინაი მე ვიფიქრე მე ვინ ვარ, ძალიან მეწყინა იმ დღეს ჩემთვინ უმნო დღე იყო. ახლა მე მინდა საქართველოზე სიკვდილი მინდა. საქართველოსთვინ რა გავაკეთო ეს მინდა. ის საქართველოს პრობლემა თურქეთში ვინც ცხოვრობს ესენი გვანიათ თველი თურქია. თურქეთში ძალიან გვიხარია ქართველი გვიძახიან, საქართველოში თურქი ძალიან საინტერესოა ჩემთვინ.

ნინო-როგორც ვიცი აქაურებში ბევრია ანეგდოტები ლაზეზზე და აფხაზეზზე.

თურანი-კი, ბევრია. ერთმა აფხაზმა ცხენი მუუპარია, ბაზარში მუუტანია. ბაზარიდან ერთი თურქიდან ცხენი მუუპარია, მერე წასულა იმით, კიდვენ გაყიდოს უნდა. ერთი თვე სამი თვე უხმარია, იმის მერე ბაზარზე წასულა. თურქია ის გამყიდველი. მერე დუუნახია ეს ჩემიაო იმის შვილ უთქვამია, წადი ის ცხენი მომიყვანეო, აართვიო, იმაზე დაჯექი წადი. წასულა, ეს ცხენი ყიდი აფხაზმა რამდონია-ხუთ მარჩილია, ერთი მე ვიარო რაფრად არის ეს ცხენიო. იმაზე დუმჯდარა წასულა კაცმა. ცხენის ზედა რაცხა დებენ ეს შენი იყოსო. იმის მერე ბიჭმა წასულა, დუუცადია დუუცადია არ მოსულა კაცმა. სოფელში ნელ-ნელა მიდის ახლა აფხაზმა. მეგობარმა უთხრომია-რამდენად გაყიდეო? რაფრად მომყიდე ისე გავყიდეო.

აიბარი-აფხაზი შევარდა მეჩეთში, ისე ხო მორწმუნე არ არიან აფხაზები აქ მაინცდამაინც. ლოცვაზე, უთხრეს რომ უნდა იყო მორწმუნეო, შევიდა მეჩეთში, ახლა ხედავს რომ ხალხი ადგა რომ უნდა ილოცონ ემზადებიან. რო ადგა იმას ეგონა მე შევედი ჩემი პატივსაცემად ადგნენო. “გენაცვალეო დაჯექით დაჯექითო”.

მეჰმედ ნური-ერთი აფხაზი მომკვდარა, ჩაფლეს. იმდენი ბევრი ცოდვა იმდენი ბევრი ცოდვა გააგზავნეს პირდაპირ ჯოჯოხეთში. “ასე თუ ქენით არავინ აფხაზი აღარ ჩამოვაო.”

აიბარი-რამაზანია ახლა ჩვენი ხომ იცი, და ეუბნებიან აფხაზს ახლა არ გამოდის ყველა მარხულობს და შენ არ მარხულობო, უნდა იმარხულოო. კიბატონოო. ძლივს გაძლო რა საღამომდე. იმარხულა მაგრამ ძაან შია. საღამოს როგორც იქნა ჭამა რაღაცა. ხომ ხედავო კარგად ჩაიარაო, იმარხულეო, მადლი დაგედოო. კიბატონო ეს თუ ღმერთმა ბრძანაო კიბატონოო, მაგრამ თუ ქართველმაო ღმერთო! მე მაგისი დედა ვატირეო. ქართველები ძალიან მორწმუნეები არიან და მაგას ეგონა რომ ქართველმა მოიგონა.

აზიზი- “წყალი მასვი კოკითა

გამაძლე კოცნითა..”

“ბაჰჰაში დავთესე ლობიაი

იმას უნდა ჰაშარი

დედამთილი გავახელე

არ მაჭამა ვახშამი”.

ნინო-ეს ჰაირიეში იციან

აზიზი-ეს ყველამ იცის.

ნინო-ბ-ნო აზიზ საადეთში მხოლოდ ქართველები არიან?

აზიზი-საადეთში გურჯები არიან. ახლა ართვინიც იყო, ართვინელებმა იყიდეს იერი იქ სახლები გააკეთეს. ისინიც ქართველები არიან.

ნინო-შერეული ოჯახები თუ არის?

აზიზი-იმათ იერიან. უწინ არ იყო. გურჯი სხვას არ მისცემდნენ. გურჯი სხვას არ ითხოვდა. ახლა აძლევენ, რაფერ აძლევენ. სოფლებში გოგოები ახლა ინეგოლში მჯდარან, ინეგოლში ვინცხა მოთხოვს, ოოო ინეგოლია აძლევენ. უწინ ქართველი ქართველი. ანაი ქართველი, ბაბაი ქართველი. ბაღვები იმფრად იზრდებოდნენ, ახლა რომ იერია ახლა იმას ვიჯებით.

ნინო-საადეთში დაახლოებით რამდენი ქართული ოჯახია?

აზიზი-28. ქალაქში ჩამეიბარგნენ.

ნინო-პატარებმა იციან ქართული?

აზიზი-სოფელში დაბადებულებმა იციან, აქ გადმოსულებმა არა. მე ქალი ცოლი მყავდა ქართველი, ანაი, ბაბაი ქართველი, მე ვარ ქართველი, სახლში ქართულად ვლაპარაკობ, ჩემმა ბავშვებმა ქართული არ იციან. გამოვალ ჩვენი ენა მავიწყდება.

ნინო-თქვენი ბავშვები ინეგოლში არიან?

აზიზი-55 წელიწადია ინეგოლში ვარ. ჩემი დედეი შუახვევიდან გადმოსულა, ამა არ მინახავს ჯერ. ბათუმიც არ დემინახავს. ჩემი დედეი დაბადებულა ბათუმში, ბათუმიდან ამდგარა ეგერ აქ წამოსულა. იმა იქ დარჩენილა ორი ძმა. აქ გადმოსულა ერთი. სამი ემია გადმოსულა, დარჩენილა ექსი ემია-დედეების ძმები იქა.

ნინო-საადეთში არის შემორჩენილი ბეღელი, ნალიები?

აზიზი-გუუკეთებელი სახლები თუა მათ აქვან, ამა ახალი სახლები გააკეთეს მათ აღარ აქვთ. ოილათმა მოდერნი გახადა. საადეთში ერთ სახლ იერ ვერ იყიდი, ფული ბევრი უნდა. თუფექჩიქონაქში, გულბაჰჩეში თუ იყიდი დიდ ყანას იქ ვერ იყიდი ერთ სახლ იერს. ოილათში სტუმრები რომ მოდიან ამიტომ.

ჰუსეინ ორდუ- შენ ახლა გურჯი ხარ თუ ქართველი? (ეკითხება აზიზ ეფეს)

აზიზი-მე ქართველი ვარ, რაის გურჯი. გურჯი ჩვენ ვამბობთ, შეი და ჯორჯი დიორლარ (121), ალმანიადა ჯორჯი, თურქე გურჯისტან... ქართველები კაი ვართ, დამკავებელი ვართ, რაცხა გამოუვიდეს კინწლა თლად მეინგრევა, ამიტომ ის გვაქ დაკავება, მემრე სხვა დაკავება არ გვაქ. დახმარებაში კაი ვართ, ქორწილში ერთად წევლენ, რომ ვინცხა გერდეიცვლება იმის ჯენაზე (122) ბევრი წევლენ. აქა თურქეთში ენ ბევრი ჩვენები იქნება.

ჰუსეინ ორდუ-ქორწილში ქართველები ბევრია. ჯენაზე ქართველები ბევრია. ახლა თურქი დაჯდება მესელა, გეიყურება მიხვდები ეს არნავუთია (123), ეს ბოშნაკია (124), ეს მუაჯირია (125), ეს ქართველია.

ნინო-რითი ხვდებიან, რომ ქართველია?

ჰუსეინ ორდუ-ერთად არიან. კაი დღეში ერთად არიან, გონჯ დღეში ერთად არიან.

ჯემალეთთინი-ჩემი ნენე იქიდან მოსულა ჩელებოღლებიდან, ბაბუაი ჰათიბოღლებიდან არის. 1890 გამოვსულვართ. თუფექჩიქონაქიდან ვარ. ჩვენებური ვართ, ამა ჩვენ ქართველი მუსულმანი ვართ.

ნინო-ქართველი ხართ თუ გურჯი?

ჯემალეთთინი-გურჯი ვართ. ერთია ამა გონჯური აგონდება და იმისთვინ მუსლიმანი გურჯი ვართ.

ნინო-თქვენმა ოჯახმა ქართული იცის?

ჯემალეთთინი-იცის, ჩვენ სულ ქართველებად ვლაპარაკობთ, ნინემ ქართული იცოდა თურქული არ იცოდა. 9 წლის ყოფილა იქიდან წამოვიდა შუახევიდან.

ნინო-თქვენ ოჯახში თუ არის გურჯული ადეტები შემონახული?

ჯემალეთთინი-სულყველაფერი არის იქ რაცხა ადეტები იყო ისე აინი არი. ჩვენი ადეტები ლამაზია. ჩვენ ადეტებიდან მემუნვიართ (126) იანი, მესელა სახლში ადეტია, მეზობლობაში ადეტია, სოფელში ადეტია, ძალიან ინსნობის ადეტებია იანი, მესელა მუსაფირი ძალიან იმედს მივცემთ იანი, საიგი გოსთერიორუზ (127) სულყველაფერი რაცხა არის დევამ ედიორუზ (128) იანი, გელინობაა, ემიობაა.

ნინო-გელინი აუცილებლად გურჯი უნდა იყოს?

ჯემალეთთინი-ხო, გელინი ჩვენ ჩვენიანი გვინდა, კუდიანები არ გვინდა ჩვენი უნდა იყოს გურჯი უნდა იყოს. ახლა ჩვენ ახლა მუსლიმანობაზე ვილაპარაკოთ უფრო გემიხარდება, ჩუნქუ რატომ იცი ღმერთ გამჩენელმა გაგვაჩინა ჩვენი თავი ძალიან

უყვარს. ეს ძალიან ონემლია (129) იანი. ჩვენ გაგვაჩინა ჩვენი თავი უყვარს ჩვენ თავ ფიშმანობს, ენ დიდი ფაბრიკა ღმერთის ფაბრიკაა, ლობიაი კარფუზაი (130) ის აკეთებს, შეფთალის (131) ის აკეთებს, სულყველაფერი მის ხელშია, ჩვენაც გაგვაჩინა ღმერთგამჩენელმა, დევამლი (132) ჩვენ გვიყურებს არაფერ შეწუხდენ, არაფერ ზორში (133) არ შევიდენ, სხვა ვერავინ ვერაფერ ვერ მოგვცემს იანი. ამ დუნიაში ამდენი ინსნები არიან, ძროხები არიან, თევზები არიან დენიზში (134) თევზს ვინ აჭმევს, ვინ ასვამს, ჩვენ ვაჭმევთ? არა, ღმერთგამჩენელი დენიზში რაფერ აჭმევს ამ დიდვანი თევზები, ჩვენთვინ. დეიკავონ ჩემ გაჩენილმა ინსნებმა ჭამონო. ძროხა ღამეში იცოხნის ჩვენ რძეს გვიკეთებს დილაზე მოვწველით ვსვამთ. ღმერთი ირჯება, ჩვენ მარტოკა ვჭამთ. ჰემ გვაჭმევს ჰემ გვასმევს ჰემ ჯენნეტს (135) გაძლევს. ჩვენ ყურანში წერია დუნიაში რაცხა ამერიკა, რუსია, ინგილთერე, ფრანსია, ბუთუნი დუნია მილეთლერი ბუთუნ ილი იანი კითხვა ჰემ ყურანიდან გამოსულია.

ნინო-სახლში რა ენაზე საუბრობთ?

ჯემალეთთინი-შინ ქართულ ვლაპარაკობთ.

ნინო-გურჯული საჭმელებიდან რა იცით?

ჯემალეთთინი-ფხალ ლობიაი, დოშორვა, ქალაჯო, ჭადი, აინი ვაკეთებთ. ვინცხა გურჯი დივინახოთ გიგვიხარდება, ჩვენებურია მოთავდება საქმე ჩვენია ჩვენებურია.

თურანი-ჩვენზე ქართველი იყოს ტალახიდან იყოს.

ჯემალეთთინი-ახლა აქაურობაში ამბობენ გურჯები ძალიან მუსლიმანობას უყვარანო, იციან ბუთუნ ინსნებმა. გურჯები კაი ინსნები არიანო იციან.

თურანი-ემინიან ძალიან უყვარან.

ჯემალეთთინი-ლოცვა-კითხვა უყვარან, მუსლიმანობა უყვარან, კარგობა უყვარან, ისეთი მილეთი ვართ, კაი ხალხი ვართ. ღმერთმა გაგვაჩინა, ჩვენ უფრო კაი ვართ.

(შემთხვევით შევესწარი ნიშნობას ჩიფთლიქში. მამია დუმბაძის მეუღლის ნებაათ თაიარის ნათესავის გოგო ინიშნებოდა თურქზე)

ნინო- როგორია თქვენს ოჯახში ქართული ტრადიციები?

ნებაათი-წინ-წინ რაფერი იყო წინ-წინ რაცხაფერი რომ იყო ახლანდელეზიცი იმფრად არის, ახლანდელეზიცი მოდერენი გახდა. წინწინდულა აღარ არის მაგრამ წინ წინ რაცხა დიგვინახვია დიგვისწავლია ახლანდელეზიცი იმფრად ვიჯებით, დღეს ახლა ამოვლენ, ბეჭედი წამოაცვეს გვითხრეს, რომ ქალები ერთად კაცები ერთად, ვინცხას რომ უნდა ერთად არიან, ვინცხას უნდა სიმღერები იქნება დუუკვრიან, ელენჯე (136) იქნება, ყოილამფერი იქნება ქორწილში. ქორწილი იქნება წეიყვანებენ მოთავდება, იმფრად დავამთავრებთ.

ნინო-ქართული სიმღერები არის ქორწილში?

ნებაათი-არი, ქართული სიმღერებიც არის დაკრაც არის. წინ-წინ რაცხა დუუნახიან დუსწავლიან სუყველაფერი არი.

ნინო-ეს მარტო ჩიფთლიქშია თუ სხვა ქართულ სოფლებშიც არის?

ნებაათი-სუყველა სოფლებში არი.

ნინო-თურქული ტრადიციები გააქვთ გადმოღებული?

ნებაათი-კი არი, ვინცხას თუ უნდა მისი ადეთს იქს. ჩვენ ამფრად გვინდა საიგი არის იქს, რაცხაფრად უნდა იმფრად დავამთავრებთ.

ნინო-დღეს არის ვისი ნიშნობა?

ნებაათი-ჩემ ძმის გოგოს ნიშანია.

ნინო-ბიჭი სადაურია?

ნებაათი-თურქია, ჩვენ ვართ გურჯი. ისინიც აჰისკალელები არიან. ისინიც იქიდან გადმოსულები არიან, მაგრამ აქ დაბადებული არიან. ჩვენ ძმის გოგო მივეცი ბეჭდის წამოცმაზე. უკან უნდა დაბრუნდნენ ამაღამ.

ნინო-ეს საჩუქრები (137) ვინ მოიტანა?

ნებაათი-ის ბიჭის თარაფმა (138) მეიტანა, ჩვენში ამფერია, ამეიტანებენ დააწყობენ მემრე გოგოს იმფრად ჩუუტანებენ ისე გავაწყობთ ჩვენაც. ეს სადედამთილომ ამეიტანა ახლა ეს მის დასთვის ამეიტანა, ეს ბაჯიამისთვინ, ეს ანამისთვიან, გოგოსისთვინ. მემრე წაყვანიხან ამათ უკან იქ დავაწყობთ ბიჭის სახლში.

ნინო -ეს თურქული წესია?

ნებაათი -Türk Gürcü ikisi de bir adet(თურქული, ქართული ორივე ერთიდაიგივე წესია). ასე გეეწყობა მემრე იქნება ქორწილი.

ნინო -როდის არის ქორწილი?

ნებაათი -ქორწილი ახლა იქნება რამაზანს უკან. რამაზანი რომ დამთავრდება მემრე. ახლა ბეჭედი ავათავოთ და...

(ქორწილი რელიგიურ დღესასწაულების დროს იკრძალება)

ნინო-Burda yalnız kadınlar olmalı değil mi?erkekler olmaz. (აქ მხოლოდ ქალები უნდა იყვნენ, კაცების შემოსვლა აკრძალულია?)

ნებაათ თაიარი-olmuyor, bizde oluyor isteyen istiyor. ama erkekler karışmıyor, erkekler de var aşığıda. (არა. ჩვენში შეიძლება. ვისაც სურს, სურს. მაგრამ, მამაკაცები არ ერევიან. ისინი ქვემოთ არიან)

ნინო -kadınlar ve erkekler beraber mi dans ediyorlar? (ქალები და კაცები ერთად ცეკვავენ?)

ნებაათი -ederler, eden de var etmeyen de var, (კი, მსურველებიც არიან და პირიქით)

ნინო -yasak değil (აკრძალული არ არის).

ნებაათი -Hayır kesinlikle değil. Tabii ki isteyen olursa beraber oluyor kutlanıyor nasıl istiyorlarsa. Yani doğunda öyle oluyor düğün gününde öyle oluyor, nişanda öyle oluyor. İsteyen her dilediği gibi oluyor. Yani nasıl isterlerse nasıl arzu ederlerse, kız tarafı oğlan tarafı, arzuya göre. Kabul eden herşeyi kabul ediyor.(არა, რა თქმა უნდა თუ მსურველი იქნება, ერთად იცეკვებენ, აღნიშნავენ, როგორც მოისურვებენ. ასევეა დაბადების დღეზე ნიშნობასა და ქორწილზეც. ვისაც რა სურს ისეა. ყველაფერი ბიჭისა და გოგოს მხარის სურვილის მიხედვით იქნება. ვინც თანხმობას განაცხადებს ყველაფერზე თანახმაა)

ნინო -modern şey. Eski zaman böyle miydi? (თანამედროვე წესია. მაგრამ ადრე ასე იყო?)

ნებაათი -eski zamanda böyle yoktu, ama eski zamanları bıraktık, yeni şeylere geldik. (არა ადრე ასე არ იყო, მაგრამ ძველზე უარი ვთქვით და ახალი წესები შემოვიტანეთ)

ნინო-დედამთილს არ სურდა გადამელო ვიდეო, არ წავიყვანთო მაშინ გოგოსო, ე. ი. რასაც თავად იტყვის ის უნდა შესრულდეს?

ნებაათი-ხო, მან თუ იტყვის მაშინ უნდა გედევლოთ, თუ არ უნდა არ შეიძლება.

ნინო-თქვენი აზრით რატომ არ გადამალებინა?

ნებაათი-რატომ არ უნდოდა და, ესენი ცოტა ბიჭს არ უნდა, დუუბარებია.

ნინო-რატომ არ აქვს თავზე მოხვეული?

ნებაათი-ახლა ქალები რომ არიან იმიტომ, კაცებში დეიბურებს, კაცები რომ შამოვლენ მაშინ დეიბურებენ და ქალებში ყველა რაცხა უნდათ მეიხდიან.

ნინო-ქართული საჭმელებიდან რა იცით?

ნებაათი-ჩვენებურაი მაკარნა ვიცით, მალახტო ვიცით, ქალაჯო, ფხალლობია ვიცით, ჭადი, მაწონი, ტყემალი ვიცით წინ-წინდელი ყველაფერი ვიცით.

ნინო-გელინო რომ მოგყავთ გურჯი უნდა იყოს?

ნებაათი-არა, წინ-წინ იყო იმფრობა ახლა გურჯისტანი, თურქისტანი, სულ რაცხა შეერია, უფრო გურჯი დაჰა იი (139). ვინცხას თუ რაცხა უნდა გედევერიეთ, ემეს არ ვარჩევთ ახლა შენი ჩემი, გადარჩევა აღარ არის, სულ ერთი გავხდით.

წინო-ოჯახში უფროსად ვინ ითვლება?

ნებაათი-მამა თუ არი მამა არი, მამა თუ არა დედა გახდება, დედას უკან ძმა გახდება.

წინო-ადრე ესეთი ადეთი ყოფილა აქაურებში გელინი დედამთილს და მამამთილს ფეხებს დაბანდა.

ნებაათი-წინ წინ ყოფილა, ახლა აღარ არის ყველა წევა დეიბანს, დაჯდება ჭამს ადგება. წინ-წინდელი აღარ არის ამფრობა. მაგრამ წინ-წინ ჩვენ რომ რაცხა დიგვინახია დიგვისწავლია ის იმითანაი გვიყვარს. ადეთებს ვინახავთ, ისინი ჩვენ გვინდა რომ ეს გვქონდეს, იყოს. ჩვენი ადეთები იყოს.

წინო-გობი, და ქალის საოჯახო ნივთები თქვენში არის კიდევ?

ნებაათი-წინ-წინდელი ამბაობა აღარ არის, წინ-წინდელი ხის გობები გვქონდა ჩვენ ისინი აღარ არის, სულ ახალი ახალია. წინ-წინდელი გობები იყო, ხის კოვზები იყო, ლეგენი იყო, ყველაფერი იყო, ახლა ის აღარ არის ახლა ახლანდელეებია. ქორწილში მუსაფირებს საჭმელ მივცემთ, საჭმელები გაკეთდება, ვაჭმევთ ამაღამ აქ გაათენებენ გათენებამდე ისაქმებენ, მომსვლელი მოვლენ სტუმრები მოვლენ, ჭამენ სვენ გათენებამდე მემრე დილაზე ადგებიან წევლენ. რძალს მეიყვანებენ, ქორწილი დამთავრდება. სუფრას დეიკავებენ თაბიი მაყარი მოყვებიან, რძალს მაყარი მოყვება წინ-წინ ისე იყო ახლა ძალიან იმფრად აღარ დარჩა. რომ მოყვებოდა მაშინ ჭამენ სმენ ყველას დუუდგემდენ საჭმელებს აჭმევდენ ისე დამთავრდებოდა ქორწილები. ბადიშებმა გოგოებმა გურჯული იციან სოფელში, გურჯულ ხდომილობენ ამა ვერ დეილაპარაკებენ.

წინო-ადრე ასე ყოფილა რომ ახლად მოყვანილი რძალი ხმას ვერ სცემდა დედამთილს და მამამთილს, ახლა როგორ არის?

ნებაათი-ახლა იმფრობა არ არის, წინ-წინ რომ დევნიშნევდით ხომ ბეჭედს რომ წამოაცვიდნ დედამთილსაც მაშინ არ დეელაპარაკებოდნ არც ერთსა, მამამთილი თუ ნებას არ მისცემდა ვერ დეელაპარაკებოდა.

ნინო-მზითევს აძლევთ?

ნებაათი-მივცემთ თუ ჩვენი მისაცემელია მივცემთ, რაცხა გვაქ გვინდა იმას გავატანთ.

ნინო-ქალების შეკრება თუ არის თქვენში, ჰაირიეში არის ასეთი ტრადიცია.

ნებაათი- para topluyoruz (ფულს ვაგროვებთ), çay, pasta oluyor (არის ჩაი, ნამცხვარი),

ნინო- bu Türk adet değil mi? (თურქული წესია?)

ნებაათი-evet, günler yapıyoruz mesela, hazırlıklar oluyor, çay, pasta oluyor, geliyorlar bir gün mesela çay içiyorlar, oturuyorlar, konuşuyorlar. (კი, მაგალითად ვაწყობთ დღეებს, გვაქვს სამზადისი, გვაქვს ნამცხვარი, ჩაი. ამ დღეს მოვლენ დასხდებიან ჩაის დაღვეენ, საუბრობენ)

ნინო- kuran okuyorlar mı? (ყურანს კითხულობენ?)

ნებაათი- okuyan da var (კი, მკითხველიც არის)

ნინო- her ay mı topluyorsunuz (ყოველ თვეს იკრიბებით?)

ნებაათი-ayda belki, haftada, nasıl arzu ederse. (შეიძლება თვეში, კვირაში, როგორც მოესურვებათ)

ნინო- bu günlerde özel yemekler var mı? (ამ დღეებზე განსაკუთრებული საჭმელები არის?)

ნებაათი-Gürcü yemekleri isteyen olursa, olur mesela. (თუ ქართულის საჭმელების მსურველი იქნება, კიბატონო)

ნინო-როდის მოხვედით ჩიფთლიქში?

ნებაათი-ჩვენ აქ დაბადებულ აქ ვართ, დედები ბათუმიდან წამოსულა აქ დამდგარან, 93-ში (140), ჰერ ჰალდე (141) აქ ტყე ყოფილა. საცხა ტყე ყოფილა, წყალი სად არის, მოსულა დამჯდარან. სოფელი გუუკეთებთან.

ნინო-ნათესავებს შორის დამოკიდებულება როგორია?

ნებაათი-ძალიან ზოვლია. წევალთ მოვალთ.

ნინო-ძველი ნივთები თუ გაქვთ ოჯახში შემორჩენილი?

ნებაათი-რაცხა რომ გვქონდა მუზეში მივეცი.

მერზუქიე-საუბრობენ 1.მაქბული. 2.ჰიდეთი ას წელს მიტანებული ქალი. 3.ჯემალ ეთინი- -84წლის.

მაქბული-ჩემმა იეგანმა იცის გურჯისტანიდან რა დროს გადმოვიდნენ მესელა, რა დროს რა იქნა. ახლა ქასაბაშია. იმან ძალიან იცის.

ნინო-ეს რა ყურძენია?

მაქბული-ადესა ყურძენია.

ნინო-გურჯული ნივთები გააქვთ ოჯახში?

მაქბული-წინ წინ ჰადს მოვზილავდით გობებში, ტოპრახ ტენჯერები იყვენ, კეცები, ისინი აღარ არის. კეც მაქ, გორვალაი მაქ, სალანჯაქ მაქ, გობ მაქ, ნენედენ ქალმა არის, ნენეების ჰათირა არის. უწინდელი ბევრი რაცხები იყო, ამა ახლა აღარ არის. სოფრა-გურჯისტანიდან გადმოტანილია. ეს ქართველებიდან დაგმოსულია, დედეს გადმოუტანია. 8 კაცი ეტეოდა. დედეს ხათრით ვინახავ.

ნინო-ქართული კარგად იცით?

ჰიდეთი-ქართული არ ვიცი, გურგუჯე ვიცი. არ ვართ ქართველი, გურჯები ვართ, ჩვენებური ვართ.

ნინო-როდის ჩამოვიდნენ თქვენი წინაპრები აქ?

ჰედეთი-მე რავიცი, უწინდელი საქმეები არ ვიცი. ნენე ბაბა გურჯები იყვნენ. რატომ მაბლაყუნებთ ახლა? სულ გურჯები ვართ. ქართველი მართველი აქაურობაში არ არის. ქართველი წევიდა იქ, მოშორდა. მაბლაყუნებთ. ბერები ბათუმიდან მოსულან აჯაბა.

ჯემალი-ნენეს ბაბოი რომან ალა. ისკანდერ ეფენდიც მისი შვილია. მემლექეთიდან გადმოსული ისტანბულ ქალაქში თაჰსილი (142) იქ უქნია, იქ უკითხავს, ჩვენი დედები მოლას ოსმანას სულალე (143) რომ წამოსულან იმას უთხრობია, რომე აქ დაგაწყნარო, ჩვენ შეჰირი (144) არ გვინდაო, ჩვენი მემლექეთის სოფელი აინი ამფერი სოფელი ყოფილა, ანლადინ მი? ბათუმში, ისკანდერ ეფენდის იეგანმა 70 დროსა ასკერი იყო იმასთან მოიდა, ონდან სონრა ემე ქნეს რამე გონჯობა არის თუ არაო. ძიამ სუყველამფერი იყაბულა, იმან აქ ამოვიდა, ერთად ეს ტყიები მევიარეთ, ჰილმიეს ევდა, ყეზელში ევდა რაცხა გურჯი სოფელია ევდა, იმან რა მითხრა იცი-ჯემალო ჩვენი სოფელი რაცხა ფერ სოფელიდან ამდგარანო იმფერი სოფლები დუუწყნარებიან აქაო. მე პირვანდელი ნაკითხი სიძე ორეთმენი იყო, აკითხვებდა ბაღვებს, იმათ სოფელში ვიყავ მე. ათი წლის ვიყავ ორეთმენი იყო იქ ვიკითხა პაწაი, მემერე ბურსას წეველ. ახლა პირვანდელი მოსული დედე სახლის გაკეთები ხან ქერემუთ (145) ვერ გუუდუბურებია 42 წლის მომკვდარა. მოლა ოსმანაი იმის ძმა მოლა შერიფაი, იმისა ძმა რეჯეფა ალა სამი აქ არიან ყავეჯოღლები, სამიც ყეზელში დამჯდარან აინი ძმები. ექვსი ბიჭი სამი აქა სამი ყეზელში, ჰილმიეს ჩვენ ხისიმებიდან არიან გათხოვილები ჩვენ ყავეჯიოღლებიდან არ არიან ჰილმიეს. იალნიზ (146) სხვაცა ყავეჯიოღლებში ყეზელში დაფანტული არიან.

დედეს რომე ახლა სახლი ვერ გუდუბურია ბაბოს ანაი ოსმანლი ქალი ყოფილა, ძალიან ზოვლი, მცოდნელი იმან მე ბაღვენებს აქაო არ დავტოვო, ბაბოი შვიდი წლისა მოსულა მემლექეთიდან, მემლექეთი რაჰათია, (147) მოიდნენ აქა მემრე ნენემ მე ეს ბაღვებო უნდა ვაკითხოვო, ისკანდერ ეფენდი ისტამბოლ ქალაქში იყო ია, იმასთან წეიყვანა, ის ფადიშაჰის კომისერი იყო, ონდან სონრა იქიდან დეიწყო წეიყვანა ბაღვები, მერე აქეთ იქ წევიდა ჩამაშირი რეცხა ფარა მეიგო, ბაღვები აკითხვა.

ნინო-თქვენი წინაპრები აქ როდის მოვიდნენ?

ჯემალი-1900 ერთ წელიწადს ქალაქში დარჩენილან, მას მემრე ამოვიდენ აქა, ჩვენი მემლექეთიდან გადმოსულები ქალაქში დარჩენილან, ინეგოლში, უთხრობიათ ჩვენ აქ ვერ ვიცოცხლებთ ვერაო, ავადმყოფი ცხრო, ცხრო, ბუზები, მემრე უთხრეს ფადიშაჰს, რომეო ჩვენ სოფელი გვინდა აქ ვერ ვიცოცხლებთ ჩვენ ძროხა უნდა მოვწვათ, წყალი გვინდა ტყე გვინდა. ჰასხა გინდა იქ დაჯექით და მოსულან აქ დაჯდარან. დედეს სახლი ვერ გუდუბურია ისე დარჩენილან.

ნინო-სოფელი სეფერ აღამ დაარსა?

ჯემალი-სეფერ აღა, მოლა შერიფაი და რეჯეფ აღა მათ ეს სოფელი დააწყნარეს. 42 წლისა რომ მოკდა პირველი მეზერი ის არის-სეფერ აღა-ცეცხლამე ყოფილა.

საუბრობს სოფელ დერეჩათის ყოფილი გამგებელი-ოსმან ნური ჯანი. სოფელი მურათბეი იგივე დერეჩათი-“ორი ღელეს მონაყარი”. მას ჩაქველების სოფელს ეძახიან. სოფელი ჰაირიედან 20 წუთის ფეხით სავალ გზაზეა.

ნინო-ვინ დაარსა ეს სოფელი?

ოსმანი-1887- პირველად მოსულ გურჯების სოფელი ჩვენი სოფელია, მაშინ 30 ჰანე(148) მოსულა, ინეგოლეს მაჰმუდიე არის იქაც მისულან. მაშინ ინეგოლ ვიყავით იქ სივრისინეკი ყოფილა არ დამჯდარან. არ მოეწონათ აქ ამოსულან, აქ დამჯდარან. სხვების მეზერები ყოფილა. აქ რომ მოსულან. აქ ორი ღელეა აქ რომ მოსულან აქ მეივე (149) არ ყოფილა, ვაშლი სხალი. გემიებით წამოსულან ისტამბოლს, ისტამბოლ აქ მოსულან. ასი და ოცდაათი ოჯახი გამხდარა აქა, ყანიები პაწაი მოვა. მურათ, ჰასან, ჰაიდარი ძმები მოსულა, მათ აუშენებიათ სოფლები(გულისხმობს სოფლებს-ჰასანფაშა, მურათბეი, ჰაიდარი. მათ სახელებს ატარებენ აღნიშნული სოფლები)აქ მარტო გურჯები ვართ. იაზანჯი არ არის. აბაზები არ სახლდებიან, 40 წლის არის 50 წლის არის. მალე აღარ იქნებიან.

ნინო-ჰაირიეს მსგავსად თქვენგანაც მიდიან სამუშაოდ?

ოსმანი-გერმანიაში ჩვენიდან ბევრი არ არის. რატომ ჰაირიედან არის-თელი ეს სიმიდს სოფელში ღორი უჭამდა შივრები იყვნენ. იქ სიძე (გულისხმობს აჰმედ მელაშვილს, რომელსაც მეუღლე ყავდა ჰაირიედან) იყო იმას ერთი ქანუნი (იგულისხმება თურქეთის მიერ 60-იან წლებში გამოცხადებული ინიციატივა-“სოფლის განვითარების კოპერატივი”, რომლის მეშვეობითაც უამრავი ადამიანი გაიგზავნა გერმანიაში, მათ შორის ჰაირიელები) თაქიფ ეთთი (150) და თელი ჰაირი გერმანიას გააგზავნა.

ნინო-რა გაქვთ ქართული?

ოსმანი-მაღახტო-ჟავიან ლობიო, ნიგოზიანი, აინი, ფხალ ლობიო გავაკეთებთ...ყანიებში ადესა გვაქ შავი ყურძენი. ძველებური აკვანები გვაქ, იქიდან მოსული კაცების გაკეთებულია, მაშინდელი უსტიების (151) აქ გაკეთებულია. ბაღანა რომ დუნიაზე მოვიდოდა ქალის ანეი აკვან გუუწყობდა მუუტანდა, ახლა მობილი არის.

ნინო-აქ გურჯული ყველამ იცის?

ოსმანი-კი, იციან. სოფელში თურქეს არ ვილაპარაკებთ რესმი იდარესი (152) წახვალ მაშინ. ჩვენ დავჯდებით აქა ჰეფ გურჯულად ვილაპარაკებთ. ჩემი ანნე ჰილმიედენ არის, იქ აჭარელი არიან, ჩვენ ჩაქველი ვართ. ჰეირიე მაჭახელია, ლაპარაკი სხვაია. ჰაირიელები უფრო ჰომ (153) ლაპარაკობენ, მესელა ჩვენ საქონელს გუუბიდენ ძველად ბუნდრუხს ვეტყვით, ჰილმიელი უღელს ეტყვიან, აქაურებმა უღელი არ იცის, მე ვიცი.

მურათბეიში გავრცელებულია სიმღერა: -ასრულებს სოფლის მკვიდრი 80 წლის ოსმან ონაძე-თურქილმაზი.

•

“თათრის ნათალი

არ მავიწყდება შემონათვალი,

შენ რომ მომიტანე ჩემი ნათქვამი,

ადექ, წამოდი, ჩემო ლამაზო,

ჩემო ლამაზო! ვერ დაგინახე
გულვეში ზიდვები ვერ მოგინახე,
ძალიან გეხვეწები ვინმე შემინახე
ადექ, წამოდი, ჩემო ლამაზო!
ცეცხლს ბრუნებით გევიარეთ ხიდზე,
ნიშნის სინარო ძელზე გვიხარდა,
ძალიან მიხდება ქემერი წელზე,
ადექ, წამოდი, ჩემო ლამაზო!
ადექ, მოვიართ, დეღე, ბოსტანი
ძალიან მიხდება წვანე ხისტანი,
აგიც არ იყო ჩვენი დესტანი,
ადექ, წამოდი, ჩემო ლამაზო!
ოსმალი მარტინი ავსწიე ხელში,
სევდა ჩიმივიდა ბირ ქერე გულში,
ადექ, წამოდი, ჩემო ლამაზო!

სოფელი ფეწიე

სალიჰა ჰოჯა და სოფლის მოსახლეობა.

•

“ყია ყია ყინდორია,

ყინდორ ზედა მინდორია,

მინდორ ზედა შავი ტყეა,

შავ ტყეში ნადირია

ვინცხა ვერ მიხვდება,

ხვალ იმის სადილია.”

•

“ნაზრია მიადგა კარსა

აღურღურღურებს თავსა

ღმერთო მოგვეც წვიმა წყალი

შიგვინახე სიზამთარი”.

აგერ ამ სოფელში ძველი მემლექეთი, საქართველოდან მოსულა ჟავე ვაშლი. ბათუმიდან მოტანილი ერთი სხალი დარჩა ბარაქაი სხალი სულ ყოველ წელს მისხავს წამალი არ უნდა, ჰიჩ არაფერი არ უნდა, სოფელში ერთია დარჩენილი. საბძელი-ახლა აღარ იყენებენ. სოფელში საქონელი აღარ დარჩა. პურის დათესვა აღარ არის. სოფელში ცხვრები, თხები აღარ დარჩა. ჩვენებური ქორწილი წინ-წინდელი, ემეს ვიტყოდით ჩვენ ოდელიას ვიტყოდენ ჩვენა, რაცხას თურლი თურლი (154) ჩვენებურად. მეიყვანდენ გელინსა ხორუმ იცეკვებდენ, ჩვენებირად რძალსა გელინი თურქქეა. ცხენით მოიყვანდენ. ახლა ბიჭის ახლოს ხისიმებიდან იმათ დუუმახებდენ იმათ რაცხებსა მოთხოვდენ, იქიდან კაცები ხეზე ეიყვანებდენ სუფრას დააკავებინებდენ აქ უნდა ჭამოს. აწვალებდენ. იმფერ რაცხას მოთხოვდენ რომე იმ დროს ის რაცხა რომ არ არი.

ოსმან მისირლიოღლუ-კახიძე-გერმანიაში მცხოვრები ჰაირიელი

ოსმანი- სოფელში ვინმე არ დარჩა თურქეთმა ისა ქნა. ართვინში შავშეთი, ვილაეთებში ილერდე ენ აზი ნილდე მკითხველი კაცები არ ყავთ. ჩვენი სოფლიდან მეტი მკითხველი პროფესორები არიან.

ნინო-ჰაირიედან ვინ არიან?

ოსმანი-ენ დიდი კაცი მეშენ გითხრა სულეიმან ეფენდი, ჰაჯი მემედ ეფენდი, დოხტორები არიან. მესელა ყედენბეგიშვილი ნური ბეგი თურქეთის დიდი დოხტორებიდან არიან გენერლები, ფაშები არიან ჰუსეინ ერგუნი დიდი ფაშა არის. მუჰენდისები, ენჯინრები სოფელში ბევრი ნაკითხი კაცები არიან.

ნინო-რატომ უწოდეს სოფელს “კუჩუქ მოსქოვა”.

ოსმანი-ისინი აქაურებს ქისქანიორლარ(შურთ). იმისთვის ასე დუურქმევიათ ზიჰინ ოლარაქ (გონებით) მოდერნი არიან, სხვამ დაარქვა. აქაურობა მაჭახელია. ჩვენი სოფელის სახელი მაჭახელია. ჰაირიე ქოი მემრე დაარქვეს თურქიე ჰაირიეა. მურათბეი ჩაქვია. ჩვენი სოფელია ამფერი სოფელია ნაკითხი კაცები არიან მიდიან მოდიან რაცხები მოაწვან ჰეპ იენილიქ ახლობა, მოსკოვა გახდენ. ლოცვა კითხვა ყველა მუსლიმანმა უნდა ილოცოს, ამა არ ლოცვილობს კაცი. 8 წლისა ვიყავ არაბებს გავაკეთებდი ხეებით პაწაი ხერხით, ამოვედი ნალია გვექონდა ჩემი გაკეთებული 65-70 სენე ონჯე გაკეთებული არაბა დევენახე და ვაკოცო უნდა. გამჩენელმა ღმერთმა ჩვენ გავვაჩინა უნდა შეგვიბრალოს ია, ეს ჩვენ ხელში მილეთი ამას ვერ ფიშმანობს. მე 204 ლისტე მაქვს გერმანიაში, ავუსტრიაში იქეთ აქეთ. ლისტე მაქვს იმ კაცებმა რომ აქ მოიდენ თეელმა ახალი რაცხეები უნდა მოიდეს, კუჩუქ მოსქოვა იყო ახლა ბუიუქ მოსქოვა უნდა გახდეს. ჩუნქუ ონლარდა იენილიქ ვარ. აქ ახლა პური დათესე, სიმინდი დათესე იმათმა ფუტკარი რაფერ უნდა ის იქნას ძროხას რაფრად უნდა იენილიქ ვარ ონდა. მაშინ აქა დიდი მოსქოვა უნდა გახდეს. ამა იანი ამ თურქიეს ის ელბისე ან ვიწრო მოუვა ან ბოლი მოვა თურქიეს წინ ბოლია იქაურობა ვერ ავსობს ის ყაფა ვერ ავსობს. ეს კითხვიდან წევა. ჩვენი თურქიეში სეჩიმები იქნება ია, აგერ გითხრა ახლა ვიტყვით დენიზ ბაიქალი არ მოვა ჩუნქუ სეჩიმებზე ორი თვე დარჩება მაშინ დუუმახებ რეჯეფ თაი ერდოლანს ვინცა უნდა იმ ამერიკა წევა იქა 10 დღეს იქნება მოვა, ჰემენ მილეთი...ეს იმფერად არის. ეგერ რუსიას რომ ამბობენ რუსიას ვერ უჯობა ასე რატო? უნანისტანი, თურქიე ესენი არის ია, ამერიკა ისთედილი იმას ამბობს. ამა აიდინი (განათლებული) კაცები მემლექეთის წინ იმას ქნა მე ჩემი ჭკუით ეს ვარ. ასე ვიტყვი ამ სოფელში ისე ვიტყვი თელად ვამბობ ასე

პაწია მოსკოვა ამისთვის არის ნაკითხი კაცი მოსკოვას ამსგავსებენ. მოსკოვა დედოფალი არაა. აიღინი კაცები არიან აქ. ჩვენ სოფელში მკითხველი კაცი აღარ მოვა, რატომ იცი? სოფელში დაპაწავდა. აქ რომ მკვდარი იყოს ასაწევი ინსნები აღარ დარჩება, თეელი ალმანას არიან ახლა 20 დღეს უკანა აქ ვინმეს ვერ დეინახავ 2-3 კაცი ჩიტები ძაღლები შიერი რჩებიან აქ ვინ უნდა მოუაროს. სოფელში ვინმე არაა, ვითომ იკითხეს კაცებმა ახლა მე რომ იქიდან მოიდენ დავბერდი იაშლი ვარ რალობა დევისწავლე ამათმა გაკვირდენ უიმე შეიშალა ამ კაცმაო თქვა, არ იცის ბლაცყმა. ლოცვაზე იმაზე წინ-წინ ბევრი ჰოჯიები იყვნენ ახლა არ ალი, ჰილმიე ენ ზინდიქ (ათეისტი) სოფელია ენ გონჯი სოფელი ის არის. ეს ყეზელი არის ზეით. მე ვლოცულობ ვკითხულობ ამა რომ მოვდე იქ იმ საქართველოს ჩემ ძმების ერთად რატომ უნდა დავცხო გოო იქ ჰა ბელქი შარაფს არ ვსვამ ერაცს არ ვსვამ ამა შენისთანა ჩემ დებსამე შვილისამე ჩემი ნენეი, ინსანს ინსნის თვალით უნდა შეხედო გოო. გამჩენელმა ღმერთმა გაგვაჩინა.

ნინო-კომუნისტობსი გამო დაარქვა ზოგმა “ქუჩუქ მოსკოვა”?

ოსმანი-იმისთვის ეუბნებიან კომუნისტობას იშთე, იმათ არ უყვენ ბაზი შეილერი ბოილე იენილეშთილერ. ეს ედისონი დუნია გაანათა ედისონმა, ედისონმა ქნა ეს ლამბა ხო? ამას თუ ჯეჰენემში (ჯოჯოხეთი) წევიდენ მთელმა წევიდეს მაშინ გოო, ამა კი არ ეუბნებიან ჰალა გოო, ედისონი გოო გაანათა და ის ჯეჰენემში უნდა ჩავიდეს დაწვეს ამ ტილიანმა ჯენეტში უნდა წევიდეს. არა ამაზე შევიშლები ამ საქმეზე. ჰილმიეს რომ თქვა რამეს ვერ იტყვი კომუნისტი უნდა თქვა იანი... რუსია კომუნისტი იყო, კარქი არ იყო კომუნისტი ამა ბაშქა ალტერნატივე არ ქონდა.....ამ მილეთმა ესენი არ იცის. ჩვენი ჯუმჰურიეთი ახლა თურქიე. ილგინთერე ქრალიეთ ამა ჯუმჰურიეთ იდარეს იჯება. ამათ ამას ვერ მიახვდინებ, ამას რომ იტყვი ჰილმიეს ქვებ გაყრიან ბევრ. იმისთვის მოსქოვა ხდები აქ. ამა გამჩენელმა ღმერთმა იცის ის უნდა წევიდეს თუ ჩვენ უნდა წევიდეთ არ ვიცი, ამა ასე ვართ თეელი ინსნები მიყვარს. საქონელიც მიყვარს თეელი ყვავილი მიყვარს გამჩენელმა გააკეთა. იმათმა ისინი არ იციან.

ნინო-ჰაირიეზე კიდევ რა შეგიძლიათ რომ მითხრათ?

ოსმანი-ყიზილს ქვია ჰამიდიე, მესელა ფაზარალანი საადეთ ქოი, ჰილმიენინ ადი ჰილმიე. სოფლებს ასე გუდუურქევს გოო. ჰასანფაშა ჩვენებურია გურჯი ჰაიდარ ბეი გურჯი მურათბეი ჰასანფაშა სამი ძმა არიან. ესენი სამი ძმა მოსულან. ერთი ჰასანფაშა დუურქმევია, ერთსაც მურათბეი-ჩაქვი, ჰაიდარბეი გემლიქში არი. ესენი ძმები რომ მოვიდნენ იქაური სახელი ჩაქვი-იქაურია. ჩვენ მაჭახელი ვართ. ჰაირიე ჰუკუმეთმა დაარქვა ჯუმჰურიეთ იდარესი ისიმლერ დეიშთი. ჩვენი სოფელი თლად მაჭახელიდან მოსული ინსნები არიან, სხვა იერიდან მოსულებიც არიან. მაჭახელი ბაღლიდირ დაბმულ იქაურობა ზათენ აქეთ 6 სოფელია გოო, ევფრატი, კრია, ქვაბისტავი, ზედვაკე მინდიეთი, ხერთვისი ბორჩხაში. გარიგებულან ასე დარჩენილან. რა ვიცი მე სახელი გამოცვლა გამოცვლის რუსიც გამოცვლავს საქართველოს გამოცვლის სახელს. ეს დიდი არალი ამა ჩემი სოფელი მაჭახელია ბუნუ სილმეზ. ამა თურქიე იდარე ათა-თურქი ვე ისმეთ ფაშა. ახლა აქ ჩვენ სოფელში ერთი კითხვა არ ვიცი კარქად თუ არა მკითხველები არიან აქა, არიან არქადაშები მყავს მე დევისწავლიდი, ამა ის არალი თურქეთში დემოქრასი. ისმეთ ფაშა ათა-თურქი ერთი კაცი უნდა იყოს დიდი. პუტინი, სტალინი, ლენინი. ისმეთ ფაშა ათათურქზე უფრო დიდი კაცი იყო, ამა ისმეთ ფაშა თათურქი ამათ არ უყვარან. ლენინი რამეს ვერ იტყვი ეშინიან ათა-თურქის ეშინიან ამ ზინდიქებს. ჯუმჰურიეთი არ ენდობიან გოო, ჯუმჰურიეთი ისთემიორლარ. ესქი ფადიშაჰლარ იანი ავგანისტან გიბი წვერი უნდა გუუშვა...ტრამვაი არ იყო, თრენი არ იყო მაშინ ისე იყო, ახლა ამერიკას მოსკოვას ფეხით წევა ვირით, ცხენით არაბაზე არ დეიჯდომება. ლამბა, რადიო, თელევიზიონ გიაური გახდები. თურქიეს დურუმი ესა არის. თურქიეში ვინმე არ გეტყვის ამას.

ნინო-ქართულ სოფლებში ასე?

ოსმანი-ჰილმიეში ასეა. გოო, მე დოხტორი მეუბნება დღეში ორი ბარდაქი წყალი უნდა სვა მეუბნება მე ბევრი წამლები ავად ვარ. ამა რემეზანს ვიკავებ. ჰაპი უნდა გადავყლაპო ჰაპი თუ გადავყლაპე ახლა იქ უი ეს რემეზანს არ იკავებს, აქ რამეს არ გეტყვის ამა ჰილმიეს ვიყო-შერცხევს ამის ხელა კაცი. ავად თუ ხარ არ დეიკავოო ამბობს გოო, ქითაბი წერავს იმ ბლავყმა არ იცის გოო-გამჩენელ ღმერთს უთქვია შენ თუ ავად ხარ ვერ

იტან, მეო საღლაში მინდა საღლაში ვუჯუთი მინდა, შენ საღლაში იყავ რომ ინსნებს დეებმარეო. ეს ბლაყვი კი...

ახლა აღმანიაში იმფერ იერზე ვსაქმობ, რომ დუნიანინ ენ დიდი სილაჰის ფაბრიკაში ვარ. დიდ ლოპარდ ტანკებს ვაკეთებთ, ცხელია 700-800 დერეჯე პრესი ფურუნები, ოჯაქები არი იმფერი იმის შუაზე ვსაქმობ მე. ჩემ ერთად თურქი საქმობს იანი, იქ კაცი ერთ შთააგდებს წყალზე გარბის გოო, ორი ჭიქა მოკვდება გოო, არ აგდებს. კაცი მოკვდება კვდება ინანმიშ იდეოლოჟი ბოილე ინანმიშ. გამჩენელი ღმერთი ჭოო ახლა ნუ იკავებ ნუ ილოცებ ახლა ამ სიცხეში სახლში მიდი და იქ ილოცე ავად თუ ხარ არ დეიკავო. დიანეთმა დიდმა თქვა რომ დღეში 5 ლირა მიეცი ერთ ინსანის განსაზღვრული ფარა მიეცი. თუ ვერ იკავებ ამ ბლაყვმა არ იცის ესენი გოო. ახლა ჩვენი თურქიეს იდარეები ეს მილეთი რომ ბლაყვი არიან უყურებენ ვირი ბევრია მე ვირი არ უნდა გავხდეო, შეჯდომა უნდა დევისწავლოო. ესენი შემჯდარი არიან იმათზე...დამჯდარი არიან მილეთზე გოო, აბლაყუნებენ. საქართველოში უკითხველი ინსანი არალი, აქ სოფელში მკითხველი კაცები არიან. აღმანიაში იტყვიან რომ 200 წელიწადი უკან ვართ, მე 40 წელიწადია იქ ვარ. თურქიე რომ აღმანიას რომ დეეწიოს 300 არ ეყოფა. იმ აღმანიის პარლამენტი რო მოიდეს ჩვენმა პარლამენტერლებმა იქ წევიდნენ ის გერმანია უკან წევა...წამხდარია. იმ მეფეს აართვამს მილეთს აჭამს ფარა მაქვსო ამბობს იქ სესხულობს და ჭამს 550 მილიარდ დოლარ თურქიეს ბორჯი(ვალი) აქვს გოო. ამას ვინმე ვინმეს ფარას არ ასესხებს არ აჩუქებს ასე . ასე არ იქმენ. ამა ჩვენი მილეთი ესენი არ იცის ჰირ.

ნინო-ყველაზე თანამედროვე და განვითარებული ჰაირია?

ოსმანი-10, 20 წელიწადი ჩვენი ჯენერასიონი წევიდა უჩუნჯუ ჯენერასიონი მოვიდენ. ჩემი სახლი რომ ახლა არ ვიყო დეფრემი იცი? დეფრემმა წეიქცოს მინდა ჩემი სახლი წეიქცეს. იქ ნაჭირით გავაკეთებთ ლამაზად არ გემეკეთა წავიდა, სახლში შემოსვლა არ მინდა ჰირ არ მიყვარს გამძულდა იმფრად. ... არ ჩემი ბიჭები არ მოვლენ აქ. გერმანიიდან 30, 40, სენე არ მოვლენ. ფიშმან ვარ გაკეთებაზე იმისა რამეს არ ვიჯები რომ მინდა იმფრად არალი.

ნინო-თქვენი შვილები არ დაბრუნდებიან?

ოსმანი-არა ჩემი ბაღანა რომ მოვიდეს ისტამბოლში დადგება. ვფიქრობ აქაურობა გავყიდო და წვევიდე მეთქი სხვაგან. ბელქი საქართველოს მოვალ. შენ ახლა გედი სოფელში სახლები არის ნაჭრიანი ფულიანი ინსნები არიან თეელი დანგრეული ქერფიჩის სახლები არ შევლენ უყურებენ უფრო კარგები უნდა გაკეთდეს რომ მოვლენ გააკეთებენ. მე ისტამბოლში სახლში გავაკეთე 4 ქათლი აგერ 30-35 წელიწადის წინ არც ქილითები არ მომწონს არც ელექტრიკა ტექნიკე არ იყო ასე.... ჯერ რუსია არ დემინახია რუსია მე არ ვიცი თაბიი, ამა ჭკუით კითხულობით თეელი რუსია ალმანიას ვერ მოდიან. რუსია სადეჯე სავაშის ჰარბის უჩალის ტანკის ასკერი ყავს. რუსიამ ტარაზი გადაასხა იტყვიან. ტარასი გადაასხა დემექ, ერთი საქმე დეიწყო ერთმა კაცმა. ქართული სიტყვა იქიდან მოსულა. ტარაი იცი? ჯილღას რომ დეიკავებ ხარებს გაარუნებ ერთმა ხარმა თუ ტარაზი გადაასხა ის ხარი გუუში. წახდა საქმე. რუსი საქმე ტარაზი გადაასხა რუსმა იცი. ჩერნობილი რომ იქნა მაშინ. 45 ათასი ავადმყოფი ისინი ალმანიას ფრანსას იქეთ აქეთ გეგზავნეს, ჰასთანები არ ქონებიან მაშინ აფფედერსინიზ ტრაკი გამოუჩინდა მაშინ რუსიას. მაშინ მივხვდი, ასქერი ქონდა იმდონი ჰასთანე არ ქონდა. ალმანიას ბევრი ფარა აართვა ელცინმა. ბევრი ფარა აართვეს გორბაჩოვიც იყო. გორბაჩოვიც და შავარდნაძეც. ალმანიას ბევრი ფარა აართვეს. გედეერიდან. ერთი თურქიე ქურულდუ. იმდენი ფარა აართვა. იანი მილიონი მილიარდი დოლარი არა, ტრილიონი დოლარი აართვა. ალმანიამ იყიდა. მისი იერები მან იყიდა. შევარდნაძემ და გორბაჩოვმა აართვეს რუსმა ჩეიდო ჯიბეში. შევარდნაძე იქაური დიშ იშლერი ბაქანი იყო, გორბაჩოვი დიდი იყო. შევარდნაძე რუსეთში დიდი კაცი იყო, მაგრამ ასიმილა გახდენ, აქეთ გმოვიდა ჩვენი პრეზიდენტი გახდა ამა ჩვენებსაც არ მოწონდეს ის, გმოვიდა ბელქი უჭამია რაცხა არ ვიცი. ამა მე კი მიყვარს იქაური, შევარდნაძე თეელი მიყვარან ისინი. გამსახურდიაც მიყვარდა, თეელი მიყვარს მე. იქაური ენ ბლავიცი მიყვარს და ჭკვიანიც. იმფრად იმის წინ აქაურობა სახლები კაია ფალან იქ ახლა 205 თანე კაცი არი 200 და ხუტი გერმანიაში. 200 კაცი აქ მოვიდეს შვილები ყავან. ეს სახლი ინშალაჰ ბევრ მოხვალ აქაურობა ჩეჰრესი (სახე) დელიშირ. ახლა აქ ვინმე არალი თეელი წვევიდე ისტანბულ ყასაბაში წვევიდენ. იქ

ქალორიფერი არი ყოველიფერი არი. ბურსას მივა კაცი ისტამბულში მივა. ზამთარში აქ რაქნას, ნაცრის სუნი შიშა...

ბაბაი რომ მომიკვდა ჩვენ დევიფანტეთ 4 ძმა. ერთმა ისტამბოლ წევიდა, მეც აქ ინეგოლში ვიყავი მკერველი. თურქიეს ენ დიდი ტექსტილის ფირმა იყო “ვაკო”. იქაურში ვიყავი. იმ 700 და 40 ინსნის ერთად. ქალები, გოგოები გენჯები. იქ იმათი თემსილჯი(წარმომადგენელი) ვიყავ მე. იანი სენდიქა. 4 წელიწადი იქ ვიყავ არ გამომიშვეს იქიდან...დემირელის დროზე ერთ გავარდა სალ სოლ ერთამენტოს გლეჯენ. მე წეველი გერმანიაში ჩემი არქადაშები მომიკლეს ბევრი, დეიკარგენ. მე სოლჯი ვარ. ისმეთ ინონემ თქვა რომ Cumhuriyet halk partisi ბაიქალის ფართი ამა იმან წევიდა ბაიქალი ბელქი ბაშქა დუშუნუიორ, ამა ის არის არის cumhuriyet halk partisi ortanın solundadır. Halkının yanındadır, komünizm karşıdır. Komünizm iyi bir idare değildir, mecbur kalırsan კომუნისტი გახდები დემოქრათიქ კარქი რაცხა არის. ის უნდა. ჰალქინ 70, 80, 90 % ფაქირდირ. სალ იიდირ...ნორმალ ამა შენ საქმობშენ გიჭამს კაცი და დინდარ. რაფრად იცი რჯულით მოგკლავს შენ. ჰემ სოლი თუ ხარ სოლი სწორი უნდა დეილაპარაკო. ახლა მე რაფრად ვამბობ მე მშიერი ვარ ბაღნები ფეხშიშველები იარებიან სარამოზე ფქვილ არ მაქვს არ მომიხდება, ჰაცხა ვარ ის უნდა თქვა ისმეთ ფაშა ის ამბობდა თურქიენინ 80% ფაქირ. მე რომ მოვალ იქთიდარი (ძალაუფლება) გავხდებიო ქალაინმაქ ჩემი ქალქინმაქ ამქენ უნდა დევეხმაროო. ამის თაბანი (საფუძველი) დიდი უნდა ვქნაო. ისთერ 5 ქათი დადგი ზეიდან სახლის თავანი ისთერ 20 ქათი. კომუნისტია ინონი, კომუნისტია რადიო, თეელი ამას აქვს ახსენებენ. ასე თუ ფიშმანობს აქ თლად ჰალქ ფართი ისმეთ ფაშა. ჰაკვაია. ისინი არქმენ კომუნისტიაო. ახლა შენმა ბაბას ბაბამ იმდონი ყანა ბაღჩა გიგიშვა რომე შენ გიგიშვა ამ თემელზე ვინაა დედეა დელილ მი? ამ დედეს კომინისტ ეტყვი. თურქიეს თემელის ქვეშ ისმეთ ინონი. ათა-თურქი არის. კომუნისტიაო ზენგინები ასე ამბობენ ამ მემლექეთს იმისთვინ ჩვენი სოფელი ჰაკვაია. ქუჩუქ მოსქოვა საქინ ესენი არ დაგავიწყდეს. ესენი იცოდე. მისირლიოლლუმ ასე გამაგნებინაო ამას ვინმე არ გაგაგნებინებს.....კომუნისტობა რა არის ვიცით? მე საქართველოს მოვსულიყავ ჩემი ხისიმები მყავს ვერ მოველი, ამბობენ რომ მეიპარვნენო საცხა ფურნეში საქმობს კაცი ჰირსიზობა ბევრი იყო. კომუნისტობის დროს ბევრი იყო, რატომ გარიგდა საქართველო,

უკრაინამ რატომ გარიგდა ესტონია, აზერბაიჯანი. რატომ გარიგდა მესელა სიმლია რომ ქნა. ახლა რუსმა პაწაი გაიპუმპლა ია, ახლა კიდე უნდა მოვიდეს ერთადო ხედავ? ესენი ამათ არ იციან. ყოველდღე გეზეთს ვიკითხავ რადიოს...

ჩვენი სოფელი ქუჩუქ მოსქოვა ამიდან არის. ინენონუმ რა თქვა იცი? მე მაშინ გენჯი ვიყავი პაწაი 17 ამა ფართიში ვიყავ, ემ ფართის ბაშქანი ვიყავ, ერთი იარდიმჯი მყავს.....

ნინო-რატომ იყვნენ აქაური ქართველები მემარცხენეები?

ოსმანი-ამ თურქიეში გურჯები ნაკითხი ინსნები არიან. შევშეთი გითხრა შენ იქა მარცხენები არიან. თურქიეში ენ დიდი ნაკითხი ინეგოლი პაწაი, ბურსა ილჩესი, შავშეთ ილჩესი. ამა შავშეთი ნაკითხი. კითხულობენ კაცს 2-3 ბაღანა ყავს ერთმა უნდა იკითხოს რომ გადაარჩინოს აკითხიებს მოკვდება აკითხიებს. იმ ბაღანამ რომ იკითხავს მოვა სოფელში დელიშიქ ოლუიორ ვე ქოი გელიშიორ. ენ კარქი თურქიეში შავშეთია....ბურსანინ ენ ნაკითხი სოფელი ჩვენი სოფელია ჰიჩ არალი ამდენი ნაკითხი სოფელი. თაბი კომუნისტი ხდება. მიხდი?

ნინო-ვინ დაარსა ჰაირიე?

ოსმანი-ჰაჯი მეჰმედ ეფენდი-ყოჩალოღლი იყო ჩვენი სოფლის კურჯუსუ (155) ჰაჯი მეჰმედ ეფენდი ორი ბიჭი ყავს, მარტო ჰაჯი მეჰმედ ეფენდის დადგმული არ ალი ეს სოფელი, სახელებს ვერ გეტყვი, ესენი იყვნენ სარაჯუ ოსმან ადას ბაბაი ჰუსეინ ადა, ესენი ხინკილაძე არიან ჰაჯი მეჰმედ ეფენდი ეს სოფელის გამგე ინსნები არიან. 1876-78 მოსულან. ჩვენ სოფელში ხინკილაძე ბევრია, მალაყმაძე ბევრია, მემრე გურგენიძე ბევრია, გორაძეები არიან, ჩვენ კახიძეები ვართ, ბასილაძეები ბევრნი არიან, კირკიტაძეები, ქოქოლაძეები, ისმინოღლებს ეუბნებიან...ლეკურიძეები არიან, იაკობაშვილიები არიან. შავშიდანაც არიან ყედენბეგიშვილებს ეუბნებიან, ჯინჭარაძეს ამბობენ. ჩვენი ადგილი თლად იქით არი აქაც რაცხა მისიროღლები არიან კახიძეები. ნენეს კუთხეს, სინორი რომ გახდილა, ნახევარი ამკენ დარჩენილა ძმებს უთქვიათ მამაო ჩვენი აბლაც (156) მევიყვანოთო, ადგილი მოუცემიათ ჩვენ მისიროღლის ადგილი ჩვენი არალი, ჩემი დედები ახლა ჩუკუნეთში არიან, დამპატიჯეს ამ ავერ წეველი, გერმანიაში ვარ მე. ეგე

საქართველომ თუ დეიხველა ჩვენ მივხვდებით, მიხვდი? ჩვენი სული იქ არი ახლა მე იქაურობა არ დიმიწახია ჩემმე ძმებმა დეინახეს, მე რომ ახლა იქ მივიდე ჩვენი ადგილ სახლს მივაგნებ. სიზმარში ცალკე ღმერთი მანახიებს, იმფრად მიყვარს იმფრად. გამჩენელმა ღმერთმა ეს საქართველო მართლა გაახაროს. ჰაჯი მეჰმედ ეფენდი ყოჩაოღლები არიან, ახალ სოფელში ასი წლის კაცები არიან ამა არ იციან ესენი, ჩემი დიდვანებიდან მე პაწობაში იმფერი ვიყავი, ჩემი ჰობი იყო, ესენი დევისწავლე იმათიდან. ერთი ფაიქ ბეი იყო ერთი ქითაბი დაწერა, ახლა ამ სოფელში ვინ ვისი ხისიმია, ამ სოფელში რაქნენა ვის რაუქნევია, კარგ შეის ვამბობ ცუდ შეის არ ვამბობ. ბევრი ინეგოლშია, ბურსას არია, გერმანიას არი. ინეგოლის ენ ზენგინი სოფელი აქაურობაა. “ქუჩუქ მოსკოვა” რატომ ამბობენ იცი? აგერ გითხრა კისგანგიჩთან (შურიანობის გამო) იჩინ .ზენგინები კითხულობენ, ფუხარები ვერ იკითხავს, ეს ბლაცვი მილეთი (თურქებზე ამბობს) კი ფარას აძლევს, ეს დევლეთიც დევლეთის თავში რომ კაცია ისიც çanak tutuyor (უსიამოვნებებში ხვევს) ხალხს. ქრედი ქარდი რათქმა არის, ახლა მილეთი გარყვნილია, წრიპინობენ და მიწას უყიდიან, სახლ უყიდიან, დიდმა იცის ჭო. ეს თურქეთის geleceği kötü (მომავალი ცუდია)ეს კაცი უნდა ჩამოაგდონ.

ნინო-ხომ იყო რამოდენიმე გადატრიალება თურქეთში.

ოსმანი-კიდო იქნება, ეს კაცი სეჩიმით (არჩევნების გზით) არ წავა. ეკონომიკა სუსტია. მშიერი კაცი არ ისაქმებს, ფარა რომ არ მისცე, ხვალ ან ზეგ პურ ვერ აიღებს ეს ინსანი.

ჩვენი სოფელი აქ ჩვენ ყანაში დავთესავდით ხახვი, პური, სიმინდი, თელი მოვა, ცხვარი, ძროხები გყავდა, იმათ ნაწველს ვჭამდით. ჭადს ვჭამდით, პურ შევიწახავთ იმიტვინ ბორეჯი (157), ხაჭაპური, ქათბერი. ახლა ქასაბიდან იღებენ, იქიდან ჭამენ, სოფელში ერთი კვერცხი არალი, ძროხა არალი, ქათამი არალი, ხარი არალი. თურქეთი ონ ალთი მილლიონ ტონ (16მილიონ ტონა) ფქვილს ჭამს. თუ უნდა 16 მილიონ ტონ ფქვილ გაყიდავს. ამა თურქიე სექიზ (8) მილიონ ტონ ყიდულობს ამერიკადან, ფრანსიადან... იმფრად გაათემბლეს (გააზარმაცეს) ინსნები (ადამიანები) არ უნდა დათესო, ამერიკა ეუბნება. აქ ჰიჩ რამე არ არის. ყანაში არაფერს არ ვიღებთ. თერზი (მკერავი) არ არის, მოკვდნენ, გამკეთებელი კაციც არალი. სახლების გაკეთება მოკვდა. 15

მილიონ იმსიზ (უმუშევარი) ინსანია თურქეთში, fabrikalar kapatıyor (იხურება ფაბრიკები). ეს ბლავვი კიდე ამბობს ამას უნდა მივცეო ხმაო, დარჩეს შიერი.

გერმანიაში ჰაირიელი ბევრია. ახლა აქ ინსანი რომ მოკვდეს ასაწევი კაცები არალიან. 204 კაცია ჩვენი სოფლიდან გერმანიაში. იქ გურჯობას არ ვკარგავთ. თქვენებურად ბევრ გურჯულს ვერ ვიტყვით ამა იქ რომ თქვენ დეიხველოთ, ჩვენ აქ გევიგებთ .

საუბრობს ნერიმან ჰაზითოღლი-

ნინო-თქვენი წინაპრები პირველად რომ მოვიდნენ მადენში დასახლდნენ?

ნერიმანი-იქიდან რომ მოვიდენ, მადენში მოსულან, იქ მომკვდარან დიდვანი დედები, აქაურება მეიარენ აქედან თექრარ წასულან სამ თვე უვლიან, მისულან თექრარ მოვიდენ, ჰაჯიყარა აქ დამჯდარან იმათაც უუწევიან გუუგზავნიან, ახლა ჰაჯიყარას არიან, დუშმან. დიდვანები 150 სენე ისინი 50-60-40იაშინდა მოვიდენ, წევიდენ მოკვდენ. სარფინი-ასე კარი აქვს ორი კარი სიმინდის ფქვილი, ყველია იალი-ამბარში ინახავდენ. ჰაირიე ლამაზი სოფელია, ამა ვინმე არალი, აღმანჯას არიან, მე მარტო ვარ მთელ ზამთარ. დიდვანები საქმობენ და მიდიან.

ისმაილ უიგურ მელეგაშვილი-მელეგოღლი. ჰაფიზია ყურანის კარგი მცოდნე, მარხვის დროს არაბულად კითხულობს ყურანს. იცის შელოცვებიც,(nazar duyası) ცუდი თვალის მოსაშორებლად.

130 sene olmuş biz Gürcüstan`dan geldik- (158)გურჯი ადეთები გედეირეცხა, ამა არის კილო. ბერებმა იციან. ბავშვებმა არ იციან ჩვენებური. წინ-წინ გურჯი ადეთები ბაბასთან და ბაღანას ვერ ავწევთ, შეგრცხვება, სუფრაზე ენ წინ დიდვანი უნდა დაჯდეს პაწაი არ დაჯდება. ბაბასთან ძუძუს ვერ აჭმევ ბაღანას, ენ წინ დიდვანი უნდა შოვდეს. დიდვანი თუ შამოვდა ქალებმა ადგომდა, ახლა აღარალი.

ჰაირიე-ესმერ ერგუნი, რუქიე ერგუნი, მელექ ერგუნი, ნურეთინ ბაშარი-ხინკილაძე- (ყვება ისტორიას სოფელ ჰაირიეზე) კატრიე ილდიზ, ერგუნი.

ესმერი-ქორწილები უწინ, ქალები აირი სახლში ისაქმებდენ, კაცები კალოებზე, ახლა ქალი კაცი გადარეულია. წინ-წინ ვიტყოდით ეს ხალხი ჯინგინები (159) არიანო ვიტყოდით, იარებიან ასე, ახლა ჩვენც ჯინგინები გავხდით. აღარც სირცხვილია და აღარც არაფერი. ახლა მკლავი ჩანს, გული და ყველაი კუთხე ჩანს, გელინები ასე გახდენ.

რუქიე-მე მაქვს სახლში ოჯაქი, ახლანდელ სახლებში არ აკეთებენ. ოჯაქებში გავაკეთებდით საჭმელს, ჭადს გამოვაცხოვდით კეცზე. ფურუნი კალოზეა, პურებს ვაცხოვობთ. გურჯები ბევრ პურ ჭამენ, ჭადი პაწაი იციან. ჩვენ ოჯაქიც გვაქ ფურუნიც გვაქ. წინ წინ კუდიანებს ექნებოდენ, რამდენიმე წლის უკან ჩვენც გავაკეთეთ. ყათმერი ქართველების საჭმელია, დილას ჩაისთან სალამოს ჩაისთან. მრგვალ მრგვალი...რძით მოზელილი სოდაზე, პურის სოდაზე მარილი უნდა დუურთო, ორი სამი კვერცხით მოზილო უნდა, მრგვალ მრგვალი უნდა დააწყო, შუაზე კაკალი უნდა მათყარო, ერთმანეთზე უნდა დაადვა ქენარებიდან შუუკაკვო. ლამაზი გამოჩენა ქონდეს ზეიდანაც კვერცხი უნდა მოუსვალო ლამაზად.

ერგუნების ოჯახი-ჰაირი

ნურეთინი-ჩვენები რომ მოსულან ჩემი დედეი ყადი (160) ყოფილა, იქიდან მოსულან. აქაც აინი ხინკილაძე ორთა მაჰალე ჩვენ თელი ხინკილაძეა. შვიდი ძმა ჩვენ ონლარინ თორუნლარიიზ. მისულან ჩვენები ჩვენი იერი ყოფილა იქ. ჩვენ მაჭახელი ვართ. ართვინიდან მაჭახელი ჩანს. ნენეი ლაპარაკობს გურჯისტანში ფაქირი ინსანლარი იყო დიორ. ne zaman 93 te Hıristiyanlığı kabul eden orda kalmış Müslümanlığı şey yapan bu tarafa gelmiş o zaman altmış tane (93-ში ვინც ქრისტიანობა მიიღო იქ დარჩა, ვინც მუსლიმანი იყო, 60 ოჯახი, ამ მხარეს წამოსულა) გემი ორდუს მოვიდენ და თურქეთის სხვა მხარეს წასულან. ადანას სოფელია თელი ჩვენებური. თურქეთის ჰერ თარაფინდა არიან. მერე ქასაბას მოსულა, ამა იქ ბევრი ქოლოები ყიფილან

ნურეთინი-დედეის სიკალეთი ბათუმში აინია, ვაკიელები აინი, ჯამბაზ მაჰალესი ბათუმში აინი, აქაც აინი, თელი იქ რაფერია აქაც თელი ასეა. თელი ბადიშები იქ არიან აღმანას, ორ ჰაფთას დარჩებიან, წევან, დუგუნებია (161) იქნება მაშინაც, დუგუნები დეილია იმათმაც დეილია.

ნინო-ქორწილები არის სოფელში?

ნურეთინი-ბევრი არალი, ორ თვეზე თელი დეილევა ქორწილები.

ნინო-სოფელშია თუ ქალაქის სალონებში?

ნურეთინი-აქზე იქნება, ქასაბაშიც იჯებიან. თელი გურჯულია, სიმღერებია გურჯულია.

მელექი-თურქეთზე უფრო კარგ საჭმელს ვჭამთ, დუნიაში ენ ლამაზი, ენ მაღალი, ენ კარგი, ენ საღლიქლი ინსნები ვართ. კარგი საჭმელები გვაქვს, კარგი ინსნები ვართ. სისხლი რომ ქართული გვაქვს არ შეგვეშლება. ზოგი იმდონი ინსნები გევიგონე რომენე გურჯობა ცხვენია, თელი ვუთხარი-იცით თუ გურჯები რაფერ ინსნები არიან? რაფერი რას ჭამენ, რას სვენ, ამ დუნიაში ენ ლამაზი, ბევრ ცოცხლობენ. კიდე იმთე ვუთხარი გუუკვირდენ, გგურჯი ვართო ცხვენოდენ არ ამბობენ, მეწყინა. შვილებს უნდა დაასწავლოთ. მანქანაში ჯდომამი ერთი კაცი გევიცანი, გურჯი ხარვო? ხო მეთქი შენ მეთქი? თურქულია მეუბნება, იმთე ამ სოფლიდან ვარო, გურჯუჯე ენა იცი მეთქი? მევო არ დამასწავლესო მეო. ეს დიდი სირცხვილია.

კატრიე-გერმანიაშიც არიან არ ვიცითო ჩვენ ქართულიო. რაისთვის არ უნდა იცოდე მეთქი ქართულიო? რაისთვის არ უნდა იცოდე მეთქი დიდი კაცი გამხდარ ხარ მეთქი? ჩემმა შვილიშვილებმა იციან ქართული. ჩემი გოგო გერმანიაში მექთებში კითხულობს. იმის მეზობელმა მითხრა, რომენე ერთი შენ რაცხა უნდა გკითხოვო, შენი გოგოს აღმანჯა დაჰა ლამაზიაო, ლამაზად ლაპარაკობსო, რაისთვისო თქვენ სახლში ისე ლაპარაკობთ თლადო გერმანულიაო? არა მეთქი, ამან მეთქი ჰემენ მივხვდი, ჩემ გოგომ ქართველი იცის გეორგიშე, გეორგიშე შპრახე იცის მეთქი, ვოო, ახლა მივხვდი ახლაო. ჩემ ბადიშებმაც იციან, ჩვენ თელმა ვლაპარაკობთ ქართულად. ჩემ ბაბას დედეს გვარი კირნათელი იყო, ნენეი ჩემი აფხაზაა. ჩემი დიდი ნენე ყეზენბეგი. ახლა ხინკილაძე ვართ. ართვინში სოფელი ყოფილა დიდვანი კაცები, კარგ მცხოვრები კაცებისა, ართვინში ყოფილა სოფელი და იმ სულალიდან მოსულა. ვინცხა გურჯულს არ სწავლობს იმათ ვარცხვენთ. ჩვენ კარგი ინსნები ვართ, კუდიანებში გედეერივნენ. წინ წინ არ იყო.

ყოფილი პოლიციელი, ამჟამად პენსიონერი, 64 წლის საბაკათინ ბაშთურქი-ვახტანგიძე.

ნინო-რა იცით თურქეთში მუჰაჯირების ისტორიაზე ?

საბაჰათინი-ჩვენ მე ჩემს დედასი ბაბუა, სტამბოლში ფადიმაჰთან სარაიში ყოფილა დეპუტატი, იუზბაში. წელი 1877-ში. იმ იუზბაშის დედეს ფადიმაჰთან რაცხა დეილაპარაკეს ყველაფერი თუ არ იცის, პაწაებმა იცის. დედეს ინეგოლის თავჯდომართან ვინცლა იჯდა პაწაი რაცხა იცის ხომ? იქ რაც იყო ბოლშევიკობანა აქ მოიდეს, 20 30 წლის დეინახეს წინაი. იგინი დიდ ბაბუას ჩემ ოჯახმა აქ ჩამოიდეს სტამბოლში, ოჯალი გევიდა 20 დღე ზღვადან სტამბოლს გემმა მიადგა, მაშინდელ სალდათებმა, ჩვენ იუზბაში აჰმედასი კალმი ვართ ფადიმაჰის სარაიში, ჰებერ ევიდა იუზბაში ჩამოვიდა ქი, მისი ოჯალიდან სხვა 19 კამლი, სახლი, მე ოჯალ ვეტყვი, ქალი, ბავშვი, რატომ ჩამოხვედით თქვენაო. დელიავ, დელიას ეტყოდენ სოფელში მის სოფელში. დელია შენ ცოლშვილ დუუძახებ ჩამეყვან, ჩვენ წამივედითო. რაქნას სოფლიდან 20 ოჯალია. ინეგოლის თავჯდომარეს ფადიმაჰობის დროში ქვიოდა იმას ყარაყადი, იმ ყარაყადის მაშინდელ რაი დეილაპარაკებოდა ვერ მიხვდებოდი, აქ მისცა ჰებერი, სტამბოლში ასე დემემართა, რაცხა მიშველე გამოგზავნე მუდანიაში, ისტამბოლი და მუდანია ახლოს არი, ის 20 მოსახლე ზღვაით მუდანიას გამოგზავნა. ინეგოლის პირველი ქართველის ოჯალი ისინი მოდიან. იმაზე წინ მომსვლელი ყადია მარტოა აგერ აქა ინეგოლის ყადი, სხვა არვინ არ არი. ადამინები ამდგარან მოსულან ყადით, ჩვენ სალდათი მოგვეცი წევიდეთ ტბისკენ, წყალი, ვაკე ვნახეთ იქ დავჯდეთ, ევიდენ, ევიდენ ბაჰჩაქაიას. ეს ყარაყადი თავდგირიძეა. მე შუახევი სოფელი გუგამიები ვახტანგიძე გვარი მაქ. ინეგოლში სოფელი ქარაჯაქაია 10 მოსახლეა. სოფ. გუნეიქესთანე თავჯდომრობა ქართველმა ქნა სულ ცოტა 30 წელი დავითაძემ. სოფ. ბაჰარიე 5 მოსახლე ქართველია. ჩვენ აქ თურქეთში ჩამოსულნი ვართ ოსმანლი დროში 150 წელი ხდება.

აჭარელი კაცი ჩამოვიდა ჩემთან სტუმარი 1941წელს, დიდი ზამთარ იყო, ვლაპარაკობთ, ისიც გვებლაყუნება ჩვენაც ვებლაყუნებით. ის ლენინ და სტალინ ღმერთს ხდის. ლენინი ჩემ ტვინ არ უყვარს, რატომე? ქართველი ბევრი მოკლეს, რატომ უნდა მიყვარდეს? იმას შიშისგან უყვარს, სოციალისტობა იყო. ჭაჭა დავალევიე, დიდი თოვლია, ცივა. თურქეთში ჰოჯიობის სკოლა დამთავრებული მაქ. დავლიე ჭაჭა, იმას

უფრო მეტი დავალებინე, მივიყვანე სახლში, დეიწყო გინება თქვენ ათათურქს, და ლენინს და სტალინს. ცოლ ვუთხარ რო, ჩვენთან ქალები ცოტა სტუმარ კაცთან ორი ფეხი უკან დარჩა, გეიგე? ცოლ ვუთხარი, გათენება მოდის, სტუმარ მოვიყვანე ვინცხაი, თათრულად ვუთხარი, ხელ-პირ დასაბანი, ჩვენ ლავობას ვეტყვით, იქ შედი და ცივი წყალი გააღე, აადულე. ძიავ ჩემ ოჯახში ხარ მეთქი, მე რა მჭირსო? არაფერი, ვჭამეთ ვსვით, პაწაი შეგცივდა დაბუჟდი მეთქი, ახლა გაგათბობ. თითო პაპიროსი დავლიეთ, თითო კიდო დავლიეთ... (გამომართვევინა დიქტაფონი) ჩვენ ათა-თურქს შააგინე, სტალინს, ლენინს შააგინე, მე თურქეთის მითი ვარ, უნდა ვუთხრა. კაცმა თვალეზი გაახილია, რა ვქენიო? ასე ასე გვიგინეო, ისე ვეშაქავები(გამასხარავება) ახლა მე სტალინი და ლენინი უნდა დიმიქოს. მე რუსი არ მიყვარს ბევრი ქართველი დეკლა. რამდენი ქართველი ბიჭი დეიკლა ომში, შენ რა იცი რაფერ გაგზარდა დედამ, დედას მამას უნდა კითხო. ხუთი ბაღვი გაზრდილი მყავს, ღამეში სამჯერ ავდგებოდი, ზურგ მივადებდი ზამთარში არ შესცივდეთ. ჩვენ თავჯდომარეს რა ქვია, იმ მაიმუნსა? სააკაშვილი, მაიმუნი, მე ახლა ღამეში ავდგე სამჯერ ზამთარში ბაღვი უნდა შევფუხნო, 20 წლის გავხადო გამოვგზავნო ჯარში, სააკაშვილმა ღამეში რო დალიოს სამი ჭიქა, ბევრი უნდა მოკვდეს ია? ომი უნდა გააჩინოს?

მე იქ ჩემი ემიაშვილია, ბიძაშვილია, ჩემი ბაღვი აჰმედ ნური ქვია, ნურიაცი გყავს, ემია, მომიყვანონ, ერთად ფეხით საქართველოს მივალ.

იქ მომკვდარა პირველ ომში ჩანაკალეში დარჩენილა, მე აგერ ანკარაში დროშა თურქის დროშა.სომეხი უნდა ის უნდა გადევნოთ იქიდან ჩვენა, გადევნოთ, საქართველოში ღამაზი დროშა უნდა თავჯდომარეც უნდა გააკეთოთ.

1979-ში ახალ წელის მესამე თვის თორმეტში, ჩვენი გვარიდან მამაცი ჩვენი გვარიდან არის და დედაიც ჩვენი გვარიდან, შუშანა ფუტკარაძე. ის ჩემთან სულ ცოტა 20 ჯერ ჩამოსულია. პირველად რომ ჩამოვიდა სამ თვე იყო ჩემთან, ასე ვართ ვჯდარვართ მასაზე (მაგიდა), შინ რა გაკეთდა ვახშამზე, ამა სხვა აქაური ქართველი სტუმრებიც გყავს, შუშანა აგერ ამ ზამთარში, ზამთარია ხომ ის წელი, ჩვენ აგერ ამ ზამთარს სოფელში ეველით ბაჰჩეჩაიას, ბოსტნაულში ეს ქინძი, მაკიდო, ქონდარი ესენი მოკვრიბე

და ჩამევიტანე. ჩემი წიგნი უნდა მოვიტანო, დღეს მარტის 12, საბაკათინის ოჯახში ვართ, არის ფხალლობია, კერჩხილობია, თეთრი ლობია, ლამაზი პამიდორის დომათაი, პამიდორში ახლავს ქინძი, სალათა გუუკეთებია ესენი ახლავს, წესულა ბაჰჩაქაიას მუუკრეფია ბოსტნაულში, ჩაწერა. ასე ჩორბა იცი ხომ? რაით დავიწყევით-დოშორმა, ქართული საჭმელია დოშორმა. დოშორმა ვჭამეთ. დავამთავრეთ, გაჩერდიო ეს რატომ დავწერეო? ეს ბოსტნაული ოჯახში რამელ იერზე (ადგილას) გაქო? სახლი იმაზე მიყუდებულია... ეს ბოსტნაულიც ეს ოთახის იერი შამოლობული ფიცრით, პრასა,ხახვი, ქინძი, პამიდორი, პირპილაი, პირპილაი რატომ უნდა იყოს მარტში ბაჰჩაქაიას? ასჯერ, ათასძირ ხაშრის ლობიას დავდევ იმას ქვია ბოსტანი. იმას კი ქვია ბოსტნაული.

ჩემ სოფლიდან, ბაჰჩაქაიაში ქორწილი ჯუმა დღეს იყო, წესი იყო ქართველების 1968წლამდე, იმ წელამდე ერთ ქორწილში დიდ საქონელი დეიკვლება ფუხარა, ზენგინი. დიდი საქონელი დეიკვლება ფილავი გაკეთდება, დიდ საქონელის ხორცი დეიჭრება, კორკოტი დაკეთდება, უკორკოტო ქორწილი იმ გოგოს და ბიჭს ბაღვი არ ეყოლებოდა, წესი ისე იყო ღმერთი თუ მოგცემს გეყოლება მაგრამ ესე იყო.დღეები ასე იყო. ქალაქმა გაგავაფუჭა, ჰაირიე გერმანიამ...ჰაირიე გერმანიას არ წასულიყვნენ ინეგოლის ენ ფუჰარი სოფელი ის იქნებოდა.

პირველი სკოლა ჰაირიეში ქემალ ათაბეგის ბურსას ვალისთან მისულა, ნება უურთმევეია ლათინურ ჰარფზე გევსულვართ, იმ წელს 1929ში ჰეირიეს ერთ ოთახში ლათინური სკოლა დუუწყობნიათ. მეორე სკოლა ჰამამლეში, მესამე ესქი ქარაჯაკაია .სამივეგან მასწავლებლები ქართველები იყვნენ. ჰაირიეში ქემალ ათაბეგი, ჰამამლეში ნური ოზბეგ, ესქი ქარაჯაკაია-აქიფ ეფენდი.

ინეგოლი, კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოება-სათვისტომო.საუბრობენ-სუათ ფელეევანოღლუ კირკიტაძე(მისი წინაპრები მაჭახელიდან ყოფილან) აზიზ ეფფე-მუმლაძე, ალი კირკიტაძე, ფელეევანოღლუ.

სუათი-იქიდან მოსულან აქაურობა მუუცემიან ინეგოლი, ჩვენ ტყეში მივალთო. მაადენში 5-6 წელიწად დარჩენილან, მეძრე ჰაირიე მუუცემიან მაადენელებ უთქმიათ

აქაურობა თქვენი იყოსო. ჩერქეზები გუუდევნიათ. მაადენში ბათუმიდან მოსულების მეზარებია.

ნინო-თქვენი სოფელი მოდერნია.

სუათი-კოპერატივის წყალობით ჩვენი სოფელი ჰაირიე წელში გაიშალა.

ნინო-ძველებისგან შემორჩენილი ლექსები თუ იცით?

სუათი-”ღელე-ღელე ჩავიარა

ღელე ტალახიანი

ერთი პაწია შემეყარა

ისიც ტალახიანი.

ალი-პაწია ყანაი დიდ ყანა

პაწა პაწაიმ წემიყვანა

დადგა ტაფა შექმნა ფაფა

დავჯექი და ვქენი სეფა” (მხიარულება)

ნინო-ხშირად ამბობენ რომ ძველად ჰაირიე უფრო კარგი იყო ვიდრე ახლა.

ალი-ჰაირიე წინათ დაჰა ლამაზი იყო, ახლა ჰაირიე მეიშალა მეტი დიდვანი სახლები გაკეთდა. ძველი სახლები დაჰა კარგი იყო. ტყე სოფელში იყო, ტყემ დეილია, მანქანები ეივსო, ფული ეივსო, ხისიმმა ხისიმი არ იცის, ჩვენ თვეში ერთხელ დევნახავთ ერთმანეთს. ფულმა შოვდა შუაში, წასვლა მოსვლა აღარ არის, ფულმა ხისიმზე დაჰა წინ მოვიდა. ქორწილზე დევნახავთ ერთმანეთს. აქაური გერმანიაში წამსვლელები არ უყვარან, იქაურები არ უყვარან დუგუნებზე არ წოვლიან აქაურები. ახლა შენ დოგუნს იჯები ბაღნისთვის, შენ ქორწილში არ მოვა ფულ არ გაძლევს.

ნინო-ჰაირიელები გერმანიაში ერთმანეთს ეხმარებიან?

ალი-კი ეხმარებიან. ფულს აძლებენ.

ახლა აქაურები ისე ხელდებიან შენ ჩემ ქორწილში არ მოხვალ, მეც არ მოვალ შენს ქორწილში.

აზიზი-ეს მართლ ამათ სოფელშია (გულისხმობს ჰაირიეს)

ალი-ჩვენ მექთებში წასვლამდე თურქულაი არ ვიცოდით, მექთებში დავისწავლეთ.

აზიზი-სკოლადან გამოსული თურქულად ლაპარაკობს ბაღვი.

ალი-ქალი მესხი მყავას ერიქლიდან, თურქულად ლაპარაკობს, ბაღვები ხანდიხან მელაპარაკებიან ქართულად. ჩვენი ენაც მიეშალა. ძველად ბაღნები კალოზე იცეკვებდნენ ახლა რას იჯებიან, ბაღნებს უხდიან უხდიან....

სოფ. ბაჰჩექაია-იგივე ჩურუქსუ. შეხვედრა ბაჰჩექაიაში, მეჩეთთან.

ნინო-რა გვარის ბრძანდებით?

უსთაისმეთოდლუ-ჩვენ უსთა ისმეთოდლებ გვეტყვიან. იქიდან გადმოსული გვარი ისმეთოდლები არიან, ამა მე რო იქ გადაველი უსთაისმეთოდლები ვთქვი და ვერავის ვერ მივახვდინე. ვახტანგიძე იქა ახლანდელი ვახტანგიძე ქვი აქ, ამა აქა უსთაისმეთორლუს გვეტყვიან, სოიადი ბაშთურქი გვეტყვიან.

ნინო-ეს სოფელი გურჯია?

უსთაისმეთოდლუ-თლად გურჯია.

ნინო-სოფელს რა ქვია?

უსთაისმეთოდლუ-ბაჰჩექაია სოფელია, იქითაა მეშრურიე (162) ეს ორის სოფელი ერთი მუჰთარი იყო მემრე გავარიგეთ და მეშრურიე დარჩა და ბაჰჩექაია.

ნინო-გელინოები რომ მოგყავთ აბაზები არიან, ჩერქეზები თუ სხვა მილეთის ხალხი?

უსთაისმეთოდლუ-გენელდე გურჯია. იაბანჯი მიცემა ართმევა არ გვიყვარს.

წინო-სიმღერები თუ იცით გურჯული?

უსთაისმეთოდლუ-ვიცით ამა გედევარდა. ჩვენ ვიცით, ჩვენმა ბადიშებმა იციან, ყველამ იცის რაცხა. დედოფლის სიმღერას ვეღარ ამბობენ.

წინო-პატარებმა იციან გურჯული?

უსთაისმეთოდლუ-პატარებმა აღარ იციან. ჩვენ ვიცით ჩვენზე პატარებმა არ იციან, ჩვენმა ბავშვებმა აღარ იციან.

წინო-ბელელი, ნალიები თუ გაქვთ სოფელში შემორჩენილი?

უსთაისმეთოდლუ-აღარ დარჩა საბძელი ეგერ დარჩა 150 სენელი.

წინო-ამ საბძელში რას ინახავდით?

უსთაისმეთოდლუ-ბზეს, თივას, საქონლის საჭმელს. ახლა არ არიან. სოფელში ოთხფეხაი ორი ძალია.

წინო-ქართული საჭმელებიდან რა იცით?

უსთაისმეთოდლუ-ქართული საჭმელებიდან, მე ორი გელინი მყავს, ერთმა გურჯული, ქართული არ ვთქვამთ, გურჯული საჭმელები ქალაჯო, ბოშორვა, ფხალლობიაი, კერჩხილობიაი, მალახტო, სინორი, მაკარნა, წოწოლაი. ანე რაფერ გააკეთებდა, ანე გავაგზავნეთ (ე.ი. გარდაიცვალა)

წინო-გურჯული სიმღერა შეგიძლიათ მიმიღეროთ?

უსთაისმეთოდლუ-ვარარაღე დომარ გიბი

ლამაზო ქალო ვარალალო

დომარ გიბი.

სოფელი თუფექიქონაქი ჩაიხანა-სოფლის მოსახლეობა, მუქერენ გოგიტიძე.

წინო-რა გვარისა ხართ და საიდან ხართ?

მუქერენი-აჭარადან ვართ მუქემერ გოგიტიძე ვარ. გოგნიაურიდან ვარ ჰემ, ამა შენ რა იცი ჩვენი სოფლები იქა. შენ ხარ ტიფლისიდან ჩვენ ვართ აჭარადან. ის სოფლები გაგონილი გაქვს? გაგონილი გაქვს?

ნინო-დიახ.

მუქერენი-კი, მე იქაური და ჩემი დედე იქიდან გადმოსულია, ჩემი დედეი. ჩემი დედეი მე მახსოვდა.

ნინო-გურჯი იყო?

მუქემერი-აბა რა ნენეც ყველაფერი არ გახსენდება ჩვენთან თათრული ჰიჩ ჰალა არ შეგვირევია. ახლად ერთი გელინი მოვიყვანე ბოშნაკი, ჰალა სხვა ხალხი არ შეგვირევია.

ნინო-ამ სოფელში მარტო გურჯი გურჯზე ქორწინდება?

მუქემერი-თლად ქართველი ვართ თლად ქართულად ვლაპარაკობთ.

ნინო-ჩერქეზი, აბაზი გელინოები გყავთ?

მუქემერი-იქიდანაც არ ვითხოვთ ჩვენ სულ ათასში ერთი ბელქი გამეერევა თუ რაცხა.

ნინო-თუ გამოერევა უფრო რომელია?

მუქემერი-თუ რაცხა სულ ცოტაი არ გახსენდება, ლაზი უფრო ბევრი, ჩერქეზი და აბაზი სულ არ გვახსენდება.

ნინო-ოჯახი როგორი გაქვთ?

მუქემერი-ჩემი ოჯახსი უფროსსა ქვია რეჯებაი, არის მაწყვალთიდან, არის ფუტკარიძე. ჩემი ოჯახი ბატონის გვართ მიგვახდინო.

ნინო-ქართული საჭმელებიდან რა იცით?

მუქემერი-ჩვენებური საჭმელები, ქართული საჭმელები მესელა, ძველი საჭმელები ფხალ გავაკეთებთ, მალახტო ჩვენი ფადიშაჰია, დოშორვას გავაკეთებთ, ხავიწას გავაკეთებთ,

ბორან გავაკეთებთ, ჭანჭურაი ფაფა იყო წინ-წინ ამა ახლა აღარ არის, იქაც აღარ იქნება. მე ვიცი და ახლებმა არ იციან. მემრე ჭანჭურის ყაისასა ვეტყვით ყაისა თათრულად არის ამა ჩვენებურად ქვია ჭანჭური. ჭანჭურ მოხარშავ. შექერს ურთავ თერეიად ურთავ, კაკალ ურთავ. ნიგოზი ხო, იმას ურთავ იმას ქვია ყაისეფე. ყაისეფე თათრულად არის და ჩვენებურად რა ქვია არ ვიცი. თუ ძველი დედების ქართული სიტყვები კიდე ამდენი ჩამონახული გვაქ ბაქ გადაკარგულან.

ნინო- ზოგი თავს გურჯს უწოდებს საკუთარ თავს და არა ქართველს.

მუქემერი-სულ ქართულად ვლაპარაკობთ. ქართულ რატომ არ ამბობენ იცი? იქაური ხალხის სახელი ქართულია, ფადიშაჰსა ქართველებისთვის გურჯი დუურქმეგია თუ არა ჩვენ იქა გვარი ქართული გვაქ. ეიდა... ქართველებიდან გადმომცხოვრებული არ არიან ჩვენი დედები? ახლა ვერ დამალავ ვერ ჩამალავ. ქართველი ხალხი ჩვენებურ ხალხსა ქვია. ქართველი ხალხი ჩვენებურსა.

ნინო-ბეღელი და ნალიები არის სოფელში?

მუქემერი-ბეღელი ნალია აგერ ამ სოფელში აღარ არის, დეინგრა, ბეღელი და ნალია ჩვენსკენ ერთი ნალია ერთი ბეღელი.

ნინო-რატომ?

მუქემერი-გაკეთეს ბატონის სახლები, აღარ დარჩა ბეღელი რა ლამაზი იყო, თავი ვერ შავა. ჩვენ ბეღელი გვქონდა გახარვებული შიგნით ვერაფერი ვერ შავა, დავყრიდით ერთში პური ერთში სიმინდი. სხვა უჯრეებში ყურძენი, თაფლი გვექნებოდა. ყველაფერი რაც შეხვალ გამეიტან, ისე გვქონდა ძველად.

ნინო-ზოვლად ლაპარაკობთ ქართულად.

მუქემერი-ლამაზად ვლაპარაკობ? ჩვენი ჰასი (163) ქართული ვართ.

ნინო-რძლები რა ეროვნებისა გყავთ?

მუქემერი-სამი რძალი მყავს. ორი რძალი გურჯია ქართველია, ერთი რძალი ახლად ვითხოვე ბოშნაკია. ბოსნიაჰერცოგოვიდან მოსულ ინსნებსა ბოშნაკი ქვიათ, სხვაფრად ლაპარაკობენ ისინი. ისინი მესელა აჯაბა ინგლისურად არის მათი ლაპარაკი რაფრად არის არ ვიცი.

ნინო-მერე ის თავის შვილებს ქართულს ასწავლის?

მუქემერი-ახლად მევიყვანეთ 15 დღე გახდა. ასე მალე ქართულია ისწავლის ამა რა ქვია იმა რა ქვია გვეუბნება ვასწავლი. უნდა იცოდეს. ჩვენში შევერევით იმანაც მიხვდეს. მე ახლა მსწავლებელი ბაღები მყავს ამა ბავშვებმა ჩემმა დიდვანი კაცები 35 წლის კაცები ამა სულ საღლამაი ქართული ლაპარაკობენ. ჩემი ბიჭი ახლა წევიდა გურჯისტანს.

ნინო-რას საქმიანობენ?

მუქემერი-ჩემი ბიჭი იმ ადამია.

მუსტაფა-გურჯული დედებიდან დევისწავლეთ ის არის. სულ გურჯუჯე ვლაპარაკობთ, ბაღებს არ ასწავლიან, თურქე ლაპარაკობენ. ჰაიდან ხარ?

ნინო-ტიფლისიდან.

მუსტაფა-ტიფლისის და სოლჩაკ დახვრიტეს და მორჩაო გაგონილი გაქვს?

ნინო-არა.

მუსტაფა-აგერ ტიფლისში გასაყიდლად ჩუყვანიათ. მისი ანაი ჩასულა სანახველად. სანახველად რო ჩასულა ნაჩალნიკსა უპასუხია შვილი მაჩვენეო. მისი ბაღვი ეუბნება დედაჩემი ჩამოსულა ციხის კარებზეო. ნაჩალნიკსა უპასუხია-შვილი მაჩვენეო, დამანახვინეო.

“ლალის ციხეში ვარ დამწყვდეული

კაცის ფერი არა მაქო ლალის

დედაჩემი ჩამოსულა ციხის კარებზეო

ლალის ნაჩაღნიკსაც უპასუხა შვილი მაჩვენეო ლალის

ტიფლისიდა სოღჩაკ დახვრიტეს და მორჩა”.

წინო-ეს როღინღელი ამბავია?

მუსტაფა-ათასორმოცდაათის წინ. ჩემი დეღე ასი წლის მოკვდა 50 სენე ონჯე ნიკოლოზ დროში.

მუქემერი-ნიკოლოზი კაი ყოფიღა.

ღანართი 2

ღექსიკონი და გეოგრაფიული სახეღეღი:

1. თაბიი-რათქმაუნღა.
2. ოღა-ოთახი.
3. სამანღიქეღი-სათივე, აჰორეღი-ბოსელი, თავღა.
4. აირი-ღალკე.
5. გელინი-პატარღალი.
6. მემნუნი-კმაყოფიღი.
7. იშთე-აი ასე, ამრიღად.
8. ქიღიმი-ხალიჩა.
9. ჩამაშირ მაქინასი-სარეღხის მანქანა.
10. ქაზანი-ქვაბი.

11. ბელქი-შეიდლება.
12. ჰემენ-მაშინვე.
13. მუჭთარი-გამგებელი.
14. აარეტი-(აჰრეტ) სულიერი ნათესაობა, და-მშობა. ეს არის ორმხრივი ურთიერთობა მთელი ცხოვრების მანძილზე ორ არა სისხლით ნათესავ პიროვნებას შორის. მას საფუძველი ბავშობიდანვე ეყრება. აჰრეტ-ნიშნავს “შემდეგ სამყაროს”. ისინი განუყოფელნი არიან ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ სამყაროშიც. თუ ერთ-ერთი მათგანი სამოთხეში მოხვდებოდა, შეეძლო ალაჰის წინაშე მეორისათვის ეშუამდგომლა.
15. ქაჰვალთი-საუზმე.
16. გააჰაზირეს-მომზადეს.
17. ოთუზ იაშინდაში-30 წლისას.
18. სიგარა იჩილიორ-სიგარეტს ეწევა.
19. აჯაბა-ნეტა.
20. გენჯი-ახალგაზრდა.
21. თანსიონი-წნევა.
22. ჰიჩ-საერთოდ არ.
23. ზათენ-არსებითად,სულაც.
24. მისირ დიორ-სიმინდი ეწოდება.
25. იანი სამან აირილდიქ, ბოილე რუზგარ ჩიქთიი ზამან-ქარის ამოვარდნისას თივას ვაცალკევებდით.
26. ჩუვალეზში-ტომრეზში.

27. ამა-მაგრამ.
28. ორმან ბოილე-ტყე ასეთი.
29. ქაჩაქ-ქურდი.
30. ემექლობა-პენსიონრობა.
31. სოიადი-გვარი.
32. იაბანჯი-უცხო.
33. აღმანია-გერმანია.
34. მეჯბურ-ვალდებული.
- 35-იოქ-არა.
36. ქასაბა-დაბა.
37. რენჩბერობა-მიწადმოქმედება.
38. ჰაივანჯილილი-მეცხოველეობა.
39. ბირშეი იოქ-ალარაფერი აღარ არის.
40. ბოშ-ცარიელი, თავისუფალი.
41. დეპო-სათავსო.
42. შიმდი ვარ-ახლა არის.
43. სუთ ქარდემ-ძუძუმტე.
44. უჩუნჯუ ქუშაი-მესამე თაობა.
45. დეილ მი?არა?
46. ჯევაპ-პასუხი.

47. დაჰა-კიდევ.
48. ქირქ იქი სენე ოლმუმ-42 წელი გამხდარა.
49. ილქ ოქულ ბირინჯი სინიფში-დაწყებითი სკოლის პირველ კლასში.
50. მესელა-მაგალითად.
51. ართიქ-უკვე.
52. ფისი-ბინძური.
53. თემიზი-სუფთა.
54. ბინ სენელი-ათასწლოვანი.
55. ჯესარეთლი-ყოჩადი.
56. ზოვლი-კარგი.
57. ინსანი-ადამიანი.
58. ქესერ-ჭრიან.
59. იუნანი-ბერძენი.
60. ჩემითლი-მრავალფეროვანი.
61. იოქსა-თუ არა.
62. თანე-ცალი.
63. გერჩექთენ-ნამდვილად.
64. შაქაჯი-ხუმარა.
65. მუსაფირები-სტუმრები.
66. სუბაი-ოფიცერი.

67. ეგანი-დიშვილი, ძმიშვილი.
68. ბაქ-შეხედე.
69. გირიშთე-შესასვლელში.
70. თეფე-მთის წვერი.
71. მეზარები-საფლავები.
72. დუმანი-კვამლი.
73. ჰაჯიყარელები-სოფელი ჰაჯიყარა-ჩერქეზებით დასახლებულია. მუჰაჯირ ქართველებს ჰაირიედან განუდევნიათ ჩერქეზები და თავად დასახლებულან, ჩერქეზები კი ჰაჯიყარაში გადასულან.
74. ემექსიზები-ვინც არ არიან პენსიაში.
75. აღმიშ სინირი-აულიათ საზღვარი.
76. გოჩმენი-დევნილი.
77. ქამიონი-სატვირთო მანქანა.
78. არაბაი-მანქანა.
79. სივრისინეკი-კოლო.
80. ჰუქუმეთი-ხელისუფლება.
81. ისითმა-ცხელაბა.
82. ეშხიაც-ბანდიტობა.
83. ჰირსიზობა-ქურდობა.
84. ორეთმენი-მასწავლებელი.
85. იაზარ-მწერალი.

86. ანლადინ მი?-გაიგე?
87. ბითთი-დამთავრდა.
88. ბირინჯი-პირველი.
89. სულალე-გვარი.
90. სონრადან-შემდეგ პერიოდიდან.
91. ბილიორ მუსუნ?-იცი?
92. ყაბილი-გვარი.
93. მემლექეთი-სამშობლო.
94. დედეები-პაპები.
95. იერები-ადგილები.
96. ქოიში-სოფელში.
97. ჩადირი-კარავი.
98. ესქიდენ-ძველი დროიდან.
99. ფარა-ფული.
100. დელეყანლი-ახალგაზრდა.
101. გუზელ-კარგი, ლამაზი.
102. ჩალიშქანი-ბეჯითი.
103. ჩეშითლი ჩეშითლი მეივე-სხვადასხვა ხილი.
104. ბექმეზ-წვენი.
105. იაშინდა-წლის.

106. თუთქუნი-მოყვარული.
107. თერეიადი-კარაქი.
108. ფაზარზე-ბაზარში.
109. დოღალია-ბუნებრივია.
110. ბუიუქ ბუიუქ-დიდი.
111. გელენ-მომსვლელი.
112. ესქილერი-ძველები.
113. ევეთ ევეთ-დიახ დიახ.
114. ენ სონდა-ბოლოს.
115. ბექჩი-მეთვალყურე.
116. ანლადინ მი?-გაიგე?
117. ინეგოლი-დაბაა და ითვლება სამრეწველო რაიონად. მიახლოებით 250 000 მოსახლეა. ძველი სახელია ანგელაკომა, ანგელა- ანგელოზი კომა-ადგილი.
118. თუფექჩიქონაქი-ქართველებით დასახლებული სოფელი ინეგოლში. სოფლიდან საკმაოდ ბევრი “ნასწავლი კაცია გამოვიდა”. ძველად მისი სახელი აფხაზების მიერ დარქმეული-წაწარქოი ყოფილა. ათა-თურქს მას შემდეგ გადაურქმევია მისთვის სახელი, რაც თავისი ჯარისკაცებით შესულა სოფელში. ქართველებს ჯარისთვის შეუთავაზებიათ საკვები-ჩვენ სტუმრებს საკვები უნდა შევთავაზოთ, ისე არ შეიძლებაო. ქემალსაც უთქვამს ჯარისთვის იარაღი ჩამოედო. სწორედ აქედან მოდის სახელწოდება- თუფექჩიქონაქი ანუ “შეიარაღეთა გასაჩერებელი ადგილი, სადგომი”. ადრე სოფელს ცეცხლი გასჩენია. სახლები ერთი მეორის გამოტოვებით დამწვარა.
119. საადეთი-ქართველებით დასახლებული სოფელი. თურქულად “ბედნიერებას” ნიშნავს. მისი ძველი სახელი “ფაზარალანი” ყოფილა ანუ “ბაზრის მოედანი”.

120. სენედენ სენე-წლიდან წლამდე.
121. დიორლარ-ემახიან.
122. ჯენაზე-დაკრძალვა.
123. არნავუთი-ალბანელი.
124. ბოშნაკი-ბოსნიელი.
125. მუჰაჯირი-ქართველები თავიანთ თავს არ ემახიან მუჰაჯირებს.
126. მემუნნი ვარ-კმაყოფილი.
127. საიგი გოსთერიორუზ-პატივისცემას გამოვხატავთ.
128. დევამ ედიორუზ-ვაგრძელებთ.
129. ონემლი-მნიშვნელოვანი.
130. ქარფუზი-საზამთრო.
131. შეფთალი-ატამი.
132. დევამლი-მუდამ.
133. ზორში-სიძნელე.
134. დენიზში-ზღვაში.
135. ჯენეთი-სამოთხე.
136. ელენჯე-გართობა.
137. ბიჭის მიერ მოტანილი საჩუქრები: პირსახოცი, ქალის ფეხსაცმელი, მაისური, წინდები, დეზოდორანტი, ყვავილები, თეთრეული, მაგიდის გადასაფარებელი. საჩუქრები ოქროსფერი ბაბთით ლამაზად არის შეხვეული და შესასვლელში, ყველასათვის გამოსაჩენ ადგილზე დევს.

138. თარაფმა-მხარემ.
139. დაჰა იი-უფრო კარგი.
140. 1877-78 რუსეთ-თურქეთის ომი, ისლამური კალენდრით, 1293 წელს დაემთხვა. სწორედ ამიტომ ის ისტორიაში "93 წლის ომის" სახელითაცაა ცნობილი.
141. ჰერ ჰალდე-როგორც ჩანს.
142. თაჰსილი-განათლება.
143. სულალე-გვარი.
144. შეჰირი-ქალაქი.
145. ქირემუთი-კრამიტი.
146. იალნიზ-მხოლოდ.
147. რაჰათია-წყნარია.
148. ჰანე-ოჯახი.
149. მეივე-ხილი.
150. თაქიფ ეთთი-კანონი გაატარო.
151. უსტიები-საქმის მცოდნენი.
152. რესმი იდარესი-ოფიციალური დაწესებულება.
153. ჰომ-სასიამოვნო.
154. თურლი თურლი-სხვადასხვა.
155. ქურუჯუსუ-დამაარსებელი.
156. აბლა-უფროსი და.

157. ბორეკი-ნამცხვარი.

158. 130 სენე ოლმუმ ბიზ გურჯსტანდან გელდიქ-130 წელი გამხდარა რაც ჩვენ საქართველოდან მოვედით.

159. ჯინგინები-ბოშები.

160. ყადი-მუსლიმანთა სასულიერო წრის წარმომადგენელი


161. დუგუნები-ქორწილები.

162. მეშრურიე-ქართველების სოფელი.

163. ჰასი-სუფთა.




5



6



7.



8




9



10



11



12



13



14



15



16



17



18



19



20



21



22



23



24



25



26



27



28



26/02/2010

29



04/02/2010

30



26/02/2010

31



32



33



34



35



36



37



38



39



40



41



42



43



44



45



46



47



48



49



50



51



52



53



54



55



56



57



58



59



60



61.



62



63



64.



65



66



67



68



69



70



71



72



73



74



75



76



77



78



79



80



81



82



83



84



85



86




87



88



89



90



91



92



93



94



95



96



97



98



99



100



101



102



103



104



105



106



107



108



109



110



111



112



113



114



115



116



117



118



119



120



121



122



123



124



125



126



127



128



129



130



131



132



133



134



135



136



137



138



139



140



141



142



143



144



145



146



147



148



149



150



151



152



153



154



01/02/2010

155



01/02/2010

156



01/02/2010

157



158



159



160



01/02/2010

161



10/07/2010 16:26

162



10/07/2010 14:28

163



164



165



166



167



168



169



170



171



172




173



174



175



176



177



178



179



180



181



182



183



184



185



186



187



188



189



190



191



192



193



194



195



196



197



198



199




200




201



202



203




204



205



206



207



208



209




210



211



212



213



214

NİNO yazmış olduğum öykünün
içinde babam Osmanın gürcüstandaki
soyadını Gogiditze yazmam gerekiyordu
doğrusu bu ama ben gogidize diye
yazmışım sen onları gürcüceye çevirirken
gogiditze olarak yazarsın birde bu
öyküyü sana gönderiyorum öyküyle ilgili
herhangi bir olayla ilgili herseyden haberdar
etmeni isterim beni saygılar sunarım .

Nevin Akiskalioglu

